

ვასილ კაჭარავა

1920-იანი წლების
ამერიკა

ამერიკული ინდივიდუალიზმი,
ეკონომიკური აყვავება, ჯაზის ეპოქა,
მშრალი კანონი, დეპრესია

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი 2008

მონოგრაფიაში ავტორი განიხილავს 1920-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც არის ამერიკული ინდივიდუალიზმი, ეკონომიკური აყვავებისა და მისი დრამატული დასასრულის მიზეზები, იზოლაციონისტური საგარეო პოლიტიკა, მშრალი კანონი, აღნიშნული პერიოდის ამერიკული კულტურა. წიგნი გათვალისწინებულია არა მარტო პროფესიონალი ამერიკამცოდნეებისა და სტუდენტების, არამედ შეერთებული შტატების ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი *მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ელენე მეძმარიაშვილი*

რეცენზენტები: *მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გივი ბოლოთაშვილი
მეცნიერებათა დოქტორი,
საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
თედო ჯაფარიძე*

მხატვარი *თამაზ ვარვარიძე*

ქუძღენი ჩემს სათაყენებელ შობღლებს
ვიღოი კაჭარავას და ლეილა ბლაეაძეს

**მონოგრაფიის გამოცემის
დაფინანსებისათვის უღრმეს
მადლოვან ვუსდი ფონდს
„სასულიერო აკადემია“,
ფონდის გამგეობის თავმჯდომარეს,
ჩემს მეგობარს
ვასტანგ რჩაულიშვილს.**

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	7
წყაროები და ისტორიოგრაფია.....	18
1920 წლის საპრაზიდენტო არჩევნები და „ნორმალურობისაკენ“, ანუ კლასიკური კონსერვატიზმისაკენ, დაბრუნება	29
ყველაზე განათლებულმა პრეზიდენტმა დალადა ამერიკა	29
ორ უღიმღამო კანდიდატს შორის აირჩიეს რესპუბლიკელი	39
ჰარდინგის ხანმოკლე პრეზიდენტობა, მისი კაბინეტის გმირები და ანტიგმირები, ანუ რა მოჰყვება ძმობიჭობას დიდ პოლიტიკაში	50
ჰარდინგის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა – უკან იზოლაციონიზმისაკენ	87
პროსპერითი – ამერიკის ბიზნესი – ეს ბიზნესია	98
ლარიბი პრეზიდენტისა და მილიონერი მინისტრების ალიანსი	98
ამერიკული ბიზნესი 1920-იან წლებში	133
ამერიკის შრომის ფედერაცია	154
ამერიკელი ფერმერები	167
შავკანიანი ამერიკელები, ლინჩის წესი და დემოკრატია	175
კუ კლუქს კლანის აღორძინება და მორალური ფასეულობანი ..	179
ქალების გააქტიურება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში	189
ამერიკის საგარეო პოლიტიკა და ამერიკული დიპლომატია ამერიკული ბიზნესის სამსახურში	194
ჯაზის ეპოქა — ახალი ღრმ, ახალი მორალი	220
დაბრუნება პარიზიდან ამერიკის პროვინციაში	220
ამერიკელი მწერლები მსოფლიოს იპყრობენ	233
ჯაზმა გადარია ამერიკა და შემდეგ მთელი მსოფლიო	248
ამერიკული კინოც იპყრობს მსოფლიოს	258
ამერიკული სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა	266

რადიოს როლი ამერიკულ საზოგადოებაში	268
განათლების სისტემა	271
სპორტის ოქროს ხანა	274
მაიმუნის პროცესი	276
1920-იანი წლების ყველაზე პოპულარული ამერიკელი	277
მშრალი კანონი — ყველაზე დიდი და კეთილშობილი	
სოციალური ექსპერიმენტი	279
რატომ და როგორ მიიღეს მშრალი კანონი	279
ალ კაპონე, იზი აინსტაინი და მათი მრევლი, ანუ რა ხდება, როდესაც განგსტერებისა და პატიოსანი ადამიანების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა	294
ადამიანის უფლებები, შტატების სუვერენიტეტი და მშრალი კანონი	318
დიდი პროსპერიტის დასასრული და დიდი დეპრესიის	
დასაწყისი	336
პროსპერიტის არქიტექტორის ბრძოლა ამერიკის ეკონომიკის გადარჩენისათვის	336
მსოფლიოს უდიდესი ფილანტრობი უძღურია დაეხმაროს საკუთარ ხალხს	360
1932 წლის არჩევნები – მართვის ორი ფილოსოფიის შეჯახება	377
დასკვნა	390
შენიშვნები	395
ბიბლიოგრაფია	432
SUMMARY	441

შესავალი

აღიარებენ რა, თანამედროვე ამერიკის ძლევამოსილებას, მის უდიდეს მიღწევებს ცხოვრების ყველა სფეროში და უდიდეს როლს მსოფლიოს განვითარებაში, ამერიკისადმი სიმპათიებით აღსავსე ადამიანებიც კი ხშირად, საკმაოდ სკეპტიკურად აფასებენ მის ისტორიას, მის წარსულს და გვახსენებენ, რომ ეს ქვეყანა სულ რაღაც 230 წლის წინ შეიქმნა. ბევრის თვალში ამერიკელები დღესაც არ ჩამოყალიბებულან ერთიან ერად, ხოლო, უკეთეს შემთხვევაში, მეტად ახალგაზრდა, დაუღვინებელ ერად აღიქმებიან. ეს თვალსაზრისი არცთუ ორიგინალურია და, სახეშეცვლილი სახით, როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთსა თუ ტაილანდში შეიძლება მოისმინოთ. ისევე ალბათ, როგორც ირანში, ეგვიპტესა თუ იტალიაში და ვინ იცის კიდევ სად.

ზოგჯერ ეს უბრალო შურით აიხსნება წარმატებული ამერიკის მიმართ. ზოგჯერ კი ამერიკისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების სახელწიფო იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ, უფრო ხშირად, ეს ალბათ, გაუთვითცნობიერებლობის შედეგია, როდესაც ყველაფერი წლების რაოდენობით განისაზღვრება. არადა, წლებიც არის და წლებიც. ისევე როგორც ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეთა თანაფარდობა მარტო რიცხოვნობით კი არა, მეომართა ხარისხითაც განისაზღვრება, ალბათ, წლებსაც გააჩნია ხარისხი მოვლენების რაოდენობის, სიმძაფრისა და მნიშვნელობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ზოგი წელი ათს უდრის, ხოლო ზოგი – საუკუნესაც კი.

ეს რომ არა, სრულიად მცდარი იქნებოდა საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ სწორედ ერის ისტორიაა მისი ანმყოფ ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორი. ამერიკა, რომ დღეს „ამერიკობს“, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამერიკის ისტორიამ განაპირობა. შესაბამისად, ამერიკული სახელმწიფოს მიღწევები არსებული წლების ხარისხის და არა ფორმალური რაოდენობის შედეგია.

ამერიკის ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება ისიც არის, რომ მას ნითელ ხაზად გასდევს მემკვიდრეობითობის ტრადიცია, უწყვეტი კავშირი თაობებს შორის, როდესაც ერთი თაობის წარმატებები წინა თაობის მიერ შექმნილ საფუძველზე შენდებოდა.

ამერიკელებს არასოდეს არაფერი დაუწყიათ თავიდან, „ნულიდან“. კომუნისტებისა და ნაციისტებისგან განსხვავებით, არასოდეს უცდიათ „ახალი ადამიანის“ შექმნა. ყოველი მომდევნო თაობა ჰარმონიულად ერწყმოდა წინას, საუკეთესოს იღებდა მისგან, ცდილობდა არსებული ხარვეზების შემცირებას, აუმჯობესებდა მიღწევებს. შესაბამისად, კარგს კარგი ემატებოდა და წარმატებას წარმატება მოსდევდა. სხვასთან ერთად ამანაც განაპირობა ყოველი ამერიკული წელიწადის აღმავლობის გზით მიმდინარე პროცესი.

ბუნებრივია, ამერიკის ისტორიას არც დაპირისპირება და არც მსხვერპლით აღსავსე ბრძოლები აკლდა, თუნდაც ამერიკული რევოლუცია ან სამოქალაქო ომი რად ღირს. მაგრამ მაშინაც კი ამერიკული საზოგადოების იდეოლოგიური საფუძველი ადამიანის უფლებების დაცვაზე, შემწყნარებლობასა და ურთიერთპატივისცემაზე იყო დაფუძნებული. გამარჯვებული დამარცხებულს კი არ ჩაგრავედა და სპობდა, არამედ ურიგდებოდა და ხელს უწყობდა მის წარმატებულად ჩართვას, ბრძოლის შედეგად შექმნილ ახალ რეალობაში.

ალარაფერს ვამბობთ ხელისუფლების მხოლოდ არჩევნების გზით შეცვლაზე. მართალია, პრეზიდენტის კაბინეტის წევრებს და ფედერალური სამსახურების უფროსებს ახალი პრეზიდენტი ცვლის, მაგრამ წინამორბედთა მთლიანად მოცილება და სამსახურიდან პარტიული ნიშნის მიხედვით გაგდება საერთოდ წარმოუდგენელია. კვალიფიციურ მოხელეს ხომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ოქროს ფასი აქვს და იგი პოლიტიკურ კონიუნქტურას არ ექვემდებარება. სწორედ ხელისუფლების უმტკივნეულო და ეფექტიანი ცვლაა ჭეშმარიტი დემოკრტიის მთავარი ნიშანი და ამ მხრივ ამერიკა ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

რაც შეეხება ე.წ. ახალგაზრდა და გამოუცდელი ერის ფენომენს, არ უნდა დავივიწყოთ, თუ ვინ შექმნა ამერიკა და როგორმა ადამიანებმა განსაზღვრეს მისი განვითარების გზები. ისინი ხომ თავად არიან უდიდესი ისტორიული წარსულის მემკვიდრეები — იგივე ინგლისელები და ესპანელები, ფრანგები და გერმანელები, ჩინელები და პოლონელები. მართალია, უფრო მოკრძალებული, მაგრამ ქართველებმაც შეიტანეს გარკვეული წვლილი ამერიკის განვითარებაში. ასე რომ, არ უნდა დავივიწყოთ, რა მასშტაბის გენეტიკური მეხსიერებაა ჩადებული ამერიკელებად ქცეულ ამ

უძველესი ერების წარმომადგენლებში. ეს ცოდნა, გამოცდილება, სხვადასხვაგვარი ტემპერამენტი თუ ეროვნული თვისებები ერთ გეოგრაფიულ სივრცეში და ისტორიულ მონაკვეთში გაერთიანდა და ჯერ არნახული მოცულობისა და ხარისხის შესაძლებლობები საერთო მიზნებს დაუქვემდებარა. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ სხვა მრავალეროვნული იმპერიებისაგან განსხვავებით, რომელთაც ასევე ბევრი მოიგეს მრავალი ერის კულტურული მემკვიდრეობის ათვისებით, ამერიკა დაპყრობილი ერების ერთიანობას არ წარმოადგენს. ამერიკაში თავის ნებით ჩადიოდნენ (გარდა, რასაკვირველია, აფრიკელი მონებისა), რომ თავისივე ნებით გამხდარიყვნენ ამერიკელები. შესაბამისად, ამ ადამიანთა ძალა და განსხვავებულობა მათ თავისუფლებაშიც გამოიხატებოდა. ხოლო იქ, სადაც თავისუფლებაა, შემოქმედების ხარისხიც უმაღლესია.

რა მასშტაბია, რა მუხტია, რა მრავალფეროვნებაა და განა გასაკვირია, რომ ასეთი „ხანმოკლე ისტორიის“ ასეთმა „ახალგაზრდა ერმა“ არა მარტო ამერიკის კონტინენტის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორია შეცვალა.

ეს გრანდიოზული მუხტი ამერიკის შეერთებული შტატების შექმნის პირველივე დღეს გამოიკვეთა. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მთელი კაცობრიობის ისტორიის, უდიდესი რელიგიების, ყველაზე ნათელი გონების მოაზროვნეების სულისკვეთების კონცენტრირებული გამოხატულებაა. ბუნებრივია, როგორც ადამიანის ყოველ ქმნილებას დეკლარაციასაც და მისი განხორციელების გზებსაც ჰქონდა თავისი ხარეზები, მაგრამ, ალბათ, არც მანამდე და არც მერე, არცერთ პოლიტიკურ დოკუმენტს შეუფასებია უკეთ ადამიანის ადგილი და მისი უფლებები სამყაროში.

სწორედ ეს დეკლარაცია აცხადებდა, რომ „ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორუფლებიანად და რომ მას შემქმნელისაგან ნაბოძები აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის არაგანსხვისებადი უფლება“. ლამაზი და კეთილშობილი სიტყვები ადამიანისა და მისი დანიშნულების შესახებ ადრეც თქმულა, მაგრამ დეკლარაციამ ეს იდეები სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. ეს კი ნამდვილად პირველად მოხდა კაცობრიობის ისტორიაში. თანაც ეს ხდება 1776 წელს, როდესაც თითქმის მთელი მსოფლიო ფეოდალურია და მონარქებს სასაცილოდ არ

ჰყოფნით ადამიანის უფლებებზე საუბარი. სხვათა შორის, ეს დღე-საც აცინებს ფორმალური დემოკრატიების მრავალ პრეზიდენტს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დეკლარაციის უდიდეს მნიშვნელობას მაშინ და მის აქტუალურობას დღეს.

იმავე დეკლარაციაში ხაზგასმულია უკვე თვით ერის უფლება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევნების გზით შეცვალოს მთავრობა. მაგრამ იმ შემთხვევაში, „როდესაც გაუთავებელი უსამართლობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მისი გამუდმებით ერთი მიზნისაკენ წარმართვა ხალხს აბსოლუტური დესპოტიზმით ემუქრება, მისი უფლება და ვალია ბოლო მოულოს ამგვარ მთავრობას და აღაღლინოს მოღვაწეთა ახალი დასი თავისი მომავალი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“. ამ ფრაზაზე კი ვერც მაშინდელმა ინგლისის მეფემ ჯორჯ მესამემ ვერ გაიცინა (1781 წელს მისი ჯარი დანებდა აჯანყებულ ამერიკელებს) და ვერც დღევანდელი პრეზიდენტები ვერ იცინიან (განრისხებულ ხალხს მრავალი უზურპატორი შეენირა და შეენირება).

ახალგაზრდა ამერიკული სახელმწიფოს მეორე ნაბიჯიც ასევე მსოფლიო მნიშვნელობისა აღმოჩნდა. კერძოდ კი — ამერიკის კონსტიტუცია. მისი ყველაზე თვალშისაცემი და უბრალო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 1789 წელს მიღებული კონსტიტუცია ყველაზე ძველია დღეს მოქმედ კონსტიტუციებს შორის. და მასში მხოლოდ 27 შესწორებაა შეტანილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი ათი შესწორება, რომელიც ცნობილია, როგორც „ბილი უფლებათა შესახებ“ მიღებულია 1791 წელს, ანუ თითქმის მაშინვე, შეიძლება ვთქვათ, რომ შემდგომი 200 წლის მანძილზე ამერიკის კონსტიტუციაში მხოლოდ 17 შესწორება შევიდა მაშინ, როდესაც დროის დაახლოებით იმავე მონაკვეთში, საფრანგეთში 5 ახალი კონსტიტუცია მიიღეს. ამერიკული კონსტიტუციის მთავარი სიახლე ხელისუფლების ისეთი დაყოფა და დაბალანსებაა, რომ არსებული სამი სახელისუფლებო შტოდან არც ერთს არა აქვს აბსოლუტური უპირატესობა. შეიქმნა ე.წ. ურთიერთგანონანსოების სისტემა.

ასევე შეტად საინტერესოა ამერიკული ფედერალიზმის პრინციპი — ხელისუფლების გადანაწილება ფედერალურ, შტატისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის. ეს კონსტიტუცია ყველაზე ხშირად გამოიყენება სხვა ქვეყნების კონსტიტუციებისათვის, როგორც მისაბაძი მაგალითი. ზოგან ტექსტსაც კი არ ცვლიან. მაგრამ

ამ კონსტიტუციის ძალა, სხვათაგან ერთად, ისიცაა, რომ, ენ ფორმალური დემოკრატიებისაგან, განსხვავებით, იგი რეალურად მოქმედებს.

ეს გამოცდილება ჰაერივით გვჭირდება და იგი შეიძლება აღვიქვათ, როგორც დემოკრატიის გაკვეთილები. რეალური და არა წარმოსახვითი და პროპაგანდისტური გამოცდილება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორია ჭეშმარიტი ამერიკა, თავისი სიდიადით და იდეალიზმით; პრაგმატიზმით და მერკანტილიზმით; ჰუმანიზმით და დემოკრატიით, სისხლიანი დაპირისპირებითა და ექსპანსიონიზმით; პროფკავშირებითა და დიდი კორპორაციებით; ჰუმანტარული დახმარებითა და ახალგაზრდა დემოკრატიების მხარდაჭერით; ნავთობისთვის ბრძოლით და გავლენის სფეროებით; თავისი დიადი მეცნიერებითა და კულტურით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თუ შევძლებთ რეალურად შევაფასოდ ეს ქვეყანა. ის ურთულესი გზა, რომელიც მან გაიარა და ის პრობლემები, რომელთაც იგი დღეს უპირისპირდება. მთავარია, არაფერი შევალამაზოთ. როგორც თვითონ ამერიკელები ამბობენ, მათი ქვეყნის ძალა სწორედ ისაა, რომ ისინი არ მალავენ თავიანთ პრობლემებს, არ ერიდებიან მათ გულახდილ განხილვას როგორც სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ.

ბუნებრივია, არავითარი წარმატება არ მოდის ადვილად და ამერიკის ისტორიული განვითარება სულაც არ იყო ია-ვარდით მოფენილი, თუმცა ისიც უდავოა, რომ გეოგრაფიულმა მდებარეობამ და შედარებით სუსტმა მეზობლებმა მას მრავალი პრობლემის გადაწყვეტა გაუადვილა: იქნებოდა ეს ტერიტორიული ექსპანსია თუ ეროვნული უსაფრთხოება; უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, თუ მძიმე ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა უზარმაზარ ტერიტორიაზე მათი გადანაწილების მეშვეობით.

არ იქნებოდა მართებული და ძალზეც რომ მოგვენდომებინა, არ გამიგვივიდოდა ამერიკის იდეალური სახის დახატვა. უამრავ პროგრესულ ნაბიჯთან ერთად ამერიკას არც აგრესია, დანაშაული და შეცდომები აკლდა. რასაკვირვილია, უპირველესად ეს ეხება ადგილობრივ მოსახლეობას. ვერავინ უარყოფს, რომ მას ხშირად დაუნდობლად და ვერაგულად ექცეოდნენ, რაც საბოლოოდ ინ-

დიელთა რაოდენობის კატასტროფული შემცირებითა და მათი საცხოვრებელი სივრცის მინიმუმადე შეკვეცით დასრულდა.

არანაკლებ ტრაგიკული აღმოჩნდა შავკანიან ამერიკელთა ხვედრი. მილიონობით ადამიანს მონობაში აღმოხდა სული, ხოლო ცოცხლები ადამიანებად კი არა, საკუთრებად აღიქმებოდნენ. ბარბაროსული რასიზმი სამარცხვინო ფურცელია ამერიკის ისტორიაში და ალბათ, სამოქალაქო ომში დაღვრილი სისხლიც კი ვერ აანაზღაურებს ამ დანაშაულს. მით უმეტეს, რომ რეალური სამოქალაქო უფლებები შავკანიანმა ამერიკელებმა სამოქალაქო ომის დასრულებიდან მხოლოდ ასი წლის შემდეგ მიიღეს 1964 წლის სამოქალაქო უფლებების კანონის სახით. პარადოქსია, რომ ამერიკა, რომელიც ნაციზმს ებრძოდა და მსოფლიოში დემოკრატიის იდეალებს ქადაგებდა, თვით მფარველობდა რასიზმს. რასაკვირველია, რასიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, ამერიკაში დღეს უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ყოფა-ცხოვრებაში ზოგჯერ მისი გადმონაშთები ბოლომდე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა.

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა ამერიკაში საერთო ევროპულ დონეს მიჰყვებოდა და საარჩევნო ხმის უფლება ამერიკელმა ქალებმა მხოლოდ 1920 წელს კონსტიტუციის მე-19 შესწორებით მიიღეს. ქალთა ჭეშმარიტი თანასწორობა კი მხოლოდ 1970-იანი წლებიდან თუ გამოიკვეთა. ეს პირველ რიგში სამუშაოზე მიღებასა და მამაკაცების თანაბარ ანაზღაურებას ეხება. თუმცა, დღეს უდიდესი პროგრესი სახეზეა.

არც ტერიტორიული ექსპანსიაა დასავინყებელი. ინდიელთა მიწების სრულიად განუკითხავ მიტაცებასთან ერთად ამერიკა არც მეზობელ მექსიკას ერიდებოდა. XIX საუკუნის მექსიკა მეტად შორს იყო დემოკრატიის იდეალებისაგან და არც აგრესიულობა აკლდა, მაგრამ ამერიკის ომები მექსიკის წინააღმდეგ ძნელად თუ ჩაითვლება თავდაცვითი ხასიათის სამართლიან ომებად. 1849 წელს ამერიკამ მექსიკას უზარმაზარი ტერიტორიები წაართვა. არც ჰავაის კუნძულების ამერიკის ფარგლებში მოქცევა მოხდა სრული ორმხრივი თანხმობის საფუძველზე. პანამის არხის პრობლემაც სუვერენული კოლუმბიის უფლებების უხეში დარღვევით გადაწყდა. მონროს დოქტრინა „ამერიკა ამერიკელთათვის“ ხშირად ნიშნავდა ამერიკა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. სისხლისმღვრელი ომი ვიეტნამში, რომელსაც მილიონობით ვიეტ-

ნამელის სიცოცხლე შეენირა, ძნელად თუ ჩაითვლება მხოლოდ დემოკრატიისათვის ბრძოლის მაგალითად. ასევე მეტად რთული და წინააღმდეგობრივია დღევანდელი ვითარება ერაყში.

მაგრამ ნურც ის დაგვაინყვდება, რომ 1823 წელს მიღებული მონროს დოქტრინის მეშვეობით ამერიკამ მართლაც დაიცვა ლათინური ამერიკის ახლად შექმნილი რესპუბლიკები ევროპული ექსპანსიისაგან. მართლია, 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომი მეტად წინააღმდეგობრივი მოვლენა იყო, მაგრამ კუბის დამოუკიდებლობა, თუნდაც შეზღუდული, არა მარტო კუბელთა ბრძოლის, არამედ ამ ომის შედეგიცაა. ამერიკის ჩარევა კარიბის ზღვის ქვეყნების საშინაო საქმეებში, არც თუ იშვიათად, ამ ქვეყნების მოსახლეობას სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომებისაგან იცავდა. როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ამერიკა დემოკრატიული ფასეულობების მხარეს იბრძოდა და იგივე იყო ცივი ომის დროსაც. ნუ დავივინყებთ, რომ ამ პერიოდში სწორედ ამერიკა იყო ის ერთადერთი რეალური ძალა, რომელმაც კომუნიზმის ექსპანსიისაგან დაიცვა სამყარო. ნურც გრანადის და ქუვეითის განთავისუფლებას დავივინყებთ. ბალკანეთში სამოქალაქო ომის დასრულებაშიც სწორედ ამერიკამ და არა ევროპამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. თუ დღეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, საქართველოს ჩათვლით, დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარების რეალური შესაძლებლობა მიეცათ, აქაც სწორედ ამერიკა ასრულებს მნიშვნელოვან როლს.

თუ ამერიკის ზემოთ ჩამოთვლილ ცოდვებს და მის მიერ დათესილ სიკეთეს ერთმანეთს შევადარებთ, ალბათ, სიკეთის წილი გაცილებით უფრო დიდი იქნება. ამავე დროს, თუ ამერიკის საგარეო პოლიტიკას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების – ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის და რუსეთის პოლიტიკის ისტორიას შევადარებთ, ალბათ, ეს შედარებაც ამერიკის სასარგებლოდ იქნება.

საშინაო პოლიტიკაში, მიუხედავად ზემოხსენებული მოვლენებისა, ამერიკამ დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების არაერთი მაგალითი გვაჩვენა, რომელიც დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და ამერიკის კონსტიტუციის იდეალებზე იყო დაფუძნებული. რომ აღარ განვმეორდეთ, გავიხსენოთ იგივე „მაკრეიკერები“, რომელთა ჟურნალისტურმა გამოძიებამ უდიდესი

როლი ითამაშა საზოგადოებაში არსებული მანკიერებების გამოაშკარავებასა და მათ აღმოფხვრაში; ამერიკული პროფკავშირების ბრძოლა, რის შედეგადაც ამერიკელ მშრომელთა ანაზღაურება ერთ-ერთი უმაღლესია მსოფლიოში; ბრძოლა პატრონაჟის სისტემის წინააღმდეგ, რომელმაც მინიმუმამდე დაიყვანა პარტიული კუთვნილების მნიშვნელობა ქვეყნის მმართველ სტრუქტურებში; არაჩვეულებრივი ეკონომიკური აღმვლობა და მსოფლიოში უმსხვილესი საშუალო ფენის ჩამოყალიბება; ცხოვრების უმაღლესი სტანდარტი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის; კლასობრივი ბრძოლის მაგივრად კლასობრივი თანამშრომლობის, თუმცა საკმაოდ წინააღმდეგობრივი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც წარმატებული მაგალითი; ადგილობრივი თვითმმართველობის უაღრესად მაღალი კულტურა; საზოგადოებრივი ორგანიზაციების უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში; უმაღლესი სასამართლოს მეტად საინტერესო და პრინციპული გადაწყვეტილებები და ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა; იგივე რასობრივი და ეთნიკური წინააღმდეგობების აღმოფხვრა მსოფლიოს ამ უნიკალურ, სრულიად განსხვავებული წარმოშობის ადამიანებისაგან შემდგარ საზოგადოებაში (გაეხსენოთ თუნდაც ჯონ ო'ჰარას „პაემანი სამარაში“).

ამერიკამ მსოფლიოს უმაღლესი რანგის პოლიტიკოსები აჩუქა. რად ღირს თუნდაც ჯორჯ ვაშინგტონის, თომას ჯეფერსონის, აბრაჰამ ლინკოლნის, თეოდორ რუზველტის, ვუდრო ვილსონის, ფრანკლინ რუზველტის, ჯონ კენედისა თუ რონალდ რეიგანის სახელები. მართალია, ეს პოლიტიკოსები, ისევე როგორც მრავალი სხვა, ამერიკელთა ერთ ნაწილს ძალზედ მოსწონდა, მეორეს კი ზოგჯერ სძულდა კიდევ და როგორც ყველა ადამიანის, მათი მოღვაწეობაც არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობებით იყო აღსავსე, მაგრამ მათი ღვაწლი არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს განვითარებაში ძალზე დიდია და დადებითს, ალბათ, გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე უარყოფითს.

ამერიკელები იყვნენ ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორც თომას პეინი, ჰენრი ტორო, რაფა უალდო ემერსონი. ბრწყინვალეა ამერიკული ლიტერატურა — ჰენრი ლონგფელო, ჰენრი ჯეიმსი, სტივენ კრეინი, მარკ ტვენი, ფრენსის ბრეთ ჰართი, ჰერმან მელვილი, ედგარ პო, ჯექ ლონდონი, თეოდორ დრაიზერი, ო. ჰენრი, სკოტ

ფიცჯერალდი, ეზრა პაუნდი, სოლ ბელოუ, ერნესტ ჰემინგუეი, ჯერომ სელინჯერი, კურტ ვონეგუტი, რობერტ პენ უორენი, ჯონ აპდაიკი, გორ ვიდალი, სტივენ კინგი და რამდენი კიდევ.

ამერიკამ აჩუქა მსოფლიოს სპირიტუალში და ჯაზი, აჩუქა ვუდსტოკის ფესტივალის მუსიკა და სულისკვეთება.

ბრწყინვალეა ამერიკული მეცნიერება. თუნდაც ედისონისა და ბელის სახელები რად ღირს. დღეს კი ნობელის პრემიის ყველაზე მეტი ლაურეატი სწორედ ამერიკელია.

რასაკვირველია, მცდარია ბევრი ამერიკელი ობივატელის აზრი, რომ ამერიკა სამყაროს ცენტრია და თუ რამ კარგია მსოფლიოში, იგი ამერიკაში შეიქმნა. მაგრამ იმას, რომ ამ ქვეყანამ, მიუხედავად ხანმოკლე ისტორიისა, უდიდესი წვლილი შეიტანა და შეაქვს მსოფლიოს განვითარებაში, ამერიკის უბოროტესი მტრებიც კი ვერ უარყოფენ.

და აი, ამ უნიკალური ქვეყნის უნიკალური ისტორიის, ერთ-ერთი, ალბათ, განსაკუთრებულად საინტერესო და კოლორიტული პერიოდი გვინდა განვიხილოთ ჩვენს წიგნში. კერძოდ კი, მხედველობაში გვაქვს 1920-იანი წლები, როდესაც ფაქტობრივად საფუძველი ეყრებოდა ახალ, თანამედროვე ამერიკას:

სწორედ ოციან წლებში გახდა ამერიკა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი სახელმწიფო;

სწორედ ოციან წლებში აყვავდა და გაძლიერდა კლასიკური ამერიკული კონსერვატიზმი;

სწორედ ოციან წლებში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამერიკელთა ცნობიერებაში, მათი ქცევის ნორმებში, მათ საყოფაცხოვრებო კულტურაში;

სწორედ ოციან წლებში იქცა ავტომობილი, რადიო, ელექტრობა და სხვა სახის საყოფაცხოვრებო კომფორტი ყველასათვის თუ არა, მოსახლეობის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ცხოვრების ნორმად;

სწორედ ოციან წლებში მოიპოვა მსოფლიო აღიარება ამერიკულმა ლიტერატურამ;

სწორედ ოციან წლებში გაბრწყინდა განსაკუთრებული ძალით და მსოფლიოს მოედო ამერიკული ჯაზი;

სწორედ ოციან წლებში დაიწყო ამერიკამ ცათამბჯენების ქვეყნად გადაქცევა;

სწორედ ოციან წლებში დაიწყო ამერიკელმა ქალებმა არჩევნებში მონაწილეობა;

სწორედ ოციან წლებში ჩაეყარა საფუძველი სამოციან წლებში ამოფრქვეულ სექსუალურ რევოლუციას;

სწორედ ოციან წლებში ბობოქრობდა არალეგალურ სალუნებსა და ჩიკაგოს განგსტერებით სავსე ქუჩებში „მსოფლიოს უკეთესობილესი და უდიდესი სოციალური ექსპერიმენტი“ მშრალი კანონის სახით;

სწორედ ოციან წლებში ირწმუნა ამერიკამ თავისი განსაკუთრებულობა, სიდიადე, გამორჩეულობა მსოფლიოს ქვეყნებს შორის და სწორედ ამავე ოციანი წლების მიწურულს, უდიდესი ეკონომიკური კრიზისის სახით, დაისაჯა კიდევ ასეთი ამპარტავნობისათვის.

ერთი სიტყვით, 1920-იანი წლების ისტორიის თუნდაც ზედაპირული ცოდნის გარეშე წარმოუდგენლია თანამედროვე ამერიკის სიდიადისა თუ ხარვეზების გაგება, მათი სრულფასოვანი ანალიზი. ამ ეპოქის გარეშე ასევე ძალზე ძნელია იმ განსხვავებების აღქმა, რომელიც დღემდე არსებობს ამ ქვეყნის ორ წამყვან პარტიას შორის. სწორედ აღნიშნულ პერიოდში გამოიკვეთა განსაკუთრებული ძალით რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორულ ფასეულობებზე დაფუძნებული იდეოლოგია, რომელსაც 1930-იან წლებში დემოკრატიული პარტიის ლიბერალიზმი დაუპირისპირდა.

ამ ათწლეულში გამართულ სამივე საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელმა კანდიდატებმა უდიდესი უპირატესობით დაამარცხეს თავიანთი დემოკრატი კონკურენტები. თუმცა, თუ არ ჩავთვლით 1928 წელს არჩეულ ჰერბერტ ჰუვერს, არც ერთი მათგანი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა თუ დამსახურებით. ასეთ დროს კი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პარტიების მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ პლატფორმებს, მათ იდეოლოგიას.

ამერიკული კონსერვატიზმი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიასა და ამერიკათმცოდნეობაში, რაც გარკვეულწილად საბჭოთა პერიოდის მემკვიდრეობამაც განაპირობა. იმ პერიოდში გაცილებით მეტი ყურადღება დაეთმო, საბჭოთა იდეოლოგიების აზრით, უფრო პროგრესულ, ლიბერალურ ტენდენციებს, რაც მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მოკავშირე ფრანკლინ რუზველტისადმი არსებული სიმპათიებითაც

იყო განპირობებული. აღარაფერს ვამბობთ ამერიკაში კომუნიზმი-
სა და სოციალიზმის როლის სრულიად უსაფუძვლო განდიდებაზე.
შესაბამისად, ამერიკული პოლიტიკური სპექტრის განხილვისას,
კონსერვატიზმისათვის დარჩენილი მცირე ადგილი ძირითადად
მის უკიდურეს კრიტიკას ეთმობოდა. სწორედ კონსერვატიზმი იხ-
ატებოდა როგორც ამერიკელი მშრომელების, ასევე მთელი პრო-
გრესული კაცობრიობის უბოროტეს მტრად.

დღეს, როდესაც აღარ ვართ შებოჭილი იდეოლოგიის მარნუხე-
ბით, შეგვიძლია ობიექტურად დავინყოთ ამერიკული კონსერვა-
ტიზმის შესწავლა, რომლის გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი
საუბარი ამერიკის ისტორიასა და მის დღევანდელობაზე.

როგორც ცნობილია, კონსერვატიზმი ნიშნავს ერთგულებას
არსებული ტრადიციებისადმი ანუ ეს პოლიტიკური ფილოსოფია
ცდილობს შეინარჩუნოს არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური
და სოციალური წესრიგი. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნ-
ელობა აქვს, თუ რა ქვეყანაში და რა ისტორიულ კონტექსტში ვიყ-
ვნებთ ამ ტერმინს. მაგალითად, თუ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე
ვისაუბრებთ, კონსერვატორებად კომპარტიის და საბჭოთა კავ-
შირის აღდგენის მომხრეები მოგვევლინებიან. მაგრამ სულ სხვა
სურათი იხატება, როდესაც თანამედროვე ამერიკულ კონსერ-
ვატიზმზე ვსაუბრობთ. აბა, ვინ დააბრალებდა იმავე რონალდ
რეიგანს კომუნიზმისადმი ტრფიალს. ამდენად, ამერიკაში კონსერ-
ვატორებად მივიჩნევთ იქ არსებული პოლიტიკური ტრადიციის
შენარჩუნების მომხრეებს, რომელნიც ძირითადად სახელმწიფოს
სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების უკიდურესად შემცირებას
ემხრობიან. ვინაიდან კონსერვატიზმი ნამყვანი იდეოლოგია იყო
ოციან წლებში და მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ამერიკული
საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, სწორედ
მასზე გავამახვილებთ განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენს კვლ-
ევაში.

წყაროები და ისტორიოგრაფია

შეერთებულ შტატებში საკმაოდ ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებებისა და, აგრეთვე, დიპლომატიურ სამსახურში ყოფნის დროს 1920-იანი წლების ისტორიის შესასწავლად მრავალი პირველწყარო მოვიძიე, რამაც საშუალება მომცა ჩემი დამოუკიდებელი ანალიზის მცდელობა განმეხორციელებინა და შემედარებინა იგი ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომებთან.

გამოყენებულ პირველწყაროთა შორის, ალბათ, უმნიშვნელოვანესია ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკასა და საპრეზიდენტო ბიბლიოთეკებში დაცული, პრეზიდენტების — ჰარდინგის, კულიჯის და ჰუვერის საპრეზიდენტო დოკუმენტები.¹ ამ მასალებში ასახულია მაშინდელი პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, ქვეყნის მმართველი წრეების მოქმედება და მსოფლმხედველობა. ამავე დროს, საპრეზიდენტო დოკუმენტებში მრავლად არის მოქალაქეთა მიერ გაგზავნილი მიმართვები თუ მოთხოვნები პრეზიდენტებისადმი, თუმცა შედარებით ნაკლებად არის ასახული კრიტიკული ხედვა.

ამ კუთხით, ასევე მეტად საინტერესო დოკუმენტებია იმ წლებში მიმდინარე საარჩევნო კამპანიებში პრეზიდენტობის კანდიდატთა გამოსვლები და პოლიტიკურ პარტიათა პლატფორმები, სადაც ასახულია მათი მიზნები, გეგმები, მათი იდეოლოგია.²

ბუნებრივია, მნიშვნელოვანი პირველწყაროა პრეზიდენტთა საინაუგურაციო გამოსვლები და ყოველწლიური მიმართვები კონგრესისადმი. საინაუგურაციო გამოსვლებში პრეზიდენტების პოლიტიკური ხედვა და იდეოლოგია ასახული მმართველობის ზოგად მიზნებსა და გეგმებთან ერთად. ეს გამოსვლები ძირითადად უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, ყოველწლიური საპრეზიდენტო მიმართვები კი ადმინისტრაციის ანგარიშშია წინა წელს ჩატარებული სამუშაოს შესახებ, მოცემულია ქვეყანაში არსებული ვითარების ანალიზი და მომავალი წლისათვის ადმინისტრაციის მოქმედების მეტ-ნაკლებად კონკრეტული გეგმა.³

მიუხედავად ამ მასალის უდიდესი მნიშვნელობისა, მათ ერთი სერიოზული ნაკლი გააჩნია, კერძოდ კი, ისინი მეტად ცალმხრივად, პრეზიდენტის და მისი პარტიის პოზიციიდან ასახავენ ვითარებას და, შესაბამისად, ასევე საკმაოდ ცალმხრივად აფასებენ ამა თუ იმ

მოვლენას. ამიტომაც ეს დოკუმენტები განსაკუთრებულ კრიტიკულ ანალიზს მოითხოვს.

ზემოთ აღნიშნული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე წარმოდგენილია პრეზიდენტების მოლვანეობის ისტორიასთან დაკავშირებულ მრავალ ვებგვერდზე.

აშშ-ის ეროვნული სტატისტიკური მონაცემების ამსახველ კრებულებთან ერთად მეტად საინტერესო პირველწყაროა პრეზიდენტებთან არსებული ან მათ მიერ შექმნილი კომისიების მონაცემები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ.⁴

უდიდესი მნიშვნელობისაა ამერიკის კონგრესის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები წარმოდგენილი თავად კონგრესის პლენარული სესიების მუშაობის ოქმებისა და ამა თუ იმ საკითხზე სპეციალური კომისიების მოსმენების სახით.⁵ ამ წყაროების განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს იქ მოცემული ოპოზიციური, დემოკრატიული პარტიის მოლვანეთა თვალსაზრისი და ინიციატივები, რომელიც რადიკალურად განსხვავდება რესპუბლიკელთა მოსაზრებებისაგან.

ვინაიდან აღნიშნული თემისთვის მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესისა და ბიზნესის გაერთიანებათა პოზიცია, გამოვიყენეთ სავაჭრო პალატისა და მენარმეთა ეროვნული ასოციაციების შეხვედრების, კონვენტებისა და მათ მიერ გამოცემული გამოკვლევების მასალები.⁶

აღნიშნული პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გარკვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კაპიტალის, არამედ შრომის ანუ მშრომელთა გაერთიანებების პოზიციასაც. ჩვენს კვლევაში ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ ამერიკის იმ და, ალბათ, ყველა დროის ყველაზე გავლენიან პროფკავშირზე — ამერიკის შრომის ფედერაციაზე. სხვასთან ერთად, ამ პროფკავშირის დახასიათებისას კარგად ჩანს ამერიკელ მშრომელთა თავისებური და ხშირად მათი ევროპელი კოლეგებისაგან მეტად განსხვავებული პოზიცია. აღარაფერს ვამბობთ იმ ფალსიფიცირებულ ინფორმაციაზე, რომელსაც მის შესახებ საბჭოთა პროპაგანდა ავრცელებდა და რომლის გავლენა დღესაც შეინიშნება. ამისთვის გამოვიყენეთ ამერიკის შრომის ფედერაციის ყოველწლიური კონვენტების მასალა და პუბლიკაციები.⁷ ამერიკის შრომის ფედერაციის მოთხოვნები და ამონაწერები მათი ყრი-

ლობებიდან მოვიძიეთ ამერიკის პრეზიდენტთა დოკუმენტების კოლექციებშიც.⁸

მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტია თავმოყრილი ქრესტომათიული ხასიათის ისტორიული დოკუმენტების და აგრეთვე 1920-30-იან წლებში პრესაში გამოქვეყნებული სტატიების კრებულებში. თუმცა, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ამ კრებულების შემქმნელთა პოზიციას, რომელიც შერჩეულ დოკუმენტებზეც აისახა და არ გვაძლევს მარტო მათ იმედად ყოფნის საფუძველს.⁹

ბუნებრივია, მნიშვნელოვან, მაგრამ კიდევ უფრო სუბიექტურ წყაროს წარმოადგენს ეპოქის მოღვაწეთა მემუარები და ავტობიოგრაფიები.¹⁰ ტრადიციულად, ისინი საკუთარი მოღვაწეობის აპოლოგიით არიან დაკავებულნი და მათ მიერ მოცემული ინფორმაცია განსაკუთრებით ფრთხილ მიდგომას მოითხოვს როგორც თვით ფაქტების შერჩევის, ასევე ამ ფაქტების გაშუქების მხრივაც. მაგრამ, თუ ავტორის, ანუ ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის, ბიოგრაფია და მისი თვისებები კარგად გვეცოდინება, ამ მემუარებიდანაც შეიძლება უხვი მასალა მოვიძიოთ.

აქტიურად არის გამოყენებული იმ პერიოდის პრესაც იქნება ეს შედარებით ლიბერალური და დემოკრატიულ პარტიასთან უფრო დაახლოვებული New-York Times-ი, თუ აშკარად კონსერვატული და პრორესპუბლიკური Chicago Daily Tribune. აღარაფერს ვამბობთ რესპუბლიკური პარტიის პერიოდულ გამოცემაზე The Republican. ყურნალებიდან გამოვყოფდით აშკარად ლიბერალურ ჟურნალებს Nation, New Republic, შედარებით ზომიერ და უფრო ზოგადი ხასიათის Atlantic Monthly და Harper's Magazine. დიდი სამსახური გაგვინია ყურნალმა Literary Digest-მა, ვინაიდან იქ თავმოყრილია ამონაწერები მრავალი ამერიკული გაზეთსა თუ ჟურნალიდან, რაც საშუალებას გვაძლევდა პროვინციული გაზეთების თვალსაზრისი გაგვეგო, რომლის მოძიება სხვა მხრივ ძალზე გაჭირდებოდა. არადა, მათი პოზიცია ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავდება ცენტრალური გაზეთებისაგან და ე.წ. ერთსართულიანი ამერიკის თვალსაზრისს გამოხატავს.

ამერიკის შრომის ფერედერაციის ორგანო American Federationist,

ბიზნესის ინტერესები გამოხატულია ჟურნალ Nation's Business-ში.

სწორედ ამერიკულ პრესაში აისახა განსაკუთრებული ძალით ამერიკული დემოკრატიის კეთილმყოფელი ძალა, რომელიც ხშირად კორპორატიულ და პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ინტერესებს არ ექვემდებარება. თუმცა, რასაკვირველია, არაფერია იდეალური და კრიტიკული მიდგომა არც ამ პირველწყაროს ვნებს.

საკმაოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს თვით ამ წლებში მოღვაწე ადამიანთა მიერ შექმნილი სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის ლიტერატურა არსებულ ვითარებაზე. მათი ანალიზი მნიშვნელოვნად გვეხმარება ეპოქის განწყობილებისა და სულისკვეთების გაგებაში. ამ კატეგორიის ნაშრომთა შორის, ალბათ, თითქმის უკვდავ და უკვე კლასიკურ ნაწარმოებად იქცა 1931 წელს გამოცემული ფრედერიკ ალენის 1920-იანი წლების არაფორმალური ისტორია.¹¹

რაც უნდა დიდი რაოდენობის პირველწყარო გაგვაჩინდეს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამერიკელ მეცნიერთა ნაშრომებს. აღნიშნულ პერიოდს უმდიდრესი ისტორიოგრაფია გააჩნია და მას უამრავი, ბუნებრივია, სხვადასხვა დონისა და ხარისხის ნაშრომი მიეძღვნა. რაც, ერთი მხრივ, უადვილებს მუშაობას მკვლევარს, მეორე მხრივ კი, რთული დილემის წინაშე აყენებს მას. იდეალური ისტორიული ნაშრომი სრულ ობიექტურობასა და ჭეშმარიტებას გულისხმობს, მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ასეთთა რიცხვი, თუ ასეთები საერთოდ არსებობს, ძალზე მცირეა. ეს არის ისტორიული მეცნიერების აქილევსის ქუსლიც და მისი ძალაც. ისტორიკოსის კვლევა, ხშირ შემთხვევაში, მის მსოფლმხედველობაზე, პოლიტიკურ ორიენტაციასა და მის პირად ნიჭსა და შემოქმედებით უნარზე დამოკიდებული (აღნიშნული პერიოდის შესწავლისას ისტორიული მასალის ნაკლებობაზე საუბარი ზედმეტია). ბუნებრივია, ყველა ეს პრობლემა წინამდებარე ნაშრომსაც ეხება.

ჩვენს შემთხვევაში, იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ამერიკა უცხო ქვეყანა და შეიძლება ბევრი ისეთი რამ ვერ გავითვალისწინეთ, რაც ამერიკელი მკვლევარისათვის უბრალოდ მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. თუმცა უცხოელ მკვლევარს შეიძლება საკ-

მაოდ ყურადღასღები უპირატესობა ჰქონდეს ამ ასპექტში, რადგან იგი ნაკლებად „პატრიოტულია“ და „გარეშე თვალი“ შეიძლება უფრო ობიექტური აღმოჩნდეს სხვა ქვეყნის მოვლენების გამ-
უქებისას.

მაგრამ ამჯერად გვინდა ძირითადად ამერიკელი მკვლევარების მოსაზრებებით შემოვიფარგლოთ, რომლებიც არსებული ეპოქის შეფასებისას პირობითად შეიძლება დაიყოს კონსერვატულ და ლიბერალურ მიმართულებებად.

რეფორმისტული სულისკვეთებით აღსავსე ლიბერალები, მიუხედავად 1920-იან წლებში არსებული აშკარა ეკონომიკური წინსვლისა, ტრადიციულად, კრიტიკულად აფასებენ სახელმწიფოს პოლიტიკას ამ ათწლეულში, მით უმეტეს, რომ 1929 წელს დაწყებული კრიზისი მეტად კარგი არგუმენტია ამ კამათში. მათში საკმაოდ ძლიერად იგრძნობა პროგრესივიზმის სულისკვეთებით აღსავსე ანტიბიზნესური განწყობილებები. თუმცა მათ შორისაც არის განსხვავება ზომიერებიდან დაწყებული, აშკარად მემარცხენე კრიტიკით დასრულებული. მათ მიაჩნდათ, რომ კონსერვატიზმი ვერ ასრულებდა დროის სოციალურ დაკვეთას. კამათი განსაკუთრებული ძალით წარიმართა ჰუვერის საქმიანობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სწორედ მისი მმართველობის პერიოდში დაწყებული კრიზისის დროს გამოიკვეთა განსაკუთრებული ძალით კონსერვატული პოლიტიკის სუსტი მხარეები.¹²

კონსერვატორები შედარებით უფრო ლოიალურად და ხშირად აპოლოგეტურად აფასენ ამ ათწლეულს, ზოგიერთი მას ოქროს ოცინანებსაც უწოდებდა. ამ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მთავრობის პასიური როლი ქვეყნის ცხოვრებაში უკეთ შეესაბამებოდა მაშინ არსებულ ვითარებას და საბაზრო ეკონომიკის სრული თავისუფლება თავად უკეთ არეგულირებდა ეკონომიკურ კრიზისებს, ვიდრე მთავრობის ჩარევა და მისი მარეგულირებელი მექანიზმების აქტიური ამოქმედება. კონსერვატორებს მიაჩნდათ, რომ ახალი კურსის მასშტაბური ეტატიზმი მეტად ძვირი საფასური იყო ვითარების გამოსწორებისათვის, მით უმეტეს, რომ კრიზისამდელ დონეს ამერიკულმა ეკონომიკამ მხოლოდ 1940 წლისათვის ანუ მეორე მსოფლიო ომისათვის მიაღწია, როდესაც ამერიკული ეკონომიკა სრული დატვირთვით ამუშავდა, მაგრამ არა „ახალი კურსის“, არამედ სამხედრო დაკვეთების წყალობით.¹³

მეტად საინტერესო გამოკვლევები მიეძღვნა უშუალოდ ამ ათ-ნლეულის პრეზიდენტებს, რომელთა ქმედებებშიც კონცენტრირებულად გამოიხატა იმ პერიოდის სახელმწიფო პოლიტიკა, შესაბამისად, შეფასებებიც საკმაოდ მკვეთრია.

დავინწყოთ უორენ ჰარდინგით. საერთოდ ჰარდინგის რეიტინგი ამერიკის პრეზიდენტებს შორის უმდაბლესია და მხოლოდ რამდენიმე ისტორიკოსი ცდილობს, რამდენადმე დადებითი შეფასება მისცეს მის საქმიანობას. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოიკვეთა, როდესაც 1964 წელს მკვლევართათვის გაიხსნა ჰარდინგის საარქივო მასალები.

ჰარდინგის აპოლოგეტთა შორის გამოირჩევა თომას ბეილის შედარებით ზოგადი ხასიათის ნიგნი, რომელიც საერთოდ ამერიკელ პრეზიდენტებს ეხება. ავტორი აღიარებს ჰარდინგის ბევრ ნაკლს, მაგრამ აღნიშნავს და ვგონებ საკმაოდ უსაფუძვლოდ, რომ იგი არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ასახავდა და მას გარკვეული წარმატებებიც ჰქონდაო.¹⁴ გაცილებით უფრო სერიოზული აპოლოგეტია რობერტ მურეი, რომელიც მეტად დეტალურად ასახავს მოვლენებს, ცდილობს აჩვენოს ჰარდინგის აქტიურობა ქვეყნის მართვის საქმეში. იგი აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ, რაც ჰარდინგმა 1923 წლის გაზაფხულზე თავისი მეგობრების კორუმპირებულობის ამბები გაიგო, მან სერიოზულად გადახედა საკუთარ საქმიანობას და მის მმართველობაში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ცვლილებები უკეთესობისაკენ.¹⁵ მაგრამ ვაი, რომ უკვე საკმაოდ დაგვიანებული იყო და მისი ადმინისტრაციის შელახული რეპუტაციის გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჰარდინგის, შეიძლება ითქვას, ოფიციალური ბიოგრაფიის ავტორები იუჯინ ტრეინი და დევიდ ვილსონი ცდილობენ ობიექტური სურათის დახატვას და შესაბამისად, ჰარდინგის ხარვეზებსაც ვერ უვლიან გვერდს, მაგრამ არც კეთილგანწყობის ელემენტებს ივიწყებენ და მიაჩნიათ, რომ, როგორც გარდამავალი ეტაპის პრეზიდენტი, იგი განწირული იყო სერიოზული შეცდომებისათვის. მის შეცდომებს უფრო გარემოსა და დროს აბრალებენ, ვიდრე მის პირად თვისებებს. ჩვენი მხრივ, იმასაც დაუვმატებდით, რომ ჰარდინგი არჩევნების დროს დაპირებული კონსერვატიული კურსის შესრულებას მართლაც ეცადა და ამ მხრივ პირნათელი იყო ამომრჩეველთა მიმართ, თუმცა პრობლემები კონკრეტული საკითხების

კონკრეტულ დეტალებს ეხებოდა. აქ კი მის მმართველობას მეტად სერიოზული ხარვეზები გააჩნდა.¹⁶

დანარჩენი მკვლევარების უმრავლესობა ამ სიკეთესაც ვერ ამჩნევდა მასში და მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტის თანამდებობაზე, როდესაც ვაშინგტონი მსოფლიო მასშტაბის დედაქალაქად იქცა, იგი დარჩა პროვინციულ პოლიტიკოსად და ამკარად არ შეესაბამებოდა ამ თანამდებობას. ბუნებრივია, ჰარდინგს არც მის მიერ დანიშნული კაბინეტის ზოგიერთი წევრის კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალები აპატიეს და მკაცრად აკრიტიკებდნენ ფავორიტიზმს მისი მეგობრების მიმართ. არც მისი პირადი ცხოვრების სასიყვარულო ისტორიები ავინწყდებოდათ, რაც, მათი აზრით, პრეზიდენტს არ ეპატიებოდა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ენდრიუ სინკლერისა და ფრენსის რასელის ნაშრომებში.¹⁷ მრავალი წიგნი, რომელიც უშუალოდ ჰარდინგის სიკედილის შემდეგ გამოვიდა, ასევე მეტად კრიტიკული იყო, რადგან სწორედ ამ წლებში გამოიკვეთა მისი ადმინისტრაციის სკანდალების უდიდესი მასშტაბები. განსაკუთრებით გამოირჩევა სამუელ ადამსის წიგნი, რომელიც ჰარდინგს მეორეხარისხოვან ბურჟუას ადარებს, რომელსაც არაფერი ესაქმებოდა პრეზიდენტის თანამდებობასთან.¹⁸ არც ჰარდინგისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი უკანასკნელი, ჯონ დინის წიგნი გამოირჩევა მის მიმართ განსაკუთრებული ლოიალობით.¹⁹ ბუნებრივია, სხვა ნაშრომებიც არსებობს და მოგვყავს კიდევ მათი ჩამონათვალი.²⁰

კალვინ კულიჯის ისტორიოგრაფია კიდევ უფრო მდიდარია, კულიჯისადმი მიძღვნილი ნაშრომთა სიაც უფრო ვრცელია. იგი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო პრეზიდენტად და, ჰარდინგისაგან განსხვავებით, თუ წარჩინებულ პრეზიდენტთა სიაში არ არის, არც განსაკუთრებით წარუმატებელთა რიცხვს მიეკუთვნება. მრავალი მკვლევარის აზრით, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიოგრაფიული ნაშრომი, რომელიც 1939 წელს გამოიცა და დღესაც აქტუალურია, უილიამ ალენ უაიტს ეკუთვნის.²¹ კიდევ უფრო დამაჯერებელ კვლევად ითვლება კლოდ ფესის და დონალდ მაკკოის წიგნები. ამ მონოგრაფიებში მასალებიც მეტია და ისინი უფრო სანდო ინფორმაციასაც შეიცავს. ამავე დროს, მაკკოისაგან განსხვავებით, ფესი შედარებით უკეთ აფასებს კული-

ჯის საქმიანობას და მიაჩნია, რომ მის საუკეთესო თვისებებს საღი გონება და მტკიცე ხასიათი წარმოადგენდა.²²

შეიძლება ითქვას, ასევე საუკეთესოთა რიცხვს მიეკუთვნება შედარებით გვიანი, რობერტ ფერელის მიერ დაწერილი კულიჯის ბიოგრაფია, რომელიც მაქსიმალურად ობიექტურ სურათს ხატავს და რეალურად გადმოსცემს კულიჯის მმართველობის იდეოლოგიას, მის ურთიერთობას დიდ ბიზნესსა და პროფკავშირებთან. ნაჩვენებია, რომ კულიჯი სულაც არ იყო უბრალო პოლიტიკოსი და, მიუხედავად პირდაპირი კაცის იმიჯისა, არც ეშმაკობა და პოლიტიკური მოქნილობა აკლდა. ეს მეტად სასარგებლო კვლევაა კულიჯის საქმიანობის შემსწავლელთათვის.²³

ამავე დროს, ოციან წლებზე დაწერილი ზემოთ აღნიშნული ლექტენბერგის, შლესინჯერ უმცროსის, ჯონ ჰიკსის, ალბერტ რომასკოს ნაშრომები ამკარად კრიტიკულად აფასებენ კულიჯის საქმიანობას და თუმცა პარდინგისაგან განსხვავებით, მას სკანდალები არ შეხებია და უმნიველო რეპუტაციის კაცი იყო, აკრიტიკებენ მის პასიურობას ქვეყნის მართვის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. უფრო აპოლოგეტურია თომას სილვერის გამოკვლევა.²⁴

ვინაიდან კულიჯის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სახელმწიფო ხარჯების ეკონომია და გადასახადების შემცირება წარმოადგენდა, ალბათ, საინტერესო იქნება ისეთი ავტორების ნაშრომებიც როგორც ჯ. სოული და ლ. კალამბასია.²⁵ თუმცა კულიჯის ისტორიოგრაფია მარტო ზემოთ დასახელებული სახელებით არ შემოიფარგლება და მის საქმიანობას მრავალი სხვა ნაშრომიც მიეძღვნა.²⁶

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებული კამათი ისტორიკოსებს შორის ჰუვერის მოღვაწეობასთან დაკავშირებით წარიმართა. იგი უდავოდ ოციანი წლების ყველაზე გამორჩეული პრეზიდენტი და, ამავე დროს, სწორედ მისი უიღბლო პრეზიდენტობისას მოხდა ინდივიდუალიზმისა და ლიბერალური რეფორმიზმის განსაკუთრებით მკვეთრი დაპირისპირება.

ლიბერალური მიმართულების ერთ-ერთი გავლენიანი ისტორიკოსი რიჩარდ ჰოფსტადერი აღნიშნავდა, რომ ჰუვერი უკანასკნელი პრეზიდენტი იყო, რომელიც Laissez-faire-ის პოლიტიკის ლიბერალურ ვარიანტს ქადაგებდა.²⁷ ისეთი ისტორიკოსები როგორც

შიფტგისერი, პიკსი, რომასკო, შლესინჯერი უმცროსი, თუმცა კი ალიარებენ ჰუვერის ძალისხმევას დაეძლია კრიზისი, მაგრამ კრიტიკულად აფასებენ მის დოგმატიზმს და აღნიშნავენ, რომ სრული კატასტროფის საშიშროების წინაშეც კი მან არ ან ვერ გამოიყენა სრულად ფედერალური ხელისუფლების დიდი შესაძლებლობები.²⁸ ამავ დროს, ისინი საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ კულიჯისა და ჰარდინგის საქმიანობას. 1970-იანი წლების ლიბერალური მიმართულების ცნობილი მკვლევარი ე. როზენი იმ წლებში გაძლიერებული დისკუსიების ფონზე აღრმავებს განსხვავებულობას ჰუვერის საქმიანობასა და „ახალ კურსს“ შორის.

სამოციან წლებში გამოჩენილ ე. ნ. ახალ მემარცხენებს, რომელნიც წვრილბურჟუაზიული პოზიციიდან აკრიტიკებენ მსხვილი კაპიტალის როლს ქვეყნის ცხოვრებაში, მინიმუმამდე დაჰყავთ განსხვავება 1920-იანი წლების კონსერვატიზმსა და „ახალ კურსს“ შორის და ორივე არასაკმარისად მიაჩნიათ ქვეყნის პრობლემების გადასაწყვეტად. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან პ. ზინი, ბ. ბერნსტაინი, რ. რადოში, პ. კონკინი.²⁹ აღნიშნავდა რა, რომ „ახალმა კურსმა“ მარცხი განიცადა ბერნსტაინი თვლიდა, რომ იგი ოციანი წლების კონსერვატულ გეზს აგრძელებდა.³⁰ დაახლოებით იგივეს ამბობს რადოში და ორივე პერიოდის პოლიტიკა კორპორატიული კაპიტალიზმის ერთ შემადგენელად მიაჩნია.³¹ მ. როტბარდი აღნიშნავს, რომ თავად ჰუვერი იყო აქტიური ფედერალური პოლიტიკის მომხრე და მას გამოჩენილ კორპორატიულ ლიბერალს უწოდებს. უსამართლობად მიაჩნია, რომ ასეთ კაცს Laissez faire-ის დამცველად მიიჩნევენ, როდესაც სწორედ მან შექმნა „ახალი კურსის“ საფუძვლები.³²

ჰუვერის ის აპოლოგეტები, რომელნიც ვერ უარყოფდნენ „ახალი კურსის“ მნიშვნელობას, თავს იმით იწყნარებდნენ, რომ გარკვეულწილად თავად ჰუვერმა დაიწყო „ახალი კურსის“ მსგავსი რეფორმები. შესაბამისად, უარყოფდნენ იმ აზრს, რომ ჰუვერისა და „ახალი კურსის“ პოლიტიკა სრულიად იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან. შემდგომში ეს აზრი ისტორიკოსთა უმრავლესობამ აღიარა და ჩვენც ვეთანხმებით მას. კონსერვატორი მკვლევარები ჯ. ფლინი და პ. უორენი სავსებით საკმარისად მიიჩნევდნენ ჰუვერის საქმიანობას 1932 წელს და ბრალს ძირითადად, ისევე როგორც ჰუვერის მრავალი აპოლოგეტი, კონგრესში

დემოკრატიულ უმრავლესობას აკისრებენ,³³ ხოლო მაგალითად, გ. ვოლფი რესპუბლიკელთა მარცხს არჩევნებში ჰუვერის ცუდი ორატორობით ხსნის.³⁴ უფრო საინტერესო პოზიცია აქვს ჰ. უორენს, რომელიც მიიჩნევს, რომ ჰუვერი მეტისმეტად პროგრესული იყო ულტრაკონსერვატორებისათვის და მეტისმეტად კონსერვატორი რადიკალური ლიბერალებისათვის. მისი აზრით, ამერიკას ბედმა გაუღიმა, რომ სწორედ ჰუვერის მსგავსი ზომიერი მოღვაწე იყო პრეზიდენტი ამ კრიტიკულ ვითარებაში. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსები ე. რობინსონი და ვ. ბორმენტი 1970-იან წლებში აქტიურად ილაშქრებენ ტრადიციული ამერიკანიზმის დასაცავად, ჰუვერს ძლიერ და მიზანმიმართულ პრეზიდენტად თვლიდნენ და აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტს მშრალი კანონისა და უმუშევრობის საკითხში რომ დაეთმო, არჩევნებს მოიგებდაო.³⁵ თუმცა მაშინ სწორედ უმუშევრობა იყო მთავარი პრობლემა და ამერიკელთა პრეტენზიები ჰუვერის მიმართ სწორედ ამ საკითხში გამოიკვეთა. ჯონ ვილსონი, რომელიც ჰუვერს დავინყებულ პროგრესისტსაც კი უწოდებს, ამკარად მისტირის კორპორატიული ინდივიდუალიზმის კრახს. ჰუვერის მოღვაწეობის შეფასების გადასინჯვას ცდილობს აგრეთვე დევიდ ბერნერიც.³⁶

აღნიშნული ნაშრომის მომზადებისას ფასდაუდებელი დახმარება გამიწია ჩემი ამერიკელი კოლეგების რჩევებმა და კონსულტაციებმა. ცნობილი ისტორიკოსები ჯონ კუპერი, ჯორჯ ფრედრიქსონი, რობერტ კელი, ჯონ ლიტვაკი, დევიდ კენედი, რიჩარდ აბრამსი და სხვები უანგაროდ მეხმარებდნენ და მათი ნყალობით ბევრი ისეთი რამ გავიგე, რასაც, ალბათ, ვერც ერთ მონოგრაფიაში ვერ მოვიძიებდი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ასპირანტურაში სწავლების დროს ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის ნიკოლაი სივაჩოვის სახელი, რომელმაც მაზიარა ამერიკის ისტორიის საფუძვლებს და უდიდესი დახმარება გამიწია ამ ეპოქის შესწავლაში.

უდიდესი მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის პროფესორთა დახმარება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ჩემი მასწავლებლების, გივი კილურაძის, კოტე ანთაძისა და გივი ბოლოთაშვილის სახელები.

ჩემი მხრივ, სანამ წინამდებარე ნაშრომი მომზადდებოდა, 1920-იანი წლების თემას ერთი მონოგრაფია და რამდენიმე სტატია მიუძღვენია.³⁷

სხვა ქართველი მკვლევარების ძირითადი ყურადღება დაეთმო 1920-იანი წლების არა პოლიტიკის, არამედ კულტურის საკითხებს. ეს საკმაოდ კარგად აისახა „ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის“ მიერ გამოცემულ ამერიკის შესწავლის საკითხები-სადმი მიძღვნილ კრებულებში.³⁸

1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და
„ნორმალურობისაკენ“,
ანუ კლასიკური კონსერვატიზმისაკენ, დაბრუნება

I

ყველაზე განათლებულმა პრეზიდენტმა დალაღა
ამერიკა

1920 წლისათვის ამერიკის ტერიტორია მოიცავდა 3,022,200 კვადრატულ მილს, რომელზეც თითქმის 106 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. თუ XIX საუკუნე ძირითადად ამერიკის ტერიტორიულ ზრდას დაეთმო, XX საუკუნე უკვე მოსახლეობის ზრდით გამოირჩეოდა. 1900 წელთან შედარებით 1920 წელს მოსახლეობის რაოდენობა 40 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდში თითქმის ასეთივე ტემპით იმატა მზარდმა ეროვნულმა პროდუქტმა — 37 მილიარდი დოლარიდან 73 მილიარდამდე. თითქმის ამავე დროში შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯები 1 100 000 000-დან 5 600 000 000 დოლარამდე გაიზარდა, ფედერალური ხარჯები კი გაათქვამდა 500 მილიონიდან ხუთ მილიარდამდე.¹

ქვეყნის დოვლათის ზრდას სერიოზული ცვლილებები მოჰყვა ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორც განათლების სისტემა. თუ 1910 წელს 156 000 ახალგაზრდამ დაამთავრა სკოლა, 1920 წელს უკვე — 311 000-მა. თუ 1910 წელს 40 ათასმა სტუდენტმა დაასრულა სწავლა კოლეჯებში, 1920 წელს უკვე — 54 ათასმა. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა მოსახლეობის ზრდის პროცენტს ამავე პერიოდში, ანუ განათლებულ ახალგაზრდათა რიცხვმა კეთილდღეობის გაუმჯობესების ხარჯზე იმატა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა შრომის წილიც, რაზეც დიდი გავლენა იქონია ომმა და ახალმა ტექნოლოგიებმა. 1900 წელს 4 999 000 ქალი მუშაობდა, 1920 წელს უკვე — 8 229 000, ამრიგად, მათი რაოდენობა გაორმაგდა.² საშუალო სამუშაო კვირის ხანგრძლივობა შემცირდა 51 საათიდან 46, 3 საათამდე კვირაში. მნიშვნელოვნად იმატა პროფკავშირების წევრთა რაოდენობამ, იგი 150 პროცენტით გაიზარდა და 5 მილიონს მიაღწია. ახალი ტექნოლოგიების ხარჯზე, შრომის ნაყოფიერებამაც იმატა როგორც მრეწვე-

ელობაში, ასევე სოფლის მეურნეობაში. მრეწველობის აღმავლობა განსაკუთრებულად აისახა ავტომობილების რაოდენობის ზრდაში, თუ 1910 წელს ამერიკაში 468 ათასი ავტომობილი იყო, 1920 წელს — უკვე 9 მილიონზე მეტი. როგორც უზრუნველყოფის „ლითერარი დაიჯესტი“ იყო აღნიშნული — „ჩვენ მსოფლიოს მოტორი ქვეყანა ვართ, ჩვენ დაახლოებით შვიდნახევარი მილიონი მანქანა გვყავს, დაახლოებით ერთი ყოველ 14 ამერიკელზე, თუმცა არის შტატები სადაც 1 მანქანა მოდის 6 კაცზე, მაგალითად, სამხრეთ დაკოტა“.³

მაგრამ, რაც მთავარია, მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკა ნამდვილ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზას დაადგა. მან უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო ომის დასრულებაში და მიუხედავად იმისა, რომ ომში მხოლოდ 1917 წელს ჩაება, გამარჯვებულთა ბანაკში არც ბრიტანულ და არც ფრანგულ იმპერიას არ უდებდა ტოლს. უდიდესი იყო ამერიკული დიპლომატიის წარმატებაც, ვინაიდან სწორედ ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მიერ ჩამოყალიბებულმა ე.წ. 14 პუნქტმა შეასრულა მეტად მნიშვნელოვანი როლი დაზავების პროცესში. ერთა ლიგის შექმნისა და ერთა თვითგამორკვევის იდეის უმაღლეს სახელმწიფო დონეზე წამოწევის ინიციატორადაც ასევე ვილსონი გვევლინება.

გაიზარდა ამერიკის სამრეწველო და ფინანსური ძლიერებაც. ომის დროს ამერიკა არა მარტო იარაღის მთავარი მწარმოებელი იყო, არამედ უდიდეს სესხებს აძლევდა ანტანტის სახელმწიფოებს ამ იარაღის შესაძენად. ამის შედეგად ევროპის მოვალე ქვეყნიდან ამერიკა ევროპის კრედიტორად იქცა. ფინანსური სამყაროს ცენტრმა ლონდონიდან ნიუ-იორკში გადაინაცვლა. სხვათა შორის, ამ დროისათვის ამერიკა კინოინდუსტრიის ცენტრადაც იქცა და მისი კინოპროდუქცია მსოფლიო ბაზრის 85 პროცენტს მოიცავდა.⁴

შესაბამისად, თუ XX საუკუნის დასაწყისში ამერიკას ევროპაში შორეულ, ნახევრად პროვინციულ ქვეყნად აღიქვამდნენ, ომის შემდეგ მისმა საერთაშორისო ავტორიტეტმა უდიდეს გავლენას მიაღწია.

ერთი სიტყვით, იკვეთებოდა ახალი ზესახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ამჟამად აღმავლობის გზას ადგა. ამ სახელმწიფოს უზარმაზარი პოტენციალი სულ უფრო მასშტაბურად ვლინდებოდა როგორც ამერიკის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ოციან წლებში კიდევ მრავალი ახალი იმპულსი

წარმოიშვა და სწორი იქნება არა მარტო მიმდინარე პროცესების გაღრმავებაზე, არამედ სრულიად ახალი პროცესების დაწყებასა და მათ ტრიუმფზე ვისაუბროთ.

როდესაც ოციანი წლების დასაწყისს ვეხებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ე.წ. „დიდი ნითელი შიშის“ ცნობილ მოვლენებს. ქვეყანა ანტისოციალისტურმა განწყობილებამ მოიცვა — ამერიკელები უფროხოდნენ ბოლშევიზმის გავრცელებას, რაც რუსეთისა და საერთოდ ევროპიდან მოსულმა ამბებმა განაპირობა. 1919 წელს იუსტიციის მინისტრის მიჩელ პალმერის სახლთან ყუმბარა ააფეთქეს. უფრო დიდი ტერორისტული აქტი მოხდა 1920 წლის სექტემბერში, როდესაც უოლ სტრიტზე აფეთქებულმა ყუმბარამ 38 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რამდენიმე ასეული დაჭრა. ხელისუფალთ და პოლიციას ყველგან ნითელი ტერორისტები ელანდებოდათ და მრავალი საგანგებო ანტიკრიმინალური კანონიც მიიღეს. მიჩელ პალმერის ინიციატივით ჩატარებული პოლიციური რეიდების დროს ათასობით საექვო ადამიანი დააკავეს, ზოგი დაატუსაღეს, ბევრი კი ქვეყნიდან გააძევეს. მაგალითად, მარტო 1921 წლის 2 იანვარს ამერიკის 33 ქალაქში 2700 კაცი დაიჭირეს. პალმერს სერიოზულად მიაჩნდა, რომ ამერიკა რევოლუციის საფრთხის წინაშე იდგა. მას ტროცკისა და ლენინის აჩრდილები აშინებდა, ისინი ჩვეულებრივ კრიმინალებად მიაჩნდა და განაცხადა, რომ „ქურდობის, მკვლელობის და ტყუილების მეშვეობით ბოლშევიზმმა რუსეთს არა მარტო მისი მატერიალური ძალა გამოაცალა, არამედ სულიერიც. აღმოსავლეთ ნიუ-იორკიდან წამოსულმა უღირსთა პატარა ჯგუფმა სცადა ამის გაკეთება და შედეგიც ცნობილია. ლეონ ბრონშტეინმა, რომელიც ეხლა თავს ტროცკის უწოდებს, შეძლო ტერორის პოლიტიკის გამოცხადება თავისი სატახტო ოთახიდან კრემლში. ნიუ-იორკის ერთ-ერთ უმდაბლეს ადამიანს მეფის ლოგინში უნდა ეძინოს მაშინ, როდესაც ასობით ათასი ადამიანი რუსეთში შიმშილობს და უსახლკაროდ არის დარჩენილი. განა ასეთი დოქტრინებით უნდა იმართებოდეს ამერიკა“.⁵

პალმერისვე სიტყვებით — „ერთი წლის წინ რევოლუცია პრერიის ცეცხლივით მოედო კანონისა და წესრიგის ყველა ამერიკულ ინსტიტუტს. ეს ცეცხლი გზას იკაფავდა ამერიკელი მშრომლის სახლისაკენ. რევოლუციური სიმხურვალის ცეცხლის ალი გზას იკვ-

ლევდა ჩვენი ეკლესიების საკურთხეველებისაკენ, ჩვენი სკოლები-საკენ. იპარებოდა ამერიკელთა სახლების წმინდა კუთხეებში, რათა ცოლქმრობის ინსტიტუტები ლიბერატარული კანონებით შეეცვა-ლა და დაეწვა ჩვენი საზოგადოების მთავარი საფუძვლები“.⁶

პალმერი მკაცრად ილაშქრებდა მცირერიცხოვანი ამერიკული კომპარტიის წინააღმდეგ. კომუნიზმის, სოციალიზმისა და უცხოელთა წინააღმდეგ მიმართული ეს განწყობილებები განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ნიკოლო საკოსა და ბართოლომეო ვანცეტის წინააღმდეგ დანყებულ სასამართლო პროცესში. მათ 1921 წელს სახელმწიფო მოხელეთა მკვლელობაში დასდეს ბრალი. თუმცა ბრალეულობის საკმარისი მტკიცებულებები ვერ მოიძიეს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო და სიკვდილი მიუსაჯა. მსაჯულთა სიმკაცრე იმანაც განაპირობა, რომ ბრალდებულნი იყვნენ იტალიელები, ათეისტები და ანარქისტები. 1927 წლამდე იყო მცდელობა განაჩენის შეცვლისა, მაგრამ უშედეგოდ და ისინი სიკვდილით დასაჯეს. მრავალი მკვლევარი თვლის, რომ საკო და ვანცეტი უფრო პოლიტიკური დევნის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ და მათ არ ჩაუდენიათ დანაშაული.

მრავალი ამერიკელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებზე, პალმერის რეაქციას გაზვიადებულად მიიჩნევდა. მათი აზრით, პალმერის შიშს მეტისმეტად დიდი თვალეები ჰქონდა და შესაბამისად, ამერიკელებიც მეტისმეტად დააშინა ბოლშევიზმის საფრთხით. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასაწყისში ბოლშევიკები არც რუსეთში წარმოადგენდნენ მასობრივ პარტიას და თუ ამას დავუმატებთ ბოლშევიკთა ყოვლად აუნერელ სიძულვილსა და სისასტიკეს საკუთარი ხალხის მიმართ, ალბათ, პალმერის განგაში, რომელიც მრავალი ამერიკელისაგან განსხვავებით, უკეთ იყო ინფორმირებული წითელი ჯალათების მილიონობით მსხვერპლის შესახებ არც თუ ისე უსაფუძვლო მოგვეჩვენება. თუმცა, რასაკვირველია, ნახევრად ფეოდალური, ომისაგან გაპარტახებული რუსეთისაგან განსხვავებით, ომში გამარჯვებულ, მდიდარ და დემოკრატიულ ამერიკაში მსგავსი ავანტიურისტების გამარჯვების შანსი მინიმალური იყო. არც ის არის დასაუნიწყებელი, რომ ხშირად ამერიკული ბიზნესის ინტერესების ლობისტები ე.წ. წითელ საფრთხეს პროფკავშირების დასათრგუნავადაც იყენებდნენ.

მაგრამ 1920 წლის მთავარი მოვლენა, ალბათ, მაინც საპრეზიდენტო არჩევნები იყო. ეს არჩევნები მნიშვნელოვან წყალგამყოფად იქცა, რომელმაც დაასრულა ე. წ. პროგრესული ერა ამერიკის ისტორიაში და კვლავ გაუხსნა გზა, ამჯერად უკვე მოდიფიცირებული სახით, მაგრამ პრინციპში, მაინც კლასიკურ ამერიკულ კონსერვატიზმს. მართალია, ამ არჩევნებში ერთმანეთს რესპუბლიკელი სენატორი ოჰაიოს შტატიდან უორენ ჰარდინგი და დემოკრატი, ასევე ოჰაიოს შტატის გუბერნატორი ჯეიმს კოქსი დაუპირისპირდნენ, ალბათ, მართებული იქნება საუბარი დავინყოთ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მოღვაწეობით, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა 1910-იანი წლების ამერიკის ისტორიაში. მისი მოღვაწეობის თუნდაც ზოგადი მიმოხილვის გარეშე გაუგებარი იქნება 1920 წლის არჩევნების მთავარი პრობლემები.

1856 წელს დაბადებული ვუდრო ვილსონი 1913 წელს, 57 წლის ასაკში გახდა ამერიკის პრეზიდენტი. თავისი ახალგაზრდობა მან ამერიკის სამხრეთში გაატარა, სადაც ინგლისურ კულტურასა და სახელმწიფო წყობის განვითარების საკითხებს შეისწავლიდა. ერთი პერიოდი ახალგაზრდა ვილსონი პოლიტიკაში ჩაერთო, მაგრამ მალე აიცრუა მასზე გული და მეცნიერებას დაუბრუნდა. მისი მეცნიერული მოღვაწეობა კი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მან დაწერა ნიგნები: „კონგრესის მმართველობა“, „სახელმწიფო: ისტორიული და პრაქტიკული პოლიტიკური მოქმედების საფუძვლები“ (1888 წ.), ჯორჯ ვაშინგტონი (1890წ.), ხუთტომეული — „ამერიკელი ხალხის ისტორია“ (1902 წ.), „კონსტიტუციური მმართველობა შეერთებულ შტატებში“ (1908 წ.).

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ კვლევების ავტორი არა მარტო ბრწყინვალე მეცნიერი და თეორეტიკოსი, არამედ დიდებული პრაქტიკოსიც შეიძლება ყოფილიყო. იგი ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების მომხრე იყო. „პრეზიდენტი ყველა ჩვენი საქმის მოთავე უნდა იყოს, მისი პოსტი კი ისეთი დიდი და გავლენიანი როგორც კაცი, რომელიც ამ თანამდებობას დაიკავებს“, წერდა იგი.

ამავე დროს იგი დიდებული ორატორიც იყო — ისიც უთქვამთ, რომ მისი გამოსვლის რიტმიც კი ისეთი იყო, რომ ამ ფონზე ვალსის ცეკვაც შეიძლებოდა. სხვათა შორის, როცა უკვე პრეზიდენტი გახდა მისმა მთავრობის წევრმა ჰკითხა, თუ როგორ ახერხებდა ასეთი კარგი და მოკლე სიტყვით გამოსვლას. ვილსონმა უპასუხა — „თუ

ათნუთიანი გამოსვლა მაქვს, ერთი კვირა ვემზადები, თხუთმეტნუთიან სიტყვას სამ დღეში ვამზადებ, ხოლო ერთსაათიანი გამოსვლისთვის ახლაც მზად ვარ“.⁷

რამდენიმე საშუალო დონის უნივერსიტეტში მოღვაწეობის შემდეგ, 1890 წელს იგი პრინსტონის უნივერსიტეტში დაფუძნდა და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტებს შორის. საიდუმლო კენჭისყრის საფუძველზე, სტუდენტებმა იგი შეიდჯერ აღიარეს პრინსტონის საუკეთესო პროფესორად. მას რამდენიმე სხვა უნივერსიტეტი ეპატიუებოდა რექტორის თანამდებობაზე, მაგრამ ვილსონი უარზე იყო. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან თავისი გამოკვლევები ამერიკის ისტორიაში. ამიტომაც არავის გაკვირვებია, რომ 1902 წელს ვილსონი, თითქმის ერთხმად, ყოველგვარი სერიოზული განხილვის გარეშე, აირჩიეს პრინსტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტად. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მრავალი საპატიო სტუმარი იმყოფებოდა; აშშ-ის ექსპრეზიდენტი გროვერ კლივლენდი, ნიუ ჯერსის შტატის გუბერნატორი ფ. მერფი, მარკ ტვენი, მსხვილი ბანკირი ჯონ პირპონტ მორგანი და სხვები. ასამდე სხვა უნივერსიტეტმა გამოაგზავნა თავისი დელეგაციები.

ვილსონი აქტიურად შეუდგა მოღვაწეობას. უნივერსიტეტში ნამყვანი ამერიკელი და უცხოელი პროფესორები მოიწვია. შემოღებულ იქნა სპეციალიზაცია უფროსკურსელთათვის, გაიზარდა მოთხოვნები გამოცდებზე, განმტკიცდა დისციპლინა, ბევრი შედარებით სუსტი სტუდენტი გაირიცხა. მაგალითად, 1902 წელს მიღებული ნაკადიდან ერთ წელიწადში ერთი მეოთხედი დაემშვიდობა უნივერსიტეტს.⁸ აშენდა ახალი სასწავლო კორპუსები და სტუდენტური საერთო საცხოვრებლები. იგი ცდილობდა სტუდენტებში არა მარტო სწავლის, არამედ დამოუკიდებელი აზროვნების დამკვიდრებას. დიდ ყურადღებას აქცევდა ადამიანურ ღირსებას, ვილსონს მიაჩნდა, რომ სტუდენტი ამავე დროს ჯენტლემენიც უნდა ყოფილიყო. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის უდიდეს წარმატებად ჩაითვალა 1905 წელს ე.წ. დამრიგებელთა სისტემის შემოღება. ამ სისტემის მიხედვით ლექტორთა და სტუდენტთა მცირე ჯგუფები ერთად მსჯელობდნენ ლექციების, შესაბამისი ლიტერატურისა და სტუდენტური ცხოვრების შესახებ. სულ მალე, ვილსონის წყა-

ლობით, ისედაც მეტად პრესტიჟული პრინსტონის უნივერსიტეტი ამერიკის წამყვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად იქცა.

ერთ კაცს, რომელიც, მიუხედავად ცუდი მაჩვენებლებისა მისაღებ გამოცდებში, ცდილობდა თავისი შვილის მოწყობას პრინსტონში, ვილსონმა უთხრა „თვით მთავარანგელოზმა გაბრიელმაც რომ მოინდომოს პრინსტონში მოხვედრა, ცუდი ნიშნებით ვერ მივიღებთ, ამ მცდელობაში იგი უბრალოდ დროს დაკარგავდა.“ ერთი სტუდენტი პრინსტონიდან გარიცხეს გადანერისათვის, დედა კი შვილის უნივერსიტეტში აღდგენას ითხოვდა, თანაც ამბობდა, რომ ოპერაცია უნდა გაეკეთებინა და თუ მის შვილს არ მიიღებდნენ უკან, ამას ვერ გადაიტანდა და შეიძლება მომკვდარიყო კიდევ. „ქალბატონო, თუ მე ასარჩევად მექნება თქვენ სიცოცხლეს, ჩემ სიცოცხლეს, ან სხვის სიცოცხლესა და უნივერსიტეტის სიკეთეს შორის, მე უნივერსიტეტის სიკეთეს ვარჩევ“, უპასუხა ვილსონმა.⁹ მით უმეტეს, რომ გადანერა ამერიკულ სკოლასა და უნივერსიტეტში უდიდეს ცოდვად ითვლება და ადამიანის არაკეთილსინდისიერების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მაჩვენებელია. იგი ლამის კრიმინალურ ქმედებასთან არის გაიგივებული. ამერიკელთა თვალსაზრისით, თუ კაცი გადანერას იკადრებს, არც სხვა უმსგავსობის წინაშე დაიხვეს უკან. გარდა წმინდა ზნეობივი ხასიათისა, ასეთი დამოკიდებულება უბრალო პრაგმატიზმით არის განპირობებული, ვინაიდან ადამიანის შესაძლებლობების მცდარი შეფასება მეტად საზიანოა მისი შემდგომი მოღვაწეობისათვის და ასევე დიდ ზიანს აყენებს საერთოდ საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას.

პრობლემები რექტორს არც კოლეგებთან ურთიერთობაში აკლდა. რიგ საკითხებზე (სტუდენტური კლუბების რეორგანიზაცია, ასპირანტთა საქმიანობის კონტროლი და სხვა) იგი სერიოზულად დაუპირისპირდა უნივერსიტეტის პროფესურას და დამარცხდა კიდევ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მისი მმართველობა მეტად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

უნივერსიტეტის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში მას სულ უფრო მეტად აინტერესებდა დიდი პოლიტიკა და მისი მომხრეები (ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ჯ. ჰარვი) მის შესაძლო პრეზიდენტობაზეც კი ფიქრობდნენ. ამ გზაზე პირველ ეტაპად ნიუ-ჯერსის გუბერნატორობა არჩიეს. ასე რომ, როდესაც 1910 წლის

ოქტომბერში ვილსონმა თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა, იგი უკვე არჩეული იყო დემოკრატიული პარტიის კანდიდატად გუბერნატორის პოსტზე. ვილსონი სიამოვნებით იხსენებდა, რომ მისი პოლიტიკური გამოსვლით კმაყოფილი ორი პიროვნება გაკვირვებას ვერ მალავდა — „ძალიან ჭკვიანი ჩანს, მაგრამ, თუ ასეთი ჭკვიანი იყო, რას გაიჭედა ამ კოლეჯში ამდენი ხნის მანძილზე“.¹⁰

გუბერნატორის თანამდებობაზე ვილსონმა პირველივე თვეებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა შტატში, მათ შორის გაამარტივა პარტიული კანდიდატების წამოყენების სისტემა, გაზარდა კონტროლი საზოგადოებრივი საკუთრების სფეროში და რკინიგზაზე, შემოიღო დაზღვევის სისტემა წარმოებაში დაკავებული მუშებისათვის და სხვა. რის შედეგადაც იგი ეროვნული მასშტაბით ცნობილ პოლიტიკოსად იქცა.

ასეთი წარმატებების, ბრწყინვალე განათლების, ორგანიზაციული და ორატორული ნიჭის ადამიანი დემოკრატიული პარტიის ლიდერების თვალთახედვის არეალში მოხვდა. ზოგს ისიც მოსწონდა, რომ ეს ბრწყინვალე პიროვნება შედარებით ნაკლებად იყო გათვითცნობიერებული პოლიტიკურ ინტრიგებში და ნაკლები გავლენა გააჩნდა დემოკრატიულ პარტიაში, შესაბამისად, უფრო ადვილი სამართავი იქნებოდა.

1912 წელს დემოკრატიებმა თავიანთ საპრეზიდენტო კანდიდატად სწორედ ვილსონი აირჩიეს და გაიმარჯვეს კიდევ. მაგრამ დემოკრატიული პარტიის იმ მესვეურებს, რომელთაც ეგონათ, რომ ვილსონი ადვილი სამართავი იქნებოდა კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. არჩევნების შემდეგ, როდესაც დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა ვილსონისაგან, ჩვეულებისამებრ, მაღალი თანამდებობები მოითხოვეს (ე.წ. პატრონაჟის ტრადიციის საფუძველზე) განბილებულნი დარჩნენ. ვილსონმა მათ განუცხადა — „მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ მე თქვენს მიმართ ვალდებულებები არ გამაჩნია.“ რასაკვირველია, მან ბოლომდე ვერ აისრულა ეს წადილი, მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა და გამბედაობა სერიოზულად განასხვავებდა მას წინამორბედებისაგან. საკადრო პოლიტიკის სირთულეს ისიც ზრდიდა, რომ 1897 წლის შემდეგ დემოკრატიები საერთოდ არ ყოფილან ხელისუფლებაში და შესაბამისად ეროვნული მასშტაბის გამოცდილი პოლიტიკოსები აკლდათ.

როგორც თავის ნაშრომებში აღნიშნავდა, ვილსონი ცდილობდა მაქსიმალურად გაეძლიერებინა პრეზიდენტის ხელისუფლება და აქტიური თანამშრომლობის მეშვეობით „მოერჯულებინა“ კონგრესი. დაარღვია რა ასნლოვანი ტრადიცია, მან წერილობით კი არ გაუგზავნა კონგრესს პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვა, არამედ თავად ესტუმრა საკანონმდებლო ორგანოს და თავადვე წაიკითხა თავისი მიმართვის ტექსტი. ამით მან კონგრესთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე მიანიშნა და შემდგომში, მართლაც აქტიურად და წარმატებულად მუშაობდა ორივე პალატის ლიდერებთან სატარიფო რეფორმასა და საშემოსავლო გადასახადების დანევის საქმეში.

ვილსონის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას ამერიკელი ხალხის წინაშე წარმოადგენს 1913 წელს ფედერალური სარეზერვი სისტემის შექმნა. აღნიშნულმა სტრუქტურამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა აშშ-ის ფინანსური სისტემა და მოანესრიგა ურთიერთობა მთავრობისა და კერძო ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. მის დროსვე შეიქმნა ფედერალური სავაჭრო კომისია და მიღებულ იქნა კლეიტონის ანტიტრესტული კანონი, რომელმაც კიდევ უფრო გაამყარა თეოდორ რუზველტის დროს დანყებული ანტიმონოპოლისტური ტენდენციები და ჯერ კიდევ 1890 წელს მიღებული შერმანის ანტიტრესტული კანონის ძალა. მის დროსვე მიღებული კანონით აიკრძალა 14 წლამდე ბავშვების შრომა ქარხნებში. მიღებულ იქნა ფედერალური ფერმერული კანონი, რომელიც აადვილებდა სესხების გაცემას ფერმერებისათვის. მიიღეს აგრეთვე ადამსონის კანონი, რომელიც აწესებდა 8 საათიან სამუშაო დღეს რკინიგზის მუშაკებისათვის და მრავალი სხვა. ამგვარად, ვილსონის მმართველობისას მნიშვნელოვნად გაიზარდა მთავრობის აქტიურობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, მისი მარეგულირებელი ფუნქციები.

ეს ტენდენცია კიდევ უფრო განმტკიცდა ამერიკის პირველ მსოფლიო ომში ჩაბმის შემდეგ, რაც ომის დროს საკმაოდ ბუნებრივი იყო. გაიზარდა გადასახადები მოგებასა და ზემოგებაზე. მართალია, ამერიკული ბიზნესის მოგებამ ამ პერიოდში ფანტასტიკურ მასშტაბებს მიაღწია და მიუხედავად მაღალი გადასახადებისა ამერიკელ ბიზნესმენებს კვლავ დიდი თანხები რჩებოდათ, მაგრამ მათ მაინც არ ესმოდათ, თუ რატომ უნდა გადაეხადათ ეს

გადასახადები და ხშირად ამას სოციალიზმადაც კი ნათლავდნენ. მით უმეტეს, რომ ომის შემდგომი დეცენტრალიზაციის პროცესი, მათი აზრით, ძალზე ყოვნდებოდა. ამერიკული ინდივიდუალიზმის მეზარაზტრე პერბერტ ჰუვერი ჩიოდა — „განა მთავრობა ომის შემდეგაც უნდა ფლობდეს ნარმოებისა და განანილების საშუალებებს?“¹¹ მართალია, ჰუვერი აშკარად აზვიადებდა და ამერიკული ბიზნესისათვის არავის გაუბედავს აღნიშნული უფლებების ჩამორთმევა, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ იგი სახელმწიფო კონტროლის უმნიშვნელო ზრდასაც კი საგანგაშო მოვლენად თვლიდა.

ამერიკელ კაპიტალისტთა წრეში გაბატონებული აზრი მკაფიოდ არის გამოხატული დიდი ბიზნესის ნარმომადგენლების ჯ. საიმონდისა და ჯ. ტომპსონის განცხადებაშიც — „ცენტრალური ხელისუფლება და ბიუროკრატია გაცილებით უფრო სახიფათონი არიან, ვიდრე ეს ამერიკელებს ჰგონიათ, ხოლო სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის დონე უკვე გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს ხალხს ჰგონია. ზოგიერთი ფუნქცია, რომელიც სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ალბათ გაცილებით უკეთ შესრულდება ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა მენარმეთა ეროვნული სათათბირო კომიტეტი“.¹²

თავის ერთ-ერთ წინასაარჩევნო გამოსვლაში უორენ ჰარდინგმა განაცხადა, რომ ქვეყანას სჭირდება „არა საგმირო საქმენი, არამედ განკურნება; არა ჯადოსნური პანაცეა, არამედ ნორმალური ცხოვრება; არა რევოლუცია, არამედ აღორძინება; არა აგიტაცია, არამედ რეგულირება; არა ქირურგია, არამედ სიმშვიდე; არა დრამატიზმი, არამედ ნონასნორობა; არა ჩაფლობა საერთაშორისო საქმეებში, არამედ დაფუძნება ძლევამოსილ პატრიოტიზმზე“.¹³ ამიტომაც, როდესაც 1920 წლის არჩევნები ჩატარდა ამერიკულმა ბიზნესმა ზურგი აქცია ვილსონს. იგი თვლიდა, რომ სახელმწიფო რეგულირებამ მეტისმეტად გაიდგა ფესვები ამერიკაში, რომ ფედერალური ხელისუფლების ძალაუფლება მეტისმეტად გაიზარდა და საჭირო იყო ამ პროცესის შეჩერება. პირდაპირ აცხადებდნენ, რომ დაილაღნენ „ვილსონიზმისაგან“.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ მიუხედავად ვილსონის განსაკუთრებული საერთაშორისო ავტორიტეტისა, ამერიკის სენატმა უარი თქვა ერთა ლიგის საქმიანობაში მონაწილეობაზეც იმ საბაბით, რომ ერთა ლიგის წევრობა კვლავ ჩაით-

რევდა აშშ-ს ევროპის სისხლიან საქმეებში, ამავე დროს შებოჭავდა ამერიკულ საგარეო პოლიტიკას და მას ლიგის გადანყვეტილებებზე დამოკიდებულს გახდიდა. არადა, ერთა ლიგა ხომ ვილსონის მიერ შემუშავებული დაზავებისა და ომის შემდგომი მონყობის გეგმის, ე.წ. 14 პუნქტის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო. ასეთი პოლიტიკური ანეგდოტიც არსებობს, რომ, როდესაც ვილსონი საიქიოში მოსეს შეხვდა, მოსეს მიუსამძიმრებია — ეს რა უქნეს მსოფლიოს ხალხებმა თქვენს 14 პუნქტსო. ეგ არაფერი, უპასუხია ვილსონს — თქვენ ის უნდა ნახოთ მათ თქვენს ათ მცნებას რა უქნესო.¹⁴

მიუხედავად იმისა, რომ ვილსონმა ბევრი იკამათა სენატთან და ხანგრძლივი მოგზაურობა დაიწყო დასავლეთის შტატებში სწორედ ერთა ლიგის საკითხში მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მაინც ვერაფერს გახდა. უფრო მეტიც, სწორედ ამ მოგზაურობის დროს, 1919 წელს, მას დამბლა დაეცა. მოგვიანებით იგი გამომჯობინდა და საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე მართავდა ქვეყანას, მაგრამ უკვე აღარც ჯანი მოსდევდა და აღარც გავლენა. მართალია, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა კონსტიტუციის XXII შესწორება, რომელიც პრეზიდენტობის მმართველობის პერიოდს მხოლოდ ორი ვადით საზღვრავდა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ვილსონის ახალ კანდიდატობაზე საუბარიც აღარ ყოფილა. შესაბამისად, დემოკრატიულმა პარტიამ ახალი კანდიდატი წამოაყენა ოჰაიოს შტატის გუბერნატორის კოქსის სახით. აღსანიშნავია, რომ ამერიკის ისტორიაში ვილსონი იყო ერთადერთი პრეზიდენტი, რომელსაც პროფესორის ნოდება გააჩნდა.

II

ორ უღიმღამო კანდიდატს შორის აირჩიეს რესპუბლიკელი

როგორც დემოკრატიულმა, ასევე რესპუბლიკურმა პარტიამ 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნაკლებად ცნობილი პოლიტიკოსების კანდიდატურები წამოაყენეს. დემოკრატი კანდიდატი იყო ოჰაიოს შტატის გუბერნატორი ჯეიმს კოქსი, რესპუბლიკელი კი სენატორი ასევე ოჰაიოდან უორენ ჰარდინგი. ვინაიდან ამერიკის პრეზიდენტი უორენ ჰარდინგი გახდა, ალბათ, მართებული

იქნებოდა გარკვეული ყურადღება ამ პიროვნების ბიოგრაფიისთვის დაგვეთმო.

უორენ გამალელ ჰარდინგი დაიბადა 1865 წელს ოჰაიოს შტატის ქალაქ ბლუმინგ გროვსში. 17 წლისამ ქალაქ იბერიის კოლეჯში მიიღო ბაკალავრის წოდება და ამით დაასრულა ფორმალური განათლების კურსი. სწავლის პერიოდში იგი არ გამოიჩინოდა მაღალი მაჩვენებლებით, თუ არ ჩავთვლით მის აქტიურობას კოლეჯის გაზეთ „იბერიის მიმომხილველში“. 18 წლისამ მან პედაგოგობა დაიწყო, მაგრამ ვერ დაუდო ამ საქმეს გული. თავის ერთ-ერთ ნათესავს იგი სწერდა „მე მნამს, რომ ჩემი მონოდება სხვა სფეროშია“.¹⁵ ჰარდინგის ცდა შეესწავლა სამართალი უეცრად შეწყდა უსახსრობის გამო. მას არც სადაზღვევო კომპანიაში გაუმართლა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც მან სადაზღვევო პოლისი ფირმით გათვალისწინებულზე გაცილებით უფრო შეღავათიან პირობებზე გასცა. მიუხედავად ასეთი უიღბლო დასაწყისისა, ჰარდინგი არ კარგავდა ხალისიან განწყობილებას, იგი ადგილობრივ მუსიკალურ ანსამბლში უკრავდა, ბეისბოლის გუნდსაც თავკაცობდა და მეგობრებში დროსტარებასაც არ იკლებდა. საბოლოოდ, ახალგაზრდა ჰარდინგმა თავისი მონოდება ჟურნალისტიკაში ჰპოვა. მალე იგი პატარა ქალაქ მერიონის გაზეთ „მერიონ სთარის“ რედაქტორი და მფლობელიც გახდა და საკმაოდ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქალაქ მერიონის საზოგადოებაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ჰარდინგის გზა წარმატებისაკენ მარტო ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. 1890-1902 წლებში წერეული სტრესის საფუძველზე ის ხუთჯერ მოათავსეს კლინიკაში. ზოგი ყველაფერს მის დაძაბულ საქმიანობას აბრალებდა, ბოროტი ენები კი მიზეზს მის ოჯახურ ცხოვრებაში ხედავდნენ. თუმცა იმასაც ხშირად ამბობდნენ, რომ სწორედ მისმა ცოლმა ფლორენს მეიბლ კინგმა, რომელიც მერიონის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახიდან იყო, მოაწესრიგა ჰარდინგის ცხოვრება და აიძულა ამ უდარდელ ადამიანს მეტი ყურადღება დაეთმო პოლიტიკური კარიერისათვის.

ჰარდინგი თავიდანვე რესპუბლიკურ პარტიას თანაუგრძნობდა და თავისი გაზეთიც ადგილობრივ რესპუბლიკელთა სამსახურში ჩააყენა.

1899 წელს ის ოჰაიოს შტატის სენატორი, 1903 წელს კი შტატის გუბერნატორის მოადგილე გახდა. ჰარდინგი გუბერნატორის სა-

ვარძელსაც უმიზნებდა, მაგრამ დამარცხდა დემოკრატიკანდიდატთან პაექრობაში. ამ წლებში ჰარდინგი კარგად გაერკვა პარტიული აპარატის საქმიანობაში და ბევრი გავლენიანი მეგობარიც შეიძინა. 1914 წელს ჰარდინგი უკვე აშშ-ის სენატის წევრი ხდება. მაგრამ, როგორც სენატორი, იგი არ გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული მოღვაწეობით. მან სენატში 134 ბილი შეიტანა განსახილველად. აქედან 122 ვეტერანებისთვის პერსონალური პენსიების დანიშვნას ეხებოდა (ყოველ ვეტერანზე ცალკეული ბილი უნდა შეტანილიყო). რაც შეეხება 12 ზოგადი ხასიათის კანონპროექტს, ისინი შედარებით მეორეხარისხოვან პრობლემებს შეეხებოდა, მაგალითად, ესპანური ენის სწავლებას (მაშინ ეს საკითხი ასეთი აქტუალური არ იყო, როგორც დღევანდელ ამერიკაში, როდესაც ესპანური ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებაზეა საუბარი. საინტერესოა, რომ ოფიციალურად არც ინგლისური ენაა გამოცხადებული სახელმწიფო ენად), ამერიკაში პირველ პილიგრიმთა ჩამოსახლების იუბილეს აღნიშვნას 1920 წელს, სახელმწიფოს მიერ ზედმეტი კარგების გაცემას მოსახლეობისათვის, ინფლაციის პრობლემების კვლევას, მოძველებელი შაშხანების გადაცემას ორგანიზაციისათვის „ვეტერანთა რეზერვის შეილები“ და სხვას.

ჰარდინგის საკანონმდებლო ინიციატივების ნაკლებობას თან ერთვოდა სენატში კენჭისყრის დროს მისი პასიურობაც. ის უმეტესწილად არ ესწრებოდა ამ მნიშვნელოვან პროცედურებს. სამაგიეროდ ჰარდინგს არასოდეს უღალატია პარტიული დისციპლინისათვის და კენჭისყრის დროს თითქმის ყოველთვის რესპუბლიკური პარტიის ოფიციალურ პოზიციას იზიარებდა. შეიძლება სწორედ ეს პოლიტიკური უფერულობა, ზოგჯერ ინერტულობა და ამავე დროს პარტიისადმი ბრმა ერთგულება გახდა პრეზიდენტობის კანდიდატად ჰარდინგის წამოყენების მიზეზი, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მასშტაბით მას ცოტა ვინმე თუ იცნობდა. ამ პარადოქსის ახსნა შეერთებული შტატების ზოგიერთი საარჩევნო ტრადიციით თუ შეიძლება და ისიც ნაწილობრივ.

ამერიკის ისტორიაში ადრეც ყოფილა, რომ, როდესაც დაახლოებით თანაბარი მონაცემების, მართლაც ძლიერი ადამიანები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, ვერც ერთს ვერ ირჩევდნენ და, შესაბამისად, ვერც ერთი მათგანი ვერ აგროვებდა ხმების საჭირო რაოდენობას, მაშინ სრულიად სხვა, შედარებით ნაკლებად ცნო-

ბილ კომპრომისულ კანდიდატს გამონახავდნენ ხოლმე. ასეთ კანდიდატებს საცხენოსნო დოლის უარგონიდან აღებული ტერმინით უცნობი ცხენი, ბნელით მოცული ცხენი (Dark Horse) აღნიშნავდნენ. პირველად ამგვარი რამ მოხდა 1836 წელს, როდესაც ვიგების პარტიის მეტად გავლენიანმა პოლიტიკოსმა და პარტიის ლიდერმა ჰ. კლეიმ, რომელსაც პირადი წარმატების იმედი არ ჰქონდა, 1812 წლის ინგლის-ამერიკის ომის გმირის, გენერალ უ. ჰარისონის კანდიდატურა წამოაყენა. ეს პიროვნება სხვებსაც მოეწონათ მისი უსახურობისა და პოლიტიკური გავლენის უქონლობის გამო, რაც უხიფათოს ხდიდა მის გამარჯვებას. 1852 წელს დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილების თავიდან ასაცილებლად კვლავ ე.წ. Dark Horse-ს მიმართეს და პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენეს ფ. პირსი, რომელიც ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა.

ამჯერადაც მსგავსი რამ მოხდა, მას შემდეგ, რაც 1920 წლის რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კონვენტზე ჩიკაგოში ორი წამყვანი კანდიდატის — ლეონარდ ვუდისა და ფრენკ ლოუდენის პაექრობამ კონვენტი ჩიხში მოაქცია. პარტიულმა ბოსებმა, ე.წ. გაბოლილ ოთახებში (იგულისხმება სიგარის ბოლით გაჟღენთილი სასტუმროს ოთახები. ამჯერად ეს სასტუმრო „ბლექსტოუნი“ იყო), ანუ კონვენტის კულისებში, ჰარდინგის კანდიდატურა წამოაყენეს. კამათი ამ თემაზე მთელი ღამე მიმდინარეობდა. ამას ადასტურებს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი არტურ შლეისინჯერი, რომლის აზრითაც, კონვენტზე ჰარდინგზე უფრო ცნობილი და მისაღები სულ ცოტა 4 კანდიდატურა იყო. მათ შორის ჰირამ ჯონსონი და ჰერბერტ ჰუვერი.¹⁶ ჯერ კიდევ კონვენტის დაწყებამდე, 2 ივნისს „ნიუ-იორკ თაიმსი“ პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „რესპუბლიკური პარტიის ძველი გვარდია ყოველგვარ ძალისხმევას იყენებს, რათა ამოაგდოს საპრეზიდენტო არჩევნებიდან ლეონარდ ვუდი. ამ მიზნის მისაღწევად ახლა ისინი სენატორ ჰარდინგს იყენებენ“. ამერიკელი ისტორიკოსი ჰ. უორენი მიიჩნევს, რომ ჰარდინგი მხოლოდ პარტიული აპარატის მასშტაბის მოღვაწე იყო, რომელიც არა ზოგადეროვნული საქმიანობით, არამედ პარტიულ ლიდერებთან მჭიდრო კონტაქტების წყალობით დაწინაურდა.¹⁷ იმავე აზრს იზიარებს ისტორიკოსი ე. ჰოული და აღნიშნავს, რომ ჰარდინგის კანდიდატურა ბევრისათვის იმიტომაც იყო მისაღები, რომ

იგი ყოველთვის უფრო ზომიერ პოზიციას დაიკავებდა თითქმის ყველა საკითხში.¹⁸

ასე რომ, რესპუბლიკელმა სენატორებმა ჰარდინგის კანდიდატურა წამოაყენეს და მათე კენჭისყრისას მიზანს მიაღწიეს კიდევ-საინტერესოა, რომ პირველი კენჭისყრისას, სანამ გაბოლილ ოთახებში მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, ვუდს ჰქონდა 287 ხმა, ლოუდენს — 211, ჰარდინგს კი — მხოლოდ 65. აღნიშნულ ღამეს, როცა უკვე სერიოზულად დადგა ჰარდინგის კანდიდატურა, მეხუთე კენჭისყრისასაც მან სულ 78 ხმა მოაგროვა, სამაგიეროდ ლოუდენისა და ვუდის შანსები კიდევ უფრო გათანაბრდა. ლოუდენმა 303, ვუდმა კი 299 ხმა მიიღო. ორი წამყვანი კანდიდატის ასეთი თანაფარდობა არარეალურს ხდიდა რომელიმე მათგანის გამარჯვებას. იყო საუბარი, რომ ერთი პრეზიდენტი იქნებოდა, მეორე კი ვიცე-პრეზიდენტი. მაგრამ „ვიცეობა“ ამ ორიდან არც ერთმა არ მოინდომა. მე-8 კენჭისყრაზე ჰარდინგმა უკვე 133 ხმა მიიღო, მაგრამ საჭირო უმრავლესობა ჯერაც არავის ჰქონდა (საინტერესოა, რომ შაბათს კონვენტზე შესვენების გამოცხადებასაც კი აპირებდნენ, რომ იგი ორშაბათს განეახლებინათ, მაგრამ დალლილ დელეგატებს კონვენტის კვირამდე დასრულება სურდათ). საბოლოოდ, პარტიის ძველმა გვარდიამ მაქსიმალურად დაძაბა ძალები ჰარდინგის მხარდასაჭერად. აქ ივაჟკაცა მისმა ძველმა მეგობარმა და მისი საარჩევნო კამპანიის მენეჯერმა ჰარი დოჰერტიმ. ასე რომ, მე-9 კენჭისყრაზე ჰარდინგმა უკვე 374 ხმა მიიღო, ხოლო სასურველი უმრავლესობა კი მხოლოდ მე-10 კენჭისყრაზე, როდესაც ლოუდენის მომხრეებმა თავიანთი ხმები მას გადასცეს და თავი რეგიონალური სოლიდარობით დაიწყნარეს. ოპაიოელი ჰარდინგიც ხომ შუა დასავლეთის შტატის მკვიდრი იყო, ილინოისელი ლოუდენის მსგავსად.¹⁹

ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურაზე გაცილებით ადვილად შეთანხმდნენ. მასაჩუსეტისის გუბერნატორი კალვინ კულიჯი პირველივე კენჭისყრაზე დაამტკიცეს.²⁰ სხვათა შორის, ამავე კონვენტზე, როდესაც კულიჯს ახასიათებდნენ ჯერ კიდევ როგორც პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატს, წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ფრედერიკ ჟილეტმა განაცხადა, რომ „კულიჯი არის მომთმენი, როგორც ლინკოლნი, ჩუმი, როგორც გრანტი, დიპლომატიური, როგორც მაკ-კინლი და მას რუზველტის პოლიტიკური ალლო გააჩნია“.²¹ რასაკვირველია, ეს პარტიული კონვენტ-

ებისათვის დამახასიათებელი სადღეგრძელოს მსაგის რიტორიკაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არც თუ შორეულ მომავალში იგი ამერიკის პრეზიდენტი გახდა, ალბათ, ეს დამახასიათებაც არ არის ინტერესმოკლებული.

როგორც რესპუბლიკური, ასევე დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა საკმაოდ დააფრთხო ვილსონის მეტად დამოუკიდებელმა და ძლევამოსილმა ხასიათმა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი ბრწყინვალე ინტელექტითა და მტკიცე ნებისყოფით იგი ხშირად თრგუნავდა როგორც კონგრესს, ასევე საკუთარი პარტიის ბოსებსაც. ამიტომაც დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამაც შედარებით უფრო თვინიერი კანდიდატი გამონახა. ჰარდინგის მსგავსად არც კოქსი წყვეტდა ვარსკვლავებს ციდან. კოქსის სახელი ეროვნული მასშტაბით პრესაში პირველად 1919 წელს გამოჩნდა, როდესაც მან ოჰაიოს შტატის სკოლებში აკრძალა გერმანული ენის სწავლება. ეს საკმაოდ საეჭვო ხასიათის პატრიოტიზმი იყო, მით უმეტეს, რომ ომი უკვე დასრულდა. დემოკრატთა კონვენტზე კოქსის გამარჯვება პარტიაში არსებული დაბნეულობისა და ღირსეული კანდიდატების არარსებობის შედეგი იყო.

ხოლო, როდესაც ორივე ნამყვან პარტიას პრეზიდენტის თანამდებობაზე თანაბარი ძალისა და, როგორც ვნახეთ, საკმაოდ ულიმდამო კანდიდატი ჰყავს, ყველაფერს პარტიის ხაზინა და, რაც მთავარია, პარტიის პოლიტიკური პლატფორმა წყვეტს. რესპუბლიკური პარტია, რომელიც, ტრადიციულად, ძალზე მდიდარი ჩრდილო-აღმოსავლეთის დიდი ბიზნესისა და საშუალო ფენების საკმაოდ კონსერვატულად განწყობილი მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა, ფინანსურად თითქმის ყოველთვის ჯაბნიდა და დღესაც, მიუხედავად პარტიული სიმპათიების სერიოზული ცვლილებებისა რეგიონებში, ჯაბნის დემოკრატიულ პარტიას. რაც შეეხება პლატფორმას, როგორც აღვნიშნეთ, რესპუბლიკური პარტიის ინდივიდუალისტურ დოქტრინებზე დაფუძნებული პლატფორმა უფრო მისაღები აღმოჩნდა ამერიკელთა უმრავლესობისათვის, ვიდრე ვილსონისეული ეტატიზმი.

1920 წლის კონვენტზე რესპუბლიკურმა პარტიამ, ალბათ, ყველაზე უფრო კონსერვატული პოლიტიკური პლატფორმა მიიღო უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, რომელიც მნიშვნელოვანწილად

ამერიკულ ინდივიდუალიზმს ეფუძნებოდა. ე.წ. ამერიკული ინდივიდუალიზმი კი არის ამერიკის ისტორიის განვითარების და ამერიკული ცხოვრების წესის უნიკალურობის იდეაზე დაფუძნებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის კონცეფციების თავისებური სინთეზი.

მრავალ ამერიკელ ისტორიკოსს მიაჩნდა, რომ შექმნის პირველი დღეებიდანვე აშშ-ის სახელმწიფო მართვის კონცეფცია, მიუხედავად ევროპელ მოაზროვნეთა (ჯონ ლოკი, ჟან ჟაკ რუსო, შარლ ლუი მონტესკიე) იდეების დიდი გავლენისა, ძირითადად მაინც სწორედ რომ წმინდა ამერიკული ფენომენია. ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით ნათლად აისახა 1893 წელს გამოქვეყნებულ, ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის ფრედერიკ ტერნერის ისტორიული ხასიათის ესეიში „საზღვრის მნიშვნელობა ამერიკულ ისტორიაში“. მისი აზრით, ამერიკის ისტორიული განვითარების განსაკუთრებულობა აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებმა კი არა, ამერიკის ტერიტორიული ექსპანსიის საზღვრებზე არსებულმა ცხოვრებამ განაპირობა. სწორედ დასავლეთის ათვისების სასაზღვრო ზოლზე, რომელიც მუდამ წინ მიინეცდა, ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად ამერიკული ფასეულობანი და ამერიკული ხასიათი.²²

მიუხედავად იმისა, რომ სწრაფად მზარდი ამერიკის ახალ-ახალი მიწები ფორმალურად აშშ-ის მთავრობის იურისდიქციას ექვემდებარებოდა, სინამდვილეში მისი გავლენა ძალზე ხშირად იმდენად სუსტი და სიმბოლური იყო, რომ დასავლეთის ამთვისებელთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნებისყოფისა და მარჯვენის იმედი უნდა ჰქონოდათ, იქნებოდა ეს ინდიელებთან ბრძოლა, თუ ფერმის გამართვა, ბუნების სტიქიასთან დაპირისპირება, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობა. ეს პროცესი XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებამდე გრძელდებოდა და ტერნერისა და მისი თანამოაზრეების თანახმად, სწორედ მან შექმნა ჭეშმარიტად ამერიკული ხასიათი, რომელიც გულისხმობდა მხოლოდ საკუთარი ძალების იმედზე ყოფნას, უდიდეს გამბედაობას და შრომისუნარიანობას, პირად ინიციატივასა და დამოუკიდებელ აზროვნებას, ინდივიდუუმის პირადი თავისუფლების იდეალიზებასა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი მეტად ნეგატიურ დამოკიდებულებას. ცხადია, ეს თავისუფლება სრულებითაც არ წააგავდა ნიცშესეული ქერათმიანი ბესტიის სრულ და ყოვლისდამთრგუნველი თავისუ-

ფალი ძალადობის აპოთეოზს. პირიქით, ამერიკელთა დიდი ნაწილი ერთგულად იცავდა კანონებს, მაგრამ ეს ძირითადად ადგილობრივ თვითმმართველობას ეხებოდა და როგორც ამერიკის დემოკრატიის უბადლო მკვლევარი, ფრანგი მეცნიერი ალექსის დე ტოკვილი თვლიდა, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის უდიდესი ტრადიცია და კულტურა გახდა ამერიკული დემოკრატიის ჭეშმარიტი დედაბოძი.

ხოლო, ვინაიდან „საზღვრის“ მკვიდრნი არც თუ განებივრებულნი იყვნენ ფედერალური მთავრობის რაიმე ძლიერი მხარდაჭერით, თავის მხრივ, არც ისინი თვლიდნენ თავს დავალებულად ვაშინგტონის წინაშე. მათ მიაჩნდათ, რომ თავიანთი არჩეული ადგილობრივი მმართველები და კანონმდებელნი გაცილებით უკეთ ერკვეოდნენ ადგილობრივ პრობლემებში, ვიდრე ფედერალური ბიუროკრატია.

მართლაც, ფეოდალური ეპოქის ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რომელთაც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, სხვა თუ არაფერი, მეზობელი სახელმწიფოებისაგან დასაცავად სჭირდებოდათ, ამერიკელებს გაცილებით სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდათ დაქსაქსულ და ჩამორჩენილ ინდიელ ტომთა თუ ბუნების სტიქიის სახით. ასე რომ, ამერიკას მართლაც უნიკალური საშუალება მიეცა დემოკრატიის თავისებური და უფრო თამამი განვითარებისათვის. ალბათ, „საზღვრის თეორიებში“ საკამათოც ბევრი იყო, მაგრამ მსგავსი ვერსია ამერიკელთა მნიშვნელოვან ნაწილს სავსებით მისაღებად მიაჩნდა და იგი მალამოსავით ედებოდა ახალგაზრდა ერის პატივმოყვარე გულს. მით უმეტეს, რომ ინდივიდუალიზმი სავსებით შეესატყვისებოდა ამერიკული ცხოვრების წესის წმიდათანმიდას — თანაბარი შესაძლებლობების იდეასა და თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკურ კონცეფციას.

მეოცე საუკუნის დაძაბულ ინდუსტრიულ რიტმში ამერიკულმა ინდივიდუალიზმმა, ბუნებრივია, დროის შესაბამისი სახეცვლილება განიცადა. 1920 წელს გამოცემულ წიგნში „ახალი საზღვრები“ ჯ. ემერსონი წერდა, „ჩვენ დღესაც გაგვაჩნია ჩვენი საზღვრები, ეს არის ინდუსტრიული, ფინანსური, კომერციული, პოლიტიკური, სოციალური, აღმზრდელობითი, სამეურნეო, დიპლომატიური და რელიგიური საზღვრები“.²³ მისი აზრით, ახალი საზღვრის სულისკვეთება არ შეცვლილა. იგი გულისხმობს „ახალი პრობლემების

გადანწყვეტას არა ახალი განწყობილებებითა და სულისკვეთებით, არამედ სწორედ იმ რამეზე, რომ ჩვენი წინაპრების რწმენით²⁴ (სხვათა შორის, 1960 წელს თავისი მოქმედების გეგმას პრეზიდენტმა ჯონ კენედიმაც „ახალი საზღვრები“ დაარქვა).

ამერიკული ინდივიდუალიზმი მოითხოვდა ფედერალური ადმინისტრაციის ჩაურევლობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, კერძო ბიზნესის თითქმის სრულ დამოუკიდებლობას რაიმე სერიოზული სახელმწიფო კონტროლისაგან და ადგილობრივი თვითმმართველობისა და შტატის სუვერენიტეტის პრინციპების აქტიურ დაცვას. რაც შეეხებოდა ფედერალურ ხელისუფლებას, მას ე.წ. „ღამის დარაჯის“ როლი ეკისრებოდა, რომელსაც შეერთებული შტატების საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები უნდა დაეცვა, ხოლო საშინაო პოლიტიკაში აქტიურობა მხოლოდ რაიმე საგანგებო ვითარებისა თუ სტიქიური უბედურების შემთხვევაში უნდა გამოეჩინა.

ალბათ გასაგებია, რომ ყოველივე ზემოთქმული ცხოვრებაში სრულად ვერ გატარდებოდა და არც გატარებულა, მით უმეტეს, რომ ახალი დროის საოცრად გართულებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პროცესების მართვა მარტო ძველებური მეთოდებით ძალზე ჭირდა. კაპიტალის კონცენტრაციის სწრაფმა ზრდამ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე მონოპოლიების გავლენამ ეჭვქვეშ დააყენა თავისუფალი კონკურენციის ეპოქის ღირებულებები და საშიშროება შეუქმნა ინდივიდის უფლებებსა და თანაბარ შესაძლებლობათა ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ინსტიტუტებს. სწორედ ამ ტენდენციებს შეებრძოლა ჯერ თეოდორ რუზველტის, შემდგომში კი ვილსონისეული პროგრესივიზმი. მაგრამ 1920 წლისთვის, ომის დასრულების შემდეგ, ამერიკამ კვლავ ანტი-ეტატიტურ პოზიციებზე გადაინაცვლა და როდესაც 1920 წელს რესპუბლიკელებმა ამომრჩევლებს „უკან ნორმალურობისაკენ“ დაბრუნება მოუწოდეს, დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

რესპუბლიკელთა პლატფორმაში საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმეს საგარეო პოლიტიკის საკითხებს: ხაზი გაუსვეს, რომ დემოკრატიკა ადმინისტრაცია სრულიად მოუმზადებელი შეხვდა როგორც ომს, ასევე მშვიდობას; აკრიტიკებდნენ პრეზიდენტის პოზიციას ერთა ლიგის მიმართ; მოითხოვდნენ ცვლილებების შეტანას ამ საკითხში; აკრიტიკებდნენ ამერიკის პოლიტიკას მექსიკაში.

ამერიკული იზოლაციონიზმისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ გამოიხატა ჩვენი მეზობელი სომხეთის მიმართ. რესპუბლიკელები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ აშშ-ის მიერ სომხეთზე მანდატის აღებას, ვინაიდან ეს ამერიკას ევროპული პრობლემების მორევეში გადაისროდა. „მარტო საპოლიციო ფუნქციებით 59 ათასი ამერიკელი ბიჭის გაგზავნა და ხუთ წელიწადში 756 ათასი დოლარის დახარჯვა მოგვიწევს, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას რეგიონში, შეიძლება 200 ათასამდე ჯარისკაცის გაგზავნაც დაგვჭირდეს. ეს იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ არ ადარდებს ამერიკელ პრეზიდენტს ამერიკელი ბიჭების ბედი და ამერიკული ინტერესები. საბოლოოდ, ჩვენ ღრმა სიმპათიას ვუცხადებთ სომხეთს და მზად ვართ დავეხმაროთ ნებისმიერი მისაღები საშუალებით, მაგრამ რესპუბლიკური პარტია ახლაც და მომავალშიც წინააღმდეგი იქნება ნებისმიერი მანდატის აღებისა ევროპასა თუ აზიაში“, აღნიშნული იყო რესპუბლიკელთა პლატფორმაში.²⁵

საყურადღებო იყო განცხადება კონსტიტუციურ მმართველობაზეც, კერძოდ, რომ „რესპუბლიკელები ყველაფერს იღონებდნენ, რათა აღმასრულებელი ხელისუფლების ავტოკრატიისათვის ბოლო მოეღოთ და აღედგინათ კონსტიტუციური მმართველობა ხალხისათვის“.²⁶ ასევე, ტრადიციულად, რესპუბლიკელთა მოთხოვნები იყო გადასახადების და სახელმწიფო ხარჯების შემცირება, პროტექციონისტული ტარიფების ზრდა და ემიგრაციის შეზღუდვა.²⁷

დემოკრატიების პლატფორმა ძირითადად საწინააღმდეგო პოზიციისა იყო და ყველა ცოდვას რესპუბლიკელთა მიერ კონტროლირებად კონგრესს აბრალებდა.²⁸

საბოლოოდ, საპრეზიდენტო არჩევნებში ჰარდინგმა 16 143 000 ხმა მიიღო, კოქსმა კი მხოლოდ 9 130 000, ანუ თითქმის 7 მილიონი ხმით ნაკლები. ეს რესპუბლიკელთა ჭეშმარიტი ტრიუმფი იყო, მაგრამ არა პირადად ჰარდინგისა, რომელმაც არც არჩევნების დროს გამოამჟღავნა რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, არამედ რესპუბლიკელთა ინდივიდუალისტური პლატფორმისა. სხვათა შორის, გარკვეულწილად, ეს თვით ჰარდინგმაც აღიარა თავის სიტყვაში, როდესაც, ასეთ დროს მიღებული თავმდაბლობით, აღნიშნა, რომ ეს იყო არა მისი პირადი გამარჯვება, არამედ ეროვნული გამოძახილი რესპუბლიკური პარტიისადმი.²⁹

ჰარდინგს რეალობის და თვითირონიის გრძნობაც არ ლა-
ლატობდა და არაერთხელ უთქვამს – „მე ერთი უბრალო, შეზ-
ღუდული კაცი ვარ პატარა ქალაქიდან“. ერთხელ „ნიუ-იორკ უო-
რლდის“ ჟურნალისტს მან განუცხადა – „მე არ მაქვს იმედი, რომ
ოდესმე გამორჩეულ პრეზიდენტთა რიცხვს მიმაკუთვნებენ, მა-
გრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ამერიკელთა მეხსიერებაში
დავრჩე, როგორც ყველაზე საყვარელი პრეზიდენტი“.³⁰ მართალია,
ეს სიტყვები არ მეტყველებს განსაკუთრებულ თავმდაბლობაზე,
მაგრამ ჰარდინგი მართლაც იწვევდა პირად სიმპათიებს საზოგა-
დოებაში. ჰარდინგის დახასიათებისას ზოგიერთი ამერიკელი ის-
ტორიკოსი იმასაც იხსენებს, რომ ერთ-ერთმა პოლიტიკურმა მოლ-
ვანემ ჰარდინგის საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებს ურჩია,
არ მიეცათ მისთვის დაუგეგმავი სიტყვით გამოსვლის უფლება —
„ვინმე აუცილებლად დაუსვამს მას რაიმე კვიმატ კითხვას, ხოლო
ჰარდინგი იმდენად სულელი აღმოჩნდება, რომ შეეცდება მასზე
პასუხის გაცემას“.³¹ ზოგსაც მიაჩნდა, რომ ჰარდინგს პრეზიდენ-
ტის საკადრისი მხოლოდ გარეგნობა ჰქონდა და სწორედ მისმა
მამაკაცურმა მომხიბვლელობამ და ელეგანტურობამ განაპირობა
გამოუცდელ ამომრჩეველ ქალთა უმრავლესობის სიმპათიები,
რომელთაც იგი უფრო მოეწონათ, ვიდრე უფერული გარეგნო-
ბის კოქსი.³² თუმცა ისიც ფაქტია, რომ ქალების მხოლოდ ერთმა
მესამედმა გამოიყენა არჩევნებში მონაწილეობის ახლად მიღებ-
ული უფლება. ალბათ, ამ გამოთქმებში გაზვიადებისა და თავისე-
ბური იუმორის ელემენტები ჭარბობს, მაგრამ, როგორც ამბობენ,
უმიზეზოდ არაფერი ხდება.

არჩევნების შედეგების ანალიზისას მრავალი გაზეთი ხაზს უს-
ვამდა, რომ ამერიკა დაიღალა ე.წ. ვილსონიზმისაგან. „ნიუ-იორკ
სანი“ ამას „ვილსონიზმის ღამის კომშარსაც“ კი უწოდებდა და თვ-
ლიდა, რომ ამერიკელი ხალხის მიერ უარყოფილი ვილსონისეული
ადმინისტრაციის გაკვეთილი იმაში გამოიხატებოდა, რომ ის შეი-
ცავდა არატოლერანტულ ინდივიდუალიზმს და საქმის წარმოების
სრულ უუნარობას.³³ „ბოსტონ ტრანსკრიპტი“ კი აღნიშნავდა, რომ
1920 წლის არჩევნები ეპოქალურ ცვლილებას გამოხატავდა და ას-
რულებდა იმ პერიოდს, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება
აღზევდა საკანონმდებლოს ხარჯზე, რაც ხელისუფლების ამ ორ
შტოს შორის სერიოზულ ბრძოლას იწვევდა.³⁴

თავის მხრივ დემოკრატები გაზეთ „ახალი ორლენის თაიმს-პიკაენში“ აღნიშნავდნენ, რომ „ომის შემდგომი ცხოვრების სიძვირე, უზომო სპეკულაციები და ომიდან მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლის ხანის სირთულეები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დემოკრატიულ პარტიას დააბრალა, ვინაიდან თეთრ სახლში დემოკრატი პრეზიდენტი იყო. ამ ადამიანებს დაავიწყდათ, რომ სწორედ რესპუბლიკელთა უმრავლესობა კონგრესის ორივე პალატაში განაპირობებდა ბევრ არსებულ პრობლემას და ამ უმრავლესობამ ვერ მოახერხა ვითარების გამოსასწორებლად საჭირო კანონების მიღება. უფრო მეტიც, რესპუბლიკელთა უმრავლესობა კონგრესის ორივე პალატაში ხელს უშლიდა დემოკრატიული ადმინისტრაციის საქმიანობას. რესპუბლიკელებმა კი მოახერხეს თავი აერიდებინათ პასუხისმგებლობისათვის“.³⁵

III

ჰარდინგის ხანმოკლე პრეზიდენტობა, მისი კაბინეტის გმირები და ანტიგმირები, ანუ რა მოჰყვება ძმაბიჭობას დიდ პოლიტიკაში

ახალი პრეზიდენტი გულმოდგინეთ ატარებდა ცხოვრებაში კონსერვატიულ რესპუბლიკელთა ხაზს. 1921 წლის 11 აპრილის კონსერვატიული ორიენტაციის „ჩიკაგო ტრიბუნში“ კონგრესის სპეციალური სესიის წინ გამოქვეყნებულ კარიკატურაში ნაჩვენებია იყო, თუ როგორ შეშინდნენ კონგრესმენები ჰარდინგის მეტად აქტიური მოქმედების გეგმის გაცნობისას, ვინაიდან ამ პროგრამის განხორციელება სრულებით ჩაუშლიდა მათ საზაფხულო გოლფის თამაშს.³⁶ იმავე გაზეთის 13 აპრილის კარიკატურებში დახატული იყო ტარიფების კედლის მშენებარე ჰარდინგი, რომელიც ამ კედლის მეშვეობით ამერიკული მრეწველობისა და ამერიკელთა ხელფასების დაცვას აპირებდა. მეორე სურათზე ჰარდინგი ბიძია სემს წნევას უზომავდა და ძალზე მაღალი წნევის დასაწევად ხარჯების შემცირებას ურჩევდა. იმავე ნომერში აღინიშნებოდა, რომ პრეზიდენტის კონგრესში წარმოთქმული სიტყვა ცხადყოფდა, ქვეყნის პრიორიტეტები სახელმწიფო ხარჯების და ომისდროინდელი გადასახადების ტვირთის შემცირება იყო. ამავე დროს პრეზიდენტი მოითხოვდა ფერმერთა დასახმარებლად საგანგებო სატარიფო

კანონების მიღებასა და საერთოდ სატარიფო კანონების მთლიანად შეცვლას; ასევე კონგრესის მიერ რკინიგზაზე არსებული ვითარების მონესრიგებას და ა. შ. თუმცა გაზეთში იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ზოგი რესპუბლიკელი უფრო ფართო მასშტაბის რადიკალურ ზომებს მოითხოვდა.³⁷

თავის პირველ გამოსვლაში კონგრესის წინაშე კონგრესის საგანგებო სესიაზე, მართალია, ჰარდინგს არ უხსენებია ვილსონის სახელი, მაგრამ ისე შესჩივლა აუდიტორიას ამერიკის ომის შემდგომ პრობლემებზე, თითქოს ამერიკის კი არა, დამარცხებული გერმანიის ლიდერი ყოფილიყო. აღნიშნა, რომ ამერიკა მეტად ცუდად მოემზადა ომის შემდგომი პერიოდისათვის და ცოტა რამ გაკეთდა მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასასვლელად. ბუნებრივია, ამის მიზეზად დემოკრატების ადმინისტრაცია იგულისხმებოდა. „მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ, ამბობდა ჰარდინგი, პირველ რიგში ჩვენი საშინაო პრობლემები გადაწყვიტოთ და მერე საერთაშორისოსაც მივხედავთ. ამისთვის კი სახელმწიფო ხარჯები უნდა შევამციროთ და ომისდროინდელი ვალები გავისტუმროთ“.³⁸ შემდეგ გადასახადების საკითხი განიხილა და არსებული გადასახადების გაუქმებასა და შემცირებაზე ისაუბრა, რომელნიც „იმდენად არაპროდუქტიული და ხელოვნურად დამძიმებული ტვირთია, რომ უკვე ეწინააღმდეგება თავის დანიშნულებას“.³⁹ აღნიშნა ისიც, რომ ამერიკული ეკონომიკის დასაცავად სასწრაფოდ უნდა გაიზარდოს ტარიფები. „მე მნამს, რომ ამერიკის მრეწველობა უნდა დავიცვათ და, უპირველს ყოვლისა, ამერიკა უნდა ავაცვაოთ. ამერიკული ბაზრის გამოყენების პრივილეგია უცხოელ მენარმეებს ძალიან იაფად აქვთ მინიჭებული, ეს კი ცუდ გავლენას ახდენს ჩვენი საქმიანობის ნაყოფიერებასა და საკუთარი ძალების რწმენაზე, რაც ჩვენი დამოუკიდებლობის საფუძველი და ჩვენი ხალხის ხვედრია. გარდა ამისა, იმპორტმაც უნდა გადაიხადოს თავისი წილი არსებული მმართველობისათვის“.⁴⁰

ორატორმა ხაზი გაუსვა ბიზნესის მართვის სტილის შემოღებას მთავრობის საქმიანობაში, რაც, მისი აზრით, „მაქსიმალურ ეფექტურობას, კეთილსინდისიერებას, ყაირათიანობას, ეკონომიურობას და ნაყოფიერებას“ გულისხმობდა. ანუ სახელმწიფო საქმე, როგორც საკუთარი ისე უნდა აკეთოთ და სახელმწიფოს ფული ისეთივე მომჭირნეობითა და ყაირათიანობით ხარჯო, როგორც საკუთარი.

ბიუროკრატიის მთავარი პრობლემა ხომ ის არის, რომ იგი სახელმწიფოს ხარჯებს, როგორც რაღაც ანონიმურს ეკიდება და თუ არ იპირავს, ყოველ შემთხვევაში, მაინცდამაინც არ უფრთხილდება. ეს თვალსაზრისი მაშინდელ ამერიკაში მეტად პოპულარული იყო, მით უმეტეს, ბიზნესის მართვის აღზევებისა და მისი პრესტიჟის ზრდის ფონზე. ამიტომაც ჰარდინგი აცხადებდა, რომ „მთავრობის ბიზნესი ბიზნესის საფუძველზე უნდა დავაფუძნოთ“ და კიდევ ერთხელ გაიმეორა, უნდა გვყავდეს „ნაკლები მთავრობა ბიზნესში და მეტი ბიზნესი მთავრობაში“.⁴¹

ტრადიციული რესპუბლიკური თვალსაზრისით მიუდგა ჰარდინგი ფედერალურ დახმარებას იმავე ავტოსტრადების მშენებლობაში. „ეს შტატების საქმეა და ჩვენი დახმარება ზოგიერთი მათგანისადმი სულ აურევს საქმეს . . . საერთოდ კანონები, რომლებიც ფედერალურ დახმარებას ეხება უნდა შესწორდეს და გამკაცრდეს“.⁴²

დიდი ყურადღება დაუთმო მან ომის ვეტერანებს. „ამერიკელი ხალხი ელის კონგრესისაგან, რომ რესპუბლიკა კეთილ და პრაქტიკულ ასპექტში დაეხმარება თავის დამცველებს, ვინც იბრძოლა I მსოფლიო ომის პერიოდში, მათ, ვისაც სჭირდება მთავრობის მხარდაჭერა. მე მოვიწვიე ომის რისკის დაზღვევის ბიუროს, პროფტექნიკური წვრთნის ფედერალური საბჭოს და სხვა სამთავრობო სააგენტოების წარმომადგენლები, რათა მათთან ერთად შევიმუშავოთ ყოფილი ჯარისკაცების, მეზღვაურების და საზღვაო ქვეითა დახმარების გზები“.⁴³ მართლაც, 1921 წლის 9 აგვისტოს ჰარდინგმა შექმნა ვეტერანთა ბიურო მთავრობაში და ხელმძღვანელად თავისი მეგობარი ჩარლ ფორბსი დანიშნა.

პრეზიდენტმა კონგრესის წინაშე ისაუბრა აგრეთვე საზოგადოებრივი კეთილდღეობის დეპარტამენტის ჩამოყალიბების შესახებ. ამას ისე ინტენსიურად მოითხოვენ, რომ ეს საკითხი თქვენს წინაშე უნდა დავაყენო, მაგრამ ეს მაშინ არ მოხდა (ჯანმრთელობის, განათლების და კეთილდღეობის ერთიანი სამინისტრო 1953 წელს შეიქმნა. საინტერესოა, რომ ეს ისევ რესპუბლიკელმა პრეზიდენტმა დუაეტ ეიზენჰაურმა განახორციელა. ხოლო დემოკრატმა ჯიმი კარტერმა 1979 წელს დაშალა იგი განათლებისა და ჯანმრთელობის და ადამიანთა მომსახურეობის სამინისტროებად). „სახელმწიფოს პასუხისგებლობა ხელი შეუწყოს უმაღლესი

და ეფექტური მოქალაქის ჩამოყალიბებას დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, განაგრძობდა ჰარდინგი. განათლების სფეროში, ჯანმრთელობის, სანიტარული სამსახურის, მრეწველობის, მუშათა მდგომარეობის, ბავშვთა უზრუნველყოფის, დასვენების, სოციალური მანკიერებების აღმოფხვრის და სხვა ასპექტებში მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა. ახლა მინდა შემოვიტანო კანონი დედობის შესახებ. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს სამინისტრო არ უნდა ჩაერიოს იმ საქმეებში, რასაც შტატებიც მშვენივრად აკეთებენ. მაგალითად, განათლების სფეროში, თუმცა ფედერალური ადმინისტრაცია ყოველთვის ეხმარება მათ და შარშან განათლების საკითხებზე 65 მილიონი დოლარი გამოიყო“.⁴⁴

ჰარდინგს სრულიად გულწრფელად მიაჩნდა, რომ პრეზიდენტი იყო უმაღლესი ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური სიმბოლო. მისი აზრით, „პრეზიდენტი შეიარაღებული გლადიატორის მსგავსად“, არ უნდა გამოსულიყო პოლიტიკურ არენაზე, ამით იგი ვერ დაიმსახურებდა საზოგადოების პატივისცემას. მხოლოდ ხალხის სიყვარულით აღსავსე პრეზიდენტს „შეეძლო შეენარჩუნებინა საზოგადოების რწმენა და ყოფილიყო ეროვნული სიამაყის სიმბოლო“.⁴⁵ ხოლო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ქვეყნის რეალური გამგებელი, კარგად ჩანს ჰარდინგის ცნობილ მოწოდებაში — „დღევანდელ ამერიკას ესაჭიროება ნაკლები მთავრობა ბიზნესში და მეტი ბიზნესი მთავრობაში“.⁴⁶

მართლაც, მის კაბინეტში უმდიდრესი და უბრალოდ მდიდარი ადამიანები იყვნენ, რომელთა საერთო კაპიტალი 600 მილიონ დოლარს შეადგენდა ან აკონტროლებდა.⁴⁷ ჰარდინგის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მან თავის გარშემო არა მარტო მდიდარი, არამედ მეტად ნიჭიერი ხალხიც შემოიკრიბა. მათ შორის იყო ჰერბერტ ჰუვერიც.

თუ გავითვალისწინებთ ჰ. ჰუვერის უდიდეს როლს ვაჭრობის სამინისტროს საქმიანობის განვითარებაში, 1920-ანი წლების აშშ-ის პოლიტიკაში და საბოლოოდ მის პრეზიდენტობას 1929-1933 წლებში, ალბათ, ეს დანიშვნა ნამდვილად იმსახურებს გარკვეულ ყურადღებას და კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ ყალიბდებოდა ჰარდინგის კაბინეტი.

მოუწოდებდა რა „უკან ნორმალურობისაკენ“, რესპუბლიკური პარტია ითვალისწინებდა ახალ რეალობებს და პარტიაში კლასი-

კურ კონსერვატორებთან ერთად რესპუბლიკელთა იდეალების ცხოვრებაში უფრო მოქნილი გამტარებლების მოზიდვა დაიწყო. სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ჰ. ჰუვერიც. ადამიანი, რომელიც უბრალო ოჯახიდან იყო, კარგი განათლება მიიღო მაშინ ჯერ კიდევ ახალ, სტენფორდის უნივერსიტეტში და ბრწყინვალედ აითვისა გეოლოგისა და სამთო ინჟინრის სპეციალობა. იგი არა მარტო კარგი ინჟინერი, არამედ შესანიშნავი ორგანიზატორიც აღმოჩნდა. უნივერსიტეტის დასრულებისას მხოლოდ 40 დოლარი ჰქონდა, მაგრამ მალე ერთ-ერთი წამყვანი ბიზნესმენი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი „ამერიკული ოცნების“ განსახიერება იყო, კაცი, რომელმაც თავისი შრომითა და ნიჭით, ყოველგვარი დახმარებისა და პროტექციის გარეშე, გაიკაფა გზა ცხოვრებაში და უდიდეს წარმატებასაც მიაღწია. ამერიკაში ასეთ ადამიანს self-made man-ს უძახიან. მაგრამ წარმატებული ბიზნესმენობით ამერიკას ვერ გააკვირვებდი. ჰუვერმა კი, არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო ააღაპარა.

ჰუვერი იყო I მსოფლიო ომის დროს უდიდესი მასშტაბის საქველმოქმედო საქმიანობის ორგანიზატორი გერმანიის მიერ ოკუპირებულ და ომის შედეგად გაჩანაგებულ ტერიტორიებზე. სწორედ მას მიახლო აშშ-ის მთავრობამ გერმანელთა მიერ ოკუპირებული ბელგიის გამოკვება და ამ ქვეყნის მოსახლეობა შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. ომის შემდგომ კი ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის მეშვეობით მთელს ევროპაში 300 მილიონამდე ადამიანი გადაურჩა შიმშილს. ბელგიიდან პოლონეთამდე მილიონობით ადამიანისათვის სწორედ ჰუვერი განასახიერებდა ამერიკის სიდიადესა და დახმარებას. ეს ჰუვერს სამშობლოშიც დაუფასეს და იგი ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი გახდა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ორივე წამყვან პარტიაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც, მიუხედავად იმისა, რომ ჰუვერი არც სენატორი და არც გუბერნატორი არ ყოფილა (დღემდე პრეზიდენტობისათვის ყველაზე მისაღები ტრამპლინი ამერიკაში) სავსებით სერიოზულად მიიჩნეოდნენ მას პრეზიდენტობის კანდიდატად. მაგალითად, ფრანკლინ რუზველტი, რომელიც მაშინ სამხედრო-საზღვაო მინისტრის მოადგილე იყო, ერთ-ერთ მეგობარს წერდა — „ის ნამდვილი საოცრებაა და ვისურვებდი, რომ შეგვეძლოს მისგან პრეზიდენტი

შევქმნათ. მასზე უკეთესი არავინ იქნება".⁴⁸ ისეთი გაზეთები, როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“, „დეტროიტ ნიუსი“ და „ფილადელფია ფაბლიქ ლიდერი“ იმასაც კი წერდნენ, რომ ჰუვერის პრეზიდენტობა თვით ვილსონს სურდა. თუმცა სულ მალე მათი ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა.

1920 წლის 30 მარტს ჰუვერმა, რომელიც თავდაპირველად ორ პარტიას შორის ყოყმანობდა, განაცხადა, რომ რესპუბლიკურ პარტიას მიემხრობოდა. თუმცა წარსულშიც იგი მაინც უფრო რესპუბლიკელებისაკენ იხრებოდა. 1896 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მან ხმა რესპუბლიკელ კანდიდატს მაკ კინლის მისცა, ხოლო 1909 წლიდან 1917 წლამდე, როდესაც აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ვილსონის ადმინისტრაციასთან, იგი ნიუ-იორკის რესპუბლიკური კლუბის წევრი იყო.⁴⁹

ჰუვერი კვაკერი იყო. პროტესტანტიზმის ერთ-ერთი საკმაოდ რადიკალური მიმართულება კვაკერები, ანუ მეგობართა საზოგადოება, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებენ, ინგლისში XVII საუკუნეში ჩამოყალიბდა. მიუხედავად სიმცირისა კვაკერებმა დიდი გავლენა მოახდინეს ევროპისა და ამერიკის რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაზე. მათი სწავლების უმთავრესი არსი ის არის, რომ ღმერთი, შინაგანი სინათლე, არის ყოველი ადამიანის სულში. ადამიანს აქვს უნარი იგრძნოს იგი და მიჰყვეს მის მოწოდებას. კვაკერების აზრით, უმაღლესი ჭეშმარიტება არა რელიგიურ რიტუალებში, წიგნებსა და ქადაგებაშია, არამედ თვით ადამიანში, მის შინაგან ხმაში, რომელიც იგივე ღვთის ხმაა. შესაბამისად, კვაკერებს არა აქვთ სპეციალური რიტუალები, სიმბოლიზმი, საეკლესიო იერარქია, მღვდლებიც კი არ ჰყავთ. კვირაობით ისინი ერთად იკრიბებიან და ჩუმად ლოცულობენ ან ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ სულის ნადებს. როგორც ამბობენ, სამასი წლის ისტორიის მანძილზე არც ერთი მათგანი არ ყოფილა ლატაკთა სახლში, არ განქორწინებულა, არ ჩაუდენია დანაშაული. მათი სახელი დაკავშირებული იყო შინაგან მდგრადობასთან, მრენველობის განვითარებასთან და ქველმოქმედებასთან. კვაკერები უკომპრომისო პაციფისტები არიან და ყოველგვარ ძალადობას, თავდაცვის მიზნითაც კი, უარყოფენ. მათი ლოგიკა მარტივია, თუ ყოველ ადამიანში ღმერთია, მაშინ ადამიანთან ერთად ღმერთსაც კლავენ, ამას კი არავითარი გამართლება არ მოეძებნება. საერთოდ კვაკერები

წარმატებული მქადაგებლები, ფილანტროპები, პოეტები, მთავრობის წევრები, შტატების გუბერნატორები, სენატორები და კონგრესმენები იყვნენ. მათ საერთო რიცხვთან შედარებით კვაკერებს შეუდარებლად დიდი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის ცხოვრებაში. ჰ. ჰუვერის უდიდესი ღვაწლი ფილანტროპიაში და, აქედან გამომდინარე, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ავტორიტეტი მნიშვნელოვანწილად მის კვაკერობასთანაც იყო დაკავშირებული.

მაშინდელ ამერიკულ საზოგადოებაში ჰუვერს ბევრი ცნობილი პიროვნება უჭერდა მხარს, მაგალითად, ფ. რუზველტი, უ. ლიპმანი, ი. ტარბელი, ფ. ალენი, ლ. ბრენდისი და სხვები. ჰუვერის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ საინჟინრო ასოციაციები, სამეცნიერო ორგანიზაციები და უნივერსიტეტები. მისდამი მხარდაჭერა გამოავლინა ჰარვარდის უნივერსიტეტმაც (რა იცოდნენ ჰარვარდელებმა, რომ რამდენიმე ათწლეულში ჰუვერის მშობლიური სტენფორდის უნივერსიტეტი მათი მთავარი კონკურენტი გახდებოდა აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტის სახელისათვის ბრძოლაში). მაგრამ ჰუვერი ჯერ კიდევ არ იყო ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ფიგურა და, რაც მთავარია, არც რესპუბლიკური პარტიის მმართველ წრეებში გააჩნდა ძლიერი პოზიციები. რესპუბლიკური პარტიის კონვენტზე პრეზიდენტის კანდიდატის ნომინაციაში მან მხოლოდ 10 ხმა მიიღო.

არჩევნების შემდეგ ჰუვერმა გადაწყვიტა თავი დაენებებინა საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. მაგრამ სწორედ მაშინ მიიწვია იგი ჰარდინგმა თავის კაბინეტში იმ საბაბით, რომ მას ამერიკის „საუკეთესო ტვინები“ სჭირდებოდა მთავრობაში. პრეზიდენტმა ჰუვერს ასარჩევად შესთავაზა ან შინაგან საქმეთა, ან ვაჭრობის სამინისტრო. როგორც ჰუვერი იხსენებს თავის მემუარებში, „ჩემი აზრით, მთავარი პრობლემები რეკონსტრუქციასა და ეროვნულ განვითარებაში იყო და სწორედ ამიტომ ვარჩიე ვაჭრობის სამინისტრო, თუმცა იმ დროს იგი შინაგან საქმეთა სამინისტროზე ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო“.⁵⁰ პრეზიდენტისადმი პასუხში მან აღნიშნა, რომ შეიძლება რესპუბლიკური პარტიის ძველი გვარდიისათვის მიუღებელი ყოფილიყო მისი კანდიდატურა. უფრო მეტიც, ერთ წერილში პრეზიდენტს მან პირდაპირ მისწერა „ამოიღეთ თავიდან ნებისმიერი აზრი ჩემი დანიშვნის შესახებ“.⁵¹

ამის შემდეგ თითქმის სამი თვის მანძილზე ჰარდინგისაგან პასუხი არ მიუღია და ეგონა, რომ მან გადაიფიქრა კიდევ. მით უმეტეს, რომ კონსერვატორი რესპუბლიკელები, სენატორები ფ. ნოქსი, რ. სმუთი და ჩ. ქერთისი მისი მინისტრობის წინააღმდეგი იყვნენ. იგი არც ისეთ გავლენიან იზოლაციონისტებს მოსწონდათ, როგორც სენატორები ჰ. ჯონსონი, უ. ბორა იყვნენ და არც პროგრესისტებს რ. რობინსს, ჯ. პინჩოტს. ჯ. ნორისს. როგორც ჰუვერის საქმიანობის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი ჯოან უილსონი აღნიშნავდა, „მათთვის ჰუვერი მეტისმეტად აპოლიტიკური, მეტისმეტად პროგრესისტული, მეტისმეტად ინტერნაციონალური აზროვნების, მეტისმეტად პოპულარული და უბრალოდ მეტისმეტად ამბიციური იყო“.⁵²

ჰარდინგის პასუხის გაჭიანურება განაპირობა სენატორების — პენროუზისა და ჰ. ლოჯის წინააღმდეგობამაც, რომელთაც ძალზე არ მოსწონდათ ჰუვერის მიერ ვერსალის ზავის პირობებისა და ერთა ლიგაში აშშ-ის განევრიანების იდეისადმი ერთგულება.

ასე რომ, ჰუვერის კანდიდატურისათვის ჰარდინგმა საკმაოდ სერიოზულად იბრძოლა თავის პარტიაში. სწორედ ამ დანიშვნასთან დაკავშირებით კლასიკური პოლიტიკური ვაჭრობა წარიმართა. საქმე ისაა, რომ ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ჰარდინგს ჩიკაგოელი ბანკირის ჩარლზ დაუესის დანიშვნა უნდოდა, მაგრამ მან უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე. როდესაც ეს ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებისათვის, ბუნებრივია, ამ თანამდებობაზე მრავალი პრეტენდენტი გაჩნდა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ სანაპიროს ფინანსური წრეებიდან. მათ შორის ბოსტონელი ბანკირი ჯ. იუკსი, ნიუ-იორკელი ფინანსისტი ფ. ვანდერლიპი და ყოფილი სენატორი ნიუ-იორკიდან ჩ. ჰილესი. აღმოსავლეთისა და შუა დასავლეთის ფინანსური ჯგუფების დაპირისპირების შედეგად სენატში გამოიკვეთა ცნობილი პიტსბურგელი მილიონერის ენდრიუ მელონის გვარი, რომელიც რესპუბლიკელი სენატორებისათვის, მათ შორის ნოქსისა და პენროუზისათვის, მისაღები აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ისინი აქტიურად ჩაებნენ მელონის მხარეზე ბრძოლაში. ამავე დროს ეს სენატორები სწორედ იმ ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ, რომელთაც არ სურდათ ჰუვერის დამტკიცება ვაჭრობის მინისტრის პოსტზე. მათთვის ის არასაკმარისად კონსერვატული იყო.

ჰარდინგმა ისარგებლა მომენტით, ვაჭრობა დაიწყო და განუცხადა სენატორებს, რომ ან ჰუვერიცა და მელონიც გახდებოდნენ კაბინეტის წევრები და ისინი შეწყვეტდნენ ჰუვერის წინააღმდეგ ბრძოლას, ან არც ერთი კანდიდატურა არ გავიდოდა. საბოლოოდ, სწორედ ამ კომპრომისულმა გადაწყვეტილებამ გაიმარჯვა და მეთამბოხე სენატორები დათანხმდნენ პრეზიდენტის წინადადებას.

მაგრამ ახალი პრობლემა სრულიად მოულოდნელი მხრიდან გამოჩნდა, კერძოთ კი, მას შემდეგ რაც ჰარდინგისაგან ოფიციალური შემოთავაზება მიიღო 12 თებერვალს, ჰუვერმა უარი განაცხადა ამ პოსტზე იმ საბაბით, რომ იგი დაკავებული იყო თანამშრომლობით დ. გუგენჰაიმის მომპოვებელ და მეტალურგიულ კომპლექსთან, ამავე დროს მიაჩნდა, რომ ის ტრადიციულად მოკრძალებული როლი და ფუნქციები, რომელიც გააჩნდა ვაჭრობის სამინისტროს, მისი დაბალი პრესტიჟი და მცირე გავლენა საზოგადოებაში უინტერესოს ხდიდა მისთვის ამ თანამდებობას.

ბუნებრივია, ჰარდინგი, რომელმაც ამდენი იბრძოლა ჰუვერის კანდიდატურის მხარდასაჭერად გაოგნებული იყო, თუმცა კარგად ესმოდა ჰუვერის არგუმენტაციის სამართლიანობა. ამ საქმის მოსაგვარებლად მან სახელმწიფო მდივანი ჩ. ჰიუჯესი და ეროვნული რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე უ. ჰაისი გამოიყენა. ისინი პრეზიდენტის სახელით არწმუნებდნენ ჰუვერს, რომ იგი მისთვის საჭირო ყველა უფლებამოსილებას მიიღებდა და ვაჭრობის სამინისტროს ფუნქციები მაქსიმალურად გაიზრდებოდა. საბოლოოდ, თვით პრეზიდენტიც ელაპარაკა მას ტელეფონით. ასე რომ, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ჰუვერი დაითანხმეს და 1921 წლის 23 თებერვალს მან ჰარდინგს მისწერა, „მე ნამდვილად მირჩევნია არ ვითავო ის ტვირთი, რომელიც სახელმწიფო სამსახურს ახლავს, მაგრამ არა მაქვს უფლება თქვენს სურვილს შევეწინააღმდეგო და თანახმა ვარ დავიკავო ვაჭრობის მინისტრის თანამდებობა“⁵³

თამამად შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანი იყო, რომელიც ჰარდინგმა გააკეთა თავისი კაბინეტის ჩამოყალიბებისას. სულ მალე ვაჭრობის სამინისტროს ფუნქციები მართლაც ძალზე გაიზარდა და იგი ერთ-ერთი წამყვანი სამინისტრო გახდა.

ხოლო ჰუვერის პირადი აქტიურობის შედეგი ის იყო, რომ მას ყველა სხვა სამინისტროს „თანახელმძღვანელსაც“ კი უწოდებდნენ.

ჰუვერი ზომიერი, გარკვეულწილად, რეგულირებადი ინდივიდუალიზმის (როგორც იგი თავად უწოდებდა „ამერიკული ინდივიდუალიზმის“) მებაირახტრე გახდა ამ პერიოდის ამერიკაში და თუმცა იგი ძირითადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის იდეოლოგიას ქადაგებდა, მაინც ბევრი რამ გააკეთა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის საქმიანი თანამშრომლობისათვის. ჰუვერი იმისაც კი აღნიშნავდა, რომ ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკაში არ არსებობდა კლასობრივი დაპირისპირება. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ გვაჩვენა ამერიკული ინდივიდუალიზმი კარგად მოერგო ეკონომიკური აღმავლობის ტალღას, მაგრამ არასაკმარისი აღმოჩნდა სერიოზული კრიზისული მოვლენების მოსაწესრიგებლად.

ასევე მეტად მნიშვნელოვანი არჩევანი იყო ენდრიუ მელონის კანდიდატურა. 1921 წელს, როდესაც უორენ ჰარდინგმა 65 წლის მელონს ფინანსთა მინისტრის თანამდებობა შესთავაზა, იგი ამერიკის სამ ყველაზე მდიდარ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ჰარდინგი პირადად არ იცნობდა მელონს, მაგრამ ეს არჩევანი გამოხატავდა მის უსაზღვრო ნდობას ამერიკის დიდი ბიზნესის მიმართ.⁵⁴ თანამედროვეები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ მელონს წარმოდგენა არ ჰქონდა სახელმწიფო სამსახურზე, ფინანსთა სამინისტროს საქმიანობაზე და საერთოდ ვაშინგტონის ბიუროკრატის ნაკლებად იცნობდა.⁵⁵

ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სახელმწიფო მდივანი ჩარლზ ევანს ჰიუჯესი, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება გააჩნდა. 1906-10 წლებში იგი ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი, ხოლო 1916 წელს კი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი იყო პრეზიდენტის თანამდებობაზე.

მაგრამ ჰარდინგის კაბინეტში ცუდი მაგალითებიც საკმაოდ მოინახებოდა, კერძოდ კი, პირად მეგობრებს ნიშნავდა მაღალ თანამდებობებზე და პრეზიდენტის პოზიციიდან სერიოზულად ეხმარებდა მათ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც თავისთავად კარგ ადამიანურ თვისებებს, გულკეთილობასა და ახლობლების სიყვარულს, მეტად სავალალო შედეგები მოაქვს ქვეყნისათვის. ერთხელ ჰარდინგის მამას საკმაოდ ტლანქად უხუმრია კიდევც,

«კიდევ კარგი უორენი ქალი არ არის, თორემ მთელ საგვარეულოს შეგვარცხვენდა, იმიტომ, რომ უარის თქმა არ შეუძლია.»

მაგალითად, ჰარი დოჰერტი, რომელიც ჰარდინგის ძველი მეგობარი და საარჩევნო კამპანიის მენეჯერი იყო, იუსტიციის მინისტრი გახდა, თუმცა ჰარდინგის უახლოესი გარემოცვის გარდა არავის უთქვამს რაიმე კარგი ამ კაცზე, უფრო პირიქით. არსებობდა გარკვეული ეჭვები მის პატიოსნებაზე, მაგრამ სერიოზულ გამოძიებამდე საქმე არ მისულა. ერთი სიტყვით, ეს პიროვნება, თავისი პოლიტიკური და იურიდიული კარიერიდან გამომდინარე, არაფრით იმსახურებდა იუსტიციის მინისტრად დანიშნვას. ერთადერთი და გადამწყვეტი იყო პრეზიდენტის სურვილი მადლობა გადაეხადა მისთვის, როგორც საპრეზიდენტო კამპანიის მენეჯერისათვის. აქაც, თავისთავად დიდებული თვისება, რასაც მადლიერების გრძნობა ჰქვია, გამოხატა, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ამას სახელმწიფოს ხარჯზე აკეთებდა. პრეზიდენტმა, თუ მას მაინცდამაინც სახელმწიფოს ხარჯზე უნდა მადლიერების გამოხატვა, ალბათ, ეს მადლიერება მადლიერების ობიექტის დონესა და შესაძლებლობებს მაინც უნდა მიუსადაგოს. დოჰერტის შემთხვევაში, როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომელთაც სავსებით ვეთანხმებით, მადლიერება მეტისმეტად გულუხვი და ამკარად არაადეკვატური იყო.⁵⁶ სხვათა შორის, ეს საკმაოდ გავრცელებული შეცდომაა პოლიტიკოსებში, რომელნიც არაობიექტურნი არიან თავიანთი ახლობლების შეფასებაში და საბედისწერო შეცდომებს უშვებენ როგორც საკუთარი თავის, ასევე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი სამშობლოს მიმართ.

კიდევ უფრო საეჭვოდ წარიმართა ნიუ-მექსიკოს სენატორის, ჰარდინგის ძველი კოლეგისა და პოკერში პარტნიორის ალბერტ ფოლის დანიშნვის პროცესი. ჩვეული კეთილი სურვილებითა და უდარდელობით აღვსილმა ჰარდინგმა მას პრეზიდენტად არჩევნისთანავე სახელმწიფო მდივნის თანამდებობა შესთავაზა. რაც, თუ გავითვალისწინებთ ფოლის სრულ გამოუცდელობას საგარეო საქმეებში, რომ აღარაფერი ვთქვათ მის საშუალო დონის ინტელექტზე, ალბათ, სრული აბსურდი იქნებოდა, იმდენად, რომ საკუთარ თავზე საკმაოდ კარგი წარმოდგენის მქონე ფოლიც კი მიხვდა, რომ იგი არ შეეფერებოდა ადგილს. მან უთხრა ჰარდინგს, რომ არ იქნებოდა სწორი მას ეს თანამდებობა დაეკავებინა, როდესაც ამერი-

კაში საგარეო სფეროში ისეთი გამოცდილი ადამიანები იყვნენ როგორც ჰიუჯესი და რუთი. თანაც ფოლს უფრო შინაგან საქმეთა სამინისტრო იზიდავდა, სადაც სახელმწიფო მინების განკარგვის კარგი შესაძლებლობები იყო და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, მან „სრულად“ გამოიყენა ეს შანსი. ამავე კატეგორიის ფავორიტიზმის შედეგი იყო ჩარლზ ფორბსის დანიშვნა ვეტერანთა ბიუროს ხელმძღვანელად. ამ დანიშვნის ერთი დამატებითი პარადოქსი, შეიძლება ითქვას ცინიზმიც, იყო ის, რომ ფორბსი ომის დროს დაუძვრა სამხედრო სამსახურს და ფაქტობრივად დეზერტირად შეიძლება ჩათვლილიყო.

როგორც უახლოესმა მომავალმა გვაჩვენა, ეს ადამიანები არა მარტო თავიანთი არაკომპეტენტურობით გამოირჩეოდნენ, არამედ არავითარ ქრთამსა და მაქინაციას არ თაკილობდნენ და ყველაზე ნაკლებად ადარდებდათ პროტექტორის ავტორიტეტი და ღირსება.

საკუთარ მეგობრებს დაუმსახურებლად ნიშნავდა ჰარდინგი უფრო დაბალ თანამდებობებზეც. ძალაუფლების ასე ბოროტად გამოყენება პრეზიდენტ გრანტის კორუფციით გამორჩეული მმართველობის (1869-77 წლები) შემდეგ აღარავის ახსოვდა. გრანტიც სწორედ იმით იყო ცნობილი, რომ თავის ძველ მეგობრებს ურიგებდა უმნიშვნელოვანეს თანამდებობებს და თუმცა უშუალოდ მის ნესიერებაში ეჭვი არ შეუტანიათ, მისმა მეგობრებმა მეტისმეტად მოითბეს ხელი ასეთი კეთილგანწყობის შედეგად. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰარდინგი თავის ახლობლებთან ერთად თეთრ სახლში ან ვაშინგტონში მათ მიერ დაქირავებულ სახლში საკმაოდ ხშირად თამაშობდა ბანქოს და ვისკისაც მიირთმევდა, რაც მშრალი კანონის სერიოზული დარღვევა იყო. არადა სწორედ პრეზიდენტს ევალებოდა კონსტიტუციის ყველა მუხლის დაცვა. ასეთ დროს გვახსენდება რუსეთში გავრცელებული გამოთქმა, რომ „კანონები სულელებისთვისაა დანერილი“. თუ ეს გამოთქმა თვითმპყრობელური, ნახევრად ფეოდალური რუსეთისთვისაც კი მეტისმეტად ცინიკურად უღერდა, რალა უნდა ვთქვათ ამერიკაზე, რომელსაც თავი დემოკრატიის მედროშედ მიაჩნდა.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, სულ მალე, ჰარდინგმა პირადად დაურეკა სავალუტო ფონდების კონტროლის სამსახურის უფროსს, რათა გარკვეული მხარდაჭერა აღმოეჩინა მისი სიძისათვის. ჰარდინგი სისტემატურად მიმართავდა ფედერალურ

სარეზერვო სისტემას და მსგავს დამოუკიდებელ და ნახევრად დამოუკიდებელ სტრუქტურებს, რათა თავისი მეგობრები ამ ორგანიზაციებში დაესაქმებინა.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჰარდინგის მეგობართა მცირე ჯგუფმა სახლი დაიქირავა შუა ვაშინგტონში და იქიდან ანარმოებდა „საქმეების ჩანაწობას“ პრეზიდენტთან, ბუნებრივია გარკვეულ საფასურად. ფულს პრეზიდენტი კი არა ისინი იღებდნენ. სხვათა შორის, გრანტის მსგავსად არც ჰარდინგის პირადი წესიერება დაუყენებიათ ეჭვს ქვეშ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას, როცა პრეზიდენტი ხარ, მარტო შენი წესიერება სრულიადაც არ არის საკმარისი. შენი გუნდიც წესიერი ადამიანებისაგან უნდა შეადგინო, ვინაიდან მთელი პასუხისმგებლობა საბოლოოდ ლიდერს ეკისრება. ხოლო თუ ქვეყნის ლიდერს წესიერი და უნესო კაცის გარჩევა არ შეუძლია, ის არც უნდა იყოს პრეზიდენტი.

ჰარდინგის ვაიმეგობრებმა სულ მალე გამოამყლავნეს საკუთარი სახე. იგივე პოლკოვნიკი ფორბსი, თავის პარტნიორებთან ერთად, 1923 წელს დააკავეს 200 მილიონი დოლარის მითვისებისათვის. ეს ფული ძირითადად სამხედრო და ვეტერანთა ჰოსპიტლების მშენებლობისათვის იყო გამოყოფილი. ამავე დროს მან ჰოსპიტლების სხვადასხვა, რამდენიმე მილიონად შეფასებული ინვენტარი და სხვა სახის საკუთრება, ყოველგვარი ტენდერის გარეშე, მხოლოდ 600 ათას დოლარად მიყიდა ბოსტონის ერთ-ერთ კომპანიას. დაახლოებით ერთი მილიონი პირსახოცი, რომელიც სახელმწიფომ 34 ცენტად შეიძინა, ამ კომპანიას მხოლოდ 3 ცენტად მიყიდეს. როგორც დადასტურდა, ასეთი გულუხვობა ფორბსს უანგაროდ არ გამოუჩენია. როდესაც ეს ფაქტები გამოამყლავნდა ჰარდინგს მეტად მკვახე საუბარი ჰქონდა მასთან და აიძულა კიდევ იგი ელიარებინა დანაშაული. თეთრი სახლის ერთ-ერთი თანამშრომელი იმის მომსწრეც აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტი ყელში სწვდა ფორბსს და მას ყვითელი ვირთხა და ნაბუშარი უწოდა. საბოლოოდ შეათანხმდნენ, რომ ფორბსი საზღვარგარეთ წავიდოდა და, ბუნებრივია, გადადგებოდა თანამდებობიდან. მაგრამ პრეზიდენტის სიკვდილმა სხვაგვარად განავითარა მოვლენები და ფორბსს ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამ საქმეებში ფორბსის პარტნიორმა და თანაშემწემ ჩარლზ კრამერმა მისი საქმიანობის გამოაშკარა-

ვების შიშით თავი მოიკლა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ თავიც მოაკვლევინეს.

გრანდიოზული სკანდალი მოჰყვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაქინაციებსაც. 1921 წელს ალბერტ ფოლმა დაარწმუნა სამხედრო ფლოტის მდივანი დენბი შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადაეცა ნავთობით სავსე ტერიტორიები თიფოდ დომსში (ვაიომინგი) და ელკ ჰილსში (კალიფორნია) მაშინ, როდესაც ეს ნავთობი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეზერვად ითვლებოდა. ჰარდინგიმა ჩვეული უდარდელობით მოაწერა ხელი ამ საიდუმლო დოკუმენტს. ფოლმა კი სულ მალე, იჯარით, ყოველგვარი შერჩევის პროცედურების გარეშე, გადასცა ეს მიწები ბიზნესმენებს ჰარი სინკლერს — „სინკლერ ქონსოლიდებითი ოილ კომპანი“ და ედვარდ დოჰენის — „პან-ამერიქან ოილ კომპანი“. საპასუხოდ დოჰენიმ მას 100 ათასი დოლარი „ასესხა“. თუმცა ამ გარიგებაში არც თანხის დაბრუნების ვადა და არც სხვა სავალდებულო პირობები იყო მითითებული. რაც შეეხება სინკლერს, მან ფოლს მისცა 223 ათასის სახელმწიფო ობლიგაციები, 85 ათასი ნალდი ფულით და ცოცხალი საქონელი მისი რანჩოსათვის ნიუ-მექსიკოში. როგორც ვხედავთ, ქრთამის ალების თითქმის ყველა ფორმა, ძროხების ჩათვლით, სახეზე იყო. სასამართლო პროცესი დიდხანს გაგრძელდა და ფოლი მხოლოდ 1929 წელს ჩასვეს ციხეში ქრთამის ალებისათვის. მას ერთი წელი მიუსაჯეს.

ამერიკელები არა მარტო კორუფციის ფაქტმა, არამედ იმანაც აღაშფოთა, რომ იგი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეზერვებს ანუ ქვეყნის უსაფრთხოებას უკავშირდებოდა.

არც იუსტიციის მინისტრს დაუკლია. თავისი მეგობრის, ჯესი სმიტის შუამავლობით იგი აწარმოებდა ამკარად კორუფციულ გარიგებებს, ყიდდა თანამდებობებს, მსჯავრდებულთა შეწყალებებს, სპეციალურ ნებართვებს, მათ შორის, სპირტიან სასმელებზე და ამით ხელს აფარებდა ბუტლეგერებს. ამავე დროს ეხმარებოდა ომის პერიოდში უკანონოდ გამდიდრებულ ადამიანებს, გადასახადის არგადამხდელებს. ერთი სიტყვით, ეხმარებოდა ყველას, ვისი დასჯაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო.

1923 წლის მაისში ეს ყველაფერი ცნობილი გახდა პრეზიდენტისათვის, რომელმაც დაიბარა სმიტი და აიძულა ელიარებიანა დანაშაული. ამის შემდეგ კი უთხრა, რომ ხვალ მას დააპატიმ-

რებდნენ. შეშინებულმა სმიტმა თავი მოიკლა დოჰერტის ბინაში. ამავე დროს მისი და დოჰერტის ყველა დოკუმენტი დამწვარი აღმოჩნდა და საქმე თითქოს ამით ჩაიფარცხა. მაგრამ ჰარდინგის სიკვდილის შემდეგ, 1924 წელს დოჰერტი სენატში დაკითხეს. მას ბრალი დასდეს მსჯავრდებულთა უკანონო შეწყალებასა და სპირტიან სასმელებზე ლიცენზიების გაცემაში. მაშინ ხომ ამერიკში მშრალი კანონი იყო და ეს ლიცენზიები მხოლოდ სამედიცინო დანესებულებებზე და სპეციფიკურ საწარმოებზე გაციემოდა. ახალი პრეზიდენტის, კალვინ კულიჯის მოთხოვნით დოჰერტი გადადგა. 1927 წელს იგი გაასამართლეს, მაგრამ არ დააპატიმრეს, ვინაიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ შეთანხმდა მის დანაშაულზე. დოჰერტისა და სმიტის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული ასევე თომას მილერის საქმიანობა, რომელმაც გერმანელებისაგან მიიღო 50 ათასი დოლარი მათთვის ომის შედეგად წართმეული ქონების შელავათიანი პირობებით დაბრუნებისათვის.

როგორც ვხედავთ, პრეზიდენტობის დროს ჰარდინგმა ბევრი რამ გაიგო თავისი მეგობრების „კაი კაცობაზე“, მაგრამ არა ყველაფერი. თუმცა რაც იცოდა, ისიც საკმარისი იყო და სწორედ ამიტომ უნოდა მან პრეზიდენტის საქმიანობას ჯოჯოხეთი. ცნობილ ჟურნალისტს, უილიამ ალენ უაიტს მან განუცხადა „მე არავითარი პრობლემები არ მაქვს ჩემს მტრებთან, მაგრამ ჩემი წყეული მეგობრებია ის ხალხი, რომელთა საქციელი ძილს მიკარგავს“.⁵⁷ იმედგაცრუებულმა პრეზიდენტმა შეწყვიტა პოკერის პარტიები თეთრ სახლში, მეგობრებსაც განუცხადა, რომ მეტი სასმელი აღარ ჰქონდა და საერთოდ სალი თვალით დაიწყო იმ მეგობრული იდილიის შეფასება. მართალია, თვით ჰარდინგის პირადი პატიოსნება (თუ არ ჩავთვლით ვისკის სმასა და ქალებისადმი ლტოლვას) არავის დაუყენებია ეჭვს ქვეშ, მაგრამ მისი მეგობრების სახელებთან დაკავშირებულმა სკანდალებმა ძალზე შეარყია პრეზიდენტის რეპუტაცია. ბევრი თანამედროვე და შემდგომი წლების მკვლევარი თვლიდა, რომ პრეზიდენტის უეცარი სიკვდილი ალასკაში მოგზაურობისას სწორედ მისი მეგობრების ლალატმა განაპირობა. პრეზიდენტის გულმა ვერ გაუძლო ასეთ სირცხვილს. ბუნებრივია, ამ დაუდევრობამ და შეცდომებმა უდიდესი ზიანი მიაყენა რესპუბლიკური პარტიის იმიჯს და საერთოდ ამერიკის მთავრობასა და ამერიკულ დემოკრატიას.

ასეთი ფაქტები, მნიშვნელოვანწილად, ენ პატრონაჟის სისტემის გადმონაშთი იყო, რომლის მიხედვითაც არჩევნებში გამარჯვებული პარტია ინანილებდა ფედერალურ თანამდებობებს. 1831 წელს, გაახმოვანა რა პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონის მოსაზრებები, სენატორმა მარსიმ ძველი ანდაზა გაიხსენა „ნადავლი გამარჯვებულთ ეკუთვნით“. გამარჯვებულნი ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ამომრჩეველთათვის დაპირებული პოლიტიკის წარმატებულად გასატარებლად მათ თანამოაზრეები სჭირდებოდათ. ენ. „ნადავლის სისტემა“ (spoil system) განსაკუთრებით გავრცელდა აბრაჰამ ლინკოლნის დროს. რაც, ალბათ, არც იყო გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი პრეზიდენტობა თითქმის სრულად დაემთხვა სამოქალაქო ომის პერიოდს და აქ თანამოაზრეობას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მშვიდობიან პერიოდში სულ უფრო იკვეთებოდა ამ სისტემის უსამართლობა და არაეფექტურობა. ჯერ ერთი, ყოველი არჩევნების შემდეგ მოხელეთა ცვლა, ცუდად მოქმედებდა მათი შრომის ხარისხზე. კარგ მოხელედ ჩამოყალიბებას წლები სჭირდება და მათი ხშირი შეცვლა ახალი კადრებით ამ კვალიფიკაციის დაკარგავას ნიშნავს. ახალმა მოხელემ კვლავ ბევრი დრო უნდა დახარჯოს შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად. იკარგება დრო და შრომის ხარისხი, რაც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას. უსამართლობაა ისიც, რომ ადამიანის საქმიანობას პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით აფასებენ, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს დემოკრატიასთან და ამკარად დისკრიმინაციული ქმედებაა. ამავე დროს ასეთი სისტემა არაეფექტურიც არის, ვინაიდან კადრებს არჩევენ არა ნიჭის, უნარისა და გამოცდილების მიხედვით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირადი და პოლიტიკური ერთგულების ნიშნით. არადა, ლოიალობა და ჭკუა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ პარტიული განსხვავებულობა სრულებითაც არ ნიშნავს მტრობას, ყოველ შემთხვევაში, დემოკრატიულ სახელმწიფოებში. სწორედ ამიტომაც 1883 წელს კონგრესმა მიიღო სამოქალაქო სამსახურის რეფორმის აქტი, რომელიც ამ კანონპროექტის ინიციატორის, ჯორჯ პენდელტონის კანონის სახელითაც არის ცნობილი. ამ კანონის მიზანი პატრონაჟის სისტემის გავლენის შემცირება იყო. ამიერიდან სახელმწიფო მოხელეთა შერჩევა თანასწორი, სამართლიანი და, რაც მთავარია, არაპარტიული პრინციპით ჩატ-

არებული კონკურსის მიხედვით უნდა მომხდარიყო. შეიქმნა სამკაცციანი, ორპარტიულობის პრინციპზე ჩამოყალიბებული სამოქალაქო სამსახურის კომისია, რომელიც 1978 წლამდე მოქმედებდა. თავდაპირველად კომისიის საქმიანობამ ფედერალურ მოხელეთა 10 პროცენტი მოიცვა, საბოლოოდ კი მოხელეთა 90 პროცენტს შეეხო. ახალ სისტემას ღირსებათა, დამსახურებათა სისტემა დაარქვეს (merit system). ამ კანონის წყალობით პატრონაჟის ტრადიცია სერიოზულად შეირყა, მაგრამ ჰარდინგის ეპოქამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი ცხოველმყოფელობა.

ბრძოლა თანამდებობისათვის მიმდინარეობდა ყველა დონზე. ამ მხრივ მეტად საინტერესოა აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში ჩვენს მიერ მოძიებული მრავალი დოკუმენტი, რომელიც მაშინდელ ვითარებას ასახავს. 1922 წლის 10 ივნისს რესპუბლიკელი კონგრესმენი ლ. ექოლსი წერდა სენატორ დეივისს ელკონსს, რომ „თანამდებობების დანაწილებისას რესპუბლიკელები კიდევ უფრო იჩაგრებიან მის ოლქში, დასავლეთ ვირჯინიაში, ვიდრე დემოკრატების დროს. ასე თუ გაგრძელდა, მე ველარ ამირჩევნო.“ წერილის ავტორი კონკრეტულად ვეტერანთა ბიუროს ადმინისტრაციას უჩიოდა, რადგან რესპუბლიკელი ექიმების მაგივრად მან სამსახურში დემოკრატები აიყვანა. ექოლსი ახსენებდა ამ სენატორს, რომ იგი და სენატორი საზერლენდი, პატრონაჟის ტრადიციის თანახმად, რეკომენდაციებს პირდებოდნენ თავის მომხრე რესპუბლიკელ ექიმებს, მაგრამ მათი არც ერთი რეკომენდაცია არ იყო გათვალისწინებული ქალაქ ჩარლსტონის ვეტერანთა ბიუროს განყოფილების დაკომპლექტებისას, სადაც ექიმთა პერსონალის 75 პროცენტი დემოკრატები იყვნენ.⁵⁸

ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა 1921 წლის 5 ოქტობრის, უშუალოდ ჰარდინგის წერილი პუერტო რიკოს მმართველ რეილისადმი. ეტყობა, ჰარდინგს მართლაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა ამ კაცთან ან ეს მართლაც მისი გულთბილი ხასიათიდან გამომდინარეობდა, მაგრამ პრეზიდენტი უდიდეს ბოდიშს უხდიდა მას, რომ ვერ დაეხმარა მისურის შტატში მისი ახლობლის, ვინმე პეკის საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის საქმეში. ჰარდინგი აღნიშნავდა, რომ კარგად ესმოდა რეილის ერთგულება მეგობრების და მიმდევრების მიმართ და სავსებით უთანაგრძნობდა მის მცდელობას დაენიშნა ისინი ფედერალურ თანამდებობზე, მაგრამ

პატრონაჟის სისტემა აიძულებდა, აღნიშნულ საქმეში მისურის სენატორის მოსაზრება გაეთვალისწინებინა. სენატორი კი სხვა კანდიდატურის მომხრე იყო და ჰარდინგიც იძულებული გახდა დათანხმებოდა. მაგრამ პრეზიდენტი პირდებოდა, რომ აუცილებლად დაავალდებულებდა სენატორს რეილის პროტეჟე სხვა, შესაფერის თანამდებობაზე დაენიშნა და საერთოდ რეილის მომხრეები აეყვანა სამსახურში. ჰარდინგმა წერილი უზომო ბოდიშით დაასრულა.⁶⁰ მსგავსი წერილები უამრავია ჰარდინგის საქალაქურში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰუვერისა და მელონის სახით, ჰარდინგის ადმინისტრაციაში გამორჩეული ადამიანებიც იყვნენ. სწორედ მათი საქმიანობის შესწავლის მეშვეობით, ალბათ, მართებული იქნება ჰარდინგის ადმინისტრაციის დადებითი მხარეებიც განვიხილოთ, მით უმეტეს, რომ მათ მოღვაწეობაში კარგად აისახა მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი მოვლენები და ტენდენციები. დავინწყოთ ჰერბერტ ჰუვერის, მართლაც რომ არაორდინალური, მოღვაწეობით ამერიკის ვაჭრობის მინისტრის პოსტზე. სხვათა შორის, ფილანტროპული საქმიანობა სახელმწიფო დახმარების სფეროში ჰუვერს მინისტრობის დროსაც არ შეუწყვეტია. მარტო რუსეთში 1921-23 წლებში მისი მეშვეობით ამერიკის დახმარების ასოციაციამ 60 მილიონი დოლარის საკვები გაგზავნა და 10 მილიონამდე ადამიანი გადაარჩინა შიმშილით სიკვდილს.

ბუნებრივია, ვაჭრობის მინისტრი, თუნდაც ამერიკის, ის ფიგურა არ არის, რომელმაც საყოველთაო ყურადღება უნდა მიიპყროს. მაგრამ ჰუვერმა ამ პოსტზე ისეთი დაუდგრომელი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა გააჩაღა, რომ უზომოდ გაზარდა ამ სამინისტროს მნიშვნელობა და ავტორიტეტი და ოციანი წლების ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და დაფასებული პოლიტიკური მოღვაწე გახდა. 1924 წელს აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა კალვინ კულიჯმა აღიარა კიდევ ნიუ-იორკელი ჟურნალისტების წინაშე, რომ „ჰუვერი ყველაზე უფრო ახლოს არის ამერიკელი ხალხის არსთან და ბუნებასთან, ვიდრე რომელიმე სხვა საზოგადო მოღვაწე“.⁶¹

პრეზიდენტისადმი გაგზავნილ დეპეშაში, სადაც იგი ვაჭრობის მინისტრობაზე თანხმობას აცხადებს, ჰუვერმა რამდენიმე პირობა და მოსაზრება ჩამოაყალიბა:

1. სამინისტროს სერიოზული რეორგანიზაცია და რეალური მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

2. ყურადღების გამახვილება სტანდარტიზაციის საკითხზე.

3. რეალური თანამშრომლობა შრომის სამინისტროსთან შრომის ბაზარზე არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.

4. მოხალისეთა უფრო აქტიური ჩართვა და, რასაკვირველია, პრეზიდენტის აქტიური მხარდაჭერა.⁶²

როგორც პ. ჰუვერის ბიოგრაფი დევიდ ბერნერი წერდა, „ჰუვერის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო თავისუფალი ინდივიდუალური ინიციატივის გაერთიანება. ბიზნესისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ენერჯის ძალდაუტანებლად, მაგრამ ეფექტურად წარმართვა ეროვნული მიზნების განსახორციელებლად“.⁶³

დანიშნვიდან სულ რაღაც 5 დღეში ჰუვერმა შექმნა საინფორმაციო სამსახური, რომელიც, ზოგადეროვნული მასშტაბით, პროპაგანდას უწევდა სამინისტროს მრავალ ძველ და ახალ ფუნქციას, ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას ამერიკული ეკონომიკისათვის. დანიშნვიდან ერთი თვის შემდეგ ჰუვერმა შეკრიბა აშშ-ის ბიზნესის, პროფკავშირების და სოფლის მეურნეობის ცნობილი მოღვაწეები სამინისტროს მრჩეველთა საბჭოში. ამით იგი ცდილობდა სამინისტროსა და დაინტერესებული ჯგუფების საქმიანობის უკეთ კოორდინირებას ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

ჰუვერმა საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბიუროს დირექტორის თანამდებობაზე მოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ლათინური ამერიკის ისტორიის პროფესორი იულიუს კლეინი, რომელმაც დიდი ღვაწლი შეიტანა სამინისტროს საქმიანობაში. როდესაც ჰუვერი პრეზიდენტი გახდა კლეინი ვაჭრობის მინისტრის თანაშემწედ დანიშნა. კარგად იყო ცნობილი მისი ყოველკვირეული რადიოგამოსვლები, რომლებშიც კლეინი ამერიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა საკითხს განიხილავდა, მრავალ სასარგებლო რჩევებს აძლევდა როგორც ბიზნესმენებს, ასევე სხვა სფეროში მოღვაწე ამერიკელებს. ამ რადიოგამოსვლების ტექსტები ჰუვერის ინსტიტუტის არქივშია დაცული და არა მარტო იმ ეპოქის ცხოვრების ამსახველ შესანიშნავ პირველწყაროს, არამედ პოლიტიკური მოღვაწის საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურისა და უნარის შესანიშნავი მაგალითია.⁶⁴

1923 წლისთვის ჰუვერმა იმდენი მოახერხა, რომ ფინანსთა სამინისტროსაგან გადმოიბარა სტატისტიკის ბიურო, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან — მაღაროებისა და საპატენტო სამსახური.

ჰუვერი თვლიდა, რომ რიგი უწყებები ჯეროვნად ვერ იყენებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს და ცდილობდა მათ დაქვემდებარებას. ბუნებრივია, კოლეგები ასე ადვილად არ ეთანხმებოდნენ ჰუვერის საკმაოდ საკამათო პოზიციას და მას „მეკობრეობას“ აბრალებდნენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ე. წ. მიტაცებული სამსახურები მან მართლაც უფრო ეფექტიანად აამუშავა. ჰუვერმა სცადა აგრეთვე შრომის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული სტატისტიკური ინფორმაციისა და სამსახურის თავის სამინისტროში გადმოყვანა, მაგრამ ეს უკვე ველარ მოახერხა.

თუმცა იყო მომენტები, როდესაც იგი თავად აცხადებდა უარს თავისი სამინისტროსადმი, მისი აზრით, ზედმეტი და მიუღებელი ფუნქციების გადაცემაზე. მაგალითად, იგი წინააღმდეგი იყო, რომ ვაჭრობის სამინისტროსათვის აშშ-ის საზღვაოსნო საბჭოსა ან ფლოტის საგანგებო კორპორაციის ფუნქციები გადაეცათ, რადგან მიაჩნდა, რომ მთავრობა მინიმალურად უნდა ერეოდეს საოკეანო გადაზიდვის ფასების კონტროლის საქმეში. არადა დასახელებული საბჭო სწორედ ამ ამოცანას ემსახურებოდა.⁶⁵

ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც 1921 წელს წარმოადგენდა დაქსაქსულ ტექნიკურ ბიუროთა კრებულს, 1928 წლისთვის გადაიქცა ძლიერ და ქმედით, ერთი მიზნისთვის მომუშავე 1600 კაციან ორგანიზაციად. ჰუვერი ყველაფერს აკეთებდა, რათა ბიზნესი სასარგებლო ინფორმაციით მოემარაგებინა. სამინისტროს მიერ გამოცემული ყოველთვიური მიმდინარე ბიზნესის მიმოხილვა 1921 წლიდან გამოდიოდა და სამინისტროს მიერ მოძიებული და დახარისხებული უახლესი ინფორმაციით დაახლოებით 19 000 ფირმას ამარაგებდა. მათ შორის იყო, ინფორმაცია ვაჭრობისა და წარმოებული პროდუქციის, მფლობელობაში და მოძრაობაში მყოფი აქციების, ფასების ცვალებადობაში არსებული ტენდენციების, ჩამოფასების მასშტაბების და ფულის ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ.

კომპანია „გუდიერის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის დაფუძნების შემდეგ ამ გამოცე-

მის გავრცელება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამერიკის სამრეწველო ცხოვრებაში. 1922 წლიდან ვაჭრობის სამინისტრო უკვე ყოველკვირეულად აგზავნიდა ინფორმაციას 160 გაზეთში. 1923 წელს ფ. სერფისის ხელმძღვანელობით შეიქმნა საშინაო კომერციის განყოფილება, რომელიც ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრის შესაძლებლობების შესახებ აკეთებდა მიმოხილვას.

ჰუვერს მთავრობის სხვა წევრებზე უკეთ ესმოდა კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობა და დაუზარებლად მუშაობდა ამ მიმართულებით. ჰუვერის ცნობილი მკვლევარის რობერტ მურეის აზრით, „პაბლისიტი“ ჰუვერისათვის აღზრდას ნიშნავდა, ანუ საზოგადოების აღზრდას თანამშრომლობისა და პარტნიორობის სულისკვეთებით, ბიზნესმენტა აღზრდას საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ჰუვერმა და კლეინმა შექმნეს სავაჭრო წარმომადგენლობები როგორც მთავარ ამერიკულ ქალაქებში, ასევე საზღვარგარეთ. ისეთ ადგილებშიც კი როგორც იყო ესტონეთი, ლატვია, ბატავია, ტიანცინი და სხვა. ჰუვერის მინისტრობის პერიოდში ასეთი წარმომადგენლობების რიცხვი საზღვარგარეთ 23-დან 58-მდე გაიზარდა, ამერიკაში კი 7-დან 29-დღე. ბუნებრივია, კლეინის უწყების ბიუჯეტი ძალზე გაიზარდა. ბიუროს საინფორმაციო საქმიანობა არა მარტო ქვეყნების, არამედ პროდუქციის მიხედვით ხარისხდებოდა. მაგალითად, საავტომობილო წარმოებას ურჩევდნენ მეტი საზღვარგარეთული ოფისი შეექმნა და ამავე დროს ამარაგებდნენ ინფორმაციით რეგიონის თუ ქვეყნის ბაზრის, ადგილობრივი კანონების შესახებ, მაგალითად, იმპორტის რეგულირების სფეროში. საერთაშორისო ეკონომიკურ ინფორმაციას სამინისტრო ავრცელებდა შემდეგი გამოცემების მეშვეობით: „რა უნდა მსოფლიოს“, „მსოფლიო ვაჭრობის თეიური შეჯამება“, „ექსპორტიორის ინდექსი“, „საკვები პროდუქციის საკითხები მსოფლიოში“ და სხვა. იყო აგრეთვე სპეციალური გამოცემები, მაგალითად „სიზალთან დაკავშირებული ვითარება იუკოტანში“ ან „შავი ზღვის სავაჭრო გასასვლელები“ და სხვა.

ამ ინფორმაციას მილიონობით დოლარის მოგება მოჰქონდა. მაგალითად, სწორედ მათი საქმიანობის შედეგად 1922 წელს მოინახა კალიფორნიული ბრინჯის ზედმეტი პროდუქციის გასაღების ბაზარი.

ჰუვერის წყალობით სახელმწიფო დეპარტამენტთან მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ვაჭრობის სამინისტროს შეუთანხმებდნენ საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის უცხოურ სესხებს, ომის ვალებს და სავაჭრო ხელშეკრულებებს. ეს ჯერ კიდევ 1921 წელს თეთრ სახლში მონვეული კონფერენციების შედეგი იყო. თუმცა ჰუვერის ყველა წამოწყებას განხორციელება არ ეწერა. ბევრ საკმაოდ გავლენიან ბიზნესმენსა თუ პოლიტიკოსს (მაგალითად, ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ოლქის ხელმძღვანელი ბ. სტრონგი, ვირჯინიის სენატორი კ. გლასი, ჟურნალ „ნიუმენ“-ის რედაქტორი ლ. განეტი) მიაჩნდა, რომ ჰუვერის პროგრამა ეწინააღმდეგებოდა კაპიტალის ტრადიციულ თავისუფლად მოძრაობის, ამ შემთხვევაში, გადინების უფლებას.

საერთოდ ჰუვერი თვლიდა, რომ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში ამერიკულ ინვესტიციებს უნდა გაეძლიერებინა უცხოური ქვეყნების ეკონომიკა. მაგრამ ეს არ იყო ქველმოქმედება, ეს იყო წმინდა წყლის პრაგმატიზმი, ვინაიდან გაუმჯობესებული ეკონომიკური შესაძლებლობები საშუალებას მისცემდა ამ ქვეყნებს მეტი ამერიკული პროდუქცია შეესყიდა და, ამავე დროს, ომის ვალებიც გაესტუმრებინათ.

ჰუვერი ეწინააღმდეგებოდა ამერიკულ სესხებს შეიარაღებისათვის და საერთოდ რისკიანი სესხების წინააღმდეგი იყო, ვინაიდან, თუ რისკი არ გაამართლებდა, გაცემული თანხის დაუბრუნებლობას ამერიკის სამხედრო ინტერვენციის პროვოცირება შეეძლო.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს უდიდესი ყურადღება ექცეოდა. ჰუვერის ინსტიტუტის არქივში დიდი რაოდენობის დოკუმენტია გრიფით — საიდუმლო და განსაკუთრებით საიდუმლო, რომლებიც სახელმწიფო დეპარტამენტის საკუთრებას წარმოადგენდა და ხშირად სწორედ საგარეო უწყების ხელმძღვანელისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა თანდათანობით ჩნდებოდა უშუალოდ ჰუვერის სახელზე გამოგზავნილი დოკუმენტებიც.⁶⁷

განსაკუთრებით გამოირჩევა ნავთობის პრობლემისადმი მიძღვნილი დოკუმენტების კრებული, რომელშიც ნათლად იკვეთება აშშ-ის უდიდესი დაინტერესება ამ მიმართულებით. მაგალითად, შეთანხმების პროექტი შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობასთან 1921-22 წლებში სახალინზე ნავთობის ძიების სა-

მუშაოების ჩატარებისა და შესაბამისი კონცესიის შესახებ. იმავე დოკუმენტებშია იტალიაში აშშ-ის დროებითი რწმუნებულის წერილი სახელმწიფო მდივნისადმი, რომელშიც იგი ასახავს 1921 წლისთვის ალბანეთში არსებული ნავთობის საბადოებთან დაკავშირებულ ვითარებას და დიდი ევროპული სახელმწიფოების აქტიურობას ამ მიმართულებით. ამ წერილის პათოსი მიმართულია იქითკენ, რომ აშშ არ უნდა ყოფილიყო პასიური ამ რეგიონში.

ერთ-ერთ დოკუმენტში ინგლისის ელჩი არწმუნებდა ამერიკის სახელმწიფო მდივანს, რომ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია თითქოს ინგლისმა მიიტაცა აქტივების ერთი მეოთხედი თურქეთის ნავთობის კომპანიაში, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და ეს წილი საფრანგეთს გადაეცა. მსგავსი ხასიათის დოკუმენტში კი აშშ-ის კონსული სიჩუანში, კლარენს სპაიკერი ამცნობდა ამერიკის ელჩს ჩინეთში სიჩუანის ადგილობრივ ხელისუფლებასა და ამერიკელ ბიზნესმენს შორის დადებული შეთანხმების შესახებ ნავთობის ერთობლივ მოპოვებასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად გამოთქვამდა ეჭვს, წარმოადგენდა კი ეს ბიზნესმენი სერიოზულ კომპანიას და მით უმეტეს, რომ იგი ამერიკის კი არა, კანადის მოქალაქე აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, თუ რა ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ამერიკელი დიპლომატები ბრიტანელთა გაძლიერებას ირანის ნავთობის ბიზნესში. მაგალითად, ერთ დოკუმენტში საუბარია რუსეთის იმპერიის ყოფილ ქვეშევრდომთა, ქართველ ბიზნესმენტთა (კომპანიის ხელმძღვანელი იყო ხოშტარია, დანარჩენი წევრები კი ჯაყელი, მანულაშვილი, იოსელიანი, დადიანი, კვიციანი) მფლობელობაში ომის დროს მიღებული კონცესიის მიყიდვაზე ინგლის-ირანული ნავთობკომპანიისადმი 200 000 გირვანქა სტერლინგად. კონფიდენციალურ წერილში აღნიშნულია ინგლის-ირანული კომპანიის საქმიანობა, მის წინაშე არსებული პრობლემები და სხვა. მაგრამ მთავარია ამ დოკუმენტებში გამოხატული ამერიკელ დიპლომატთა შეშფოთება, რომ ბრიტანულისაგან განსხვავებით, ამერიკის მთავრობა ბევრად ნაკლებ ინტერესს იჩენდა ნავთობის მოპოვების რეგიონებისადმი.

ამერიკელები იმასაც დარდობდნენ, რომ ფრანგული კაპიტალი აქტიურად იყო ჩართული პოლონეთის ნავთობის მომპოვებელ ბიზნესში გალიციაში. აღარაფერს ვამბობთ ნავთობზე ლათინური

ამერიკის ქვეყნებში, სადაც ამერიკა ტრადიციულად გაბატონებული იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა უშუალოდ ჰუვერისადმი მიმართული წერილები, რომლებშიც ამერიკული ბიზნესი სამთავრობო მხარდაჭერას თხოვდა ვაჭრობის მინისტრს საერთაშორისო ბაზარზე შესაღწევად. მაგალითად, როგორც „ვაკუუმ ოილ კომპანის“ პრეზიდენტი აღნიშნავდა, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ყოველნაირად ზღუდავენ ყველა სხვა მოქალაქეთა აქტიურობას მათ მეტროპოლიებსა თუ კოლონიებში. შესაბამისად, იგი ამერიკის მთავრობის მხარდაჭერას ითხოვდა უცხოურ, ამჯერად ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიების ბაზრებზე შესაღწევად. ნიუ ჯერსის „სტანდარტ ოილ კომპანის“ პრეზიდენტი უ. ტიგლი სთხოვდა ჰუვერს მხარდაჭერას რუმინეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაშიც, რათა მისი კომპანია ჩართულიყო რუმინულ ნავთობმოპოვებაში.

ასეთი წერილები უხვად იყო და მათ შესაბამისად მოჰყვებოდა ჰუვერის შუამდგომლობა სახელმწიფო მდივანთან, რათა მის უწყებას ყველა ძალა ეხმარა ამერიკელი ბიზნესმენების მხარდასაჭერად. მართლაც, ხშირად ამერიკული ბიზნესი იღებდა ამ მხარდაჭერას და, ბუნებრივია, ჰუვერის მადლიერიც იყო.⁶⁸ თანაც ეს მხოლოდ 1921-22 წლების დოკუმენტებია ანუ ჰუვერის მოღვაწეობის საწყისი ეტაპი. შემდგომში ამერიკული დიპლომატიის ამერიკული ბიზნესის სამსახურში ჩაყენება და ცალკეული კომპანიების მფარველობა ამა თუ იმ ქვეყანაში ჰუვერმა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა.

უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჰუვერმა ზოგადეროვნული საწარმოო სტანდარტების შემუშავებაში. იგი აქტიურად თანამშრომლობდა სავაჭრო ასოციაციებთან. 1921-24 წლებში სტანდარტების შემუშავების მიზნით, სამინისტროს მხარდაჭერით, 90-მდე კონფერენცია მოეწყო და 229 კომიტეტი მუშაობდა სტანდარტიზაციის საკითხებზე. სტანდარტების ზოგადეროვნული ბიურო, რომელიც 1901 წელს ზომანონის სტანდარტების დანერგვისას დაარსდა, ჰუვერის ხელშეწყობით მრავალი სამეცნიერო და სამრეწველო კვლევის ცენტრად იქცა.⁶⁹ როგორც ჰუვერის თანამშრომელი ედვარდ ჰანტი წერდა,

სტანდარტების ბიუროს ბიზნესისა და ხალხის სამსახურში ჩაყენება ჰუვერის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითად, გზის მოსაკირნელი ფილების საერთო სტანდარტების შესამუშავებლად შექმნილმა სპეციალურმა კომიტეტმა მოიწვია კონფერენცია, სადაც მრავალი ფედერალური, შტატის და მუნიციპალური სამსახურების ინჟინრები შეკრიბეს. კონფერენციის შედეგად 66 სხვადასხვა სახის ფილის მაგივრად მხოლოდ 11 ტიპის ფილა შეირჩა, ბოლოს კი მხოლოდ 5 კატეგორიის ფილაზე შეთანხმდნენ. მომზადდა აგრეთვე მიმოხილვა ავეჯის ნარმოების სფეროში და აღმოჩნდა, რომ ამერიკაში 78 სხვადასხვა ზომის სანოლები მზადდებოდა. შეიკრიბა კონფერენცია, რომელზეც მწარმოებლები, გამყიდველები და მყიდველებიც იყვნენ და საბოლოოდ 4 სტანდარტულ ვარიანტზე შეთანხმდნენ: ერთი სრული ზომა, სამი მეოთხედი, ნახევარი ზომა და ორმაგი ლოგინი. სიგრძე ყველას ერთნაირი დარჩა. მსგავსი კონფერენციების მეშვეობით შეიქმნა მრავალი ნაწარმის ზოგადეროვნული სტანდარტი. მაგალითად, 78 სხვადასხვა ზომის ზენრის მაგივრად 12 ზომა დარჩა, სამშენებლო აგურის 44 სახეობა ერთ სახეობამდე დაიყვანეს, საავადმყოფოების ლოგინები 34 სხვადასხვა ზომიდან — 2 ვერსიამდე, საპირფარეშოსა და ხელსაბანისათვის საჭირო ლითონის ტრაპების 1114 ნაირსახეობა — 72-მდე, საღებავი ჯაგრისების 480 ვარიანტი — 138-მდე, ფოლადის საკეტების 65 ზომა — 17-მდე და ა. შ.⁷⁰ ალბათ, ძნელია ღირსეულად შეფასდეს აღნიშნული საქმიანობა, რომელიც ზოგი თანამედროვის აზრით, ჰუვერის მთავარ და უდიდეს მიღწევად უნდა ჩათვლილიყო მისი ვაჭრობის მინისტრის პოსტზე მუშაობისას.⁷¹

საერთოდ, ჰუვერი დიდ იმედებს ამყარებდა სხვადასხვა სახის კონფერენციებზე, რომლებიც, როგორც იმავე სტანდარტების საკითხში გამოჩნდა, ძალზე ხშირად იმართებოდა. ამ კონფერენციების მიზანი იყო, რომელიმე მნიშვნელოვან სოციალურ ან ეკონომიკურ საკითხზე შეეგროვებინა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ამის საფუძველზე ჩამოეყალიბებინათ პრობლემის გადანყვეტის ვარიანტები საკანონმდებლო, აღმასრულებელ ან კერძო სფეროში და გაეგრცვლებინათ ეს ინფორმაცია დაინტერესებულ ჯგუფებში. მსგავსი კონფერენციების გზით ჰუვერი ცდილობდა ქვეყნისათვის

საჭირო ღონისძიებების გატარებას დარწმუნებით და არა ღირეპტივებით.

ჰარდინგი, ხედავდა რა ჰუვერის ასეთ შემოქმედებით უნარს, მას უამრავ სხვა სფეროშიც იყენებდა და იგი მის მრჩეველად იქცა თითქმის ყველა საკითხში. ჰარდინგმა იგი მდინარე კოლორადოს კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა (წყლით სარგებლობის წესები და უფლებანი 7 შტატში). 1922 წელსვე დანიშნა მთავარ მომრიგებლად მალაროელთა და მალაროს მფლობელთა შორის არსებულ დავაში.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ჰუვერმა აიძულა აშშ-ის ფოლადის კორპორაციის ხელმძღვანელობა უარი ეთქვა 12-საათიან სამუშაო დღეზე. ჯერ კიდევ 1919 წლის უდიდესმა გაფიცვამ ცხადყო ფოლადის წარმოებაში არსებული შრომის ძალზე მძიმე პირობები. ამ სფეროს მენარმეთა განსაკუთრებულ კონსერვატიზმზე ის მიანიშნებდა, რომ ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ 12-საათიანი სამუშაო დღის გაუქმებას, რაც უკვე ყოვლად მიუღებელი ხდებოდა და რამაც მთავრობის ყურადღებაც მიიქცია. რეფორმების აუცილებლობას ფოლადის ბიზნესის მესვეურთა ნაწილიც ხედავდა, მაგრამ ძალზე დიდი ძალისხმევა აღმოჩნდა საჭირო, მათ შორის, უმაღლეს სახელმწიფო დონეზეც, რათა გარკვეული პროგრესისათვის მიეღწიათ. ამ ბრძოლაში მთავრობის მხრიდან სწორედ ჰუვერი იყო მთავარი ინიციატორი და დამრტყმელი ძალაც. სწორედ ჰუვერის დაჟინებული მოთხოვნით, პრეზიდენტმა ჰარდინგმა ამერიკის ფოლადის მთავარ მწარმოებელს „იუნაითედ სტიელს სტილ კორპორეიშენის“ ხელმძღვანელს, მოსამართლე ელიოტ გერის სთხოვა 12-საათიანი სამუშაო დღის გაუქმება, თუმცა უშედეგოდ.

მაშინ ასევე ჰუვერის რეკომენდაციით, პრეზიდენტმა 1922 წლის 18 მაისს თეთრ სახლში სადილად მიიწვია ფოლადის წარმოებაში ჩართული 41 უმაღლესი რანგის მენარმე და ოფიციალური პირი, რასაკვირველია, ელიოტ გერის ჩათვლით. მთავრობას, ჰუვერის გარდა, ფინანსთა მინისტრი მელონი და შრომის მინისტრი დევისი წარმოადგენდნენ.

სადილის მსვლელობისას ჰუვერი სტატისტიკური მონაცემებისა და საკუთარი გამოთვლების მეშვეობით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სამუშაო საათების შემცირება უფრო ეფექტიანს

გახდიდა მუშათა შრომის ნაყოფიერებას. მაგრამ მისმა სტატისტიკამ მენარმეები ვერ დაარწმუნა, უფრო მეტიც, მათ ჰუვერის გამოსვლა ზენოლის მცდელობად მიიჩნიეს და სადილის მიტოვებასაც კი აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს ჰარდინგის დიპლომატიურმა მოქმედებამ და კომპრომისულმა წინადადებამ გადაარჩინა ეს შეხვედრა ასეთი სკანდალური ფინალისაგან. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ გერის ხელმძღვანელობით იმუშავებდა სპეციალური კომიტეტი და იფიქრებდა მთავრობის ინიციატივის შესახებ.

მართალია, ამერიკულმა პრესამ მხარი ადმინისტრაციას დაუჭირა, მაგრამ გერის კომიტეტზე ამან სრულებით არ მოახდინა ზეგავლენა და თითქმის ერთი წლის დუმილის შემდეგ, 1923 წლის 25 მაისს, კომიტეტმა ოფიციალურად განაცხადა უარი სამუშაო დღის შემცირებაზე. ასეთმა შეუვალობამ, მიღწეული შეთანხმების ცინიკურმა დარღვევამ და ბოლოს და ბოლოს თვით პრეზიდენტის პრესტიჟის ასეთმა შელახვამ აღაშფოთა, შეიძლება ითქვას გაამძვინვარა, ბუნებით რბილი ხასიათის ჰარდინგი და მან ამჯერად ყოველგვარი შესწორების გარეშე გააგზავნა ჰუვერის მიერ მომზადებული წერილი კომიტეტისადმი, რომელშიც კიდევ ერთხელ, და ამჯერად მეტად კატეგორიული ფორმით, იმეორებდა თავის მოთხოვნას დაუყოვნებლივ გაეუქმებინათ 12-საათიანი სამუშაო დღე. როგორც ჩანს, ამან შეაშინა მეფოლადეები და 27 ივნისს მათ, ალბათ, არც თუ დიდი ენთუზიაზმით, მისწერეს პრეზიდენტს — „ვითვალისწინებთ რა საზოგადოებრივ აზრს და განსაკუთრებით კი თქვენს პირად მოსაზრებას, ჩვენ უახლოეს მომავალში გამოვაცხადებთ 12-საათიანი სამუშაო დღის გაუქმებას.“⁷²

თუ ჰუვერის საქმიანობაზე ვისაუბრებთ შრომითი ურთიერთობის სფეროში აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი უდიდესი ღვაწლი 1921 წელს უმუშევრობის საკითხის შემსწავლელი კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით. ჰუვერი ძალზე აქტიურად ჩაება ომის შემდგომი უმუშევრობის (დაახლოებით 5 მილიონი) დაძლევისათვის მიმართულ საქმიანობაში. საინტერესოა, რომ ამ პრობლემის დაძლევის მცდელობაში სწორედ ჰუვერი იყო წამყვანი პიროვნება და არა შრომის მინისტრი დევისი. საერთოდ, ალბათ, ჰუვერზე ითქმოდა, რომ თანამდებობა კი არ ქმნის კაცს, არამედ კაცი ქმნის თანამდებობას. სწორედ ჰუვერის და არა დევისის ინიციატივით შეიკრიბა ეროვნული კონფერენცია უმუშევრო-

ბის პრობლემებზე. საინტერესოა, რომ, როდესაც ჰუვერმა კონფერენციაზე მოწვეულთა სია აჩვენა უ. ჰარდინგს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დელეგატთა შორის არასაკმარისი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი ქალები და სანამ ჰუვერმა ეს ხარვეზი არ შეასწორა თავისი თანხმობა არ მისცა.

უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტას ჰუვერი ინდივიდუალისტური მეთოდებით ანუ სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის გზით ფიქრობდა. მას მიაჩნდა, რომ იგი წარმოების უკეთ ორგანიზაციისა და მენარმეთა და მშრომელთა ნებაყოფლობითი თანამშრომლობით უნდა გადაწყვეტილიყო.

ამავე მოსაზრების საფუძველზე უმუშევრებისადმი დახმარებას იგი ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო ორგანიზაციებისა და ინდივიდუუმების საქველმოქმედო საქმიანობაში ხედავდა.

ჰუვერმა სასწრაფოდ შექმნა უმუშევრობის საკითხთა ბიურო ვაჭრობის სამინისტროში. ამ კომიტეტის მეშვეობით შტატისა და ადგილობრივი ხელისუფლება, ადგილობრივ ბიზნესთან ერთად, ცდილობდა სამუშაო ადგილების შექმნას, შეიმუშაებდა ახალ პროექტებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ჰუვერი არ ეთანხმებოდა კლასიკურ კონსერვატულ ფორმულას, რომელიც ფედერალური ხელისუფლების სრულ უმოქმედობას გულისხმობდა და მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ფედერალური ბიუჯეტით დაფინანსებული ე.წ. საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, განსაკუთრებით გზების მშენებლობა. იგი წინააღმდეგი იყო ძველი ფორმულისა, რომ შეემცირებინათ ხელფასები და ფასები, სანამ ვითარება თვითონ არ მოწესრიგდებოდა.

საბოლოოდ, კონფერენციის კომისიებმა საკმაოდ სერიოზული რეკომენდაციები შეიმუშავეს ჰუვერის სტილში და ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩააბეს ამ საქმიანობაში. შეიქმნა უმუშევრობის 209 ბიურო. თუმცა დიდ ქალაქებში ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესის რესურსები მალე ამოიწურა, კერძოდ კი, 1922 წლის შემოდგომაზე. მაგრამ საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდა 1921 წელს კონგრესის მიერ მიღებული ფედერალური გზების კანონი, რომელიც ახალი ავტოსტრადების მშენებლობის ხარჯების ნახევარს ფედერალურ მთავრობას აკისრებდა. შემდგომში ჰუვერი ამტკიცებდა, რომ კონფერენციის რეკომენდაციების შედეგად დაახ-

ლოებით ერთნახევარმა მილიონმა კაცმა იშოვა სამუშაო, მაგრამ მისი ბიოგრაფი და მეხოტბე ბერნერიც კი თვლის, რომ ეს არ დასტურდება ფაქტებით.⁷³

ქვეყნის ნამყვანი პროფკავშირი, ამერიკის შრომის ფედერაციაც, აღნიშნავდა, რომ კონფერენციას ჰქონდა რიგი დადებითი მომენტები და ზოგ საკითხში ეს თვალსაჩინო მიღწევა იყო. მაგალითად, ამ კონფერენციამ შეიმუშავა მსგავსი სამუშაო შეხვედრების ახალი და მაღალი სტანდარტი. სამეცნიერო დონეზე აიყვანა უმუშევრობის საკითხის შესწავლა, ჩამოაყალიბა უმუშევრობის სხვადასხვა ფორმის არსებობის ფაქტი და ვითარების გამოსწორების საკმაოდ ეფექტური გზები დასახა. თუმცა ფედერაცია მაინც თვლიდა, რომ კონფერენცია შეზღუდული იყო ორგანიზატორთა მიერ თავიდანვე დაწესებული ფარგლებით.⁷⁴

საერთოდ ამ კონფერენციამ, რეგულირებადი ინდივიდუალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე, მრავალი საინტერესო ნაბიჯი გადადგა, თუმცა იმავე ჰუვერის მხარდაჭერით თავი შეიკავა ფედერალური ხელისუფლების უფრო აქტიური მოქმედებისაგან. ამასობაში კრიზისიც ჩაცხრა და, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდა მის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების სრული გამოცდა. კონფერენციის ორგანიზატორები თვლიდნენ, რომ „აღმავლობა და დაღმავლობა ბიზნესის ციკლებში, რასაკვირველია, უეჭველად გაგრძელდება, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ გამოკვლევის წყალობით განსაკუთრებით მძიმე და დესტრუქციული გამოვლინებები ნამდვილად შემცირდება.“

ჰუვერი თვლიდა, რომ უმუშევრობასთან საბრძოლველად წინასწარი ზომების მიღება უფრო ეფექტურია, ვიდრე დახმარება უკვე დაწყებულ პროცესში და შესაბამისად, ამ მიმართულებით უნდა ემუშავათ. იყო საინტერესო გამოკვლევებიც. მაგალითად, „ჯენერალ ელექტრიკის“ თავმჯდომარის ოუენ იანგის ხელმძღვანელობით მომუშავე უმუშევრობისა და საქმიანი ციკლების კომიტეტმა, რომელშიც ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ამერიკის შრომის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც მონაწილეობდა, 1923 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „საქმიანი ციკლები და უმუშევრობა“, რომელშიც უმუშევრობის წარმოშობის მიზეზები და მათი თავიდან აცილების ან შემცირების რეკომენდაციები იყო წარმოდგენილი. ამ გამოცემის წინასიტიყვაობაში ჰუვერი წერდა, რომ

ავტორები ფართომასშტაბიანი უმუშევრობის მიზეზად მიიჩნევენ სპეკულაციას, უყარათობას, მფლანგველობას, ინფლაციას, ცუდ საკრედიტო პირობებს, ზეექსპანსიასა და არაეფექტიანობას წარმოებაში ეკონომიკური აღმავლობის ანუ ბუმის პერიოდში. შესაბამისად, ვითარების გამოსწორება აღნიშნული მიზეზების აღმოფხვრით შეიძლებოდა, რაც საზოგადოების და განსაკუთრებით ბიზნესის დროული ინფორმირებით უნდა გადაწყვეტილიყო და ა.შ.⁷⁵ კერძოდ კი, როგორც კონფერენციის მდივანი ჰანტი აღნიშნავდა:

1. ბიზნესმენებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ბიზნესის ზოგად მდგომარეობაზე ქვეყანაში და აგრეთვე სავარაუდო განვითარების ტენდენციებზე;

2. მათ უნდა ჰქონდეთ მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია თავიანთი საქმიანობის სფეროში არსებული ვითარების შესახებ;

3. მათ დიდი მასალა უნდა მოიპოვონ უშუალოდ თავიანთი ბიზნესის შესახებ, რათა ეს არა მარტო სტატისტიკისათვის, არამედ სერიოზული ანალიზისა და მისგან გამომდინარე საერთო მოქმედების დასაგეგმად გამოიყენონ;

4. მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია ზოგადი საკრედიტო ვითარების შესახებ, განსაკუთრებით მათი ბანკების დამოკიდებულებაზე სესხების გაგრძელებასთან.⁷⁶

როგორც განათლებულმა ადამიანმა და ჭეშმარიტმა საზოგადო მოღვაწემ, ჰუვერმა ფართო მხარდაჭერა აღმოუჩინა ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას. მისი აზრით, ბიზნესი ფინანსურად უნდა დახმარებოდა უნივერსიტეტებში მიმდინარე წმინდა სამეცნიერო კვლევებს იმ იმედით, რომ მომავალში ეს მიღწევები გამოყენებული იქნებოდა იმავე ბიზნესის განვითარებისთვის. შეიქმნა ეროვნული სამეცნიერო კვლევის ფონდი ჰუვერის თავმჯდომარეობით, რომელშიც, როგორც საბჭოს წევრები, შევიდნენ: ჩ. ე. ჰიუჯესი, ო. იანგი, ჯ. დევისი, ი. როზენფელდი და ბანკირი ფ. ვარბურგი.

ჰუვერის მიზანმიმართულ, საზღვაო, ომის, სოფლის მეურნეობის და შინაგან საქმეთა სამინისტროები ქმნიდნენ ახალ პროექტებს, ძველებს კი სრულყოფდნენ და ავითარებდნენ მაშინ, როდესაც პრომის სამინისტრო ძალზე პასიური იყო და როგორც შემდგომში ხუმრობდნენ, უმუშევრობის კონფერენციის მსვლელობი-

სას „უმუშევრობის და დაუსაქმებლობის ერთადერთი მაგალითი სწორედ შრომის მინისტრი დევისი იყო“.

ჰუვერმა ბრწყინვალედ შეაფასა რადიოს მნიშვნელობა და როლი პროპაგანდისა და ინფორმაციის გავრცელების საქმეში, თუმცა სულაც არ უნდოდა, რომ რადიო სახელმწიფოს ხელში ყოფილყო. 1922 წელს მან მოაწყო პირველი იმ ოთხი ყოველწლიური კონფერენციიდან, რომლებზეც მთავრობისა და ბიზნესის წარმომადგენლები რადიომაუწყებლობის ორგანიზაციისა და რეგულირების საკითხებს განიხილავდნენ.

ჰუვერი ბევრს აკეთებდა კომერციული ავიაციის განვითარებისათვის. ითვლება, რომ სწორედ ვაჭრობის სამინისტრომ დაიწყო კომერციული ავიაციისადმი სამთავრობო მხარდაჭერა. ჰუვერმა თავი ბავშვთა ჰიგიენის საკითხებშიც კი გამოავლინა

როგორც ვხედავთ, ჰუვერმა მრავალ სფეროში გამოიჩინა ნოვატორული სულისკვეთება, უჩვეულო ენერჯია და სიბრძნე. რაოდენ პარადოქსულია, რომ სულ მალე იგი ისტორიაში (ძირითადად ლიბერალური ისტორიოგრაფიის წყალობით) შევიდა, როგორც ერთ-ერთი შეუვალი კონსერვატორი. ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვიზიარებთ ამ აზრს და ვთვლით, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში ჰუვერმა გაუსწრო დროს, თუმცა სულ რაღაც 10 წელიწადში, უკვე დრომ გაუსწრო მას. მაგრამ ამის შესახებ მომდევნო თავებში ვისაუბრებთ. ახლა კი კვლავ უშუალოდ პრეზიდენტს დავუბრუნდეთ, რომელსაც თავისი მეგობრების სარფიანი სამსახურით უზრუნველყოფის გარდა, მრავალი სხვა რამ ჰქონდა გასაკეთებელი.

თავისი საქმიანობა ჰარდინგმა რესპუბლიკელთათვის ნიშანდობლივი აქციით დაიწყო — შეეცადა ომის დროს და ვილსონის მმართველობის შედეგად გაზრდილი სახელმწიფო აპარატის შემცირებას. 1918 წელს სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობამ, ამერიკის ომში მონაწილეობის გამო, თავის მაქსიმუმს, 852 500 ადამიანს მიაღწია, 1920 წელს, ომის დასრულების შემდეგ, იგი 655 265 კაცამდე შემცირდა, მაგრამ რესპუბლიკელებმა ეს არასაკმარისად მიიჩნიეს და 1921 წლისათვის სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხვი 561 142 კაცამდე შეამცირეს, 1922 წელს კი — 543 507 ადამიანამდე.⁷⁷ ამ საქმეში ენთუზიაზმით ჩაერთვნენ ჰარდინგის მთავრობის წევრებიც და საზოგადოებაც. ჰარდინგს არაერთი საქმიანი

წერილი და წინადადება მიუვიდა, მით უმეტეს, რომ ამერიკელებს მართლაც უყვართ და ეხერხებათ ყაირათიანობა.

1922 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი ალბერტ ფოლი წერდა, რომ მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებული ეკონომიის პოლიტიკისა, სინამდვილეში ბევრი ასეთი ინიციატივა მხოლოდ ფარატი-ნა ქალაქი იყო. მის სამინისტროში ჩატარებული რეფორმირების შედეგად კი 936 416 დოლარი დაზოგეს. ახალი მეთოდების ეფექტიანობის დასასაბუთებლად მან საპენსიო ბიურო დაასახელა, რომელშიც წინა წელთან შედარებით 38 კაცი თან ნაკლები მუშაობდა, მაგრამ თითქმის ორჯერ მეტი საქმე განიხილეს. თანაც, თითო საქმის განხილვის ღირებულება 17,60 დოლარიდან 11,50 შემცირდა. ფოლის აზრით, ეს მიღწეულ იქნა სხვადასხვა განყოფილებების რეორგანიზაციის, საქმის წარმოების ლიბერალიზაციის, საქმის დუბლირებისა და წამგებიანი მოქმედების აღმოფხვრის შედეგად. სწორედ ამ ზომების მეშვეობით საერთო მიწების უწყებამ ძველი დაფინანსებით 12 პროცენტით მეტი სამუშაო შეასრულა.⁷⁸ ფოლმა კიდევ არაერთი მსგავსი წერილი მისწერა პრეზიდენტს და მართლაც, ალბათ, კარგად გაატარა ეკონომიის პოლიტიკა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს სწორედ ის ფოლია, რომელიც საკუთარ ჯიბეს სრულებით სხვა განზომილებით უდგებოდა და აქ ეკონომიაზე წამდვილად არ ზრუნავდა.

მართალია, სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობის შემცირებას ხარჯების შემცირებაც მოჰყვა, მაგრამ საზოგადოების განვითარებისა და ზრდის გაცილებით უფრო რთულ ეტაპზე ფედერალური მთავრობის ფუნქციების ზრდის პროცესი უკვე ობიექტურ აუცილებლობად იქცა. ჰარდინგის მემკვიდრე კალვინ კულიჯი, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად იზიარებდა ჰარდინგის მოსაზრებებს ამ და მრავალ სხვა საკითხში, იძულებული იყო 1924 წლიდან კვლავ გაეზარდა მოხელეთა რაოდენობა. სახელმწიფო მმართველობის გართულებულ ფორმებზე ისიც მიუთითებდა, რომ 1921 წელს ჰარდინგმა დააარსა ორი ახალი სახელმწიფო სააგენტო: ფინანსთა გენერალური კონტროლის სააგენტო და ბიუჯეტის ბიურო.

ბიუჯეტის ბიუროს შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ვინაიდან სწორედ მისი მეშვეობით პრეზიდენტისა და მისი სახით აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში გადადიოდა საბიუჯეტო ინიციატივების შექმნის პრიორიტეტი, რომელიც მა-

ნამადე ძირითადად კონგრესს ეკუთვნოდა. ბიუჯეტის ბიუროს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალური შემცირება წარმოადგენდა. 1921 წლის 12 აპრილს კონგრესის სპეციალურ სესიაზე, ჰარდინგმა განაცხადა – „ჩვენს საშინაო პოლიტიკაში მე არ მეგულება ეროვნული ხარჯების შემცირებაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. . . დღევანდელი მთავრობისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს გაუფრთხილებელი ხარჯების შეუზღუდველი ზრდის ტენდენცია და არსებული დავალიანების ზრდა“.⁷⁹ მართლაც, თუ გავიხსენებთ არჩევნების შემდეგ გამოქვეყნებულ მრავალ სტატიას, ისინი სწორედ ბიუჯეტის შემცირების იმედს გამოხატავდნენ. დემოკრატების მოქმედების შესახებ კი წერდნენ, რომ მათ ამერიკელები „სიკვდილის პირამდე დაბეგრეს“.⁸⁰

ენდრიუ მელონისა და ბიუჯეტის ბიუროს დირექტორის, ჩარლზ დაუესის მცდელობის შედეგად მართლაც მოხერხდა ფედერალური ხარჯების შემცირება 29 პროცენტით.⁸¹ სხვასთან ერთად, ეს ეკონომია ომის ვეტერანებისთვის ფინანსურ კომპენსაციაზე, ე.წ. ბონუსზე უარის თქმაშიც გამოიხატა. ჰარდინგმა ვეტო დაადო ამ კანონპროექტს, მაგრამ 1921 წელს ვეტერანთა დახმარების ბიურო მაინც შექმნა.

ამერიკაში ოდითგანვე არსებობდა საკუთარი მრეწველობის პროტექციონისტული ტარიფების მეშვეობით დაცვის ტრადიცია. რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ კიდევ უფრო განავრცო ეს პროცესი და ტარიფების უპრეცედენტი ზრდა დაიწყო. ამერიკული ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვდა საკუთარი წარმოების დაცვას უცხოეთში დამზადებული შედარებით იაფი პროდუქციისაგან და ჰარდინგი მრავალ წერილს იღებდა ამერიკელი ბიზნესმენებისაგან, რათა გაეზარდათ ტარიფები. ასეთივე მიმართვებს იღებდა აშშ-ის სატარიფო კომისიისაგანაც. აშშ-ის სატარიფო კომისია ექვსი კაცისაგან შედგებოდა, რომელთაც პრეზიდენტი ნიშნავდა და მასში რესპუბლიკელთა და დემოკრატთა ტოლი რაოდენობა იყო, რათა კომისიის დასკვნები პარტიულ საფუძველზე არ შემდგარიყო. მაგრამ ჰარდინგი აქაც ჩვეულ უპრინციპობას იჩენდა და, არსებული ბალანსის დარღვევის ხარჯზე, ახალ წევრად რესპუბლიკელის დანიშვნა უნდოდა. ამის შესახებ კომისიის ვიცე-თავმჯდომარე თომას ო. მარვინი პრეზიდენტს წერდა, რომ ამის

გაკეთება გამოიწვევდა კომისიის დაყოფას პარტიული ნიშნით და არ იქნებოდა ბრძნული ნაბიჯი. ეს იქნებოდა სერიოზული შეცდომა.⁸² რაზეც ჰარდინგმა დადებითი პასუხი გასცა და დაეთანხმა მარეინს, რომ „ბატონი კემპი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა წარდგენილი ამ კომისიაში მდივნის თანამდებობაზე“.⁸³

1921 წლის 12 აპრილს კონგრესის წინაშე ჰარდინგმა განაცხადა, „მცდარია ის აზრი, თითქოს იაფი უცხოური საქონელი ხელსაყრელია ამერიკელთათვის, პირიქით, იგი ამცირებს მათ მსყიდველობით უნარს“.⁸⁴

1922 წლის აპრილში, კონგრესში, სპეციალური სატარიფო ბილის ანგარიშში, რომელიც სენატორმა პორტერ მაკომბერმა მოამზადა, აღნიშნული იყო, რომ ვილსონის დროს 1913 წელს მიღებული სატარიფო კანონი, ე.წ. უნდერვუდის კანონი, რომელიც დაბალ ტარიფებს ანესებდა, ძალზე საზარალო აღმოჩნდა ამერიკისათვის. „ეს კანონი ომის დაწყებამდე რამდენიმე თვე მუშაობდა და ამერიკის ეკონომიკას 60 მილიონამდე დოლარი დააკარგვინა სავაჭრო ბალანსში. მერე ომმა გამოასწორა ვითარება და ევროპას აღარ ეცალა ამერიკაში იმპორტისათვის, მაგრამ ომის შემდეგ ევროპული ეკონომიკა კვლავ გამოცოცხლდა, თანაც ევროპული სახელმწიფოები კარგ საექსპორტო პირობებს უქმნიან თავიანთ პროდუქციას, სუბსიდიებს აძლევენ თავიანთ წარმოებას, რომელიც ისედაც მეტისმეტად დაბალ ფასებში არსებობს. შესაბამისად, ამერიკელი მრეწველები უნდა დაიცვან მაღალმა ტარიფებმა, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ მაღალი ხელფასი გადაუხადონ ამერიკელ მშრომელებს და შეინარჩუნონ ამერიკული ცხოვრების სტანდარტი“.⁸⁵

მსგავსი არგუმენტების საფუძველზე, 1922 წლის 21 სექტემბერს მიღებულ იქნა ფორდნი-მაკომბერის კანონი, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტს შეეძლო აენია ან დაენია ტარიფები იმპორტულ საქონელზე 50 პროცენტის ფარგლებში. ვინაიდან სატარიფო კომისიაში პროტექციონისტები იყვნენ გაბატონებული და პრეზიდენტიც მათ მხარეს იყო, ტარიფებიც მნიშვნელოვნად გაზარდეს. საპასუხოდ, საგარეო ვაჭრობით დაინტერესებულმა ბიზნეს-ჯგუფებმა დიდი განგაში ატეხეს – „უოლ სტრიტ ჯორნალი“ წერდა, „ეს არის ყველაზე უფრო ეგოისტური, წინდაუხედავი და ექსტრავაგანტული კანონი, რომელიც ოდესმე მიღებულა“.⁸⁶ გაზარდა რა

ბიზნესის გარკვეული ჯგუფების მოგება და ასევე მათ საწარმოებში დასაქმებულთა ანაზღაურება, თუმცა ნაკლები პროპორციით, ტარიფების ზრდამ გაართულა აშშ-ის ურთიერთობა საგარეო სავაჭრო პარტნიორებთან. გარდა ამისა, მის ყოფილ მოკავშირეებს მეტად გაურთულა სამხედრო ვალების გადახდის პრობლემა.

ფორდნი-მაკომბერის კანონს უდიდესი რეზონანსი მოჰყვა არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა მან ამერიკის სოფლის მეურნეობას, რომელიც ომის დროს მიიწვია მაღალპროდუქტიულობასა და თავისი ნაწარმის დიდი რაოდენობით გაყიდვას. ომის შემდგომ, როდესაც მეომარი ქვეყნების ეკონომიკა შედარებით გამოცოცხლდა, მოთხოვნილება ამერიკულ პროდუქციაზე შემცირდა. თანაც, მაღალმა ტარიფებმა სხვა სახელმწიფოების შესაბამისი რეაქცია გამოიწვია და საპასუხოდ მათაც გაზარდეს ტარიფები ამერიკულ პროდუქციაზე, ძირითადად სოფლის მეურნეობის ნაწარმზე. შესაბამისად, კიდევ უფრო დამძიმდა ამერიკის ფერმერთა მდგომარეობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაღალ ტარიფებთან ერთად ჰარდინგის ადმინისტრაციის უმთავრესი პრიორიტეტი დაბალი გადასახადები იყო. ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამფუძნებელი ბენჯამენ ფრანკლინი ამბობდა, რომ ადამიანის ცხოვრებაში ორი რამ არის გარდაუვალი, ეს არის სიკვდილი და გადასახადების გადახდა. სიკვდილის არ იყოს, გადასახადის გადახდაც არავის ეხალისება, ამიტომაც რესპუბლიკური პარტიის პლატფორმის ეს პუნქტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა, რასაკვირველია, გადასახადების თემა არც ისეთი მარტივია. ამ ამოცანის გადაჭრა ამერიკის ფინანსთა მინისტრს, ენდრიუ მელონს დაეკისრა, რომელმაც პირდაპირ და გულახდილად განაცხადა, რომ „მდიდრები ხომ არ უნდა დასჯილიყვნენ იმისათვის, რომ მდიდრები იყვნენ“.⁸⁷

საერთოდ, პირველი საშემოსავლო გადასახადი ინგლისში გაჩნდა 1435 წელს. ამერიკაში ფედერალური საშემოსავლო გადასახადი პირველად შემოიღეს სამოქალაქო ომის დროს, თუმცა ომის შემდეგ, 1872 წელს იგი გაუქმდა. გადასახადი კვლავ შემოიღეს 1894 წელს, მაგრამ მალე უმაღლესმა სასამართლომ იგი არაკონსტიტუციურად ცნო. პრეზიდენტ ტაფტის მმართველობისას ამ

გადანყვეტილებას კვლავ გადახედეს. 1913 წელს კონგრესმა მიიღო კონსტიტუციის XVI შესწორება, რომლის მიხედვითაც, კონგრესს შეეძლო საშემოსავლო გადასახადების დაწესება და აკრეფა. ხოლო 1916 წელს დაწესებული პროგრესული ხასიათის გადასახადის მაქსიმალური ზღვარი 15 % იყო. ომის დროს გადასახადებმა მნივწნელოვნად იმატა, ხოლო ე.წ. გადასახადი ზემოგებებზე 73 პროცენტამდე გაიზარდა. ეს კი ამერიკელ ბიზნესმენებს ლამის სოციალიზმის გამოხატულებად მიაჩნდათ. მათთვის მიუღებელი იყო მოგების ორი მესამედის სახელმწიფოსათვის გადახდა, თუმცა მოგება მართლაც ფანტასტიკური ჰქონდათ. ასეთი მოგებები, ძირითადად სამხედრო დაკვეთებით გამდიდრებულ დიდ ბიზნესს ჰქონდა, ჰოდა მელონიც ხომ მათი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. შესაბამისად, მელონის ოპონენტები აღნიშნავენ, რომ ყველაზე მეტად სწორედ ის იყო დაინტერესებული ამ გადასახადების შემცირებით.

მაშინდელი კანონებით, ასეთი მაღალი გადასახადების თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ამ მოგებას შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ობლიგაციებში დააბანდებდნენ, ვინაიდან მოგება ამ ობლიგაციებიდან განთავისუფლებული იყო ფედერალური გადასახდებისაგან. მაგრამ ეს ობლიგაციები ძალზე დაბალ მოგებას იძლეოდა და ბევრისთვის, მათ შორის მელონისთვის, ეს ფულის „ჩანოლას“ ნიშნავდა. ამიტომაც ამერიკელ ბიზნესმენებს სურდათ ამ თანხების უფრო დინამიკურ ბიზნესში დაბანდება.

ჰარდინგის ინაუგურაციის შემდეგ, კონგრესის პირველივე სესიაზე, მელონმა მოითხოვა გადასახადების შემცირება ზემოგებებზე და მაქსიმალური გადასახადის ზღვარის 40 პროცენტამდე დაწესება, მომავალში კიდევ უფრო შემცირების პერსპექტივით. იგი თვლიდა, რომ მაღალი დამატებითი საშემოსავლო გადასახადები არაპროდუქტიული და კონტრპროდუქტიულიც კი იყო. სტატისტიკის მეშვეობით იგი ასაბუთებდა, რომ მაღალი გადასახადების სრული აკრეფა ფაქტობრივად არ ხერხდებოდა. დიდი ბიზნესი კაპიტალს გადასახადებისაგან თავისუფალ ობლიგაციებში აბანდებდა და გადასახდის თავიდან აცილების სხვა მსგავს მექანიზმებს იყენებდა. შესაბამისად, აღნიშნავდა მელონი, მდიდრები ნაკლებ ფედერალურ გადასახადებს იხდიდნენ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ გადასახადები შემცირდებოდა. ანუ, მისი თქმით, რეფორმა მდი-

დრებს კი არ დაიცავდა გადასახადებისაგან, არამედ, პირიქით, უფრო მეტს გადაახდევინებდა მათ.

ბიზნესის წარმომადგენელთა აზრით, რომელთა რუპორიც სწორედ მელონი იყო, მაღალი გადასახდები ძირს უთხრიდა ამერიკის წმიდათაწმინდას — პირად ინიციატივას და ხელს უშლიდა ისეთი პროდუქტიული და დინამიკური დარგების განვითარებას, როგორც იყო რკინიგზა, მრეწველობა, ახალი ტექნოლოგიები და ა.შ. თავის მხრივ ეს დარგები მილიონობით ახალ სამუშაო ადგილს ქმნიდა და ხელფასებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად მაღალი იყო მაშინ, როდესაც საგადასახადო შეღავათების წყალობით მუნიციპალიტეტების ხელში მოხვედრილი თანხა უყაირათოდ და უშინაარსოთ იხარჯებოდა. თავის წიგნში „გადასახადები: ხალხის ბიზნესი“ — მელონი აღნიშნავდა, „მაღალი გადასახადები სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შემოსავალი აუცილებლად გაიზრდება, შეიძლება უფრო დიდი შემოსავალი სწორედ დაბალმა გადასახადებმა უზრუნველყოს“.⁸⁸

ენდრიუ მელონს აქტიურად უპირისპირდებოდა პროგრესისტების ლიდერი, სენატორი რობერტ ლაფოლეთი, რომელიც მის გადადგომას მოითხოვდა და ხაზს უსვამდა, რომ „დიდი სიმდიდრე არ და ვერ მოიპოვება, თუ მისი მფლობელი სრულ წილს გაიღებს გადასახადების სახით.“⁸⁹ მართალია, მან ეს ვერ მოახერხა, მაგრამ მემარცხენე დემოკრატებთან და ფერმერთა და ვეტერანთა ინტერესების დამცველებთან ერთად გარკვეულწილად შეზღუდა მელონის ინიციატივები. კონგრესმა 40-ის ნაცვლად მხოლოდ 50 პროცენტამდე შეამცირა გადასახადის მაქსიმუმი. მართალია, კონგრესმა გააუქმა გადასახადები ზემოგებებზე, მაგრამ გაზარდა საბაზო კორპორაციული გადასახადი 10-დან 12,5 პროცენტამდე.

ეკონომიის პოლიტიკის საფუძველზე ომის შედეგად გაზრდილი ეროვნული ვალის შემცირება ჰარდინგის ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო და მომავალშიკულიჯიც ზუსტად ამ გზას დაადგა.

ეკონომიის მიზნით ორივე ერთნაირად ეწინააღმდეგებოდა ომის ვეტერანებისათვის დაპირებული თანხის, ე.წ. ბონუსის გადახდას. მელონის უდიდეს დამსახურებად ითვლება ის, რომ 1921 დან 1929 წლამდე მის მიერ გატარებული ეკონომიის პოლიტიკის შედეგად ეროვნული ვალი 24-დან 16 მილიარდამდე შემცირდა. ამით მან

არა მარტო მომავალ თაობებს ააცილა ამ ვალის დაბრუნება, არამედ სახელმწიფოსაც დაუზოგა მილიონობით დოლარი, რაც მას პროცენტების სახით უნდა გადაეხადა.

როგორც რესპუბლიკური პარტიის პლატფორმაში იყო აღნიშნული, ჰარდინგის ადმინისტრაციამ ააღორძინა ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პროცესი, ანუ ფედერალური ხელისუფლების შეკვეცა ადგილობრივი და შტატის ხელისუფლების ხარჯზე.

ასევე პირობისამებრ, ჰარდინგმა მინიმალურ სამეიგრაციო კვოტების მიღებაზეც დაიწყო ზრუნვა და 1921 წლის 21 მაისს ახალ სამეიგრაციო კანონს მოაწერა ხელი. შედეგად, თუ 1920 წელს ამერიკაში 805 228 ემიგრანტი ჩამოვიდა, 1922 წელს უკვე მხოლოდ — 309 556.⁹⁰

ამ კანონის მიღებას 1920-21 წლების კრიზისმაც შეუწყო ხელი, ემიგრანტი ხომ კონკურენტად აღიქმებოდა შრომის ბაზარზე. ვინაიდან ზემოთ განხილული პოლიტიკა განსაკუთრებული ძალით ჰარდინგის მემკვიდრის, კალვინ კულიჯის მმართველობის პერიოდში გატარდა, ამ თემებზე უფრო საფუძვლიანად შემდგომ თავში გავამახვილებთ ყურადღებას.

IV

ჰარდინგის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა — უკან იზოლაციონიზმისაკენ

ითვლება, რომ ოციანი წლების საგარეო პოლიტიკა კვლავ იზოლაციონიზმს დაუბრუნდა და მეტად პასიური იყო, მაგრამ ყველაფერი შედარებითია. ის, რაც ამერიკის მსგავს უზარმაზარი, უმდიდრესი და უძლიერესი ქვეყნისთვის პასიურ პოლიტიკად შეიძლება ჩაითვალოს, სხვა სახელმწიფოსთვის შეიძლება აქტიურობის კულმინაცია იყო. ასე რომ, ნუ ვიჩქარებთ ამ წლების პასიურობის პერიოდად გამოცხადებას. თუმცა ამას, რასაკვირველია, ვერ შევადარებთ II მსოფლიო ომის შემდგომ ვერც ერთ ათწლეულს, როდესაც ამერიკამ საერთოდ გადადო გვერდზე იზოლაციონიზმის მცირე გამოვლინებაც და საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე აქტიურ მონაწილედ იქცა.

I მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამერიკა საკმაოდ აქტიურად ჩაერთო ინტერვენციაში ბოლშევიკური რუსეთის წინააღმ-

დეგ. გარდა იმისა, რომ ამერიკის, ისევე როგორც ყველა დასავლურ სახელმწიფოს მმართველებს სძულდათ ბოლშევიკები და ალბათ სავსებით მართებულადაც, გარკვეულ როლს ისიც თამაშობდა, რომ მოკავშირეები ჯერ კიდევ „მოუკლავი დათვის ტყავის“ გაყოფას ცდილობდნენ. მათი აზრით, ახლო მომავალში ბოლშევიზმისაგან განთავისუფლებული, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ სუსტი რუსეთის გავლენის სფეროებად დაყოფას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იქ ძლიერი პოზიციების დამკვიდრებას გეგმავდნენ.

ამის კლასიკური მაგალითია ამერიკა-იაპონიის კონკურენცია შორეულ აღმოსავლეთში. სადაც იაპონიამ მეტად დიდი საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა 72 ათასი ჯარისკაცის სახით. გამოიკვეთა მის მიერ აღმოსავლეთ ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის მიწების მიტაცების იდეა, რამაც ამერიკელები სერიოზულად შეაშფოთა. საბოლოოდ, ეს ტერიტორიები ისევ რუსეთის შემადგენლობაში დარჩა და საკითხი თავისთავად მოიხსნა, მაგრამ იაპონიას უდიდესი გავლენა ჰქონდა ჩინეთზე. გარდა ამისა, ამერიკაში ბევრს მიაჩნდა, რომ იაპონიამ ომში შედარებით უმნიშვნელო მონაწილეობის მიუხედავად (რამდენიმე გერმანული გარნიზონის კაპიტულაცია ჩინეთში და წყნარი ოკეანის კუნძულებზე), არაადეკვატურად დიდი მოგება მიიღო ვერსალის ზავით. მაგრამ ყველაზე მეტად ამერიკას ანუხებდა იაპონიის გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა როგორც ჩინეთსა და კორეაში, ასევე წყნარი ოკეანის აუზში.

სხვათა შორის, ანტიიაპონური განწყობა 1920 წელს ორივე პარტიის პლატფორმაში გამოიკვეთა. ეს გრძნობები კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატა კალიფორნიაში მიღებულ ანტიიაპონურ კანონებშიც, რომლებიც, არა მარტო იაპონიიდან ემიგრაციას ეწინააღმდეგებოდა, არამედ კრძალავდა იაპონელებზე მიწების მიყიდვას, მოგვიანებით კი იჯარით გაცემასაც კი. თავმოყვარე და ძლევამოსილ იაპონელებში ამ რასისტულმა დამოკიდებულებამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. რასაც ანტიაპერიკული დემონსტრაციები და მკვეთრი დიპლომატიური ნაბიჯები მოჰყვა. საუბარი ომის შესახებაც კი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, საქმე მაშინ აქამდე არ მისულა.

ამერიკას იაპონელთა ფლოტის გაძლიერებაც არ მოსწონდა, რომელიც სიდიდით, მხოლოდ ბრიტანეთსა და ამერიკას ჩამოუვარდებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, თუ ამერიკული ფლოტის ნაწილი ატლანტის ოკეანეში იყო განლაგებული, იაპონელ-

თა მთელი ფლოტი მხოლოდ წყნარ ოკეანეში იყო და აქ ძალები საკმაოდ უთანაბრდებოდა ერთმანეთს. შესაბამისად, ფლოტის ძლიერების საკითხში, აშშ ინგლისს კი არ უპირისპირდებოდა, რომელთანაც სამხედრო დაპირისპირება თითქმის გამორიცხებული იყო, არამედ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იაპონიას. ამერიკელებს სურდათ როგორმე გაენეიტრალებინათ 1902 წელს დადებული და 1911 წლამდე ვადაგაგრძელებული ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ.

სხვასთან ერთად, სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას მიეძღვნა ვაშინგტონის კონფერენცია 1921-22 წლებში. როგორც 1921 წლის 12 ნოემბერს, კონფერენციის გახსნისას, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჩარლს ჰიუჯესმა აღნიშნა, „პრეზიდენტმა მოინდოვა ბრიტანეთის იმპერიის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის მთავრობები ამ კონფერენციაზე, რომელიც სამხედრო-საზღვაო შეიარაღების შეზღუდვისა და წყნარი ოკეანის აუზსა და შორეულ აღმოსავლეთში არსებულ საკითხებს განიხილავდა“.⁹¹ ჰიუჯესმა ისიც გაიხსენა, რომ შეიარაღების შემცირებისათვის გადადგმული ეს ნაბიჯი პირველი არ იყო და ამ ინიციატივთ ჯერ კიდევ 23 წლის წინ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II გამოვიდა, რომლის თაოსნობითაც ჰააგაში შეიკრიბა პირველი კონფერენცია ამ საკითხზე. ვაშინგტონის კონფერენციის გახსნისას პრეზიდენტმა აცნობა მოწვეულ სტუმრებს, რომ „ას მილიონ ამერიკელს გულწრფელად სურს შეიარაღების შემცირება და არ სურს ომი“.⁹²

აღნიშნულ მოლაპარაკებებში ვაშინგტონმა გარკვეული რევანში აიღო ვერსალისათვის, სადაც ძირითადად საფრანგეთმა და ბრიტანეთმა მიაღწიეს სანადელს. დაიდო ხელშეკრულება ცხრა სახელმწიფოს შორის ჩინეთის შესახებაც. შეიკვეცა იაპონიის პრივილეგიები ჩინეთში და ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ამერიკელთა მიერ გამოცხადებული ღია კარის პოლიტიკა ამოქმედდა. დაიდო შეთანხმება სახაზო გემებისა და ავიაშიდების რაოდენობის შეზღუდვის შესახებ შეფარდებით 5 : 5 : 3 : 1,75 : 1,75 (ამერიკა, ინგლისი, იაპონია, საფრანგეთი, იტალია). ეს შეფარდება იაპონიის ელჩმა ირონიით შეაფასა — ეს იგივეა რაც, „როლს როისი,“ : „როლს როისი“ : „ფორდი“. ამ შეთანხმებას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა, იგი არ ითვალისწინებდა შედარებით მცირე ზომის გემებსა და წყალქვეშა ნავებს, ანუ შეიარაღება ზღვაზე ფაქტობრივად ვერ შეიზღუდა.

ვაშინგტონის კონფერენციაზე დადებულმა ხელშეკრულებამ 4 სახელმწიფოს შორის (აშშ, ბრიტანეთი , იაპონია , საფრანგეთი) ცნო აღნიშნული ქვეყნების უფლებები წყნარი ოკეანის აუზში მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე და მოხსნა არსებული პრეტენზიები ამ სფეროში. გარდა ამისა, ამავე შეთანხმებით, გაუქმდა 1902 წლის ინგლის –იაპონიის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რამაც გააძლიერა ამერიკის პოზიციები იაპონელ კონკურენტთან ურთიერთობაში. სწორედ ამის საფუძველზე განაცხადა მოგვიანებით კონგრესისადმი 1922 წლის მიმართვაში ჰარდინგმა, რომ აღნიშნულმა შეთანხმებამ „გამორიცხა რეგიონში ომის დაწყების ყველა შესაძლებლობა“. ⁹³ თუმცა, როგორც მომავალმა გვაჩვენა, სწორედ ამ რეგიონიდან დაიწყო ომი ამერიკის წინააღმდეგ 1941 წლის დეკემბერში. ამ მოლაპარაკებებში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჰიუჯესის შერჩევა ერთ-ერთი ნარმატიული ნაბიჯი იყო ჰარდინგის კაბინეტის ჩამოყალიბებისას.

თუმცა ჰარდინგის ადმინისტრაციამ ამ კონფერენციის მოწვევამდეც გადადგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთაშორისო ურთიერთობებში. I მსოფლიო ომის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ ამერიკა, რომელმაც არ მოახდინა ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიცირება, ფორმალურად ჯერ კიდევ ომის მდგომარეობაში იმყოფებოდა გერმანიას, ავსტრიასა და უნგრეთთან. საბოლოოდ, ამერიკამ საკმაოდ ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო. კონგრესის ორივე პალატის ერთობლივი გადაწყვეტილებით ომი ამ ქვეყნებთან დასრულებულად გამოცხადდა.

მიუხედავად იზოლაციონიზმისა, ამერიკას არ შეეძლო უგულებელყო ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლა ნავთობის საბადოებისათვის, სადაც განსაკუთრებით აქტიურობდა დიდი ბრიტანეთი. ამის შესახებ უფრო დანვრილებით ჩვენს მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

ამერიკული იზოლაციონიზმი ყველაზე მკვეთრად ერთა ლიგის სრულ იგნორირებაში გამოიხატა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ჰარდინგს ლიგის მსოფლიოს ჯანმრთელობის პროგრამის უგულებელყოფაც კი უნდოდა. მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო, თანაც ლიგა გაცილებით უფრო სერიოზული და ძლიერი ორგანიზაცია აღმოჩნდა, ვიდრე ამას ამერიკა ელოდა. გარდა ამისა, ამერიკულ საზოგადოებაშიც ბევრს აღარ მოსწონდა ეს ზომას გადაცილებუ-

ლი უკონტაქტობა ერთა ლიგასთან. საბოლოოდ, ამერიკის მთავრობამ, რომელიც კატეგორიულად არ ცნობდა ლიგას და შესაბამისად, არავითარ ვალდებულებებს არ იღებდა თავის თავზე, ერთა ლიგის სხვადასხვა კომიტეტში თავისი დამკვირვებლები გააზავნა. როგორც სახელმწიფო მდივანი ჰიუჯესი ხუმრობდა, ესენი იყვნენ „ოფიციალური წარმომადგენლები, რომელნიც მოქმედებდნენ არაოფიციალურ სივრცეში“.³⁴ საბოლოოდ, როგორც დავინახეთ, ერთა ლიგამ ვერ შეაჩერა II მსოფლიო ომის დაწყება. თუმცა, ვინ იცის, ამერიკა რომ ერთა ლიგის წევრი ყოფილიყო, მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

ასევე თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ამერიკა მსოფლიოს სასამართლოში მონაწილეობას. დავა ამ თემაზე 1920-იანი წლების დასაწყისიდან 1930-იანი წლების ჩათვლით გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა.

როდესაც ამერიკის იზოლაციონიზმისაკენ დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ეს ძირითადად ევროპას ეხებოდა, თორემ ლათინურ ამერიკაში, როგორც საკუთარ სახლში, ისე იქცეოდა და როგორც ჩინეთის მაგალითზე ვნახეთ, არც შორეულ აღმოსავლეთს ივიწყებდა. თანაც ეს არ იყო აბსოლუტური დაბრუნება ძველი, კლასიკური იზოლაციონიზმისაკენ, რომელიც, გარკვეულწილად, ევროპული იმპერიების ძლევამოსილებითაც იყო განპირობებული. ამჯერად უზომოდ გამდიდრებული და გაძლიერებული ამერიკა იმიტომ ეწინააღმდეგებოდა რაიმე საერთაშორისო ვალდებულებების აღებას, რომ არ შეებოჭა თავისი მოქმედების თავისუფლება.

ვინაიდან 1920-იანი წლები მაინც იზოლაციონიზმის პერიოდად ითვლება ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, ალბათ, სასურველია, რამდენიმე სიტყვა თვით იზოლაციონიზმის ცნებას და მის წარმოშობას დავუთმოთ. იზოლაციონიზმისკენ სწრაფვა ამერიკის შექმნის პირველი დღეებიდანვე გამოიკვეთა. ჯერ კიდევ თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში 1797 წელს ამერიკის პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა თავის თანამემამულეებს ურჩია, არ შეებოჭათ ამერიკა რაიმე ვალდებულებებით სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი წამყვანი ევროპული სახელმწიფოების მიმართ. ვაშინგტონს კარგად ესმოდა, რომ მისი ახალგაზრდა სამშობლო ჯერ არ იყო საკმარისად ძლიერი მათთან სერიოზული კონკურენ-

ციისათვის და, სალი გონებიდან გამომდინარე, თავის თანამემამულეებს ზედმეტი ამბიციურობისაგან თავის შეკავებას ურჩევდა.

1823 წელს მიღებული მონროს დოქტრინა, მართალია, პირიქით, ამერიკის პოლიტიკის გააქტიურებას აცხადებდა, მაგრამ, ამავე დროს, ევროპისაგან იზოლაციასაც გულისხმობდა (ლათინურ ამერიკაში გააქტიურების ხარჯზე), თანაც ევროპელებსაც ჰპირდებოდა, რომ თავის მხრივ არც შეერთებული შტატები ჩაერეოდა ევროპის საქმეებში. თუმცა ამერიკას ამის შესაძლებლობა იმ პერიოდში მაინც არ ჰქონდა.

XIX საუკუნის იზოლაციონიზმი ევროპის მიმართ იმითაც იყო განპირობებული, რომ ამერიკელთა დიდმა ნაწილმა შეგნებულად დატოვა ევროპა არა მარტო სოციალური და ეკონომიკური მიზეზების გამო, არამედ იმიტომაც, რომ არ უნდოდა მონაწილეობა მიეღო ევროპის გამუდმებულ ომებში და სრულიად ახალი, დამოუკიდებელი და მშვიდობიანი ცხოვრების დანყება სურდა თავის ახალ სამშობლოში. ევროპასთან კონკურენცია კი მასთან სამხედრო დაპირისპირების საშიშროებას შეიცავდა. ამერიკელებს კარგად ახსოვდათ რევოლუციური საფრანგეთის მცდელობა ჩაეთრია ამერიკა ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებაში და 1812 წლის ომი ბრიტანეთის წინააღმდეგ. მათ არც დიდი ევროპული სახელმწიფოების ორაზროვანი პოზიცია ავიწყდებოდათ 1861-65 წლების სამოქალაქო ომის დროს. ამიტომაც ზედმეტი რისკის თავიდან ასაცილებლად ამერიკელები ეფექტიანად იყენებდნენ ევროპისაგან დასაცავ ბუნებრივ ფარს, ატლანტის ოკეანეს და მტკიცედ იმკვიდრებდნენ პოზიციებს ამერიკის კონტინენტზე. ექსპანსიონისტმა თეოდორ რუზველტმა, ე.წ. რუზველტის შესწორებით მონროს დოქტრინაში, კიდევ უფრო შეზღუდა ევროპელთა მოქმედება დასავლეთ ნახევარსფეროში.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეკონომიკურად გაძლიერებული ამერიკა მნიშვნელოვნად გააქტიურდა როგორც კარიბის ზღვის რეგიონში, ასევე წყნარი ოკეანის აუზსა და აზიაში და ეს ლუკმა მას სავსებით ჰყოფნიდა. ევროპის მიმართ დამოკიდებულება კი ძირითადად კვლავ ძველებური იყო.

I მსოფლიო ომმა მალე გვერდზე გადადო ეს იზოლაციონიზმი და ვილსონის პოლიტიკა, პირიქით, მეტად აქტიური ქმედებებით გამოირჩეოდა ევროპაში. ამიტომაც, როდესაც ჰარდინგი 1920

წლის არჩევნებში ნორმალურობისაკენ დაბრუნებას მოითხოვდა, აქ ევროპული საქმეებისაგან დაშორებაც იგულისხმებოდა, რასაც რიგითი ამერიკელი სავსებით ეთანხმებოდა. მართალია, ამერიკელებს სწამდათ, რომ მათი შვილები ევროპაში დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალებს იცავდნენ, მაგრამ ეს მაინც არ მიაჩნდათ საკმარისად ასეთი დიდი მსხვერპლისათვის და გარკვეულწილად გრძნობდნენ, რომ ევროპამ მაინც მოახერხა მათი ჩათრევა თავის სისხლიან პოლიტიკაში. ასეთი გრძნობების გაღვივებას ოციანი წლების ერთმა სკანდალმაც შეუწყო ხელი, როცა გაირკვა, რომ ომის დროს ზოგიერთი ამერიკული კომპანია გერმანიასთან იარაღით ვაჭრობდა. ასეთმა ცინიზმმა და ლალატმა კიდევ უფრო გაზარდა სიძულვილი ევროპული პრობლემების მიმართ.

რაც შეეხება ამერიკელ პოლიტიკოსებს, მათ უკვე იგემეს დიდი საერთაშორისო პოლიტიკის გემო, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არ უნდოდათ რაიმე ვალდებულებით შეებოჭათ თავიანთი ქმედება. და როგორც მეტად მდიდარ და ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც, ამავე დროს, ორი ოკეანე იცავდა, სურდათ თვითონ შეერჩიათ თამაშის წესები, დრო და ადგილი. მოსახლეობაში გავრცელებული იზოლაციონისტური განწყობილებები კი მშვენივრად ჯდებოდა ამ სქემაში.

ოციანი წლების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იყო ამერიკული ინვესტიციების ზრდა საზღვარგარეთ. ამერიკული ვაჭრობისა და კომერციის მაქსიმალური გაფართოება. ამ ასპექტში, როგორც შემდგომ თავში დავინახავთ, ამერიკის მთავრობა მაქსიმალურ მხარდაჭერას აღმოუჩენს ამერიკულ ბიზნესს. აი, ამ ქმედებებს კი ნამდვილად არაფერი ჰქონდა საერთო იზოლაციონიზმთან.

ასე რომ, მიუხედავად მთელი რიგი სერიოზული ხარვეზებისა ჰარდინგის ადმინისტრაციამ ძირითადად შეასრულა წინასასარჩევნო დაპირებების მნიშვნელოვანი ნაწილი და საკმაოდ წარმატებულად განახორციელა კონსერვატული პოლიტიკა როგორც საშინაო, ასევე საგარეო სფეროში. მაგრამ, მოდით თვით ჰარდინგის თანამედროვეებს მოეუსმინოთ.

1923 წლის მაისში პრეზიდენტის მშობლიური ოჰაიოს შტატის მერსერის საგრაფოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივ

რეზოლუციაში ხაზგასით აღნიშნავდნენ, „ჩვენ უდიდესი ენთუ-ზიაზმით ვუჭერთ მხარს აშშ-ის პრეზიდენტის უორენ ჰარდინგის ბრძნულ და ვაჟკაცურ საქმიანობას ამ პოსტზე.“ ასევე, ოპიოს შტატის მონტგომერის საგრაფოს რესპუბლიკური კომიტეტიც უდიდეს ნდობას უცხადებდა პრეზიდენტს და აღნიშნავდა, რომ ყოველ ძალას იხმარდა მისი ხელახალი არჩევისათვის. კომიტეტის წევრთა აზრით, ჰარდინგის უდიდეს წარმატებებს მიეკუთვნებოდა ის ფაქტები, რომ:

მან „ვაშინგტონს ჩამოაცილა საიდუმლოებისა და ეჭვიანობის ატმოსფერო;

ჰარდინგის ნყალობით ხელმძღვანელი თანამდებობები მართ-ლაც ღირსეულებმა და საუკეთესო ადამიანებმა დაიკავეს;

ჰარდინგმა ფართო საზოგადოებისათვის გახსნა თეთრი სახ-ლის კარები, დაანესა ყოველკვირეული პრეს-კონფერენციები და არნახულად გაზარდა საჯარო ინფორმაციის ნაკადი;

ჩამოაყალიბა გულითადი ურთიერთობები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის;

გააუმჯობესა საერთაშორისო ურთიერთობები;

მოიწვია კონგრესის საგანგებო სესია, რომელმაც აწია ტა-რიფები და შეამცირა გადასახადები;

დადო საბოლოო ზავი გერმანიასთან, ავსტრიასთან და უნ-გრეთთან;

სახელმწიფო ხარჯების კონტროლისათვის შექმნა საბიუჯეტო სისტემა, რის შედეგადაც 100 მილიონი დოლარი დაიზოგა;

კონგრესს წარუდგინა მთავრობის ბიზნესის სტილში საქმიანო-ბისათვის საჭირო რეფორმირების პროექტი, რომელიც დიდ ეკო-ნომიკურ შედეგებს მოიტანს და გაზრდის მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობას;

წარმატებულად ჩაატარა შეიარღობის კონტროლის საერთა-შორისო კონფერენცია, რომელზეც, აგრეთვე, გაუქმდა ინგლის-ია-პონიის კავშირი, გარანტირებულ იქნა მშვიდობა წყნარ ოკეანეში, დაცულ იქნა ჩინეთის უფლებები და შანდუნის ნახევარკუნძული განთავისუფლდა იაპონური ოკუპაციისაგან;

დაიწყო სისხლის სამართლის და სამოქალაქო ხასიათის გამოძიება ომის დროს მიმდინარე სპეკულაციისა და დარღვევების ფაქტების მიმართ;

ალადგინა ომის საფინანსო კორპორაცია ფერმერთა დასახმარებლად;

შეამცირა სახელმწიფო ვალი ერთი მილიარდზე მეტი დოლარით (1,231 102 975 დოლ.);

დააბრუნა 7 მილიარდი დოლარის ფასიანი ქაღალდები;

აუცილებელ მინიმუმამდე შეამცირა არმია და ფლოტი;

100 ათასი ადამიანით შეამცირა სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა, რითაც დაზოგა 200 მილიონი დოლარი;

დაამყარა მშვიდობა პერუსა და ბოლივიას შორის;

ჩამოაყალიბა ახალი შეთანხმება ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებს შორის;

დაასრულა კამათი კოლუმბიასთან პანამის თაობაზე და მოახდინა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება სენატში;

დაარეგულირა ბრიტანეთის მიერ ვალის გადახდის საკითხი;

გაზარდა ბიზნესის ნდობა მთავრობისადმი და გაზარდა ხალხის ნდობა ფედერალური ხელისუფლების მიმართ“.⁹⁵

თუ ოპაიოელ რესპუბლიკელებს დაეუჯერებთ, ჰარდინგს ყველაფერი გადასარევედ გაუეკეთებია, მაგრამ საეჭვოა, რომ იგივე ოპაიოს დემოკრატებს მსგავსი აზრები ჰქონოდათ. მით უმეტეს, რომ ჰარდინგის მიერ დიდ თანამდებობებზე დანიშნული მეგობრების სახელებთან დაკავშირებული სკანდალები სავსებით საკმარისი იყო, რომ გადაეწონა მისი ნებისმიერი წარმატება. თუმცა იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ჰარდინგს არ ეშინოდა დიდ თანამდებობებზე ნიჭიერი ადამიანების დანიშვნა და მათ ნაწილობრივ მაინც გააწონასწორეს მისი კორუმპირებული მეგობრების ცოდვები.

ინერტულობის და არაკომპეტენტურობის შედეგად ჰარდინგმა ჯეროვნად ვერ გამოიყენა პრეზიდენტის თანამდებობის უდიდესი შესაძლებლობები და ქვეყანა, გარკვეულწილად, ბუნებრივი ინერციით მიდიოდა წინ. თუმცა ჰარდინგის პლუსი ისიცაა, რომ იგი, თუ არ ეხმარებოდა ჯეროვნად ამ წინსვლას, ყოველ შემთხვევაში, ხელსაც არ უშლიდა მას. არადა ასეთი პოლიტიკოსებიც უხვად არიან.

საინტერესოა, თუ როგორ აფასებდა თავის მოღვაწეობას თავად ჰარდინგი. თავის არშემდგარი გამოსვლის ტექსტში (მაგრამ ტექსტი მაინც გამოქვეყნდა), ქალაქ ბუტემში, მონტანა, იგი იხსენებდა 1920-22 წლების კრიზისისდროინდელ უმუშევრობას და

ამაყობდა, რომ ამერიკამ გაუძლო ცდუნებას, რადიკალიზმისაკენ არ გადაიხარა და საქმე ძველებურად, ხალხისა და მთავრობის თანამშრომლობით მოაგვარა, მაგრამ არა მთავრობის ჩარევითა და დახმარებით ამის ევროპული გაგებით. „ჩვენი მიღწევები იმან განაპირობა, რომ ჩვენ დავინწყეთ მოქმედება ამერიკული საზოგადოების გენიალობის მტკიცე რწმენით. გვჯეროდა ჩვენი ხალხის უნარისა თვითონ მიხედოს საკუთარ თავს, მისი სულისკვეთებისა, რომელსაც ინდივიდუალისტური თავისუფლება ერჩია მასობრივ კონტროლს. ჩვენ ვთვლიდით, რომ ვიცნობდით ამერიკელ ხალხს და სიამაყით მინდა ვთქვა, რომ სწორადაც შეგვიფასებია იგი“.⁹⁶

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჰარდინგი თითქმის მთელი ამერიკის გავლით ალასკაში გაემგზავრა და პოლიტიკური სკანდალების განეიტრალების მიზნით ბევრგან გამოვიდა სიტყვით. ერთ-ერთ ასეთ გამოსვლაში მან აღნიშნა, „მთავრობას არ შეუძლია თავისი ხალხის ცხოვრება მოაწყოს, ეს თქვენი პირადი საქმეა. მაგრამ მთავრობას შეუძლია დაგეხმაროთ და ეძებს ამ დახმარების გზებს. მთავრობა ყოველთვის ცდილობს მოსპოს ის ბოროტება, რომელიც ხილული ხდება და, ამავე დროს, ისეთი გარემო შექმნას ხალხისათვის, რომ მას საშუალება ჰქონდეს სასურველი ცხოვრება მოიწყოს. ჩემი აზრით, ეს არის იდეალური დემოკრატია“.⁹⁷

მოსწავლეებთან გამოსვლისას იგი მართლაც რომ იდეალურ სურათს ხატავდა – „როდესაც ვუყურებ ამ მშვენიერ გოგო-ბიჭებს, მე არ ვიცი რომელი მათგანია მუშის შვილი, რომელი — ინდუსტრიის კაპიტნის და რომელი — ფინანსისტის. ისინი ერთნაირად გამოიყურებიან, ჩაცმულიც თითქმის ერთნაირად არიან, ერთნაირად იციინიან და გაერთიანებულნი არიან ამერიკის იმედიანი ბავშვობის მშვენიერ მუსიკაში. ბუნებრივია, ისინი ერთნაირები არ არიან და ერთნაირი ბედი არ ექნებათ. მაგრამ ჩვენს თავისუფალ ამერიკაში ყველას აქვს საშუალება მოემზადოს ჩვენი სასკოლო სისტემის ფარგლებში, რათა შეირგოს ამერიკული მოქალაქეობის თანასწორ შესაძლებლობათა რეალობა“.⁹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ 1923 წლის ზაფხულში, როდესაც ამერიკა კრიზისიდან გამოვიდა და ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო, ეს სიტყვები, მნიშვნელოვანნილად, მართლაც შეესაბამებოდა სინამდვილეს და, ალბათ, ჰარდინგი სრულიად გულახდილი იყო.

მაგრამ ამ მოგზაურობამ ვერ უშველა ჰარდინგს, მან ვერ გაუძლო მეგობრების ღალატს, თავის დამცირებას და გულის შეტევით გარდაიცვალა. თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, რომ ეჭვიანმა ცოლმა მონამლო და ერთმა მკვლევარმა ამ თემას ნიგნიც კი მიუძღვნა.⁹⁹ თუმცა ეს ჰიპოთეზა ჯერ ვერაფერს დაამტკიცა.

მიუხედავად ჰარდინგის მმართველობის მეტად სერიოზული ნაკლოვანებებისა, ბევრი ამერიკელი დიდი მწუხარებით შეხვდა მისი უეცარი გარდაცვალების ცნობას. „ჩიკაგო ტრიბიუნის“ 1923 წლის 2 აგვისტოს ნომერში აღნიშნული იყო, რომ ნიუ-იორკის მეტროში ვილაც კაცი უეცრად გარდაიცვალა, როცა გახეთქი ჰარდინგის სიკვდილის ამბავი ამოიკითხაო.¹⁰⁰ 3 აგვისტოს ნომერში ჰარდინგის, ბუნებრივია, სანაქებო ბიოგრაფია, შემდეგნაირად იწყებოდა, „ჰარდინგი იყო მგრძობიარე, გულითადი, დინჯი ადამიანი, რომელიც ძალზე მეგობრული იყო ყველას მიმართ. ცხოვრებაში დაუბრუნა მას ეს ვალი და ისიც ძალზე მეგობრული იყო მის მიმართ. ის არ იყო გენიალური, გარდა ერთისა, რომ გააჩნდა კეთილმოსურნეობის გენია. არ იყო აგრეთვე ამბიციური კაცი.“¹⁰¹

ამასთან დაკავშირებით ამერიკელი ისტორიკოსი ჯორჯ მერიერი წერდა „თუ კარგი ბედი და კარგი სურვილები საკმარისი იქნებოდა პრეზიდენტის საქმიანობის შეფასებისათვის, მაშინ ჰარდინგი ამერიკის ისტორიაში შევიდოდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი პრეზიდენტი“.¹⁰²

მაგრამ ვაი, რომ ეს თვისებები არ არის საკმარისი პრეზიდენტობისათვის. 1970 წელს ჩატარდა თითქმის 600 ამერიკელი ისტორიკოსის გამოკითხვა, თუ რომელი პრეზიდენტი რა ადგილს იკავებდა თავისი დამსახურების მიხედვით. დასმული კითხვების თითქმის ყველა კატეგორიაში ჰარდინგი ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. კერძოდ კი ბოლო, ანუ ოცდამეცამეტე იყო იგი პრესტიჟის, ძლიერი მოქმედების, აქტიურობის და ადმინისტრაციის მიღწევების შეფასების მიხედვით და მხოლოდ იდეალიზმის სფეროში დაიკავა ოცდამეათე ადგილი.¹⁰³

I

ღარიბი პრეზიდენტისა და მილიონერი
მინისტრების ალიანსი

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანახმად, გარდაცვლილი ჰარდინგის ადგილი, იმავე დღეს, მამამისის ფერ-მაში სტუმრად მყოფმა ვიცე-პრეზიდენტმა კალვინ კულიჯმა დაიკავა. მან ორი ნავთქურის შუქზე, საოჯახო ბიბლიაზე, დადო პრეზიდენტის ფიცი.

ფიცი კი, ადგილობრივმა მომრიგებელმა მოსამართლემ, თავად კულიჯის მამამ მიიღო.

კულიჯის პრეზიდენტობა ამერიკის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ წლებს დაემთხვა, წლებს, რომლებიც აყვავების (პროსპერითის) წლებად არის მიჩნეული. მართლაც, თუ 1921 წელს შეერთებული შტატების ერთიანი ეროვნული პროდუქტი 69,6 მილიარდ დოლარად ფასდებოდა, აყვავების უკანასკნელ 1929 წელს იგი უკვე 103 მილიარდს აღწევდა. შესაბამისად, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 641 დოლარიდან 847 დოლარამდე გაიზარდა.¹ 1922 წლიდან 1929 წლამდე გადამმუშავებელი მრეწველობა 91 პროცენტით გაიზარდა.² თუ 1921 წელს აშშ-ში 1,6 მილიონი ავტომობილი ანყვეს, 1929 წელს უკვე — 5,4 მილიონი და საერთოდ 1920-იანი წლების დასასრულისათვის აშშ აწარმოებდა იმდროინდელი სამყაროს (საბჭოთა კავშირის გარდა) პროდუქციის 48 პროცენტს.³

მაგრამ ყველა დარგი ერთნაირად არ ვითარდებოდა, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, პირიქით, უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა, თუმცა საერთო სურათი მაინც მეტად შთამბეჭდავი იყო.

საერთოდ ითვლება, რომ, პირველ რიგში, პრეზიდენტს მოეკითხება ქვეყნის წარმატება თუ წარუმატებლობა, მაგრამ კ. კულიჯი თვლიდა, რომ პრეზიდენტი მაქსიმალურად უნდა ჩამოშორდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას და ამ ასპექტში ინიციატივა ბიზნესსა და ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა დაუთმოს. მისი მსოფლმხედველობა იმ პერიოდის კონსერვატიზმ-

სა და ამერიკული ინდივიდუალიზმის იდეოლოგიას ასახავდა (სხვათა შორის, ბროშურა „ამერიკული ინდივიდუალიზმი“ კულიჯის მთავრობის წევრმა ვაჭრობის მინისტრმა ჰ. ჰუვერმა გამოაქვეყნა 1923 წელს). მაშინ გავრცელებული აზრით, პრეზიდენტს ლამის დარაჯის ფუნქცია ეკისრებოდა, ანუ ის მაშინ უნდა გამოჩენილიყო ავანსცენაზე, როდესაც ქვეყანას რაიმე გარეშე საფრთხე ან ეროვნული მასშტაბის სტიქიური უბედურება დაემუქრებოდა. კულიჯმა ერთხელ სიამაყით თქვა „უეცრად რომ გარდავიცვალო, ამას რამდენიმე დღის მანძილზე არავინ გაიგებს“.

როდესაც პრეზიდენტის რანგის თანამდებობაზეა საუბარი, მაშინ პასიური პოზიციაც კი მნიშვნელოვანი პოზიციაა და მასაც სჭირდება სერიოზული დაცვა და ცხოვრებაში გატარების უნარი და თუმცა კ. კულიჯი სრულებითაც არ მიეკუთვნება ამერიკელ ისტორიკოსთა ფავორიტების რიცხვს, ჩვენი აზრით, მის პოზიციას საკმაოდ ძლიერი ნებისყოფა და მოქალაქეობრივი სულისკვეთება სჭირდებოდა. ისიც ფაქტია, რომ მას საკუთარი მსოფლმხედველობა რომ არ მიესადაგებინა 1920-იანი წლების ეკონომიკური კონიუნქტურისათვის, ვინ იცის, ამერიკული პროსპერეტი შეიძლება სრულიად სხვაგვარი ყოფილყო.

აი, რას წერდა კულიჯის შესახებ ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ფ. ალენი — „კულიჯი პატიოსანი, ფრთხილი და საღი გონების ადამიანი იყო. ამავე დროს იგი ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი პერსონაჟია, რომელიც ოდესმე ყოფილა ამერიკის უმაღლეს თანამდებობაზე. კულიჯი არ შეეჭიდებოდა ეროვნული მასშტაბის არც ერთ პრობლემას, სანამ ამ პრობლემისადმი ძალით არ მიაპყრობდნენ მის ყურადღებას, მას შეეძლო სრულიად ჩუმად მჯდარიყო რომელიმე გაჭიანურებულ ღონისძიებაზე. . . უყვარდა ნაშუადღევს ნაძინება 2- 4 საათით. კულიჯის „არააქტიურობის“ გენიალობა მისაღები იყო ამერიკელთა უმრავლესობისათვის.“⁴ ვინაიდან ამ პიროვნებამ დიდი როლი ითამაშა ამერიკის აყვავებაში, ალბათ, მართებული იქნება მისი ბიოგრაფიის უფრო დეტალური განხილვა, მით უმეტეს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მისი სახელი ნაკლებად არის ცნობილი.

კალვინ კულიჯი დაიბადა 1872 წელს, ვერმონტის შტატის ქალაქ პლიმუტში, წვრილი ვაჭრის ოჯახში. მამამისი იმდენად კეთილსინდისიერი და ბრძენი კაცი იყო, რომ მისი გარეუბნის

ხალხი სწორედ მასთან მოდიოდა სადავო საკითხების გადასაწყვეტად. 1890-95 წლებში ახალგაზრდა კულიჯი ამჰერსტის კოლეჯში სწავლობდა და საკმაოდ კარგი აკადემიური მაჩვენებლებიც ჰქონდა. თუმცა ბევრს, როგორც მის ერთ-ერთ თანაკურსელს, „არასოდეს წარმოედგინა, რომ კულიჯი რაიმე მნიშვნელოვან კარიერას გააკეთებდა. იგი ცოტას ლაპარაკობდა და მუდამ ჩრდილში იყო...“⁵

კოლეჯის დასრულების შემდეგ იგი აქტიურად და საკმაოდ წარმატებულად ჩაება შტატის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კულიჯი არ ჰგავდა ტიპურ ამერიკელ პოლიტიკოსს, რომელიც ამომრჩეველს მხარზე ხელს დაჰკრავდა ან სიგარით გაუმასპინძლდებოდა. მას არ უყვარდა ზედმეტი დაპირებების მიცემა და სიტყვაძუნადამიანად რჩებოდა. მაგრამ, თუკი რაიმეს იტყოდა, მისი ნათქვამი მუდამ რეალურ საქმეს ეხებოდა და დანაპირებსაც ასრულებდა. მსგავსი ხასიათის ადამიანები საკმაოდ იშვიათია პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამომრჩეველებს სულ უფრო იზიდავდა მისი ურთიერთობის საქმიანი და გულახდილი სტილი.

1906 წელს კულიჯი მასაჩუსეტისის შტატის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის წევრი გახდა. მისი პირველი საკანონმდებლო ინიციატივა მოითხოვდა შტატში ავტომობილების სიჩქარის შეზღუდვას 20 მილით საათში. სხვათა შორის, მან ვერასოდეს ისწავლა მანქანის ტარება.

შემდგომში კულიჯი უფრო რეალისტური ინიციატივებით გამოვიდა და მრავალ კარგ წამოწყებას დაუჭირა მხარი, მათ შორის, ისეთ კანონპროექტებს როგორც:

1. სანიტარული სამედიცინო აღჭურვილობის არსებობის აუცილებლობა მასაჩუსეტისის ყველა საწარმოში;

2. შვიდდღიან კვირაში ერთი აუცილებელი დასვენების დღის დანესება;

3. ბავშვთა სათამაშო მოედნების რაოდენობის ზრდა;

4. რკინიგზაზე მუშათათვის სპეციალური იაფი ბილეთების, ხოლო მათი შვილებისათვის, ნახევარფასიანი ბილეთების შემოღება;

5. კანონი ქვანახშირის ბიზნესში არსებული თაღლითობის წინააღმდეგ.

1909 წელს კულიჯი ქალაქ ნორტჰემპტონის მერად აირჩიეს. ამ პოსტზე მან ქალაქის ვალი 30 000 დოლარით შეამცირა და, ამავე დროს, გადასახადის შემცირებაც მოახერხა, გაზარდა მასწავლებელთა ხელფასები, გააუმჯობესა გზები და ა.შ.⁶ მალე იგი შტატის სენატის წევრი გახდა, სადაც ასევე წარმატებით საქმიანობდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა იგი იმ პერიოდში გაფურჩქნული კორუფციის ფონზე და ამომრჩეველთა დიდი ნდობა დაიმსახურა. კულიჯის აღიარებული ბიოგრაფიის ავტორი უ. უაიტი წერდა— „კულიჯი არ იყო კორუმპირებული, მას ამალღებული იდეალები გააჩნდა. იგი ნათელი წერტილი იყო კორუმპირებული ბოსტონის რეალობაში, თუმცა იგი მეტისმეტად დებდა თავს მოუსყიდველობასა და უცოდველობაზე. იგი სუფთად თამაშობდა თავიდანვე მონიშნული ბანქოთი“.⁷ 1918 წელს კულიჯმა უკვე მასაჩუსეტისის შტატის გუბერნატორის პოსტი დაიკავა. ეს უკვე ძალზე სერიოზული წარმატება იყო. მით უმეტეს, რომ მასაჩუსეტში ჩაისახა ამერიკის რევოლუცია და იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ტრადიციით და გავლენით. კულიჯმა აქაც გაამართლა ამომრჩეველთა იმედი.

მაგრამ 1919 წელს მოხდა განსაკუთრებული მოვლენა, რომელმაც იგი ზოგადდროვნულ გმირად აქცია. ამ დროს ბოსტონის პოლიციელები, რომელნიც ხელფასის გაზრდას მოითხოვდნენ, ამერიკის შრომის ფედერაციას შეუერთნენ და მკაცრი ულტიმატუმში წაუყენეს ბოსტონის პოლიციის კომისარს. კომისარი არ შეხვდა მათ დელეგატებს და ამ ინიციატივის 19 მოთავე დაითხოვა სამსახურიდან. პროტესტის ნიშნად, ბოსტონის პოლიციელთა სამმა მეოთხედმა დატოვა თავისი პოსტი ბოსტონის ქუჩებში, რის გამოც ქალაქში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ღამით კრიმინალური ელემენტები ქუჩაში გამოვიდნენ და დაარბიეს მალაზიები. საპასუხოდ გუბერნატორმა ეროვნული გვარდია გამოიყვანა ქუჩებში და პოლიციის შევსება მოხალისეების ხარჯზე დაიწყო. გაფიცულ პოლიციელებს კი კატეგორიულად აეკრძალათ ბოსტონის პოლიციაში მუშაობა. შემდგომში კულიჯი იხსენებდა, რომ ზოგიერთ პოლიციელს იგი სამუშაოს შოვნაშიც კი დაეხმარა, მაგრამ პოლიციის კარი სამუდამოდ დახურა მათ წინაშე.

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ, უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე სამუელ გომპერსმა, დეპეშა გაუგზავნა კულიჯს გაფიცულ-

თა მხარდაჭერითა და მათი სამსახურში აღდგენის მოთხოვნით. კულიჯმა პრესის მეშვეობით გასცა მას პასუხი, რომელიც მთელს ამერიკას მოედო— „ბოსტონის პოლიციის უფლება რაიმე კავშირში გაერთიანების თაობაზე, მუდამ საეჭვო იყო და არასოდეს იყო გარანტირებული, ახლა კი საერთოდ არ არსებობს. პრეზიდენტი ვილსონის მოწოდება ვაშინგტონისთვის, სულაც არ არის სავალდებულო ბოსტონისათვის. აქ პოლიციამ არ შეასრულა თავისი მოვალეობა. ეს ისეთი აქციაა, რომელსაც თვით პრეზიდენტი ვილსონი აცხადებს დანაშაულად ცივილზაციის წინააღმდეგ. თქვენი პრეტენზია იმის თაობაზე, რომ პოლიციის კომისარი შეცდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაფარვას იმ ფაქტს, რომ ქალაქი დაცვის გარეშე დარჩა და კრიმინალურ ელემენტებს ხელსაყრელი პირობები შეექმნათ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ გაფიცვის უფლება არავის, არასდროს და არსად არა აქვს.

თქვენ მოითხოვთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა იმავე პოლიციელთა ხელში დავაბრუნოთ, თუმცა ისინი კვლავ განაგრძობენ მასაჩუსეტის კანონის დარღვევას და არ ასრულებენ პოლიციის დეპარტამენტის ბრძანებებს. ცხრამეტმა სცადა ეს და ისინი მოიცილეს, დანარჩენებმაც, ვინც მიატოვა თავისი პოსტი ასევე გაანთავისუფლა ადგილები და უმაღლესმა კომისარმა მათი თანამდებობები ვაკანტურად გამოაცხადა. მე ვერ ვურჩევ ვერცერთ ხელისუფალს, სასამართლოს გარეშე, რაიმე სხვა ზომების მიღებას. . . ყოველ ჩვენთაგანს დიდი პასუხისმგებლობა აწევს. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ დამეყრდნოთ ყოველგვარ კანონიერ საქმეში და მტკიცე პოლიტიკაში. მიუხედავად მოხელეთა წინააღმდეგობისა, მე თანაბრად დავიცავ მასაჩუსეტისის შტატის სუვერენიტეტს და სამართალს, როგორც ეს მითითებულია კონსტიტუციასა და ჩვენს კანონებში“.⁸

აღნიშნულ დეკემბერში ნათლად არის გამოკვეთილი შტატის უფლებებისა და სუვერენიტეტის უზენაესობის პრინციპი. ავტორი პრეზიდენტსაც კი ახსენებს ამის შესახებ, თუმცა ამჯერად ვილსონი მის მხარეს არის. მეორეს მხრივ, გომპერსს საკმად მკვახედ მიუთითებს, რომ არ ჩაერიოს ამ კონფლიქტში და რომ მას შტატი საკუთარი ძალებით გადაწყვეტს, საკუთარი კანონების საფუძველზე. ასეთი ხისტი პასუხი ამერიკის ყველაზე გავლენიანი პროფკავშირის ლიდერისადმი გუბერნატორისაგანაც კი დიდ ვაჟკაცობას

მოითხოვდა და ამერიკამ დაუფასა კულიჯს ეს სიმტკიცე. კულიჯის სიმკაცრემ რიგითი ამერიკელების გულები მოიგო, რომელნიც ძალზე დააფრთხო პოლიციის ესოდენ უპასუხისმგებლო მოქმედებამ. როგორც თვით კულიჯმა აღიარა თავის მოგონებებში, სწორედ ბოსტონის გაფიცვის დროს გამოვლენილმა სიმტკიცემ და ინიციატივამ შეუქმნა მას ზოგადეროვნული პაბლისიტი.⁹

სწორედ ამ რეპუტაციამ განაპირობა რესპუბლიკური პარტიის კონვენტზე რიგითი დელეგატების მხარდაჭერა კულიჯისადმი, როდესაც იგი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს. დელეგატებს ისიც კარგად ახსოვდათ, რომ კულიჯმა თავისი გუბერნატორობის პერიოდში მნიშვნელოვნად გამოასწორა შტატის ფინანსური მდგომარეობა. ქალებისა და ბავშვებისათვის მაქსიმალური სამუშაო კვირა 48 საათამდე შეამცირა, დაეხმარა სარკინიგზო კომპანიებს და სხვა. სხვათა შორის, ამ კონვენტზე ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მიაჩნდათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა ჰუვერისა და კულიჯის ტანდემი.¹⁰

ვიცე-პრეზიდენტობის დროს იგი ამ პოსტისათვის დამახასიათებელ წარმომადგენლობით ფუნქციებს წარმატებულად ახორციელებდა. ყოველთვის გულმოდგინედ და პირადად ამზადებდა გამოსასვლელ სიტყვას. არაკეთილმოსურნენი იმასაც ამბობდნენ, მეტი რა საქმე აქვს, ზის და ფიქრობსო. თუმცა ამ ჩვევისათვის არც პრეზიდენტობისას უღალატია. ვიცე-პრეზიდენტობის დროს, კულიჯი ბევრს მოგზაურობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მართლაც კარგად შეისწავლა საკუთარი სამშობლო. თუმცა, როგორც კულიჯის ერთ-ერთი ბიოგრაფი აღნიშნავდა, ვიცე-პრეზიდენტობის პერიოდში იგი, ალბათ, ყველაზე ნაკლებად იყო დაკავებული.¹¹ სხვათა შორის, კულიჯი თავისუფალ დროს კლასიკოსებს თარგმნიდა.

მის სიტყვაძუნობაზე მისი პირველი ბიოგრაფი უოშბორნი წერდა — „ის მხოლოდ მაშინ ლაპარაკობს, როდესაც რაიმე აქვს სათქმელი. მაგრამ პატივისცემით ისმენს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოსასმენი საინტერესო. ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ინტერვიუს იღებენ მისგან უბრალოდ თავისი თავისაგან იღებენ ინტერვიუს.“¹² კულიჯი ძალზე თავმდაბალი კაცი იყო. მამამისს კოლეჯის დამთავრების ოქროს მედალიც კი არ აჩვენა, ალბათ, არ დააინტერესებსო. ხოლო, როცა მასაჩუსეტსის გუბერნატორის

მოადგილედ აირჩიეს, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში კი არ წავიდა მილოცვების მისაღებად, არამედ ჩვეულებისამებრ, შინ დარჩა.

1923 წელს აგვისტოში, გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით, ბანკის ერთ-ერთმა მუშაკმა, ვინმე კარლ მოსკინმა გერმანული ნაგაზი აჩუქა კულიჯს – „ძალზე ბედნიერი ვიქნები, თუ ყველა ერების ერის პრეზიდენტი მიიღებს ამ საჩუქარს.“ პრეზიდენტის სახელით მისმა მდივნმა უპასუხა, „თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამ ჯიშის ძალლი ვერ იცხოვრებს ქალაქის ბინის პირობებში, თუმცა, ეს სულაც არ ამცირებს მის მაღლიერებას ასეთი კეთილი საჩუქრისათვის.“¹³ კულიჯს არც იუმორის გრძნობა ღალატობდა, როდესაც მას ჰკითხეს, ხომ არ მობეზრდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ამდენ ლანჩებსა და ოფიციალურ სადილებზე ყოფნა, მან უპასუხა, „კი მაგრამ, სადღაც ხომ უნდა ვიკვებებოდე?“

პირდაპირი ადამიანის რეპუტაციის მქონე კულიჯს არც ეშმაკობა აკლდა, რაც პენსილვანიის გუბერნატორ ჯიფორდ პინჩოტთან ურთიერთობაში გამოჩვენდა. 1923 წლის ზამთრისწინა პერიოდში, როდესაც ქვეყანას ბევრი ქვანახშირი ესაჭიროებოდა, ანტრაციტის ნახშირის საბადოებზე დიდი გაფიცვა დაიწყო. პინჩოტს, რომელიც 1924 წლის არჩევნებში პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატად მოიაზრებოდა, აქტიური ჩარევა უნდოდა ამ პროცესში და მან შეატყობინა პრეზიდენტს, რომ, თუ ის არაფერს მოიმოქმედებდა, მაშინ პინჩოტის, როგორც გუბერნატორის, ვალი იყო თავად გადაეწყვიტა კონფლიქტი (1903 წელს მსგავსი ვითარება თეოდორ რუზველტმა მოაწესრიგა). კულიჯმა კი იცოდა, რომ რესპუბლიკური პარტიის გავლენიანი მემარჯვენე ფრთა არ ემხრობოდა მსგავს ქმედებას და მართლაც არაფერი გააკეთა, გარდა იმისა, რომ ლანჩზე დაჰატიყა პინჩოტი და 1922 წელს შექმნილი ქვანახშირის კომისიის თავმჯდომარე ჯონ ჰამონდი. პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ გუბერნატორი პინჩოტი ფედერალურ ხელისუფლებასთან კავშირში იმოქმედებდა, თუმცა, სინამდვილეში, იგი მართო მიუშვეს მაღაროელებთან, რომელთაც პინჩოტმა მოუმატა კიდევ ხელფასი. ამ 150 ათას კაცს კულიჯმაც მიულოცა დიდი წარმატება და პინჩოტის თამადობით, ყველა კმაყოფილი ჩანდა. მაგრამ რესპუბლიკური პარტიის კონსერვატორებს ეს და-

ლზე არ მოეწონათ და მათ ხაზი გადაუსვეს პინჩოტის საარჩევნო ამბიციებს.

აი ასეთი, ერთი შეხედვით პურიტანულად სადა, მაგრამ არცთუ უბრალო პიროვნება, გახდა გარდაცვლილი ჰარდინგის მემკვიდრე. მაგრამ 1924 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, როდესაც რესპუბლიკურმა პარტიამ ერთხმად წამოაყენა იგი პარტიის კანდიდატად, კალვინ კულიჯს თავად უნდა ებრძოლა ქვეყნის უმაღლესი თანამდებობისათვის.

პარტიების პოლიტიკურ პლატფორმებში, ერთი და იმავე მოვლენასა თუ ტენდენციაზე, თავიანთი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, თითოეული მათგანი ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებს აკეთებდა.

მაგალითად, დემოკრატები სასტიკად აკრიტიკებდნენ რესპუბლიკელთა მაღალი ტარიფების პოლიტიკას იმის საფუძველზე, რომ იგი მხოლოდ დიდი ბიზნესისთვის იყო სასარგებლო და მისი სიმძიმე ძირითადად დაბალ ფენებს აწევებოდა. თავის მხრივ, რესპუბლიკელები თვლიდნენ და ამერიკას ამაღლიდნენ კიდევ, რომ მაღალი პროტექციონისტური ტარიფები იცავდა ამერიკულ მრეწველობას და, შესაბამისად, ამერიკელ მშრომელებს უზრუნველყოფდა სამუშაო ადგილებით.

დემოკრატები ჩიოდნენ გადასახადების უდიდეს ტვირთზე და მიაჩნდათ, რომ საშემოსავლო გადასახადები პროპორციულად, სიმდიდრის მიხედვით, უნდა განაწილებულიყო, ხოლო გადასახადი გაყიდულ საქონელზე და სხვა მსგავსი გადასახადები, რომელიც მდიდარსაც და ღარიბსაც ერთნაირად აწევებოდა, უნდა გაუქმებულიყო.

თავის მხრივ, რესპუბლიკელები სიამაყით ამცნობდნენ საზოგადოებას, რომ განვლილ წლებში მათ საგრძნობლად შეამცირეს გადასახადები და კვლავაც აპირებდნენ ამ პროცესის გაგრძელებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ 2 432 000 000 დოლარით შეამცირეს სახელმწიფო ვალი, 1 250 000 000 დოლარით შეამცირეს ყოველწლიური გადასახადები და მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის მეშვეობით წლიური სახელმწიფო ხარჯები 5 მილიარდიდან 3 მილიარდ დოლარამდე დაიყვანეს.

რესპუბლიკელები სოფლის მეურნეობის საკითხებშიაც ახერხებდნენ თავის მართლებას და აღნიშნავდნენ, რომ მაღალი

ტარიფები ამერიკელ ფერმერებსაც იცავდა. თუმცა, სინამდვილეში, ფერმერები სხვებისაგან განსხვავებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ამ მხრივ დემოკრატთა მოთხოვნა აქტიური სახელმწიფო დახმარების პოლიტიკის შესახებ უფრო მართებულად გამოიყურებოდა. ფერმერები შედარებით სუსტი და ნაკლებად ორგანიზებული ძალა იყო და, მიუხედავად დემოკრატთა და ასევე პროგრესისტთა მხარდაჭერისა, მათი ჩივილი იკარგებოდა პროსპერიტის საერთო წარმატების ფონზე.

ალბათ, უნდა ვაღიაროთ, რომ დემოკრატთა კრიტიკულ პათოსს რესპუბლიკელებმა წარმატებით დაუპირისპირეს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობიდან გამომდინარე ოპტიმიზმი.¹⁴ დემოკრატთა პრობლემები მნიშვნელოვანწილად განაპირობა პარტიში არსებულმა განხეთქილებამ, რომელიც პარტიის კონვენტზე გამოიკვეთა.¹⁵ რესპუბლიკელებისაგან განსხვავებით, რომელთაც პირველივე კენჭისყრაზე ხმა მისცეს კულიჯს (სხვათა შორის, 1924 წელს პირველად მოხდა პარტიული კონვენტების რადიოტრანსლაცია მთელს ამერიკაში), დემოკრატებს საბოლოო გადანყვეტილების მისაღებად 102 კენჭისყრა დასჭირდათ, რის შედეგადაც არც თუ საუკეთესო კანდიდატი შეარჩიეს. პრეზიდენტობის კანდიდატად გავიდა უოლ სტრიტთან დაახლოებული ნიუ-იორკელი იურისტი ჯონ დევისი.

თავის მხრივ, რესპუბლიკელთა კანდიდატი კალვინ კულიჯიც არ წყვეტდა ციდან ვარსკვლავებს, მაგრამ აყვავების სიმბოლოდ სწორედ ის იქნა აღიარებული. ბევრს მოსწონდა კულიჯის ფრთიანი ფრაზა, რომ „ამერიკის ბიზნესი – ეს ბიზნესია.“ იგი კეთილსინდისიერად ატარებდა ცხოვრებაში რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიურ ხაზს, ნაკლებად ერეოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ საქმეებში და მაქსიმალურ დამოუკიდებლობას სთავაზობდა ბიზნესს, რომლისთვისაც სწორედ ეს პასიურობა იყო სასურველი პოლიტიკა. „რეალობა ის არის, რომ ჩვენნაირ რესპუბლიკებში ხალხია მთავრობა და თუ ის ვერ გააუმჯობესებს საკუთარ ეკონომიკურ ცხოვრებას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთავრობა გააკეთებს ამას მის მაგივრად. საზოგადოებრივი ცხოვრება იმავე ძალებით უნდა იმართებოდეს, რომლითაც ჩვენი კერძო საქმიანობა იმართება“, განაცხადა კულიჯმა 1924 წელს ფილადელფიაში პირველი კონტინენტური კონგრესის საიუბილეო ცერემონიაზე.¹⁶

ერთ-ერთი ამომრჩეველი, რომელიც მანამდე პროგრესისტ რობერტ ლა ფოლეტს უჭერდა მხარს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაგზავნილ წერილში ასახელებდა იმ მიზეზებს, თუ რატომ გახდა კულიჯის მომხრე:

1. ის უფრო პროგრესულია, ვიდრე დემოკრატთა კანდიდატი;
2. იგი ინტერნაციონალისტური პოლიტიკის მონიშნაღმდეგეა;
3. მან გამოამყლავნა კრიტიკულ მომენტებში მოქმედების უნარი, თუნდაც სხვადასხვა უწყებებში მომხდარ სკანდალებთან დაკავშირებით;

4. იგი არ მოსწონთ სენატორ ჰენრი კებოტ ლოჯის მსგავს პარტიის ძველი გვარდიის წარმომადგენლებს, ვინაიდან იგი არ ასრულებს მათ ბრძანებებს;

5. ამ ორ პარტიას შორის, რესპუბლიკელები უფრო პატიოსნად იქცევიან. მათ არ შეეშინდათ სხვადასხვა სკანდალების გამოამკარავება (მაგალითად, თიი პოთ დოუმის სკანდალი) არჩევნების წინ მაშინ, როცა დემოკრატები მალავენ მათი მმართველობის დროს მომხდარ კანონდარღვევებს გემთმშენებლობაში, ავიაციის მშენებლობაში და ა.შ. რომელი დემოკრატი დაისაჯა იგივე „ბომ მაგნეტო კომპანის“ უკანონო გაყიდვისათვის ან რომელი დემოკრატი ლიდერი დაისაჯა ომის შემდგომ, უცხოურ სესხებად, მილიარდობით დოლარის გაცემისათვის? მართალია, ასკენის წერილის ავტორი, კულიჯი არც ისეთი პროგრესულია როგორც მე მინდა, მაგრამ დემოკრატ კანდიდატ დევისს მაინც სჯობია.¹⁷

ამავე დროს, კულიჯის თაოსნობით, ფედერალური ხელისუფლება თითქმის არ ერეოდა შტატების უფლებებში და სრულად ახორციელებდა აშშ-ის კონსტიტუციის მეათე შესწორებას შტატების უფლებების შესახებ. კულიჯი სოფლის მეურნეობაშიც ინდივიდუალიზმის პრინციპებს იცავდა და სულაც არ ჩქარობდა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების ამოქმედებას.

დემოკრატების წინასაარჩევნო პლატფორმის ერთ-ერთი მთავარი თემა, ჰარდინგის კაბინეტის კორუფციაც, კულიჯის სასარგებლოდ მუშაობდა. იგი იმდენად პატიოსანი და ამ მხრივ უცოდველი კაცი იყო, რომ მასზე ყველაზე ნაკლებად ვრცელდებოდა ეს ბრალდებანი, უფრო პირიქით, მისი პიროვნება რესპუბლიკური პარტიის განწმენდის სიმბოლოდ აღიქმებოდა.

ბევრს მოსწონდა მისი პასიურობა საერთაშორისო ასპარეზზეც, რომელიც სავსებით ეთანხმებოდა ამერიკული იზოლაციონიზმის ტრადიციას.¹⁸

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, კალვინ კულიჯმა ძალზე პასიურად ჩაატარა არჩევნები. მას ცოტა წინასაარჩევნო გამოსვლა ჰქონდა, მაგრამ ზედმინევნით კარგად იყენებდა პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს არჩევნების ინტერესებში. ამართლებდა რა თავის სიტყვაძუნნობას, მან განაცხადა—„მე რალაც ვერ ვიხსენებ პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელსაც საქმე იმით გაეფუჭებინოს, რომ ცოტას ლაპარაკობდა“.¹⁹

„ჩიკაგო ტრიბიუნის“ 1924 წლის 3 ნოემბრის არჩევნების დღის ნომერში აღნიშნავდნენ, რომ პროსპერიტის შემდგომი გაგრძელებისათვის აუცილებელი იყო კულიჯის თეთრ სახლში დარჩენა. ასევე აღნიშნული იყო, რომ ამომრჩეველს ხარჯების ეკონომია და გადასახადების შემცირება უნდოდა და ამ მხრივ რესპუბლიკელებმა შეასრულეს თავიანთი პირობა, შესაბამისად, მათი შეცვლის არავითარი საჭიროება არ არსებობდა.

იმავე ნომერში იყო კარიკატურა, სადაც ასახული იყო კონგრესის არც თუ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კულიჯისადმი და ამომრჩეველს ურჩევდნენ კონგრესის აზრის გაუთვალისწინებლად გაეკეთებინა არჩევანი.²⁰

იმავე გაზეთის 4 ნოემბრის ნომერში აღნიშნეს, რომ კულიჯი მშვიდი და თავდაჯერებული იყო არჩევნების წინ და 3 ნოემბერს არ უღალატია თავისი დღის განრიგისათვის. როგორც ყოველთვის, ცხრის ნახევარზე ოფისში იყო, ჩვეულებრივ, კვირა დღის საქმეები მოითავა, ლანჩის შემდეგ დაიძინა და 3 საათზე ოფისში დაბრუნდა. ამის შემდეგ მდივანს უკარნახა თავისი გამოსვლის ტექსტი და 10 საათზე გამოვიდა კიდევ რადიოთი. შემდეგ ესაუბრა რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე უილიამ ბატლერს არჩევნების მსვლელობის შესახებ. ბატლერმა აცნობა, რომ დასავლეთის შტატები, რომელნიც ლაფოლეტს უჭერდნენ მხარს, უკანასკნელ დღეებში რესპუბლიკელთა მხარეს გადავიდნენ და საბოლოოდ მინესოტამაც პრეზიდენტის მხარე დაიჭირა. გაზეთში გაკვირვებით აღნიშნავდნენ, რომ კულიჯს არც ორშაბათის გეგმები შეუცვლია და კაბინეტის შეხვედრა დაგეგმა, თუმცა

ამ შეხვედრას ბევრი მინისტრი ვერ დაესწრობოდა, ვინაიდან თავიანთ ქალაქებში იყვნენ ხმის მისაცემად.²¹

დემოკრატების სისუსტე კი მათი კანდიდატის უსახურობამაც განაპირობა. ზოგიერთი ავტორის მიხედვით, დევისი იმდენად მოსაწყენი ორატორი იყო, რომ თავის მსმენელებს აძინებდა.²²

ამავე დროს, ვერც მესამე პარტიის ლიდერმა, ცნობილმა პროგრესისტმა, ვისკონსინის სენატორმა რობერტ ლაფოლეტმა მიაღწია რაიმე მნიშვნელოვან შედეგებს. ლაფოლეტის მომხრეები პროგრესივიზმის სულისკვეთების აღორძინებას მოითხოვდნენ, კერძოდ კი, რკინიგზების ნაციონალიზაციას, სანარმოო დისპუტებში მთავრობის კეთილგანწყობასა და ფერმერებისადმი დახმარებას. ეს პარტია აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. რესპუბლიკელები მის გარკვეულ რადიკალიზმს ამერიკელთა დასაშინებლად იყენებდნენ. მაგალითად, თავის ერთ-ერთ წინსაარჩევნო რადიოგამოსვლაში, რომლის ტექსტსაც კალიფორნიის კულიჯ-დაუესის მომხრეთა რესპუბლიკური ლიგა ავრცელებდა, ვაჭრობის მინისტრი ჰ. ჰუვერი აცხადებდა — „სენატორ ლა ფოლეტის პარტია მოითხოვს რკინიგზისა და სხვა სამეურნეო სფეროების სახელმწიფოს საკუთრებასა და მართვაში გადაცემას . . . კერძოდ კი, საქმე ეხება რკინიგზას, ელექტროენერჯიას, სატელეფონო მომსახურებას და ტელეგრაფს. რესპუბლიკური პარტია კერძო საკუთრების მომხრეა და სურს, რომ არ მოხდეს მთავრობის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება მომსახურებისა და მოგების რეგულირების გზით.“²³

საბოლოოდ, რესპუბლიკულმა პარტიამ ტრიუმფალურ, მანამდე არნახულ, გამარჯვებას მიაღწია. არჩევნების შედეგად კულიჯმა მიიღო 15,718 211 ხმა. დემოკრატმა ჯონ დევისმა — მხოლოდ 8, 385 283 ხმა, ხოლო პროგრესისტმა რობერტ ლაფოლეტმა — 4, 831 289, რაც, შეიძლება ითქვას, უპეცენდენტოდ მაღალი მაჩვენებელი იყო ე. წ. მესამე პარტიისათვის.

კულიჯის გამარჯვებაზე ჟურნალ „ათლანტიკ მონსლიში“ წერდნენ, რომ „შემთხვევამ კულიჯი ვიცე-პრეზიდენტად აქცია, შემდეგ კი ღმერთის ხელმა იგი თეთრ სახლში დასვა“.²⁴ სხვათა შორის, კულიჯის ფლეგამტიზმი მისი ტრიუმფის დღესაც გამოიკვეთა. როგორც „ჩიკაგო ტრიბუნის“ 5 ნოემბრის ნომერშია აღნიშნული, უკვე საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგაც კული-

ჯი მშვიდად იყო, მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დღეს ჩვეულებრივად მუშაობდა და არავის არ მისცა ნება პრეზიდენტის ოფისის ჩვეული რუტინა დაერღვია. ბიუჯეტის ბიუროს დირექტორი გენერალი ლორდი გაოცებული იყო, რომ ამ დღესაც კი პრეზიდენტმა დეტალურად განიხილა ბიუჯეტის ყველა პუნქტი.²⁵

მამ ასე, დაინყო კულიჯის პრეზიდენტობის ახალი ვადა და გაგრძელდა 1923 წელს დაწყებული ახალი აყვავების ხანა. თუმცა, რამდენად და ვისთვის იყო ეს აყვავება, ჯერ კიდევ საკითხავია და სწორედ ამ კითხვაზე შევეცდებით პასუხის გაცემას.

კულიჯის დღის განრიგი კვლავინდებური დარჩა. იგი შვიდის თხუთმეტ წუთზე დგებოდა, სეირნობდა, 8 საათზე საუზმობდა და გაზეთებს კითხულობდა. 9-დან პირველის ნახევრამდე მუშაობდა. ამას მსუბუქი ლანჩი და ძილი მოჰყვებოდა. 3-დან 6 საათამდე კვლავ მუშაობდა ოფისში. იძინებდა 10 საათზე. სადილის შემდეგ იშვიათად თუ მუშაობდა.. და ეს რეჟიმი საკმაოდ მტკიცედ იყო დაცული.²⁶ ასე ცოტას მხოლოდ რონალდ რეიგანი თუ მუშაობდა.

მასაც მსგავსი განრიგი ჰქონდა და თანაც სწორედ კულიჯის სურათი ეკიდა კაბინეტში.

პრეზიდენტობის ახალი ვადის დაწყების დამახასიათებელი ნიშანია მისალოცი ადრესები, წვეულებები და, რასაკვირველია, პროტექციის ძიება თანამდებობების მაძიებელთა მიერ, რომელთაც, 1883 წელს პატრონაჟის ნინაალმდეგ მიღებული კანონის მიუხედავად, უფრო ამ კანონის დარღვევის პრეცედენტები ახსოვდათ, ვიდრე მისი ცხოვრებაში გატარება. პრეზიდენტს მრავალი წერილი მოსდიოდა ამ თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნის თხოვნითა თუ რეკომენდაციით, რაზეც პრეზიდენტის მდივანი ყოველთვის მაღლობით პასუხობდა და ავტორებს ამცნობდა, რომ პრეზიდენტი აუცილებლად გაითვალისწინებდა მათ მოსაზრებას ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას.²⁷

ერთ-ერთ მსგავს წერილში, 1925 წლის 9 მაისს, კონგრესმენი ჯორჯიიდან უილიამ დ. უპშაუ წერდა პრეზიდენტს, რომ საჭირო იყო სახელმწიფო ბეჭდვითი ოფისის ხელმძღვანელის პოსტზე ახალი კაცის დანიშვნა, ვინაიდან ამ ოფისის ხელმძღვანელს, ჯორჯ კარტერს გარკვეული პრობლემები ჰქონდა თანამშრომლებთან ურთიერთობაში. ამ თითქოსდა ტრივიალურ მოთხოვნას ისეთი სრულიად მოულოდნელი გაგრძელება და იმდენი ადამიანის ჩართ-

ვა მოჰყვა, რომ ეგონებ, საინტერესო იქნება მისი უფრო დანერ-
ილებით განხილვა.

თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად კონგრესმენმა ნერ-
ილს დაურთო ქალაქ სირაკუზის ტიპოგრაფიული კავშირის 1925
წლის 2 მაისის წერილი სენატორ კოპლენდისადმი, რომელშიც
პროფკავშირის წევრები ჩიოდნენ კარტერის პროფესიულ არაკომ-
პეტენტურობაზე, რომელმაც სამუშაოზე მიღების მოთხოვნებში
არსებული 4 წლის სტაჟი 2 წლის გამოცდილებით შეცვალა და კომ-
პეტენტური და გამოცდილი კადრები დაითხოვა. პროფკავშირის
წევრებს მიაჩნდათ, რომ კარტერს უკანონოდ ეკავა თანამდებობა,
ვინაიდან არ იყო ბეჭდვითი საქმის პროფესიონალი და პრაქტიკო-
სი.

დისკუსიაში სხვა პროფკავშირებიც ჩაერთვნენ, მაგალითად,
კალიფორნიიდან ჩრდილოეთ ამერიკის ტანსაცმლისა და ქუდის
მწარმოებელთა კავშირი. 1925 წლის 11 მაისს მათ კონგრესმენ
ვალტერ ლინებერგერს მისწერს, რომ სხვა დარღვევებთან ერთად
კარტერი აიძულებდა თანამშრომლებს მარტო თავისი დანესებ-
ულების კაფეთი ესარგებლათ, მხოლოდ მის კარებს ტოვებდა ღიას
და სხვა კარებს კეტავდა. ეს ანტიამერიკულ ქცევად და ტირანიად
იყო მიჩნეული. ბოლოს ამ საკითხის განხილვისას პენსიაზე გასული
მბეჭდავებიც კი შეკრიბეს. ერთი სიტყვით, ამ საკითხის გამო დიდი
აურზაური ატყდა. აღნიშნული ოფისის კაფეტერიამ ვაშინგტონის
ბიზნესმენების ყურადღებაც მიიქცია. ვინმე რ. დ. უალბი უჩიოდა
პრეზიდენტს, რომ ამ სახელმწიფოს კუთვნილ კაფეში უფრო და-
ბალი ფასები დაანესეს და ამით იგი კონკურენციას უწევდა ქა-
ლაქის კერძო კაფეებს. აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვდა, რომ
სახელმწიფო დანესებულებათა კაფეებით სარგებლობის უფლება
მხოლოდ ამ უწყებათა თანამშრომლებს ჰქონოდათ. ვაშინგტონის
რესტორნების მფლობელები მიიჩნევდნენ, რომ ეს უკვე სახელმ-
წიფოს კონკურენცია იყო კერძო ბიზნესის მიმართ, ვინაიდან სახ-
ელმწიფო კვების ობიექტები გადასახადებს არ იხდიდნენ შენობასა
და ფართობში.

ამაზე პრეზიდენტის მდივანმა ევერეტ სანდერსმა ბეჭდვითი
ორგანოს ხელმძღვანელის პასუხი დაიმონმა, რომლის აზრით, კაფე
ისეთივე განრიგით მუშაობდა, როგორც სხვა ფედერალურ დანე-
სებულებებში, იგივე კონგრესის ბიბლიოთეკის ჩათვლით, და იგი

არც ფასებს ამცირებდა და ჩვეულებრივად ემსახურებოდა თავის თანამშრომლებს, ხოლო გარედან შემოსულ პირთა რაოდენობა კი იმდენად მცირე იყო, რომ ვერაფრით დააზარალებდა კერძო სექტორს.²⁸ ბოლოს საქმეში თვით ამერიკის შრომის ფედერაციის პრეზიდენტი უილიამ გრინიც კი ჩაერთო და კულიჯს გააცნო ამერიკის შრომის ფედერაციის 45-ე წლიურ კონვენტზე კარტერთან დაკავშირებით მიღებული დადგენილება. კონვენტმა კი დაადგინა, რომ როგორც სახელმწიფო ბექდვითი ორგანოს ხელმძღვანელი, კარტერი არღვევდა ამერიკის კანონებს:

1. პროფესიული გამოცდილების ვადა დანია 4-დან 2 წლამდე;
2. თანამშრომლებში ურთიერთდაბეზლების სისტემა დანერგა. ამაზე ანტიამერიკული ქმედება კი წარმოუდგენელი იყო;
3. რამდენჯერმე საჯაროდ მიაყენა შეურაცყოფა თანამშრომლებს;
4. არ თანამშრომლობდა ტიპოგრაფიის მუშაკთა კავშირთან;
5. არაადეკვატური რეკლამა გაუწია თავის სამსახურს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველას პირდებოდა სამსახურს, ამის საშუალება კი არ ჰქონდა;
6. 1925 წლის 7 მარტს ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სამსახურიდან დაითხოვა 172 მეტად გამოცდილი მბეჭდავი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ტიპოგრაფთა კაშირის წევრები იყვნენ და ვერ ეგუებოდნენ კარტერის მიერ ამ უწყების ასე არაამერიკული მეთოდებით მართვას;
7. კარტერმა ოფისში მუშაობისათვის მიუღებელი პირობები შექმნა და ა.შ.

შესაბამისად, დელეგატები თხოვდნენ პრეზიდენტს გამოეკვლია ეს საქმე. იგივე შინაარსის წერილები გაეგზავნა კონგრესის ორივე პალატას.

როგორც პრეზიდენტის მდივანმა აცნობა გრინს 1925 წლის 12 ნოემბრის წერილში, ამ წერილების საფუძველზე, პრეზიდენტმა მოსთხოვა კარტერს ანგარიშის დაწერა. კარტერმაც დაწერა 40 გვერდიანი ანგარიში, სადაც უარყოფდა წაყენებულ ბრალდებებს და თავის მიღწევებს აღნიშნავდა. კარტერს მომხრეებიც გამოუჩნდნენ და 1925 წლის 12 მაისს ასევე პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში პირიქით, უქებდნენ მას სამსახურში ხელფასების გაზრდასა და კარგ მმართველობას.

ბოლოს სანდერსმა შეატყობინა ამერიკის შრომის ფედერაციის პრეზიდენტს უილიამ გრინს, რომ ამერიკის პრეზიდენტმა შეისწავლა მის ხელთ არსებული ყველა მასალა, საკმარისად ჩათვალა ჯერ კიდევ წინა გაზაფხულზე გაკეთებული კორექტივები საბეჭდი ოფისის საქმიანობაში და მეტის გაკეთება მიზანშეწონილად მიაჩნდა.

თავის მხრივ, 25 დეკემბერს, იგივე სანდერსმა კარტერს მოსთხოვა 90 დღის ვადაში სამსახურში 4 ადამიანის მიღება. იმავე ქალაქებშია ბროშურა, რომელშიც ჯერ კიდევ 1925 წლის 17 აპრილს იუსტიციის მინისტრმა დასაბუთებულად ცნო ბეჭდვითი ოფისიდან გარკვეული რაოდენობის თანამშრომელთა დათხოვნა ეკონომიის მიზნით.²⁹ საბოლოოდ, კარტერმა მაინც შეინარჩუნა თანამდებობა და 1927 წელს იგი კვლავ თავის ადგილზე იყო.

ამ ნახევრად დეტექტიურ მიმონერაში კარგად გამოიკვეთა პროფკავშირთა ავტორიტეტი და მოქმედება ადამიანის უფლებათა და პროფესიონალიზმის დასაცავად, ასევე, ერთი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტისადმი უმალლესი ხელისუფლების უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება.

თუმცა აღნიშნული წლების მთავარი მახასიათებელი უფრო ბიზნესისა და მთავრობის შეხმატკბილებული თანამშრომლობა იყო. კულიჯს გულწრფელად სწამდა *Leissez-faire*-ის იდეალების, რომ ამერიკის წარმატების მთავარი წინაპირობა ამერიკული ბიზნესის დამოუკიდებლობა და აყვავება იყო. თუ ამერიკული ბიზნესი წარმატებული იქნება, მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდება და მეტი ამერიკელი მიიღებს ხელფასს, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის მსყიდველობით უნარს გაზრდის. ეს კი, შესაბამისად, ახალ იმპულსს მისცემს ბიზნესის განვითარებასა და წარმოების გაფართოებას, რასაც კვლავ დასაქმებულობის ზრდა მოჰყვება და ასე დაუსრულებლად.

ეს არაჩვეულებრივად მიმზიდველი სქემა, ასე მარტივად და შეუცდომლად რომ არ მუშაობდა მრავალმა ეკონომიკურმა კრიზისმა და სერიოზულმა სოციალურმა ძვრებმა დაადასტურა. მაგრამ 1923-24 წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა აღმავლობამ, რომელიც მეტად ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული არა მარტო კულიჯს, არამედ ბევრ სხვა სერიოზულ პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს განუმტკიცა რწმენა, რომ ეს იდეალური სქემა ამჯერად მაინც

უნაკლოდ იმუშაებდა. ამიტომაც კულიჯის ცნობილი დევიზი რომ „ამერიკელი ხალხის მთავარი ბიზნესი ბიზნესია“ მეტად ნოყიერ ნიადაგზე გაიფურჩქნა და ქრესტომათიულად იქცა თანამედროვეთათვის.

თავბრუდამხვევი ეკონომიკური აღმავლობა იმასაც ადასტურებდა, რომ ბიზნესი მშვენივრად ახერხებდა ამერიკის განვითარებას და სოციალურ უზრუნველყოფაზეც იღებდა პასუხისმგებლობას. შესაბამისად, კულიჯმა მინიმუმამდე დაიყვანა აღმასრულებელი ხელისუფლების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და კონგრესსაც იგივეს მოუწოდებდა. „ჩვენი უბედურებათა ოთხი მეხუთედი გაქრება, თუ დავსხდებით და წყნარად ვიქნებით“, ქადაგებდა კულიჯი.³⁰ ამის შესახებ ამერიკის ცნობილმა იუმორისტმა უილ როჯერსმა განაცხადა — „კულიჯი გამორჩეულია არა იმიტომ, რომ არაფერს აკეთებდა, არამედ იმიტომ, რომ იგი ამას (არაფრის კეთებას — ვ.კ.) ყველაზე უკეთესად ახერხებდა.“³¹

როგორც ცნობილი ჟურნალისტი ვალტერ ლიპმანი წერდა, „კულიჯის არააქტიურობის გენია უმაღლეს დონეზეა აყვანილი და შორსაა ჩვეულებრივი ზარმაცი არააქტიურობისაგან. ეს არის მკაცრი, განსაზღვრული, საგანგაშო არააქტიურობა, რომლითაც კულიჯი მუდამ არის დაკავებული. არააქტიურობა ეს პოლიტიკური ფილოსოფია და პარტიული პროგრამაა კულიჯისათვის.“³² კულიჯის საყვარელი მოსაზრება იყო „არასოდეს გააკეთო ის, რისი გაკეთებაც შენს მაგივრად სხვას შეუძლია.“ თუმცა ეს სულაც არ იყო დაკავშირებული სიზარმაცის ცნებასთან. პურიტანიზმის ტრადიციებზე აღზრდილ კულიჯს შრომა თითქმის რელიგიის რანგში ჰყავდა აყვანილი — „ადამიანი, რომელიც ქარხანას აშენებს, აშენებს ტაძარს. ადამიანი რომელიც იქ მუშაობს, ღვთისმსახურებას ეწევა“. კულიჯის ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ამერიკელ მენარმეს, რომელიც სამადლო საქმეს აკეთებს, ხელი არავინ უნდა შეუშალოს.

ალბათ, ბიზნესმენებზე უკეთ ბიზნესზე ვერავინ იზრუნებდა და ამერიკის მთავრობაშიც ისინი უშუალოდ და მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი. კულიჯმა, სიამოვნებით დატოვა თავის მთავრობაში ენდრიუ მელონი და ჰერბერტ ჰუვერი, რომელთაც ახალი ვიცე-პრეზიდენტი, მსხვილი ბანკირი, ჩარლზ დაუესი დაემატა.

როგორც „უოლ სტრიტ ჯორნალში“ დანერეს—„ჯერ კიდევ არასოდეს აქ ან სადმე სხვაგან არ ყოფილა მთავრობა ასე სრულად შერწყმული ბიზნესთან“.³³

კულიჯი იყო პირველი პრეზიდენტი, რომელიც რეგულარულად ხვდებოდა ჟურნალისტებს, თანაც ხვდებოდა მეტად აქტიურად. 5 წლისა და 7 თვის მანძილზე პრესას 520-ჯერ შეხვდა ანუ 7,8 პრესკონფერენცია ჰქონდა თვეში მაშინ, როდესაც ფრანკლინ რუზველტს მხოლოდ 6,9 შეხვედრა ჰქონდა თვეში. როგორც სტატისტიკის მოყვარულმა ამერიკელებმა დაითვალეს, მიუხედავად სიტყვაძუნნი კაცის რეპუტაციისა, მიკროფონთან კულიჯი თვეში დაახლოებით 8 688 სიტყვას წარმოთქვამდა.³⁴ თავისი დროის ერთ მეოთხედს იგი გამოსვლების მომზადებასა და თვით გამოსვლებზე ხარჯავდა. როგორც მისი მდივანი, ევერეტ სანდერსი იხსენებდა, როდესაც პრეზიდენტი წერილს კარნახობდა, იგი ერთი ან ორი სიტყვით, უკეთეს შემთხვევაში, ფრაზით გამოხატავდა სათქმელს, რაც მის მდივნებს უნდა ექციათ ისეთ წერილად, სადაც აზრის გამოსატანად აუცილებელი, მეტ-ნაკლებად საჭირო რაოდენობის სიტყვა იქნებოდა.³⁵

აღსანიშნავია, რომ კულიჯების ოჯახი ყველაზე სტუმართმოყვარე იყო მის წინამორბედ პრეზიდენტებთან შედარებით. ხუთ ნახევარი წლის მანძილზე მათ 102 ოჯახის სტუმარი ჰყავდათ, როდესაც ტაფტს ოთხ წელიწადში სულ — 32, ვილსონს კი რვა წლის მანძილზე მხოლოდ — 12, ჰარდინგს სამი წლის მანძილზე — 5.³⁶ კარგი ხასიათის და ტაქტის წყალობით, ოფიციალურ მიღებებზე სწორედ პრეზიდენტის მეუღლე ანონასწორებდა კულიჯის მეტისმეტი სიტყვაძუნობით გამოწვეულ უხერხულობას. ჯერ კიდევ მასაჩუსეტში მოღვაწეობისას, ხუმრობდნენ რა მის ორატორულ ნიჭზე, აღნიშნავდნენ, რომ, თუ ზოგიერთ ორატორს შეეძლო მსმენლებით გაეცხო ნებისმიერი დარბაზი, კულიჯს ასეთივე წარმატებით შეეძლო ნებისმიერი დარბაზის დაცარიელება.³⁷

ხშირად აღნიშნავდნენ, რომ თავის გამოსვლებში იგი საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებებს ქადაგებდა და არაორგინალური იყო. იგი მართლაც არ იყო გამორჩეული ორატორი და ამერიკას უკეთესებიც უნახავს. მაგრამ ერთია საყურადღებო, როდესაც იგი ისეთ საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაზე საუბრობდა, როგორც ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ურთიერთ-

პატივისცემა, ამერიკის იდეალები და სხვა, ამ ადამიანს ბევრი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, მართლაც სჯეროდა აღნიშნული იდეალებისა და პირად ცხოვრებაშიც ამ სტანდარტებით მოქმედებდა. ამიტომაც მის უბრალო სიტყვებს უფრო დიდი გავლენა ჰქონდა, ვიდრე მრავალი პოლიტიკოსის სიტყვაკაზმულობას. თანაც, როგორც პრეზიდენტი, იგი მაგალითის მიმცემი იყო მთელი ამერიკისათვის. ჰარდინგის სკანდალების შემდეგ კი ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა პოლიტიკური ლიდერების შეფასებისას მთავარი მაინც მათი კონკრეტული მოქმედებაა. ამიტომაც, თუ ამერიკის ისტორიოგრაფიაში არსებული ტრადიციისა და ჩვენი კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ, გვინდა გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელთა მაგალითზეც გამოიკვეთა კულიჯის ადმინისტრაციის კრედო, მისი რეალური პოლიტიკა.

1. 1924 წლის 15 მაისს კულიჯმა ვეტო დაადო ე. წ. ბონუსის ბილს, რომლის მიხედვით, 1945 წელს სახელმწიფოს გარკვეული ანაზღაურების გადახდა უნდა დაენყო პირველი მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის. მაგრამ 17 მაისს წარმომადგენელთა პალატაში 313 ხმით 78-ის წინააღმდეგ და სენატში 59 ხმით 26-ის წინააღმდეგ, კონგრესმა მაინც მიიღო ეს კანონი. მოგვიანებით, 1925 წლის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი, კულიჯი აღნიშნავდა, რომ ვეტერანებისათვის 650 მილიონი დოლარი იხარჯებოდა, რაც I მსოფლიო ომამდე მთელი ფედერალური ხარჯების ტოლი იყო. არც თუ დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ ბონუსის ბილიც მოიხსენია, განაცხადა, რომ ამაზე მეტი რაღა უნდა გაკეთებულყო. ისიც დაამატა, რომ „სამომავლოდ ძალზე ფრთხილად უნდა შეეიტანოთ ცვლილებები ვეტერანთა კანონმდებლობაში.“³⁸ 1926 წელს კი პირდაპირ აღნიშნა, რომ ვეტერანთა პენსიები მეტისმეტად გაზარდეს – „აღნიშნული დროისათვის ეს უკვე საკმარისია და მე აღარ მსურს მათი შემდგომი ზრდა.“³⁹

ამ პოზიციას კულიჯი მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფედერალური სახსრების ეკონომიის პოლიტიკით ხსნიდა, რაც ვაშინგტონის ბიუროკრატიისადმი ტრადიციულად უარყოფითად განწყობილ ამერიკელებს ძალზე მოსწონდათ. გარდა ბონუსის ბილისა, მან ვეტო დაადო ე. წ. ბარსომის კანონპროექტს, რომელიც პენსიების გაზრდას მოითხოვდა ფედერალურ მოსამსახურეთათვის. ვეტო

დაადო ფოსტის მუშაკთათვის ხელფასების ზრდას, რომელიც წელიწადში 64 მილიონი უნდა გამზადრიყო. კულიჯი არც კონგრესმენების და სენატორების ხელფასების ზრდის მომხრე იყო, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში ეს ცვლილება უდიდესი ერთუზიანებით მიიღეს. 1925 წელს თავის საინაუგურაციო სიტყვაში კულიჯმა განაცხადა „როდესაც მე ეკონომიის პოლიტიკას ვქადაგებ ფულის დაზოგვა კი არა, ადამიანთა დაზოგვა მინდა. მშრომელი ამერიკელი მამაკაცებისა და ქალების ზურგზე გადადის მთავრობის ხარჯების მთავარი სიმძიმე. ყოველი ჩვენი დაზოგილი დოლარი ნიშნავს, რომ მათი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება. ეკონომია ეს იდეალიზმია მის ყველაზე პრაქტიკულ გამოხატულებაში“.⁴⁰

როდესაც ეკონომიის პოლიტიკაზე საუბრობდა 1924 წლის 30 ივნისს ბიზნესის ორგანიზაციების მეშვიდე ყოველწლიურ შეხვედრაზე, იგი ხაზს უსვამდა, რომ გადასახადები, რომელთაც მოქალაქეები იხდიან, ნებაყოფილობითი უნდა იყოს, ვინაიდან „ფაქტობრივად ადამიანები თავიანთი დროის გარკვეულ ნაწილს მთავრობისთვის მუშაობენ. შესაბამისად, გადასახადების დაწესების უფლება ყველაზე ფრთხილად უნდა ხდებოდეს. მთავრობა, რომელიც აწესებს გადასახადებს საგანგებო სახალხო ინტერესების და ჯანსაღი საზოგადოებრივი პოლიტიკის ინტერესების გარეშე, თავისუფლების დამცველი კი არა, ტირანიის ინსტრუმენტია.“⁴¹

ეკონომიის პოლიტიკის წყალობით, მან არა მარტო დააბალანსა ბიუჯეტი, არამედ ყოველი წლის ბოლოს ნამატიც კი ჰქონდა. სახელმწიფო ვალიც მნიშვნელოვნად შემცირდა 22,3 მილიარდი დოლარიდან 1923 წელს 16,9 მილიარდამდე 1929 წელს. კულიჯს ეროვნული ვალი ისეთივე სირცხვილად მიაჩნდა, როგორც პიროვნული. „ეს იყო ბოროტება, რომელიც უნდა მოვიცილოთ თავიდან. ქვეყნისათვის უმთავრესი საშინაო მდგომარეობის გაუმჯობესებაა“,⁴² იმეორებდა იგი. ხარჯების ეკონომია აისახებოდა თვით პრეზიდენტის აპარატზეც, რომელიც ძალზე მცირე იყო. მისი პირადი მდივანი ჯერ ყოფილი კონგრესმენი ვირჯინიიდან ბასკომპ სლემპი იყო, ხოლო 1925 წლიდან ასევე ყოფილი კონგრესმენი ინდიანადან ევერეტ სანდერსი. კულიჯს ჰყავდა ასევე რამდენიმე მზეჭდავი და სტენოგრაფისტი. პრეზიდენტს დიდ დახმარებას უწევდა ბიუჯეტის ბიუროც.

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ეკონომიის პოლიტიკამ გარკვეულწილად განაპირობა ახალი, უზარმაზარი ფედერალური შენობების მშენებლობაც ვაშინგტონში. 1923 წლის 9 ნოემბერს ენდრიუ მელონმა შეატყობინა პრეზიდენტს, რომ ჯანდაცვის სამსახურმა ჩაატარა ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, შინაგან საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროს შენობების შემონახვა, შედეგად ამ შენობებში მრავალი ნაკლოვანება აღმოჩნდა, განსაკუთრებით ჰიგიენური თვალსაზრისით.⁴³ 1925 წელს მელონმა მისწერა კულიჯს, რომ ეს შენობები არამც თუ ცუდია და ვეღარ აკმაყოფილებს სამინისტროების მოთხოვნებს, არამედ კერძო მფლობელობაშიც იმყოფება და მთავრობა საკმაოდ დიდ ფულს იხდის მათ დაქირავებაში, მით უმეტეს, რომ ამ შენობების მფლობელები ადგილობრივ და შტატის გადასახადებსაც იხდიდნენ. თუ სამინისტროები მთავრობის კუთვნილ შენობებში განლაგდება ყველა დასახელებული ხარჯი გაუქმდებოდა. მინისტრმა ამ წერილს სამინისტროების ახალი შენობების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაც დაურთო, რომელიც 100 მლნ დოლარს შეადგენდა, თუმცა მოგვიანებით ხარჯები 250 მილიონამდე გაზარდა.⁴⁴ ამ მიმოწერას ის მოჰყვა, რომ დაზოგილი ფულიდან 250 მილიონი დოლარი გამოიყო ახალი ფედერალური შენობების ასაშენებლად. შედეგად მივიღეთ, 1920-30-იან წლებში აგებული რამდენიმე უზარმაზარი სამთავრობო შენობა, რომლებიც მნახველს, ალბათ, უფრო თავისი მასშტაბებით, ვიდრე არქიტექტურული სილამაზით ხიბლავს. ვაშინგტონელები ე. წ. ფედერალური სამკუთხედის სამ უზარმაზარ, პომპეზურ და საკმაოდ უსახო შენობებს ბეჭემოტებს უწოდებენ. თუმცა ეს უკვე გემოვნების საქმეა. საერთოდ, ამ პერიოდში მონუმენტალიზმი მსოფლიო არქიტექტურაში გავრცელებული ტენდენცია იყო და განსაკუთრებით გამოიკვეთა ნაციონალური გერმანიაში, ფაშისტურ იტალიასა და საბჭოთა კავშირში. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია არც დემოკრატიულ ამერიკას ასცდა, მით უმეტეს, რომ გრანდიოზულ ამერიკას ისედაც ჰქონდა მიდრეკილება გრანდიოზული ნაგებობებისკენ.

ალსანიშნავია, რომ, როცა კულიჯი ფედერალური ხარჯების ეკონომიას აკეთებდა, საპირისპიროდ გაიზარდა შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯები და 1927 წელს 7, 8 მილიარდ დოლარს მიაღწია. ისინი ბევრს ხარჯავდნენ გზების მშენებლობაზე და ამ გზების მოვლაც მათ ეკისრებოდათ, თუმცა ფედერალური

მთავრობის წილიც საკმაო იყო. გაიზარდა აგრეთვე შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯები სოციალურ სფეროშიც; დახმარება მოხუცებისადმი, ავადმყოფებისა და ობოლი ბავშვებისადმი. ამ მიმართულებით, როგორც ვიცით, ფედერალური მთავრობა სრულიად უმოქმედო იყო.

2. 1928 წლის 29 მაისს კალვინ კულიჯმა ჯიბის ვეტო გამოიყენა ე. წ. „მასქლ შოულზის კანონპროექტის“ მიმართ. პირველი მსოფლიო ომის დროს მთავრობამ ალაბამის ჩრდილოეთში გამდინარე მდინარე ტენესის დაბლობში, ადგილზე, რომელსაც მასქლ შოულზი ერქვა, ომისათვის საჭირო ქიმიური პროდუქციის წარმოებისათვის დაიწყო დიდი ელექტროსადგურის მშენებლობა, ომის შემდეგ რესპუბლიკელებმა მოითხოვეს, რომ, ტრადიციისამებრ, ეს სადგური კერძო ბიზნესისათვის მიეყიდათ დაბალ ან სულაც ნომინალურ ფასად, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა. მაგრამ პროგრესისტებს, სენატორ ნორისის სახით, მიაჩნდათ, რომ ელექტროსადგური სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო. უფრო მეტიც, ისინი თვლიდნენ, რომ მთავრობას სხვა ელექტროსადგურებიც უნდა აეშენებინა, რათა იაფი ელექტროენერჯია მიეწოდებინა რეგიონისათვის. ასე რომ, ბრძოლა მასქლ შოულზის გარშემო პრინციპულ დაპირისპირებად იქცა კონსერვატიზმსა და პროგრესისტების სახით მოვლენილ ლიბერალიზმს შორის. ბუნებრივია, კულიჯი კატეგორიულად შეენინა აღმდეგა მისი იდეოლოგიისათვის სრულიად შეუფერებელ სახელმწიფო საქმიანობას და უარყოფითად შეაფასა ამ დიდი ექსპერიმენტის შესაძლებლობები. არადა ამ პროექტს შეეძლო მთელი რეგიონი გამოეყვანა სიღარიბიდან.

1924 წელს კულიჯს ბრალს სდებდნენ, თითქოს იგი ფორდს, როგორც კერძო სექტორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ წარმომადგენელს, დაპირდა ამ მშენებლობის მიყიდვას. კულიჯმა კატეგორიულად გააპროტესტა ფავორიტიზმში მისი დადანაშაულება და გაახსენა საზოგადოებას, რომ ჯერ კიდევ თავის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი, 1923 წლის 6 დეკემბერს, განაცხადა ამ პროექტის კერძო საკუთრებაში გაყიდვის შესახებ, შესაბამისი შერჩევითი პროცედურებით.⁴⁵ თუმცა კულიჯს ბევრი თხოვდა, რომ სწორედ მმართველობის კარგი ორგანიზებით ცნობილი ფორდისათვის გადაეცათ ეს მშენებლობა. მაგალითად, კვალიფიცი-

რებული და არაკვალიფიცირებული შავკანიანი მუშების ჯგუფს მიაჩნდა, რომ ფორდი გამოაცოცხლებდა ვითარებას და აღმოფხვრიდა იქ არსებულ უმუშევრობას. ნერილის ავტორთა აზრით, იქ 3 ათასამდე ზანგი მიიღებდა სამუშაოს.⁴⁶ მაგრამ 1924 წელს 15 ოქტომბერს თვით ჰენრი ფორდმა მისწერა კულიჯს, რომ ვინაიდან მასკლ შოულზის გაქირავების საკითხი კონგრესმა მეტად გააჭიანურა, მას აღარ შეეძლო მეტი ცდა და უარს ამბობდა საკუთარ მოთხოვნებზე.⁴⁷

ამ საკითხით დაინტერესებული იყვნენ ფერმერებიც, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ეს ქიმიური წარმოება იაფი სასუქებით უზრუნველყოფდა მათ. სახელმწიფო მფლობელობის ერთ-ერთი მომხრე კონგრესმენი ელმერ თომასი პრეზიდენტისადმი 1924 წლის 12 დეკემბერს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მფლობელობა ერთდროულად უზრუნველყოფდა იაფ ელექტროენერგიას და ნიტრატებისა და სამხედრო აღჭურვილობის ქარხნების მუშაობას. მისი აზრით, ამ ადგილებში, საზოგადოებისათვის საჭირო მრავალი სხვა სახის პროდუქციის წარმოება შეიძლებოდა და ამავე დროს, ეს კარგი მაგალითი იქნებოდა ჰიდროენერგეტიკისათვის. თუმცა პრეზიდენტი, რომელსაც არ მოსწონდა ეს იდეა და თანაც არ სურდა ურთიერთობას გამძაფრება ამ კონგრესმენტან, პასუხობდა, რომ საკითხის გადაწყვეტა კონგრესის კომპეტენციის იყო.⁴⁸ მაგრამ კულიჯმა მშვენივრად იცოდა, რომ კონსერვატიული უმრავლესობა სწორედაც რომ მის და არა კონგრესმენ თომასის აზრს იზიარებდა. ასე და ამრიგად, მასკლ შოულზის საკითხი კონგრესის დერეფნებში დამუხრუჭდა.

3. ჯერ კიდევ 1924 წლის სარჩევნო კამპანიის პერიოდში რესპუბლიკელები სიამაყით ამცნობდნენ საზოგადოებას, რომ განვლილ წლებში გადასახადების შემცირების პოლიტიკის მეშვეობით მათ 1 250 000 000 დოლარით შეამცირეს ყოველწლიური გადასახადები და 2 432 000 000 დოლარით შეამცირეს სახელმწიფო ვალი.⁴⁹ და მართლაც, როგორც უურნალ „ლითერარი დაჯესტივი“ აღნიშნავდნენ, 1924 წელს რესპუბლიკელთა თავბრუდამხვევი წარმატების მთავარი მიზეზი ფედერალური გადასახადების შემცირების მოლოდინი იყო.⁵⁰

ვინაიდან გადასახადები ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია და 1920-იანი წლებში ამ პოლიტიკას ათ-

წლეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწე ენდრიუ მელონი ატარებდა, ალბათ, მართებული იქნება მისი საქმიანობის უფრო დანვრილებითი განხილვა. მელონი ამ ათწლეულის უცვლელი ფინანსთა მინისტრი იყო და ბევრი ისტორიკოსი ნახევრად ხუმრობით აღნიშნავდა, რომ მელონი კი არ ემსახურებოდა სამ პრეზიდენტს, არამედ სამი პრეზიდენტი ემსახურებოდა მელონს. იმასაც ამბობდნენ, რომ უფრო სწორი იქნებოდა აღნიშნულ პერიოდს არა „კულიჯის ადმინისტრაციის“, არამედ „კულიჯ-მელონის მმართველობის წლები“ დარქმეოდა.⁵¹ ოციანი წლების ამერიკაში იმასაც ხშირად გაიგებდით, რომ მელონი ამერიკის ყველაზე გამოჩენილი ფინანსთა მინისტრი იყო ალექსანდრე ჰამილტონის შემდეგ. 1923 წელს „ნიუ-იორკ თაიმსის“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნული იყო, რომ მელონი კაბინეტის ყველაზე პოპულარული წევრი იყო და საზოგადოებრივი თავმჯდომარის ადგილებში მას აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ. იგივე ხდებოდა, როდესაც მელონს კინოქრონიკაში აჩვენებდნენ.

ომის შემდგომ პერიოდში ფედერალური ხარჯებისა და გადასახადების საკმაოდ ბუნებრივი შემცირების პროცესი საზოგადოებამ სწორედ მელონის დამსახურებად ჩათვალა. უნდა ითქვას, რომ საზოგადების ეს ავანსი მელონმა საესეებით გაამართლა და მთელი თავისი შემდგომი მოღვაწეობა სწორედ ამ პროცესის უპრეცედენტო გაღრმავებას დაუთმო. 1924 წელს რესპუბლიკელთა კონვენტზე მას უჩვეულოდ დიდი და ხანგრძლივი ოვაციები გაუმართეს. 1926 წელს დემოკრატთა შტატის კონვენტზე ნიუ-იორკში ფრანკლინ რუზველტმა ირონიულად განაცხადა – „კულიჯს უნდა, რომ მის მხარეს ღმერთი იყოს, მაგრამ მას მხოლოდ მელონი ჰყავს.“⁵²

თუმცა მელონი ყოველთვის სკეპტიკურად აფასებდა ქათინაურებს და თავმდაბლად ხუმრობდა, რომ დიდი თანამდებობა ელექტროენერჯიას ჰგავს და კარგი მხოლოდ მაშინ არის, როცა ქსელშია ჩართული.⁵³

ენდრიუ მელონი დაიბადა 1855 წელს ქალაქ პიტსბურგში, პენსილვანიის შტატში. 1874 წელს მან მამამისის ბანკში დაიწყო მუშაობა და 1882 წელს უკვე ბანკის პრეზიდენტი გახდა. ამ პერიოდში მისმა ბანკმა დააფინანსა ისეთი სერიოზული კომპანიები, როგორც „ალკოა ალუმინუმი“ „გოლფ ოილ კომპანი“, „იუნინონ სთილი“

და სხვები. ხშირად თავისი მომსახურებისათვის მელონი ამ კომპანიების საკმაოდ სოლიდურ აქციათა პაკეტსაც იღებდა. 1899 წელს მელონმა თავის პარტნიორთან ერთად დააარსა პიტსბურგის „იუნინო ტრასტ კომპანი“, 1902 წელს კი „მელონ ნეიშენელ ბენქი.“ 1921 წელს, როდესაც უორენ ჰარდინგმა 65 წლის მელონს მინისტრობა შესთავაზა იგი ამერიკის სამ ყველაზე მდიდარ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

პრეზიდენტი ჰარდინგი ძალზე ცუდად ერკვეოდა ფინანსურ საკითხებში და ერთხელ სასონარკვეთილებით განაცხადა, „ვერაფერი გავარკვიე ამ საგადასახადო სისტემაში . . . როდესაც ერთ მხარეს ვუსმენ ის არის სწორი, მაგრამ, როდესაც მეორე მხარეს ვუსმენ, თითქოს ისიც სწორია და კვლავ სანყის მდგომარეობას ვუბრუნდები. ვიცი, რომ სადღაც არსებობს წიგნი, რომელიც სიმართლეს მამცნობს, მაგრამ ეშმაკმა დასწყევლოს, მე არ შემიძლია მისი წაკითხვა“. მაგრამ, როგორც მელონების საგვარეულოს ბიოგრაფი დევიდ კოსკოვი წერდა, ჰარდინგს არ სჭირდებოდა წიგნი და ყოველთვის შეეძლო მელონისთვის მიემართა, რასაც გამუდმებით აკეთებდა კიდევ.⁵⁴

მართალია, ჰარდინგის და მელონის მჭიდრო თანამშრომლობა პირად მეგობრობაში არ გადაზრდილა, მაგრამ ჰარდინგი სწორედ მელონს ენდობოდა ყველაზე მეტად, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ხარჯების ეკონომიის და გადასახადების საკითხებში. თავის მხრივ, პედანტური მელონი ვერ იტანდა ჰარდინგის უდარდელ დამოკიდებულებას საქმისადმი. როგორც მელონის ერთ-ერთი მეგობარი წერდა, საეჭვო იყო, რომ მელონს იგი რომელიმე საკუთარი კომპანიის პრეზიდენტადაც კი დაენიშნა. სხვათა შორის, მელონის პირადი დამოკიდებულება ჰარდინგისადმი იმაშიც გამოიხატა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ მელონმა არ შეწყვიტა დასვენება ევროპაში და არ დაბრუნდა ამერიკაში.⁵⁵

სულ სხვა ურთიერთობა ჩამოუყალიბდა მას კულიჯთან. მელონი მოხიბლული იყო კულიჯის ეკონომიკური ცოდნით და მონესრიგებულობით. ჰარდინგის არეულ-დარეული მაგიდისაგან განსხვავებით, სადაც მელონის სკურპულოზურად მომზადებული მემორანდუმები ხშირად უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, კულიჯის მაგიდა და შესაბამისად, მისი საქმიანობა ბევრად უფრო მონესრიგებული იყო. მიუხედავად გარეგნული კონტრასტისა, ელეგენ-

ტურ და უმდიდრეს მინისტრსა და სადა და შედარებით ღარიბ პრეზიდენტს შორის, ორივე დინჯი, სიტყვაძუნნი, პედანტი და შრომის ეთიკისადმი ერთგული პრაგმატიკოსი იყო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ, როგორც ჰერბერტ ჰუვერი აღნიშნავდა, ორივე „რეალური კონსერვატიზმის პოზიციაზე იდგა.“⁶

მელონის აქტიურმა მხარდაჭერამ კულიჯისადმი, რაც, ამავე დროს, მისდამი დიდი ბიზნესის მხარადაჭერას ნიშნავდა, უდიდესი როლი ითამაშა კულიჯის ტრიუმფალურ გამარჯვებაში 1924 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. მაშინ არა მარტო მსხვილმა ბიზნესმენებმა, არამედ საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმაც მნიშვნელოვანწილად სწორედ კულიჯის და მელონის კავშირს მისცეს ხმა.

1925 წელს სახელმწიფო მდივნის ჰიუჯესის გადადგომის შემდეგ მელონი ფაქტობრივად პირველ მინისტრად იქცა და დიდი გავლენა ჰქონდა კულიჯზე. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ კულიჯსა და მელონს თითქმის ერთნაირი მოსაზრებები გააჩნდათ.

ისინი არც ერთმანეთის ქება-დიდებას ერიდებოდნენ. 1924 წლის 10 აპრილს იელის უნივერსიტეტის რესპუბლიკური კლუბის წინაშე გამოსვლისას, მელონმა განაცხადა, „როცა კულიჯი პრეზიდენტი გახდა, ბევრი კითხულობდა, გასწვდებოდა იგი ამ საქმეს თუ არა. კულიჯი ყოველდღე სცემს პასუხს ამ შეკითხვას და არა იმდენად სიტყვით, რამდენადაც კონსტრუქციული მოქმედებით. შეიძლება თეთრი სახლის მობინადრეებიდან მას ყველაზე ნაკლები ულაპარაკია, მაგრამ მისი საქმეები მეტყველებს მასზე. ეს კიდევ უფრო შთამბეჭდავია წინა სკანდალების ფონზე.“ ეს მოსაზრება მელონმა სტატისტიკით დაასაბუთა და კულიჯის განდიდება კიპლინგის ლექსითაც კი დაასრულა.⁷ კულიჯისაგან კი ქებისა და მადლობის წერილიც მიიღო. რას იზამ, ქათინაურები ყველას უყვარს, მით უმეტეს, პოლიტიკოსებს. თუმცა, ალბათ, როგორც ზრდილობიანი კაცი, კულიჯი ვალდებულიც იყო მადლობა გადაეხადა თბილი სიტყვებისთვის. თავის გამოსამშვიდობებელ წერილში 1929 წლის 27 თებერვალს კულიჯმაც არ დაიშურა უაღრესად თბილი სიტყვები მელონისადმი – „აღფრთოვანებული ვარ, რომ ამდენი წელი შეალიეთ სამშობლოს სამსახურს. არავის შემოუტანია ასეთი საფუძვლიანი ცოდნა და ბრძნული გამოცდილება ამ მეტად

მნიშვნელოვანი სამსახურის წარმატებული საქმიანობისათვის, როგორც თქვენ“.⁵⁸

კულიჯი ძალზე ენდობოდა მელონის აზრს. მაგალითად, 1926 წლის 16 ივნისს მელონმა მისწერა პრეზიდენტს, რომ ფერმერთა სესხების კომისიონერი, ვინმე რ. კუპერი გადაეყენებინა თანამდებობიდან, ვინაიდან, მელონის აზრით, მან ვერ ივარგა აღნიშნულ პოსტზე, არც იუსტიციის სამინისტროსთან ითანამშრომლა ამ სისტემის ხუთი ბანკის შემონმებისას და სამსახურის ვადაც გაუვიდა. კულიჯმა მეორე დღესვე ამ თანამდებობაზე ახალი კაცი, ალბერტ კალვინ უილიამსი დანიშნა.⁵⁹ ხოლო, როდესაც სენატორმა კაზენსმა ბრალი დასდო მელონს გადასახადების ძირითადად მდიდრებისათვის შემცირებაში, ფავორიტიზმში მასთან დაახლოებულ კომპანიებისადმი და ფინანსთა სამინისტროში გამოძიების ჩატარება მოითხოვა, კულიჯმა თავისი თანამოაზრის დასაცავად მეტად მკვახე წერილი გაუგზავნა კონგრესს, „წარმოუდგენელია, რომ აშშ-ის სენატი შეგნებულად უჭერს მხარს თავისი ერთ-ერთი კომიტეტის ასეთ საქმიანობას... მე პროტესტს ვაცხადებ და მიმაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტრომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ გამოძიებაში... დროა დავუბრუნდეთ მმართველობას ამ ქვეყნის კანონების მიხედვით.“ ამ წერილმა სენატში აღშფოთება გამოიწვია. მონტანის სენატორმა უოლშმა განაცხადა, რომ კულიჯის წერილი „არის ყველაზე ქედმაღლური წერილი, რომელიც კი ოდესმე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს გაუგზავნია პარლამენტისათვის ტიუდორების და სტიუარტების დროიდან“. მისურის სენატორი რიდი კი აღნიშნავდა, რომ „მმართველობის ერთ შტოს არ შეუძლია მოითმინოს ასეთი შეურაცყოფა მეორე შტოსაგან და ა.შ.“⁶⁰ ამ კონფლიქტს მაინც მოჰყვა გაგრძელება და როგორც მელონს, ასევე თვით კაზენსს, რომელსაც შემდგომში საგადასახადო წესების დარღვევა დაბრალდა, ამასთან დაკავშირებით უსიამოვნო ემოციები არ მოკლებია. თუმცა, საბოლოოდ, მელონმა მაინც წარმატებულად განაგრძო თავისი საქმიანობა.

მან დიდი ცვლილებები შეიტანა დამატებით გადასახადებში და მიაჩნდა, რომ დამატებითი გადასახადი მაღალ შემოსავალზე მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო, ვინაიდან ეს გადასახადები მდიდარი ინვესტორების ინიციატივას ამცირებდა. მელონის აზრით, ასეთი ინვესტორები უფრო ჩადებდნენ ფულს სარისკო

პროექტებში, ხოლო დაბალი რისკის პროექტები უფრო მცირე რესურსების მფლობელი ხალხისთვის იყო მისაღები. იგი თვლიდა, რომ პროგრესული ერის პერიოდისათვის დამახასიათებელი უარყოფითი დამოკიდებულება დიდი სიმდიდრისადმი უკვე დრომოჭმული იყო.

ასაბუთებდა რა მაღალი გადასახადების ცუდ გავლენას მდიდრების ინვესტიციურ აქტიურობაზე, მელონი ხშირად იხსენებდა, რომ 1922 წელს უილიამ როკფელერის სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ ამ უმდიდრეს ბიზნესმენს ჰქონია 44 მილიონის ობლიგაცია, საიდანაც არ იხდიდა გადასახადს. ეს ყველაზე დაბალი რისკის ინვესტიცია იყო, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლებოდა. 1924 წლის მაისში, კულიჯთან მიმოწერაში, განიხილავდა რა საშინაო შემოსავლების ბიუროს საქმიანობას, მელონი აღნიშნავდა, რომ ამ ბიუროში ომის დროიდან ცუდი მდგომარეობა იყო და მისი სრული გამოსწორება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, „როდესაც სასამართლოები კანონების უფრო დახვეწილ ინტერპრეტაციას დაიწყებენ, გაამარტივებენ კანონს და გადასახადები დაინევს. აი მაშინ გადანყდება საკითხები სწრაფად და საბოლოოდ.“⁶¹

როდესაც მელონმა 1924 წელს კონგრესს შესთავაზა მაქსიმალური დამატებითი გადასახადის 50-დან 25 პროცენტამდე შემცირება, ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. პროგრესისტი რობერტ ლაფოლეთი, დემოკრატი კონგრესმენები ფიორელო ლაგუარდია, ჯონ გარნერი (შემდგომში ვიცე-პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტის ადმინისტრაციაში) და ზოგიერთი რესპუბლიკელიც ალტერნატიული კანონპროექტით გამოვიდნენ, რომელშიც შედარებით მცირე შემოსავლიან ფენებს მნიშვნელოვნად უკვეცავდნენ გადასახადს, ხოლო ძალიან მდიდრებს გადასახადის მხოლოდ 50-დან 40 პროცენტამდე შემცირებას სთავაზობდნენ. უფრო მეტიც, მათ სურდათ მემკვიდრეობაზე არსებული მაქსიმალური გადასახადის 25-დან 40 პროცენტამდე გაზრდა. ეს შეეხებოდა 10 მილიონი დოლარის და მეტი ღირებულების საკუთრების მფლობელებს (მელონი სწორედ ასეთი მესაკუთრეების სიას ლიდერობდა). ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს გადასახადი საკუთრებაზე ხანდაზმული, 69 წლის მელონის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ ინიციატივაზე განრისხებულმა მელონმა განაცხადა, რომ ეს გადასახადი არ განსხვავდებოდა რუსი რევოლუციონერების მეთო-

დებისაგან.⁶² მაგრამ კონგრესმა მაინც მიიღო ეს ალტერნატიული საგადასახადო კანონი და კულიჯმაც, მიუხედავად უკმაყოფილები-სა, მოაწერა მას ხელი. მელონს ისლა დარჩენოდა, რომ მაქსიმალ-ური დამატებითი გადასახადის 40 პროცენტამდე შემცირებით და-კმაყოფილებულიყო, რაც ძალიან მდიდრებს მოგების ნახევარზე მეტს მაინც უნარჩუნებდა ბიზნესის განვითარებისათვის.

მაგრამ კულიჯის ტრიუმფალური გამარჯვება არჩევნებში, რაც აგრეთვე მელონის კურსის მხარდაჭერასაც ნიშნავდა, მელონს უკეთესი მომავლის იმედებს უსახავდა. თანაც 1925 წელს მისი უძლიერესი ოპონენტი, შეიძლება ითქვას, „უკანასკნელი პროგრე-სისტი“, რობერტ ლაფოლეთი გარდაიცვალა, ხოლო არჩევნების შედეგებმა გარნერიც მოათვინიერა და აღარც ის ეპაექრებოდა მელონს. 1926 წელს მელონი ახალი ინიციატივებით გამოვიდა და ჩანდა, რომ ეს უკვე ეროვნული მასშტაბის გეგმა იყო, რომელსაც ვერც ერთი პარტიის კანონმდებელი სერიოზულად აღარ ან ველარ შეეწინააღმდეგებოდა. დემოკრატები მხოლოდ აღნიშნავდნენ, რომ მელონი ძალზე სწრაფად ამცირებდა ეროვნულ ვალს და უკეთესი იქნებოდა ხაზინის ეს ნაშთი გადასახადების შემცირებას მოხმარე-ბოდა.

ამჯერად მელონმა საბოლოოდ მიაღწია თავის მიზანს. ეს უკვე ნამდვილად მისი პოლიტიკის აპოთეოზი იყო. კულიჯის და მელო-ნის აქტიური ზენოლის შედეგად კონგრესმა, უდიდესი უმრავლე-სობით, მიიღო კანონი გადასახადების შემცირების შესახებ. წარ-მომადგენელთა პალატაში 390 ხმით 25-ის წინააღმდეგ, სენატში 59 ხმით 19-ის წინააღმდეგ. 1926 წელს მიღებული საშემოსავლო კანო-ნი ამცირებდა მაქსიმალურ დამატებით საშემოსავლო გადასახდს 20 პროცენტამდე, რომელიც, საბაზო 5 პროცენტთან ხარჯებთან ერთად, მაქსიმალურ გადასახადს 25 % აწესებდა. ამის შედეგად გადასახადის სიმძიმემ საშუალო კლასზე გადაინაცვლა. მელონის საძულველი გადასახდი საკუთრებაზე წინათ არსებული 40-დან 20 პროცენტამდე შემცირდა, გადასახადი ჩუქებაზე კი საერთოდ გაუ-ქმდა. საგადასახადო პრივილეგიები ვრცელდებოდა ოჯახების შე-მოსავლის პირველ 4000 დოლარზე და ფაქტობრივად ამერიკელთა უმრავლესობისათვის არავითარი საშემოსავლო გადასახადი აღარ არსებობდა.

აქტიური რესპუბლიკელი, იურიდიული კომპანიის მფლობელი ვინმე დევიდ ბლეკშერი 1927 წლის 25 მაისს აშშ-ის პრეზიდენტი-სადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა რა კულიჯის ადმინისტრაციის მიღწევებს, ხაზს უსვამდა, რომ 1918 წელს დაქორწინებული კაცი, 4000 დოლარის წლიური შემოსავლით, საშემოსავლო გადასახადის სახით იხდიდა 80 დოლარს, 1921 წელს უკვე—60 დოლარს, 1924 წლის კანონით — 22-ს, ხოლო 1926 წლის კანონით, მხოლოდ 5, 63 დოლარს წელიწადში. 1926 წლის კანონით, ლარიბი გადასახადის გადამხდელთათვის გადახდის ზღვარი იმდენად გაიზარდა, რომ 3 400 000 კაცი განთავისუფლდა გადასახადისაგან.⁶³

მელონის მონაცემებით, 1927 წლისათვის მოსახლეობის 98% არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს და მხოლოდ ერთი პროცენტის სამი მეათედი იხდიდა საშემოსავლო გადასახადების 94 პროცენტს. ამის თაობაზე მელონი ამბობდა, რომ საშემოსავლო გადასახადს იმდენად ცოტა ადამიანი იხდიდა, რომ ის უფრო კლასობრივი გადასახდი გახდა, ვიდრე ეროვნული. რასაკვირველია, მდიდართა ასეთმა ხელშეწყობამ თავისი როლი შეასრულა, მათ მეტი ინვესტიციები დააბანდეს და მართლაც კიდევ უფრო მდიდრები გახდნენ. 1923 წელს მოსახლეობის 5 % იღებდა ეროვნული შემოსავლის 22,89 პროცენტს, 1929 წელს ეს უმდიდრესი 5% იღებდა უკვე 26,06 პროცენტს.⁶⁴ მელონის მომხრეები აღნიშნავდნენ, რომ მისი გეგმა მართლაც ამუშავდა და იმის გამო, რომ მდიდრებმა გაცილებით მეტი თანხები დააბანდეს დინამიკურ მრეწველობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათ მიერ გადასახადების სახით გადახდილი თანხაც. 1922 წელს მილიონერთა ჯგუფმა 50 პროცენტობიანი გადასახადის პირობებში გადასახადის სახით გადაიხადა 77 მილიონი დოლარი, ხოლო 1927 წელს იმავე ჯგუფმა, 20 პროცენტამდე დაწეული გადასახადის დროს გადაიხადა უკვე 230 მილიონი დოლარი.⁶⁵

ალბათ, საინტერესოა, თვით მელონი, როგორ აფასებდა თავის საქმიანობას. 1928 წლის 11 ოქტომბერს მელონის წინასაარჩევნო რადიოგამოსვლის ტექსტში, რომელიც დილის გაზეთებში უნდა გავრცელებულიყო, მელონი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციამ თითქმის ყველა წინასაარჩევნო დანაპირები შეასრუ-

ლა. პირველ რიგში კი ის, რომ მთავრობა მომჭირნედ, ეკონომიურად, ბიზნესის პრინციპებზე დაფუძნებით იმართებოდა.

გადასახადები შემცირდა 1921, 1924, 1926 წლებში, ხოლო 1928 წელს კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით, გადასახადები წელიწადში კიდევ 1 800 მილიონი დოლარით შემცირდა. მნიშვნელოვნად შეიკვეცა მთავრობის ხარჯები, ეროვნული ვალი იმდენად შემცირდა, რომ აღარ აწევებოდა მძიმედ გადასახადის გადამხდელს, ამავე დროს ერი პროტექციონისტული ტარიფების სიკეთეს გრძნობდა. არც ერთ სხვა ქვეყანაში, მსოფლიოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთში, აღნიშნავდა მელონი, ამდენი ადამიანი არ სარგებლობდა ცხოვრების ასეთი მაღალი სტანდარტით. თუმცა იგი აღიარებდა გარკვეული ხარვეზების არსებობას, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მალე მათაც მოეწელებოდა. ადმინისტრაციის საგადასახადო პოლიტიკის შედეგად ორნახევარი მილიონი მოქალაქე სულ განთავისუფლდა ფედერალური საშემოსავლო გადასახადისაგან, მაგრამ, შემოსავლების ზრდის წყალობით, ანაკრები, საბოლოო ჯამში, 3 მილიარდი დოლარით გაიზარდა 1921 წელთან შედარებით. 1921 წელს, თუმცა ომი უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო, მაინც არსებობდა უამრავი გადასახადი, მათ შორის მატარებლის ბილეთებზე, მანქანებზე, პიანინოებზე, ნამცხვრებზე, საღებავ რეზინაზე, ნაყინზე და აშ. დღეს არცერთი მსგავსი გადასახადი აღარ არსებობს, — ამბობდა მელონი. იგი კვლავ იმეორებდა თავის მთავარ თეზისს, რომ დაბალმა გადასახადებმა ხელი შეუწყო კერძო ინიციატივის გააქტიურებას და შედარებით დაბალი გადასახადებისას საერთო შემოსავალი უფრო გაიზარდა, ვიდრე მაღალი გადასახადების დროს.⁶⁶

ბევრს მიაჩნდა, რომ ამ რეფორმით მელონმა საკუთარ ბიზნესსაც დიდი სამსახური გაუწია. ვინაიდან სწორედ ის იყო ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი და, პირველ რიგში, მის ოჯახთან დაკავშირებული ბიზნესი გადაურჩა მაღალ გადასახადებს. 1923 წელს მელონი ხომ მესამე იყო ყველაზე მაღალი გადასახადის გადამხდელთა შორის ჯონ როკფელერისა და ჰენრი ფორდის შემდეგ. მან საკუთრებაზე გადასახადის შემცირება და ჩუქებაზე გადასახადების გაუქმებაც კარგად გამოიყენა და 1926–1932 წლებში თავისი საკუთრების დიდი ნაწილი შვილებს გადასცა საჩუქრად.

ასე რომ, ეს უაღრესად პრაგმატული ადამიანი და ბიზნესმენი საკუთარ ინტერესებსაც არ ივიწყებდა.

თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და კლასობრივი პოზიციიდან გამომდინარე, მას სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა, რომ სწორედ დიდი ბიზნესის კეთილდღეობა განაპირობებდა ქვეყნის აღმავლობას და, შესაბამისად, ამერიკელთა უმრავლესობის კეთილდღეობასაც. როგორც კლასობრივი, ასევე ალბათ პიროვნული ეგოიზმიდან გამომდინარე, მას შედარებით უმნიშვნელოდ მიაჩნდა ფერმერებისა და, მისი აზრით, სხვა ნაკლებად დინამიკური დარგების განვითარება.

მელონის წარმატებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა გადამწყვეტი როლი შეიძლება ითამაშოს დაბალი გადასახადების პოლიტიკამ ქვეყნის განვითარების ტემპების დაჩქარებაში და, პირიქით, თუ რა მუხრუჭად შეიძლება იქცეს მაღალი გადასახადების პოლიტიკა. დროულად და კვალიფიციურად განსაზღვრული დაბალი გადასახადების პოლიტიკა უდიდეს სტიმულს აძლევს ეკონომიკას. შესაბამისად, სწრაფად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ამის საფუძველზე, ერთი მხრივ, იზრდება სახელმწიფო შემოსავალი და, მეორე მხრივ, მცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც სახელმწიფოს დახმარება სჭირდება ბიუჯეტიდან, იქნებიან ეს უმუშევრები, თუ პენსიაზე ნაადრევად და იძულებით გასული ადამიანები.

ბუნებრივია, ეს მომხიბლავი სქემა ცხოვრებაში ასე მარტივად არ ხორციელდება და სხვადასხვა ეკონომიკურ კონიუნქტურას შესაბამისი მიდგომა სჭირდება. ქვეყნის მესვეურებმა დროულად უნდა აუღონ ალლო მოსალოდნელ ცვლილებებს, დროულად განჭვრიტონ დაბალი თუ მაღალი გადასახადის კურსის ოპტიმალური ზღვარი. როდესაც 1920-იანი წლების აყვავების არქიტექტორებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის ლიმიტი და თავი უცოდველებათ ცნეს, 1929-33 წლების უდიდესი კრიზისი მოიმკეს. ხოლო აპლოდისმენტები, მელონის მსგავსი პოლიტიკოსებისადმი, წყევლა-კრულვით შეიცვალა.

4. კულიჯის პრეზიდენტობის პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო შარდინგის ადმინისტრაციის კორუმპირებული წევრების გასამართლება. დემოკრატიული პარტიის კანდიდატი ალფრედ სმიტი 1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში

წერდა „კულიჯის უდიდეს ამოცანას წარმოადგენდა აღედგინა პრეზიდენტობის ღირსება და პრესტიჟი, რომელიც ჩვენს ისტორიაში ყველაზე დაბალ დონეზე დავიდა.“ უნდა აღინიშნოს, რომ კულიჯმა ჩინებულად შეასრულა ეს ამოცანა და მართლაც ჩამოწმინდა რესპუბლიკურ პარტიას მისი ცოდვები. გარკვეულწილად ამანაც განაპირობა ის, რომ ამერიკელებს სჯეროდათ მისი, მოსწონდათ მისი თავმდაბლობა და ერთგულება ამერიკის იდეალებისადმი, რომელსაც იგი ნათლად, მარტივად, რიგითი ამერიკელისათვის გასაგები ენით გამოხატავდა. ამიტომაც, როდესაც 1928 წლის ყოველწლიური მიმართვისას კონგრესისადმი კულიჯი ამბობდა, რომ ამერიკაში ყველაფერი კარგად იყო და ამერიკის ეკონომიკურ განვითარებას არაფერი ეშუქებოდა,⁶⁷ მას დაუჯერეს და კიდევ უფრო თავდავიწყებით გააგრძელეს ფასიანი ქალაქებით სპეკულაცია. მაგრამ ამაზე, უფრო დანერჩილებით, შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

5. გაამკაცრა რა ჯერ კიდევ 1921 წელს მიღებული საემიგრაციო კანონი, 1924 წლის 26 მაისს კულიჯმა ხელი მოაწერა ჯონსონ-რიდის საემიგრაციო კანონს, რომელმაც უკიდურესად შეზღუდა ემიგრაცია ამერიკაში და ემიგრანტთა რაოდენობა წელიწადში 150 ათას ადამიანამდე შეამცირა, თუმცა რეალურად ეს კვოტა 1931 წელს განხორციელდა.⁶⁸ ახალი კანონის თანახმად, დანესდა ეროვნული კვოტები, რომელთა მიხედვითაც, ამერიკაში მხოლოდ 1890 წლის აღწერის მიხედვით არსებული ამა თუ იმ წარმოშობის ხალხის საერთო რაოდენობის 2 პროცენტი ემიგრანტი უნდა შემოსულიყო. პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ემიგრანტები ჩრდილოეთ და ცენტრალური ევროპიდან — ანგლოსაქსები, სკანდინავიელები, გერმანელები. შეიზღუდა სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის მკვიდრთა ემიგრაცია. მაგალითად, მნიშვნელოვნად შემცირდა იტალიელთა რაოდენობა. თუ ომამდელ წლებში ამერიკაში წელიწადში საშუალოდ 1 მილიონამდე ადამიანი შემოდის, ოციან წლებში ეს მაჩვენებელი 300 ათასამდე დაეცა. როგორც ამერიკელი მკვლევარი ბერნარდ უაისბერგერი წერდა, ამ კანონით, სამასი წლის შემდეგ დასრულდა ტრანსსოკეანული ემიგრაციის ეპოქა.⁶⁹

ამერიკაში გაზრდილი ანტიემიგრანტული განწყობილებები კარგად აისახა 1924 წლის 6 ივნისს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ

წერილში, რომელსაც „ამერიკის დაცვის საზოგადოების“ თავმჯდომარე ჩარლზ დევისონი აწერდა ხელს. იგი მოითხოვდა ანტიემიგრანტული განწყობილებების ასახვას რესპუბლიკური პარტიის პლატფორმაში და წერდა, „ერის ცხოვრების და მოქალაქეობის სტანდარტები ერის ყველაზე ძვირფასი საკუთრებაა და ამ სტანდარტების შენარჩუნება და გავრცობა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა. აშშ-ის საემიგრაციო პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ უცხოელთა რიცხვი ქვეყანაში არასოდეს აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რომლის ასიმილირებაც შეიძლება მისაღებ გონიერ ვადაში, თანაც ისეთ ემიგრანტებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელთა სტანდარტებიც ჩვენსას ჰგავს“. ემიგრანტთა ხარისხის გასაუმჯობესებლად ავტორი მოითხოვდა მათთვის ფიზიკური, გონებრივი და მორალური ხასიათის ტესტების ჩატარებას. კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ემიგრაციას აზიური ქვეყნებიდან — „ეს დაგვიცავს რასობრივი აღრევისაგან, რომელიც მავნეა ყველა რასისათვის და არა იმიტომ, რომ რომელიმე რასა სჯობია სხვას.“ ნატურალიზაციასთან დაკავშირებით დევისონი თვლიდა, რომ „არცერთ უცხოელს არ უნდა მიეცეს მოქალაქეობა, სანამ ის არ გახდება ჭეშმარიტად ამერიკელი, სანამ არ გაიგებს ჩვენი მმართველობის სისტემას და არ შეისისხლბორცებს მას.“⁷⁰ თვით კულიჯიც ამასვე იმეორებდა, „მას, ვისაც არ შეუძლია გაითავისოს ამერიკის სული, არ უნდა დასახლდეს ამერიკაში. ამერიკა ამერიკელებისათვის უნდა იყოს.“⁷¹

ოციანი წლების სცენის ცნობილმა იუმორისტმა უილ როჯერსმა, იხსენებდა რა, რომ მისი ერთ-ერთი წინაპარი დედის მხრიდან ინდიელი იყო, აღნიშნა, „მართალია ჩემი წინაპრები „მეიფლაუერით“ არ ჩამოსულან ამერიკაში, მაგრამ ისინი დახვდნენ ამ გემს“. ამ სევდანარევე ხუმრობაში კარგად აისახა ის ფაქტი რომ, ამერიკის პირველი მკვიდრნი მართლაც იმსახურებდნენ მეტ ყურადღებას. ამ პერიოდში ამერიკის მთავრობაც ცდილობდა ძირძველ ამერიკელებთან მოენესრიგებინა ურთიერთობა და 1924 წელს კულიჯმა ხელი მოაწერა კანონს, რომელმაც ინდიელებს სრული მოქალაქეობის უფლება მიანიჭა. 1927 წელს კი კულიჯი სიუს ტომმა იშვილა.

6. როგორც | თავში აღვნიშნეთ, 1922 წლის 21 სექტემბერს მიღებულ იქნა ფორდნი-მაკომბერის კანონი, რომლის თანახმა-

დაც, პრეზიდენტს შეეძლო აენია ან დაენია ტარიფები იმპორტულ საქონელზე 50 პროცენტის ფარგლებში. თუმცა, სინამდვილეში, ეს კანონი ტარიფების უპრეცედენტო აწევას ემსახურებოდა. პროტექციონიზმის მომხრე კულიჯიც ერთგულად აგრძელებდა ამ ხაზს და ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად აძლიერებდა პროტექციონისტთა მომხრეებს სატარიფო კომისიებში. მაგალითად, კომისიის თავმჯდომარე იყო თომას მარვინი, რომლის საქმიანი ინტერესები მჭიდროდ უკავშირდებოდა შიდა წარმოებას, კომისიის წევრი ულიამ ბერჯესი ლობიერებდა მეთუნეუქობის წარმოებას, ე. ბროსარი კი — ამერიკის შაქრის წარმოების ინტერესებს. ხოლო დაბალი ტარიფების მომხრეები კულიჯმა ნელ-ნელა ჩამოიცილა, მისი აზრით, ზედმეტი აქტიურობისათვის. 1928 წელს გადამდგარი კომისიის ერთ-ერთი წევრი ჩიოდა, რომ კულიჯმა 33 სახეობაზე გაზარდა ტარიფები და მხოლოდ 5 სახის პროდუქციაზე შეამცირა.

ტარიფებთან დაკავშირებით გაბატონებული აზრი კარგად გამოიკვეთა რესპუბლიკელი პოლიტიკოსის ფრანკ მონდელის სიტყვებში 1926 წლის 18 აპრილს გამართულ ჩრდილოეთ კაროლინის რესპუბლიკური პარტიის კონვენტზე. „ჩრდილოეთ კაროლინას ყველაზე მეტი ხალხი ჰყავს დასაქმებული მრეწველობაში სამხრეთის სხვა შტატებთან შედარებით. რასაკვირველია, ტარიფები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ყოველთვის ვერ ეხმარება ფერმერებს, მაგრამ ვერცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ იტყვის, რომ ამერიკელთა მაღალი ხელფასების შენარჩუნება შესაძლებელია მაღალი ტარიფების გარეშე.“ მისი მონაცემებით, ბრიტანელთა საშუალო ხელფასი ამერიკელის ნახევარს უდრიდა მაშინ, როცა ცხოვრების ღირებულება ბრიტანეთში გაცილებით მაღალი იყო. კონტინენტურ ევროპაში ხელფასები ამერიკულის ერთი მესამედი იყო, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ერთი მეხუთედი და ერთი მეათედი. „მაღალი ტარიფების გარეშე უცხოური პროდუქცია წალეკავს ამერიკას, ქარხნები დაიხურება, ხელფასები შეგვიმცირდება. თანაც, ვის მიჰყიდნიან საკვებს, თუ ამერიკაში უმუშევრობა იქნება“.⁷²

მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა 1927 წლის 16 ივნისს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში „ლედოქს ეკონომიქს სერვისის“ მფლობელმა უ. ლედოქსმა, „ზოგიერთი თავის უვიცობით ჩივის, რომ მაღალი ტარიფები მძიმე ტვირთად აწვება ამერიკელ ხალხს,

განსაკუთრებით კი ფერმერებს. ზოგს ჰგონია, რომ მაღალი ტარიფებისგან მხოლოდ მენარმეები იღებენ მოგებას, რაც არ არის სწორი. დაბალი ტარიფები საშუალებას მისცემს უცხოელებს ხელთ ჩაიგდონ ჩვენი ბაზარი, შეამცირონ ჩვენი მსყიდველობითი უნარი და, საბოლოო ჯამში, ჩვენს წინააღმდეგ იმუშავენ. მენარმეებს ისინი გაურთულებენ ნედლეულისა და შრომის შესყიდვას. დაბალი ტარიფების მეშვეობით მოზღვავებული უცხოური პროდუქცია მწვავე კონკურენციას გაუწევს ამერიკელ მშრომლთა ნაწარმს და ცუდად აისახება ფერმერებზე და სხვა კლასებზე, რადგან დასწევს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის შემსყიდველთა მსყიდველობით უნარს. საბოლოოდ ეს ყოველი ჩვენთაგანის ცხოვრების დონეს დააქვეითებს და ვისაც დღეს დაბალი ტარიფი უნდა, პირველ რიგში, სწორედ ისინი მოითხოვენ კვლავ ტარიფების გაზრდას.⁷³

რასაკვირველია, იყო სანინაალმდეგო მოსაზრებებიც, რომელთაც, პირველ რიგში, იმპორტით დაკავებული ბიზნესი ახმოვანებდა. გარდა ამისა, ბევრს ერჩივნა უფრო იაფი უცხოური პროდუქციის ყიდვა, მაგრამ ზემოთ აღნიშნულ გამოთქმებში გამოხატული აზრი, რომ მთავარი იყო ამერიკული ბიზნესის დაცვა უცხოური კონკურენციისაგან და, აქედან გამომდინარე, ამერიკელთა დასაქმებულობისა და შემოსავლების ზრდა, ამერიკული ეკონომიკის უდიდესი აღმავლობის წლებში, გაცილებით უფრო მეტ მომხრეს პოულობდა.

II

ამერიკული ბიზნესი 1920-იან წლებში

როგორც ვხედავთ, კულიჯის მთავრობის საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამერიკულ ბიზნესს უკავშირდებოდა. შესაბამისად, მართებულად მიგვაჩნია თვით ამერიკული ბიზნესის და მისი განსაკუთრებით გამორჩეული წარმომადგენლების საქმიანობაც განვიხილოთ.

ამერიკული ეკონომიკის არაჩვეულებრივი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას ამერიკული ბიზნესის დამოუკიდებლობის უმაღლესი ხარისხი წარმოადგენდა. როგორც ინდივიდუალიზმის თეორიების განხილვისას აღვნიშნეთ, სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკაზე თავიდანვე არ არსებობდა ან მინიმალური იყო. საკუთარი ბიზნესის დასაწყებად მხოლოდ ადა-

მიანის უნარი, შრომისმოყვარეობა და მისი კვალიფიკაცია იყო საკმარისი. ამერიკული ბიზნესის განვითარებას მეტად შეუწყო ხელი ქვემარტივად უსაზღვრო ნედლეულის რესურსებმა და თავისუფალი ტერიტორიების არსებობამ (თუმცა, როგორც რუსეთის ისტორიამ გვაჩვენა, მარტო ეს არ იყო საკმარისი). ასე რომ, როგორც ამბობენ „მიეცი ნიჭსა გზა ფართო“. ეს ნიჭი კი, ანუ შრომის ნიჭი, ევროპიდან ჩამოსულ ემიგრანტებს უხვად ჰქონდათ. ამერიკელები იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ სხვა ხალხებზე უფრო სწრაფად ნერგავდნენ მრეწველობაში უახლეს სამეცნიერო და ტექნიკურ მიღწევებს. კონკრეტულად ეს ჯონ პირპონტ მორგანის ფინანსური გენიის წყალობით დაფინანსებულ გრანდიოზულ სარკინიგზო მშენებლობაში, პულმანის ქარხნებში ურიცხვი მატარებლისა და ვაგონის წარმოებაში, ენდრიუ კარნეგის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ფოლადის ქარხნებსა და ედისონისა თუ ბელის გენიალური გამოგონებების ცხოვრებაში უსწრაფეს დანერგვაში გამოიხატა. სწორედ ამ პერიოდში იშვა უზარმაზარი ამერიკული კომპანიები, ტრესტები თუ კარტელები, რომლებსაც უსაზღვრო ეკონომიკური შესაძლებლობები და უძლიერესი ადამიანური მუხტი გააჩნდათ.

როგორც ვიცით, ამ მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა უზარმაზარ პროგრესთან ერთად სერიოზული პრობლემებიც შეუქმნეს ამერიკის ეკონომიკას და საერთოდ ამერიკულ დემოკრატიასაც. კერძოდ, მათ მეტად დაჩაგრეს მცირე და საშუალო ბიზნესი და საშიშროება შეუქმნეს ამერიკის წმიდათანმიდას, თავისუფალ კონკურენციასა და თანაბარ შესაძლებლობათა იდეოლოგიას. საშუალო ფენის პროტესტი, რომელიც სახელმწიფოს მიერ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა ამერიკელთა ფუნდამენტური უფლებების დასაცავად ე.წ პროგრესისტულ მოძრაობაში გამოიხატა და ამერიკის გამორჩეული პრეზიდენტების — თეოდორ რუზველტისა და ვუდრო ვილსონის სახელებთან იყო დაკავშირებული. მართალია, მათ მშვენივრად ესმოდათ მონოპოლიური გაერთიანებების უდიდესი მნიშვნელობა ამერიკული ეკონომიკისათვის და სულაც არ აპირებდნენ და, ამერიკულ რეალობაში ვერც მოსობდნენ მათ, მაგრამ ისინი იმ რევოლუციური აფეთქების საფრთხესაც გრძნობდნენ, რომელიც მონოპოლიების უკონტროლო პარპაშს შეიძლება მოჰყოლოდა. იმავე მონოპოლიების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ მოახერხეს მონოპოლიების უკონტროლო გავლე-

ნის ზრდის შემცირება და ქვეყნის შემდგომი განვითარება სერიოზული სოციალური კონფლიქტების გარეშე.

ამერიკის ბიზნესის განვითარებას უძლიერესი იმპულსი მისცა I მსოფლიო ომმა. უზარმაზარი სამხედრო დაკვეთები მიიღო სწორედ ამერიკამ, რომელსაც უღვევი ნედლეულის რესურსები და პირველხარისხოვანი ქარხნები გააჩნდა. უზარმაზარი დაკვეთები მიიღეს ამერიკელმა ფერმერებმაც, რომლებიც ევროპას კვებად-ნენ. მოგებები და ზემოგებები ფანტასტიკურ ციფრებს აღწევდა. გარდა განახლებული ფაბრიკა-ქარხნებისა, ამერიკაში დაგროვდა უზომო რაოდენობის კაპიტალი, რომელიც ეკონომიკაში მის დაბანდებას ელოდა. აი, ასეთი უმდიდრესი, უძლიერესი, მშვენივრად ორგანიზებული, საკმაოდ განათლებული, მენეჯმენტის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი (იელის უნივერსიტეტში ჯერ კიდევ 1908 წელს პირველად შემოიღეს 26 შერჩევითი კურსი ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში. მაგალითად, „კორპორაციული ეკონომიკა“, „მორალი თანამედროვე ბიზნესში“, „სტატისტიკა თანამედროვე ვაჭრობაში“ და ა.შ.), პრინციპში თავისუფალი, უმაღლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი იყო ამერიკული ბიზნესი 1920-იანი წლების დასაწყისისათვის. ამიტომაც, მიუხედავად 1920-22 წლების კრიზისისა, არსებული ეკონომიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც, ამერიკული ეკონომიკა „განწირული“ იყო წარმოუდგენელი ეკონომიკური აღმავლობისათვის. ეკონომიკურ განვითარებას უდიდესი ბიძგი მისცა ბაზარზე მრავალი სრულიად ახალი სახის პროდუქციის მოთხოვნილებამაც, იქნებოდა ეს ავტომობილები თუ მაცივრები, მტვერსასრუტები თუ რადიო. მარტო 1922 წელს ამერიკელებმა 60 მილიონი დოლარის რადიომიმღებები იყიდეს, 1923 წელს — უკვე 136 მილიონის, ხოლო 1925 წელს — 430 მილიონი დოლარის.⁷⁴ მით უმეტეს, რომ ყოველი ასეთი ნაწარმის შექმნას უამრავი, მომიჯნავე წარმოებაში დამზადებული დეტალი სჭირდებოდა. მაგალითად, 1920 წელს ამერიკაში 9,2 მილიონი ავტომობილი იყო, 1925 წელს უკვე — 20 მილიონი, ხოლო 1930 წელს — 26,7 მილიონი. ამ ავტომობილების წარმოებას კი ხმარდებოდა ფოლადის წარმოების 20%, რეზინის წარმოების 80% , შუშის წარმოების 70 %.⁷⁵ 1922-დან 1933 წლამდე სამშენებლო სამუშაოები 75 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერჯის

მომხმარებელთა რაოდენობამ 13 მილიონიდან 25 მილიონს მიაღწია. გამოკვლეული 135 კომპანიის აქციების ფასი 1922 წელს 6 მილიარდს უდრიდა, 1929 წელს კი უკვე 30, 8 მილიარდ დოლარს.⁷⁶ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე კაპიტალის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ასე მაგალითად, მომპოვებელ მრეწველობაში 1924 წელს 368 გაერთიანება მოხდა, 1929 წელს კი — უკვე 1245.⁷⁷ ამერიკაში იყო 49 კორპორაცია, რომლის კაპიტალიც 50 მილიონ დოლარზე მეტს აღწევდა. სიგარეტის წარმოების 70 პროცენტს სულ სამი კომპანია აკონტროლებდა, ხოლო ვესტინგჰაუზის კომპანია და „ჯენერალ ელექტრიკი“ — ელექტრონაწარმის გამოშვების ნახევარზე მეტს.⁷⁸ შესაბამისად, ეს კორპორაციები უსაზღვრო შესაძლებლობებს ფლობდნენ და უდიდეს გავლენას ახდენდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

მაგრამ, რაც არ უნდა კარგი წინაპირობები არსებობდეს, რაც არ უნდა „განწირული“ იყოს ქვეყანა თუ დარგი წარმატებისათვის, ყველაფერს კონკრეტული ადამიანები აკეთებენ და ყველაფერი კონკრეტული მოქმედებით განისაზღვრება. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ამერიკას ჰყავდა ისეთი გამორჩეული ბიზნესმენები, როგორც ჯონ როკფელერი (1905 წელს მან 10 მილიონიანი ფონდი შექმნა უმაღლესი განათლებისათვის), ჯონ პირპონტ მორგანი (ერთხელ მორგანმა, რომელიც უზარამაზარ ქონებას ფლობდა, განაცხადა, რომ მას ძალიანაც მოსწონდა ამერიკა. რაზეც ერთმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ, როდესაც აღარ მოეწონება, კარგი იქნება, თუ უკან დაგვიბრუნებსო), კორნელიუს ვანდერბილტი, ენდრიუ კარნეგი (როდესაც მან თავისი ბიზნესი დატოვა, 300 მლნ დოლარის ფილანთროპიული ფონდი შექმნა და განაცხადა, რომ „მდიდარმა ადამიანმა ცხოვრების პირველი ნაწილი გამდიდრებას უნდა დაუთმოს, ხოლო მეორე ნაწილი ფილანთროპიას, რათა საზოგადოებრივი კეთილდღეობა გაზარდოს.“). შედარებით ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ბიზნესმენები იყვნენ პირველი უნივერსალური მაღაზიის დამაარსებელი ალექსანდრე სტიუარტი, ამერიკული ხე-ტყის ინდუსტრიის შემქმნელი ფრედერიკ ვერხოიზერი, ამერიკაში ერთ-ერთი პირველი ფარმაცევტული ფირმის დამფუძნებელი უილიამ ვეიტმენი, წყნარი ოკეანის ცენტრალური რკინიგზის ერთ-ერთი შემქმნელი, კალიფორნიის გუბერნატორი და სტენფორდის უნივერსიტეტის დამაარსებელი ლილანდ სტენ-

ფორდი და სხვები. მაგრამ 1920-იანმა წლებმა ახალი ტიტანები წარმოშვეს, რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს როგორც ამერიკის, ასევე მთელი მსოფლიოს ეკონომიკურ განვითარებაზე. თითქმის ყველა ამერიკელი მკვლევარი თანხმდება, რომ ამ ადამიანთა სიის სათავეში იყო ჰენრი ფორდი, რომელმაც ჭეშმარიტი რევოლუცია მოახდინა არა მარტო საავტომობილო მრეწველობაში, არამედ საერთოდ მრეწველობის მართვის სისტემაში. 1863 წელს დაბადებულმა ჰენრი ფორდმა ბავშვობა გაატარა ფერმაზე ქ. აირბორნის მახლობლად, მიჩიგანში, მაგრამ ფერმერობას მას ტექნიკა ერჩია. განსაკუთრებით უყვარდა საათების დაშლა და აწყობა, სხვათა შორის, კარგად მომუშავე საათებსაც სიამოვნებით შლიდა. როგორც მისი მეგობარი ხუმრობდა, სახლში ჰენრის გამოჩენისას ყველა საათი შიშით ქვაფეხობდა. 16 წლისამ მუშაობა დაიწყო მექანიკოსად დეტროიტში, ლამლამობით კი საათებს არემონტებდა, რითაც კვირაში 3 დოლარს შოულობდა. სწორედ მაშინ გაუჩნდა საათების მასობრივი წარმოების იდეა, მაგრამ თავი ვერ მოაბა მის განხორციელებას. თუმცა მომავალში სწორედ მასობრივ წარმოებაში იმარჯვა. მალე მან ინჟინრობასაც მიაღწია ედისონის ქარხანაში, ლამით კი სახლის გვერდით პატარა გარაჟში მანქანას აწყობდა. თუმცა მეზობლები მას შერევილ ჰენრის ეძახდნენ, მაგრამ 1886 წელს მან მართლაც ააწყო თავისი პირველი ავტომობილი. 1902 წლამდე მან ორჯერ სცადა ავტომობილების წარმოების დაწყება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 40 წლის ფორდმა მხოლოდ მესამე ცდაზე შექმნა „ფორდ კომპანი“ და ამჯერად საკმაოდ მოხერხებულად მოიზიდა ინვესტორები. თავად ფორდის წილი ამ წარმოებაში, მისი კვალიფიკაცია და ნიჭი იყო. სხვათა შორის, გარკვეული დრო მასთან ძმები დოდჯებიც კი მუშაობდნენ, რომელთაც მოგვიანებით საკუთარი მეტად ცნობილი ფირმა შექმნეს.

თავისი წარმოების განვითარებაში ფორდმა გამოიყენა ცნობილი გამომგონებლისა და ინჟინრის ფრედერიკ ტელიორის მიერ 1911 წელს გამოცემულ წიგნში „მეცნიერული მენეჯმენტის პრინციპები“ შემუშავებული მეთოდები, რომლებიც წარმოების პროცესის მაქსიმალურ რაციონალიზაციას და დანაკარგების მინიმუმადე დაყვანას გულისხმობდა. ამ უდიდესი აღმოჩენისათვის ტელიორს „მეცნიერული მენეჯმენტის მამასაც“ კი უწოდებდნენ. ტელიორის მოსაზრებების საფუძველზე, ფორდის თანამშრომელმა

გუსტავ სეიფთმა ქარხანაში კონვეიერული სისტემა მოაწყო და მაქსიმალურ სტანდარტიზაციას მიაღწია. შესაბამისად, იმის მაგვირად, რომ მუშათა ჯგუფს ერთად აეწყო ერთი მანქანა, რასაც დიდი კვალიფიკაცია, შრომა და დრო სჭირდებოდა, აწყობის პროცესი სხვადასხვა ეტაპად დაიყო. კონვეიერზე მიმავალ ავტომობილის ჩონჩხზე სხვადასხვა მუშა ერთ ტექნიკურ ოპერაციას ატარებდა. შემდეგ კონვეიერი აგრძელებდა მოძრაობას და უკვე სხვა მუშა განაგრძობდა პროცესს. ამგვარად, 1914 წლისათვის მანქანის აწყობის პროცესი 728 წუთიდან 93 წუთამდე შემცირდა. 1924 წელს ფორდმა გამოაცხადა, რომ უკვე 10 მილიონი მანქანა გამოუშვა და თუ პირველი ერთი მილიონის გამოშვებას 7 წელი დასჭირდა, მეათე მილიონისას – მხოლოდ 132 სამუშაო დღე.

ეს კონვეიერული სისტემა სატირულ ტონებში აქვს აღწერილი ჩარლი ჩაპლინის თავის უკვდავ ფილმში „ახალი დროება“. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ კონვეიერული სისტემა ფიტავდა ადამიანს ფიზიკურადაც და სულიერადაც, ვინაიდან სწრაფი, ერთგვარი და მონოტონური იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ძალზე ეფექტიანი და უფრო სანდოც იყო. ბოლოს ამ მონოტონურობასაც მოუნახეს წამალი და დღეს თითქმის ყველა ქარხანა ამ პრინციპით მუშაობს. კონვეიერული სისტემის ეფექტიანობამ ფორდის მანქანების სიიარაღეც განაპირობა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ე.წ მოდელ თ-ს („თინი ლიზი“ — რკინის ლიზი). 1908 წელს ეს იყო საშუალო დონის, მაგრამ მეტად იაფი მანქანა. დასაწყისში ის 800 დოლარამდე ღირდა მაშინ, როდესაც სხვები მეტ-ნაკლებად ნორმალურ მანქანას 1500 დოლარზე ნაკლებად არ ჰყიდდნენ. ოციანი წლებისათვის კი ფორდის მანქანების ფასმა 300 დოლარამდე დაიწია. მაგრამ ბევრს არ მოსწონდა, რომ ფორდის ყველა ავტომობილი შავი ფერის იყო და მას არაერთხელ სთხოვეს სხვა ფერის მანქანებიც გამოეშვა, რაზეც ფორდმა უპასუხა „ჩემი მანქანები ნებისმიერი ფერის შეიძლება იყოს, იმ პირობით, რომ ეს ფერი შავი იქნება“.

ეფექტიანი წარმოების ხარჯზე ფორდმა თავის მუშებს იმ დროისათვის უჩვეულოდ მაღალი ხელფასი — საათში 5 დოლარი დაუნიშნა, როდესაც სხვაგან, იგივე შრომისათვის, ანაზღაურება 2 დოლარს არ აღემატებოდა. მან თავისი მუშებისა და მათი შვილებისათვის სკოლებიც კი გახსნა და სხვა შეღავათებიც დაანება. 1926

წელს ფორდმა 6 დღიანი, 48 საათიანი სამუშაო კვირა, 5 დღიანი, 40 საათიანი სამუშაო კვირით შეცვალა. მაგრამ საპასუხოდ მუყაით შრომასა და ერთგულებას მოითხოვდა. მისი მრავალი მუშა სიამაყით აღნიშნავდა, რომ ფორდის კომპანიის აქციათა მფლობელი იყო, რითაც ამ კომპანიის თანამფლობელობის ილუზია უჩნდებოდათ. სხვა მენარმეები ფორდს თავისი კლასის მოღალატედაც ნათლავდნენ, ვინაიდან მან უღალატა მაშინ ჯერ კიდევ კლასიკურ პრინციპს — „დაბალი ხელფასები და მაღალი ფასები“. ფორდს კი მიაჩნდა, რომ კარგად დაფასებული მუშა ნაკლებად დაიწყებდა სხვა სამუშაოს ძებნას და თავის მოსაწყენ სამუშაოს კონვეიერთან უფრო დიდი ენთუზიაზმით შეასრულებდა. თანაც, რაც უფრო მეტი შემოსავალი ექნებოდა ადამიანს, უფრო მეტს იყიდდა, შესაბამისად, მეტი პროდუქცია გასაღებოდა. ამავე დროს ფორდი პროფკავშირების უდიდესი მტერი იყო. მიაჩნდა რა, რომ მის მიერ უზრუნველყოფილი შრომისა და ანაზღაურების პირობები საუკეთესო იყო დამკირავებლისა და დაქირავებულისათვისაც და პროფკავშირი ამ შემთხვევაში მხოლოდ წყალს ამღვრევდა. სხვათა შორის, ფორდი თითქმის არასოდეს იბარებდა თანამშრომლებს კაბინეტში და თავად ესტუმრებოდა ხოლმე მათ ოფისში. ასეთ თავმდაბლობას იგი ჩვეული პრაგმატიზმით ხსნიდა, „როდესაც მათთან შეედივარ ოფისში სწრაფად ვწყვეტ საკითხს და მალევე გამოვდივარ, მაგრამ, როდესაც ისინი შემოდიან ჩემთან, დიდხანს ველარ ვაგდებ კაბინეტიდან.“ ასევე პრაგმატულად მიუდგა იგი ცნობილი განგსტერის, კლაიდ ბეროუსა და მისი საყვარლის ბონის წერილს, რომელშიაც კრიმინალები მაღლიერების გრძნობით აღნიშნავდნენ, რომ ფორდის მანქანების მაღალი ხარისხის გამო ისინი მხოლოდ ფორდის მანქანებს იტაცებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ წყვილს მრავალი ადამიანის სიკვდილი და მრავალი ბანკის გაძარცვის ცოდვა აწვა, ფორდმა არ დააყოვნა ამ წერილის სარეკლამო მიზნებით გამოქვეყნება. ფორდის მეტისმეტი პრაგმატიზმი ისტორიის შეფასებაშიაც კი გამოიხატა — „ისტორია ეს ტრადიციაა. ჩვენ არ გვინდა ტრადიცია, ჩვენ დღევანდელით ვცხოვრობთ. ერთადერთი, რაც შეიძლება მეტ-ნაკლებად ღირებული იყოს ისტორიაში, ეს ის ისტორიაა, რომელსაც დღეს ვქმნით“.

ფორდი თავისი ანტისემიტიზმითაც იყო ცნობილი და მისი გაზეთი „დიარბორნ ინდეფენდენტი“, რომლის ტირაჟი 1923

წლისთვის 472 ათასს აღწევდა, სწორედ ანტისემიტური სტატიებით იყო ცნობილი. ამავე დროს, იგი პაციფისტიც იყო და I მსოფლიო ომის დაწყებისას 150 კაციანი ჯგუფით გაემგზავრა ევროპაში, რათა ომის შეწყვეტაზე დაეთანხმებინა ევროპელები, მაგრამ, როცა არაფერი გამოუვიდა, პრაქტიკულმა იანკიმ თავის ქარხნებში სამხედრო პროდუქციის გამოშვება დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს კი უკვე 80 წლის ფორდმა ააშენა უდიდესი საავიაციო ქარხანა, სადაც ბომბდამშენებს — ბ-24-ს უშვებდა.

ფორდს ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა როგორც რესპუბლიკელ, ასევე დემოკრატ პრეზიდენტებთან, თუმცა პომპეზურობა არ უყვარდა. 1939 წელს პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა იგი თეთრ სახლში დაპატიჟა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პატივსაცემად გამართულ სადილზე. პროტოკოლის თანახმად, სადილზე ფორდი ცოლთან ერთად უნდა მისულიყო, მაგრამ, ვინაიდან იმ დღეს მისი ცოლი მეზღვითა კლუბის სხდომაზე იყო წასასვლელი, ფორდიც აღარ წავიდა თეთრ სახლში. შეიძლება ვინმეს ძალზე გაუკვირდეს, რომ ფორდმა უარი თქვა სამეფო ოჯახთან შეხვედრაზე და ისიც პრეზიდენტის მიპატიჟებით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფორდი უფრო დიდი პიროვნება იყო ამერიკელთათვის და ალბათ მთელი მსოფლიოსთვისაც (გარდა ბრიტანეთის ქვეშევრდომებისა), ვიდრე ინგლისის მეფე და თუნდაც პრეზიდენტი, ალბათ, ეს არც ისე საკვირველ ფაქტად მოგვეჩვენება. ვისაც ფორდის ცხოვრების დეტალები აინტერესებს ვურჩევდით, მისი ავტობიოგრაფიის „ჩემი წარმატებების“ წაკითხვას, მით უმეტეს, რომ ეს წიგნი ქართულადაც არის ნათარგმნი.

საავტომობილო ბიზნესის ასევე მეტად მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო „ჯენერალ მოტორსის“ ხელმძღვანელი ალფრედ სლოუნი. ფორდისაგან განსხვავებით, სლოუნმა ბრწყინვალე განათლება მიიღო მაშინ ცნობილ, ახლა კი ერთ-ერთ საუკეთესო, მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. იგი გახდა ახალი ტიპის მენეჯერთა სიმბოლო, რომელთაც კოლეჯები ჰქონდათ დამთავრებული, ზოგიერთს — სამართლის კურსები, ბიზნესის ადმინისტრირება და საინჟინრო ფაკულტეტები. ასე რომ, ფორდისაგან განსხვავებით, ისინი მართო გენიალობაზე, თავდაუზოგავ შრომასა და კარგ იღბალზე არ იყვნენ დამოკიდებული. ითვალისწინებდა რა ფორდის გამოცდილებას, სლოუნი წარმოების ახალ პრინციპე-

ბზეც მუშაობდა. ფორდისაგან განსხვავებით, რომელიც მთავარ აქცენტს მანქანის სიიაფზე აკეთებდა, სლოუნის მმართველობა ორიენტირებული იყო მანქანის ხარისხზე და პრესტიჟულობაზე. როგორც აღმოჩნდა, გამდიდრებულ ამერიკელებს მარტო სიიაფე აღარ აკმაყოფილებდათ. სლოუნმა დიდი ყურადღება მიაქცია რეკლამასა და გაყიდვის მეთოდების დახვეწას. როგორც იგი ნინასწარმეტყველებდა, მანქანის სახით ამერიკელები უკვე მარტო გადაადგილების საშუალებას კი აღარ ყიდულობდნენ, არამედ სტატუსს, ძალაუფლებას, სექსუალურობას და სიმშვიდეს.

მალე პრაგამტიკოსმა ფორდმაც გაითვალისწინა სლოუნის პრინციპები და, 1925 წლის ჩავარდნის შემდეგ, 1927 წელს ახალი, უფრო დახვეწილი და სხვადასხვა ფერის მოდელი გამოუშვა, რეკლამზეც 13 მილიონი დოლარი გაიმეტა და 1929 წლისთვის კვლავ ლიდერი გახდა.⁷⁹

ოციანი წლებისათვის საავტომობილო წარმოებაში სამი ლიდერი გამოიკვეთა: ფორდი, ჯენერალ მოტორსი და კრაისლერი. მათ გარდა იყო კიდევ 12 კომპანია, რომლებიც 1905 წლამდე შეიქმნა და 1920-იან წლებამდე მიაღწია: Apperson-1901; Buick-1903; Cadillac-1902; Franklin-1900; Hayness-1896; Locomobile-1899; Maxwell-1904; Olds -1897; Overland-1902; Packard-1902; Peerless-1900; Pierce Arrow-1901; Staems-1900; Studebaker-1898. 1000-მდე სხვა საავტომობილო კომპანია კი გაკოტრდა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რა რთული კონკურენციის პირობებში უწევდათ ფორდსა და სლოუნს მუშაობა.

ავტომობილის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ რესპუბლიკელებმა თავიანთი იდეოლოგიის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ფედერალური ხარჯები გაიღეს გზების მშენებლობისათვის. ძველი გზები მოზღვავებული ავტომობილების დატვირთვას ვეღარ აკმაყოფილებდა და საჭირო იყო ახალი, უზარმაზარი ქსელის მშენებლობა. მით უმეტეს, რომ ავტომობილების რაოდენობის ზრდას დიდი მსხვერპლიც მოჰყვა. მარტო 1924 წელს 23 600 ადამიანი დაიღუპა, 700 ათასი დაიჭრა და ქვეყანას 1 მილიარდი დოლარის ზარალი მიაღვა. კარგი გზები კი უსაფრთხოების გარანტიას ზრდიდა. ამ მასშტაბის მშენებლობას შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ეკონომიკური და ორგანიზაციული შესაძლებლობები არ ეყოფოდა. ჯერ კიდევ ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციამ

გამახვილა ყურადღება ამ თემაზე და 1916 წელს ფედერალური გზების კანონი მიიღო. 1921 წელს მიიღეს ფედერალური ავტოსტრადების კანონი, რომელიც გულისხმობდა ყოველ წელს 75 მილიონი დოლარის გამოყოფას გზების მშენებლობისათვის და ხარჯების ნახევარს ფედერალურ მთავრობას აკისრებდა. საბოლოოდ, ათწლეულის დასასრულს ამაზე 690 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

1920-იანი წლების გამოჩენილი ბიზნესმენი იყო სამუელ ინსალი, რომელიც ელექტროენერჯის ბიზნესში ლიდერობდა. იგი იმდენად დაინტერესდა ედისონის საქმიანობით, რომ მასთან სამუშაოდ ინგლისიდან ამერიკაში გადმოსახლდა და მისი თანაშემწე და მდივანი გახდა. 1892 წელს, ედისონის წყალობით და კურთხევით, იგი ჩიკაგოში ედისონის ელექტროკომპანიის მმართველი გახდა, როდესაც ქალაქს ელექტროენერჯის მხოლოდ 5 ათასი მომხმარებელი ჰყავდა. ინსალის წყალობით თხუთმეტ წელიწადში მათი რაოდენობა 50 ათასამდე გაიზარდა. ინსალის მართვის პრინციპი მარტივი იყო — იგი ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა დარგში არსებული უახლესი და საუკეთესო ტექნოლოგია, შეემცი-რებინა ხარჯები და დაეყურო ახალი ბაზარი დაბალი ფასების მეშვეობით. მან განაცხადა „ჩვენ ისე გავაიაფებთ ელექტროენერჯიას, რომ მხოლოდ მდიდრები გამოიყენებენ სანთლებს“.

იგი იძენდა სხვადასხვა ადგილობრივი ელექტროკომპანიების საკონტროლო პაკეტებს და ამარაგებდა მათ უახლესი ტექნოლოგიებითა და მენეჯმენტის მეთოდებით. მან ბრწყინვალედ გამოიყენა ჰოლდინგური კომპანიის პრინციპები და 1928 წლისთვის 200-მდე წმინდა ჰოლდინგურ კომპანიას აკონტროლებდა. მათი მეშვეობით მარტო მისი საწარმოო ობიექტების ღირებულება 3 მილიარდ დოლარამდე აღწევდა და მილიონამდე ადამიანი ფლობდა მის აქციებს. მან პირველმა დაიწყო ფერმერების მომარაგება ელექტროენერჯით. ფორდის მსგავსად, მასაც არ უყვარდა პროფკავშირები, სამაგიეროდ უზრუნველყოფდა თავის თანამშრომლებს სწავლის საშუალებით, სამედიცინო მომსახურებით, პენსიებითა და აქციებით. ყოველგვარი პრობლემების გარეშე ფერადკანიანებსაც ქირაობდა, რაც არც თუ ხშირად ხდებოდა მაშინდელ ამერიკაში. ინსალის გულუხვი საქველმოქმედო საქმიანობის შედეგი იყო ჩიკაგოს ახალი ოპერა. როგორც მისი ბიოგრაფი წერდა — „გმირების მძიებელ ომის შემდგომ ათწლეულში ინსალი ამერიკელთა თვალ-

ში იყო ბიზნესის სამყაროს ბებ რუთი (ბეისბოლის ვარსკვლავი), ჯეკ დემპსი (ცნობილი მოკრივე), რედ გრეინჯი (ამერიკული ფეხბურთის სიამაყე) ... იგი ამერიკის იმიჯივით იყო, მდიდარი, ძლევამოსილი, თავად შექმნილი გოლიათი, დაუნდობელი მტრების და გულჩვილი სუსტების მიმართ.⁸⁰ მას კილოვატების მეფესაც უწოდებდნენ.

ოციანი წლების ბიზნესის სამყაროს ჭეშმარიტი გმირი იყო ენდრიუ მელონიც, თუმცა მასზე უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. რაც შეეხება ჰერბერტ ჰუვერს, იგი არა იმდენად თავისი ბიზნესით, არამედ ბიზნესისადმი მხარადაჭერით იყო ცნობილი. ნიშანდობლივია, რომ ეპოქის პოპულარული ადამიანები ჩარლზ ლინდბერგის, სპორტსმენების და კონოვარსკვლავების გარდა ძირითადად ბიზნესთან იყვნენ დაკავშირებული. თუ XIX საუკუნის მონოპოლისტებს ხშირად ყაჩაღებს უწოდებდნენ, ოციან წლებში მათ უკვე ინდუსტრიის კაპიტნებად და საზოგადოების მთავარ იმედად მიიჩნევდნენ. სწორედ ამის თაობაზე ამბობდა ფორდი „ბიზნესმენებს უფრო მეტი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე, ვიდრე პოლიტიკოსებს, ეკლესიას და სასწავლო დაწესებულებებს, ვინაიდან მათთან კონტაქტი მუდმივია და მათი გავლენა კი გარდაუვალი“.⁸¹ საერთოდ, ბიზნესის გაღმერთება მოდაში იყო. აღნიშნავდნენ, რომ იგი აბსოლუტურად განსხვავებული იყო წინა წლების ეგოისტური ბიზნესისაგან, რომელიც მარტო საკუთარ მოგებაზე ფიქრობდა. თანამედროვე ბიზნესი საზოგადოების წინაშე დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა, გაცილებით უკეთ იყო ორგანიზებული, უკეთ განათლებული და კრიზისულ მოვლენებსაც უფრო კარგად უმკლავდებოდა. მაგალითად, სავაჭრო პალატის ჟურნალი „ნეიშენ ბიზნესი“ აღნიშნავდა, რომ 1920-21 წლების კრიზისის დროს არიზონას შტატის ბიზნესის 300 წარმომადგენელმა თავისი ანტიკრიზისული საქმიანობის კოორდინაცია დაიწყო, თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობასა თუ მრეწველობაში და აღმოაჩინა, რომ ტრადიციულად დაპირისპირებულ ჯგუფებს კარგი მოკავშირეობა შესძლებიათ.⁸² არიზონაში პოპულარული გახდა ლოზუნგი „ივაჭრეთ საკუთარ შტატში, ისარგებლეთ არიზონული პროდუქციით, იყიდეთ არიზონაში.“

ახალი ტიპის მენეჯმენტის პოპულარიზაციას ის მოსაზრებაც უწყობდა ხელს, რომ ბიზნესის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე

უშუალოდ ამ სიმდიდრის მფლობელები კი არა, არამედ მათ მიერ დაქირავებული დირექტორები მართავდნენ, რომლებიც მარტო მოგებით კი არ იყვნენ დაინტერესებულნი, არამედ მთელი საზოგადოებისათვის სასურველი და ხელსაყრელი წარმოების მართვით. დიდი აქცენტი კეთდებოდა ბიზნესის მმართველობითი კულტურის ზრდაზე, მისი თვითრეგულირების უნარზე, მის თანამშრომლობაზე საზოგადოებასთან სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტისას. ბიზნესის თვითრეგულირების პრინციპებს განსაკუთრებული ძალით ქადაგებდნენ ბიზნესმენთა ისეთი გაერთიანებები, როგორც აშშ-ის სავაჭრო პალატა და მენარმეთა ეროვნული ასოციაცია.

სავაჭრო პალატა 1912 წელს შეიქმნა და ცდილობდა, ერთი მხრივ, დაერეგულირებინა ურთიერთობები ბიზნესის სამყაროში და, მეორე მხრივ, მოენსრიგებინა ურთიერთობა ბიზნესსა და მთავრობას შორის. კერძოდ კი, მაქსიმალურად ჩამოეცილებინა სახელმწიფოს ჩარევა ბიზნესში და გაეტარებინა ბიზნესის დამოუკიდებელი პოლიტიკა.⁸³ ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით იგი გარკვეულ ზენოლასაც ახდენდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებზე. მაგალითად, სავაჭრო პალატის 1928 წლის ყოველწლიური შეხვედრის პროგრამაში ჩამოთვლილი იყო ის საკითხები, რომელთა ლობირებასაც პალატა აპირებდა. მათ შორის იყო: ფედერალური საგადასახადო კანონმდებლობა, საზღვაო ვაჭრობის საკითხები, საფოსტო ტარიფები, რკინიგზის კომპანიების კონსოლიდაცია, სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაცია, ემიგრაციის საკითხები, მოკავშირეთა საკუთრება, თურქულ-ამერიკული ვაჭრობა, მუშათა კომპენსაცია, ფედერალური ზომები ჯანდაცვის სფეროში, ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, ფედერალური სარეზერვო სისტემის რეორგანიზაცია.⁸⁴ ამ მიზნების ცხოვრებაში გასატარებლად პალატის ხელთ იყო საყოველთაო საჯაროობა, წერილები კონგრესმენებთან, კონგრესში მოსმენებზე დასწრება, კონგრესმენებთან ერთად საერთო კონფერენციების მონაწილეობა, მოლაპარაკებები პრეზიდენტთან, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, ზოგადეროვნული კონფერენციების მონაწილეობა და პროპაგანდისტული ლიტერატურის გამოცემა.⁸⁵ ეს იყო ოფიციალური გზები, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ბიზნესისა და მთავრობის წევრების უამრავ პირად კავშირებს, თუნდაც

იგივე მელონი რად ღირდა, სავაჭრო პალატის გავლენა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ბიზნესის თვითკონტროლის გაძლიერებისთვის 1924 წელს ჩამოყალიბდა ბიზნესის მართვის თავისებური კოდექსი, რომელიც 15 პუნქტს მოიცავდა. კოდექსში ხაზგასმული იყო, რომ ბიზნესის მთავარი სოციალური ფუნქცია „საზოგადოებისათვის სამსახურში“ გამოიხატებოდა.

კოდექსის მიხედვით, ბიზნესს ისე უნდა ემართა საკუთარი თავი, რომ საზოგადოების ნდობა დაემსახურებინა და გამოერიცხა რაიმე შემზღუდავი საკანონმდებლო ზომები.⁶⁶ უკვე 1925 წლისათვის ეს კოდექსი 754 ორგანიზაციამ და 7435 კომპანიამ აღიარა.⁶⁷ მაგრამ კოდექსს არ შეეძლო ბოლომდე გადაეწყვიტა ბიზნესის თვითრეგულირების ყველა პრობლემა, ვინაიდან იქ არ იყო გათვალისწინებული ბიზნესის საქმიანობის ყველა საკითხი. გარდა ამისა, თვით ეს კოდექსი საკმაოდ ზოგადი ხასიათის იყო და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. თანაც კოდექსის მუხლების შესრულება თვით ბიზნესმენტთა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული და მათ არ გააჩნდათ კანონის ძალა, როგორც, მაგალითად, ახალი კურსის დროინდელ კოდექსებს. 1926 წელს სავაჭრო პალატაში შეიქმნა გაერთიანებული კომისია კომერციულ საკითხებზე, რომელიც ფედერალურ სავაჭრო კომისიასთან ერთად იძიებდა კოდექსების დარღვევის ფაქტებს. თუმცა ამ დასკვნების აღიარება თვით პალატის წევრების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული, რაც, თუ გავითვალისწინებთ ბიზნესში არსებულ ურთიერთობებს, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, ბიზნესის საქმიანობის კოორდინირებაში დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე მენარმეთა ეროვნული ასოციაცია; რომელიც, სავაჭრო პალატის მსგავსად, ძირითადად დიდი ბიზნესის ინტერესებს იცავდა.

კულიჯის ადმინისტრაციის იდეოლოგია, რომელიც ბიზნესს მაქსიმალურ თავისუფლებას ანიჭებდა, მრეწველობაში არსებული მარეგულირებელი მექანიზმების საქმიანობის საბოტირებაშიც გამოიხატა. განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ეს მარეგულირებელ კომისიებთან ურთიერთობაში. მათ შეეძლოთ პოლიტიკის გარეთ ყოფილიყვნენ და, ამავე დროს, მიეხედათ ბიზნესის ცალკეულ სფეროში არსებული დარღვევებისათვის. ფორმალურად სწორედ

მათ უნდა გაეტარებინათ ცხოვრებაში 1890 წლის შერმანის ანტი-ტრესტული და კლაიტონის 1914 წლის ანტიტრესტული კანონები. ამ კომისიებს მიეკუთვნებოდა შტატებშორისი კომერციული კომისია და ფედერალური სავაჭრო კომისია. მაგრამ ისინი ჯეროვნად ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ერთი მხრივ, ბიუროკრატია ახდენდა მათზე ზენოლას, მეორე მხრივ, ეს კომისიები გაანეიტრალა და ფაქტობრივად დაიპყრო თვით ბიზნესის წარმომადგენლებმა, რომელთა კონტროლიც მათ ევალებოდათ. კულიჯმაც არაფერი გააკეთა ამ კომისიების გადახალისებისა და მათი მოქმედების არეალის გაზრდისათვის. ფედერალურ სავაჭრო კომისიას უდიდესი უფლებები ჰქონდა უსამართლო კონკურენციის აქტების გამოვლენისა და მონოპოლისტური ტენდენციების შემცირების საქმეში. მაგრამ რესპუბლიკელებმა, ჯერ კიდევ კულიჯამდე, დაიწყეს დემოკრატების ამ კანონმდებლობის გავლენის შემცირება და მნიშვნელოვნად შეზღუდეს კომისიის უფლება, გამოეძია, გამოეკეცებინა ინფორმაცია არსებულ დარღვევებზე და აღმოეფხვრა ისინი. მაგალითად, როდესაც 1921 წელს კომისია გამოვიდა ხორცის დამამზადებლების წინააღმდეგ, ეს საქმე ამოღებულ იქნა კომისიის იურისდიქციიდან. ამავე დროს, სასამართლოები შეეცადნენ შეზღუდათ კომისიის უფლება კონკურენციის უსამართლო მეთოდების გასაზღვრაში, რითაც მნიშვნელოვნად დააკნინეს მათი გავლენა. სავაჭრო კომისიის გადანყვეტილების მიუხედავად, უმაღლესმა სასამართლომ დაიცვა ნავთობის ბიზნესში არსებული დარღვევები და ა.შ. საბოლოოდ, კულიჯმა ფედერალური სავაჭრო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა ყოფილი კონგრესმენი ორეგინიდან უილიამ ჰემფრი, რომელმაც კომისიის ანტიტრესტული საქმიანობა ნულამდე დაიყვანა და საერთოდ ეს კომისია რესპუბლიკელებით გაავსო. ფაქტობრივად, როგორც რობერტ ფარელი წერდა, 1925 წლის შემდეგ კომისიამ უსამართლო პრაქტიკის ფაქტების გამოძიების ნაცვლად მისი დადასტურება და მხარდაჭერა დაიწყო.⁸⁸ მაგრამ, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობას განიცდიდა და ამ აღმავლობის მთავარ გამრეხად სწორედ ბიზნესის წარმომადგენლები ითვლებოდნენ, მსგავსი გადახრები ცოტა ვინმეს თუ აღელვებდა და მაშინ უფრო იმ პრინციპით მოქმედებდნენ, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. თუმცა იყვნენ სკეპტიკოსებიც, მაგალითად, პროფესორი ტაგველი, რომელიც შემდეგ „ახალი

კურსის“ ერთ-ერთი იდეოლოგი გახდა, აღნიშნავდა, რომ ამერიკული ეკონომიკა ჰგავდა ძლიერ, ბრწყინვალედ აღჭურვილ გემს, კაპიტნისა და კომპასის გარეშე.⁸⁹ ხოლო ძველი პროგრესისტი, სენატორი ჯორჯ ნორისი, პირდაპირ აცხადებდა, რომ სავაჭრო პალატა იყო მონოპოლიების, უპატიოსნო კონკურენციისა და ბიზნესის უპატიოსნო გზით მართვის თავშეყრის ადგილი.⁹⁰

დიდი ბიზნესის მხარდაჭერა კონსერვატიზმის პოზიციიდან კარგად გამოიკვეთა უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობასა და პოლიტიკაშიც. აქ მეტად აქტიურობდა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი 1909-13 წლებში ჰოვარდ ტაფტი, რომელმაც თავისი პრეზიდენტობისას უმაღლეს სასამართლოში ხუთი ახალი წევრი დანიშნა, ძირითადად კონსერვატორები. შემდეგ ჰარდინგმა სამი წლის მანძილზე ოთხი მოსამართლე დანიშნა და მანვე მიაღწია ტაფტის დანიშვნას უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელად. შესაბამისად, სანარმოო დავის ხასიათის პროცესებზე უმაღლესი სასამართლო ძირითადად ბიზნესის ინტერესებს იცავდა და მკაცრად უტევდა პროფკავშირებს. ის, რომ ტაფტი საკუთრების უფლების დაცვაზე აკეთებდა აქცენტს და ამაში ხედავდა ამერიკის სასამართლო სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას, არ იყო გასაკვირი და ბუნებრივიც იყო, მაგრამ, რაც შეეხება საკუთრების მფლობელებს, აქ უფრო დიდი საკუთრების მფლობელთა ინტერესების დაცვა იყო წინა პლანზე წამოწეული. ზოგჯერ ანტიტრესტულ კანონს მეტისმეტად ლმობიერად იყენებდნენ დიდი ბიზნესის წინააღმდეგ, როგორც მაგალითად, „იუნაითედ სთეითს სთილ კორპორეიშენის“ მიმართ და პირიქით, მეტისმეტად მკაცრად პროფკავშირების მიმართ, რომელთაც ასევე გარკვეულწილად მონოპოლისტური ხასიათის გაერთიანებებად აღიქვამდნენ. მაგალითად, როდესაც ფოლადის კორპორაციის მონოპოლისტური ტენდენციების შესაჩერებლად სასამართლოს კანონის ძალით უნდა დაეშალა იგი, სასამართლოს განაჩენში აღინიშნა, რომ „ჩვენ არ გვეჩვენება, რომ კომპანიის დაშლა ან მისი განცალკევება მისი პარტნიორებისაგან სამსახურს გაუნევეს ჩვენი საზოგადოების ინტერესებს, უფრო პირიქით, შეიძლება ითქვას, ასეთი ქმედება ვნებას მოუტანს საზოგადოების ინტერესებს“.⁹¹ მართალია, გადაწყვეტილება ერთ კონკრეტულ საქმეს ეხებოდა და ანტიტრესტული კანონი არავის გაუუქმებია, მაგრამ, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს გადან-

ყვეტილება უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა და მას კონსტიტუციისა და კანონების ინტერპრეტაციის უფლება ჰქონდა, ასეთი გადაწყვეტილება მაშინ არსებული ტენდენციის მაჩვენებელი იყო.

ამერიკული ბიზნესისა და მთავრობის აქტიური და გულითადი თანამშრომლობის მაგალითები უხვად არის წარმოდგენილი პრეზიდენტ კულიჯის დოკუმენტების კოლექციაში და ალბათ, საინტერესო იქნებოდა ზოგიერთი მათგანის, როგორც ეპოქის ისტორიული პირველწყაროს, უფრო დეტალური განხილვა.

მაგალითად, 1923 წლის 13 ოქტომბერს პრეზიდენტის მდივანმა ბასკომპ სლემპმა „იუნაითედ სტიეთს სტილ პროდაქტის“ პრეზიდენტს, ჯეიმს ბონერს გაუგზავნა მემორანდუმი ბიზნესის მდგომარეობის შესახებ, სადაც ასახული იყო მთავრობის მიერ ეკონომიკის მდგომარეობის შეფასება. როგორც მემორანდუმში იყო აღნიშნული, „ვაშინგტონს ისეთ შთაბეჭდილება ექმნება, რომ მრეწველობა სამაგალითოდ კონსერვატიული გზით ვითარდება, შეძლებისდაგვარად იცილებს რა ფასების ზედმეტ ზრდას და ზედმეტ გაფართოებას, რომელსაც შეუძლია არასასურველი კონკურენცია გამოიწვიოს შრომის ბაზარზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება ამ წლის ბოლომდე და მომავალ წელსაც . . . მთავრობის მიზანია დაეხმაროს ქვეყნის კონსტრუქციულ ძალებს, გამოირიცხოს გაურკვეველობისა და შიშის გრძნობები და უზრუნველყოს ბიზნესის სტაბილიზაცია.“⁹²

ამავე დროს, აშშ-ის მთავრობა უდიდესი გულისყურით უსმენდა აკადემიური წრეების მოსაზრებებსაც. 1923 წლის 30 ნოემბერს ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკური კვლევის კომიტეტიდან თეთრ სახლს ატყობინებდნენ, რომ მათი ანალიზის მიხედვით, უახლოეს მომავალში მოსალოდნელი იყო მტკიცე ფასები ან მათი მცირე ზრდა, წარმოების ნორმალური განვითარება და ბიზნესისათვის ხელსაყრელი ვითარების გაგრძელება. ამ მოსაზრებების დასასაბუთებლად პრეზიდენტს გაუგზავნეს კომიტეტის ყოველკვირეული გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარი, რომელიც ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებთან ერთად მზადდებოდა. 1924 წლის სექტემბერში კულიჯის კანცელარიაში ფედერალური სარეზერვო სისტემიდან და დასაქმების სტატისტიკის ბიუროსაგან მიღებულ წერილებში წინასწარმეტყველებდნენ 1924 წლის მეორე ნახევარში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას თითქმის ყველა

მაჩვენებლით.⁹³ იქვე იყო ნიუ-იორკის „ნიუ ნედერლანდ ბენქის“ პრეზიდენტის მიერ 1924 წლის 25 ივლისს, ტექსტილის საკითხებზე ორიენტირებულ ჟურნალში „ტანსაცმელი“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც იგი ქება-დიდებას ასხავედა კულიჯის დამოკიდებულებას ბიზნესისადმი. „მან ძალზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ყველა ბიზნესმენზე. პოლიტიკოსისათვის საჭირო მაგნეტიზმის ნაკლებობას იგი უხვად ავსებს თავისი თავმდაბლობით, ნესიერებით და სიმამაცით, მიუხედავად იმისა, თუ რა გავლენას მოახდენს მისი მოქმედება მის პოლიტიკურ მომავალზე, მის პარტიაზე ან კონგრესზე. ბატონმა კულიჯმა იცის დოლარის ფასი და მისმა პრეზიდენტობისაკენ აღმავლობამ არ შეცვალა ეს დამოკიდებულება. თავისი სიტყვით და ქცევით მან დაამტკიცა, რომ საზოგადოებრივი ოფისი ეს საზოგადოებრივი კორპორაციაა.“⁹⁴ ამ ავტორმა პირადად კულიჯისაგან და არა მისი მდივნისაგან მიიღო მეტად გულთბილი მადლობის წერილი. საერთოდ ამ დოკუმენტებში ჩანს, რომ კულიჯს ძალზე სიამოვნებდა მსგავსი ქათინაურების მიღება.⁹⁵

1925 წლის ოქტომბერში „ნიუ-იორკ ქომერშალში“ სტატიების მთელი სერია დაიბეჭდა სახელმწიფოს ბიზნესში მონაწილეობის კრიტიკით, რომლებიც კულიჯს მიაართვეს. სტატიებში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ აზრს, რომ სახელმწიფო სააგენტოების მიერ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები უფრო პატიოსნად, ნაკლები დანაკარგებით და ნაკლები საგადასახადო ხარჯებით კეთდებოდა. სტატიების ავტორები თვლიდნენ, რომ მთავრობის მესვეურთა ეს განცხადებები არ შეეფერებოდა სინამდვილეს და სახელმწიფო სააგენტოების მიერ ჩატარებული სამუშაოები უხარისხო, დაგვიანებული და გაცილებით ძვირი იყო და ძალიან ჰგავდა სოციალიზმს. ამავე სტატიებში მოჰყავდათ კულიჯის სიტყვები, „როდესაც მთავრობა ერთვება ამა თუ იმ ბიზნესში, იგი გადასახადს აკისრებს ამ ბიზნესში ჩართულ ყოველ ადამიანს . . . არავის შეუძლია სახელმწიფოსთან კონკურენცია. აქ ხალხისათვის ისპობა ყოველგვარი შესაძლებლობა. ამერიკის იდეალი კი ის არის, რომ შესაძლებლობების კარები ყოველთვის და ყველასთვის ღია უნდა იყოს“.

იგივე პათოსი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ჰუბერტ უორკის სიტყვებში, „ხშირად ამბობენ, რომ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დახარჯული ყოველი დოლარიდან მთავრობა მხოლოდ 60

ცენტის შედეგს იღებს, ვინაიდან ამ საქმეში ჩართულთ ე. წ. პატრონის ზედამხედველობა აკლიათ. მუნიციპალიტეტის, საგრაფოს, შტატის ან ფედერალური მთავრობისათვის მომუშავე ადამიანი ამოფარებულია სახელმწიფო სამსახურის გარანტიებს და მას არ მოეთხოვება პირადი ინიციატივის გამოვლენა.“ აქვეა ჰერბერტ ჰუვერის სიტყვებიც, რომ „თუ გამოვიკვლევთ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი სამუშაოების ღირებულებას, ბევრ დანაკლისს აღმოვაჩინებ. მე, როგორც ინჟინერს, მჯერა, რომ საზოგადოებრივი სამუშაოების კერძო კონტრაქტებით წარმართვა ეროვნული მასშტაბის ეკონომიას მოგვცემს.“

ლოს-ანჯელესის აკვედუკის პროექტის ავტორი უილიამ მულ-ჰოლანდიც თვლიდა, რომ ასეთი სამუშაოები გამოცდილ და პასუხისმგებელ კონტრაქტორს უნდა გადაცემოდა. პენსილვანიის გაერთიანებული კონსტრუქტორების მდივანი ჩ. მური აცხადებდა, რომ პენსილვანიის შტატის გზატკეცილების დეპარტამენტი უდიდეს სამშენებლო საქმიანობას ახორციელებდა შტატში, მაგრამ უდიდესი გადახარჯვის გამო იძულებული იყო 1923 წლის დასაწყისში მთლიანად შეენწყვიტა ეს სამუშაოები. ჰიუსტონის მერი ოსკარ ჰოლკომბიც იგივეს ამბობდა — „როგორც მერი, მე ვაცხადებ, რომ იქ, სადაც შესაძლებელია შერჩევის, ბაიბინგის ჩატარება ყოველთვის მოვიტხოვ, რომ ეს სამუშაო ქალაქმა კი არა, არამედ კერძო პირებმა ჩაატარონ.“ რკინიგზის საძმოს ვიცე-პრეზიდენტი დოუკი რადიოგამოსვალაში კატეგორიულად ილაშქრებდა რკინიგზების სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნის წინააღმდეგ, რაც, მისი აზრით, შემდგომში ყველა სხვა სფეროს მოედებოდა და ამერიკა რუსეთს დაემსგავსებოდა. ნაციონალიზაცია კი კლასობრივ მთავრობას შექმნიდა და კლასობრივ სიძულვილს გამოიწვევდა. ბოლოს აღნიშნავდა, რომ კერძო რკინიგზის კომპანიებში მომუშავეები ფედერალურ სფეროში მომუშავეებზე მეტ ხელფასს იღებდნენ.⁹⁶

მსგავსი ანტიეკატისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ვინმე ჰერბერტ კასონის წერილი ჟურნალ „ფეიშიენს მეგეზინში“. რომელიც ასევე გადაეგზავნა კულიჯს 1924 წლის ოქტომბერში. ავტორი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე კაცი კარგავდა ინიციატივას და მისი მუშაობა ნაკლებად ეფექტიანი ხდებოდა. მიზეზად კი შემდეგი არგუმენტები მოჰყავდა:

1. დაბალი ანაზღაურება. მშრომელი მოგების ნაწილს არ იღებს და, მუშაობის ხარისხის მიუხედავად, მაინც ერთნაირი ანაზღაურება აქვს;
2. არ არსებობს სამსახურიდან განთავისუფლების შიში. იგი შეიძლება გადაიყვანონ, მაგრამ, თუ მისი საქმიანობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია მას არ ხსნიან. შეიძლება სულელმა მთელი ცხოვრება იმუშაოს ასეთ ადგილზე;
3. არ არის მოგება და არ არის გაკოტრების შიში. თუ სამინისტრო არ იძლევა კარგ ხელფასს, ხაზინას მაინც ყოველთვის გამოუნახება ფული;
4. არ არსებობს მომხმარებელთა დაკარგვის შიში. სახელმწიფო უწყება არ არის დამოკიდებული მომხმარებელზე, ამიტომ არ მიაჩნია აუცილებლად იყოს სწრაფი, ეფექტური და კეთილგანწყობილი;
5. სახელმწიფო სამსახურში მთავარია ნესრიგი და არა წარმატება. სახელმწიფო მოხელეს საერთოდ არაფერი ესაქმება წარმატებასთან, მთავარია შეცდომები არ დაუშვას. ამიტომ, რაც ნაკლებს აკეთებს, შეცდომებიც ნაკლები მოსდის;
6. დროს არა აქვს ფასი, ვინაიდან მოხელეები ერთმანეთში საქმიანობენ, მათ დაგვიანება არაფერში უშლით ხელს, პირიქით, აწყობთ კიდევ;
7. სამუშაო არაპერსონიფიცირებულია და ძალზე მცირეა პირადი პასუხისმგებლობა. მოხელეებმა ისეთი სისტემა შეიმუშავეს, სადაც, რაც არ უნდა მოხდეს, ვერავის ვერაფერს დააბრალებ;
8. სახელმწიფო უწყება ყოველთვის მონოპოლისტია. ასე რომ არ იყოს, მას მალე მოიცლიებდნენ. შესაბამისად, არ არის რეალური კონკურენცია და ბრძოლა. ეფექტიანობის საზიანოდ შეიძლება საქმე მშვიდად და სიამოვნებით აკეთო;
9. რუტინა რეალურ მომსახურებაზე მალლა დგას. სახელმწიფო მოხელეები ერთმანეთზე არიან გადაბმული და პროცედურებს ემონებიან;
10. არ არსებობს ენთუზიაზმი და თუ ადამიანი დიდხანს არის სახელმწიფო სამსახურში იგი მუმიფიცირებულია, ის კარგავს მთელ ენერგიას და სიცოცხლის ხალისს, რაც ესოდენ აუცილებელია ეფექტიანობისა და წარმატებისათვის.⁹⁷

ბიზნესის წარმომადგენელთა კმაყოფილება მთავრობის საქმიანობით კარგად ჩანდა 1926 წლის 13 სექტემბერს კულიჯისადმი ერთ-ერთი საცალო ვაჭრობის ასოციაციის მიერ გაგზავნილ წერილში, რომელშიც ასოციაცია მტკიცე რწმენას გამოხატავდა, რომ აყვავება გაგრძელდებოდა. „ამ იმედის საფუძველს კი ეროვნული ადმინისტრაციის ბრძნული და მასტაბილიზებული კონსერვატიზმი გვაძლევს.“ შემდეგ ჩამოთვლილია სხვადასხვა რეგიონის თუ ქალაქის წარმომადგენელთა ასევე დადებითი მოსაზრებები ადმინისტრაციის საქმიანობაზე.

სამაგალითოა საცალო მოვაჭრეთა ეროვნული საბჭოს, რომელიც რვა ეროვნული ასოციაციისაგან შედგებოდა და დაახლებით 170 ათას საცალო ვაჭრობის მალაზიას აერთიანებდა, დადგენილება: „ვინაიდან აშშ-ის ხალხი და ბიზნესი, რომელიც მას ემსახურება რამდენიმე წლის განმავლობაში განიცდის სხვა ქვეყნებისათვის მიუღწეველ აყვავებას, და ვინაიდან მთავრობის მყარი და კონსერვატიული პოლიტიკა გამოხატული კანონიერი ბიზნესის მხარდაჭერაში და არა ხელის შეშლაში, წარმოქმნის საყოველთაო ნდობას არსებული ვითარების სტაბილურობისადმი, საცალო ვაჭრობის ეროვნული საბჭო თვლის, რომ საზოგადოებისა და ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს სტაბილურობა უნდა გაგრძელდეს. ამდენად, საბჭო მოითხოვს კონგრესისაგან არ მიიღოს ისეთი კანონები, რომელნიც გაურკვეველობის ვითარებას წარმოქმნის და საფრთხეს შეუქმნის ბიზნესს, რაც, თავის მხრივ, უმუშევრობას გამოიწვევს. თუ ბიზნესს არ შეუშლიან ხელს უსაფუძვლო შეზღუდვებით, იგი შესძლებს განუსაზღვრელი ვადით გააგრძელოს აყვავება და დაარწმუნოს მშრომელები, რომ მომგებიანი პრომიდან გამომდინარე აყვავებიდან ყველა მიიღებს თავის წილს“.⁹⁸ ბუნებრივია, ეს დოკუმენტი 100 პროცენტით ეთანხმებდა კულიჯის იდეოლოგიას.

მეტად ოპტიმისტურ ანალიზს აკეთებდა 1928 წლის ოქტომბერში ნიუ-იორკის „ნიუშენალ სიტი ბენქი“ — „ექვგარეშეა, რომ ქვეყნის უდიდეს ნაწილში ეკონომიკური აყვავებაა გაბატონებული. ბევრს შეეშინდა 1928 წლის პირველ ნახევარში ბიზნესში წარმოქმნილი პრობლემებისა, მათ შორის ფოლადის წარმოებაში, და ამ შიშს პრესამაც აუბა მხარი. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ასეთი ადამიანები უფრო უბრალოდ დაფრთხნენ, ვიდრე რაიმე ზარალი განიცადეს.

საერთოდ, წლის პირველ ნახევარში არასოდეს არ არის დიდი აღმავლობა. მიგვაჩნია, რომ ბიზნესი და ფასები საფუძვლიანად უმჯობესდება და იზრდება. დაბალი საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით ჩვენ ველით რეალური ბიზნესის რეალურ ზრდას წლის მეორე ნახევარში.⁹⁹

როგორც ვხედავთ, ბიზნესიც და მთავრობაც ენდობოდნენ ერთმანეთს და ოპტიმისტურად აფასებდნენ სიტუაციას. და არც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ჩანდა უკმაყოფილო. ასეთი განწყობილების შექმნაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფსიქოლოგიური როლი ითამაშა აქციებმა. სულ უფრო მეტი ამერიკელი ხდებოდა აქციების მფლობელი, რაც აღმავალი ეკონომიკის ფონზე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოგებით უზრუნველყოფდა რიგით აქციონერებსაც. ამავე დროს, მათ წარმოების მართვაში მონაწილეობის ზოგჯერ საფუძვლიან, მაგრამ ხშირად კი უფრო უსაფუძვლო ილუზიას უქმნიდა. ამავე დროს აქციონერი თავს წარმოების თანამფლობელად თვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ კომპანიის საკონტროლო აქციების პაკეტებს შედარებით ცოტა თუ ფლობდა. მაგალითად, იგივე ფორდის კომპანიაში მრავალ მუშას გააჩნდა კომპანიის აქციები და ეს, თანამფლობელობის და თანამონაწილეობის გრძნობა, მნიშვნელოვნად ზრდიდა მათ თვალში საკუთარ სოციალურ სტატუსს. ალარაფერს ვამბობთ იმ ადამიანებზე, ვინც რეგულარულად იყო ჩართული საბირჟო ოპერაციებში, თუმცა ეს უკვე არც ისე მასობრივი და ადამიანთა სხვა კატეგორია იყო.

მრავალი ამერიკელის ცხოვრების სტანდარტის მნიშვნელოვან ზრდას იმანაც შეუწყო ხელი, რომ პროსპერიტის პერიოდში სულ უფრო მეტი ადამიანი ყიდულობდა კრედიტით. მაგალითად, 1928 წელს ავეჯის 85%, რადიოების 80%, სარეცხი მანქანების 75%, მაცივრების 70 % კრედიტით იყო ნაყიდი. მართალია, საბოლოო ჯამში, მყიდველს პროდუქცია 49 პროცენტით უფრო ძვირი უჯდებოდა, მაგრამ, პირველად თავის ცხოვრებაში, ამერიკელებს შეეძლოთ არ დაეცადათ, სანამ საჭირო თანხას შეაგროვებდნენ. ეს კი დიდი სიამოვნება და ძალზე მოსახერხებელი იყო. ამერიკელთა უმრავლესობას ალარ ეთაკილებოდა ვალით ცხოვრება.

რეკლამის როლიც გაიზარდა და ძალზე დაიხვეწა. სწორედ ოციან წლებში იქცა იგი დიდ ბიზნესად. კალვინ კულიჯიც აღნიშნავდა რეკლამის როლს, რომელიც „აყალიბებს ახალ აზრებს, ახალ

სურვილებს და ახალ მოქმედებას. იგია ყველაზე ეფექტური საშუალება, რათა შეეცვალოთ ჩვენი ჩვევები და ცხოვრების წესი. იგი დიდ ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რას ვჭამთ, რა გვაცვია და როგორ მუშაობს და ცხოვრობს მთელი ერი“.¹⁰⁰ სხვათა შორის, რეკლამის ძალა თავადაც გამოიყენა და პრეზიდენტობის ვადის დასრულების შემდეგ სტატიებს წერდა გაზეთისათვის, რომელიც, სწორედ რეკლამის მიზნით, ერთ დოლარს უხდოდა ერთ სიტყვაში, შედეგად ჯამში წელიწადში 200 ათასი დოლარი გამოსდიოდა – სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე მისი ხელფასი პრეზიდენტობისას.¹⁰¹

ცნობილია, რომ ისტორიკოსს, თუ სურვილი აქვს, ნებისმიერი ხასიათის დოკუმენტის მოძიება შეუძლია, მით უმეტეს, როცა საქმე დემოკრატიულ ქვეყანას ეხება და, ბუნებრივია, ამერიკაში არსებული მდგომარეობით უკმაყოფილონიც საკმაოდ იყვნენ იგივე ფერმერების, მალაროელთა, საშუალო ფენისა და მუშათა ნაწილის, ფერადკანიანი ამერიკელებისა და სხვათა სახით. შემდგომ პარაგრაფებში მათ მოსაზრებებსაც აუცილებლად განვიხილავთ. მაგრამ იმ წლებში სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში ასახული პოზიტიური განწყობილებები წარმოადგენდა მნიშვნელოვანი უმრავლესობის აზრს, რასაც თვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები და პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობაც ადასტურებდა.

III

ამერიკის შრომის ფედერაცია

ამერიკის ეკონომიკაში არსებული ვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ამერიკის მშრომელთა ყველაზე ორგანიზებული ნაწილის, პროფკავშირების, პოზიციითაც. თუ დღეს ამერიკაში შრომის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ანაზღაურებაა, ანუ ამერიკელთა შრომა მეტად ძვირი ღირს, ეს მნიშვნელოვანწილად ამერიკული პროფკავშირების დამსახურებაა. სწორედ პროფკავშირებია ის საზოგადოებრივი ძალა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, ანუ დაქირავებულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, რეეოლუციების გარეშე, მშვიდობიანი გზით. ხოლო იქ, სადაც ძლიერი და დამოუკიდებელი პროფკავშირები არ არსებობს, რასაკვირველია, დემოკრატიაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკაში პროფკავშირული მოძრაობა გვიან ჩამოყალიბდა და საკმაოდ სუსტი იყო. ვინაიდან თავისი არსებობის დასაწყისში ამერიკა მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა, მეტ-ნაკლებად კვალიფიციურ კადრებს საკმაოდ კარგ გასამრჯელოს უზხდიდნენ. თანაც ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ნაკლებად იყო დამძიმებული კლასობრივი სიძულვილით. ხშირად დამქირავებელიც საკმაოდ უბრალო ადამიანი და გუშინდელი დაქირავებული იყო.

მნიშვნელოვანი პროფკავშირების ჩამოყალიბება 1840-იან წლებში დაიწყო. თუმცა ერთ-ერთი პირველი ამერიკული პროფკავშირი ჯერ კიდევ 1794 წელს შექმნილა ფილადელფიაში. ძირითადი პრობლემები ამერიკის შრომის ბაზარზე 1860-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ევროპიდან ერთბაშად მრავალი ემიგრანტი ჩამოვიდა და სამუშაო ძალის გარკვეული სიჭარბეც შეიქმნა. შესაბამისად, მენარმეებიც ნაკლებად ითვალისწინებდნენ მუშათა მოთხოვნას და აიძულებდნენ მათ მძიმე პირობებში და დაბალ ხელფასზე ემუშავათ. თუ გავიხსენებთ ცნობილი ამერიკელი მწერლის აპტონ სინკლერის წიგნებს, მუშათა მდგომარეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მართლაც სავალალო იყო, ხოლო კონტრასტი მილიონერების ცხოვრებასთან შედარებით — წარმოუდგენელი. მაგალითად, მილიონერ ვანდერბილდის ცოლის კაბა ათეულობით ათასი დოლარი ღირდა, როდესაც ამ თანხით მალაროელთა მთელს დასახლებას შეეძლო რამდენიმე თვე ეცხოვრა. შესაბამისად, გაფიცებმაც იმატა და ხშირად ძალადობასაც ჰქონდა ადგილი როგორც პოლიციის ან ეროვნული გვარდიის, ასევე მუშათა მხრივაც. ასეთი მნიშვნელოვანი გაფიცვის კლასიკური მაგალითი იყო 1902 წლის მაისში დაწყებული 145 ათასი მალაროელის გაფიცვა პენსილვანიის შტატში უმძიმესი შრომის პირობებისა და დაბალი ანაზღაურების გამო. გაფიცვა 5 თვეს გაგრძელდა და მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ამერიკის მრეწველობას. ამავე დროს, ქვანახშირის მოპოვების შეწყვეტა ზამთრის წინ მოსახლეობას სიცივით ემუქრებოდა. 15 ოქტომბერს თვით პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ჩაერთო მალაროელთა და მფლობელთა დაპირისპირებაში და მშვიდობიან კომპრომისსაც მიაღწია, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჭეშმარიტად გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო.

ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი პროფკავშირული გაერთიანება „შრომის ეროვნული კავშირი“ შეიქმნა 1855 წელს. ეს კავშირი მოითხოვდა ფედერალურ სამსახურში მყოფთათვის 8 საათიანი სამუშაო დღის დანესებას და მართლაც, 1866 წელს პრეზიდენტმა ენდრიუ ჯონსონმა ხელი მოაწერა ამ გადაწყვეტილებას. 1878 წელს ნახევრად საიდუმლო ორგანიზაციების საფუძველზე, შეიქმნა რადიკალური მსოფლმხედველობის პროფკავშირი „შრომის რაინდები“, რომელიც კაპიტალიზმის გაუქმებასა და საზოგადოების სრულ რეორგანიზაციას ისახავდა მიზნად. უფრო კონკრეტულად კი, მოითხოვდა კოოპერატივების შექმნას, საზოგადოებრივი მიწების შენახვას მოსახლეობისთვის, 6 საათიან სამუშაო დღეს, ბავშვა შრომის გაუქმებას, თანაბარ ანაზღაურებას ორივე სქესისათვის, შრომის საკითხების სტატისტიკური ბიუროს მფლობელობას რკინიგზებსა და ტელეგრაფზე და ა.შ.¹²

შრომის რაინდებმა გაფიცვების მეშვეობით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. მაგრამ, მიუხედავად საკმაოდ საინტერესო პროგრამისა, მათ ვერ მოახერხეს ძალისხმევის კონცენტრაცია საკუთარი პროფკავშირის წევრების შემოსავლების ზრდის საკითხზე. 1886 წლიდან დაიწყო ამ პროფკავშირის გავლენის სერიოზული დაქვეითება. ამავე პერიოდიდან რამდენიმე პროფკავშირი გაერთიანდა და დაუპირისპირდა შრომის რაინდების უტოპიებს. 1886 წელს ისინი ჩამოყალიბდნენ ამერიკის შრომის ფედერაციად, რომელსაც ლონდონიდან ჩამოსული ებრაელი მკერავი, სამუელ გომპერსი ჩაუდგა სათავეში. გომპერსმა ათი წლის ასაკში მიატოვა სკოლა და ჯერ მენალეობა, შემდეგ კი სიგარების ქარხანაში დაიწყო მუშაობა. 1863 წელს მისი ოჯახი ნიუ-იორკში გადასახლდა, სადაც იგი სიგარების მწარმოებელთა საერთაშორისო კავშირის წევრი გახდა. გომპერსი თვითგანათლებულ ადამიანებს მიეკუთვნებოდა და ნიჭიერი მოსახურე იყო, ამიტომაც კავშირში გარკვეულწილად პოლიტიმომხილველის ფუნქციასაც ასრულებდა და კარგი ავტორიტეტიც მოიპოვა. 1877 წელს კავშირი დაიშალა, თუმცა გომპერსმა და მისმა მეგობარმა ადოლფ შტრასერმა ახალი, „სიგარების მწარმოებელთა კავშირი“ შექმნეს უფრო დახვეწილი და დინამიკური სტრუქტურით. მათ შეიმუშავეს პროგრამები გაფიცვებისა და საპენსიო ფონდებისათვის და, საკმაოდ მაღალი საწევრო გადასახადების ხარჯზე, წარმატებულადაც მოქმედებდნენ.

გომპერსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტები, რომელნიც ძირითადად თავიანთ მოგებაზე ზრუნავდნენ და მაქსიმალურად ამცირებდნენ მუშათა ხელფასებს, კარგად იყვნენ ორგანიზებული და მაშთან დაპირისპირებას ასევე კარგად ორგანიზებული ხალხი სჭირდებოდა — „ჩვენი მიზანი უნდა იყოს უმდაბლესი ანაზღაურების მქონე მუშები უმაღლესი ანაზღაურებით უზრუნველყოთ. მისი ფოლოსოფია გულისხმობდა მუშათათვის მაქსიმალურად მაღალ ხელფასებს, პრივილეგიებს, სამუშაოს შენარჩუნებას და ამ მიზნების მიღწევას იგი ყოველგვარი პოლიტიკური აქციების გარეშე აპირებდა. იგი მოლაპარაკებების, გაფიცვების და ბოიკოტის ტაქტიკის მომხრე იყო და პროფკავშირს სანარმოო პროცესისა და ბიზნესის ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც, თუმცა მენეჯმენტზე მაღლა არ უნდა დამდგარიყო, მაგრამ არც უძლური უნდა ყოფილიყო მის წინაშე. სწორედ მისი ინიციატივით დაიწყო კოლექტიური ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების დადება პროფკავშირებსა და წარმოების მფლობელებს შორის. მან შეიმუშავა ისეთი მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც პროფკავშირებს წარმატებული გაფიცვების მოწყობაც შეეძლოთ და მარცხის შემთხვევაშიც ინარჩუნებდნენ თავიანთ გავლენასა და რესურსებს. 1904 წლისათვის ფედერაციაში უკვე 1, 75 მილიონი კაცი იყო გაერთიანებული და იგი ამერიკის უდიდეს და ყველაზე გავლენიან პროფკავშირად იქცა. აღსანიშნავია, რომ მან ეს გავლენა ამერიკის მთელი ისტორიის მანძილზე შეინარჩუნა. 1905 წელს თეოდორ რუზველტი სწორედ ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერს, სამუაღ გომპერსს შეხვდა მაღაროელთა პრობლემების განსახილველად.

მართალია, ამ პერიოდისათვის, ევროპიდან ახლად ჩამოსულების ხარჯზე, სოციალისტური იდეებიც საკმაოდ იყო და მათზე ორიენტირებული პროფკავშირებიც, მაგრამ ამერიკელების ძირითადი ნაწილი სულაც არ აპირებდა არსებული სისტემის დანგრევას. მას უბრალოდ უკეთესი სამუშაო პირობები და ანაზღაურება ანუ „პური და კარაქი“ სურდა. და სწორედ ამ განწყობილებებს აკმაყოფილებდა ამერიკის შრომის ფერედერაცია. ბევრი სხვა პროფკავშირისაგან განსხვავებით, რომელნიც სოციალისტურ იდეებს ქადაგებდნენ და საერთოდ არსებული კაპიტალისტური სისტემის შეცვლას მოითხოვდნენ, ამერიკის შრომის ფედერაცია

ძირითად აქცენტს მშრომელთა ეკონომიკურ ინტერესებზე აკეთებდა და ძირითად ყურადღებას მაღალ ხელფასსა და სამუშაო საათების შემცირებაზე ამახვილებდა. მაგრამ შრომის ფედერაციის ხაზგასმულმა აპოლიტიკურობამ და მასში მხოლოდ კვალიფიციური მუშების გაერთიანებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო 1905 წელს არაკვალიფიციურ მუშათა კავშირის შექმნას „მსოფლიოს ინდუსტრიულ მუშათა კავშირის“ სახით.

ფედერაცია საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული და, ამავე დროს, მეტად აგრესიულიც მემარცხენე იდეოლოგიის მიმართ. იგი დაუპირისპირდა მუშათა პარტიას, სოციალისტურ პარტიას და საერთოდ, პოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ მემარჯვენე ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ფედერაციის ორგანიზებულობა და სულისკვეთება კარგად ჩანს არარეგულარულ გამოცემა „ლეიბორ ინფორმეიშენში“. ამ გამოცემის 1923 წლის 16 აპრილის ნომერში აღნიშნული იყო, რომ ფედერაცია არსებობდა სანეეროების ხარჯზე, რომელიც თვეში ერთ ნევრზე 1 ცენტს წარმოადგენდა, ანუ ადამიანისაგან 12 ცენტს წელიწადში. ამ თანხით ფარავდნენ ოფისების, აპარატის და სხვა ხარჯებს. 1922 ფისკალურ წელს, სანეეროების სახით, ფედერაციამ 417 ათას დოლარამდე შეაგროვა, ხოლო სხვა შემოსავლებთან ერთად ფედერაციის მიერ მიღებულმა თანხამ 761 ათასი დოლარი შეადგინა. სულ 1922 წელს ამ პროფკავშირში 3,195,651 წევრი იყო გაერთიანებული.¹⁰³ ამავე გამოცემის ფურცლებზეა ასახული მოსკოვის რეჟიმის მკაცრი კრიტიკა, რომელიც ავტორების აზრით, „ცდილობს დაანგრიოს ამერიკის მშრომელთა დემოკრატიული ტრადიციები.“ გამოცემამ გამოაქვეყნა აგრეთვე მესამე ინტერნაციონალის დადგენილების ის ნაწილი, რომელშიც ინტერნაციონალი თავის მომხრეებს ამერიკის შრომის ფედერაციის მოსპობასა და, მისი აზრით, ნამდვილი რევოლუციური პროფკავშირების შექმნას მოუწოდებდა.¹⁰⁴

ამავე დროს, თვით ამერიკაში ფედერაციის ავტორიტეტი ძალზე მაღალი იყო და, როგორც იტყვიან, უბატონოდ ამ პროფკავშირს ქვეყნის პრეზიდენტებიც ვერ სცემდნენ ხმას და, უნდა ითქვას, ფედერაციაც ასეთივე პატივისცემით პასუხობდა მათ. ომის დროს გომპერსი აქტიურად უჭერდა მხარს მთავრობას და პრეზიდენტმა ვილსონმა იგი ეროვნული თავდაცვის კომიტეტშიც კი შეიყვანა, სადაც გომპერსი ომის პერიოდის შრომის კომიტეტს ხელმძ-

ღვანელობდა. შრომის საკითხებში მრჩევლის რანგში, იგი თან ახლდა ვილსონს პარიზის საზავო მოლაპარაკებებზეც. გომპერსს ამერიკელთა პატივისცემა სიკვდილის შემდეგაც არ მოკლებია. ვაშინგტონში მისი სახელობის მოედანია დიდი ძეგლით და სამხედრო გემსაც მიანიჭეს მისი სახელი.

I მსოფლიო ომის დასასრულისათვის ამერიკის შრომის ფედერაციაში უკვე 5 მილიონი წევრი იყო, ხოლო 1955 წელს, როდესაც ფედერაცია ინდუსტრიულ ორგანიზაციათა კონგრესთან გაერთიანდა — უკვე 15 მილიონი წევრი. მაგრამ პროსპერტის დროს, მიუხედავად ფედერაციის მეტად კონსერვატული პოზიციისა, პროფკავშირთა წევრების რაოდენობამ იკლო. თუ 1920 წელს 4 079 000 წევრი იყო, 1929 წლისათვის უკვე — 2 934 000.¹⁰⁵ ფედერაციის შესუსტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ამერიკაში დაწყებული ეკონომიკური აყვავება, რომლის დროსაც მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკეთ გრძნობდა თავს და შესაბამისად, პროფკავშირის დაცვაც ნაკლებად სჭირდებოდა. გაიზარდა დასაქმება, გაიზარდა ხელფასები. მაგალითად, წარმოებაში ხელფასი 1920 წლის ხელფასთან შედარებით 1928 წლისთვის 32 პროცენტით გაიზარდა. სამუშაო კვირა შემცირდა 47,4 საათიდან 44,2 საათამდე და, ფაქტობრივად, 5 ნახევარი სამუშაო დღე გამოდიოდა. როგორც აღვნიშნეთ, ფორდმა საერთოდ 5 დღემდე დაიყვანა სამუშაო კვირა და სხვებსაც მოუწოდებდა, მაგრამ არც ისე ბევრმა მიბაძა. უმუშევრობა 1923-1929 წლებში 3,7 პროცენტამდე შემცირდა მაშინ, როცა 1911-17 წლებში იგი 6,1 პროცენტს აღწევდა.

მუშათა პასიურობის მიზეზი წარმოების სხვადასხვა სფეროში არსებული ორგანიზებულობის სხვადასხვა ხარისხიც იყო. მაგალითად, პროფესიული კავშირები არ არსებობდა ფოლადის, ელექტროპროდუქციის, რეზინის, ცემენტის, ტექსტილის, ქიმიური პროდუქციის და საკვების წარმოების სფეროებში.

არ იყო პროფკავშირული გაერთიანებები ასევე საბანკო საქმეში, დაზღვევაში, ვაჭრობასა და მომსახურებაში. სუსტი პროფკავშირები იყო შავ მეტალურგიაში, საავტომობილო ტრანსპორტსა და ბენზინის წარმოებაში. მაგრამ პროფკავშირული მოძრაობა ტრადიციულად ძლიერი იყო რკინიგზასა და მშენებლობაში. 1927 წლისთვის ამ პროფესიის ხალხი პროფკავშირების წევრთა ნახევარს შეადგენდა. საკმაოდ ძლიერი პროფკავშირული ტრადიციები

იყო ტანსაცმლის წარმოებასა და მალაროებში, წყლის ტრანსპორტის, ბექედვისა და მუსიკის სფეროებშიც.¹⁰⁶

ამ პერიოდში ფედერაციის ხელმძღვანელობას საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ბიზნესისადმი და, როგორც ამერიკის შრომის ფედერაციის ერთ-ერთი ლიდერი უოლი აღნიშნავდა, „მენარმეები საბოლოოდ მიხედნენ, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია ხელფასების ზრდა, ვიდრე მათი დაწევა, ვინაიდან მათი საწარმოების წარმატება მთელი საზოგადოების აყვავებაზეა დამოკიდებული“.¹⁰⁷ გომპერსის მემკვიდრე უილიამ გრინი ასევე აღნიშნავდა, რომ თანამედროვე მენარმეები წარმატების წინაპირობას წარმოებაში ჩართული ყველა ძალის თანამშრომლობასა და მმართველობის გაუმჯობესებაში ხედავდნენ.¹⁰⁸

რაც შეეხება პილიტიკოსებს, აქ ფედერაცია გომპერსის მეტად პრაგმატულ ლოზუნგს მისდევდა „დააჯილდოვე მეგობრები და დასაჯე მტრები.“ 1924 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ფედერაციამ მხარი დაუჭირა პროგრესისტ პოლიტიკოსს, სენატორ რობერტ ლაფოლეტს.

1923 წლის ოქტომბერში ფედერაციის 43-ე წლიურ კონვენტზე გომპერსმა აღნიშნა, რომ „სხვადასხვა კანდიდატებს შორის რობერტ ლაფოლეთი გვირჩევნია, ის ხალხის მასების ინტერესებს იცავსო.“ კონვენტის მონაწილენი ფულის შეგროვებასაც მოითხოვდნენ მის მხარდასაჭერად და ამ მიმართვას გომპერსთან ერთად საბჭოს სხვა წევრებიც აწერდნენ ხელს.¹⁰⁹ მაგრამ ლაფოლეთის მარცხის შემდეგ ფედერაციამ უარი თქვა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ქმედებებზე. როგორც არჩევნების შემდეგ ჩატარებულ ყოველწლიურ კონვენტზე აღინიშნა, მოძრაობა მესამე პარტიისათვის ძალის ფუჭი ხარჯვა აღმოჩნდა. ეს ხელს უშლიდა მუშებისადმი კეთილგანწყობილი კანდიდატების გამარჯვებას ორი წამყვანი პარტიიდან. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ ფედერაციას „მუშათა მოძრაობას წარმატება სურს პოლიტიკურ სფეროში, მან ისევე, როგორც უნინ, უპარტიო პოლიტიკა უნდა გააგრძელოს“.¹¹⁰ შემდგომში შრომის ფედერაცია ძირითადად დემოკრატიულ პარტიას უჭერდა მხარს, თუმცა იქ რესპუბლიკელებიც საკმაოდ იყვნენ.

პროსპერიტის წლების ამერიკის პრეზიდენტებსა და ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელობას საქმიანი და, შეიძლება



ამერიკის პრეზიდენტი 1913-1921 წლებში ვუდრო ვილსონი. როგორც კონსერვატორები თვლიდნენ, ყველაზე განათლებული პრეზიდენტის რეფორმიზმმა დალაღა ამერიკა.



პროფესორი ვილსონი პრეზიდენტის პოსტზე ყოფილმა ჟურნალისტმა უორენ ჰარდინგმა შეცვალა. ზოგს მიაჩნდა, რომ ჰარდინგს პრეზიდენტის საკადრისი მხოლოდ გარეგნობა ჰქონდა.



პრეზიდენტი ჰარდინგი და ვიცეპრეზიდენტი კალვინ კულიჯი მეუღლეებითურთ.

ჰარდინგის სიკვდილის შემდეგ პრეზიდენტის სავარძელი კალვინ კულიჯმა, ერთი შეხედვით პურიტანულად სადა, მაგრამ არცთუ უბრალო პიროვნებამ დაიკავა.



კულიჯი და მისი მეუღლე ინაუგურაციის დღეს.

ოციანი წლების რესპუბლიკური ადმინისტრაციების გამორჩეული მინისტრები


სახელმწიფო მდივანი
ევანს ჰიუჯესი.




ოციანი წლების უცვლელი ფინანსთა მინისტრი
ენდრიუ მელონი



ვაჭრობის მინისტრი
ჰერბერტ ჰუვერი



კულიჯი, მელონი, ჰუვერი.
ნახევრად ხუმრობით იმასაც ამბობდნენ, რომ მელონი კი არ ემსახურებოდა სამი პრეზიდენტს, არამედ სამი პრეზიდენტი ემსახურებოდა მელონს.



ჰარდინგისა და კულიჯის მიერ ინიცირებულმა კანონებმა მეტად შეამცირა ემიგრანტთა ნაკადი ამერიკაში.

საკოსა და ვანცეტის სიკედილით დასჯა გარკვეულწილად ანტიემიგრანტულმა განწყობილებებმაც განაპირობა.




პირველი მსოფლიო ომის ამერიკელი ვეტერანი.



ჰენრი ფორდი. თითქმის ყველა ამერიკელი მკვლევარი თანხმდება, რომ გამორჩეულ ამერიკელ ბიზნესმენტა სიის სათავეში იყო ჰენრი ფორდი, რომელმაც ჭეშმარიტი რევოლუცია მოახდინა არა მარტო საავტომობილო მრეწველობაში, არამედ საერთოდ მრეწველობის მართვის სისტემაში.







ჰენრი ფორდი და ოციანი
წლების აყვავების სიმბოლო,
ცნობილი მოდელი თ (T).

დღეს ამერიკაში შრო-
მა დაფასებულია, მა-
გრამ ამას ხანგრძლივი
ბრძოლა დასჭირდა
ჯერ კიდევ მე-19 საუ-
კუნიდან.

მუშებისა და ეროვ-
ნული გვარდიის დაპი-
რისპირება ერთ-ერთი
გაფიცვის დროს.



ამერიკის შრომის
ფედერაციის გერბი

ამერიკის შრომის ფედერაციის დამა-
არსებელი და პროფკავშირული მოძ-
რაობის თვალსაჩინო მოღვაწე სამუ-
ელ გომპერსი.






კუ კლუქს კლანის
მისტერიული ლა-
მის რიტუალი.




1925 წლის 8 აგვისტოს კლანის 40 ათასიანი დემონსტრაცია ვაშინგ-
ტონში. მიუხედავად იმისა, რომ კლანის მთავარ სამიზნეს შავკანიანი
ამერიკელები წარმოადგენდნენ, როგორც ცნობილი ამერიკელი ის-
ტორიკოსები დევიდ კენედი და თომას ბეილი აღნიშნავდნენ, კლანი
უფრო „ანტიუცხოელთა, ანტიკათოლიკეთა, ანტიებრაელთა, ანტი-
პაციფისტთა, ანტიკომუნისტთა, ანტიინტერნაციონალისტთა, ან-
ტიევოლუციონისტთა, ანტიბუტლერეთა, ანტიაზარტულ თამაშთა,
ანტიშობადობის კონტროლისა და ანტიადიულტერის მოძრაობას
წარმოადგენდა.“




კუ კლუკს კლანის წევრებს არც მომხი-
ბლავი და მათი აზრით მეტისმეტად
ემანსიპირებული ფლაპერები მოსწონ-
დათ.



ოციანი წლების მოდა სულ უფრო
თამამი და ანტივიქტორიანული ხდე-
ბოდა.






შერვუდ ანდერსონი



სინკლერ ლიუისის რომანის „ბეზიტის“ გარეკანი.



სკოტ ფიცჯერალდი



ეზრა პაუნდი




უილიამ ფოლკნერი



ჯონ დოს პასოსი



ჯონ სტეინბეკის რომანის „მრის-
ხანების მტევნების“ გარეკანი.



ერნესტ ჰემინგუეი

ითქვას, გულითადი ურთიერთობა ჰქონდათ. 1923 წელს 6 აგვისტოს სამუელ გომპერსი კულიჯისადმი მიწერილ წერილში დიდ მწუხარებას გამოთქვამდა ჰარდინგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და, ამავე დროს, წარმატებას უსურვებდა კულიჯს ახალ პოსტზე.¹¹ 1923 წლის 12 სექტემბერს გომპერსმა პრეზიდენტს გაუგზავნა გამოსაქვეყნებელი სტატიის პროექტი, რომელშიც აღწერილი იყო ფედერაციის მტრების მცდელობა დაეშალათ იგი და შესწივლა პრეზიდენტს ამის თაობაზე. 15 სექტემბერს კულიჯმაც უპასუხა და დაპირდა, რომ დიდი ინტერესით ნაიკითხავდა ამ სტატიას. შემდეგ ნაბეჭდ ტექსტს ხელით მიაწერა, იქნებ პირადად შეეხვდეთ და განვიხილოთ ეს საკითხებიო, რითაც მეტად გაახარა გომპერსი. მთავრობისაგან შესაფერისი რეაგირების იმედით, იგი პრეზიდენტს რეგულარულად უგზავნიდა ამერიკის შრომის ფედერაციის წლიური კონვენტების დადგენილებებს. მაგალითად, 1923 წლის ოქტომბერს 43-ე წლიური კონვენტის ერთ-ერთი რეზოლუცია ეხებოდა ფოსტის მუშაკების სამუშაო პირობების გაუარესებას და მასში ხაზგასმული იყო, რომ მიუღებელია მათი ასეთი ინტენსიური ექსპლუატაცია, ისინი ხომ კერძო სექტორში არ მუშაობდნენ, სადაც მთავარი მოგებაა — „ფედერალური სამსახური ხომ ხალხისადმი სამსახურს ნიშნავდა.“ ფედერაციის 44-ე წლიური კონვენტის რეზოლუცია მოითხოვდა საკოსა და ვანცეტის საქმის გადასინჯვას და მიაჩნდა, რომ სასამართლოს გადანყვეტილება რასობრივი, ეთნიკური და კლასობრივი სიძულვილის მაგალითი იყო. ფედერაციის 46-ე კონვენტის რეზოლუციაში მოითხოვდნენ, რომ სამხედრო-საზღვაო და ომის მინისტრებს არ გაეზარდათ სამუშაო საათები მათდამი რწმუნებულ ობიექტებზე და 44-საათიანი სამუშაო კვირა შეენარჩუნებინათ.¹²

პრეზიდენტი ყურადღებით ეცნობოდა ამ მოწოდებებს, ხშირად იწვევდა ფედერაციის პრეზიდენტს და მის მოადგილეებს ლანჩზე სასაუბროდ. მაგალითად, 1927 წლის 10 თებერვლის წერილში თეთრი სახლი ეპატიჟებოდა უილიამ გრინს და ფედერაციის მდივანს მორისონს. ხოლო ამერიკის პრეზიდენტის მდივანთან, რომელიც, ბუნებრივია, კულიჯს წარმოადგენდა, ფედერაციის ხელმძღვანელობას ხშირი და თითქმის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ეს ალბათ, არც არის გასაკვირი, ფედერაცია ხომ, მრავალი სხვა პროფკავშირისაგან განსხვავებით, ფაქტობრივად, სამოქალაქო

ზავის პოზიციებზე იდგა და წარმოადგენდა დიდებულ ბუფერს დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის.

1924 წლის დეკემბერში სამუელ გომპერსი გარდაიცვალა და ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერად, მასავით კონსერვატიული მსოფლმხედველობის, უილიამ გრინი აირჩიეს. თავად გომპერსს თავის მემკვიდრედ ვინმე მეთიუ უოლი ესახებოდა, მაგრამ ამ თანამდებობისთვის ფედერაციაში შემავალი სხვადასხვა დარგის პროფკავშირების ხელმძღვანელებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. გომპერსისგან განსხვავებით, მათ უფრო მართვადი ლიდერი სურდათ. განსაკუთრებით აქტიურობდა მეტად გავლენიანი მალაროელთა და დურგალთა პროფკავშირები. საბოლოოდ, როდესაც ფედერაციის ათკაციაწმა საბჭომ კენჭისყრა ჩაატარა, 8 ხმა უილიამ გრინმა მიიღო და 1924-დან 1955 წლამდე სწორედ ის იყო ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტი.

გრინი ინგლისიდან ჩამოსული მალაროელის ოჯახში დაიბადა 1872 წელს, 16 წლისა მამამისს შეუერთდა მალაროში სამუშაოდ, 18 წლიდან კი პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების ლიდერი გახდა. გრინი ერთგული მეოჯახე იყო და 6 შვილი ჰყავდა. 1911-15 წლებში იგი ორი ვადით იყო ოჰაიოს სენატში დემოკრატიული პარტიიდან. ამავე პერიოდში, 1913 წელს, გრინი ამერიკის შრომის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გახდა. გრინი პატიოსანი კაცი იყო და ვაჟკაცობაც არ აკლდა, მაგრამ არც დიდი ჭკუითა და არც მართვის უნარით არ გამოირჩეოდა. თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდება ისტორიაში, სწორედ მისმა სისუსტეებმა განაპირობა მისი არჩევა, ვინაიდან ნამყვანი პროფესიული პროფკავშირების აქტიურ ლიდერებს ხელს აძლევდათ სწორედ ასეთი, მათი აზრით, მართვადი კაცი. გრინის ეპოქაში ფედერაცია მეომარი ორგანიზაციიდან რესპექტაბელურ სტრუქტურად იქცა. იგი თავს ბიზნესის პარტნიორად, დამხმარედ თვლიდა, იყო არსებული წყობის ერთგული დამცველი და ბოლშევიზმის და სოციალიზმის უდიდესი მტერი.

სხვასთან ერთად ასეთმა განწყობილებამაც განაპირობა გაფიცვების რაოდენობის შემცირება 1920-იან წლებში. 1923 წელს 757 ათასი კაცი გაიფიცა, 1925 წელს – 428 ათასი, 1929 წელს კი — სულ რაღაც 289 ათასი.¹¹³ უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაფიცვებსაც არ მოჰყოლია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი.

საერთოდ კულიჯი შრომით დისკუსიებში პასიურ პოზიციას ამჯობინებდა, თუმცა, როცა საქმე მისთვის ესოდენ საყვარელ ეკონომიის პოლიტიკას ეხებოდა ნამდვილ სიმტკიცეს იჩენდა. მაგალითად, ფედერალურ მოსამსახურეებს, ეკონომიის პოლიტიკიდან გამომდინარე, უარს ეუბნებოდა ხელფასის გაზრდაზე. 1926 წელს აღმასრულებელ სტრუქტურებში 1914 წლის ხელფასების 91 პროცენტს იღებდნენ. კულიჯმა ასევე მკაცრად გაილაშქრა ფოსტის მუშაკებისათვის ხელფასის გაზრდის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო კამათი გაიმართა მიჩიგანის სენატორ ჯეიმს კაზენსა და კულიჯს შორის. სენატორმა აღშფოთება გამოთქვა, რომ ფოსტის მუშაკი წელიწადში 1500 დოლარით ვერ არჩენდა ოჯახს. საპასუხოდ კულიჯმა განუცხადა, რომ მის მშობლიურ ქალაქ ნორსჰემპტონში შეიძლებოდა პირველხარისხოვანი სახლის დაქირავება 30 დოლარად თვეში. ამაზე სენატორმა უპასუხა, რომ ყველა საფოსტო მუშაკი ვერ იცხოვრებდა ნორსჰემპტონში. მაშინ კულიჯმა ბიძამისი გაიხსენა, ასევე ნორსჰემპტონიდან, რომელმაც შვილების უმაღლეს სასწავლებელში სწავლაც კი უზრუნველყო თავისი ხელფასით, თუმცა ცხოვრებაში არ ჰქონია 1500 დოლარზე მეტი შემოსავალი. ამაზე გამძვინვარებულმა სენატორმა განაცხადა „სწორედ ეს არის თქვენი პრობლემა პრეზიდენტო, რომ თქვენ ყველაფერს ნორსჰემპტონის (ანუ პატარა პროვინციული ქალაქის) და არა ეროვნული თვალთახედვით ზომავთ.“¹⁴

მაგრამ იმავე კულიჯმა საკმაოდ მტკიცე მხარდაჭერა აღმოუჩინა რკინიგზის მუშაკებს. 1916 წელს მიღებული ე.წ. ადამსონის კანონით, რკინიგზელთა სამუშაო დღე 8 საათით განისაზღვრა. მაგრამ, სინამდვილეში, ამ კანონს ხშირად არღვევდნენ რკინიგზის მფლობელთა სასარგებლოდ.

1920 წელს ამ სფეროში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად შეიქმნა რკინიგზის მუშათა საბჭო 9 წევრის შემადგენლობით, თუმცა უკვე 1923 წლისათვის გამოიკვეთა საბჭოს არაქმედითუნარიანობა. მიუხედავად ამისა, საბჭოს ხელმძღვანელი საკმაოდ კონსერვატიული რესპუბლიკელი, ტენესის ყოფილი გუბერნატორი, ბენ ჰოპერი არწმუნებდა კულიჯს, რომ აღნიშნულ სფეროში ყველაფერი წესრიგში იყო. კულიჯი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და თავის წლიურ მიმართვაში კონგრესისადმი განაცხადა, რომ საჭირო იყო უფრო ქმედითი ახალი სტრუქტურის შექმნა. მართ-

ლაც, 1926 წელს ვატსონ-პარკერის კანონით, მან მიაღწია მიზანს, დაუშვა კოლექტიური შეთანხმებები რკინიგზის სფეროში და გაზარდა დარგში მომუშავე ადამიანთა უფლებები.

როცა კულიჯის პრეზიდენტობის ვადა დასრულდა, ფედერაციის ხელმძღვანელმა გრინმა მას მისწერა — „უდიდესი მადლიერება და პატივისცემა მინდა გამოვხატო თქვენს მიერ გამოვლენილი სიკეთისათვის თქვენი მმართველობის პერიოდში. მადლობელი ვარ, რომ ყოველთვის ეხმაურებოდით ჩემს მიერ წამოწეულ საკითხებს მშრომელთა კეთილდღეობის შესახებ. თქვენ მუდამ გულუხვად გვითმობდით დროს მე და პროფკავშირების სხვა წარმომადგენლებს, როდესაც მე ისინი თქვენთან მომყავდა“¹¹⁵

სასამართლოები, რომლებიც ძირითადად კონსერვატიული მსოფლხედველობის მოსამართლეებით იყო დაკომპლექტებული, საკმაოდ უარყოფითად იყვნენ განწყობილი პროფკავშირების მიმართ, იშვიათად იღებდნენ მათ სასარგებლო გადაწყვეტილებებს და ხშირად კრძალავდნენ ხოლმე გაფიცვებს. განსაკუთრებით აქტიურობდა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უილიამ ტაფტი(ტაფტი ძალიან დიდი და მსუქანი კაცი იყო. ამის თაობაზე ერთმა გალიზიანებულმა პოლიტიკოსმა იხუმრა, რომ იგი ყველაზე ზრდილობიანი კაცი იყო ამერიკაში, ვინაიდან ტრანსპორტში ერთბაშად სამ ქალს დაუთმო ადგილიო.¹¹⁶). 1923 წელს უმაღლესმა სასამართლომ უკანონოდ ცნო მინიმალური ანაზღაურების დანესება კოლუმბიის ოლქში, რაც მეზობელ შტატებზეც გავრცელდა. საერთოდ ეს მნიშვნელოვანი საკითხი იყო და ფედერალური ანაზღაურების მინიმუმი მხოლოდ „ახალი კურსის“ დროს დანესდა.

1920-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა შრომის ბაზარზეც. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფერმებიდან ქალაქში გადავიდა, ემიგრაცია კი შემცირდა. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემებით, 1920-29 წწ. 19 436 000 ადამიანი გადავიდა ქალაქში, თუმცა მოგვიანებით ნაწილი დაუბრუნდა თავის ფერმებს. ფერმებზე მცხოვრებთა რაოდენობა 3,7 პროცენტით შემცირდა 31, 6 მილიონიდან 30,4 მილიონამდე მაშინ, როდესაც არაფერმერული მოსახლეობა 24,6 პროცენტით გაიზარდა 74,1 მილიონიდან 92,3 მილიონამდე. ნაწილობრივ ეს იმის შედეგიც იყო, რომ სოფლის მეურნეობაში დეპრესია, ხოლო მრეწველობაში კი აღმავლობა იყო და ზოგიერთი ამას „იმედის მიგრაციას“ უწოდებდა.

ამიტომაც, მიუხედავად ემიგრაციის შემცირებისა, დამქირავებელს დიდი არჩევანი ჰქონდა განსაკუთრებით არაკვალიფიციური მუშახელის სახით.

ამერიკულ წარმოებაში გაზრდილი მექანიზაციის წყალობით სულ უფრო მოდაში შემოდიოდა ჩეხური წარმოშობისა სიტყვა „რობოტი“. ახალმა ტექნოლოგიებმა, შრომის ნაყოფიერების ზრდამ, კარგმა ეკონომიკურმა კონიუნქტურამ განაპირობა ხელფასებისა და შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. მნიშვნელოვანი და ახალი მოვლენა იყო აგრეთვე ე.წ. თეთრი საყელოების რაოდენობის ზრდა, ლურჯი საყელოების ანუ მუშების ხარჯზე. თეთრი საყელოების სახით გაიზარდა მომსახურების სფერო, ვაჭრობა, ფინანსები, საკუთრება, სამთავრობო სამსახური, განათლების სფერო, პირადი და სახლის სერვისი და ა.შ. ეს ზრდა 45 პროცენტს შეადგენდა — 11,5 მილიონიდან 16,7 მილიონამდე. 1920-დან 1930 წლამდე 27 პროცენტით გაიზარდა და ათ მილიონს გადააჭარბა მომუშავე ქალთა რიცხვმაც. 28 პროცენტით გაიზარდა გათხოვილ ქალთა რაოდენობა შრომის ბაზარზე და 3 მილიონს გადააჭარბა.¹¹⁷

ამ პერიოდში საშუალოდ დაახლოებით 11 პროცენტამდე იმატა მშრომელთა შემოსავალმა. თუმცა ეს ყველა სფეროს არ ეხებოდა. გარდა ამისა, ეს შემოსავლები პროცენტულად მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, ვიდრე თვით კორპორაციათა მოგებები. მაგალითად, 1923-29 წლებში კომპანიების „იუ ეს სთილის“ და „ტოლედო-ედი-სონის“ შემოსავლები გაორმაგდა, როცა მათი მუშების შემოსავალი უმნიშვნელოდ ან სულ არ გაზრდილა. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ 1923-29 წლებში დივიდენდები 65 პროცენტით გაიზარდა, ხელფასები კი მხოლოდ 20 პროცენტით. ეს სიხარბე იმით დასრულდა, რომ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი ვერ ეწეოდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობას რაც, საბოლოო ჯამში, 1929-33 წლების დიდი კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

სოფლის მეურნეობასთან ერთად, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ტექსტილი. 1920-იან წლებში ქალები სულ უფრო ნაკლებად იცვამდნენ ბამბეულის ნაწარმს, მოდაში უფრო აბრეშუმი შემოდიოდა. ალბათ, ერთადერთი კატეგორიის მამაკაცები, ვინც სევდით უყურებდა ქალთა დამოკლებულ კაბებს, სწორედ ტექსტილის მესვეურნი იყვნენ. მოკლე კაბები ხომ ნაკლები ნაჭრის გაყიდვას ნიშნავდა. მნიშ-

ენელოვნად შემცირდა აგრეთვე ქვანახშირის მოპოვება, რომელიც, რიგ შემთხვევაში, ნავთობმა და ჰიდროელექტროენერგიამ შეცვალა.

თუმცა, ზოგადად, ცხოვრების საშუალო დონემ მნიშვნელოვნად იმატა. თანაც სხვა ქვეყნებთან შედარებით იგი გაცილებით უფრო მაღალი იყო. ამერიკაში ჩამოსული ევროპელი და ავსტრალიელი პროფკავშირების დელეგაციები აღფრთოვანებას და ზოგჯერ შურსაც ვერ მალავდნენ.

ამ ფონზე ამერიკელი მუშები თავიანთ კონკრეტულ პრობლემებზე ფიქრობდნენ და ნაკლებად აინტერესებდათ კლასობრივი სოლიდარობა. პირიქით, მათ დიდი იმედი ჰქონდათ, კლასობრივ საფეხურზე წინსვლისა, მით უმეტეს, რომ ამერიკაში, ევროპისაგან განსხვავებით, ეს გაცილებით უფრო ადვილი იყო. საჭირო იყო ცოტა მეტი ფულის შოვნა, რაც პროსპერიტის დროს არც თუ მიუღწეველი ჩანდა. ფასები სტაბილური იყო, ხელფასები იზრდებოდა, უმუშევრობაც შედარებით დაბალი იყო გარდა 1921 და 1924 წლებისა, როდესაც ეკონომიკური აქტივობა შედარებით შემცირდა. 1920-იან წლებში, როგორც აღვნიშნეთ, უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 4 პროცენტს არ აღემატებოდა, რაც მინიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენდა.¹¹⁸

ასეთი აღმავლობის ფონზე ფედერაციამ 1928 წელს არჩეულ პრეზიდენტ ჰერბერტ ჰუვერთანაც საკმაოდ წარმატებულად დაინყო თანამშრომლობა. უფრო მეტიც, ჰერბერტ ჰუვერი, როგორც საპატიო სტუმარი, დაესწრო ამერიკის შრომის ფედერაციის 50-ე ყოველწლიურ კონვენტს. ამისათვის გრინმა მადლობის წერილი გაუგზავნა ჰუვერს 1930 წლის 6 ნოემბერს და კონვენტის მადლიერების გამომხატველი რეზოლუციის ტექსტიც დაურთო მას.¹¹⁹

საინტერესო მიმონერა წარიმართა ჰუვერსა და გრინს შორის შრომის მინისტრის ახალი კანდიდატურის შერჩევის შესახებ. გრინი თხოვდა ჰუვერს შრომის მინისტრ დევისის შემცვლელად ამერიკის შრომის ფედერაციის წევრი დაენიშნა. იმავე წერილში აღნიშნავდა, რომ ჟურნალისტებმა გადაასხვაფერეს მისი სიტყვები ამ თემასთან დაკავშირებით და მას არ უთქვამს, რომ კანდიდატი მხოლოდ ერთი ორგანიზაციიდან უნდა ყოფილიყო.¹²⁰ ჰუვერიც მადლობით პასუხობდა ამ ახსნა-გარმარტებას, ხაზს უსვამდა საკუთარ პატივისცემას ფედერაციის მიმართ და აღნიშნავდა მის კონსტრუქცი-

ულ საქმიანობას ერის სასიკეთოდ.¹²¹ ამერიკის შრომის ფედერაციისა და ამერიკის მთავრობის ურთიერთობა ადასტურებდა, რომ ეს არ იყო მხოლოდ ფორმალური კეთილგანწყობის ფრაზები და აყვავების პერიოდში ამერიკის შრომის ფედერაცია და მთავრობა, მართლაც რომ შეხმატებილებულად თანამშრომლობდნენ.

1930 წლიდან, როდესაც კრიზისის მასშტაბმა შემაშფოთებელი სახე მიიღო, კეთილგანწყობა ამერიკული საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებს შორის ძალზე შემცირდა. ეს გამოიხატა როგორც კაპიტალისა და შრომის, ასევე შრომისა და ხელისუფლების ურთიერთობებშიც. თუმცა ეს უკვე შემდგომი კვლევის თემაა.

დავამატებდით მხოლოდ, რომ 1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში შრომის ფედერაციამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და არც ჰერბერტ ჰუვერს და არც ფრანკლინ რუზველტს არ გამოუცხადა მხარდაჭერა იმ იმედით, რომ კონგრესის კანდიდატებში მეტი მეგობარი ჰყოლოდა.¹²²

აღსანიშნავია, რომ, გარკვეულწილად, პროფკავშირების პასიურობამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მხრიდან თითქმის სულ არ არსებობდა რაიმე სერიოზული სოციალური გარანტიები. მაგალითად, 1928 წელს მხოლოდ 1,221 ადამიანი იღებდა პენსიას და ეს სახელმწიფოს სულ 222, 589 დოლარი უჯდებოდა. 1920-21 წლებში ვისკონსინის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ რ. ქომონსმა უმუშევრობის კომპენსაციის იდეა წამოსწია და იგი კონგრესში განსახილველად ყოველ სესიაზე შეჰქონდათ, მაგრამ მაშინ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ამერიკული ინდივიდუალზმის იდეოლოგიისათვის ყოველგვარი ფედერალური დახმარება ლამის დამცირების ტოლფასი იყო და ამერიკელები ირონიით უყურებდნენ ევროპის სოციალური უზრუნველყოფის სისტემას. ამ დროს მათ საგინებელი სიტყვა „სოციალიზმიც“ არ ავიწყდებოდათ.

IV

ამერიკელი ფერმერები

1920-იანი წლების აყვავება ყველაზე ნაკლებად შეეხო ამერიკის ფერმერებს, უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობა საკმაოდ მძიმე დეპრესიაში აღმოჩნდა. არსებული ვითარება მნიშვნელოვანწილად I მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა საერთაშორისო ეკონომიკურმა კონიუნქტურამ განაპირობა. მრეწველობისაგან განსხვავებით,

სადაც დიდი მოთხოვნა იყო ახალ პროდუქციაზე, მოთხოვნილება ამერიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტზე მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, შეიძლება ისიც ვთქვათ, რომ იგი თავის ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა. საქმე ისაა, რომ ომის დროს ძირითადად სწორედ ამერიკელი ფერმერები ამარაგებდნენ ევროპას საკვებით, შესაბამისად, მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს სახნავ-სათესი მიწების ფართობი და ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით უზარმაზარი რაოდენობის პროდუქციას აწარმოებდნენ. ომის შემდეგ კი ევროპის სოფლის მეურნეობა აღდგა და მოთხოვნილება ამერიკულ საკვებზე საგრძნობლად შემცირდა, რასაც სხვა ქვეყნების იაფი პროდუქციის კონკურენციაც დაემატა. სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა კი არ შეუმცირებიათ და ომის წლებში განებივრებული ამერიკელი ფერმერები კვლავ წინა წლების მსგავს დაკვეთას ელოდნენ, როგორც აღმოჩნდა, სრულიად უსაფუძვლოდ.

ფერმერთა გასაჭირი ამერიკელთა რაციონში მომხდარმა ცვლილებებმაც განაპირობა. ომის დროს პატრიოტულად განწყობილი დისციპლინირებული ამერიკელი დიასახლისები ხორბლეულის ეკონომიას ეწეოდნენ, რათა ევროპაში ამ კატეგორიის მეტი საკვები წასულიყო და მიეჩვივნენ უფრო მეტი პროტეინით სავსე ხილსა და ბოსტნეულის გამოყენებას. მაგრამ ეს პროდუქტი დიდი რაოდენობით შემოდის სამხრეთის ქვეყნებიდან და ამერიკულ სოფლის მეურნეობას სერიოზულ კონკურენციას უწევდა. გარდა ამისა, ამერიკელებმა არა მარტო შეცვალეს, არამედ შეამცირეს კიდევ თავიანთი რაციონი და ნაკლები ჭამა დაიწყეს. სწორედ მაშინ მოდაში შემოდის 1970-იანი წლებიდან გაფეტიშებული დიეტა. პიროვნებაზე ხორბლეულის გამოყენება 217 ფუნტიდან 180 ფუნტამდე შემცირდა. ასევე შემცირდა კარტოფილის გამოყენებაც. თუმცა რძის პროდუქტების წარმოებაში მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. დიდ ქალაქებს სჭირდებოდა დიდი რაოდენობით რძის პროდუქცია. ასევე საკმაოდ კარგი ვითარება იყო ფრინველის წარმოებაში.

როგორც იტყვიან, გაჭირვებულს ქვა აღმართშიც წამოეწევაო და ამერიკელ ფერმერებს ახალმა მოდამაც გაურთულა ცხოვრება. შეიცვალა ამერიკელთა ტანსაცმელიც, ახლა ისინი უკვე უკეთ ათბობდნენ თავიანთ სახლებს და დახურული მანქანებით მგზავ-

რობდნენ. შესაბამისად, უფრო მსუბუქ ტანსაცმელს ატარებდნენ და ნაკლები შალეული სჭირდებოდათ. მოდაში შემოსულმა კაბების სიმოკლემაც უარყოფითი გავლენა მოახდინა არა მარტო ფერმერთა პურიტანულ მორალზე, არამედ მათ საფულებზეც — იკლო ბამბეულის და შალეულის ნარმოებამ.

ანტიემიგრაციული კანონებისა და კონტრაცეპტივების უფრო აქტიური გამოყენების წყალობით მოსახლეობის ზრდის ტემპებიც შემცირდა ანუ მჭამელთა და თუნდაც მოკლე აბრეშუმის კაბების მსურველთა რაოდენობაც ნაკლებად იზრდებოდა. მოდას აყოლილი ადამიანების გარდა, ფერმერებს შინაურმა ცხოველებმაც შეუქმნეს პრობლემები. ცხენების, ვირების და კამეჩების ტრაქტორებით შეცვლამ მათთვის საჭირო საკვების შემცირებაც გამოიწვია. ამისთვის განკუთვნილი 30 მილიონი აკრი მინა კი ადამიანის საკვების მოსაყვანად გამოიყენეს.

ტრაქტორების მასობრივმა გამოყენებამ პროდუქტიულობა გაზარდა. 1927 წელს ფერმებზე უკვე 650 ათასი პატარა ტრაქტორი ე. წ ფორდსონი იყო. 1920-30 წლებში სატივროთო მანქანების რაოდენობა 139 ათასიდან 900 ათასამდე გაიზარდა, ხოლო ტრაქტორებისა — 246 ათასიდან 920 ათასამდე. როგორც ამბობდნენ, ახალი ტიპის დიდ ფერმებში ადამიანს ლამის ეკრძალებოდა იმ საქმის გაკეთება, რისი გაკეთებაც მანქანის მეშვეობით შეიძლებოდა.¹²³ ახალი, უფრო პროდუქტიული ჯიშების გამოყვანამ, ახალი ტიპის სასუქებისა და ქიმიკატების გამოყენებამ კიდევ უფრო გაზარდა პროდუქტიულობა. შედეგად ფერმერთა რაოდენობა მცირდებოდა, პროდუქციისა კი იზრდებოდა. მშრალმა კანონმაც თავისი კვალი დააჩნია ამერიკელ ფერმერთა გაჭირვებას, მისი წყალობით შემცირდა ხორბლისა და ყურძნის ნარმოება. როგორც ვხედავთ, სახეზე იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მომხმარებელთა რაოდენობის ძალზე დიდი შემცირება.

ამდენად, ერთი მხრივ, საგრძნობლად შემცირდა მომხმარებელთა რიცხვი, მეორე მხრივ, კი საგრძნობლად გაიზარდა პროდუქციის რაოდენობა, რამაც, საბოლოო ჯამში, უმძიმესი ჭარბნარმოების კრიზისი ნარმოშვა. ჭარბნარმოებას, ბუნებრივია, ფასების დაცემა ანუ ფერმერთა შრომის გაუფასურება მოჰყვა. მდგომარეობა გამოუვალი ჩანდა, მით უმეტეს, იმ ქვეყნისათვის, რომელიც თავის ეკონომიკას Laissez-faire-ის იდეოლოგიაზე ამყარებდა. თავისე-

ბური პარადოქსი იყო, მაგრამ, რაც უფრო ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა, მით უფრო უარესდებოდა ფერმერთა მდგომარეობა. საზოგადოებაში მიმდინარე ყველა კარგი თუ ცუდი ცვლილება უშუალოდ ფერმერებს აზარალებდა. მაგრამ საკითხი სცდებოდა წმინდა ეკონომიკურ სფეროს. ოციანი წლებისათვის ჯერ კიდევ ბევრი ცხოვრობდა სოფლებსა და პატარა ქალაქებში. მაგალითად, 1930 წლისთვის აღნიშნავდნენ, რომ 68 მილიონი ადამიანი ქალაქებში ცხოვრობდა, მაგრამ აქედან მხოლოდ 36 მილიონი ცხოვრობდა ქალაქებში, რომლის მოსახლეობა 100 ათასს აღემატებოდა. თანაც ბევრი ამ დიდ ქალაქებში სწორედ ფერმებიდან და პატარა ქალაქებიდან ჩამოვიდა და მათ კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი მიწათმოქმედებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. საერთოდ, ამერიკელმა ფერმერებმა გამორჩეული როლი შეასრულეს ამერიკის ისტორიაში და დანარჩენი ამერიკელებიც დიდი სენტისმენტალიზმით აღიქვამდნენ მათ. ჯერ კიდევ 1780 წელს, ხაზს უსვამდა რა ფერმერთა ადგილს ამერიკის ცხოვრებაში, თომას ჯეფერსონი მიწასთან მომუშავე ხალხს ღვთის რჩეულებს უწოდებდა. მაგრამ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად ისტორიული სენტისმენტების გახსენება საკმარისი არ იყო. საჭირო იყო სწრაფი და მიზანდასახული ქმედებანი. თუმცა სწორედ ეს აკლდა როგორც პარდინგის, ასევე კულიჯის ადმინისტრაციას.

პრეზიდენტი პარდინგი, თავის 1922 წლის მიმართვაში კონგრესისადმი, ხაზს უსვამდა ფერმერთა როლს ამერიკის ცხოვრებაში და გულისტკივილით აღნიშნავდა არსებულ პრობლემებს — „სოფლის მეურნეობა მუდამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფერო იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში. მასში ასახულია ჩვენი ქვეყნის დასაწყისი და, იმპერიულ ვარსკვლავთან ერთად, სწორედ მისმა მოძრაობამ დასავლეთისაკენ განაპირობა რესპუბლიკის ზრდა. სოფლის მეურნეობას ისეთი მოვლენები და შემთხვევითობები გააჩნია, რომელთაც ვერავითარი კანონი ვერ გამორიცხავს, ისეთი განსაცდელი, რომლისგანაც ვერც ერთი კანონი ვერ დაიცავს. მაგრამ კონგრესს შეუძლია ფერმერთათვის ისევე, როგორც სხვა სამრეწველო და კომერციული ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს გარკვეული ფინანსური შესაძლებლობები, ამის გაკეთება შეიძლება იმავე სოლიდურ საფუძველზე და ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს“.¹²⁴ თუმცა, რეალურად, ამ მიმართულებით ძალზე ცოტა რამ გაკეთ-

და, ამიტომაც გასაკვირი იყო ის პათოსი, რომლითაც ჰარდინგი მთავრობის მიერ გატარებულ ზომებს ახასიათებდა 1923 წლის გამოსვლაში. „როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლების სათავეში სოფლის მეურნეობა ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და ჩვენც საგანგებო ზომები მივიღეთ. ომის ფინანსურ კორპორაციას ფერმერთა დასახმარებლად 1 მილიარდი დოლარის კრედიტი გამოვუყავით . . . აქედან 400 მილიონი ფერმერებმა ისესხეს. ამავე დროს, ჩვენი ფერმერების უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად საგანგებო სატარიფო ბილი მივიღეთ. ისევე ავამუშავეთ ფერმერთა სესხების ფედერალური საბჭო და მას 50 მილიონი გამოუყავით კრედიტის სახით. სხვადასხვა პრივილეგირებული სესხის მეშვეობით ვანესრიგებდით საირიგაციო პრობლემებს. მე ამაყი ვარ, როდესაც ფერმერებისადმი მხარდაჭერაზე ვსაუბრობთ. მათ ყოველმხრივ დავეხმარეთ და ეს კი მთელი ქვეყნისათვის დახმარებას ნიშნავს“.¹²⁵ მაგრამ ვაი, რომ რეალობა სრულიად სხვაგვარი იყო და სიტყვებს გაცილებით ნაკლები საქმე მოჰყვებოდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასის ასანეევად საუბრობდნენ ნათესების ნებაყოფილობით შემცირებაზე. მაგრამ ეს ფერმერებს არ მოსწონდათ, ისინი ხომ ინდივიდუალისტები იყვნენ. ამიტომ ვინმე თუ აიტაცებდა ამ იდეას და ნათესების ფართობს შეამცირებდა, სხვას, პირიქით, შეიძლება გაეზარდა კიდევ. მაგალითად, 1924 წელს, როდესაც ხორბლის ნათესები შემცირდა, იმატა ბამბის და სიმინდის ნათესებმა. ასეთი რადიკალური ზომები მხოლოდ „ახალი კურსის“ დროს გატარდა, როდესაც ქვეყანა სრულ კოლაფსში აღმოჩნდა და არჩევანი აღარ ჰქონდა. თანაც, მაშინ მთავრობამ ფული გადაუხადა ფერმერებს ნათესების გადახვნაში.

როდესაც ჰარდინგი კულიჯმა შეცვალა, ისიც გრძნობდა, რომ რაღაც უნდა გაკეთებულიყო ან, ყოველ შემთხვევაში, გაკეთების ილუზია მაინც უნდა შექმნილიყო, მით უმეტეს, რომ 1924 წლის არჩევნები ახლოვდებოდა და აგრარული სამხრეთის წარმომადგენლებსა და დიდი ქალაქების დემოკრატიული პარტიის აპარატებს შორის შეიძლება სერიოზული ალიანსი შემდგარიყო არსებული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით. ამიტომაც ჰუვერის ესოდენ საყვარელ ხერხს მიმართეს და სოფლის მეურნეობის საკითხებზე დიდი კონფერენცია მოიწვიეს. ბუნებრივია, კულიჯმა ჰუვერს სთხოვა ამ ღონისძიების ჩატარება, რომელიც მსგავსი კონფერენ-

ციების სპეციალისტი იყო. პუევრმა ძირითადად დიდი ბიზნესისა და ფინანსური წრეების წარმომადგენლები მოიწვია ერთდღიან სესიაზე. კონფერენცია სოფლის მეურნეობის მინისტრმა უოლესმა გახსნა მოკლე სიტყვით და შემდეგ მონაწილეობა აღარ მიუღია კონფერენციის მუშაობაში. ერთ-ერთი წინადადება იყო შეექმნათ სოფლის მეურნეობის ფედერალური სადივერსიფიკაციო კომისია, რომელშიც შევიდოდნენ ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრები. ისინი 50 მილიონ დოლარს ასესხებდნენ მათ მიერ შერჩეულ ფერმერებს. თუმცა არსებული პრობლემების ფონზე ეს ზღვაში წვეთი იყო. მსჯელობდნენ სოფლის მეურნეობაში კრედიტების გაფართოების შესახებაც.

1924 წელს, როდესაც კულიჯი პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს, მან მოითხოვა კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლიდა ფერმერთა საკითხს და რეკომენდაციებს წარუდგენდა კონგრესს. თუმცა ამ კომისიისაგან არაფერი გამოვიდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მონყობილ პრესკონფერენციაზე კულიჯი ფერმერთა კოოპერატივების იდეასაც კი ავითარებდა და მიიჩნევდა, რომ ამ კოოპერატივების მეშვეობით ისინი ნაკლებად იქნებოდნენ დამოკიდებული შუამავლებზე და უშუალოდ მიაწვდიდნენ პროდუქციას მომხმარებელს, შესაბამისად, მეტი ფული დარჩებდათ. თუმცა, რასაკვირველია, კოოპერატივები ვერ გადანყვეტდნენ უზარმაზარ პრობლემას, რასაც ჭარბწარმოება ერქვა.

ასე რომ, 20-იან წლებში ფერმებში ცუდად ცხოვრობდნენ, გამოყრუებულები იყვნენ თავიანთ ფერმებზე და რადიო თუ შველიდა და აკავშირებდა მათ გარე სამყაროსთან.

ამ წყლის ნაყვის ფონზე მეტ-ნაკლებად რეალური მოქმედება ე. წ. მაკნარი-ჰოუგენიოს ბილთან იყო დაკავშირებული. ამ ბილის სულისჩამდგმელნი იყვნენ ბიზნესმენი ჯორჯ ნ. პიკი და მისი თანამოაზრე, ყოფილი ბრიგადის გენერალი ჰიუ ჯონსონი. სოფლის მეურნეობის მინისტრს უოლესს, მაკნარისა და ჰოუგენთან ერთად ისინი იმედოვნებდნენ, რომ საზღვარგარეთის ხარჯზე გადანყვეტდნენ ამერიკული სოფლის მეურნეობის პრობლემას. მათ სურდათ ყოველწლიურად გამოთვლილი და მცოცავი ტარიფის მეშვეობით დაცული ე.წ. პროპორციული ფასების დანესება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. მაღალი ტარიფების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კორპო-

რაცია იყიდდა ზედმეტ პროდუქციას ფერმერებისაგან და შემდეგ საზღვარგაერთ გაყიდდა მას მსოფლიო ფასებში. სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად კი ფერმერებზე სპეციალური გადასახადი უნდა დაწესებულიყო. 1924 წელს კონგრესში შეტანილი ბილი მოითხოვდა 200 მილიონი დოლარის მფლობელი შემსყიდველი კორპორაციის შექმნას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. თუმცა 1925 წლის თებერვალში შეტანილ მეორე კანონპროექტს სოფლის მეურნეობის კომიტეტმა დადებითი შეფასება მისცა, მაგრამ მისი მიღება ვერ მოესწრო იმ სესიაზე. 1927 წელს, გარკვეული სახეცვლილებებით, მაკნარი-ჰოუგენის ბილი მესამეჯერ გაიტანეს კონგრესში განსახილველად.

იქ თანდათან ჩამოყალიბდა ე. წ. ფერმერთა ბლოკი, რომელშიც გაერთიანდნენ სამხრეთელები, შუა დასავლეთისა და დასავლეთის შტატების წარმომადგენლები. მაგრამ, კულიჯის სახით, რომელსაც აშკარად არ მოსწონდა ეს იდეა, ფერმერთა ბლოკს ეშმაკი მონინალმდევე ჰყავდა. მან იცოდა, რომ ეს ბლოკი არცთუ ერთსულოვანი იყო და ყველა რეგიონს თავისი მიზნები ჰქონდა.

ამ რეგიონალურ წინააღმდეგობებზე ააგო მან თავისი ტაქტიკაც. მას მიაჩნდა, რომ ნამატზე ფასის ზრდა ახალ ნამატს გამოიწვევდა და კიდევ უფრო რთულ პრობლემებს შექმნიდა. წარსულშიც ასე ხდებოდა და გარანტირებული მაღალი ფასები ფერმერებს მეტის წარმოებისაკენ უბიძგებდა. ენდრიუ მელონსაც არ მოსწონდა მაკნარი – ჰოუგენის ბილი და ყოველნაირად რაზმავდა მის წინააღმდეგ თავის მომხრეებს კონგრესში. მაგრამ, მიუხედავად ამინისტრაციის მცდელობისა, ეს ბილი ორჯერ გავიდა კონგრესში და კულიჯი იძულებული იყო ვეტო დაედო. პირველი ვეტოს ტექსტი საკმაოდ ვრცელი იყო და ბევრი შენიშვნისაგან შედგებოდა. მაშინ ბილის მომხრებმა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს მასში და ხელახლა და კვლავ წარმატებულად გაიტანეს იგი კონგრესის სამსჯავროზე, მაგრამ 1928 წელს მეორე ვეტო მიიღეს. კულიჯს მტკიცედ სწამდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო ეკონომიკის ისეთ სათუთ სფეროში, როგორც ფასწარმოება.

1927 წლის 7 დეკემბერს კონსერვატიული „ჩიკაგო ტრიბუნიც“ კი აკრიტიკებდა კულიჯის პოზიციას და მიაჩნდა, რომ იგი არა მარტო დემოკრატების, არამედ რესპუბლიკელების ოპონირებასაც კი იწვევდა კონგრესში. როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ფერმერები-

სადმი დახმარების კულიჯისეული გეგმა ირონით მიიღეს ხორბლის სარტყლის რეგიონის ლიდერებმა, რომელნიც გეგმავდნენ ახალი მაკნარი-ჰოუგენის ბილის წარდგენას პრეზიდენტისადმი და მის დამტკიცებას ვეტოს მიუხედავად.¹²⁶ მაგრამ, როგორც ვნახეთ, მათ ვერ აჯობეს ჯიუტ პრეზიდენტს.

ჯერ კიდევ 1925 წელს, ფერმერთა წინაშე გამოსვლისას, კულიჯი აღნიშნავდა, რომ „ამერიკულ სოფლის მეურნეობას არასოდეს არ მიუღია რაიმე ხელოვნური დახმარება მრეწველობისა ან მთავრობისაგან. ამერიკული ფერმერობა მუდამ პატიოსნად და მტკიცედ იდგა საკუთარ პოზიციაზე. იგი დამოუკიდებელია.“¹²⁷ „როგორც კი მთავრობა ჩაერევა პროდუქციის ყიდვასა ან გაყიდვაში, ეს ფიქსირებულ ფასებს წარმოშობს, რაც დაანგრევს კოოპერაციულ ასოციაციებს და სხვა საბაზრო მექანიზმებს, ვინაიდან არავის შეუძლია კონკურენცია გაუნოს მთავრობას. ეს იქნება ფერმერთა დამოუკიდებლობის დასასრული. . . ხოლო მთავრობის მიერ ფასების კონტროლი ვერ გაემიჯნება პოლიტიკურ კონტროლს“, აფრთხილებდა კულიჯი. „ჩვენ თუ სოფლის მეურნეობაში დავიწყებთ ფასების ფიქსირებას, სხვა სფეროებშიც მოგვიწევს ამის გაკეთება. . . მაღალი ფიქსირებული ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჭარბწარმოებას შეუწყობს ხელს. ეს კი სრული კოლაფსი იქნება.“¹²⁸

ბუნებრივია, რომ ასეთი პოლიტიკა ვერ გამოასწორებდა ფერმერთა მდგომარეობას, თუმცა, როგორც ვნახეთ, არც მაკნარი-ჰოუგენის ბილი იყო უნაკლო. შედეგად, ფერმერთა შემოსავალი სულ უფრო მცირდებოდა. თუ 1920 წელს ქვეყნის საშუალო შემოსავალი ერთ კაცზე 750 დოლარს შეადგენდა, ფერმერებში იგი არ აღემატებოდა 273 დოლარს. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1928 წელს 11 851 ფერმერის ოჯახის მდგომარეობა შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 20 პროცენტის წლიური შემოსავალი იყო 2000 დოლარი ან მეტი. 25 პროცენტის შემოსავალი 1000-დან 2000-დე მერყეობდა. 23 პროცენტს კი სულ 500 დოლარი ჰქონდა. სტაბილურად მცირდებოდა ფერმერული წარმოების წილი ეროვნულ შემოსავალშიც. თუ 1920 წელს იგი 17,3 პროცენტს შეადგენდა, 1930 წლისათვის უკვე 10,9 პროცენტამდე დაეცა.¹²⁹ თუმცა ამ პროცენტის შემცირება მრეწველობის უპრეცედენტო ზრდამაც განაპირობა.

შავკანიანი ამერიკელები, ლინჩის წესი და დემოკრატია

პროსპერიტის გერთა რიცხვს ფერადკანიანი ამერიკელებიც მიეკუთვნებოდნენ, რომელთაც, ფერმერებისაგან განსხვავებით, საერთოდ არ ახსოვდათ კარგი ცხოვრება საკუთარ სამშობლოში. XX საუკუნეში დაახლოებით მილიონამდე ზანგი გადასახლდა სამხრეთიდან ჩრდილოეთში, სადაც მათ, თუმცა მეორეხარისხოვან, მაგრამ მაინც მოქალაქეებად თვლიდნენ და სამხრეთისაგან განსხვავებით, არჩევნებში მონაწილეობას მაინც არ უშლიდნენ. რასაკვირველია, ასეთი „უპირატესობა“ სულ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებდა მათ, რადგან დიდ ქალაქებში მცხოვრები ზანგების განათლების დონე და რასობრივი თვითშეგნება დღითიდღე იზრდებოდა. რაც შეეხება სამხრეთს, იქ საერთოდ წარმოუდგენელი ვითარება სუფევდა, რომელსაც თითქმის არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც თანამედროვეობასთან და, მით უმეტეს, დემოკრატია-სთან. რაც არ უნდა კეთილგანწყობილად შეეაფასოთ იქ არსებული ვითარება, აპართეიდის გარდა მას სხვა განსაზღვრებას ძნელად თუ მოუნახავდით. შავკანიანთა სამოქალაქო უფლებები გათელილი იყო, ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესი და მათ უმრავლესობას ლარიბი თეთრი ამერიკელის ქონებაც კი სანატრელი ჰქონდა. რასობრივი დისკრიმინაცია ყოფით დონეზე იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომ იგი თითქმის საზოგადოების ორგანულ და ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. მაგრამ ყოველივე ამას სიკვდილის ელემენტარული შიში ფარავდა. შავკანიანის სიცოცხლე ოდნავ უკეთ იყო დაცული ვიდრე „ბიძია თომას ქოხის“ ეპოქაში. შავკანიანთა ლინჩის წესით გასამართლება ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ამ ვითარების ნათელი ილუსტრაციაა ვირჯინიის გაზეთ „ნორფოლკ ჯორნალ ენდ გაიდში“ 1925 წლის 3 იანვარს გამოქვეყნებულია სტატია, სადაც სიამაყით აცხადებდნენ, რომ 1924 წელს სულ 16 კაცი გაასამართლეს ლინჩის წესით, როცა 1923 წელს 33 კაცი იყო, ხოლო 1922 წელს კი 57. თუმცა იმასაც აღნიშნავდნენ, რომ პოლიციას რომ არ ემარჯვა, ლინჩის წესით ჩამოხრჩობილთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. 1924 წელს პოლიციას 45

ადამიანი გადაურჩენია. აქედან 8 ჩრდილოეთის შტატებში, 35 კი სამხრეთის შტატებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი განსხვავება იმიტომ კი არ იყო, რომ სამხრეთელი პოლიციელები უფრო მარჯვე და ჰუმანურები იყვნენ, უბრალოდ, სამხრეთში ლინჩის წესი უფრო ხშირად გამოიყენებოდა, ვინაიდან იქ გაცილებით მეტი ზანგი ცხოვრობდა და, როგორც იმავე გაზეთშია აღნიშნული, ძირითადად სწორედ ზანგებს უსწორდებოდნენ. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ლინჩის წესით თეთრებიც გაუსამართლებიათ, ეს მოვლენა მაინც სწორედ რასიზმთან ასოცირდება. მაგალითად, 1924 წელს თექვსმეტივე ჩამოხრჩობილი ზანგი იყო. ლინჩის ტიპური მიზეზები იყო:

1. გაუპატიურება;
2. გაუპატიურების მცდელობა;
3. პოლიციელის მოკვლა;
4. ქალის შეურაცყოფა;
5. ქალზე თავდასხმა;
6. კაცის მოკვლა კამათის დროს;
7. კაცის დაჭრა.

ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ზანგების ჩამოხრჩობა დაზარალებული თეთრი ქალების გამო ხდებოდა, თორემ ზანგი ქალის გაუპატიურება ან შეურაცყოფა საზოგადოებას ნაკლებად აღელვებდა.

იმავე გაზეთის იმავე ნომერში აღნიშნულია ზანგების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება 1900-დან 1924 წლამდე. კერძოდ კი, თუ 1900 წელს 390 ათასს ზანგს ჰქონდა საკუთარი სახლი, 1924 წელს უკვე — 660 ათასს. ფერმები, შესაბამისად, 790 ათასიდან 1 მილიონამდე გაიზარდა. დამოუკიდებელი ბიზნესი — 20 ათასიდან 65 ათასამდე. ზანგთა მიერ დაგროვილი დოვლათი, თუ 1900 წელს 300 მილიონი დოლარის ტოლფასი იყო, 1924 წელს მილიარდ 700 მილიონამდე გაიზარდა. ნიგნიერება 1900 წელს მხოლოდ 56 პროცენტს მოიცავდა, 1924 კი უკვე 80 პროცენტს. კოლეჯების და ნორმალური სკოლების რაოდენობა 400-დან 500-მდე გაიზარდა. მონაფეები სახელმწიფო სკოლებში 1 577 000-დან 2 მილიონამდე. ზანგი მასწავლებლების რაოდენობა 28 ათასიდან 45 ათასამდე გაიზარდა. ხარჯები განათლებაზე 10-დან 32 მილიონამდე და ა.შ. როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ეს ინფორმაცია ზანგთა ბიზნესის

ეროვნულმა ლიგამ წარმოადგინა.¹³⁰ 1920 წელს ამერიკაში დაახლოებით 10 მილიონი ზანგი იყო, ხოლო 1930 წლისათვის დაახლოებით – 11 მილიონი.

რესპუბლიკური პარტია, რომელიც ლინკოლნისა და მონობისაგან განთავისუფლების პარტიად ითვლებოდა, მიიჩნევდა, რომ მას ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული ჰქონდა შვეკანიან ამომრჩეველთა ხმები. ამიტომაც, მიუხედავად ფერადკანიან ლიდერთა პროტესტისა, რესპუბლიკელებმა თითქოსდა დაივიწყეს მათი ინტერესები. ფედერალურმა მთავრობამ თითქმის არაფერი გააკეთა ადამიანის უფლებების დასაცავად და ყოველივე ეს სასამართლოებს გადაულოცა, სადაც კონსერვატორები ბატონობდნენ. რამდენჯერმე სცადეს ლინჩის წესის საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღება. ამაზე პარტიის საარჩევნო კამპანიების დროსაც საუბროდნენ როგორც 1924, ასევე 1928 წლებში, მაგრამ ამას კონგრესის რეალური გადანწყვეტილება არ მოჰყოლია.

1925 წლის 9 მარტს „თანასწორი უფლებების ეროვნული ლიგის“ სახელით გაგზავნილ წერილში, ზანგი ქალები თხოვდნენ პრეზიდენტს ლინჩის წესის გაუქმებას და ახსენებდნენ მას, რომ 1889 წლიდან 1925 წლამდე 3 224 კაცი მოკლეს. მაშინაც კი, როდესაც ზანგები მსოფლიო ომში იბრძოდნენ დემოკრატიის დასაცავად, სამშობლოში 90 კაცი მოკლეს ლინჩის წესით. ზანგი ქალები „ჯიმ ქროუზმის“ წინააღმდეგაც გამოდიოდნენ და სეგრეგაციის შეჩერებას მოითხოვდნენ ფედერალურ დონეზე.¹³¹ დაახლოებით იმავეს თხოვდა პრეზიდენტს 64 ეკლესიის შვეკანიან მღვდელთა ჯგუფი. 1925 წლის 19 ივნისის წერილში ისინი კონსტიტუციის მე-14 და მე-15 შესწორებების ცხოვრებაში რეალურად გატარებას მოითხოვდნენ და მიუთითებდნენ, რომ თვით ამერიკის დედაქალაქშიც, ფედერალურ უწყებებში ზანგებს დაუფარავად ჩაგრავენ და იქ სეგრეგაცია ბატონობდა.¹³² 1925 წლის 17 ოქტომბერს იმავეს მოითხოვდა პრეზიდენტისაგან „თანასწორი უფლებების ეროვნული ლიგა“, რომელიც აღნიშნავდა, რომ იგი ფერადკანიანთა ერთადერთი ორგანიზაცია იყო, რომელმაც საჯაროდ დაუჭირა მხარი რესპუბლიკურ პარტიას 1924 წლის არჩევნებში. სხვასთან ერთად, ლიგა მოთხოვდა დაიერის ლინჩის საწინააღმდეგო კანონპროექტისადმი მხარდაჭერასაც.¹³³

ვითარება იმდენად აღმაშფოთებელი იყო, რომ რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმაც კი სთხოვა პრეზიდენტს ფერადკანიან ქალთა დასაქმება შრომის სამინისტროში. კულიჯმა შრომის მინისტრ დევისს დაავალა შესაფერისი ზომების მიღება, რომელმაც 1925 წლის 16 მაისს უზარმაზარი ანგარიში წარუდგინა პრეზიდენტს იმის თაობაზე, რომ სამინისტროში მაქსიმუმი კეთდებოდა ამ მიმართულებით და რომ იქ სეგრეგაცია არ არსებობდა. იმასაც აღნიშნავდა, რომ ზოგჯერ მოსახერხებელი იყო ერთი რასის ხალხის გამოყენება იმავე რასის წარმომადგენლებთან მუშაობისას. იგი დაპირდა პრეზიდენტს, რომ თუ გამოჩნდებოდა შესაფერისი კვალიფიკაციის ზანგი ქალი, მას აუცილებლად აიყვანდნენ სამუშაოდ.¹³⁴ მსგავსი მოთხოვნით კულიჯმა ეტყობა სოფლის მეურნეობის მინისტრსაც მიმართა და 1925 წლის 18 მაისს მისგანაც მიიღო ბარათი, რომ მის სამინისტროში ზანგებს არ ჩაგრავენ და იქ უკვე მუშაობდნენ უმაღლესი განათლების მქონე ზანგები. ასეთივე პასუხი მიიღო კულიჯმა 16 მაისის შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, რომელიც აღნიშნავდა, რომ განათლების ბიუროში 6 ზანგი მუშაობდა.

როგორც ვხედავთ, რასიზმი ჯერ კიდევ ძლიერად იყო გამჯდარი საზოგადოებაში და ის ფაქტი, რომ თვით მინისტრებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ ადამიანების მიმართ ადამიანური დამოკიდებულების ფაქტებს და ლამის ამყობდნენ ამით, ბევრის მთქმელია.

1927 წლის 19 სექტემბერს „ამერიკის კანონიერებისა და წესრიგის დაცვის ასოციაციამ“ პრეზიდენტს სამხრეთის შტატებში ვითარების გამოსწორება სთხოვა. დისკრიმინაციის მაგალითად ჯორჯიის ერთ-ერთ ქალაქში, ზანგთა სკოლის დირექტორის 45 დოლარიანი თვიური ხელფასი მოიყვანეს, როცა თეთრების სკოლის დირექტორის შემოსავალი წელიწადში 3000 დოლარი იყო. შავკანიანთა სკოლაში მასწავლებლების ხელფასი თვეში 25 დოლარი იყო, რაც ბუნებრივია, ხელს არ უწყობდა სკოლაში პროფესიონალების მიზიდვას და ამ სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს სულ ხუთი კლასის განათლება ჰქონდა. იმავე სკოლაში 377 ბავშვზე სულ ორი მასწავლებელი მოდიოდა, თეთრებისაგან შემდგარი მეურვეთა საბჭო კი უფულობას უჩიოდა.¹³⁵

ბუნებრივია, სიტყვით პრეზიდენტიც რასიზმის წინააღმდეგი იყო. გაზეთ „ჩიკაგო დეფენდერის“ 1925 წლის 16 მაისის ნომერში მოყვანილი იყო პრეზიდენტის სიტყვები ებრაელთა საზოგადოებრივ ცენტრში გამოსვლისას, სადაც კულიჯი აღნიშნავდა, რომ „რასობრივი სიძულვილი გზას უღობავდა პროგრესსა და აყვავებას და რომ თავისუფლება და თანასწორობა საერთო ცნებებია.“ მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიტყვები იყო და პრეზიდენტის ასეთ კეთილშობილ გამოთქმებს რასისტული კუ კლუქს კლანის საომარი ყიჟინა ფარავდა. ოციან წლებში, რესპუბლიკური პარტიის პლატფორმებში არასოდეს განუხილავთ სერიოზულად ამერიკის კონსტიტუციის მე-14 და მე-15 შესწორებების ცხოვრებაში რეალურად გატარების აუცილებლობა და ძირითადად კერძო საკითხებით იფარგლებოდნენ. საბოლოო ჯამში, კულიჯის ადმინისტრაციას თითქმის არაფერი გაუკეთებია შავკანიანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საპასუხოდ, 1932 წლის არჩევნებისათვის შავკანიანი ამერიკელების დიდმა ნაწილმა დატოვა ლინკოლნის პარტია.

VI

კუ კლუქს კლანის აღორძინება და მორალური ფასეულობანი

1920-იან წლებში მთავრობის ინერტულობას რასობრივ საკითხში თან ერთვოდა რასიზმის და ქსენოფობიის ჭეშმარიტად ვულკანისებური ამოფრქვევა, რომელმაც საზოგადოების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა. ეს კარგად გამოჩნდა ანტიემიგრაციულ კანონმდებლობებში, რომლებსაც აშკარად გამოკვეთილი რასობრივი ელფერი დაკრავდა, მაგრამ ამ წლების მთავარი საფრთხე კუ კლუქს კლანის აღორძინება იყო. ბევრს კუ კლუქს კლანი მარტო ზანგების დასაწიოკებლად და დასაშინებლად შექმნილი ორგანიზაცია ჰგონია და ნაწილობრივ ეს ასეც არის, მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. კლანი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და რთული მოვლენა იყო. როგორც ორგანიზაცია, კლანი 1866 წელს ჩამოაყალიბეს კონფედერაციის არმიის ვეტერანებმა. საინტერესოა, რომ დასაწყისში იგი შეიქმნა როგორც იუმორისტული სოციალური კლუბი და არსებულ ვითარებაზე იუ-

მორითა და ბუნდოვანი რიტუალებით რეაგირებდა, თუმცა სულ მალე დაუნდობელი ტერორის სიმბოლოდ იქცა და მიზნად დაისახა ზანგების დაშინება, დასჯა და მათ ჩამოცილება ყოველგვარი პოლიტიკური აქტიურობისაგან. ორგანიზაციის დასახელება, კუ კლუქს კლანი, წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან კუკლოსი, რაც წრეს ნიშნავდა, და ინგლისური კლანის ერთიანობისაგან.

სამოქალაქო ომში დამარცხებულმა სამხრეთელებმა კლანის მეშვეობით მინიმუმამდე დაიყვანეს ხმების მიცემა რესპუბლიკური პარტიისათვის. მაგალითად, 1868 წელს ჯორჯიაში გუბერნატორობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა კოლუმბიის ოლქში 1 222 ხმა მიიღო, მაგრამ ნოემბერში პრეზიდენტობის კანდიდატმა ულის გრანტმა ამავე ოლქიდან მხოლოდ 1 ხმა წაიღო. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ გრანტმა დაამარცხა კონფედერატთა არმია და მიიღო სამხრეთელთა ლეგენდარული გმირის, გენერალ რობერტ ლის კაპიტულაცია, რითაც უსაზღვროდ დაამცირა სამხრეთელები. კლანელებმა ათასობით ზანგი გამოასალმეს სიცოცხლეს, მარტო ფლორიდაში 150 ზანგი მოკლეს. მაგრამ 1870 წლისათვის კლანის გავლენა შესუსტდა, ხოლო 1871 წელს, პრეზიდენტ გრანტის უდიდესი ძალისხმევით შედეგად მიღებული 1871 წლის სამოქალაქო უფლებების კანონის მეშვეობით (რომელიც ასევე ცნობილია, როგორც კუ კლუქს კლანის კანონი), კლანი საერთოდ განადგურდა. ამ კანონის თანახმად, კლანის წინააღმდეგ შტატის მილიცია კი აღარ იბრძოდა, რომელიც არაეფექტური იყო და ზოგჯერ თანაუგრძობდა კიდევ საკუთარი შტატის მკვიდრთ, არამედ ფედერალური ჯარი. კლანის წევრებს კი არა ადგილობრივი, არამედ ფედერალური სასამართლოები ასამართლებდნენ, სადაც ნაფიცი მსაჯულები ძირითადად ზანგები იყვნენ.

კლანის აღორძინება, უფრო სწორად კი მისი მეორედ შექმნა, 1915 წელს მოხდა ჯორჯიის შტატში უილიამ ჯოზეფ სიმონსის ინიციატივით. რაოდენ საკვირველიც უნდა ჩანდეს, კლანის აღორძინებას ხელი შეუწყო გამოჩენილი ამერიკელი კინორეჟისორის დევიდ გრიფიტის ფილმმა „ერის დაბადება“, რომელიც დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო და ნოვატორულ ამერიკულ ფილმად ითვლება. ფილმი დაიდგა თომას დიქსონის რომანის „კლანსმენის“ საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იყო ე.წ. ძველი სამხრეთის შელამაზებული ცხოვრება სამოქალაქო ომისა და რეკონსტრუქ-

ციის პერიოდში. ამერიკული კინემატოგრაფის ამ შედეგში კლანი კეთილშობილ და რაინდული სულისკვეთების ძალად იყო დახატული. ფილმმა გასაოცარი აჟიოტაჟი გამოიწვია და ამკარად ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა. ლოს-ანჯელესში გამართულ პრემიერაზე, რეკლამის მიზნით, კლანის ბალახონებში ჩაცმული მსახიობები დაჯირითობდნენ კინოდარბაზის წინ, მაგრამ ატლანტის კინოთეატრების წინ უკვე ნამდვილი კლანსმენები ჯირითობდნენ, ხოლო ზოგიერთი ეგზალტირებული მაყურებელი ეკრანს რევოლვერიდანაც კი ესროდა. ფილმი თვით პრეზიდენტმა ვილსონმაც შეაქო. როგორც ისტორიკოსმა, მან დადებითად შეაფასა ფილმის ისტორიული დამაჯერებლობა, მით უმეტეს, რომ თვითონაც სამხრეთიდან იყო და მისი წინაპრები სამხრეთელთა ჯარში იბრძოდნენ. თუმცა პრეზიდენტს არც უფიქრია რასიზმის ქება-დიდება, მაგრამ პრეზიდენტის სიტყვები ყველამ თავისებურად გაიგო და გამოიყენა.

ბუნებრივია, ერთი ფილმი, რაც უნდა გენიალური ყოფილიყო, ვერ გამოიწვევდა ამ ემოციებს. თუმცა, როგორც მომავალმა გვაჩვენა, კინოს მართლაც მაგიური ძალა აღმოაჩნდა და არაერთმა ფილმმა არაერთი მანია (რად ღირს თუნდაც იგივე „ვარსკვლავური ომები“) გამოიწვია შტატებში. მაგრამ ამჯერად ვითარება გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა. რასიზმის ტრადიცია ჯერ კიდევ მეტად ძლიერი იყო და ბევრს ზანგების ცხოვრების ოდნავი გაუმჯობესებაც კი აღიზიანებდა. ქვეყანაში იზრდებოდა მტრული განწყობილება ახალი ემიგრანტების მიმართაც. ამავე წელს ებრაელმა ფაბრიკის მენეჯერმა ლეო ფრანკმა გააუპატიურა ახალგაზრდა ქალი, ვინმე მერი ფაგანტი. სასამართლომ ჯორჯიაში მას მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ბრბომ და ე.წ. „მერი ფაგანტის რაინდებმა“ იგი ციხიდან გაიტაცეს და ჩამოახრჩვეს. ამ ფაქტს ანტისემიტიზმის გააქტიურებაც მოჰყვა. კლანის იდეის გარშემო მრავალი თეთრი პროტესტანტი გაერთიანდა, რომელსაც თეთრი ადამიანის, ე.წ. ასპროცენტიანი ამერიკელის, ბატონობის იდეა იზიდავდა.

ახალ კლანს, გარდა ანტიზანგურისა, ჰქონდა ანტიებრაული, ანტიკათოლიკური, ანტიკომუნისტური და ანტიემიგრანტული განწყობა.

ყველაფერი ცუდი ამერიკაში შავების და ებრაელი ბანკირების ბრალიაო, გაიძახოდნენ კლანსმენები. საინტერესოა, რომ რადი-

კალური კონსერვატიზმის საფუძველზე რეორგანიზებული კლანი არა მარტო სამხრეთის შტატებში, ე.წ. „ბიბლიურ ზოლში“, არამედ შუა დასავლეთში, ჩრდილოეთ შტატებში და კანადაშიც კი გაიფურჩქნა. ზოგიერთ შტატში თეთრი მამაკაცების 20 პროცენტი, ზოგან 40 პროცენტიც კი კლანის წევრები იყვნენ. კლანი მორალის დამცველადც მოეწონა ქვეყანას და მის იდეოლოგიას რასობრივი, რელიგიური და ეროვნული ფაქტორების გარდა ე. წ. მორალური ცენზორის იდეაც დაემატა. კლანის წევრები თავის უბანსა თუ სამეზობლოში თვალყურს ადევნებდნენ მეზობლების მორალურ სახეს, განიხილავდნენ ამას თავიანთ შეკრებებზე და დამნაშავის დასჯის მეთოდებსაც ერთად შეიმუშავებდნენ. ჯერ გაკიცხავდნენ „ცოდვილს“, თუ ეს არ კმაროდა, პოლიციასაც ატყობინებდნენ და სრულ ნდობას უცხადებდნენ მას. თუ ესეც არ ჭრიდა, მაშინ უფრო მკაცრ ზომას, ოსტრაკიზმს, მიმართავდნენ. ბევრი ვინც ვერ ეგუებოდა ომის შემდგომი პერიოდის ახალგაზრდების დამოუკიდებლობას და გარკვეულ თავისუფლებას მორალურ-ეთიკურ სფეროში, სწორედ კლანსმენებში ეძებდა მხარდაჭერას და პოულობდა კიდევ. მაგალითად, ბირმინჰემში მათ დაარბიეს ადგილობრივი საროსკიპოები. ალაბამის შტატის ქალაქ ტროაში კლანსმენებმა შეატყობინეს მშობლებს მათი შვილების უმსგავსო ქმედების შესახებ მანქანებში. ერთგან კლანსმენებმა განათხოვარი ქალი მიაბეს ხეზე, გააშიშვლეს და საჯაროდ განკეპლეს.

როგორც ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსები დევიდ კენედი და თომას ბილი ალნიშნავდნენ, კლანი უფრო „ანტიუცხოელთა, ანტიკათოლიკეთა, ანტიებრაელთა, ანტიპაციფისტთა, ანტიკომუნისტთა, ანტიინტერნაციონალისტთა, ანტირევოლუციონისტთა, ანტიბუტლერეთა, ანტიაზარტულ თამაშთა, ანტიშობადობის კონტროლისა და ანტიადიულტერის მოძრაობას ნარმოადგენდა.“¹³⁶

კლანის გავლენა ოციან წლებში იმდენად გაიზარდა, რომ მას „უხილავ იმპერიასაც“ უწოდებდნენ. კლანი ძირითადად უფრო პატარა ქალაქებისა და დაბების ფენომენი იყო, სადაც ნაკლებად შეაღწია ინდუსტრიალიზაციამ, ემიგრაციამ და ლიბერალურმა მსოფლმხედველობამ. თუმცა ოციან წლებში იგი დიდ ქალაქებშიც საკმაოდ პოპულარული გახდა. ბევრისათვის კლანის წევრობა მოსაწყენი ცხოვრებისეული რუტინიდან უჩვეულო, რომანტიკული და ეგზოტიკური რიტუალებით აღსავსე ცხოვრებაში შესვლას ნიშნავ-

და. დღისით იგი ჩვეულებრივი კლერკი იყო, ხოლო ღამით რომანტიკულ, ერთიან სამშობი გაერთიანებულ რაინდად წარმოიდგენდა თავს. ტანსაცმელიც თავისებურად მისტერიული იყო. კლანსმენტა პარადებიც, ჩირაღდნებითა და ჯვრებით, საკმაოდ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პატარა ქალაქის მოსახლეობაზე.

კლანის წევრობის აუცილებელი პირობა იყო: 1. ადრეული, 1866 წელს შექმნილი, კლანის პატივისცემა და ხსოვნა; 2. თეთრი რასის უპირატესობის იდეის აღიარება; 3. ანტისემიტიზმი; 4. უარყოფითი დამოკიდებულება ახლად ჩამოსულების მიმართ; 5 ანტიკათოლიციზმი; 6. ე.წ. „წმინდა ამერიკელობა“; 7. პროტესტანტიზმი და ზნეობრიობა.

კლანის უხილავ იმპერიას უფროსობდა „დიდი მაგი“. იმპერიაში იყო აგრეთვე სამეფოები, რომელთაც „დიდი დრაკონები“ მართავდნენ, პროვინციებს კი „დიდი ციკლოპები“ ხელმძღვანელობდნენ, ციკლოპების მოადგილეებს „საშინელებებს“ უწოდებდნენ და ა. შ.

კლანის „დიდი მაგი“ ევანსი სტატიაში ყურნალ „ნორს ამერიქენ რევიუსათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავდა — „მომავალი და ცივილიზაცია დამოკიდებულია თეთრი რასის უპირატესობაზე. სხვა რასებსაც ჰქონდათ თავიანთი შანსი, მაგრამ ისინი დამარცხდნენ“. იგივე ევანსი 75 ათასი კლანსმენტის შეხვედრაზე აღნიშნავდა — „ზანგებს არ შეუძლიათ მიაღწიონ ანგლო-საქსონურ დონეს . . . უღირსი წინაპრების დაბალი გონებრივი განვითარება, ჯუნგლებიდან გამოსულ ფერადკანიან ამერიკელთა სისხლი არავითარ ახალ გარემოს არ შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს. ეს ძველი, შთამომავლობითი ჩამორჩენაა“.¹³⁷

ებრაელების მიმართ ევანსს სხვა პრეტენზია ჰქონდა. კერძოდ კი აღნიშნავდა, რომ „მათი რასობრივი კარჩაკეტილობა და მხოლოდ თავისიანებზე ქორწინება შეუძლებელს ხდის მათ სრულ ასიმილაციას სხვა საზოგადოებაში. ათასი წელიც რომ იცხოვრონ ერთ ადგილას, ისინი ვერ ჩაენერებიან ადგილობრივ საზოგადოებაში, სხვა ემიგრანტი კი ამას ერთ წელიწადში გააკეთებს. ებრაელი არასოდეს უკავშირებს თავს იმ მიწას, სადაც ცხოვრობს. მათ არ შეუძლიათ დიდხანს იყვნენ თავისუფალი ამერიკის გარემოში.“

კათოლიკეებზე ამბობდა, რომ „მათთან ასიმილაცია უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს ამერიკის სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, ვინაიდან ისინი რომის პაპს უფრო ექვემდებარებიან, ვიდრე

ამერიკის მთავრობას. მათ უნდათ, რომ ბავშვებმა ისწავლონ არა საზოგადოებრივ სკოლებში, არამედ იმ ეკლესიის კონტროლქვეშ გაიზარდონ, რომელიც ამერიკაშიც კი არ არის დაფუძნებული. კათოლიციზმისადმი ნამდვილი პრეტენზია რელიგიაში კი არ გამოიხატება, არამედ იმაში, რომ კათოლიკური ეკლესია პოლიტიკაშია ჩართული, კარგად ორგანიზებულია, დისციპლინირებული და ძლევამოსილი მეტოქეა ყოველი პოლიტიკური მთავრობისათვის.“

უცხოეთში დაბადებულების მიმართ ის პრეტენზია ჰქონდათ, რომ მათ არ შეეძლოთ ბოლომდე აღექვათ ამერიკის დამფუძნებელ მამათა იდეები და, შესაბამისად, მათ არ უნდა მისცემოდათ ამერიკელთა ყოფის შეცვლის საშუალება.¹³⁸

პრეზიდენტ ჰარდინგის დოკუმენტებში აღმოვაჩინეთ ოკლაჰომის შტატის საარჩევნო კამპანიისათვის გამოცემული ბროშურა სახელწოდებით „ფაქტები პატრიოტი ამერიკელებისთვის“. მასში აღნიშნული იყო, რომ თუმცა ამერიკაში მცხოვრები 17 მილიონი კათოლიკე მოსახლეობის მხოლოდ 12,5 პროცენტს და 80 მილიონი პროტესტანტი კი მოსახლეობის 87,5 პროცენტს წარმოადგენდა, კათოლიკეები არაადეკვატურად დიდი გავლენით სარგებლობენ და მრავალ პრობლემას უქმნიდნენ ამერიკას. აღნიშნული იყო, რომ ვილსონის მიერ თანამდებობებზე დანიშნულთა 70 % კათოლიკეები იყვნენ. ხუთ შტატში ადმინისტრაცია კათოლიკეების ხელში იყო, 21 ათას სახელმწიფო სკოლაში მასწავლებელთა ნახევარი კათოლიკეები იყვნენ, ხოლო ისეთ ქალაქებში როგორც, ნიუ-იორკი, ჩიკაგო, ფილადელფია, ლოს-ანჯელესი, სან-ფრანცისკო და ბოსტონი, კათოლიკე მასწავლებელთა პროცენტი 75-ს აღწევდა. დიდ ქალაქებში პოლიციელთა 90 პროცენტი კათოლიკეები იყვნენ. 15 ათას ქალაქში ქალაქების მმართველობაში ისინი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. პატიმართა 65 % კათოლიკეები იყვნენ. ნიუ-იორკის მართველობაში 905 კათოლიკე იყო, გუბერნატორ ალ სმიტის ჩათვლით. ავტორი შემოფოთებული იყო, რომ ამერიკის საუკეთესო, ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიაში და ანაპოლისის საუკეთესო სამხედრო-საზღვაო აკადემიაში უმრავლესობას ისევ კათოლიკეები წარმოადგენენ. ის აღნიშნავდა აგრეთვე, რომ პრეზიდენტების ლინკოლნის, ჰარფილდის და მაკ კინლის მკვლელები კათოლიკეები იყვნენ და ა.შ.¹³⁹ ამ ბროშურას არ ეწერა, რომ კლა-

ნის გამოშვებული იყო, არც მასში მოცემული სტატისტიკაა სანდო, მაგრამ იგი აბსოლუტურად მიესადაგებოდა კლანის იდეოლოგიას და, ალბათ, ნებისმიერი კლანსმენი სიამოვნებით დაიბრალებდა მის ავტორობას.

შესაბამისად, კლანი აქტიურად უჭერდა მხარს ანტიემიგრანტულ კანონებს. მას არც ქალთა თანასწორობა ეხატებოდა გულზე.

კლანსმენები ერთმანეთს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ და მართლაც რომ ძლიერი ურთიერთმხარდაჭერის ნამდვილი ქსელი შექმნეს. 1920-იან წლებში ძალზე გაიზარდა კლანის პოლიტიკური გავლენა, თუმცა კლანსმენები არ აიგივებდნენ თავიანთ თავს რომელიმე პარტიასთან. როგორც ერთ-ერთი კენტუკელი კლანსმენი აცხადებდა, «კლანი არ არის პოლიტიკური პარტია. ჩვენ გვჯერა, რომ კლანის გაიგივება რომელიმე პარტიასთან დამლუპველი იქნებოდა ჩვენი ორგანიზაციისათვის და ჩვენი ჯვაროსნული ლაშქრობისთვის. მიუხედავად ამისა, კლანი ძალზე აქტიურია პოლიტიკურად და ყოველი კლანსმენი პოლიტიკოსია ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით.¹⁴⁰ თავისი სოციალ-ეკონომიკური ხედვით, კლანი საკმაოდ ახლოს იყო რესპუბლიკელთა კონსერვატიზმთან, ამავე დროს, რასიზმი ზანგების მიმართ მას სამხრეთის შტატების დემოკრატიებთან, ე.წ. დიქსიკრატებთანაც აკავშირებდა და ოციან წლებში უხილავი იმპერია საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდა ეროვნულ პოლიტიკაზე. თუმცა, კონკრეტული ქმედებები უფრო ადგილობრივ დონეზე ჩანდა.

ფაქტობრივად, კლანმა რამდენიმე სენატორი და გუბერნატორი აირჩია. თავისი მომხრეების მეშვეობით კლანი აკონტროლებდა ტენესის, ოკლაჰომას, ინდიანას და ორეგონის მთავრობებს. ინდიანაში კლანსმენი, რესპუბლიკური პარტიის წევრი ედვარდ ჯექსონი გუბერნატორადაც კი აირჩიეს. ტრადიციულად რესპუბლიკურ ორეგონში შტატის გუბერნატორად კლანსმენი დემოკრატი უ. პირსი აირჩიეს. 1923 წელს კლანსმენებმა ოკლაჰომის გუბერნატორის დ. უოლტონის იმპიჩმენტსაც მიაღწიეს.

1924 წლის დემოკრატიული პარტიის კონგრესზე კლანსმენებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი რიჩარდ აბრამსი აღნიშნავდა, დემოკრატთა ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი, სხვათა შორის, ვილსონის სიძე, უილიამ მაკადუ,

მეტად დაახლოებული იყო კლანთან და მხოლოდ მისი დახმარებით შეიძლო გაემარჯვა. მაგრამ კლანთან ფორმალური კავშირის აღიარება წამგებიანი იქნებოდა, რითაც მისმა კონკურენტებმა, ალფერდ სმიტის მომხრეებმა, ისარგებლეს და მას გამარჯვების შანსი არ მისცეს. თუმცა, ვერც სმიტმა გაიმარჯვა და ბოლოს, კომპრომისული, არაფრით გამორჩეული, ჯონ დევისი გახდა დემოკრატიული პარტიის კანდიდატი.¹⁴¹

დალასის გაზეთი „ინდასთრიალ დიქსი“ აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ კლანსმენი მეიფილდი შეიძლება გასულიყო ტეხასიდან ამერიკის სენატში — „ეს იქნება ეროვნული სირცხვილი და შეურაცხოვა, თუ მსოფლიოს ყველაზე საამაყო საკანონმდებლო ორგანოში წმინდა ამერიკელებთან ერთად კლანის წარმომადგენელიც იქნება. მან მართლაც რომ გაიმარჯვოს, შემდეგ მოუწევს თავის კოლეგებთან ამ ფაქტის აღიარება და ადგილს დაეკარგავთ სენატში“.¹⁴²

კლანის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი „ამერიკა ამერიკელთათვის“, მისი ინტერპრეტაციის მეტად ფართო საშუალებას იძლეოდა. თუმცა, კლანისაგან რა უნდა გვიკვირდეს, როდესაც ლუიზიანის რესპუბლიკულმა კლუბმაც კი შტატის რესპუბლიკურ კომიტეტში მყოფი ყველა ზანგის გადადგომა მოითხოვა. ამ ელიტარული კლუბის წევრები მხოლოდ ამ პირობით თანხმდებოდნენ შტატის რესპუბლიკურ კომიტეტთან თანამშრომლობას და ამ საკითხში თვით პრეზიდენტ ჰარდინგის ოფიციალურ მხარდაჭერასაც მოითხოვდნენ.¹⁴³

1920-იანი წლების შუახანისათვის, როდესაც კლანის პოპულარობამ მწვერვალს მიაღწია, მისი წევრების რაოდენობა 5 მილიონს აღემატებოდა.

მართალია, კლანს უფრო დიდი მარშები და მიტინგებიც ჰქონია, მაგრამ 1925 წლის 8 აგვისტოს კლანის 40 ათასიანმა დემონსტრაციამ ვაშინგტონში, განსაკუთრებული, ზოგადეროვნული ყურადღება მიიპყრო. ეს არ იყო კლანის იდეოლოგიისა და ძალის დემონსტრაცია სამხრეთის ან შუა დასავლეთის რომელიმე პროვინციულ დაბასა თუ ქალაქში, ამჯერად კლანი ქვეყნის დედაქალაქში, უმაღლესი სასამართლოს, კონგრესისა და თეთრი სახლის წინ, მთელს ამერიკას და, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოს აუწყებდა თავის სიძლულვილსა და უპირატესობის გრძნობას

შავკანიანების, ებრაელების, კათოლიკეებისა და ემიგრანტების მიმართ. ეს უკვე მეტად სერიოზული და პირქუში გამოწვევა იყო. ვაშინგტონის კანონმდებლობით იკრძალებოდა ნიღბების ტარება დედაქალაქში გამართულ ცერემონიალებზე და კლანსმენებს არ მიეცათ საშუალება ტრადიციული ნიღბებით დაეფარათ თავიანთი სახეები თუმცა, სხვა მხრივ, ფორმა — თეთრჯვრიანი მოსასხამები და თეთრივე მაღალი ქუდეები ძალაში დარჩა, მითუმეტეს რომ, კლანსმენები სულაც არ მალაედნენ თავიანთ ვინაობას.

ასეთ გამოწვევაზე კი კულიჯის მსგავს ინდეფერენტულ პრეზიდენტსაც კი უნდა მოეხდინა რეაგირება. ამ ავბედითი დემონსტრაციის დღეს იგი ვაშინგტონში არ იყო, მაგრამ დაბრუნებისთანავე, ამერიკის ლეგიონის წინაშე გამოსვლისას, მან მკაცრად გააკრიტიკა რასიზმი და განაცხადა, რომ ღმერთს არც ერთი რასისათვის არ მიუნიჭებია მონოპოლია პატრიოტიზმზე. „ზოგი თავის ამერიკელობას სამი საუკუნის წინ „მეიფლაუერით“ იწყებს, ზოგიც სამი წლის წინ, მაგრამ დღეს ყველა ერთ ნავში ვართ.“¹⁴ ეს ფრაზა თითქოს სავსებით ბუნებრივად ჟღერდა ამერიკის პრეზიდენტისაგან, მაგრამ, ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ჰარდინგისა და კულიჯის მმართველობის პერიოდში მიიღეს უმკაცრესი, და, გარკვეულწილად, რასისტული (განსაკუთრებით აზიური ნარმოშობის ემიგრანტების მიმართ) ანტიემიგრაციული კანონები. თანაც არც ჰარდინგი და არც კულიჯი არ გამოიჩინებდნენ კლანის მიმართ განსაკუთრებულად უარყოფითი დამოკიდებულებით და, შეიძლება ითქვას, რომ მათ არავითარი როლი არ უთამაშიათ კლანის გავლენის შესამცირებლად, ეს დრომ და თვით კლანსმენების ქმედებამ მოიტანა.

კლანის პოპულარობის დაცემა მნიშვნელოვანწილად „დიდი დრაკონის“ დევიდ სტეფენსონის სკანდალთან იყო დაკავშირებული. იგი მილიონერი იყო, უყვარდა დროს ტარება და ლამაზ ქალთა საზოგადოება. მაგრამ 1925 წლის 15 მარტს ამ ლამაზმანთა მოტრფიალემ ერთი, გარეგნობით არც თუ გამორჩეული, შინაბერა ქალბატონი მეჯ ობერპოლცერი შეაცდინა და გააუპატიურა. გაოგნებულმა ქალმა თავი მოინამლა. შეშინებული „დრაკონი“ მას ფულს და ქმრობასაც პირდებოდა, მაგრამ უარი მიიღო, მაშინ მან ობერპოლცერი შინ მიიყვანა და უპატრონოდ მიაგდო. სასამართლომ სტეფენსონს მეორე ხარისხის მკვლელობაში დასდო ბრალი და,

მიუხედავად მისი დიდი გავლენისა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ამ სკანდალმა უდიდესი გავლენა მოახდინა კლანელებსა და მთელს ამერიკაზე. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ამბობდა, რომ ამ მოვლენამ საერთოდ მოსპო კლანი.¹⁴⁵ საზოგადოების აღშფოთება იმან გამოიწვია რომ, როგორც აღვნიშნეთ, კლანი მარტო რასიზმს კი არ ქადაგებდა, არამედ მაღალი მორალურ-ეთიკური ნორმების დამცველადაც აცხადებდა თავს და ბევრი ამერიკელი სწორედ ამიტომაც ემხრობოდა მას. შინაბერა ქალის შეცდენა, მოტყუება და ღირსებააყრილი თეთრი ქალის მკვლელობა, ეს უკვე მეტი-მეტი იყო პურიტანელი ამერიკელებისათვის. ამ შემადრწუნებელ ისტორიას, კლანის სხვა, ცნობილი ლიდერების ფინანსური სკანდალებიც მოჰყვა, რომელთა გამოძიებაც საბოლოოდ კონგრესმაც დაიწყო. თანაც ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო უარყოფითად ეკიდებოდა კლანის კაცთმოძულე იდეოლოგიას და მის, ხშირ შემთხვევაში, კრიმინალურ მეთოდებს. ალბათ, პროსპერტიზმაც დაავიწყა ბევრს არსებული პრობლემები და მათ კლანის მხარდაჭერაც ნაკლებად სჭირდებოდათ. 1930 წლისათვის კლანი სულ რაღაც 30 ათას წევრს მოითვლიდა.

თუმცა კლანი დღესაც არსებობს, მაგრამ მის გავლენას აღარასოდეს მიუღწევია 1920-იანი წლების დონემდე. ამაში დიდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომმა. საერთო მტრის წინაშე ამერიკელები გაერთიანდნენ და ასეთი კაცთმოძულე იდეოლოგიის ორგანიზაცია მასობრივი ველარ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ კლანის რასისტული იდეოლოგია ძალიან წააგავდა ნაცისტების მსოფლმხედველობას და, ალბათ, ცოტა ვინმეს თუ უნდოდა მასთან საკუთარი თავის გაიგივება.

2000 წლისათვის კუ კლუქს კლანის სახელით მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაცია სულ 3 ათას წევრს ითვლიდა. მაგრამ, როგორც ცნობილია, რასიზმიცა და ნაციონალიზმიც მეტად სახიფათო ცნებებია და როდის და რა ფორმით გამოვლინდება, ძნელი სათქმელია. ამას იგივე XXI საუკუნეში განვითარებული მოვლენებიც კარგად ადასტურებს.

ქალების გააქტიურება ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ ცხოვრებაში

ვინაიდან ამერიკის ისტორიაში აბოლიციონიზმი და ფემინიზმი ხშირად პარალელურ მოძრაობებს წარმოადგენდნენ, უპრიანია, ქალთა მდგომარეობაც განვიხილოთ, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ ათწლეულში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი ამერიკელ ქალთა ცხოვრებაში. 1920 წელს ძალაში შევიდა შეერთებული შტატების კონსტიტუციის XIX შესწორება, რომელმაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და, შესაბამისად, სრულიად ახალი სოციალური სტატუსი მიანიჭა. ამ დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა შრომის წილი ქვეყნის ეკონომიკაში, რაშიც ომმა და ახალმა ტექნოლოგიებმაც დიდი როლი ითამაშა. თუ 1900 წელს 4 999 000 ქალი მუშაობდა, 1920 წელს უკვე — 8 229 000, ანუ სახლის გარეთ მომუშავე ქალთა რაოდენობა გაორმაგდა.

თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ჰარდინგმა დიდი ყურადღება დაუთმო ქალთა როლის შეცვლას ამერიკულ საზოგადოებაში. იგი აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე, ომის დაწყებამდე, ქალები ნაკლებად ეგუებოდნენ ვიქტორიანულ მიდგომას მათ მიმართ და საკმაოდ აქტიურად ჩაერთნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი ასწავლიდნენ სკოლებში და კოლეჯებში, მუშაობდნენ ოფისებში, მაღაზიებში, ფაბრიკებში და თანდათანობით მამაკაცების კონკურენტები ხდებოდნენ ცხოვრების მრავალ სფეროში. „მაგრამ, როდესაც ომი დაიწყო, აღმოჩნდა, რომ ქალს ყველაფერი შეძლება და ჩვენი უდიდესი შრომითი რეზერვი ყოფილა. ქალები თითქმის ყველა სამსახურში ენერგობდნენ, სადაც კი მათი საჭიროება იყო და ერთბაშად მიიღეს ახალი და უმნიშვნელოვანესი სტატუსი წარმოებაში. ისინი გემებს აშენებდნენ, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდნენ, ისწავლეს ყველაზე მძიმე და ძნელი ამოცანების გადწყვეტა.“

მაგრამ ასეთ ვითარებას ის მოჰყვა, რომ დედებს ნაკლები დრო დარჩათ ბავშვებისათვის. არადა დედობას ვერავითარი ბაგა და სკოლა ვერ შეცვლის, მიუხედავდ იმისა, რომ შესანიშნავი სახელმწიფო სკოლები გვაქვს.“ თავის თავს ჰარდინგი ძველმოდურ ადამიანთა რიცხვს მიაკუთვნებდა, რომელიც ოჯახში ტრადიციული

ურთიერთობების მომხრე იყო. „მაგრამ ეს ვითარება დიდ ცვლილებებს განიცდის და ჩვენც ფეხი უნდა ავუბათ, თუმცა ისე, რომ დედობა არ გაურთულოთ ქალებს.“¹⁴⁶

ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საბირჟო ოპერაციებში ჩართული ქალების რაოდენობაც, რაც, ამავე დროს, მათ ფინანსურ დამოუკიდებლობაზეც მიუთითებდა. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, საბირჟო სპეკულაციებში ჩართული ქალების რაოდენობამ 2-3 პროცენტიდან 35 პროცენტამდე მოიმატა. ხოლო ზოგიერთ კორპორაციაში ქალები აქციის მფლობელთა უმრავლესობასაც კი შეადგენდნენ 1929 წლისთვის. გაიზარდა იმ ქალთა მიერ გადახდილი გადასახდების რაოდენობა, რომელნიც ოჯახის უფროსებად ითვლებოდნენ.¹⁴⁷

კულიჯის დოკუმენტებში აღმოჩნდა უფრონალ „ფერმერის მეუღლის“ 1923 წლის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ასახული იყო ქალთა ორგანიზაციების მოთხოვნები ამერიკის კონგრესისადმი. სტატიის ავტორი ჩარლზ ჰოლმანი 11 პუნქტს ასახელებდა:

1. საერთაშორისო მშვიდობა ლოზუნგით — მეტი კანონიერება, ნაკლები ომი;

2. ბავშვების დაცვა სამრეწველო შრომისაგან;

3. მინიმალური ანაზღაურების საკითხი;

4. ფედერალური სავაჭრო კომისიების უფლებამოსილების შენარჩუნება. ამომრჩეველ ქალთა ეროვნულ ლიგას სურდა ფედერალური აქტიურობის შენარჩუნება ამ სფეროში;

5. ქალთა წვლილის გაფართოება ოჯახის ეკონომიკის საკითხებში. ამერიკის სახლის ეკონომიკის ასოციაცია მეტ ფედერალურ ხარჯებს მოითხოვდა ამისათვის;

6. ამერიკელი მასწავლებლები მოითხოვდნენ განათლების სამინისტროს ჩამოყალიბებას, ვინაიდან იმ დროს მხოლოდ განათლების საკითხთა ბიურო იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში;

7. ქალთა კლუბების საერთო ფედერაცია, რომელიც 2 მილიონ ნევრს ითვლიდა, მოითხოვდა ქალთა ფედერალური ციხის გახსნას, სადაც ქალებს ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები ექნებოდათ. არსებული ორი ციხე კალიფორნიასა და ნიუ-ჯერსიში არ იყო საკმარისი და ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს;

8. იგივე ფედერაცია და ქალთა სხვა ორგანიზაციები მოითხოვდნენ მეტ ფედერალურ ძალისხმევას ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში;

9. ფედერაცია და ამორჩეველ ქალთა ლიგა მოითხოვდნენ ქორწინებისა და განქორწინების კანონების დახვეწას და დამსგავსებას ყველა შტატში;

10. ქალთა თითქმის ყველა ორგანიზაცია მოითხოვდა ემიგრაციის შეკვეცას და ემიგრანტების შერჩევის გამკაცრებას.

ავტორი აღნიშნავდა, რომ ქალთა მეტად რადიკალური ორგანიზაცია „ქალთა ეროვნული პარტია“ მოითხოვდა ყველაზე რადიკალურ ცვლილებას ამერიკის კონსტიტუციაში. კერძოდ კი, ამერიკაში მამაკაცების და ქალების თანაბარი უფლებების დაკანონებას. მაშინ ეს უდიდეს რადიკალიზმად ითვლებოდა და ქალთა კონსერვატიული ორგანიზაციები მსგავს შესწორებას მეტად უარყოფითად აფასებდნენ და მას ეპიდემიას ადარებდნენ.¹⁴⁸

1925 წლის იანვარში ქალთა კლუბების ფედერაციამ პრეზიდენტს მისწერა, რომ „ვინაიდან ქალებმა ხმის უფლება მიიღეს და სულ უფრო მეტი მათგანი ჩაერთო სასამართლო და საკანონმდებლო სტრუქტურების საქმიანობაში, დროა მათი რიცხვი და როლი აღმასრულებელ ორგანოებშიც გაიზარდოს.“ პრეზიდენტს სთხოვდნენ, რომ ქალები დაენიშნა შრომის, შინაგან საქმეთა და სოფლის მეურნეობის მინისტრების მოადგილეებად. შეეყვანა ისინი სატარიფო, რკინიგზის, შრომის და შტატებშორისი ვაჭრობის კომისიებში და ა. შ. ამ ფედერაციის პრეზიდენტს ქალბატონ შერმანს, კულიჯმა ჯენტლმენურად გულთბილი, მაგრამ არაფრის მთქმელი პასუხი გაუგზავნა. „უდიდესი მადლობა, რომ თქვენი გადანწყვეტილებები მაცნობეთ და მე მათ მაქსიმალურად გავითვალისწინებ ჩემს მომავალ საქმიანობაში“.¹⁴⁹ ქალთა ორგანიზაციების მხრივ უხვად იყო კონკრეტული რეკომენდაციებიც ამა თუ იმ თანამდებობაზე მათთვის სასურველი კანდიდატების დანიშვნის მოთხოვნით. მაგალითად, 1925 წლის 16 თებერვალს ჰარიეტ აპტონი კულიჯს თხოვდა შრომის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის, ვინმე კენინგის გადაყენებას. „ის არაპოპულარულია სამინისტროში და არც ერთი ქალი არ იტირებს მისი გადადგომის გამო“. ეს წერილი კულიჯმა შრომის მინისტრს, ჯეიმს დევისს გადაუგზავნა, ქალბატონს კი ტრადიციული მადლობა გადაუხადა და ასევე

ტრადიციულად დაპირდა მისი მოსაზრების გათვალისწინებას. დევისი კი იძულებული იყო 28 თებერვალს პასუხი გაეცა პრეზიდენტისათვის, რომ კენინგი კარგი კაცი იყო და კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას. თანაც დასძინა, რომ უკვე სამი ქალი ჰყავდა წამყვან თანამდებობებზე. ერთს კი 4600 დოლარი წლიური ხელფასი ჰქონდა.¹⁵⁰ თუ გავიხსენებთ, მინისტრები ზანგების თაობაზეც მსგავს პასუხებს წერდნენ პრეზიდენტს. კერძოდ კი, უკვე საკმარისზე მეტი გვყავს ეს, არც თუ სასურველი, ხალხი სამინისტროებში და მეტი რალა გავაკეთოთო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი კამათი გამოიწვია კონსტიტუციაში ქალთა და მამაკაცთა გათანასწოებასთან დაკავშირებული შესწორების შეტანის იდეამ. 1922 წლიდან დაწყებული ამ შესწორების გარშემო დიდი დისკუსიები გაიმართა და პრეზიდენტსაც ამ კანონის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა უამრავი წერილი მოსდიოდა. 1925 წლის 15 დეკემბერს ქალთა ეროვნულმა პარტიამ თავისი ყრილობის რეზოლუციის ამონაწერი გაუგზავნა კულიჯს ამის თაობაზე. მრავალ წერილს წერდნენ მას ქალთა ეროვნული პარტიის სხვადასხვა რეგიონული განყოფილებებიდანაც. რესპუბლიკელ ქალთა ერთ-ერთი საგრაფოს ორგანიზაციიის წევრები 1924 წლის 17 იანვრის წერილში მხურვალედ სთხოვდნენ კულიჯს მხარი დაეჭირა შესწორებისათვის. თუმცა ჯერ კიდევ 1923 წლის 21 ნოემბრის წერილში რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტიდან ენ ტილორ აპტონი ურჩევდა პრეზიდენტს სიფრთხილე გამოეჩინა, ვინაიდან ეს შესწორება არ მოსწონდათ მრეწველობაში დასაქმებულ ქალებს, რომელნიც კარგავდნენ 30-წლიანი ბრძოლით მიღწეულ მნიშვნელოვან შეღავათებს. იგი აღნიშნავდა, რომ ამ შესწორების წინააღმდეგ გამოდიოდა აგრეთვე ქალთა კლუბების ფედერაცია, მშობელი მასწავლებლები, ამომრჩეველ ქალთა ლიგა, კათოლიკე ქალთა კეთილდღეობის ეროვნული საბჭო და სხვები. შესაბამისად, თხოვდა, რომ ქალთა მცირე ჯგუფის გულის მოსაგებად არ დაპირისპირებოდა ამდენ ამომრჩეველ ქალს.¹⁵¹

ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერი სამუელ გომპერსიცი ძალზე უარყოფითად გამოეხმაურა ამ ინიციატივას. 1923 წლის 19 ნოემბერის წერილში პრეზიდენტისადმი, იგი აკრიტიკებდა ამ შესწორების იდეას და აღნიშნავდა, რომ კონსტიტუციაში ცვლილების მომთხოვნის ორგანიზაცია არ გამოხატავდა ყველა ქალის, მით

უმეტეს, მრენველობაში დასაქმებული ქალების სურვილს. „თუ ქალები და კაცები ყველაფერში თანასწორებად გამოცხადდებიან, ეს გააუქმებს იმ კანონებს, რომელნიც იცავს მრენველობაში დასაქმებულ ქალებს.“ კონგრესის წინაშე აღნიშნული საკითხის დაყენებამდე, იგი თხოვდა პრეზიდენტს, ამ უკანასკნელთა აზრიც მოესმინა, მით უმეტეს, რომ შესწორების მომხრე ქალთა ეროვნული პარტიის წევრები სულ არ იყვნენ დაკავებული მრენველობაში.

ამავე აზრს იზიარებდნენ ამერიკის შრომის ფედერაციის წევრი ქალებიც და 1926 წლის 21 იანვრის წერილში სთხოვდნენ პრეზიდენტს არ დათანხმებოდა ამ შესწორებას.¹⁵²

თავის მხრივ, 1926 წლის 17 იანვრის წერილში კულიჯისადმი ქალთა ეროვნული პარტიის სამრენველო საბჭოს წევრები სწორედ იმიტომ უჭერდნენ მხარს ამ შესწორებას, რომ, მათი აზრით, ე.წ. საშელავათო კანონები სინამდვილეში ქალებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდნენ — „ჩვენ იმიტომ გვაგდებენ სამსახურიდან, რომ მამაკაცებისაგან განსხვავებით, არსებული კანონი გვიკრძალავს დღის გარკვეული საათების შემდეგ მუშაობას, გვიკრძალავს მამაკაცებთან თანაბარი რაოდენობის საათების მუშაობას, გვიკრძალავს დამატებით საათებში მუშაობას, გვიკრძალავს ზოგიერთი სახის სამუშაოს შესრულებას, გვიკრძალავს მუშაობას გათხოვების შემდეგ“.¹⁵³

როგორც ვხედავთ, ქალები დიდ იმედებს ამყარებდნენ ფედერალურ მთავრობაზე და არჩევნებში მონაწილეობის უფლება სრულიადაც არ მიაჩნდათ საკმარისად. 1924 წელს ამერიკის ისტორიაში პირველი გუბერნატორი ქალიც კი აირჩიეს. ეს იყო გილემ როსსი, ვაიომინგის გუბერნატორი. ალბათ, ამ ათწლეულში საუბარი სერიოზულ ბრძოლაზე ქალთა უფლებებისათვის, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, ჯერ კიდევ ნაადრევი იყო. ქალთა უდიდესი უმრავლესობა თავს, პირველ რიგში, კარგ დიასახლისად და დედად ხედავდა. თუმცა, ოცინებმა მრავალი ცვლილება შეიტანეს ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში — კაბების დამოკლებით დაწყებული სიგარეტის მოწევიტ დამთავრებული. მაგრამ ამ მეტად საინტერესო, ზოგჯერ კი საკმაოდ პიკანტურ მოვლენებზე, ძირითადად მესამე თავში ვისაუბრებთ.

ამერიკის საგარეო პოლიტიკა და ამერიკული დიპლომატია ამერიკული ბიზნესის სამსახურში

როგორც ჰარდინგის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, აშშ როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში ე.წ. ნორმალურობას დაუბრუნდა. საგარეო პოლიტიკაში ეს ნორმალურობა კი იზოლაციონიზმს ნიშნავდა. თუ ჰარდინგის მმართველობის პერიოდში ვაშინგტონის კონფერენციამ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა აშშ-ის საგარეო პოლიტიკა, კულიჯის დროს ესეც აღარ ყოფილა. კულიჯი შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საგარეო საკითხებს და ისინი უფრო თვითდინებაზე ჰყავდა მიშვებული, შესაბამისად, საკეთებელიც ცოტა ჰქონდა.¹⁵⁴

1924 წლის არჩევნების შემდეგ ჰარდინგის კაბინეტის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნევრს, სახელმწიფო მდივანს ჰიუჯესს უნდოდა ამ თანამდებობაზე დარჩენა, მაგრამ 1925 წელს, პრეზიდენტის მეორე ვადის დაწყებისას, როდესაც არსებული ტრადიციის თანახმად, მან ფორმალურად გადადგომის განცხადება დაწერა, მისდა გასაოცრად, კულიჯმა ეს განცხადება დააკმაყოფილა. ამბობდნენ, რომ კულიჯის ვიცე-პრეზიდენტობისას ჰიუჯესი საკმაოდ ქედმაღლურად ექცეოდა მას და არც პრეზიდენტობისას გამოიჩინებდა მის მიმართ მოკრძალებით. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ კულიჯს არ სურდა ესოდენ გავლენიანი დიპლომატი სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე, რომელსაც მეტისმეტი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გამოჩენა შეეძლო მაშინ, როდესაც კულიჯი უფრო მდორე და აშკარად იზოლაციონისტური საგარეო პოლიტიკის გატარებას გეგმავდა. სახელმწიფო მდივნის თანამდებობა კულიჯმა მისთვის უფრო ახლობელ ადამიანს, ფრენკ კელოგს შესთავაზა. 1916 წლიდან კელოგი სენატორი იყო, 1923 წელს კულიჯმა იგი ბრიტანეთში გაგზავნა ელჩად, მაგრამ მალევე დააბრუნა სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე.

ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ კულიჯის მმართველობის პერიოდში ყველაზე დიდი მასშტაბის დიპლომატიური ნაბიჯი საერთაშორისო არენაზე იყო ე.წ. კელოგ-ბრიანის პაქტი, რომლის მიხედვითაც, მისი ხელმომწერი ქვეყნები უარს ამბობდნენ ომზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის გატარების იარაღზე და მზა-

დყოფნას აცხადებდნენ მათ შორის არსებული უთანხმოებანი თუ კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაეწყვიტათ. ომის კანონგარეშე გამოცხადების იდეა ჯერ კიდევ 1923 წელს შეიტანა განსახილველად სენატში სენატორმა ბორამ, ხოლო 1924 წელს იგი პროგრესული პარტიის პლატფორმაშიც აისახა და შემდგომშიც განუხილავთ იგი ეროვნული დონეზე. ამას დაერთო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბრიანის ინიციატივები, რომელიც ძირითადად ორმხრივ ფრანგულ-ამერიკულ ურთიერთობას ეხებოდა. თუმცა შემდგომში როგორც ამერიკელი, ასევე ფრანგი დიპლომატები შეთანხმდნენ, რომ კარგი იქნებოდა, თუ მას სხვა ქვეყნებიც შეუერთდებოდნენ. თუმცა საერთაშორისო ურთიერთობის მცოდნეთათვის, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის საშუალო რანგის თანამშრომელთათვისაც, ცხადი იყო, რომ ეს მიამიტი და არარეალისტური პაქტი იყო. ომის კანონგარეშე გამოცხადება ძალზე კეთილშობილი განზრახვა იყო და 1928 წელს ამ დოკუმენტს ყველა წამყვანმა ქვეყანამ მოაწერა ხელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მაშინდელ მსოფლიოში, და ალბათ დღევანდელშიც, ასეთი დეკლარაციული ტიპის დოკუმენტები მხოლოდ კარგი სურვილებისა და შორეულ მომავალში განსახორციელებელი ოცნების სფეროს განეკუთვნება. მით უმეტეს, რომ ამ დოკუმენტში ომის თავიდან აცილების არავითარი კონკრეტული მექანიზმი არ იყო მითითებული. ეს უბრალოდ იდეალისტური კეთილი ნების გამოხატვა იყო და სავარაუდო კონფლიქტების მონანიღეებისაგან მორალურ პასუხისმგებლობას მოითხოვდა. ამ იდეის პოპულარობა ამერიკაში, გარკვეულწილად, ამერიკელთა მიამიტობაზეც მიუთითებდა. გარდა ამისა, მათ სინდისის ქენჯნაც ანუხებდათ, რომ ასე კატეგორიულად უარყვეს ერთა ლიგა, რომელიც ავად თუ კარგად, ომის თავიდან აცილების გარკვეულ მექანიზმსაც გულისხმობდა.

პაქტის ხელმოწერას ფრანკლინ დელანო რუზველტიც აკრიტიკებდა, აღნიშნავდა რა, რომ სიტყვები ქმედების გარეშე არ იყო საკმარისი და ომის კანონგარეშე გამოცხადება უბრალოდ ყალბ ილუზიას ქმნიდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანს მიაღწიეს — „ეს პაქტი არაფერს იძლევა საერთაშორისო დაპირისპირების გადანყვეტის საქმეში“.¹⁵⁵ რაც დაგვანახა კიდევ მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც ყველაზე სისხლისმღვრელი იყო კაცობრიობის ისტორიაში და კელოგ-ბრიანის პაქტის ხელმოწერიდან სულ რაღაც 11

ნელინადში დაიწყო. ხოლო, თუ როგორც ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ II მსოფლიო ომი ჩინეთში იაპონელთა და ეთიოპიაში იტალიელთა აგრესიით დაიწყო, მაშინ ეს პაქტი კიდევ უფრო ხანმოკლე ყოფილა. თუმცა კელოგმა ამ პაქტისათვის ნობელის მშვიდობის პრემიაც კი მიიღო.

ევროპის კონტინენტზე ამერიკას 1920-იან წლებში ერთი შეხედვით წმინდა ეკონომიკური ინტერესები გააჩნდა. კერძოდ კი, ომის ვალების დაბრუნება გამარჯვებული სახელმწიფოებისაგან და მასთან დაკავშირებული გერმანიის რეპარაციებისა და ეკონომიკის პრობლემა.

1923 წლისათვის აშშ-ის სესხები უცხოური ქვეყნებისადმი თავისი პროცენტული დანარიცხითურთ 11,8 მილიარდ დოლარს შეადგენდა, აქედან ყველაზე დიდი ვალი ბრიტანეთს ჰქონდა — 4,600 მილიონი, საფრანგეთს — 3 999 მილიონი, იტალიას — 2 015 მილიონი.¹⁵⁶ თანაც ამერიკელები ვალის დაბრუნებას ისეთი სიმკაცრითა და საკმაოდ მაღალი პროცენტით მოითხოვდნენ, რომ ევროპელთა გულისწყრომაც კი დაიმსახურეს. ამერიკას ბრალს სდებდნენ, რომ იგი ომში გვიან ჩაერთო და მილიონობით ევროპელის სიცოცხლე, საბოლოო ჯამში, ამერიკელთა უსაფრთხოებასაც შეენირა. ამერიკა კი შეილოკივით ჯიუტად მოითხოვდა ვალის სწრაფად დაფარვას.

1924 წელს რეპარაციების საკითხის მოსაგვარებლად გამარჯვებული ბრიტანეთის, საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის და ბელგიის წარმომადგენელთაგან შეიქმნა ექსპერტთა საერთაშორისო კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელად ამერიკელი ბანკირი დაუესი აირჩიეს. შემუშავდა გერმანიისაგან რეპარაციების ამოღების გეგმა, რომელიც „დაუესის გეგმის“ სახელით არის ცნობილი. 1925 წელს, უკვე ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის რანგში, ჩარლზ დაუესმა ნობელის მშვიდობის პრემიაც კი მიიღო ამ გეგმისათვის. ეს გეგმა ისახავდა მიზნად გერმანიის ეკონომიკურ აღორძინებას, რათა უმძიმეს კრიზისში მყოფ ქვეყანას რეპარაციების გადახდის საშუალება მისცემოდა. შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა გერმანიას 200 მილიონი დოლარი ასესხეს, იმ პირობით, რომ გერმანია ერთ წელიწადში 250 მილიონი დოლარის რეპარაციას გადაიხდიდა და ყოველწლიურად გაზრდიდა ამ თანხას. აქ, გარკვეულწილად, რწყილისა და წიანჭველას პრინციპი ამუშავდა. ევროპელებს რომ

ამერიკელთათვის ვალი დაებრუნებინათ, გერმანიისაგან რეპარაციები უნდა მიეღოთ, გერმანიის რეპარაციებს კი გერმანიის მრეწველობის გამოცოცხლება სჭირდებოდა. შესაბამისად, ამერიკულმა სესხებმა მართლაც გამოაცოცხლა გერმანული ეკონომიკა, გერმანულმა ეკონომიკამ გარკვეული რაოდენობის რეპარაციები გადაუხადა გამარჯვებულ ევროპას, ევროპამ კი ამ თანხიდან ვალის გარკვეული ნაწილი დაუბრუნა ამერიკას (შეერთებულმა შტატებმა სამხედრო ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ბრიტანეთთან, ბელგიასა და ჩეხოსლოვაკიასთან). ამრიგად, მთელ ამ წრეში ამერიკელები ისევე მათ მიერ გაცემულ ფულს თუ იბრუნებდნენ და ევროპელთა მიერ ნაყიდი ამერიკული საქონელიც ასევე ამერიკული ფულით შეისყიდებოდა. თუმცა ეს ფული, ალბათ, ერთი ევროპელისა და ამერიკელისაგან, სხვა ევროპელსა და ამერიკელს უბრუნდებოდა. როგორც ვილსონის ეპოქის ცნობილი მოღვაწე ნორმან დეივისი ამბობდა „ამ სისტემას არავითარი ეკონომიკური გამართლება არ გააჩნდა.“¹⁵⁷ საბოლოოდ, თითქოსდა შეილოკი თვითონვე დაიხარჯა. თუმცა ასე მარტივადაც არ იყო საქმე.

ამერიკელი ბანკირები, რომელთაც თითქოს ეთანაღრებოდათ თანხების გასესხება და ინვესტირება გამარჯვებულ, მაგრამ მევაღლე ევროპულ ქვეყნებში, გაცილებით უფრო დიდი ენთუზიაზმით აბანდებდნენ თანხებს გერმანიაში და 1925-30 წლებში გერმანიაში 2 მილიარდ დოლარამდე გაიგზავნა.¹⁵⁸ ამის შედეგად გერმანიის ეკონომიკა მართლაც აღდგა, მაგრამ ამას რეპარაციების საკითხი ბოლომდე არ გადაუნყვიტავს, სამაგიეროდ კარგი საფუძველი შეექმნა გერმანიაში მძიმე მრეწველობის აღდგენას, რაც შემდეგ ჩინებულად გამოიყენა ჰიტლერმა. ამერიკას გერმანია თავის უმცროს მოკავშირედ სჭირდებოდა, ერთი მხრივ, ბრიტანული და ფრანგული ჰეგემონიის დასაბალანსებლად ევროპაში და მეორე მხრივ, საბჭოეთთან დასაპირისპირებლად. ამავე დროს, დასავლეთის დემოკრატიებს და მათ შორის ამერიკას რევოლუციის ემინოდით და გერმანიის ეკონომიკის აღორძინებას, მათი ვარაუდით, რევოლუციური ტენდენციების ზრდა უნდა გამოერიცხა.

ვინაიდან გერმანია მაინც ვერ ახერხებდა, დაუსესის გეგმით განსაზღვრულ, ნელინადში 2,5 მილიარდი მარკის გადახდას, 1929 წელს შემუშავდა, ასევე ამერიკელი ფინანსური ექსპერტის პა-

ტივსაცემად, იუნგის გეგმად მონათლული ახალი სქემა. ამ გეგმის მიხედვით, გერმანიას მომავალი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე უნდა გადაეხადა 113,9 მილიარდი მარკა, თანაც, უქმდებოდა მოკავშირეთა რაიმი კონტროლი გერმანიის ეკონომიკასა და ფინანსებზე. მაგრამ გერმანია ამ პირობასაც ვერ აკმაყოფილებდა. მაშინ 1931 წელს, ჰუვერის ინიციატივით, გამოცხადდა ერთნაირი მორატორიუმი რეპარაციების გადახდაზე. სხვათა შორის, ჰუვერს არასოდეს მოსწონდა რეპარაციების იდეა და ვაჭრობის მინისტრად ყოფნის დროს განაცხადა, რომ იგი „აბსოლუტურად განუხორციელებელი იყო“.¹⁵⁹ მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა და 1932 წელს ინგლისის ინიციატივით გერმანელთა რეპარაცია კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა, მას მხოლოდ 4,2 მილიარდის გადახდა მოსთხოვეს. ამას ისიც მოჰყვა, რომ იმავე 1932 წელს ყველა ევროპულმა ქვეყანამ უარი თქვა ომისდროინდელი ვალი გადაეხადა ამერიკისათვის. ვაშინგტონში გამძვინვარდნენ, მაგრამ ომს ხომ არ დაუნყებდნენ ევროპის 20 მევალე ქვეყნას. ასე რომ, ურთიერთობა ევროპულ ქვეყნებთან უკიდურესად დაიძაბა და ამერიკა კიდევ უფრო ჩაიკეტა თავის იზოლაციონიზმში. მრავალი მკვლევარის აზრით, სწორედ ამერიკის იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ შეუწყობ ხელი, ერთი მხრივ, ბოლშევიზმის გაძლიერებას და მეორე მხრივ, მის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი ფაშიზმის აღზევებას.

ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატები, ტრადიციულად, გაცილებით თავისუფლად, შეიძლება ითქვას, ლალად გრძნობდა თავს. ამერიკა თანდათანობით ავინროებდა ევროპელებს, განსაკუთრებით კი ბრიტანელებს, რომელთაც ლომის წილი ჰქონდათ რეგიონის ეკონომიკაში და მათ ადგილს იკავენდა. შეერთებულ შტატებს ამ ქვეყნებში უზარმაზარი კაპიტალი ჰქონდა დაბანდებული, რომელიც ამერიკის უცხოეთში საერთო ინვესტიციების ერთ მესამედს შეადგენდა და დაახლოებით 5,5 მილიარდი დოლარი იყო. ამ ქვეყნებში გასესხებული თანხებიდან ამერიკა გაცილებით უფრო მაღალ პროცენტს მოითხოვდა, ვიდრე სხვაგან იმ საბაბით, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებული არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო რისკ ფაქტორიც უფრო მაღალი იყო. კონკრეტულად კი, თუ ჩვეულებრივ, სესხის პროცენტი 5 პროცენტს შეადგენდა, ლათინურ ამერიკაში 7 ან 8 პროცენტს აღწევდა.¹⁶⁰ ამ შემთხვევაში ძნელია არ დაეთანხ-

მო ამერიკელ ბიზნესმენებს. ლათინური ამერიკა თავისი დაბალი სამოქალაქო კულტურის, ტოტალური კორუფციისა და არაეფექტიანი ეკონომიკის წყალობით მართლაც თითქმის განუწყვეტელი ომების, რევლუციების თუ სახელმწიფო გადატრიალებების არენა იყო.

ხშირად იმის მაგივრად, რომ პრობლემები საკუთარ თავში ეძიათ ამ რეგიონის მკვიდრნი ყველაფერს თავის ძლიერ მეზობელს აბრალებდნენ და საკმაო გულისწყრომასაც გამოხატავდნენ. ერთ-ერთი ვენესუელელი მწერალი რუფინო ბლანკო ფამბონა ამის თაობაზე წერდა — „ეს იანკები, ეს იანკები, ესენი არიან ჩვენი სულის, ჩვენი ცივილიზაციის, ჩვენი ხასიათის, ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები“. იანკების იმპერიალიზმზეც ბევრს საუბრობდნენ და საერთოდ ამერიკელთა ზედმეტსახელი ლათინურ ამერიკაში „გრინგო“ კარგს არაფერს ნიშნავდა. მართლაც, წმინდა პოლიტიკურისა და ეკონომიკურის გარდა, ლათინური ამერიკის ქვეყნები კულტურულად გაცილებით უფრო ახლოს იყვნენ ესპანეთთან და პორტუგალიასთან, ვიდრე ამერიკის ანგლო-საქსონურ ცივილიზაციასთან. შესაბამისად, კულტურულ ასპექტში მათთვის გაცილებით უფრო ავტორიტეტული იყო მადრიდის, ლისაბონის, რომის თუ პარიზის აზრი, ვიდრე ვაშინგტონისა. მაგრამ ეკონომიკას თავის წესები აქვს და შეერთებული შტატები არა მარტო გეოგრაფიულად იყო უფრო ახლოს, არამედ გაცილებით მეტი თანხების დაბანდება შეეძლო რეგიონში, დიდ თანხებს კი, როგორც ცნობილია, დიდი პოლიტიკური ზეგავლენაც მოჰყვება. ბუნებრივია, რომ ამერიკელი ბიზნესმენები კაპიტალს თავიანთი ეგონისტური მიზნებით და არა ქველმოქმედებისათვის აბანდებდნენ ლათინურ ამერიკაში და ეს, ძირითადად, შეერთებული შტატებისათვის ყველაზე მომგებიან, მომპოვებელ და სოფლის მეურნეობის დარგებში ხდებოდა. არც ის იყო ახალი, რომ უცხოური კაპიტალი მაქსიმალურ მოგებაზე იყო ორიენტირებული და ნაკლებად ანუხებდა ამ ქვეყნების მოსახლეობის ბედი, რაც, სხვათა შორის, უკვე ამ ქვეყნების მთავრობების მოვალეობა იყო. მაგრამ რეგიონის კორუმპირებული მთავრობები ნაკლებად იცავდნენ თავიანთ მოქალაქეთა ინტერესებს და თუ მათი უვარგისობისა და უფიცობის წყალობით ვითარება ცუდი იყო, მათ შორის ამერიკული კაპიტალიდან მიღებული მოგებების არ-

ამიზნობრივი ხარჯვისა და ელემენტარული ქურდობის გამო, დიდი სიამოვნებით ყველაფერს „საზიზღარ იანკებს“ აბრალებდნენ.

თავის მხრივ, 1922 წელს ჰიუჯესი რიო დე ჟანეიროში მიმართავდა ლათინური ამერიკის წარმომადგენლებს — „ჩვენ არავითარ ტერიტორიაზე არ გვაქვს პრეტენზია, არაფრის დაპყრობა არ გვინდა. თავისუფლება, რომელიც ავირჩიეთ, სხვებისთვისაც ისევე გვინდა, როგორც ჩვენთვის. არავითარ ისეთ უფლებას არ მოვითხოვთ, რასაც სხვისთვისაც არ ვითხოვდეთ.“ ჰიუჯესი მოგვიანებით, ამართლებდა რა ამერიკელთა ქმედებებს, აცხადებდა — „ჩვენ სულაც არ გვინდა სხვა ხალხების კონტროლი, ეს ზიანისა და კატასტროფის პოლიტიკა იქნებოდა. ჩვენი ინტერესია, რომ გვყავდეს აყვავებული, მშვიდობიანი და კანონმორჩილი მეზობლები, რომლებთანაც ურთიერთსასარგებლოდ ვითანამშრომლებთ.“¹⁶¹ უფრო მეტიც, 1923 წელს შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის წარმომადგენლებთან ერთად ცდილობდნენ გარკვეული რეცეპტებიც კი გამოემუშაებინათ ამ ქვეყნებში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, რასაც ერთი კურიოზიც მოჰყვა. არსებული პროექტის თანახმად, მხარეებს არ უნდა ეცნოთ მთავრობა, რომელიც სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდოდა ხელისუფლებაში, მაგრამ იქ, სადაც არჩევნებს მთავრობა აკონტროლებდა და აყალბებდა, ხელისუფლების შეცვლის სხვა გზა არ არსებობდა, თელიდნენ ამერიკელები და ეს პუნქტი სასწრაფოდ ამოიღეს. იგი რომ დაეტოვებინათ, ვილასთან უნდა ესაუბრათ ლათინურ ამერიკაში, სადაც სამხედრო გადატრიალებები ლამის ეროვნულ პოლიტიკურ ტრადიციად იქცა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელები, ვილსონისაგან განსხვავებით, ცდილობდნენ უფრო თანასწორი და კეთილმეზობლური ურთიერთობა დაემყარებინათ, ჰიუჯესის ზემოთ აღნიშნული სიტყვები, ძირითადად, კვლავ მარტო სიტყვებად რჩებოდა. საქმე კი სხვა რამეზე მიუთითებდა. 1920-იანი წლების დროს ამერიკის ჯარები რამდენიმე წელი იმყოფებოდნენ დომინიკის რესპუბლიკაში. 1915-დან 1934 წლამდე ისინი იყვნენ ჰაიტიში, სადაც ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა თითქმის აბსოლუტური იყო. 1925 წელს წესრიგის დასამყარებლად ამერიკელი საზღვაო ქვეითები ჰონდურასში გადასხდნენ. 1912 წლიდან მოყოლებული ამერიკას სხვადასხვა პერიოდში ჯარები შეჰყავდა ნიკარაგუაში. 1925 წელს ამერიკელი საზღვაო ქვეითები კიდევ

ერთხელ გადასხდნენ ნიკარაგუაში იქ გამართული სამოქალაქო ომის დასაშოშმინებლად, რომელიც გენერალ სანდინოს აჯანყებას მოჰყვა ემელიანო ჩამოროს წინააღმდეგ. ამერიკელებმა ერთ თვეში დატოვეს ნიკარაგუა, მაგრამ, როგორც კი დატოვეს, იქ კვლავ იფეთქა სისხლისღვრამ. ასე რომ, 1927 წელს ისევ საზღვაო ქვეითთა, ამჯერად უკვე 7 ათასიანი, კორპუსი შევიდა ნიკარაგუაში. სწორედ ნიკარაგუას გამო გამწვავდა ურთიერთობა მექსიკასთანაც, რომელთანაც ამერიკას მუდამ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მექსიკელები ერთ ჯგუფს უჭერდნენ მხარს, ამერიკელები კი — მათ მონინააღმდეგებს.

საქმე უშუალოდ მექსიკის სუვერენიტეტსაც შეეხო. ამერიკული ნავთობის კომპანიები კატეგორიულად აპროტესტებდნენ მექსიკის კონსტიტუციაში არსებულ პუნქტს მექსიკის ბუნებრივი რესურსების შესახებ, რომელთა განკარგვა მექსიკის მთავრობის პრეროგატივა იყო და მას მათი ნაციონალიზაციაც კი შეეძლო. კერძოდ, საქმე ეხებოდა ნავთობის საბადოებს. ჰარდინგი არ ცნობდა მექსიკის ახალ პრეზიდენტს, სანამ მან ამერიკულ მონოპოლიათა მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. სამი წლის შემდეგ, როცა ახალმა პრეზიდენტმა პლუტარქო სალესმა კვლავ გააქტიურა ეს პუნქტები, ამერიკაში უკვე სამხედრო ინტერვენციასაც კი მოითხოვდნენ, ხოლო მექსიკის მთავრობის ნაციონალიზაციის პოლიტიკას ბოლშევიზმად რაცხავდნენ და დროზე თუ არ მოვსპეთ, მთელს ამერიკას მოედებო. ეს კლიშე ძალზე მოსახერხებელი იყო და იგი შემდგომშიც არაერთხელ გამოუყენებიათ. ვინც კაპიტალს არ მოსწონდა მას კომუნისტად ნათლავდნენ. ის კი არა, ფრანკლინ რუზველტს „ახალი კურსის“ გამო სულ მცირე, სოციალისტობას, ხოლო ზოგიერთი კომუნისტობასაც აბრალებდა. საბოლოოდ, კულიჯმა თავისი უახლოესი მეგობარი, ამჰერსტის კოლეჯის თანაკურსელი დუაიეტ მოროუ გააგზავნა მექსიკაში ელჩად. მისი ერთადერთი ინსტრუქცია მექსიკასთან ურთიერთობის მონესრიგება იყო. „მთავარია აგვაცილო ომი მექსიკასთან“ — დამოძღვრა იგი პრეზიდენტმა და ელჩმა მართლაც მოახერხა ეს. თავის მხრივ, მექსიკელებიც ნავიდნენ კომპრომისზე, რასაც მექსიკისათვის საკმაოდ უჩვეულო, წმინდა საშინაო ხასიათის მოვლენამაც შეუწყო ხელი. პრეზიდენტმა სალესმა მოახერხა და ეკლესიასთანაც გაირთულა ურთიერთობა, რასაც თითქმის ასი პროცენტით კათოლიკურ მექსიკაში უდიდესი

აღმფოთება მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ ამერიკელმა კათოლიკეებმაც გამოხატეს მხარდაჭერა მექსიკის სამღვდელოებისადმი. ურთულესი საშინაო და საგარეო პრობლემებით გარემოცულმა სალესმა ვითარების შემდგომი დაძაბვა ველარ გაბედა.

თუ ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ნაწყვეან ქვეყანაშიც კი ასეთი გავლენა ჰქონდათ ამერიკელებს, ადვილი წარმოსადგენია უფრო სუსტი სახელმწიფოების მდგომარეობა. და მართლაც, 1924 წელს ჩატარებული სპეციალური კვლევის მიხედვით, ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნიდან მხოლოდ ექვსი იყო თავისუფალი ამერიკის პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენისგან.¹⁶² ეკონომიკური კავშირები და ვაჭრობა რეგიონთან ძირითადად შეერთებული შტატების პრიორიტეტებიდან გამომდინარეობდა. აშშ-ს ლათინურ ამერიკაში შეჰქონდა ავტომობილები და სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარები, იქიდან კი გამოჰქონდა ყავა, რეზინა, კალა, ნიტრატები, შაქარი, ბანანი, ნავთობი, ბრინჯაო და სხვა, როგორც ვხედავთ, ძირითადად ნედლეული. ცენტრალური ამერიკის ქვეყნები კი საერთოდ მარტო შეერთებულ შტატებთან ვაჭრობდნენ. ეს თითქოს ხელსაყრელი იყო ორივე მხარისთვის, თუმცა იგივე არგენტინა და აშშ სერიოზული კონკურენტები იყვნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტში.

საერთოდ, 1920-იან წლებში აშშ განაგრძობდა უფროსი პარტნიორის პოლიტიკას ლათინურ ამერიკაში და ამ სფეროში რაიმე პრინციპული ცვლილებები არ მომხდარა. რასაკვირველია, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყანა, ამერიკა, უპირველეს ყოვლისა, თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამიტომაც ხარჯავდა ფულს და ხშირად საფრთხეში აგდებდა საკუთარ ჯარისკაცთა სიცოცხლესაც. ალბათ, არც ის იყო გასაკვირი, რომ ჰაიტისა თუ ნიკარაგუაში მომხდარ კონფლიქტებში, მეომარ მხარეთა შორის, აშშ მისდამი უფრო კეთილგანწყობილ მხარეს უჭერდა მხარს, ანუ იმას, ვინც უკეთ დაიცავდა ამერიკული ბიზნესის ინტერესებს და უზრუნველყოფდა მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ სტაბილურობას აღნიშნულ ქვეყანაში. ამ ქმედებებში კარგად ჩანდა, მონროს დოქტრინაში ჩადებული, ამერიკის კონტინენტზე შეერთებული შტატების ჰეგემონიის სულისკვეთებაც. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ახლო სამეზობლოში გაგზა-

ენილმა ამერიკულმა ჯარმა, რიგ შემთხვევაში, შეაჩერა უამრავი სამხედრო გადატრიალებისა თუ რევოლუციის შედეგად გაჩაღებული, გაუთავებელი და დაუნდობელი სამოქალაქო ომები. შედეგად, მრავალი რიგითი ადამიანი გადაურჩა იმ ყოვლად განუკითხავ ძალმომრეობას, რომელიც ამ ქვეყნებში სუფევდა, იმ აბსოლუტურ სილატაკეს, რომელიც ამ ქვეყნების ამბიციურ და ეგოისტურ პოლიტიკოსთა თუ სამხედროთა პარპაშს მოჰქონდა. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ, როდესაც საკუთარი მოგებისათვის ამერიკას ამ ქვეყნებში თავისი კაპიტალი შეჰქონდა, სწორედ ამ ქვეყნების მკვიდრებზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ მოახერხებდნენ ამ მეტად მძიმე პირობებზე შემოსული ინვესტიციების გამოყენებას საკუთარი ქვეყნისათვის. ალბათ, ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკას შორის, რომელშიც, ტრადიციულად, ლათინური ამერიკა დაჩაგრულ მხარედ აღიქმება, არც ისეთი მარტივი და ცალმხრივი იყო, როგორადაც ამას ზოგიერთი მკვლევარი და პოლიტიკოსი ხატავს.

რაც შეეხება აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს, აქ ამერიკას ძირითადად ჩინეთთან და იაპონიასთან ურთიერთობა ალელვებდა.

შინაომებით დასუსტებულ ჩინეთში ამერიკა მხარს უჭერდა ქვეყნის ერთიანი, მაგრამ ვაშინგტონისადმი ლოიალური მმართველობის ჩამოყალიბებას, იმ იმედითაც, რომ შეასუსტებდა მისი კონკურენტების, იაპონიისა და ბრიტანეთის გავლენას. 1924 წელს ჩინეთში არსებული დაპირისპირებისას ამერიკამ იქ თავისი ფლოტიც და სამხედროებიც გაგზავნა ამერიკელი მოქალქეების სიცოცხლისა და მათი ინტერესების დაცვის ცნობილი საბაბით. თანდათანობით გამოიკვეთა, რომ სხვებთან შედარებით, ამერიკელთათვის ყველაზე მისაღები ნაციონალისტური პარტიის (გომინდანი) ლიდერი ჩან კაი ში იყო და 1927 წელს სახელმწიფო დეპარტამენტში სერიოზულად მუშაობდნენ მასთან თანამშრომლობის საკითხებზე. 1928 წელს შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად ცნეს ჩან კაი შის მთავრობა და სატარიფო შეთანხმებაც დადეს მასთან.

მიუხედავად წინა წლებში არსებული სერიოზული დაპირისპირებისა, კულიჯის პრეზიდენტობისას ამერიკამ და იაპონიამ ფართო ეკონომიკური თანამშრომლობა განავითარეს, მით უმეტეს, რომ 1923 წლის უდიდესი მიწისძვრისა და 1927 წლის მძიმე ეკო-

ნომიკური კრიზისის შემდეგ იაპონიას სულის მოთქმა სჭირდებოდა და ექსპანსიაზე უფრო, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ფიქრობდა. მაშინ ეს ამერიკასაც აწყობდა და ამერიკული ინვესტიციები ფართი ნაკადით მიედინებოდა ამომავალი მზის ქვეყანაში, რითაც მართლაც გამოცოცხლდა მისი ეკონომიკა. მაგრამ ლათინური ამერიკისაგან განსხვავებით, იაპონელებმა გაცილებით უკეთ გამოიყენეს ამერიკული კაპიტალი და ნამდვილად გააძლიერეს თავიანთი სამშობლო. მით უმეტეს, რომ სტრატეგიული ხასიათის პრობლემები ამ ორ ქვეყანას შორის სულაც არ გამქრალა და რეგიონში ისინი უფრო კონკურენტებად, ვიდრე პარტნიორებად, რჩებოდნენ.

პროსპერიტის პერიოდის საგარეო ურთიერთობების მთავარი პრიორიტეტები ეკონომიკურ ექსპანსიას დაეთმო და, რაოდენ საკვირველიც უნდა ჩანდეს, ამ პერიოდში საგარეო სფეროში ვაჭრობის მინისტრის, ჰერბერტ ჰუვერის სახელი, ალბათ, უფრო ხშირად უღერდა, ვიდრე სახელმწიფო მდივნისა.

ყოველი სახელმწიფოს დიპლომატია სამშობლოს ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება და არც ამერიკული დიპლომატიია გამონაკლისი. უფრო მეტიც, ამერიკული დიპლომატია საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. სწორედ 1920-იან წლებში დაიწყო ამერიკამ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვის ახალი მეთოდებისა და სტილის შემუშავება, რომლებიც უკეთ შეესაბამებოდა მის გაზრდილ საერთაშორისო ავტორიტეტსა და თითქმის განუსაზღვრელ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ მევალე ქვეყნიდან, მსოფლიოს უდიდეს კრედიტორად იქცა და თუ ომამდე ლონდონი იყო მსოფლიოს ფინანსური ცენტრი, ომის შემდეგ ლონდონის მეტროს მშენებლობაც კი ამერიკული კრედიტებით ხორციელდებოდა.

შესაბამისად, ამერიკის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა არსებული ხელსაყრელი ვითარების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების ამოცანას ემსახურებოდა იქნებოდა ეს საკუთარი პოლიტიკური გავლენის ზრდა მსოფლიოში, თუ ახალი გასაღების ბაზრების მოძიება, საკუთარი ინვესტიციებისათვის ახალი არეალის შექმნა და საკუთრივ ამერიკული შიდა ბაზრის დაცვა უცხოური, შედარებით იაფი, პროდუქციისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, 1920-იანი წლების დასაწყისში ამერიკის მესვეურებმა მაღალი ტარიფების პოლიტიკის გატარება დაიწყეს, რათა დაეცვათ ამერიკული ბიზნესი ევროპულ ქვეყნებში წარმოებული შედარებით იაფი საქონლისაგან. თუმცა იცოდნენ, რომ ამას ტარიფების საპასუხო აწევა მოჰყვებოდა ამერიკულ საქონელზე და მისთვის შეიზღუდებოდა იგივე ბრიტანეთისა და საფრანგეთის უზარმაზარი იმპერიების ბაზრებზე გასვლა. ხოლო ომისაგან დასუსტებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებით დაბალი მსყიდველობითი უნარის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკას, რომელმაც არც თუ კოლეგიალურად გადაკეტა თავისი ბაზარი, უნდა შეეღწია სხვა ქვეყნების ბაზრებზე, დაებანდებინა იქ უზარმაზარი დაგროვილი კაპიტალი და, ამავე დროს, საკუთარი მრეწველობის გასაფართოებლად უცხოეთიდან დაბალ ფასებში უნდა შემოეტანა ნედლეული. რასაკვირველია, ეს ცალ კარში თამაშს ჰგავდა, მაგრამ პოლიტიკაში, ვისაც ძალა გააჩნდა, ყველა ასე იქცეოდა და როდესაც ამერიკის აღზევების დრო დადგა, ისიც ცდილობდა ამ შანსის მაქსიმალურად გამოყენებას.

რასაკვირველია, ამერიკულ ბიზნესს, თუნდაც ამერიკული ინდივიდუალიზმისა და Laissez-faire-ის ტრადიციებზე აღზევებულ ბიზნესსაც კი ასეთი კომპლექსური ამოცანის მართო გადანყვეტა ძალზე გაუჭირდებოდა. ეს კარგად ესმოდათ როგორც ამერიკის პოლიტიკოსს, ასევე ბიზნესის მესვეურთ, მით უმეტეს, რომ ხშირად ეს ერთი და იგივე ადამიანები იყვნენ. მელონისა და ჰუვერის მაგალითზე, ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ, ალბათ, მანამდე არასოდეს ყოფილა ამერიკული ბიზნესისა და მთავრობის კავშირი ასეთი მჭიდრო და ყოვლისმომცველი.¹⁶²

ამიტომაც მთავრობა არაფრით ზღუდავდა ბიზნესს, მოუწოდებდა მას აქტიურობისკენ და, ამავე დროს, ყოველმხრივ ეხმარებოდა დასახული მიზნების განხორციელებაში. ამერიკულმა ბიზნესმაც დიდი ენთუზიაზმით მიიღო სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემოთავაზებული დახმარება, მით უფრო, რომ სანაცვლოდ მას თითქმის არაფერს სთხოვდნენ.

ამ იდეოლოგიის განხორციელებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის მაშინდელ ვაჭრობის მონისტრს ჰერბერტ ჰუვერს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ არა მარტო აშშ-ის ვაჭრობის სა-

მინისტროს, არამედ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წმინდა-
თანმიდა ვალი იყო მომსახურებოდა ამერიკულ ბიზნესს, გაეხსნა
მისთვის უცხო ქვეყნების ბაზრები და ხელი შეეწყო მისი იქ დამკვი-
დრებისათვის.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ეს თანამშრომლობა გან-
საკუთრებული ძალით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ნავთობით
მდიდარ რეგიონებში დამკვიდრების მცდელობაშიც გამოიხატა. მს-
გავსი თანამშრომლობის მაგალითია თვით ჰიუჯესის წერილი ჰუ-
ვერისადმი, რომელშიც იგი ამცნობდა თავის კოლეგას თურქეთის
უკანასკნელი სულთნის აბდულ ჰამიდის 22 მემკვიდრის პეტიციის
შესახებ, რომელშიც ისინი პრეტენზიას აცხადებდნენ მესოპოტა-
მიის ნავთობის რესურსებზე. სახელმწიფო მდივანი ხაზს უსვამდა
ამ ინფორმაციის უდიდეს კონფიდენციალურობას და აგრეთვე ურ-
ჩევდა ჰუვერს გაეცნო იგი რამდენიმე დიდი, მესოპოტამიაში ნავ-
თობის მოპოვებით დაინტერესებული, კომპანიისათვის.¹⁶³ სწორედ
მსგავსი მიმონერით დაიწყო ამერიკელთა ბრძოლა ახლო აღმოსავ-
ლეთის ნავთობის საბადოებისათვის. ამერიკის მთავრობა ყოველ-
ნაირად ეხმარებოდა ამერიკულ კომპანიებს, ისეთებს, როგორც
„სტანდარტ ოილი“ და „გალფი“ გამოესყიდათ ბრიტანული, ფრან-
გული და ჰოლანდიური ნავთობმოპოვებელი კომპანიებისაგან ნავ-
თობის ბიზნესის აქციები ირანში, კოლუმბიაში, ვენესუელასა თუ
მექსიკაში..

1914 წელს აშშ-ში იყო 1,8 მილიონი ავტომობილი, 1920 წელს კი
— 9,2 მილიონი და ეს ტენდენცია ლამის გეომეტრიულად იზრდებო-
და.¹⁶⁴ მილიონობით ავტომობილისათვის საჭირო სანავი და მათი
საბურავებისათვის აუცილებელი რეზინა ამერიკის მრეწველობისა
და როგორც დავინახეთ, პოლიტიკის მესვეურთა უდიდესი ზრუნ-
ვის საგანს წარმოადგენდა. ასევე საჭირო იყო სანავი უზარმაზარი
ფლოტისათვის, ამერიკა ვერ დაუშვებდა, რომ ვინმეზე ყოფილ-
იყო დამოკიდებული ამ ასპექტში. იმ წლებში ბევრს მიაჩნდა, რომ
ამერიკა მალე ამონურავდა ნავთობის საკუთარ რესურსებს. აშშ-ის
გეოლოგიური სამსახურის დირექტორი ჯორჯ სმიტი იმუქრებოდა,
რომ ეს სულ რაღაც ცხრა წელიწადში მოხდებოდა.¹⁶⁵ ნავთობის
უკმარისობის შიშით ერთ-ერთმა სენატორმა მოუწოდა ამერიკის
სამხედრო-საზღვაო ფლოტს ნავთობიდან კვლავ ქვანახშირის გამ-
ოყენებას დაბრუნებოდა. ამ საკითხში ერთმანეთს დაემთხვა სახ-

ელმწიფო მოხელეთა, ინჟინერთა, სამხედროთა და კონსერვაციონისტთა მოსაზრებები და ამერიკული ნავთობის შენახვა ეროვნული ინტერესების რანგში იქნა აყვანილი. ამერიკულ არმიასა და ფლოტს თავისი დამოუკიდებელი რეზერვები უნდა ჰქონოდა. ეს არ ნიშნავდა, რომ ნავთობის მოძიება ამერიკაში უნდა შემწყდარიყო, მაგრამ რეალურად ამერიკელები ცდილობდნენ ძირითადად უცხოური ნედლეულით ესარგებლათ. ამერიკელთა კონსერვაციული პოლიტიკა, ალბათ, ყველაზე მკვეთრად და მასშტაბურად სწორედ ამ სფეროში გამოიკვეთა. 1928 წლის წინასაარჩევნო პლატფორმაში რესპუბლიკელები სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ „ჩვენი ნავთობის უყაირათო გამოყენების შესაჩერებლად პრეზიდენტმა კულიჯმა ნავთობის კონსერვაციის საბჭო შექმნა“.¹⁶⁶

მომავალში აღმოჩნდა, რომ ამერიკას ეს რესურსები საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ ამას არ შეუცვლია ამერიკის ორიენტაცია იმპორტირებულ ნავთობზე და ზემოთ აღნიშნული ჯგუფების თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ საქმეში სახელმწიფო დეპარტამენტსა და ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად სამხედრო-საზღავაო ფლოტის ხელმძღვანელობაც ჩაერთო და ისინი ყოველნაირად უბიძგებდნენ და ეხმარებოდნენ კიდევ კერძო კორპორაციებს უფრო აქტიურად ემოქმედათ უცხოური ნავთობის მოპოვების სფეროში.

როგორც წინა თავში განხილული დოკუმენტებიდან ჩანს, 1920-იანი წლების დასაწყისში ამერიკა საკმაოდ ნელა ერთვებოდა ნავთობმოპოვების საერთაშორისო ბიზნესში. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომელთაც დაშლილი ოტომანთა იმპერიის მიწები მიიღეს სამანდატო ტერიტორიებად, აქტიურად დაიწყეს ამ მემკვიდრეობის ექსპლოატაცია. მათ კარგად იცოდნენ მესოპოტამიის (დღევანდელი ერაყი) ენერგეტიკული პოტენციალი და ომის დამთავრებისთანვე დაიწყეს დავა ამ რეგიონზე. საბოლოოდ, თუმცა ინგლისმა იმარჯვა, მაგრამ საფრანგეთმაც მიიღო თავისი მნიშვნელოვანი წილი ბრიტანელების მიერ კონტროლირებად თურქეთის ნავთობის კომპანიაში. ეს გამოიკვეთა კიდევ 1920-წლის სან-რემოს ნავთობის შეთანხმებაში, რომლის მიმართაც ამერიკა ძალზე უარყოფითად იყო განწყობილი.

1922 წლის 22 თებერვალს ინგლისის ელჩი აშშ-ში ოკლანდ გედესი არწმუნებდა ამერიკის სახელმწიფო მდივანს, რომ ამერი-

კულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია თითქოს ინგლისმა მიიტაცა აქტივების ერთი მეოთხედი თურქეთის ნავთობის კომპანიაში არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და ეს წილი საფრანგეთს გადაეცა. ამაზე სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ფლეტჩერმა საკმაოდ მკვახე წერილით უპასუხა, სადაც აღნიშნა, რომ ინგლისის ქმედება არ შეეფერებოდა ამერიკასა და ინგლისს შორის დადებულ შეთანხმებას სამანდატო ტერიტორიებზე თანაბარი შესაძლებლობების შესახებ და მას არც ის მიაჩნდა მისაღებად, რომ თურქეთის ნავთობკომპანიის წილის საფრანგეთისადმი გადაცემა სან-რემოს შეთანხმებით მოხდა, ვინაიდან ამერიკა ამ შეთანხმებას არ ცნობდა.

სწორედ მსგავსი მიმონერა იყო იმის მაუწყებელი, რომ დაიწყო ამერიკელთა ნამდვილი ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ნავთობისთვის.

იმველიებდა რა ღია კარის პრინციპს, რომელიც ამერიკამ საკმაოდ ნარმატიულად გამოიყენა ჩინეთში, ამერიკა მოითხოვდა ამერიკული ბიზნესისათვის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს მსოფლიოს სხვა რეგიონებსა თუ ქვეყნებშიც. მაგრამ მესოპოტამიაში ამერიკელებს ჩარაზული კარები დახვდათ. მაგალითად როდესაც „სტანდარტ ოილის“ ორი გეოლოგი ჩავიდა მესოპოტამიაში, ისინი პოლიციაში მიაბრძანეს.

ნათელი იყო, რომ ამ ბრძოლის ველზე ამერიკელებს ერთიანი ძალით უნდა ემოქმედათ ანუ ბიზნესისა და მთავრობის ურთიერთგაგებისა და მტკიცე კავშირის გარეშე გამარჯვება არარეალური იყო. მოწინააღმდეგე კი – მეტად სერიოზული და შეუპოვარი. ამის მცდელობა ჯერ კიდევ ვილსონის ადმინისტრაციას ჰქონდა, ხოლო რესპუბლიკელებმა, რომელნიც მთელს თავის იდეოლოგიას ბიზნესისადმი სამსახურზე აგებდნენ, ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავეს.

მაგრამ შეტევის წინ საკუთარი რიგები უნდა მოანერგიო და ამერიკის მთავრობამ კონსულტაციები დაიწყო ნავთობმომწოდებელ კომპანიებთან. საქმე ის იყო, რომ დიდი კომპანიები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ მესოპოტამიაში ამერიკის სახელით მოქმედების ექსკლიუზიური უფლება. მაგრამ როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი, ასევე ვაჭრობის სამინისტრო ეწინააღმდეგებოდა ამას, როგორც უკანონო ფავორიტიზმს. ასეთ დიდ დაპირისპირე-

ბაში ამერიკას არ შეეძლო ღია კარების პოლიტიკა გაეტარებინა მხოლოდ ერთი ან ორი კომპანიისათვის. ეს საერთაშორისო არენაზეც ძალზე წამგებიანი ჩანდა. გარდა ამისა, ამერიკის მთავრობა მიიჩნევდა, რომ გაერთიანებული ძალისხმევა უფრო ეფექტიანი იქნებოდა. თუმცა, როგორც დავინახავთ, ამ ეგალიტარიზმსაც გააჩნდა თავისი ზღვარი.

1921 წლის გაზაფხულზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩარლზ ჰიუჯესი და ჰერბერტ ჰუვერი, რომელნიც უკვე აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს ინგლისელებთან მესოპოტამიაში ამერიკელთა ჩართვის შესახებ, შეხვდნენ ამერიკელ ბიზნესმენებს და კატეგორიულად განუცხადეს მათ, რომ მთავრობა რომელიმე ერთ კომპანიას ვერ მიაჩნებდა განსაკუთრებულ უფლებებს. თავის მხრივ, კომპანიებსაც არ გაუწევიათ დიდი წინააღმდეგობა. როგორც ყველაზე აქტიური კომპანიის „ნიუ-ჯერსი სტანდარტ ოილის“ ერთ-ერთი ოფიციალური პირი აცხადებდა, კომპანიას არ უნდა ჰქონდეს მთავრობის მხარდაჭერის იმედი, თუ იგი მარტო იმოქმედებდა, მაგრამ მესოპოტამიაში კომპანიათა ძალზე მცირე, ელიტარული ჯგუფი უნდა ყოფილიყო.¹⁶⁷ ამის შედეგად, მართლაც, შეიქმნა შეიდი კომპანიისაგან შემდგარი მთავარი დამრტყმელი ძალა, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტისა და ვაჭრობის სამინისტროს მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ამ ჯგუფს მესოპოტამიაში დამოუკიდებლად უნდოდა მოქმედება, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტმა და ვაჭრობის სამინისტრომ ურჩიეს და ეს მარტო რჩევა არ იყო, რომ მათ ბრიტანელთა მიერ კონტროლირებად თურქეთის ნავთობის კომპანიის ფარგლებში ემოქმედათ, ანუ ამ კონსორციუმის წევრები გამხდარიყვნენ. ამერიკულ გაერთიანებას წარმოადგენდა „ნიუ-ჯერსი სტანდარტ ოილის“ პრეზიდენტი ვალტერ ტიგლი, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წელს თავისი კომპანიის ორმოცდათი წლისთავზე განაცხადა, რომ კომპანია ყველა რეგიონით იყო დაინტერესებული, სადაც ნავთობი მოიპოვება, მიუხედავად იმისა, თუ რა ქვეყანა იქნებოდა ეს.¹⁶⁸

ამერიკის მთავრობის მოთხოვნა ამერიკული კომპანიების მიმართ შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან ამერიკელ პოლიტიკოსებს ესმოდათ, რომ ბრიტანეთი ასე ადვილად არ დათმობდა თავის პოზიციებს და მათი ინტერესების უგულვებელყოფა ჩაშლის წინაშე დააყენებდა მთელს ამ წამოწყებას. თავის მხრივ, ამერიკუ-

ლი ზენოლის შედეგად ინგლისიც მიდიოდა კომპრომისებზე, მით უმეტეს, რომ მასაც გააჩნდა თავისი მოსაზრებები ამერიკელთა ამ საქმეში ჩართვის სასარგებლოდ. მას სჭირდებოდა ამერიკა თურქეთის ნავთობის კომპანიის ზურგის გამაგრებისათვის, რათა თურქეთის მთავრობას ეჭვი არ შეეტანა კომპანიის უფლებამოსილებაში. ამერიკელთა გარიყვა კი ნამდვილად გააფუჭებდა ინგლის-ამერიკის ურთიერთობებს. გარდა ამისა, ამერიკელები თავიანთი კაპიტალით და ტექნოლოგიებით დააჩქარებდნენ მესოპოტამიის ნავთობმოპოვების განვითარების პროცესს და, საერთოდ ჯობდა, რომ ამერიკელები ამ პროცესის შიგნით ყოფილიყვნენ, ვიდრე გარეთ, როგორც კონკურენტები.

თავის მოლაპარაკებებში ტიგლი დაუპირისპირდა ჰენრი დიტერინგს, რომელიც „როიალ დათჩ შელს“ წარმოადგენდა, ჩარლზ გრინვეის ინგლის-სპარსული ნავთობის კომპანიიდან, ერნესტ მერსიერს საფრანგეთის ნავთობის კომპანიიდან და გალუსტ გულბეკიანს, თურქული ნავთობკომპანიის დამაარსებელსა და თანამფლობელს. 1922 წელს ტიგლი ლონდონს გაემგზავრა მოლაპარაკებებზე, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ამერიკელები იმდენად უკმაყოფილო იყვნენ, რომ საერთოდ გადანყვიტეს ამ პროცესიდან გამოსვლა. პარტნიორები ამერიკელებს მხოლოდ 12 პროცენტთან წილს სთავაზობდნენ, მათ კი, როგორც მინიმუმი, 20 % სურდათ და თანაბარი ხმა კომპანიის მართვასა და კონტროლში. ამან ჰუვერიცა და ჰიუჯესიც აღაშფოთა. ჰუვერს მიაჩნდა, რომ ეს ამერიკის ღირსების საქმე იყო და 25 პროცენტზე ნაკლებს არ უნდა დათანხმებულიყვნენ.¹⁶⁹ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1922 წლის ნოემბერში უარი თქვა თურქეთის კომპანიის ომისწინანდელი უფლებების ცნობაზე, რაც უკვე აშკარა დიპლომატიური ზენოლა იყო.

სირთულეები იყო ერაყის მთავრობასთან ურთიერთობებშიც, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა მაქსიმალური მოგება ენახა ამ გარიგებიდან. შეთანხმება ერაყსა და თურქეთის ნავთობის კომპანიას შორის ახალი კონცესიის შესახებ მხოლოდ 1925 წლის 14 მარტს გაფორმდა. ამერიკამ მოინონა ეს შეთანხმება, ვინაიდან იგი ითვალისწინებდა ღია კარების პრინციპს. თუმცა ჯერ კიდევ მრავალი საკითხი დარჩა გადასაწყვეტი, მაგრამ ნავთობსაძიებელი სამუშაოები იმავე წელს დაიწყო. ამ ექსპედიციებმა დაადასტურა,

რომ ერაყში უზომო რაოდენობის ნავთობი იყო და საბოლოო შეთანხმების გადადება უკვე ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

საბოლოოდ, ამერიკის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით, ამერიკულმა ბიზნესმა მოახერხა ინგლისის, საფრანგეთის და ნიდერლანდების ნავთობკომპანიებთან ერთად, რომელნიც იქ ლიცენზიების ძირითადი მფლობელები იყვნენ, მიეღო თავისი წილი მესოპოტამიის ნავთობში და 1928 წლის 31 ივლისს შედგა ე.წ. წითელი ხაზის შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით, ოთხივე მხარემ („როიალ დათრ შელი“, ინგლის-ირანის კომპანია, საფრანგეთის ნავთობის კომპანია და ამერიკული ახლო აღმოსავლეთის განვითარების კომპანია) განსაზღვრა, თუ ვის სად ექნებოდა ნავთობმოპოვების უფლება.¹⁷⁰ შეთანხმების თანახმად ყოველ მხარეს ერგებოდა ნავთობის 23,75 % , გ. გიულბეკიანმა კი მიიღო თავისი 5%. მხარეებმა პირობა დადეს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთად იმოქმედებდნენ რეგიონში, რომელიც მოიცავდა თურქეთს, სირიას, ერაყს, პალესტინას, იორდანias და თითქმის მთელ არაბეთის ნახევარკუნძულს. ამ გარიგების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ გ. გიულბეკიანმა ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაზე ეს რეგიონი წითელი ფანქრით შემოხაზა და თუმცა ამ დროისათვის ეს ტერიტორია უკვე განსაზღვრული ჰქონდა ყველა მონაწილე მხარეს, ეს ხელშეკრულება მაინც „წითელი ხაზის შეთანხმების“ სახელით დარჩა ცნობილი.¹⁷¹

შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული და წარმატებული აქცია, რომელშიც ამერიკის მთავრობამ და ამერიკულმა ბიზნესმა მაქსიმალური თანამშრომლობის უნარი გამოამჟღავნეს და დამსახურებულად იზეიმეს გამარჯვება.

საავტომობილო ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკა აფრიკაშიც გააქტიურდა, კერძოდ კი ლიბერიაში, სადაც ამერიკელებს რეზინის პლანტაციები აინტერესებდათ. რეზინის წარმოება, მაღაიას ხარჯზე, თითქმის მთლიანად ბრიტანელთა მიერ იყო მონოპოლიზირებული, რომლებიც მეტად მაღალ ფასებსაც აწესებდნენ. თავის მემუარებში ჰ. ჰუვერი აღმფოთებით იხსენებდა, რომ თუ 1922 წელს რეზინის ნედლეულის ერთი ფუნტი 13 ცენტი ღირდა, 1925 წელს უკვე – 1 დოლარი და 21 ცენტი.¹⁷² ამ, მისი აზრით, უსამართლობის აღმოსაფხვრელად ჰუვერი შეუპოვრად

ებრძოდა უცხოური სახელმწიფოების მიერ მხარდაჭერილ კარტელებს.¹⁷³ ამ საქმეში ამერიკის „ფაიარსთოუნ რაბერ კომპანი“ წარმატებულად თანამშრომლობდა ვაჭრობის სამინისტროსთან და შედეგმაც არ დააყოვნა. შეერთებულმა შტატებმა, ბრიტანეთის გვერდის ავლით, თავად განავითარა რეზინის წარმოება ლიბერიაში და ბოლო მოუღო ბრიტანულ დიქტატს რეზინის ფასწარმოებაში.

მიუხედავად ოფიციალური არცნობის პოლიტიკისა, ამერიკელები აქტიურად მუშაობდნენ საბჭოთა კავშირთანაც. მაგალითად, „სინკლერ ოილ კომპანიმ“ მიიღო წინა თავეში ხსენებული კონცესია ნავთობის მოპოვებაზე ჩრდილო სახალინზე. ავერელ ჰარიმანმა საქართველოს მარგანეცის საბადოებში დააბანდა ფული, ფორდმა კი სატრაქტორო ქარხანა ააშენა სტალინგრადში. სულ 1926-დან 1929 წლამდე საბჭოთა კავშირში ასზე მეტი საქმიანი წინადადება წამოვიდა ამერიკიდან.¹⁷⁴

ნედლეულის თაობაზე და პროდუქციის გაცვლაზე ჰუვერი აცხადებდა, რომ ამის გარეშე „არც ერთი მანქანა არ იმოძრაებს, არც ერთი დინამო არ ამუშავდება, არც ტელეფონი, რადიო და ტელეგრაფი იმუშავებს. ნურავინ იფიქრებს, რომ საერთაშორისო კომერცია ვაჭრებისა და ბანკირების ხმაურიანი კაპრიზია, ეს თანამედროვე ცივილიზაციის სისხლის მოძრაობაა.“¹⁷⁵ ამიტომაც ამერიკული პოლიტიკა და არმიაც იცავდნენ ამერიკული კორპორაციების ინტერესებს, მათ საკუთრებას სხვადასხვა ქვეყნებში. გავიხსენოთ თუნდაც მექსიკის ნავთობის საბადოების ნაციონალიზაციის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი რიგ საკითხებში არ ეთანხმებოდა კორპორაციების მეთოდებს, მისთვის კონტრაქტის დაცვის აუცილებლობის წესი და საკუთრების უფლებები წმინდა და შეუვალი იყო. სახელმწიფო მდივანმა ჰიუჯესმა პირდაპირ განაცხადა, რომ „საკუთრების პრინციპის დაცვა ამერიკის მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა. კონფისკაციების პოლიტიკა ემუქრება არა მარტო კონკრეტულ პირთა ინტერესებს, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის მთელი სისტემის საფუძვლებს“.¹⁷⁶

ასეთი პოზიციის დასაცავად სერიოზულ გარანტიად ამერიკის სამხედრო ძალა გვევლინებოდა. სწორედ ამ საბაბით მოითხოვდა გენერალი ბოარდი სამხედრო ხარჯების ზრდას — „როდესაც

უცხოური ბაზრები დახურულია ჩვენთვის, ეს ამერიკის აყვავების დასრულებაა. ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩვენი ეკონომიკის აყვავების აუცილებელი პირობაა. უფრო მეტიც, ეს ის ძალაა, რომელიც დაარწმუნებს ამერიკას, რომ მას შეუძლია დაიცვას როგორც თავისთვის, ასევე მსოფლიოსათვის კანონი, წესრიგი და სამართალი.¹⁷ ალბათ, გენერალი მართლაც სამშობლოს პატრიოტი იყო, მაგრამ იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც დიდი სამხედრო ფლოტი არ გააჩნდათ, ეს ფრაზა, ალბათ, უფრო ელემენტარულ ექსპანსიონიზმს ნიშნავდა. 1920-იან წლებში ამერიკის სავარაუდო სამხედრო მონიხააღმდეგედ ბრიტანეთი და იაპონია ითვლებოდა, და არა იმიტომ, რომ ისინი ამერიკის უსაფრთხოებას ემუქრებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ღია კარის პოლიტიკას ანუ ამერიკის სავაჭრო ამბიციებს უპირისპირდებოდნენ.

როგორც დავინახეთ, რესპუბლიკური ადმინისტრაცია უდიდეს იმედებს ამყარებდა კერძო ბიზნესის საერთაშორისო საქმიანობაზე. მაგალითად, ბანკთა კონსორციუმს მიანდეს ღია კარის პოლიტიკის გატარება, ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობა, ამერიკულ-იაპონური მეგობრობის უზრუნველყოფა. ისეთ კერძო მესაკუთრეებს, როგორც ო. იანგი, ჯ.პ. მორგანი, თ. ლამონტი, ჩ. დაუესი არაოფიციალური ექსპერტების ფუნქცია მიანიჭეს და გერმანიის ეკონომიკისადმი დახმარება და რეპარაციების საკითხის გადაწყვეტა მიანდეს.

ჯერ ჩარლზ ჰიუჯესი, მოგვიანებით კი კელოგი და ჰერბერტ ჰუვერი დიდი კორპორაციების იმედზე იყვნენ, როდესაც საზღვარგარეთის რესურსების ათვისებაზე იყო საუბარი. მაგალითად, სახელმწიფო დეპარტამენტი სამხრეთ ამერიკაში ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას ედვინ კემერერის მსგავსი ეკონომისტების ძალისხმევას იყენებდა.

მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც ბიზნესის ინტერესები არ ემთხვეოდა სახელმწიფოსას და აქ ბიზნესი საკმაოდ მკვეთრად გამობატავდა პრაგმატულ ეგოიზმს. მაგალითად, ამერიკის მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, ამერიკელმა ბანკირებმა არ ჩადეს ფული ჩინეთის კონსორციუმში, ვინაიდან იქაური სტაბილურობის იმედი არ ჰქონდათ. გერმანიაშიც ამერიკელი ბიზნესმენები ხშირად უფრო თავიანთი კერძო ინტერესების სასარგებლოდ მო-

ქმედებდნენ და ნაკლებად ითვალისწინებდნენ მშობლიური მთავრობის რეკომენდაციებს.

მაგრამ საერთო სურათი მაინც უფრო წარმატებულ თანამშრომლობას ასახავდა. 1929 წელს საინაუგურაციო გამოსვლაში პრეზიდენტი ჰუვერი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდა მთავრობისა და ბიზნესის თანამშრომლობის არსებული დონით.¹⁷⁸ ამერიკის საგარეო პოლიტიკის მკვლევარი აკირა ირაიეც თვლის, რომ 1920-იან წლებში ამერიკის მთავარი საერთაშორისო აქტიურობა უცხოეთში ინვესტიციების დაბანდებაში გამოიხატა.¹⁷⁹ მართლაც, სტატისტიკური მონაცემები პროგრესის შთამბეჭდავ სურათს ხატავდა. თუ 1919 წელს აშშ-ის კერძო და სახელმწიფო ინვესტიციები საზღვარგარეთ 9,7 მილიარდი დოლარი იყო, 1930 წელს მათ უკვე 21 მილიარდს მიაღწია.¹⁸⁰ არც ვაჭრობა ჩამორჩებოდა თავისი მასშტაბებით. 1922 წელს ამერიკული ნაწარმის ექსპორტი 3 765 000 000 დოლარის საქონელს წარმოადგენდა, 1929 წელს — უკვე 5 157 000 000 დოლარის. 1922 წელს 3 113 000 000 დოლარის ღირებულების იმპორტი იყო, 1929 წელს კი, იმპორტული საქონელის ღირებულებამ 4 399 000 000 დოლარს მიაღწია.¹⁸¹ 1929 წელს აშშ-ის ეროვნული შემოსავალი აღემატებოდა ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, კანადის და კიდევ მომდევნო 17 ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ჯამს.¹⁸² ეს, წარმოუდგენლად შთამბეჭდავი, ციფრები, სხვასთან ერთად, ამერიკული დიპლომატიისა და ბიზნესის უაღრესად ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგიც იყო.

რასაკვირველია, ამ თავში პროსპერიტის პერიოდის ამერიკის ცხოვრების ყველა ასპექტი არ განგვიხილავს, წინ არის საუბარი ამერიკის კულტურისა და ყოფის შესახებ, მაგრამ, ვგონებ, გარკვეული შეფასებების გაკეთება უკვე ამ თავშიც შეიძლება.

ჩვენ უკვე საკმაოდ გადმოვეცით კულიჯის მეხოტბეთა მოსაზრებები, დავამატებთ მხოლოდ რომ, მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა მან კონგრესთანაც მოაწესრიგა ურთიერთობა. 1926 წლის 4 ივლისის ნომერში „ჩიკაგო ტრიბუნ“, აფასებდა რა კულიჯის საქმიანობას განვლილ პერიოდში, წერდა, რომ პრეზიდენტის და კონგრესის დაპირისპირების მიუხედავად მთელ რიგ საკითხებში, კონგრესმა მაღალი შეფასება მისცა ადმინისტრაციის უდიდეს მიღწევებს როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე შინ. როგორც გაზეთი აღნიშნავდა „თუმცა პრეზიდენტმა ვერ

გაატარა კონგრესში მისთვის სასურველი ზოგიერთი კანონი, მაგრამ მას საკმარისი გავლენა გააჩნდა საკანონმდებლო ორგანოში, რათა არ მიეღო ის კანონები, რომელნიც მის პროგრამას არ შეესაბამებოდა".¹⁸³

ბუნებრივია, დემოკრატიული პარტიის მესვეურები გაცილებით უფრო კრიტიკულად აფასებდნენ რესპუბლიკელთა საქმიანობას. მაგალითად, დემოკრატიული კონვენტის დროებითი თავმჯდომარე კლოდ ბოუერსი რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების შედარებისას მათ ჰამილტონის და თომას ჯეფერსონის იდეოლოგიებს ადარებდა. „ჰამილტონს ფულის არისტოკრატიის მმართველობის სწამდა, მაშინ, როცა ჯეფერსონს – ადამიანთა დემოკრატიის. ჰამილტონს მიაჩნდა, რომ მთავრობები ხალხის მასებზე ბატონობისათვის არსებობდნენ, ჯეფერსონს კი ისინი ხალხის მსახურებად ესახებოდა. ჰამილტონი მთავრობის ძლიერებას იმით ზომავდა, თუ რამდენად მომგებიანი იყო ის ძლიერთათვის ამა ქვეყნისა, ჯეფერსონი კი რიგით ადამიანებზე ზრუნავდა. ჰამილტონი ცდილობდა მთავრობა მდიდრების შემოსავლის წყაროდ ექცია, ჯეფერსონი კი ყველასათვის თანაბარი უფლებებისათვის იბრძოდა. ჰამილტონი მიიჩნევდა, რომ მთავრობა მოქალაქეთა ცხოვრებაში აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული, ჯეფერსონი კი თვლიდა, რომ მთავრობა, რომელიც ნაკლებად მართავს, უკეთესია“. თუმცა ეს უკანაქნელი ფრაზა 1920-იანი წლების რესპუბლიკელებს უფრო მიესადაგებოდა. ნათელია, რომ ავტორი, მისი აზრით, ლამის „დესპოტ“ ჰამილტონს რესპუბლიკელებთან აიგივებდა, ჯეფერსონის მომხიბლავ პორტრეტს კი დემოკრატებთან. მან ისიც გაიხსენა, რომ, თუმცა „რესპუბლიკელები თავს ლინკოლნის მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ, ლინკოლნი თავის იდეოლოგიას ჯეფერსონზე აფუძნებდა და არა ჰამილტონზე“. შემდეგ გაიხსენა, რომ ეუდრო ვილსონის დროს ამერიკისათვის 8 წელიწადში მეტი გაკეთდა, ვიდრე რესპუბლიკელებმა შესძლეს 40 წლიანი მართველობის პერიოდში. მიაჩნდა, რომ ვილსონმა ამერიკელებს ისეთი მორალური სულისკვეთება შთაბერა, რასაც ისინი მანამაღე არც იცნობდნენ.

ბოუერსი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკელებმა 1921 წელს ერისათვის სრულიად უცნობი ხალხი მოიყვანეს მთავრობაში და რომელნიც სხვა სიკეთესთან ერთად კორუმპირებ-

ულებიც აღმოჩნდნენ. აკრიტიკებდა რესპუბლიკელთა მაღალ ტარიფებს და აღნიშნავდა, რომ მათ სატარიფო კომისია რესპუბლიკური მთავრობის მარიონეტებად აქციეს და იგივე უყვეს ფედერალურ სავაჭრო კომისიებს. შესაბამისად, ეს ორგანიზაციები, რომლებიც დემოკრატებმა ხალხის ექსპლუატაციისგან დასაცავად შექმნეს, რესპუბლიკელებმა მაროდორობისათვის გამოიყენეს. ისაუბრა ფერმერთა საკითხზეც, სადაც მართლაც ყველაზე მეტი პრობლემა იყო და აქაც ჯეფერსონი გაიხსენა, რომელიც მიწათმოქმედთა დემოკრატიას ქადაგებდა ჰამილტონისაგან განსხვავებით, რომელიც მუდამ ქედმაღლურად უყურებდა მათ. მწვავედ გააკრიტიკა მელონი და მისი თანამოაზრეები, რომლებიც, მისი აზრით, სრულიად უგულვებელყოფდნენ ფერმერთა ინტერესებს, მილიონობით ფერმა გააკოტრეს და ამას დროებით დეპრესიას უწოდებდნენ. რეალური დახმარების მაგივრად კი ფერმერებს მოუწოდებდნენ კარგი ბიზნესმენები გამხდარიყვნენ. ისიც დაამატა, რომ რესპუბლიკელთა სატარიფო პოლიტიკა სრულიად არ ითვალისწინებდა ფერმერთა ინტერესებს. ბოუერსის აზრით, მელონისეული გადასახადების შემცირებაც უფრო დიდი ბიზნესისთვის იყო ხელსაყრელი, ვიდრე საშუალო და მცირე ბიზნესისათვის. თანაც თვლიდა, რომ ბიზნესის მეთოდების შემოტანა მთავრობაში და მისი კომერციალიზაცია კორუფციასა და დანაშაულს უწყობდა ხელს.¹⁸⁴

როგორც ვხედავთ, ორივე მხარე ერთი და იმავე ფაქტების შესახებ სრულიად სანინაალმდევო შეფასებებსა და დასკვნებს აკეთებდა. თუმცა იმ მომენტში არსებული აყვავების ფონზე, რომელიც რესპუბლიკელთა წარმატებად აღიქმებოდა, დემოკრატთა მსგავსი, თუნდაც მეტად ხატოვანი კრიტიკა, მიუღებელი აღმოჩნდა ამერიკელთა უმრავლესობისათვის.

პროსპერიტის უფრო ობიექტური შეფასებისათვის სტატისტიკაც გამოგვადგება. თუმცა წინა გვერდებზე ჩვენ ძირითადად წარმოების და შემოსავლების ზრდაზე ვსაუბრობდით, 1929 წლის სექტემბერში ეროვნულმა სტატისტიკურმა უწყებებმა აღნიშნეს, რომ ამერიკელთა 60 პროცენტს 2000 დოლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა წელიწადში. არადა ეს თანხა ცხოვრების დონის საბაზო მინიმუმს შეადგენდა.¹⁸⁵ ბრუკინგსის ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით, ამავე მონაცემებს ადასტურებდა ფრედერიკ ალენიც და მიიჩნევდა, რომ ეს სანდო წყარო იყო. ჩვენ კი ალენი

მიგვაჩნია ეპოქის სანდო მკვლევარად. მაშ ასე, 1929 წელს, ანუ პროსპერიტის უკანასკნელ, მაგრამ ყველაზე წარმატებულ წელს (რასაკვირველია, ოქტომბრამდე) ამერიკელთა ოჯახების მხოლოდ 2,3 პროცენტს ჰქონდა შემოსავალი 10 ათას დოლარზე მეტი წელიწადში, მხოლოდ 8 პროცენტს — 5 ათას დოლარზე მეტი, 71 პროცენტს ჰქონდა შემოსავალი 2500 დოლარზე ნაკლები, 60 პროცენტს — 2000 დოლარზე ნაკლები, 21 პროცენტს კი ჰქონდა 1000 დოლარზე ნაკლები წელიწადში. იმ წლის ფასებით 2000 დოლარი საკმარისი იყო მხოლოდ საბაზო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამის იქით სიღატაკე იწყებოდა.¹⁸⁶

თუმცა სტატისტიკა საკმაოდ სახიფათო რამ არის და მანიპულირების კარგ საშუალებას იძლევა. ნუ დავივიწყებთ, რომ 2000 დოლარზე დაბალი შემოსავალი ამერიკის საშუალო სტანდარტით ითვლებოდა სიღატაკედ და, მაგალითად, იგივე, სამხრეთის და ჩრდილო-დასავლეთის შტატებში, სადაც შემოსავალი, ტრადიციულად, დაბალი იყო და ამავე დროს ცხოვრების ღირებულებაც შედარებით უფრო იაფი, 2000 დოლარი სულაც არ იყო სიღატაკის სიმბოლო. ნუ დავივიწყებთ, რომ ყველაფერი შედარებითია. ის, რაც ამერიკელისათვის სიღატაკეს ნიშნავდა, მრავალ ქვეყანაში საოცნებო იყო. იგივე 2000 დოლარზე ნაკლები შემოსავლების ადამიანებში, არც თუ ცოტა იყო ავტომობილის მფლობელიც, შეიძლება ცუდის და იაფის, მაგრამ მაინც ავტომობილის. არც, თითქმის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, რადიო და სხვა საყოფაცხოვრებო ინოვაციებია დასავეიწყებელი.

მაშ, როგორ შევაფასოთ აყვავება? თუ საკითხის მეტისმეტ გაზვიადებად და გამარტივებად არ ჩაგვეთვლება, ეს მოვლენა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას გვინდა შევადაროთ. ჩვენი აზრით, 1920-იან წლებში ეკონომიკური განვითარების სფეროში ამერიკა ისეთივე ავანგარდში აღმოჩნდა, როგორც დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების დროს. 1776 წელს ახლად შექმნილმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუსწრო ყველა წამყვან ქვეყანას და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა ადამიანთა თანასწორობა.

ის, რომ დეკლარაციაში გაცხადებული ადამიანთა უფლებები ცხოვრებაში ერთბაშად ვერ გატარდა, შავკანიანთა და ქალთა პრობლემის გადაჭრის ასწლეულობით გაჭიანურებამაც დაგვანახა.

მაგრამ ვერც იმას უარყოფს ვინმე, რომ ეს იყო უმნიშვნელოვანესი გარღვევა კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც ახალი ეპოქის დასაწყისი გვაუწყა.

რასაკვირველია, პროსპერიტი, დამოუკიდებლობის დეკლარაციის დიაპაზონის მოვლენა არ იყო, მაგრამ ადამიანის ეკონომიკური უფლებების გაფართოების თვალსაზრისით ეს ნამდვილად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ. მოხდა სერიოზული გარღვევა ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობის მასობრივი გაუმჯობესების მიმართულებით, როდესაც ამერიკელთა უდიდესმა ნაწილმა, მათ შორის ლარიბებმაც, არა მარტო ოცნებებში, არამედ რეალურ ცხოვრებაში ნახეს და დაიჯერეს, რომ პატიოსანი პროპით მიღწეული უზრუნველყოფილი და ღირსეული ცხოვრება, ე. წ. ამერიკული ოცნება, სავსებით ხელმისაწვდომია მრავალი მათგანისათვის.

1920-იანი წლების ეკონომიკური აყვავების ფენომენი იყო არა ის, რომ ყველა გამდიდრდა, ეს დღესაც მიუღწეველი მიზანია, თუნდაც იმავე ამერიკაში, არამედ ის, რომ პირველად თანამედროვე სამყაროში მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაიწყო გამდიდრება და კიდევ უფრო დიდმა ნაწილმა საშუალო ფენის სტატუსს მიაღწია, როდესაც სიღატაკე უფრო გამონაკლისი გახდა, ვიდრე ცხოვრების ნორმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის. როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლის ზრდის, აგრეთვე მისი აქციათა მფლობელად გადაქცევის და კრედიტში ფართო მოხმარების საგანთა შეძენის შესაძლებლობის წყალობით, აშკარად გამოიკვეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მასობრივი ტენდენცია. მილიონობით ამერიკელი გახდა არა მარტო რადიოს თუ მაცივრის, არამედ საკუთარი სახლისა და ავტომობილის მფლობელი. შეიძლება ამ მასობრიობის რეალური რაოდენობა არც ისე დიდი იყო დღევანდელი ნამყვანი სახელმწიფოების თვალთახედვიდან, მაგრამ სახეზე იყო საზოგადოების განვითარების ტენდენცია ამ მიმართულებით და ამ ტენდენციის ზრდა ნამდვილად რევოლუციურ ხასიათსა და მასშტაბებს ატარებდა.

მით უმეტეს, რომ მაშინდელი მსოფლიოს ნამყვან სახელმწიფოებშიც კი ასეთი ტენდენცია მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაში თუ იყო. ამავე ოციან წლებში ძლევამოსილი ბრიტანული და ფრანგული, უზარმაზარი კოლონიების მფლობელი,

იმპერიების მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი ძალზე შორს იყო ამერიკული სტანდარტებისგან. ინფლაციისგან გაღატაკებული გერმანია სამოქალაქო ომის პირას იდგა და არც დანარჩენ ევროპაში იყო უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა. ალარაფერს ვამბობთ, ლათინურ ამერიკასა თუ საბჭოთა კავშირზე, აზიასა და აფრიკაზე, სადაც მილიონობით ადამიანი შიმშილისგან იტანჯებოდა, ზოგან კი იხოცებოდა კიდევ.

ამერიკული აყვავების ფენომენი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ იგი განვითარდა მრავალი ევროპელი თეორეტიკოსისთვის სრულიად გაუგებარი, პასიური სახელმწიფოს ფონზე, როდესაც სახელმწიფო კი არ იყო რეფორმების წარმმართველი ძალა, არამედ სწორედაც რომ თავისუფალ ადამიანთა ნება და ინიციატივა. სახელმწიფო კი კულიჯის მსგავსი ლიდერების სახით, მართლაც, რომ ლამის დარაჯის ფუნქციით კმაყოფილდებოდა. თუმცა, როგორც იმავე ჰუვერის საქმიანობამ გვაჩვენა 1920-იანი წლების Laissez-faire-ის პოლიტიკაში, სახელმწიფო არც საკუთარი ქვეყნის ბიზნესისადმი სერიოზულ დახმარებაზე ამბობდა უარს, სამაგიეროდ კი თითქმის არავითარ გარანტიებს არ მოითხოვდა მისგან.

მაგრამ პროსპერიტის ერთმნიშვნელოვნად წარმატებად შეფასებაც არ იქნებოდა სწორი. მას ხარვეზებიც უამრავი ჰქონდა, იმავე ფერმერთა და მალაროელთა პრობლემები, ავანტიურისტული სპეკულაციური ბუმი საფონდო ბირჟაზე, ემიგრაციის მკაცრი შეზღუდვა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა — არც შტატისა და არც ფედერალურ დონეზე, მშრალი კანონის წყალობით გაზრდილი დანაშაულებრიობა, კერძო ბიზნესისადმი გადაჭარბებული ნდობა. მასზე კონტროლის მინიმუმამდე დაყვანა არ იყო ყოველთვის გამართლებული და, აქედან გამომდინარე, ბევრი აუცილებელი და მტკიცე გადაწყვეტილების მიღება გადაიდო. როგორც საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებამ გვაჩვენა, არც ამერიკული იზოლაციონიზმი აღმოჩნდა მსოფლიო მშვიდობის გარანტი.

I

დაბრუნება პარიზიდან ამერიკის პროვინციაში

თუ პროსპერიტის პერიოდზე, როგორც ეკონომიკური გარღვევის ფაქტზე, ვსაუბრობდით, გაცილებით უფრო დამაჯერებლად შეგვიძლია ვისაუბროთ ოციან წლებზე, როგორც გარღვევაზე კულტურის სფეროში. ალბათ, არც მანამდე და არც მერე ამერიკულ ლიტერატურას არ უშვია ერთბაშად ამდენი ტიტანი, რომელთა მეშვეობითაც ამერიკამ მყარად მოიკიდა ფეხი მსოფლიო კულტურის პარნასზე და ნამყვან სახელმწიფოთა რიგში ჩადგა. სწორედ ოციან წლებში გამოიკვეთა ჯაზი, როგორც ეროვნული და, სულ მალე, როგორც საერთაშორისო მასშტაბის მოვლენა. სწორედ ოციან წლებში მოხდა მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ხარისხობრივი ცვლილებები ამერიკულ ყოფაში. ბუნებრივია, ოციან წლებში კულტურის ყველა სხვა სფეროშიც შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი წინსვლა, იქნებოდა ეს კინო, რადიო, თეატრი, ფერწერა, არქიტექტურა თუ სპორტი და ჩვენ ამაზეც ვისაუბრებთ.

ომის შემდგომ ამერიკაში თვით ამერიკელთა ყოფაში ბევრი რამ შეიცვალა. ახალმა დრომ ახალი მორალურ-ეთიკური ნორმები წამოსწია წინა პლანზე. XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელთა უმრავლესობა ძირითადად პატარა პროვინციულ ქალაქსა თუ დაბაში ცხოვრობდა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა და ცხოვრების საკმაოდ პატრიარქალური წესი იყო დამკვიდრებული. პატარა ქალაქების ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეკლესიას. სწორედ ის იყო მისი კულტურული და სულიერი ცხოვრების ცენტრი. მთელი კვირის მუყაითი შრომის შემდეგ კვირა დილას ამერიკელები სწორედ ეკლესიაში იყრიდნენ თავს. საკვირაო ქადაგების შემდეგ ბავშვები საკვირაო სკოლაში მეცადინეობდნენ, ხოლო უფროსები თავიანთი ცხოვრების ამბებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს. სხვადასხვა დღესასწაულის დროს მთელი დაბა კვლავ ერთად იკრიბებოდა, იყო გართობა, ცეკვა-თამაში. ახალგაზრდობა მშობელთა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ატარებდა დროს, ერთმანეთს გულის ნადებს უზიარებდა და ხშირად სწორედ იქ ეყრებოდა საფუძველი მომავალ ოჯახებს. ხოლო სოფლის დედაკაცებს

არაფერი ეპარებოდათ თვალთახედვიდან და ვაი მას, ვინც ზედმეტ სითამამეს გამოიჩინდა. პატარა ქალაქის ცხოვრებაში არაფერი არ იმალებოდა და თუ ახალგაზრდა კაცი მაინც ვერ შეიკაებდა თავს და თავის სატრფოს კოცნასაც გამოუსტყუებდა, შემდგომში ვალდებული და იძულებულიც იყო ქალიშვილისთვის ხელიც ეთხოვა.

რელიგიური, ტრადიციული და საზოგადოებრივი შეგნებისა და კონტროლის შედეგად ამერიკის პატარა ქალაქებში საკმაოდ მკაცრი მორალურ-ეთიკური ნორმები იყო გაბატონებული. ამერიკაში მათ გაცილებით უფრო თანამიმდევრულად იცავდნენ, ვიდრე ევროპის ბევრ ქვეყანაში. პურიტანიზმის საფუძველზე დამკვიდრებული ვიქტორიანული ეპოქის მორალი, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო წმინდა სახით პროვინციულ ამერიკაში იყო შემორჩენილი. ყოველივე ამას ამერიკელთა უეშმაკო ხასიათი და პატარა ქალაქების ცხოვრების საკმაოდ მონოტონური ნესიც უწყობდა ხელს. მეოცე საუკუნემ ამ პურიტანულ იდილიაში თავისი კორექტივები შეიტანა. ამერიკა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა, რასაც დიდი ქალაქების საოცრად სწრაფი ზრდა მოჰყვა. ნიუ-იორკი, ჩიკაგო, ფილადელფია, სან-ფრანცისკო და სხვა დიდი ქალაქები ამის საუკეთესო მაგალითი იყო, ხოლო იქ, სადაც ასეულ ათასობით სხვადასხვა ერისა და ზნის ადამიანი წარმოუდგენლ ტემპში მუშაობს და ასევე ნერვიულ ვითარებაში ერთობა, ტრადიციული ზნეობრივი ნორმების შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელია. ნიუ-იორკის თუ ჩიკაგოს ღამის კლუბებში სულ სხვანაირად ატარებდნენ დროს, ვიდრე პატარა ქალაქების დღესასწაულებზე. პროვინციული ამერიკა მაინც ცალკე სამყაროს წარმოადგენდა და ნიუ-იორკის სკანდალები მართლმორწმუნე ფერმერებში მხოლოდ რალაც შორეული, სტიქიური უბედურების გრძნობას ბადებდა.

ინდუსტრიალიზაციის მწვავე პროცესს მალე მსოფლიო ომიც დაერთო და მანამდე კარჩაკეტილი ამერიკა სრულიად ახლებურად ეზიარა გარე სამყაროს. თუ მანამდე ევროპა ჩამოდიოდა ამერიკაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სახით და ნებით თუ უნებლიეთ ხდებოდა მათი „გაამერიკელება“, ამჯერად თვით ამერიკა ესტუმრა მშობლიურ ევროპას. ომის დროს ევროპაში 2 მილიონზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი მსახურობდა. ეს ახალგაზრდები ძირითადად პატარა ქალაქების, პროვინციული ამერიკის მკვიდრნი იყვნენ და ბევრი მათგანი არამც თუ ამერიკას, არამედ ომამდე სა-

კუთარ შტატსაც კი არ გაცვილებოდა. თუმცა ამერიკლებმა ევროპულ არმიებთან შედარებით მოკრძალებული მონაწილეობა მიიღეს საომარ ოპერაციებში, სამაგიეროდ აქტიურად ჩაებნენ პარიზის, ომის დროსაც კი, თავმბრუნდამხვევ ღამის ცხოვრებაში. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, თვით ომიც წარმოუდგენელ დაღს ასვამს ადამიანის ფსიქიკას. ჭეშმარიტი გმირობის და თავგანწირვის მაგალითებთან ერთად იგი გაცილებით უფრო ხშირად ადამიანის უმდაბლეს ინსტიქტებს აღვიძებს. დაუნდობლობა, უზნეობა და ძალადობა ხომ ომის უცილობელი თანამგზავრებია. სხვათა შორის, ამერიკელთა მაღალი ზნეობაც, გარკვეულწილად, მათი შედარებით მშვიდობიანი ცხოვრებითაც იყო განპირობებული. განმანთავისუფლებელი ომის შემდეგ ამერიკას (თუ არ ჩავთვლით სამოქალაქო ომს) აღარ განუცდია საოკუპაციო ჯარების თვითნებობა დაპყრობილ ტერიტორიაზე, როცა ძარცვა-გლეჯა, უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჯლეტა და ქალთა გაუპატიურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა ხოლმე.

ახალმა, ჯერ კიდევ გაუგონარი მასშტაბის ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც ევროპელებზე, ასევე ამერიკელებზე. მოსალოდნელი სიკვდილის მუდმივი შიში ადამიანებს სასონარკვეთილებით ავსებდა. რა იცი, ხვალ რა მოხდება? „ლხინი ყამიანობის დროს“. მამ ვიჩქაროთ, ნუ მოვიკლებთ ნურავითარ სიამოვნებას — ლოთობა, აღვირახსნილი ღრეობა, შემთხვევითი და ხანმოკლე სიყვარული ომის ქარცეცხლში გახვეულ ევროპის მიწაზე საკმაოდ ხშირ მოვლენად იქცა. ადამიანთა სასონარკვეთილება მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო იკვეთებოდა ომის უაზრო და უსასრულო ხასიათი. ეს კი უნდობლობას ბადებდა არა მარტო არსებული ხელისუფლების, არამედ ყველა იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართაც, რომელთაც მისი ბატონობა განაპირობეს. სხვასთან ერთად ეს მანამდე გავრცელებულ მორალურ-ეთიკურ ნორმებსაც შეეხო. ცნობილი გამოთქმა, რომ ომგამოვლილი თაობა, ეს „დაკარგული თაობაა,“ სამწუხაროდ, მართლაც ასახავდა რეალობას. ახალგაზრდობამ სხვასთან ერთად მართლაც დაკარგა ის ზნეობრივი საფუძველი, რომელზედაც აღიზარდა.

ომიდან დაბრუნებული ამერიკელი ჯარისკაცები და მოწყალეების დები სულ სხვა თვალით უყურებდნენ თავიანთი პატარა ქალაქების მონოტონურ და ერთფეროვან ცხოვრებას, არსე-

ბულ დოგმებსა და წესებს. მათ ძალზე გაუჭირდათ ძველებურად ცხოვრება, ხოლო ბევრს კი ეს აღარც სურდა. როგორც ამერიკული ლეგიონის წევრების ერთ-ერთ სიმღერაში იყო ნათქვამი, „როგორ გინდათ ისინი კვლავ ფერმებს დაუბრუნოთ, მას შემდეგ, რაც მათ პარიზი ნახეს“.

ეს იყო ერთ-ერთი ასპექტი იმ ცვლილებებისა, რომელიც ომის შემდგომ ამერიკას შეეხო, მაგრამ იყო სხვა მიზეზებიც. ამერიკული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელმა სკოტ ფიცჯერალდმა თავის დიდებულ ესეიში „ჯაზის საუკუნის გამოძახილი“ შესანიშნავად დაახასიათა 1920-იანი წლების ამერიკა. მან დახატა ის სულიერი სამყარო, რომელიც ამერიკაში ახალმა ეპოქამ შემოიტანა. ავტორი არც სარკაზმს იყო მოკლებული და ხშირად საკმაოდ სატირულ ტონებში ასახავდა უეცრად გამდიდრებული ადამიანების, ხშირად, საკმაოდ ლატაკ სულიერ სამყაროს. მრავალი ადამიანი სიკეთეს მხოლოდ მატერიალური დოვლათის მოხვეჭაში ხედავდა, ხოლო მისი კულტურული განვითარება ძირითადად მოდური თეორიების ზედაპირული განხილვით თუ შემოიფარგლებოდა. ამის შედეგი იყო გაუთავებელი ლოთობა, კოკაინი, პროსტიტუცია და მრავალი სხვა მანკიერება. ოციანი წლების უზრუნველყოფილ ამერიკელთა შორის საოცრად იმატა თვითმკვლელობის შემთხვევებმაც. ფიცჯერალდის აზრით, მრავალი განათლებული ამერიკელი ვეღარ ეგუებოდა ძველ ტრადიციულ ფასეულობებს. ძველებურად ცხოვრება მას აღარ შეეძლო, ამავე დროს, იგი ახალ ვითრებასაც ვერ უღებდა ალღოს. ეს სულიერი კრიზისი კი ხშირად ფუჭი დროსტარებით, საბოლოოდ კი ასეთი ცხოვრებისაგან ფიზიკური და სულიერი დაქანცვით და კრახით მთავრდებოდა.

ოციანი წლების ცხოვრების განუყოფელ და, შეიძლება ითქვას, სიმბოლურ შემადგენელ ნაწილად იქცა ავტომობილი. გამდიდრებული ამერიკელებისთვის იგი უკვე სავსებით ხელმისაწვდომ სიამოვნებას წარმოადგენდა. ავტომობილმა ძალზე შეუწყო ხელი პროვინციული ამერიკის განთავისუფლებას პატარა ქალაქის მორალური კონტროლისაგან. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი თავიანთი ავტომობილებით დროს სატარებლად სხვა ქალაქებში მიდიოდნენ, სადაც მათ ვერცერთი ნაცნობი ვერ ნახავდა და ვერც გაკიცხავდა. ავტომობილი კი თავად იქცა პატარა სახლად ბორბლებზე. ზოგიერთი მას მოტორიზებულ საროსკიპოსაც კი უწოდებდა. რა თქმა

უნდა, ეს გაზვიადება იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ავტომობილი ქალ-ვაჟს გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებდა საკუთარი გრძნობების გამოსახატავად. მოხდა მეტად საინტერესო რამ, ამჯერად უფროსი თაობა გამოვიდა მონაფის როლში. ახალგაზრდობის უდარდელი ცხოვრების ხილვამ მასაც აუდულა თითქოსდა შედედებული სისხლი და ისიც გადაეშვა ლხინისა და დროსტარების მაცდურ მორევში. ყოველივე ამის საწყისი მაინც, ალბათ, დიდ ქალაქებში უნდა ვეძიოთ. იქაური ცხოვრების სტილი სულ უფრო ცვლიდა ამერიკის სახეს.

განსაკუთრებით მკვეთრად ეს გამოიხატა ქალთა ყოფაში, მით უმეტეს, რომ ომის დროს, ნებით თუ უნებლიეთ, მრავალი მათგანი ეზიარა დამოუკიდებელი ცხოვრების ძნელბედობასა და სიამესაც. ცნობილია, რომ ძველად, როგორც ილფი და პეტროვი იტყოდნენ, ჯერ კიდევ ისტორიულ მატერიალიზმამდე, ქალთა მდგომარეობა განვითარებულ ევროპულ ქვეყნებშიც კი არ იყო სახარბიელო. ამ მხრივ ამერიკელები შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ, რასაც 1835 წელს თავის ცნობილ წიგნში „დემოკრატია ამერიკაში“ თვით ალექსის დე ტოკვილმაც გაუსვა ხაზი. იგი გაკვირვებული წერდა, რომ ამერიკაში ქალს გაცილებით მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე ევროპაში. მაგალითად, მაშინდელ ევროპაში ქალის გაუპატიურება არ ითვლებოდა რაიმე განსაკუთრებულ დანაშაულად, როცა ამერიკაში ამისათვის სიკვდილით სჯიდნენ..

ევროპელი მოგზაური ლეკიერი, თუმცა ირონიით ახასიათებდა ამერიკელ ქალთა ჩაცმულობას, მაგრამ, ამავდროულად, გაოცებას ვერ ფარავდა მათი თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, თანაც ხაზგასმით აღნიშნავდა მამაკაცთა პატივისცემას მათ მიმართ.¹

XVIII-XIX საუკუნეების ამერიკაში ქალთა შედარებით უკეთესი მდგომარეობა, ნაწილობრივ მათი სიმცირითაც აიხსნებოდა. ევროპელი ქალისაგან განსხვავებით, ამერიკელს სასურველი მამაკაცის ძიებაში გაცილებით ფართო არჩევანი ჰქონდა, ხოლო დიდი კონკურენციის ვითარებაში მამაკაცებიც იძულებულნი იყვნენ მეტი პატივისცემა და თავაზიანობა გამოემჟღავნებინათ, რათა ბერბიჭებად არ დარჩენილიყვნენ.

გარდა ამისა, ხშირად უკიდევან პრერიებში, სადაც ინდიელები ჯერ კიდევ თავისუფლად ნაეარდობდნენ, განმარტოებულ

ფერმაში ქალი ოჯახის უფროსისათვის არა მარტო ცოლი და მისი შვილების დედა იყო, არამედ მისი საქმიანი პარტნიორიც, ერთ-გული და ხშირად ერთადერთი მეგობარიც და, არც თუ იშვიათად, მამაცი თანამებრძოლიც.

რასაკვირველია, უდიდესი გავლენა იქონია ამერიკელთა მსოფლმხედველობამაც, რომელიც თავისუფლებისა და პიროვნების (თეთრკანიან მამაკაცთა) უფლებათა აღიარების იდეალებზე იყო დაფუძნებული. როგორც ჩანს, ამ გრძნობებს ამერიკელი მამაკაცები, ნაწილობრივ მაინც, ქალების მიმართაც ამჟღავნებდნენ.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერი შედარებითია ჩვენს ცოდვილ მიწაზე და, თუ ევროპელთან შედარებით ამერიკელი ქალი უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი სრულფასოვანი მოქალაქე იყო. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალს საკუთარი კერძო საკუთრების უფლებაც კი არ გააჩნდა და მისი მზითვეიც ქმრის სრულ საკუთრებაში გადადიოდა. მხოლოდ 1839 წელს მისისიპის შტატში, შემდეგ კი სხვაგანაც მიიღეს კანონები, რომელიც ნებას რთავდა ქალს გათხოვების შემდეგ პირადი საკუთრება ჰქონოდა.

თითქმის მთელი XIX საუკუნის მანძილზე ქალის ფუნქცია ძირითადად ოჯახური საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ქალი ითვლებოდა ოჯახური კერის სინმინდის მთავარ დამცველად და საოჯახო საკითხების გადანყვეტისას აუცილებელი პრიორიტეტი გააჩნდა. იდეალური ქალი ეს იყო იდეალური ცოლი და იდეალური დედა. აღსანიშნავია, რომ პატრიარქალური ოჯახის მსგავსი იდეალი, რასაკვირველია, რიგი ცვლილებებით, ამერიკაში 1950-იანი წლების ჩათვლითაც დომინირებდა.

მაგრამ ოჯახის გარეთ ქალი გაცილებით შეზღუდულად გრძნობდა თავს და, საერთოდ, ე. წ. ნესიერი ოჯახის ქალის სახლს გარეთ მუშაობა არ ითვლებოდა კარგ ტონად. მაგალითად, 1850 წელს მუშაობდა გათხოვილ ქალთა მხოლოდ 10 %, ხოლო გათხოვებამდე — 20%.² სამსახურზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დამოუკიდებელი შრომა დამოუკიდებელი შემოსავალია, ხოლო იგი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოქალაქის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ქალი შეზღუდული იყო აგრეთვე პროფესიის არჩევაშიც: მას შეეძლო ემუშავა მხოლოდ დაბალხელფასიან სამუშაოზე ფაბრიკაში, ყოფილიყო ძიძა ან სკოლის მასწავლებელი, იმიტომ, რომ მცირე ანაზღაურების გამო მამაკაცები გაუზრდობდნენ ამ საქმიანობას. რაც შეეხებოდა ქალთა საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ მოღვაწეობას, ეს ხომ საერთოდ მკრეხელობად ითვლებოდა. ქალთა დამოუკიდებლობას ხელს უშლიდა მრავალშვილიანობაც, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად დაიწყო შობადობის კონტროლი, ოჯახში უკვე ძირითადად ქალები წყვეტდნენ ბავშვთა რაოდენობას. ქმრები ამას ირონიით „შინაურ ფემინიზმს“ უწოდებდნენ. მართლაც, ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევით, სავარაუდოთ 1800 წელს ოჯახში საშუალოდ 6 ბავშვი იყო, 1860 წელს უკვე — 5 ბავშვი, ხოლო 1900 წელს კი — 4.³

უკვე XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სულ უფრო იზრდებოდა იმ განათლებულ ქალთა რიცხვი, რომელნიც აპროტესტებდნენ არსებულ დისკრიმინაციას და აღნიშნავდნენ, რომ მათი სოციალური მდგომარეობა არაფრით განსხვავდებოდა ზანგი მონების მდგომარეობისაგან. თუმცა ეს აშკარა გაზვიადება იყო. მაგრამ, მაგალითად, დები ანგელინა და სარა გრიმკეები თავიანთ აბოლიციონისტურ გამოსვლებშიაც კი სწორედ ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მართლაც, აღნიშნულ პერიოდში აბოლიციონიზმთან ერთად სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებდა ფემინისტური მოძრაობა. ქალები პოლიტიკური და სოციალური უფლებების გაფართოებას მოითხოვდნენ. ქალთა დასაოკებლად მამაკაცებმა ეკლესიასაც კი მოუხმეს. ახალი ინგლისის სამღვდლოების ერთ-ერთ შეკრებაზე დაადგინეს, რომ ქალის ჭეშმარიტი ადგილი ოჯახში, ეკლესიასა და სკოლებში იყო, ხოლო ქალის საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა არაბუნებრივ და ღვთის ნების საწინააღმდეგო ქცევად გამოცხადდა. მაგრამ ამჯერად ეკლესიასაც კი გაუჭირდა, რადგანაც ღვთის მოშიში ქალები თავისას მაინც არ იშლიდნენ. 1848 წელს ლუკრეცია მოტისა და ელისაბედ სტენტონის ინიციატივით დაარსდა „ქალთა უფლებათა კონვენტი“, რომლის დეკლარაციაც აცხადებდა — „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა მამაკაცი და ქალი თანასწორებად არიან შობილნი“.⁴

როგორ არ გაიხსენოს ქართველმა სიამაყის გრძნობით, რომ „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ XII საუკუნის საქართველოში დაინერა.

აი, ასეთი მძიმე წარსულითა და ბრძოლით მიუახლოვდა ამერიკელი ქალი 1920-იან წლებს. ამ პერიოდში ქალთა ქცევა სულ უფრო სცილდებოდა ვიქტორიანული ეპოქის თითქოსდა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულ ნორმებს, როდესაც პატარა ქალაქებში მცხოვრები ქალიშვილები, ჩვეულებისამებრ, ელოდნენ მშვენიერი პრინცის გამოჩენას, რომელსაც თავიანთ უმანკოებას, ერთადერთ და სამუდამო სიყვარულს აჩუქებდნენ. განვიხილოთ თუნდაც წმინდა გარეგნული ფაქტორები. მოდას, ალბათ, არასოდეს შეუცვლია ისე სწრაფად ქალის იერი, როგორც ეს ოციან წლებში მოხდა. ამ პერიოდში იწყება კაბების ძალზე სწრაფად დამოკლება, რაც მაშინ არა მარტო ფორმის ცვლილებას, არამედ გარკვეულ სექსუალურ სითამამესაც ნიშნავდა. თუ 1920 წლებამდე კაბის სიგრძე მიწის ზედაპირიდან ქალის სიმაღლის 10 პროცენტი ანუ 6-7 დიუმი იყო, 1920 წლიდან ეს პროპორცია უკვე 20 პროცენტს აღწევს, ხოლო 1927 წლისათვის კაბის სიშორე 25 პროცენტს მიაღწია და ფაქტობრივად მუხლებამდე ავიდა.⁵ თანამედროვე ადამიანს ასეთი სიგრძის კაბით ვერ გააკვირვებ, მაგრამ მაშინ ეს ნამდვილი შოკი იყო. ბევრმა ამაში ზნეობრივი გადაგვარების საშიშროება დაინახა. რიგ შტატებში სპეციალური კანონებიც კი მიიღეს, რომელნიც კაბის სიშორის მაქსიმუმს აწესებდა. სხვათა შორის, იგივე პროცესი მიმდინარეობდა საცურაო კოსტიუმების მიმართაც, ვინაიდან მისი ახალი სტილი ბევრს მეტისმეტად თამამად მიაჩნდა. ზოგჯერ მორალის დამცველი ხელისუფალნი პირდაპირ პლაჟებზე ზომავდნენ საცურაო კოსტიუმების სიგრძეს. რა იცოდნენ, რომ სულ რაღაც 20-25 წელიწადში ბიკინების ეპოქა დაიწყებოდა. იუტას შტატში ჯარიმა ან ციხე ემუქრებოდა იმ ქალს, რომლის ქვედა კაბა სამი დიუმით (1 დიუმი უდრის 2,54 სმ) სცილდებოდა კოჭს. ვირჯინიაში დეკოლტეებს შეუტიეს და იკრძალებოდა კაბის ჩაცმა, რომელიც კისრის სამ სანტიმეტრზე მეტს აჩენდა, ოჰაიოში ეს დაუნდობლობა ქალის სილამაზისადმი ორ სანტიმეტრამდე დაიყვანეს.

ოციანი წლების მეტამორფოზები კოსმეტიკის აქტიურ გამოყენებაშიც გამოიხატა, რაც უნინ იშვიათობას წარმოადგენდა. ამავე პერიოდში ბევრმა შეწყვიტა კორსეტების ტარებაც. 1924-27 წლებ-

ში მათი გაყიდვა 11 პროცენტით შემცირდა. აღარაფერს ვამბობთ მოკლე თმის ვარცხნილობის პოპულარობაზე, რაც მაშინ აგრეთვე გარკვეულ სითამამეს მოითხოვდა.

გარეგნობასთან ერთად შეიცვალა ქალთა ქცევის სტილიც, ისინი სულ უფრო მეტად ეძალებოდნენ სასმელსა და თამბაქოს, ხოლო ასეთი სიამოვნების მიღება ყველაზე უკეთ არალეგალურ რესტორნებსა თუ ბარებში შეიძლებოდა. უნინ ქალი იშვიათად შედიოდა რესტორანში, ხოლო სალუნებში ძირითადად მამაკაცები და უძველესი პროფესიის წარმომადგენელი ქალები იკრიბებოდნენ. ამ მიმართულებით აშკარა ლიბერალიზაცია გამოიხატა და, მართალია, იატაკქვეშა რესტორნებს არც მაშინ მოკლებიან პროფესიონალები, მაგრამ მათ გვერდით სულ უფრო ხშირად ე. წ. ნესიერი ოჯახიშვილებიც ჩნდებოდნენ ხოლმე. სხვათა შორის, არც მამაკაცები ვერიდებოდნენ ცოლებთან ერთად რესტორნებში შესვლას.

აღარც ალკოჰოლური სასმელების სმა და თამბაქოს მოწევა ითვლებოდა განსაკუთრებულ ცოდვად. უფრო მეტიც, ეს მოდურიც გახდა. ამის საუკეთესო დადასტურებაა მაშინდელი რეკლამაც, სადაც სულ უფრო ხშირად ჩანდა მაღალი წრის მწვეველი ქალის სახე. არადა ამერიკელი ბიზნესმენები არც ისეთი წინდაუხედავი ხალხი იყო, რომ რეკლამისათვის რაიმე აშკარად უზნეო ქცევის ნორმები გამოეყენებინა. ამას მათ ჯერ კიდევ პურიტანული ამერიკა არავითარ შემთხვევაში არ აპატიებდა. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 1904 წლის 28 სექტემბერს ნიუ-იორკში, მეხუთე ავენიუზე დააპატიმრეს ქალი, რომელმაც ქუჩაში მოწევა გაბედა. დაახლოებით ამავე პერიოდში ამერიკის პრეზიდენტის ქალიშვილს ალის რუზველტს დაატოვებინეს ჩიკაგოს ერთ-ერთი სასტუმროს შოლი, როდესაც მან სიგარეტის მოწევა სცადა. 1905 წლის მარტში ინდიანას შტატში აიკრძალა სიგარეტის გაყიდვა და ჯარიმა 35 დოლარამდე აღწევდა.

რესტორნებში მარტო ჭამა-სმითა და თამბაქოს წევით არ კმაყოფილდებოდნენ. ოციანი წლების თეთრკანიან ამერიკელებში სულ უფრო პოპულარობით სარგებლობდა ჯაზი და ახალი მოდური ცეკვები, მაგრამ მაღალი ზნეობის ქომავნი აქაც პოულობდნენ კრიმინალს. ჯაზი მათ ზანგებში აღმოცენებულ მეტისმეტად ვნებიან, სექსუალურ მუსიკად შერაცხეს, ხოლო მოდაში შემოსული ცეკვები, სადაც ქალ-ვაჟი „მეტისმეტად“ ეხვეოდა ერთმანეთს,

ამორალურობად. ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარის მტკიცებით, თვით სიტყვა „ჯაზი“ თავდაპირველად შავკანიანთა სლენგზე სექსს ნიშნავდა.

1909 წელს ამერიკაში ლექციების მოკლე კურსი ნაიკითხა ცნობილმა ავსტრიელმა ფსიქონალიტიკოსმა ზიგმუნდ ფროიდმა. შემდგომში ამ ლექციებმა უდიდესი პოპულარობა სწორედ ამერიკაში მოიპოვა. თუმცა ფროიდს ამერიკა მაინცადამაინც არ მოეწონა — „ამერიკა ეს შეცდომაა, მართალია გრანდიოზული შეცდომა, მაგრამ მაინც შეცდომა.“ შემდგომში ისიც დაამატა, რომ ამერიკელები მის თეორიებს, უკეთეს შემთხვევაში, რეკლამისათვის თუ გამოიყენებენ. მართლაც, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ქვეცნობიერების და ცნობიერების არსი მშვენიერად გამოიყენეს სარეკლამო საქმეში. ეს კარგად ჩანს ერთ-ერთ სარეკლამო რჩევაში, „როდესაც ქალი კარგ წინდებს ყიდულობს, იგი ლამაზ ფეხებს ყიდულობს, ხოლო, როდესაც კაცი კარგ მანქანას ყიდულობს, იგი პრესტიჟს ყიდულობს“.

ქალთა ემანსიპაციის ზოგიერთმა თავგამოდებულმა მომხრემ ქვეცნობიერის ცნობიერების კონტროლისაგან განთავისუფლება სექსუალური თავისუფლების იდეას დაუკავშირა. მართალია, სექსუალური რევოლუცია მხოლოდ 1960-იან წლებში განხორციელდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ 20-იანი წლები ამ რევოლუციის რეპეტიცია იყო და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ქალის და მამაკაცის ურთიერთობა ნამდვილად აღარ შეეფერებოდა ვიქტორიანულ სტანდარტებს. სხვათა შორის, ეს ახალი „კულტურტრეგერები“ სმასა და თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის დამკვიდრებას გარკვეული სოციალური პროტესტიტაც საბუთებდნენ და მიაჩნდათ, რომ ქცევის ნორმები ინდივიდის პირადი საქმეა და არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოსა თუ საზოგადოების კონტროლს.⁶ 1920-იანი წლებისათვის ვიქტორიანულ ტრადიციებზე აღზრდილმა დედებმა აღმოაჩინეს, რომ კოცნა მათი გაუთხოვარი ქალიშვილებისათვის არც თუ უცხო ხილი იყო და აღარც სექსუალურ თემებზე გულახდილი საუბარი იყო მაინცდამაინც გასაკვირი. ამან შოკი გამოიწვია მშობლებში. ქორწინებამდე ინტიმური ურთიერთობის შესახებ მათ უბრალოდ ფიქრიც კი ვერ წარმოედგინათ. ამ წლების სლენგს ეკუთვნის სიტყვა „ფეთთინგი“, რაც მოფერებას, გვიანლამის წვეულებებზე ფლირტსა და კოცნას

ნიშნავდა. ესეც სერიოზული პრობლემა გახდა. ერთი მხრივ, მშობლებს უნდოდათ უმნიკვლოდ მიეყვანათ თავიანთი ქალიშვილები ქორწინებამდე, მეორე მხრივ, ე.წ. მაღალი წრის საზოგადოების ცხოვრება უფრო თავისუფალი იყო და იქიდან ამოვარდნაც არ იყო სასურველი. მართალია, ასეთი ცხოვრების სტილი — ხანგრძლივი მიღებები, ალკოჰოლი, სიგარეტი, ვნებიანი ცეკვები და კოცნა — ნესიერ გოგონათა შედარებით მცირე ნაწილს ეხებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო ამერიკელთა გასაოგნებლად.

როგორც ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელი ფრენსის კლარკი აცხადებდა, „თანამედროვე უნესო ცეკვები“ პირდაპირი შეტევა იყო ქალურობის სინმინდებზე, ოჯახებისა და სამოქალაქო ცხოვრების ძირითად საფუძვლებზე. ფლორიდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი მერფი მოკლე კაბებს და მოკლე ვარცხნილობას ეშმაკის და მის მომხრეთა ქმედებად თვლიდა, რომელიც ამჟამინდელ და ასევე მომავალ თაობებს ქაოსისა და განადგურებისაკენ უბიძგებდა. ბევრი საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაცია მკაცრად კიცხავდა „სიშიშველესა და უზნეო ცეკვებს“.⁷

ამ წლებში მოდაში შემოვიდა დამოუკიდებლად მოაზროვნე და თავისუფალი ქცევით გამორჩეულ ახალგაზრდა ქალების ტიპი, რომელთაც სლენგზე „ფლაფერებს“, ტკაცუნებს უწოდებდნენ და გულისხმობდნენ ემანსიპირებულ ქალებს. 1922 წლის „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ერთ-ერთი ყოფილი ფლაფერი, იხსენებდა რა ამ ფენომენს, აღნიშნავდა, „ფლაფერი, რასაკვირველია, ამაყობს თავისი გამბედაობით, მას იმისიც კი არ ეშინია, ყველაფერს საკუთარი სახელი დაარქვას. ის უსირცხვილოა, ეგოისტი და მეტისმეტად გულახდილი. ამ სამივე კატეგორიას იგი ღირსებად მიიჩნევს. რატომაც არა? იგი კაცით აზროვნებს, რასაც დედამისი ვერაფრით გაბედავდა და მას არ ეშინია ნაგების აღიარება, იქნება ეს საუკეთესო საყვარლის თუ აუქციონზე 20 დოლარის დაკარგვა. თუ ეს მას მოეპრიანება, ყოველგვარი სულელური დაპირებებისა და წინაპირობების გარეშე, შეუძლია ჰქონდეს ხანმოკლე სასიყვარულო ურთიერთობა სრულიად უცხო მამაკაცთან და არავის ჩააბარებს ანგარიშს თავის ქმედებაზე.“⁸ თუმცა, როგორც ამბობენ, ოციანი წლების დასასრულისათვის

ფლაფერები მოდაში აღარ იყვნენ და ისინი ახალი ტიპის ქალებმა, ე.წ. სირენებმა შეცვალეს.

ქალთა ამ თავისებურ ამბობს გარკვეულწილად ეკონომიკურმა ფაქტორმაც შეუწყო ხელი. ოციანი წლების ქალი, რომელიც შინიდან გამოვიდა და მამაკაცის ტოლ სოციალურ თავისუფლებას მოითხოვდა, მთავარ მყიდველად იქცა. სწორედ ქალი იყო ყოფითი პროდუქტების თითქმის მთავარი შემსყიდველი კოსმეტიკის სფეროდან დანყებული საშინაო ყოფითი ატრიბუტებით დამთავრებული. ხოლო, ვინაიდან მომხმარებელი ყოველთვის სწორია, მას მუდამ უნდა დაუყვავო. ასე რომ, მასობრივი მოხმარების საზოგადოება მნიშვნელოვანწილად იზიარებდა ქალთა გემოვნებას და მაქსიმალურად უყვავებდა მას. მსგავსი ცხოვრების სტილის გავრცელებას გარკვეულწილად ამერიკულმა კინემატოგრაფმაც შეუწყო ხელი. ვინაიდან კინოვარსკვლავთა ჩაცმა-დახურვა და ცხოვრების სტილი მისაბაძი იყო ამერიკელი ქალებისათვის. ეს, მათი აზრით, უმაღლესი სტანდარტი იყო. მაგრამ ვაი, რომ ჰოლივუდის მრავალი მკვიდრი შორს იდგა უმაღლესი ზნეობრივი იდეალებისაგან.

ქალთა ემანსიპაცია რელიგიურ სფეროშიც გამოიხატა. 1920-იანი წლების დასაწყისისათვის უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა ცნობილმა ევანგელისტმა ქალმა ემი სემფლ მაკფერსონმა, რომელიც ათასობით ადამიანს იკრებდა თავის ქადაგებებზე, განსაკუთრებით სამხრეთ კალიფორნიაში. მისი ლოცვის დროს ერთმა ინვალიდმა ქალმა ფეხი აიდგა და ამ სასწაულმა ძალზე ასწია მისი ავტორიტეტი. ამაზე ემიმ განაცხადა, „მე არ ვარ განმკურნებელი, ქრისტეა მკურნალი, მე მხოლოდ პატარა მომსახურე გოგონა ვარ, რომელიც ალებს კარებს და ამბობს მობრძანდითო.“ 1921 წელს იგი განქორწინდა, თუმცა ამან არ შეამცირა მისი თაყვანისმცემლები. მის ქადაგებებს საშუალოდ 5 ათასი ადამიანი ესწრებოდა, რომელთაც მოსწონდათ ამ თავყრილობის მხიარული გარემო მუსიკით, ცეკვით, რძით და თაფლით. ხშირად ეს ნამდვილი თეატრალიზებული შოუ იყო. თუმცა ამ წარმატებას ემის რომანტიკულმა გატაცებამ მოულო ბოლო.

35 წლის მარტოხელა ემის თავისი ტაძრის რადიოსამსახურის უფროსი შეუყვარდა. მაგრამ მისი კულტი კრძალავდა ხელახალ ქორწინებას და მან თავის საყვარელთან ერთად გაქრობის სცენა გაითამაშა — ზღვაში შესცურა და ნაპირზე აღარ გამოვიდა. მას

ათასობით ადამიანი უშედეგოდ ეძებდა და ყველა დარწმუნდა, რომ დაიხრჩო, ერთმა სასონარკვეთილმა გოგონამ თავიც კი მოიკლა, ერთი კაცი კი წყალში გადახტა ყვირლით — მე მას მივყვებიო და დაიხრჩო კიდევ. მაგრამ 32 დღის შემდეგ ემი უეცრად გამოჩნდა და მოყვა, რომ უცნობებმა მექსიკაში უდაბნოში გაიტაცეს და ძლივს დაუსხლტა მათ, შემდეგ კი ამერიკის საზღვრამდე ფეხით მოაღწია. თუმცა სკეპტიკოსებს უკვირდათ, რომ უდაბნოში სიარულისას არც ფეხსაცმელები გაცვეთია და არც კანი დაწვია, მაგრამ დაუფერეს და ეს ამბავი თითქოს ჩაცხრა. თუმცა ემი როლში შეიჭრა და კატეგორიულად მოითხოვდა გამოძიებას, რათა მომტაცებლები დაეჭირათ. ამაზე იტყვიან „თაგემა თხარა თხარაო . . .“ აღმოჩნდა, რომ არავითარი გატაცება არ ყოფილა და ემი და მისი საყვარელი ამ ერთი თვის მანძილზე ცალკე ქოხში იმალებოდნენ და თავისებური თაფლობის თვე მოიწყვეს. მაგრამ საბოლოოდ ისინი დასცილდნენ ერთმანეთს და ემიც დაბრუნდა. იგი ამის შემდეგაც აგრძელებდა ქადაგებას, თუმცა ძველი დიდება უკვე წარსულს ჩაბარდა.

ამ დროისათვის დიდი პოპულარობა მოიხვეჭა სკანდალურმა სექს ჟურნალებმა, სადაც მეტისმეტად გულახდილი მოთხრობები და სიუჟეტები იბეჭდებოდა. მაგალითად, „რა ვურჩიე ჩემს ქალიშვილს გათხოვების წინა დღეს“, „ზარმაცი კოცნა“ და ა.შ. მართალია, „ფლეიბოისა“ და „ფენტჰაუსამდე“, რომ აღარფერი ვთქვათ, „ჰასტლერის“ მსგავს პორნოჟურნალებზე, რომლებიც 1950-იან და 1960-იან წლებში გამოჩნდა ამერიკულ ბაზარზე, ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ საფუძველი ამ ყოველივეს უკვე ოციან წლებში ეყრებოდა და სულ უფრო მეტი პურიტანელი ამერიკელი ინტერესდებოდა მსგავსი ჟურნალებით.

რასაკვირველია, არ იქნებოდა სწორი ყოველივე ზემოთქმულის გავრცელება მთელ ამერიკულ საზოგადოებაზე. იგი ძირითადად ცხოვრების გაცილებით უფრო ზომიერი ნორმების ერთგული რჩებოდა. მაგრამ აღნიშნული მოვლენების უგულვებელყოფაც არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ვინაიდან ეს მართლაც არსებობდა და მათ გარეშე 20-იანი წლების ამერიკის სურათი არ იქნებოდა არც სრულყოფილი, არც ობიექტური.⁹

ამერიკელი მწერლები მსოფლიოს იპყრობენ

საყოველთაოდ არის ცნობილი ბრწყინვალე ამერიკული ლიტერატურა: ჰენრი ლონგფელო, ჰენრი ჯეიმსი, სტივენ კრეინი, მარკ ტვენი, ფრენსის ბრეთ ჰართი, ჰერმან მელვილი, ედგარ პო, ჯექ ლონდონი, თეოდორ დრაიზერი, ო. ჰენრი, სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, ჯეიმს ბოლდუინი, ჯერომ სელინჯერი, კურტ ვონეგუტი, რობერტ პენ უორენი, ჯონ აპდაიკი, გორ ვიდალი, ჯონ ჩივერი, სტივენ კინგი და მრავალი სხვა არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიოს სულიერ საუნჯესა და სიამაყეს წარმოადგენენ. მაგრამ ამ არაჩვეულებრივ თანაეარსკვლავედშიც კი ოციანი ნლების მწერლობა გამოირჩევა თავისი მუხტით და სიახლის ძიებით. შეიძლება ითქვას, რომ არც მანამდე და არც მერე ამერიკულ მწერლობაში ერთად ამდენი ჭეშმარიტად ბრწყინვალე მწერალი არ ყოფილა.

ამიტომაც, ბუნებრივია, რომ, როდესაც 1920-იანი წლების კულტურაზე ვლაპარაკობთ, ალბათ, პირველ რიგში, ამერიკული ლიტერატურა უნდა დავასახელოთ. მანამდე ამერიკა, მიუხედავად უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენისა, მიუხედავად მისი გენიალური მოღვაწეებისა, კულტურულ ასპექტში მაინც ევროპაზე დამოკიდებულ, მისი ტრადიციების გამგრძელებელ ქვეყნად მოიაზრებოდა. მაგრამ 1920-იან წლებში სწორედ ამერიკელმა მწერლებმა დაამტკიცეს ამერიკის კაშკაშა თვითმყოფადობა და მთელს მსოფლიოში გაუთქვეს სახელი თავიანთ სამშობლოს. რად ღირს თუნდაც სინკლერ ლიუისის, შერვუდ ანდერსონის, სკოტ ფიცჯერალდის, ჯონ დოს პასოსის, უილიამ ფოლკნერის, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ სტაინბეკის, შერვუდ ანდერსენის, ედიტ უორტონის, ელენ გლაზგოუს სახელები. ამერიკის პოეზიაში კი: კარლ სენდბერგი, რობერტ ფროსტი, ტომას ელიოტი, ეზრა პაუნდი, რობინსონ ჯეფერსი, ედვარდ ქამინგსი და ჰარტ კრეინი ბრწყინავდნენ.

ბუნებრივია, ყოველი მათგანის შემოქმედების დახასიათების საშუალებას არც ამ წიგნის დანიშნულება და არც მისი ფორმატი არ გვაძლევს, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ, ზოგადად მაინც განვიხილოთ განსაკუთრებით გამორჩეული მწერლების მოღვაწეობა, რომელთაც უდიდესი დაღი დაასვეს ამ ეპოქას.

სინკლერ ლიუისი (1885-1951) მინესოტას შტატის პატარა ქალაქ სოკ სენტრში დაიბადა ექიმის ოჯახში და 15 წლიდან ადგილობრივ გაზეთში იბეჭდებოდა. მან პრესტიჟული იელის უნივერსიტეტი დაამთავრა (საინტერესოა, რომ, თუ 1910 წლამდე ახალგაზრდა ამერიკელი მწერლები ძირითადად ჰარვარდის კურსდამთავრებულები იყვნენ, 1920-იან წლებში სხვა უნივერსიტეტებიც ჩაებნენ ამ ფერხულში, განსაკუთრებით პრინსტონის და იელის უნივერსიტეტები, გარდა ამისა, ჩიკაგოს, ვანდერბილდის, სტენფორდის უნივერსიტეტები, დასავლეთის და სამხრეთის შტატების უნივერსიტეტები) და შემდეგ კალიფორნიის სხვადასხვა გაზეთში მუშაობდა. იქ ჯექ ლონდონი გაიცნო და ამბობენ, რომ მას რამდენიმე სიუჟეტიც კი მიჰყიდა მოთხრობებისათვის. გაიცნო აგრეთვე ცნობილი ამერიკელი მწერალი აპტონ სინკლერი. ამ დროს სამივე მწერალი სოციალისტური იდეებით იყო გატაცებული. 1916 წელს რომანის „შევარდნის ნაკვალევის“ გამოქვეყნების შემდეგ ლიუისი მხოლოდ ლიტერატურული საქმიანობით იყო დაკავებული. ჟურნალისტიკამ მას უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება და უამრავი სიუჟეტი შესძინა. ომის შემდეგ დაბეჭდილმა რომანებმა მას არა მარტო ამერიკული, არამედ საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. ლიუისის საყვარელი გმირი ე.წ. საშუალო ფენის რიგითი ამერიკელი იყო. 1920 წელს გამოცემულ რომანში „მთავარი ქუჩა“ იგი პატარა ამერიკული ქალაქის მაგალითზე პროვინციული ამერიკის ცხოვრებას აღწერდა, რომელშიაც, მიუხედავად არსებული სტერეოტიპებისა, რომ იქ თითქოსდა ყველა ერთმანეთის მოყვასი იყო და ყველაფერი სიკეთით სუნთქავდა, მეშჩანობაცა და გაუტანლობაც საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. არც სატირა იყო მისთვის უცხო და სწორედ მსგავსი სულისკვეთებით არის აღსავსე მისი საყოველთაოდ ცნობილი 1922 წელს გამოცემული რომანი „ბებიტი“. აქ უკვე შედარებით უფრო დიდი ქალაქის ბიზნესმენტა და ძლიერთა ამა ქვეყნისა ცხოვრებაა აღწერილი. რომანის გმირი ბიზნესმენი ბებიტი თავისი კლასის საკმაოდ ტიპური წარმომადგენელია, რომელშიც ამ კატეგორიის ხალხის სუსტი და ძლიერი მხარეებია შერწყმული. თუმცა, საბოლოო ჯამში, მისი შეფასება უფრო კრიტიკულია. ბებიტი მსგავსი კატეგორიის ამერიკელების სინონიმადაც კი იქცა.

ბებიტის ობივატიელურ ფსიქოლოგიას მწერალმა მეცნიერისა და მოქალაქის შემოქმედებითი ტიპი დაუპირისპირა 1925 წელს გამოქვეყნებულ „ეროუსმითში.“ ამ წიგნისათვის სინკლერ ლიუისს პულიცერის პრემია მიანიჭეს, მაგრამ მან კატეგორიული უარი თქვა მის მიღებაზე და აღნიშნა, რომ პრიზები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ ავტორებზე, აიძულებენ მათ გამხდარიყვნენ „უსაფრთხო, ზრდილობიანი, დამჯერი და სტერილურები“. ლიუისმა სხვა მწერლებსაც მოუწოდა უარი ეთქვათ მსგავს პრემიებზე, რათა შემოქმედებითი თავისუფლება შეენარჩუნებინათ.

საერთოდ, მისი რეალისტური პროზა არა მარტო უდიდესი ლიტერატურული შემოქმედებაა, არამედ, ობიექტურობის წყალობით, შეიძლება დიდებულ ისტორიულ წყაროთაც ჩაითვალოს ყველასთვის, ვისაც ამ პერიოდის ამერიკის ცხოვრება აინტერესებს. ცნობილმა კრიტიკოსმა ჰენრი მენკენმა, ალბათ, სავსებით მართებულად დაარქვა მას ამერიკული კულტურის ანატომი. ლიუისი, ალბათ, ერთ-ერთი პირველი იყო, ვის ნაწარმოებებშიც გამოიკვეთა ისეთი ცნებები, როგორცაა „მასობრივი კულტურა“, „მასობრივი საზოგადოება“ „პიროვნების გაუცხოება“ და ა.შ.

გამოჩენილი ამერიკელი მწერალი შერვუდ ანდერსონი (1876-1941) ასევე შუა დასავლეთის (ოჰაიოს შტატი) პროვინციული ქალაქის მკვიდრის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მას მძიმე შრომით მოუწია ცხოვრების დაწყება და უსახსრობის გამო უმაღლესიც ვერ დაამთავრა. ომში მონაწილეობის შემდეგ საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენიც გახდა, მაგრამ ფილოსოფიური სულისკვეთებით აღსავსე ადამიანს მალე გული აუცრუვდა ბიზნესზე (მისი გარდაცვალების შემდეგ მშობლიურ ქალაქ ელირიის გაზეთში, ნეკროლოგში ეწერა, რომ „გარდაიცვალა შერვუდ ანდერსონი, ელირიის ყოფილი ბიზნესმენი“). მისი მსოფლმხედველობა სულ უფრო კრიტიკული ხდებოდა ამერიკული ცხოვრების წესის მიმართ, რაც ბრწყინვალედ გამოიხატა კიდევ 1914 წელს გამოქვეყნებულ პირველ ნოველებში. მისი პირველი რომანი „უნენდი მაკფერსონის ვაჟი“ 1916 წელს გამოქვეყნდა, რომელსაც მოჰყვა „ადამიანები მარშის დროს“ და სხვ. მაგრამ მისი შემოქმედების საუკეთესო ნაწილი მის ნოველებში იყო თავმოყრილი. განსაკუთრებით ცნობილია ოციანი წლების დასაწყისის ნოველების კრებული „უაინსბერგი, ოჰაიო“ „კვერცხის ტრიუმფი,“ „ცხენები

და ადამიანები“. ამ ნოველების წერის დროს გამომცემელი მას ყოველ კვირა გარანტირებულად უხდიდა 75 დოლარს, მაგრამ უზრუნველყოფილმა ცხოვრებამ ისე გააზარმაცა ანდერსონი, რომ გამომცემელს სთხოვა, „ნულარ მიგზავნი ჩეკებს, დამიბრუნე ჩემი სილატაკეო.“ 1920-იან წლებში გამოცემულ რომანებში „ლარიბი თეთრკანიანი“ და „ბნელი სიცილი“ ანდერსონის ფსიქონალიზით გატაცებაც გამოიკვეთა.

მეტად ემოციური და ლირიკული ხელოვანი ტომას ვულფი (1900-1938) სრულიად ახალგაზრდა, მენინგიტისაგან დაიღუპა, მაგრამ დიდი კვალი დატოვა ამერიკულ ლიტერატურაზე. მისი მთავარი რომანია „შინისკენ მიიხედე ანგელოზო,“ რომელშიც პატარა სამხრეთულ ქალაქში მწერლის ბავშვობისა და ახალგაზრდობის მოგონებაზე დაფუძნებული მოვლენებია ასახული. სხვათა შორის, ვულფის თანამოქალაქეებმა საკუთარი თავი შეიცნეს ამ რომანში და მკაცრად გააკრიტიკეს იგი. ასევე მნიშვნელოვანი რომანებია „დროისა და მდინარის შესახებ“ და „შინ ველარ დაბრუნდები“. წარმოსადეგი გარეგნობისა და დროს ტარების მოყვარულ ვულფს საშინელი ხელწერა ჰქონდა და ჩიოდა, „ლამაზი ქალების პოვნა არასოდეს გამჭირვებია, მთავარი პრობლემა იყო მომენახა ისეთი მბეჭდავი ქალი, რომელიც ჩემს ხელნაწერს გააჩვენდა“.

ოციანი წლების, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული მწერალი ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი (1896-1940) საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო, მაგრამ პრინსტონის უნივერსიტეტში სწავლისას, სადაც გაცილებით უფრო მდიდრების შვილები სწავლობდნენ გარკვეული კომპლექსები და მონივნებაც კი გაუჩნდა მათ მიმართ (ეს გრძნობები ჰემინგუეიმ გააუღერა თავის ერთ-ერთ რომანში, სადაც თითქოს ფიცჯერალდის სიტყვებზე, რომ „მდიდრები განსხვავდებიან ჩემგან და შენგან“ — მას უპასუხეს — „ღიახ, მათ მეტი ფული აქვთ“).

სწორედ ფიცჯერალდმა მონათლა ოციანი წლები „ჯაზის ეპოქად“ და ეს სახელი მართლაც მოუხდა დაუოკებელ, გონებადაკარგულ და სიამოვნების მაძიებელ ოციანებს. მაგრამ მწერალმა არა მარტო სახელი მისცა ამ ერას, არამედ იგი თავად იყო ამ ეპოქის აზრის გამომხატველი და, გარკვეულწილად, მისი ტიპური პროდუქტიც.

მისი ნაწარმოებები გამოირჩევა ლირიზმით, პოეტურობით, პლასტიკურობით და ფსიქოლოგიზმით. თავისი პირველი რომანი „სამოთხის აქეთა მხარე“, რომელზეც ცნობილმა კრიტიკოსმა ჰ. მენკენმა თქვა — „ეს კარგი ამბებით გამოტენილი ცუდი ნიგნიაო“, მან 1920 წელს დაწერა და მისი გამოცემიდან მეორე დღით უკვე აღიარებულ მწერლად გაიღვიძა, პირველივე კვირას ნიგნის 20 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. საკუთარი სტუდენტური წლების მოგონებებით გაჯერებულ ნიგნში იმ პერიოდის შეძლებულ ახალგაზრდა ამერიკელთა ცხოვრება და ომის შემდგომი ახალგაზრდობის განწყობილებანი ასახა. იმ „თაობისა, რომელსაც წინა თაობაზე მეტად ეშინოდა სიღარიბის და რომელმაც წარმატებისადმი ქედისმოხრით აღმოაჩინა, რომ ძველი ღმერთები დაიხოცნენ, ყველა ომებმა გადაიქუხეს და ყოველგვარი რწმენა ამოძირკვულია“. შემდეგ გამოაქვეყნა მოთხრობების ციკლები „სატკაცუნები და ფილოსოფოსები“ (1920წ.) და „ჯაზის ეპოქის ზღაპრები“ (1922წ.). რომანი „მშვენიერნი და დაწყველილნი“ ამავე 1922 წელს გამოქვეყნდა.

ფიცჯერალდი დაქორწინდა ქერათმიან ლამაზმანზე ალბამიდან ზელდა სეიერსზე, რომელიც თავს იკავებდა ქორწინებაზე, სანამ საქმრო ეკონომიკურად არ მოძლიერდებოდა. მათი ოჯახური ცხოვრება თავანწყვეტილი დროს ტარება იყო ნიუ-იორკის მეხუთე ავენიუს ბარებსა თუ რესტორნებში, სადაც უგონოდ მთვრალი ფიცჯერალდი ტაშით აქეზებდა მაგიდაზე მოცეკვავე, ასევე არც თუ ფხიზელ, მეუღლეს.

4 წელიწადში მათ 113 ათასი დოლარი დახარჯეს და ვალებიც საკმაოდ დაუგროვდათ. 1924 წელს, როგორც მრავალი ამერიკელი ექსპატრიანტი ხელოვანი, რომელთაც ევროპის შემოქმედებითი გარემოს გარდა, იქ არსებული სიიაფიც იზიდავდა, ისინი პარიზში გადავიდნენ საცხოვრებლად და 1931 წლამდე დარჩნენ. თუმცა უკვე პატარა გოგონა ჰყავდათ, მაგრამ ცხოვრების სტილი არ შეუცვლიათ, ბევრს მოგზაურობდნენ და არავითარ სიამოვნებას არ იკლებდნენ. ეს პერიოდი ფიცჯერალდის შემოქმედების მწვერვალი იყო და 1925 წელს დაწერილი „დიდი გეტსბი“ დღესაც ამერიკული ლიტერატურის კლასიკად ითვლება. იმ დროის ნუვორიშებისათვის ჩვეული, უკანმოუხედავი, ხშირად უაზრო და დამქანცველი დროსტარების ფონზე ნაჩვენებია მთავარი გმირის სიყვარულიდან

გამომდინარე ტრაგედია, შეუსაბამობა მის წარსულსა და თითქმის ახდენილ ოცნებას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ფიცჯერალდი პარიზსა და ამერიკაში ბევრს წერდა და 1934 წელს ასევე შესანიშნავი რომანი „წყნარია ღამე“ გამოაქვეყნა, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით „დიდი გეტს-ბის“ შემდეგ ფიცჯერალდის შემოქმედებაში დაღმასველა დაიწყო, მით უმეტეს, რომ იგი უკვე ფიზიკურად და ფსიქიკურადაც ვეღარ უძლებდა გაუთავებელ ლოთობასა და დროს ტარებას. ზელდაზე ეჭვიანობის გამო მას დუქლიც კი ჰქონდა ფრანგ მფრინავთან, მაგრამ, საბედნიეროდ, ორივემ ააცილა მიზანს. ასე მუშაობა სულ უფრო ჭირდა და თუმცა ფიცჯერალდი გაიძახოდა, რომ ფხიზელი მხოლოდ სულელურ ნაწარმოებებს ვწერო, იგი ნამდვილად ლუპავდა საკუთარ ნიჭს. ზელდაც სულიერად დაავადდა და სიკვდილამდე, 14 წელი ფსიქიატრიულ სანატორიუმში გაატარა.

მოგვიანებით, 1935 წელს, როდესაც ფიცჯერალდის დიდებამ იკლო და მას ნაკლებად ბეჭდავენენ, იგი ჰოლივუდისათვის სცენარების წერასაც კი დათანხმდა. შემდგომში ამის თაობაზე იგონებდა — „თქვენ გეუბნებიან, რომ აქ დაგპატიჟეთ, რადგან ვაფასებთ თქვენს ინდივიდუალობას, მაგრამ, სანამ ჩვენთან მუშაობთ, სამუდამოდ დაივიწყეთ ამის შესახებ“. მისი ბოლო რომანი „უკანასკნელი მაგნატი“ ჰოლივუდის ცხოვრებას აღწერდა, მაგრამ მწერალმა მისი დასრულება ვერ მოასწრო და 44 წლის ასაკში გულის შეტევისაგან გარდაიცვალა. მას უნდოდა, რომ მერილენდში, ქალაქ როკვილის კათოლიკური ეკლესიის ეზოში დაეკრძალათ, მაგრამ ეკლესიამ იგი მეტისმეტად ცოდევილად ჩათვალა და იგი ეკლესიის ეზოს ქუჩის მეორე მხარეს დაასაფალვეს.¹⁰

ჯონ დოს პასოსი (1896-1970) დაიბადა პორტუგალიელი ემიგრანტების ოჯახში, დაასრულა ჰარვარდის უნივერსიტეტი და, როგორც მოხალისე სანიტარი, I მსოფლიო ომშიც მონაწილეობდა. 1921 წელს მან დაწერა რომანი „სამი ჯარისკაცი“, რომელშიც სამი ამერიკელი ჯარისკაცის ბედი აღწერა ამ ომის დროს. ომისაგან დატანჯული ერთ-ერთი გმირი ასკვნის — „ცივილაზიციან არაფერია, თუ არა თვალთმაქცობის უზარმაზარი კომპი და ომი მისი განადგურება კი არა, მისი აბსოლუტური და სრული გამოვლინებაა“. 1925 წელს გამოქვეყნდა მისი ცნობილი რომანი „მანჰეტენი“. განსაკუთრებული ადგილი მის შემოქმედებაში უკავია

ტრილოგიას „აშშ“, რომელიც შედგება რომანებისაგან — „42 პარალელი“, „1919“ და „დიდი ფული“. ტრილოგია XX საუკუნის პირველი 30 წლის ცხოვრებას ასახავს. ეს მეტად თამამი და ორიგინალური მხატვრული ნაზავია. კომპოზიციურად მეტად საინტერესოა, ოთხი პარალელური ხაზი: ნანარმოების გმირთა პორტრეტები და ცხოვრება, ისტორიულ პირთა პორტრეტები, დღის სიახლეები და კამერა ობსკურა, თავისებური კინო-თვალი.

სხვათა შორის, დოს პასოსი 1921 წელს აგვისტოში ორი კვირა იმყოფებოდა საქართველოში — თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და თავისი შთაბეჭდილებებიც გამოაქვეყნა.¹¹

XX საუკუნის გამორჩეული კლასიკოსი და ამერიკული ლიტერატურის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მიმართულების უბრწყინვალესი წარმომადგენელი, უილიამ ფოლკნერი (1897-1962) დაიბადა პატარა ქალაქ ნიუ-ოლბანიში, მისისიპის შტატში. მისი მშობლები ძველი მონათმფლობელური არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც სამოქალაქო ომმა გააკოტრა. ახალგაზრდა ფოლკნერი I მსოფლიო ომის დროს მოხალისედ წავიდა კანადურ ავიანაწილში, მაგრამ სამხედრო წვრთნის დროს დაშავდა და თუმცა ევროპაში გაემგზავრა, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ვეღარ მიიღო. ამის შემდეგ მუშაობდა მისისიპის უნივერსიტეტის საფოსტო განყოფილებაში და ამავე დროს 3 წელი ლექციებსაც ესწრებოდა. შემდეგ ახალ ორლეანში ჟურნალისტობდა, სადაც შერვუდ ანდერსონი გაიცნო და მისგან ბევრიც ისწავლა. ანდერსონმა ახალგაზრდა ფოლკნერს უთხრა „ყველაფერი, რაც თქვენ იცით, ეს არის მინის პატარა ნაგლეჯი, იქ მისისიპში, საიდანაც თქვენ გამოხვედით. თუმცა ესეც სავსებით საკმარისია“. შემდგომი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ფოლკნერმა მართლაც მშობლიურ ქალაქში გაატარა და მის ნანარმოებებში მოვლენებიც სწორედ ამ პატარა „მინის ნაგლეჯზე“ ვითარდებოდა, მაგრამ სხვა სახელით. ეს იყო ე.წ. იოკნაპატოფას ოლქი, რომელიც ამერიკის არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული, თუმცა ყველა ხვდებოდა, რომ ეს მწერლის მშობლიური ლაფაიეტის ოლქი იყო, რაც დიდებულიად გამოიკვეთა 1929 წელს გამოქვეყნებულ რომან „სარტორისში“. საყოველთაოდ არის ცნობილი მისი „ხმაური და მძვინვარება“. რომანს საფუძვლად უდევს გამონათქვამი შექსპირის „მაკბეტი-

დან“ – „ცხოვრება – ეს იდიოტის მოყოლილი ისტორიაა, ხმაურითა და მძვინვარებით აღსავსე“.

30-იან წლებში გამოქვეყნდა მისი ე.წ. შავი რომანები: „სიკვდილის სარეცელზე“, „აგვისტოს ნათელი“ „აბესალომ, აბესალომ“. მისი ნაწარმოებები რთული და მრავალპლანიანია. თანაც მეტად უცნაურ და ორიგინალურ მანერაშია დანერგილი. მისი პერსონაჟები არიან თეთრი ფერმერები, ღარიბები, ზანგები, პლანტატორები, მის რომანებში კი მოულოდნელი დრამატული მოვლენები ვითარდება, დიდი და ძლიერი გრძნობები იფრქვევა.

ამერიკული კრიტიკა ფოლკნერს ხშირად ამერიკის სამხრეთის მემკვიდრედ მიიჩნევს და თვლის, რომ მშობლიური მხარის აღწერისას იგი ისე ღრმად შეიჭრა ადამიანის სულის საიდუმლოებებში, როგორც არც ერთი ამერიკელი მწერალი. ეს მშვენივრად გამოჩნდა ტრილოგიაში სნოუპსების ოჯახის შესახებ – „სოფელი“, „ქალაქი“ და „სახლი“.

საინტერესოა, რომ, თუ აქამდე მწერლები პროვინციას მეტროპოლიიდან უყურებდნენ, ფოლკნერმა პირიქით გააკეთა და პროვინციის თვალთ შეხედა ცენტრს. როგორც ცნობილია, ფოლკნერმა ნობელის პრემიაც მიიღო.

ერთ ინტერვიუში ნახევრად ხუმრობით განაცხდა, „ყველაზე საწყენი ის არის, რომ ერთადერთი რამ, რისი კეთებაც რვა საათის მანძილზე შეგვიძლია, ეს მუშაობაა. ჩვენ არ შეგვიძლია ვჭამოთ რვა საათის განმავლობაში, არ შეგვიძლია ვსვათ რვა საათის განმავლობაში (როგორ ეტყობა, რომ სტეინბეკისაგან განსხვავებით, საქართველოში არ ყოფილა), არ შეგვიძლია სასიყვარულო ვნებას მივეცეთ რვა საათის განმავლობაში.“¹²

ერნესტ ჰემინგუეი (1899-1961) დაიბადა ჩიკაგოს მახლობლად პატარა ქალაქ ოუკ პარკში, ექიმის ოჯახში. ბავშვობიდან მოუსვენარი იყო, უყვარდა ბუნება, მეგობრობდა ინდიელ ბავშვებთან, ხშირად სახლიდან იპარებოდა და სხვადასხვა დროს მინის მუშად, ოფიცინტად, კრივის მწვრთნელად მუშაობდა. სკოლის შემდეგ რეპორტიორად მუშაობდა გაზეთ „კანზას სტარში“. 1917 წელს ომში წავიდა მოხალისედ, მაგრამ დაზიანებული თვალის გამო საბრძოლო ნაწილებში ვერ მოხვდა. როგორც სანიტარი, მძიმედ დაიჭრა ჯერ ნალმზე, მერე კი, როდესაც დაჭრილი იტალიელი ჯარისკაცი

გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან, ტყვიამფრქვევის ჯერმა დაცხრილა. სასწაულად გადარჩა და რამდენიმე თვე ჰოსპიტალში დაყო.

ომში ასეთმა აქტიურმა მონაწილეობამ თავის დაღი დაასვა მწერლის მსოფლმხედველობას. 1920-იანი წლების ადრეულ ნაწარმოებებში „დაკარგული თაობის“ წარმომადგენლად გვევლინება, რომელიც იმედგაცრუებული და იმედდაკარგული, ომგამოვლილი თაობის აპათიას ასახავს. ამავე წლებში გამოიკვეთა წერის მისი განსაკუთრებული სტილი — ლაკონური, სადა და გამჭვირვალე. თავისი ორპლასტურობით, როდესაც მოვლენების ობიექტური, რეალისტური აღწერა შედუღებულია ქვეტექსტთან. ეს კარგად გამოჩნდა მის რომანში „და აღმოხდების მზე“ და მოთხრობების კრებულში „ჩვენს დროში“. განსაკუთრებული წარმატება ერგო 1929 წელს დაწერილ რომანს „მშვიდობით იარაღი“. ახალგაზრდა წყვილის (ამერიკელი ლეიტენანტი ჰენრი და ინგლისელი მედდა ქეტრინი) სიყვარულის ისტორია არაჩვეულებრივი ანტისაომარი პათოსით იყო აღსავსე და საყოველთაო აღიარება მოუტანა ავტორს. ომის შესახებ მან საკმაოდ მოკლედ და ამომწურავად აღნიშნა — „ომი შეიძლება უყვარდეთ მხოლოდ სპეკულანტებს, გენერლებს, შტაბისტებს და მეძავეებს. ისინი ომის დროს ისე ცხოვრობდნენ, როგორც არასდროს და იმდენი ფული იშოვეს, როგორც არასდროს“.

1930-იან წლებში გამოიცა მისი შედარებით ნაკლებად წარმატებული „სიკვდილი ნაშუადღევს“ და „აფრიკის მწვანე ბორცვები“, მაგრამ დიდი წარმატება მოუტანა „კილიმანჯაროს თოვლიანმა მთამ“ და ნოველამ „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება.“

შემინგიუეი აქტიურად ჩაება ესპანეთის სამოქალაქო ომში. მან საკუთარი ხარჯით შეიძინა და გააგზავნა ესპანეთში სანიტარული მანქანები და თვითონაც აქტიურად ჩაება იმ მოვლენებში. იგი ვერ იტანდა ფაშიზმს — „ფაშიზმი ეს ტყუილია, რომელსაც ბანდიტები ქადაგებენ.“ ფაშიზმისადმი სიძულვილით დაბრმავებულმა, ველარ აღიქვა, რომ კომუნისტები არაფრით არ იყვნენ უკეთესები. მუსოლინის ევროპის უდიდეს თაღლითს უწოდებდა, შესაბამისად, არც ჰიტლერზე იყო უკეთესი აზრის. საკმაოდ მკვეთრი აზრის იყო როგორც საკუთარ, ასევე ზოგადად მთავრობების შესახებ. „დღეს ჩვენ გვმართავენ ნაძირლები, იმის მსგავსი მღვრიე სითხე, რო-

მელიც რჩება ლუდის კათხის ფსკერზე, რომელშიაც მეძავებმა თავიანთი სიგარეტების ნარჩენები ჩაყარეს.“

თუმცა დანარჩენ ხალხზე გაცილებით უკეთესი წარმოდგენისა იყო — „სამყარო კარგი რამ არის და მისთვის ღირს ბრძოლა“. ამ პერიოდში დაწერა მან პიესა „მეხუთე კოლონა“ და რომანი „ვის უბმობს ზარი“ — ორივე ესპანეთის სამოქალაქო ომის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰემინგუეი კუბაზე ცხოვრობდა და საკუთარი კატარლით ეხმარებოდა სანაპირო დაცვას გერმანული წყალქვეშა ნაგების ძიებაში და ეს ამბები აღწერა კიდეც ნანარმოებში „კუნძულები ოკეანეში“. 1944 წელს მოკავშირეებთან ერთად საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაშიც იბრძოდა. სხვათა შორის, როდესაც მოკავშირეები პარიზში შევიდნენ პარტიზანთა ერთ-ერთ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში და დაიკავა მისთვის ესოდენ საყვარელი და მრავალ ნანარმოებში აღწერილი სასტუმრო „რიცი“. ვინაიდან ჟურნალისტს უფლება არ ჰქონდა სამხედრო ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა, სამხედრო პოლიციამ მის წინააღმდეგ საქმე აღძრა და საბოლოოდ მისი დახსნა თვით მოკავშირეთა მთავარსარდალს, დუაიეტ ეიზენშაუერს მოუწია. 1944 წლის დეკემბერში არდენებში იბრძოდა და ორჯერ დაიჭრა თავში. საბოლოოდ იგი დაჯილდოვდა მედლით სიმამაცისათვის.

მისი ტრიუმფი იყო 1952 წელს დაწერილი „მოხუცი და ზღვა“, რომლისთვისაც ნობელის პრემია მიიღო. ნანარმოების გმირის, მოხუცი მეზადური სანტიაგოს პირით მწერალი ამბობდა, რომ „აღამიანი შეიძლება მოსპო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია... აღამიანი იმისთვის არ შექმნილა, რომ დამარცხებები განიცადოს“, თუმცა თავად მეტად ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე და 1961 წელს სანადირო თოფით მოიკლა თავი.

ოციან წლებში დაიწყო თავისი მოღვაწეობა დიდმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ სტაინბექმა, მისი პირველი მოთხრობები სტენფორდის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ჟურნალ „სპექტეი-ითორში“ გამოიცა 1924 წელს, ხოლო 1929 წელს გამოიცა პირველი რომანი „ოქროს ხანა“. თუმცა ნამდვილი პოპულარობა 1930-40-იან წლებში მოიპოვა, განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპრესიის პერიოდის ფერმერთა ძნელბედობის ამსახველი „რისხვის მტევნები“. ერთხელ, მწერლობაზე საუბრისას, მეგობარს შესჩივლა, „ამ პრო-

ფესიასთან შედარებით საცხენოსნო დოლი სოლიდური და სტაბილური ბიზნესია.“

1947 წლის ზაფხულში იგი ცნობილ ფოტოხელოვანთან ე. კაპასთან ერთად საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც მოგზაურობდა, რის შედეგადაც გამოსცა ე.ნ. „რუსული ჟურნალი“, სადაც აღნიშნა რომ, „ქართველი ხალხი უფრო თავისუფალი გვეჩვენა, სხვებთან შედარებით, ლალი და მამაცი, სიცოცხლით სავსე. ალბათ, ეს არის ის, რის გამოც რუსები ასე შენატრიან მათ. ალბათ, მათაც უნდათ, რომ ისეთები იყვნენ, როგორც ქართველები არიან.“¹³

პასტორის ოჯახში დაბადებულმა თორნტონ უაილდერმა (1897-1975) იელის უნივერსიტეტი დაასრულა და მსოფლიო ომის დროს არტილერიაში მსახურობდა. მისი პირველი რომანი „კაბალა“ 1926 წელს დაიბეჭდა, მალე კი, 1928 წელს პულიცერის პრემია მიიღო ნიგნისათვის „მეფე ლუი წმინდას ხიდი“. უაილდერი დინჯად წერდა, მისი პროზა ნატიფი და ზოგჯერ ძველმოდურია. იგი გამოირჩეოდა უდიდესი ერუდიციით და როდესაც მის ერთ მეგობარს ჰკითხეს, თუ რა კოლეჯი დაამთავრა, მან სავსებით სერიოზულად უპასუხა – „კოლეჯი თორნტონ უაილდერი“. მას იმდენად მოსწონდა ისტორიული ფონი თავისი მოსაზრებების გადმოსაცემად, რომ კრიტიკოსთა საყვედურიც კი დაიმსახურა. საპასუხოდ, 1935 წელს რომანში „სამოთხეში მოხვედრა“ დეპრესიის პერიოდის რეალობა აღწერა. კრიტიკოსების აზრით, მისი ერთ-ერთი უმთავრესი ნაწარმოები 1967 წელს დაწერილი ამერიკული საგა „მერვე დღეა“. ისტორიულთან შედარებით მხატვრული ნაწარმოების უპირატესობას უაილდერი ასე ასაბუთებდა, „თუ დედოფალი ელისაბედი, ან ფრიდრიხ დიდი, ან ერნესტ ჰემინგუეი სხვის მიერ დაწერილ საკუთარ ბიოგრაფიებს წაიკითხავენ, გაიხარებენ, რომ მათი ყველა საიდუმლო კვლავ უცნობია სხვებისთვის, მაგრამ ნატაშა როსტოვას „ომი და მშვიდობა“ რომ წაეკითხა, გულზე შემოეყრებოდა და აღმოხდებოდა, „საიდან იცოდა ეს ტოლსტოიმ, როგორ გაიგო მან ეს“.

1920-იანი წლების ცნობილი მწერალი ქალები იყვნენ ედიტ უორტონი, უილა სიბერტ კეზერი და ელენ გლაზგოუ.

ედიტ უორტონს (1861-1937) ჰენრი ჯეიმსის მონაფედ მიიჩნევდნენ. იგი ნიუ-იორკის შეძლებული წრის წარმომადგენელი იყო

და ამავე საზოგადოებაში გააგრძელა ცხოვრება გათხოვების შემდეგაც. მისი განსაკუთრებით ცნობილი რომანია 1920 წელს გამოსული „უმანკოების საუკუნე“, 1924 წელს გამოვიდა მისი „შინაბერა ქალბატონი“, 1929 წელს „ხიდი მდინარე ჰუდზონზე“. იგი ნიუ-იორკის არისტოკრატიული წრის ცხოვრებას აღწერდა, ზოგჯერ საკმაოდ კრიტიკულადაც და ამერიკულ ლიტერატურაში დარჩა, როგორც მომაკვდავი არისტოკრატიის მემუარისტი. ამავე დროს, იგი ძველი რეგიონალიზმის სკოლის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელიც იყო, რომელიც ამერიკას ბოლომდე ვერც აღიქვამდა როგორც ერთიან ერსა და სამყაროს. ამ მხრივ იგი ახალი ინგლისის ცნობილ რეგიონალისტებთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე 1920-იანი წლების ახალ მწერლობასთან, რომელიც სულ უფრო ცდილობდა თავის შემოქმედებაში ზოგადეროვნული სურათის დახატვას, რომლშიაც გაერთიანებული იყო ყველა, თავისი განსაკუთრებულობით, ამერიკის როგორც ჩრდილოეთი და სამხრეთი, ასევე აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები.

უილა სიბერტ კეზერი (1876-1947) თუმცა ვირჯინიის მთიან რაიონში დაიბადა, მაგრამ მალე გადავიდა ნებრასკის სასაზღვრო ე.წ. ფრონტიერის ტერიტორიაზე. მის ნაწარმოებებში აღწერილია ამ რეგიონში ახალი სკანდინავიური და ჩეხური წარმოშობის ემიგრანტების ყოფა და დამკვიდრება ამერიკულ რეალობაში და საერთოდ ახალ ტერიტორიებზე ახალი ამერიკის ჩამოყალიბების პროცესი. მისი განსაკუთრებით ცნობილი ნაწარმოებებია 1918 წელს გამოცემული „ჩემი ანტონია“, 1920 წელს – მოთხრობების კრებული „ყრმა და ბრწყინვალე მედუზა“, 1923 წელს — „ზნედაცემული ქალი“, 1927 წელს — „არქივისკოპოსის სიკვდილმა მოაკითხა“ და 1931 წელს გამოცემული „ჩრდილი კლდეზე“.

ელენ გლაზგოუ (1875-1945) ასევე ვირჯინიაში დაიბადა, მაგრამ კეზერისგან განსხვავებით ბოლომდე ვირჯინიელად დარჩა და ძირითადად სწორედ ვირჯინიელთა ისტორიასა და ანმყოს აღწერდა. მისი ისტორიული რომანები გულახდილობითა და სენტიმენტალიზმით გამოირჩევა. შემდგომში მისი დევიზი იყო, „სამხრეთს ვნება და ირონიაც სჭირდება“. თავის ნაწარმოებებში გარკვეულწილად უჯანყდება წინა პერიოდის სამხრეთის ლიტერატურას, რომელიც საკუთარი წარსულის აბსოლუტურ იდეალიზაციას ახდენდა და უარყოფდა სამხრეთის, რიგ შემთხვევაში, მეტად კონსერვატუ-

ლი და შელამაზებული ყოფისა თუ სულიერების ყოველგვარ კრიტიკას. ამავე დროს მისი ნაწარმოებები შესანიშნავი სტილითაც გამოირჩეოდა, მათ შორის 1902 წელს დაწერილი „ბრძოლის ველი“, 1925 წელს — „უნაყოფო მინა“, 1926 წელს — „რომანტიკული კომედიანტები“. მას ერთი უცნაურობა სჭირდა, იმდენად უყვარდა თავისი ორი ძალღი, რომ მოგზაურობისას მათ სახელზე საფოსტო ბარათებსაც კი აგზავნიდა, ბოლოს კი, ანდერძის თანახმად, ისინი თავის გვერდით გადმოასვენებინა.

გერტრუდ სტაინი (1874-1946) პროზაიკოსი, დრამატურგი და, როგორც მასზე ამბობდნენ, იდეების გენერატორი. 1903 წელს იგი პარიზში გაემგზავრა და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. იქ ბევრი გამოჩენილი მეგობარი გაიჩინა მათ შორის, პ.პიკასო, ა.მატიისი, უ. ბრაკი, ე.ჰემინგუეი, ს. ფიცჯერალდი, შ. ანდერსონი, ე. პაუნდი.

ცნობილია მისი რომანები „ამერიკელთა ჩამოყალიბება“, „ათი პორტრეტი“, „იდა“, მისი პიესებიდან ცნობილია „ყოველი ჩვენთაგანის დედა“ და „დოქტორ ფაუსტუსი სინათლეს ანთებს“. გერტრუდ სტაინის საკმაოდ ექსპერიმენტული ლიტერატურის ფასეულობა ხშირად დავის საბაბია, მაგრამ ცოტა ვინმე უარყოფს მის გავლენას ამ პერიოდის ხელოვანთა შემოქმედებაზე. ომის შემდგომი თაობის „დაკარგულ თაობად“ მონათვლაც სტაინის სახელთანაა დაკავშირებული. მისმა ნაცნობმა, ვინმე პერნოლემ, სტაინის მანქანის მექანიკოსის დახასიათებისას აღნიშნა, რომ მან და მისმა ნაომარმა თაობამ ვერ მიიღო სათანადო განათლება იმ წლებში, როდესაც პიროვნების ჩამოყალიბება ხდება და ახლა ეს დაკარგული თაობააო. გერტრუდ სტაინმა ეს ფრაზა ჰემინგუეის და სხვა მეგობრებს გააცნო. ხოლო ჰემინგუეიმ იგი, გაცილებით უფრო ღრმა შინაარსით, თავის ცნობილ რომანში „და აღმოხდების მზე“ გააჟღერა.

1920-იან წლებში გაიფურჩქნა მსოფლიო რანგის პოეტების ეზრა პაუნდისა და თომას ელიოტის შემოქმედება, რომელთაც გენიალობის და მეგობრობის გარდა ისიც აკავშირებდა, რომ ორივემ სამუდამოდ მიატოვა ამერიკა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი ევროპაში გაატარა.

ეზრა პაუნდი (1885-1972) აიდაპოს შტატში დაიბადა, დაასრულა პენსილვანიის უნივერსიტეტი, ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, ხოლო 1924-დან 1945 წლამდე იტალიაში ცხოვრობდა, ფაშისტურ

რეჟიმთან თანამშრომლობდა და რომის რადიოს პროპაგანდისტული გადაცემებიც მიჰყავდა. სამშობლოში დატყვევებული მოღალატის სტატუსით ჩამოიყვანეს და რამდენიმე წელი ფსიქიატრიულ კლინიკაშიც კი გაატარა, შემდეგ იტალიაში დაბრუნდა და სიკვდილამდე იქ ცხოვრობდა.

პაუნდმა უდიდესი როლი შეასრულა ამერიკული ლიტერატურული მოდერნიზმის ჩამოყალიბებაში, იგი „იმაჟინიზმის“ ლიდერად ითვლებოდა და დიდი ღვაწლი მიუძღოდა ამავე სახელწოდების ანთოლოგიის შედგენაში. 1920-იან წლებში გამოსცა ლექსთა კრებულები „ჰიუ, სელვინ მობერლი: სიცოცხლე და კავშირები“ და „ნიღბები“. მისი პოეზია თანამდროვე ფასეულობების წინააღმდეგ ამბოხით გამოირჩეოდა. 1910-იანი წლების დასასრულს მან დაიწყო ეპიკური პოემის „კანტოები“ წერა, რომელიც ვერ დაასრულა. პაუნდი მდიდარი და გულუხვი კაცი იყო და ბევრ ხელოვანს გაუმართა ხელი არა მარტო ფულით, არამედ თავისი გავლენით საზოგადოებაში და ინტელექტუალური მხარდაჭერით.

ტომას ელიოტმა (188-1965) ჰარვარდის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ლექციების კურსი მოისმინა სორბონისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. 1915 წელს ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 1927 წელს ბრიტანეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამ წლებში ჯერ ჟურნალ „ეგოტისტიში“ მუშაობდა, შემდეგ თვითონ გამოსცემდა ჟურნალ „კრაიტიერიონს“, მალე კი გამოცემლობა „ფეიებერის“ დირექტორი გახდა. საკუთარი მხატვრული კრედო განსაკუთრებით გამოკვეთილად გამოხატა 1920 წელს გამოცემულ კრებულში „ლექსები“ და 1922 წელს გამოქვეყნებულ პოემაში „უნაყოფო მიწა“. პაუნდის მსგავსად, ისიც ჰუმანიზმის კონცეფციის წინააღმდეგ ილაშქრებდა და იგი XX საუკუნისთვის მიუღებლად მიაჩნდა. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ელიოტის შემოქმედებაში 1930 წელს დაწერილ პოემას „ნაცრისყრის ოთხშაბათი“ და, რასაკვირველია, 1943 წელს გამოცემულ პოეტურ ციკლს „ოთხი კვარტეტი“. ელიოტის პიესებიდან განსაკუთრებით ცნობილია „ოჯახის გამთლიანება“, „ეოკტიელის წვეულება“ და „მკვლელობა ტაძარში“. ელიოტის თაყვანისმცემლებს ვურჩევდით ცნობილი ქართველი მეცნიერის თემურ კობახიძის 1992 წელს გამოცემულ ბრწყინვალე ნიგნს, „ტომას ელიოტი: პოეზია და მითოსი“.

არანაკლები მასშტაბის პროექტი იყო რობერტ ფროსტი (1874-1963), რომელსაც ბევრი მიიჩნევს ამერიკული პოეზიის პატრიარქად. 1923 წელს გამოცემულმა ნიგნმა „ნიუ-ჰემპშირი“ პულიცერის პრემიაც მიიღო, თუმცა არანაკლებ ფასეული იყო მისი კრებულები „მთებს შორის“ და „დასავლეთის მდინარე“.

ოციანი წლების ლიტერატურის მნიშვნელოვანი მოვლენაა ე.წ. ზანგური ანუ ჰარლემის რენესანსი. 1925 წელს ა. ლოკის რედაქციით გამოვიდა ანთოლოგია „ახალი ზანგი“. ცნობილი პროეტის ლენგსტონ ჰიუზის პროეტური კრებულებია 1926-27 წლებში გამოცემული „დაღლილი ბლიუზი“ და „კარგი ნივთები გირაოში“. პროეტ კლოდ მაკოის ლექსებში „თქვენი კარები“ და „ამერიკა“ გამოიკვეთა უდიდესი აღშფოთება და პროეტესტი რასობრივი დისკრიმინაციის მიმართ. ქაუნტ ქალენი ასევე ჰარლემური წარმოშობის პროეტია და მშვენიერ ლექსებს წერდა. ზანგი მწერალი და პროეტ ჯინ თუმერის საუკეთესო ნაწარმოები „ლერნამი“ 1923 წელს გამოიცა.

ამ პერიოდის ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ნოვატორი ჰენრი ლუი მენკენი „ამერიქენ მერქურიის“ რედაქტორი და ლიბერალური ინტელიგენციის კუმირი იყო. როგორც ცნობილი ამერიკელი მწერალი გორ ვიდალი აღნიშნავდა, „მენკენი იმ მცირერიცხოვან ამერიკელთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც შეიძლება მადლობა გადაუფხადოთ.“

რასაკვირველია, თავისუფლად შეიძლებოდა 1920-იან წლების მწერლებისა და პროეტების სია განგვევრცო, მით უმეტეს, რომ წინა თაობის იმავე თეოდორ დრაიზერმა სწორედ 1925 წელს შექმნა თავისი შედეერი „ამერიკული ტრაგედია“ (სხვათა შორის, დრაიზერი სიხარბემ გადაარჩინა „ტიტანიკზე“ სიკვდილს, რომელზეც მგზავრობის ფასი ძალზე ეძვირა და გემ „კრუნლანდით“, მშვიდობიანად დაბრუნდა ამერიკაში) და აპტონ სინკლერიც წარმატებულად განაგრძობდა მოღვაწეობას („ბრინჯაოს მარკა“ 1920წ., „100%“ 1921 წ., „მამმონას ხელოვნება“ 1922წ., „ნავთობი“ 1923 წ., და „ფული წერს“ 1927 წელს გამოიცა), მაგრამ ოციანი წლების ლიტერატურის მეტ-ნაკლებად საფუძვლიან განხილვას ცალკე ნიგნი და დარგის სპეციალისტი სჭირდება.

ოციან წლებში ბევრი ახალი და ძალზე პოპულარული ჟურნალი შეიქმნა. როდესაც ვამბობთ, რომ, გარკვეულწილად, სწორედ 1920-იან წლებში ეყრებოდა საფუძველი თანამედეროვე ამერიკას,

ამას მაშინდელი ჟურნალისტიკის განვითარებაც ადასტურებს, ვინაიდან სწორედ ამ წლებში ჩამოყალიბდა ამერიკის ყველაზე პოპულარული ჟურნალები, მაგალითად, „რიდერს დაიჯესტი“ 1921 წელს, „თაიმი“ 1923 წელს, ახალი ტიპის ჟურნალი, ლალი ინტელექტუალური იუმორით „ნიუ-იორკერი“ 1925 წელს. ათწლეულის დასასრულს დაიწყო გამოსვლა დღესაც მეტად პოპულარულმა ჟურნალმა „ესკვირერმა“. 1930 წელს კი გამოვიდა ბიზნესის პრობლემებისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ჟურნალი „ფორჩუნი“.

III

ჯაზმა გადარია ამერიკა და შემდეგ მთელი მსოფლიო

ჯაზი ეს განსაკუთრებული მოვლენაა მუსიკალურ სამყაროში, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა წარმოდგენა არა მარტო მუსიკაზე, არამედ ადამიანთა ურთიერთობებზეც კი. თუ უფრო გვიანი ეპოქის მაგალითს ავიღებთ, ჯაზი შეიძლება 1950-იანი წლების მონურულსა და 1960-იანი წლებში აღმოცენებულ როკ მუსიკას შევადაროთ, როდესაც ელვის პრესლიმ, ბიტლზებმა, როლინგ სთოუნზებმა და 1969 წლის ვუდსტოკის ფესტივალის მუსიკამ და სულისკვეთებამ ასევე რევოლუციური გავლენა მოახდინა მაშინდელ საზოგადოებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაზი XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა, მისი ჭეშმარიტი ძალა და უდიდესი გავლენა ამერიკულ და ევროპულ საზოგადოებაზე სწორედ ოციან წლებში გამოიკვეთა და, ალბათ, სწორედ ოციან წლებს უნდა ვუმადლოდეთ ჯაზისათვის. ამ წლებში ჯაზმა არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი მსოფლიო დაიპყრო და ამ პერიოდის კულტურული ცხოვრების ისეთივე უმნიშვნელოვანესი ფენომენი გახდა, როგორც ამერიკული ლიტერატურა. სწორედ ჯაზის წყალობით დაიმკვიდრა ამერიკამ უდიდესი ადგილი მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში.

მაშ რა არის ეს ჯაზი, რომელმაც გადარია ამერიკა და შემდეგ მთელი მსოფლიო? როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამ მუსიკის მთავარი თვისება არის იმპროვიზაციული საწყისის პრიორი, რაც გულისხმობს იმას, რომ ჯაზური ნაწარმოები უშუალოდ შესრულების პროცესში იქმნება და იმავე სახით აღარასოდეს განმეორდება. ჯაზში უშუალოდ შემსრულებელი ქმნის მუსიკას ან არის კომპოზიციის შემქმნელის უშუალო თანაავტორი.

ბევრის აზრით, ჯაზის საფუძვლები ამერიკაში გავრცელებულ საეკლესიო ჰიმნებში, სპირიტუელზში, უნდა ვეძიოთ, რომელთაც ზანგმა შემსრულებლებმა ახალი უღერადობა და რიტმიკა შესძინეს. გარდა ამისა, მას აგრეთვე ზანგთა ლირიკული ხასიათის სოლო სიმღერებმა, ე.წ. ბლიუზებმაც მისცა მნიშვნელოვანი ბიძგი.

გარკვეული როლი ითამაშა შავფრად შეღებილი თეთრკანიანი მუსიკოსების მიერ შესრულებულმა ე.წ. მინსტრელ შოუმაც, სადაც თეთრკანიანი მუსიკოსები და კომპოზიტორები ზანგური მუსიკის საფუძველზე საკუთარ მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ.

XIX საუკუნის დასასრულს წარმოქმნილი საფორტეპიანო შესრულების ახლებური სტილი — რეგტაიმიც თავის წილს დებს ჯაზის წარმოქმნასა და განვითარებაში.¹⁴ ამერიკის დიდ ქალაქებს რეგტაიმის მღელვარე ტალღამ გადაუარა და ამაში ლომის წილი შეეკანთან მუსიკოსს სკოტ ჯოპლინს მიუძღოდა. იგი ტეხასში, მუსიკოსების ოჯახში დაიბადა, მამა ვიოლინოზე უკრავდა, დედა კი ბანჯოზე, იმ სახლში კი, სადაც მისის ჯოპლინი მოახლედ მუშაობდა სკოტმა ფორტეპიანოზე დაკვრაც ისწავლა. 14 წლის ჯოპლინი მოხეტიალე პიანისტი გახდა. მან მხოლოდ მოგვიანებით, 30 წლის ასაკში შეძლო მუსიკალურ კოლეჯში ჩაბარება და საკუთარი კომპოზიციების შექმნა. ჯოპლინმა ზანგურ ფოლკლორს ამერიკული მუსიკის სხვა ელემენტები დაუმატა და მისი პირველი სენტიმენტალური სიმღერები შმაგმა რეგტაიმმა შეცვალა. ჯოპლინის კომპოზიციები შემთხვევით მოისმინა ნოტებით მოვაჭრემ და პირველი ფირფიტაც სწორედ მან გამოუცა.

საერთოდ, ჯაზის სამშობლოდ ახალი ორლეანი ითვლება. ისტორიაში პირველ ჯაზმენად მიიჩნევენ ამ ქალაქში მცხოვრებ მესაყვირეს — ბადი ბოლდენს. პირველი ჯაზორკესტრიც სწორედ მან ჩამოაყალიბა 1895 წელს. ახალი ორლეანის ჯაზის სამშობლოდ ჩამოყალიბება იმანაც განაპირობა, რომ ის ერთადერთი დიდი ქალაქი იყო, სადაც არ დომინირებდა ბრიტანული პროტესტანტიზმი თავისი პურიტანიზმით, პირიქით, ის ფრანგული კულტურისათვის დამახასიათებელი თავისუფლებითა და ტოლერანტობით იყო გამორჩეული, მათ შორის ზანგებთან ურთიერთობაშიც. ახალი ორლეანის მაღალი საზოგადოება არ იყო შეზღუდული პურიტანული იდეებით გართობის, ცოდვის, მორალისა და მუსიკის

საკითხებში. ორკესტრები, ცეკვები და დროს ტარება თავიდანვე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ ლუიზიანა სამხრეთის მონათმფლობელური შტატი იყო, ზანგები იქ უკეთეს პირობებში იყვნენ და სხვადასხვა სპეციალობები ჰქონდათ ათვისებული, საცხოვრებელი უბნებიც ნაკლებად სეგრეგირებული იყო და შავი ბავშვები თეთრებთან ერთადაც კი სწავლობდნენ, მით უმეტეს, რომ მრავალმა მათგანს თეთრი მამა და ზანგი ან მულატი დედა ჰყავდა და კრეოლები იყვნენ. სწორედ ახალი ორლეანი იყო ის ერთადერთი ადგილი ამერიკაში, სადაც თეთრ გოგონებს მუსიკას ზანგი მასწავლებლები ასწავლიდნენ.

ახალი ორლეანი სამხრეთის დიდი პორტი იყო, სადაც ყველა ჯურის მეზღვაურები ირეოდნენ, რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ამ ქალაქის კოსმოპოლიტურ სულისკვეთებაზე. ვინაიდან ამ ქალაქის ცხოვრება ნაკლებად იყო შეზღუდული რასობრივი და ეროვნული დოგმებით, მისი კულტურა და ხელოვნება გაცილებით მეტს იღებდა ჩამოსულთაგან, რომელნიც, სხვათა შორის, არა მარტო მუსიკით, არამედ თავიანთი ინსტრუმენტებითაც ჩამოდიოდნენ. როდესაც ესპანეთ-ამერიკის ომის შემდეგ, 1898 წელს ამერიკული არმიის ქვედანაყოფები თავიანთი მუსიკალური ორკესტრებითურთ ახალი ორლეანის გავლით შინ ბრუნდებოდნენ, მრავალი ორკესტრანტი იაფად ჰყიდდა თავის მუსიკალურ საკრავს, რომელთაც ზანგი ბავშვებიც კი ყიდულობდნენ, რაც სხვა ამერიკული ქალაქების ზანგი ბავშვებისათვის სრულიად მიუწვდომელი იყო. მერე კი ნიჭი, გენი და ქალაქის სულისკვეთება თავისას აკეთებდა.

ახალ ორლეანში მუსიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს უხვად არსებულმა საროსკიპოებმაც, სადაც მუსიკა გვიან ღამემდე ან გამთენიამდე არ წყდებოდა. სტორვილის უბნის საროსკიპოებში, დილის ოთხ-ხუთ საათზე, როდესაც ეს „დანესებულებები“ იკეტებოდა, მუსიკოსები თავიანთი სიამოვნებისათვის იკრიბებოდნენ და უკრავდნენ. ვინ იცის, იქნებ სწორედ მაშინ ჩეყარა საფუძველი „ჯემ სეიშენებს“. იმასაც ამტკიცებენ, რომ თვით სიტყვა ჯაზი სლენგზე სექსუალურ აქტს ნიშნავდა და მხოლოდ მოგვიანებით მოიპოვა უფრო რესპექტაბელური მნიშვნელობა. სწორედ ამ უბანში დაიბადა ლუის არმსტრონგი ადგი-

ლობრივი მუშისა და მეძავის კავშირისაგან. მამამ ადრე მიატოვა ოჯახი და ლუისი და მისი და დედამ, მერი ალბერტმა გაზარდა. როგორც არმსტრონგი იხსენებდა, „ჩვენ მამა არ გვეყოლია“.16 მას უდიდესი ნიჭი აღმოაჩნდა და, მიუხედავად იმისა, რომ ნოტები მისთვის არავის უსწავლებია, 16 წლისათვის უკვე კარგ მუსიკოსად ჩამოყალიბდა და თავად ქმნიდა სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფებს.

1917 წელს ომთან დაკავშირებულმა მოვლენებმა სტორვილის უბნის საროსკიპოების დახურვა გამოიწვია და უმუშევრად დარჩა არა მარტო ბევრი მეძავი, არამედ მუსიკოსიც. შესაბამისად, ბევრმა მათგანმა და მათ შორის ლუის არმსტრონგმაც ჩიკაგოს მიაშურა. ახალი ორლენიდან ჯაზი თანდათანობით მდინარე მისისიპს აუყვდა და ამერიკის ჩრდილოეთ შტატებშიც მოიპოვა პოპულარობა, განსაკუთრებით კი ჩიკაგოში. პირველი სერიოზული შავი ჯაზის ანსამბლი შექმნა 1918 წელს ახალი ორლენიდან ჩიკაგოში ჩასულმა კინგ ოლივერმა, რომელიც ჩიკაგოს სამეფო ბალის კაფეში უკრავდა და სახელიც გაუთქვა ამ ადგილს. მისივე ანსამბლში უკრავდა ახალგაზრდა ლუი არმსტრონგიც. არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა „ნამდვილი დიქსილენდის ჯაზბენდი“, რომელმაც 20-იანების დასაწყისისათვის ევროპაც მოხიბლა თავისი ხელოვნებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯაზის წინამორბედი სპირიტუელზი და ბლიუზი სამხრეთის აგრარულ რაიონებსა და პატარა ქალაქებში ჩაისახა, თანამედროვე გაგებით არსებული ჯაზი, როგორც ცნობილი ამერიკელი ყურნალისტი ჯეი როჯერსი წერდა გაზეთ „სერვერში“ 1925 წლის 1 მარტს, მაინც ამერიკის დიდი ქალაქების პირმშოდ უნდა ჩაითვალოს, რომელმაც გააერთიანა საკუთარ თავში ამ ქალაქებისათვის დამახასიათებელი ხმაური, ჰანგები, მექანიზირებული ცივილიზაციის სულისკვეთება. თეთრებმაც მალე აიტაცეს ჯაზი და იმავე ჩიკაგოში სახელი გაითქვა ლეონ ბისმარკ ბაიდერბეკის ანსამბლმა, სახელად „ველვერინზ“. როგორც ბოსტონის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი სერგეი კუსევიციკი წერდა, „ჯაზი თანამედროვე მუსიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, მას ეპოქალური მნიშვნელობა აქვს, ის არ არის ზედაპირული, იგი ფუნდამენტურია. ჯაზი სულიდან მოდის, საიდანაც ყველა სახის მუსიკა იწყება“. იმავე სტატიიაში ავტორი კიდევ უფრო ცნობილი მუსიკოსის და დირიჟორის ლეოპოლდ სტოკოვსკის სი-

ტყვებს იშველიებდა, „ჯაზი მოვიდა, რათა დარჩეს, იმიტომ, რომ იგი ჩვენი დროის გამოხატულებაა, აქოშინებული, ენერგიული, სუპერაქტიური დროისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა. მისი ახალი ძლევამოსილება, ახალი სიცოცხლისუნარიანობა თავად ახდენს საკუთარი თავის გამოვლენას . . . ამერიკის წვლილი წარსულის მუსიკაში ისეთივეა, როგორც უბრალო ადამიანის სისხლი მომაკედავი არისტოკრატიისათვის. მუსიკა შემდეგ უბრალოვდება, ამ სიტყვის საუკეთესი გაგებით და უფრო და უფრო შედის ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამერიკის ზანგი მუსიკოსები უდიდეს როლს თამაშობენ ამ პროცესში, მათ გახსნილი გონება და შეუბოჭავი ხედვა აქვთ. ისინი არ არიან შებოჭილნი წესებითა და ტრადიციებით და თავიანთი ახალი-ახალი იდეებით, სახელდახელო ექსპერიმენტებით, ახალ სისხლს ამოძრავებენ მუსიკის ვენებში. ჯაზის დამკვრელები მუსიკალურ ინსტრუმენტებს სრულიად ახალ რამეს აკეთებინებენ, იმას, რის მოშორებასაც ასწავლიდნენ ჩამოყალიბებულ მუსიკოსებს. ისინი გზამკვლევეები არიან ახალ რეალობებში.“¹⁷

ერთ-ერთი ცნობილი ჯაზმენი პოლ უაიტმენი ამბობდა, „ეს იყო დიადი ამერიკული ხმაური — ჯაზი.“ ხოლო ფირფიტების ცნობილი კომპანიის „ვიქტორის“ წარმომადგენელი, რომელმაც, მისდა მოულოდნელად, მილიონობით ჯაზის ფირფიტა გაყიდა, ჯაზზე ამბობდა რომ ეს „ორგანიზებული დეზორგანიზაციაა“.¹⁸

თუმცა სკეპტიკოსებიც იყვნენ, მაგალითად, დიდი გამომგონებელი თომას ედისონი ამბობდა, რომ ჯაზის ფირფიტებს უკანა სვლით ატრიალებდა და „ასე უკეთესი ხმა გამოდისო“. მორალისტები უფრო შორს მიდიოდნენ და როგორც ნიუ-იორკის გაზეთი „ამერიქენი“ წერდა, ჯაზორკესტრების პათოლოგიური, ნერვების მომშლელი, სექსუალურად აღმგზნები მუსიკა მორალურად ხრწნის ასობით ამერიკელ ქალიშვილს.

ციფრების მოყვარული ამერიკელები ამას სტატისტიკითაც ასაბუთებდნენ, მაგალითად, „ილინოისის სიფხიზლის ასოციაციის“ მონაცემებით, 1923 წელს ჩიკაგოში ათასი ქალიშვილის მორალური დაცემა სწორედ ჯაზის მუსიკის გამხრწნელ გავლენასთან იყო დაკავშირებული.¹⁹

ჯაზის გავრცელებას და პოპულარობას ერთი სრულიად ახალი ფენომენი მოჰყვა რასისტულ ამერიკაში. ახალგაზრდა თეთრი

ამერიკელები არა მარტო მოწონებას გამოხატავდნენ შავკანიანთა მუსიკისადმი, არამედ თაყვანს სცემდნენ ამ მუსიკის შავკანიან შემსრულებლებსაც, ასეთი რამ კი ამერიკაში ჯერ არ ყოფილა. ლუი არმსტრონგი იგონებდა, რომ „ოცინების დასწყისში ჩიკაგოში მუსიკოსებს პატივს ცემდნენ, როგორც ღმერთებს“.²⁰ სხვათაგან ერთად, ეს ანაზღაურებაშიც გამოიხატებოდა. ახალ ორლეანში არმსტრონგი საღამოში 1,5 დოლარს შოულობდა, ჩიკაგოში კი უკვე 52 დოლარს იღებდა კვირაში და ამდენივეს საჩუქრად კლიენტებისაგან. მომღერალ ქალს ბესი სმითს კი ბლიუზის იმპერატორს უწოდებდნენ. სხვადასხვა რასის ამერიკელთა ინტეგრაცია იმაშიც გამოიხატა, რომ თეთრი ამერიკელების ანსამბლებიც უკრავდნენ შავკანიანი აუდიტორიისათვის, მაგალითად, იმავე ლინკოლნის თეატრსა და სხვაგანაც.²¹

ჯაზმა უდიდესი ადგილი დაიკავა ნიუ-იორკის ლამის ცხოვრებაში. ალბათ, ბედის ირონია იყო, რომ იმ წლებში ზანგური კულტურის მრავალი წარმომადგენელი ჯაზს ზიზლით უყურებდა. როგორც საქსოფონისტი გარვინ ბუშელი იხსენებდა „საშუალო ფენის შავკანიანთა ოჯახში არავინ დაგაკვრევენებდათ ბლიუზს ან ბუგი-ვუგის, ეს მოვე ტონად ითვლებოდა.“ ეს მაშინ, როდესაც მდიდარი თეთრკანიანები ღამ-ღამობით, ზანგთა უბანში, ჰარლემში მიდიოდნენ ამ ზანგური მუსიკის მოსასმენად. ჰარლემში ასეთი რესტორნების კლიენტები მხოლოდ თეთრები იყვნენ, სცენაზე კი მხოლოდ ზანგები გამოდიოდნენ. გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ამერიკული კონოფილმი „კოტონ კლუბი“. გარდატეხა ამ მხრივ 1921 წელს შემოიტანა რევიუმ „ფლატუნით გასეირნება“, რომელმაც უდიდესი პოპულარობა მოუტანა 63-ე ქუჩაზე არსებულ მიუზიკჰოლს. შავკანიანთა ცეკვებმა, ჯაზმა და პოპულარულმა მუსიკამ საბოლოოდ შექმნა ისეთი ცნობილი ცეკვები როგორც „ჩარლსტონი“, „შიმი“, რომლებიც ჰარლემში არსებულ სავოის საცეკვაო დარბაზში ასობით თეთრკანიანს იზიდავდა.

ამ წლებში ახალგაზრდა დიუკ ელინგტონი და მისი მეგობრები ნელ-ნელა იპყრობდნენ ჰარლემს. თანდათან იგი ჯგუფის უცილობელი ლიდერი გახდა არა მარტო მუსიკალური, არამედ წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისითაც. სწორედ ამ წლებში შეიქმნა ელინგტონის პოპულარული კომპოზიციები, „ქრეოლის სიყვარულის ძახილი“, „ინდიგოს განწყობილება“, „მარტოობა“, „კოცნის პრე-

ლუდია" და სხვები, რომლებიც თითქმის სამუდამოდ დარჩა ელინგტონის ანსამბლის რეპერტუარში. ამ წლებში ჩაეყარა საფუძველი იმას, რასაც შემდგომში „ელინგტონის ჟღერადობას“ დაარქმევენ. მალე სწორედ ელინგტონის ანსამბლს დასდეს პატივი გაეხსნა ახალი სეზონი „კოტონ კლუბში.“

1920-30-იან წლებში მეტად პოპულარული შემსრულებლები იყვნენ ახალი ორლენიდან: კინგ ოლივერი, ტომი ლადნირი, რომლებიც საყვირზე უკრავდნენ. კლარნეტისტები ჯონი დოდსი და სიდნეი ბეშე. თავისი ექსტრავაგანტულობითა და სკანდალებით გამოირჩეოდა დიდებული პიანისტი მეტსახალად „ტკბილი ფუნთუშა“ მორტონი, რომელიც საკმაოდ უსაფუძვლოდ ჯაზის დამაარსებლობასაც იბრალებდა. ამავე პერიოდის საუკეთესო საქსოფონტენორი იყო კოულმენ ჰოუკინსი. ერთხელ სიდნეი ბეშეს გადასცეს მისურის შტატის მკვიდრ ჰოუკინსის ნათქვამი, რომ ახალი ორლენელები დიდი ვერაფერი მუსიკოსები არიანო. ამაზე გამძვინვარებული ბეშე „ბენდ ბოკს კლუბში“ მიუვარდა ჰოუკინსს და ორი ბრწყინვალე მუსიკოსი მთელი ღამე ეჯიბრებოდა ერთმანეთს. საბოლოოდ, დილის 6 საათზე ჰოუკინსი დაიღალა, აიღო თავისი ინსტრუმენტი და შინ წავიდა, ბეშე კი ქუჩაში გამოჰყვა და მუსიკით მიაცილებდა დამარცხებულ მეტოქეს.

ძალზე ცნობილი იყო ფლეტჩერ ჰენდერსონის ორკესტრი, რომელშიც გარკვეულ დროს კოულმენ ჰოუკინსი და ლუი არმსტრონგიც უკრავდნენ. ერთხელ, როცა არმსტრონგი ქუჩაში მისეირნობდა, გაიგო, რომ ქუჩის მუსიკოსები მის ნაწარმოებს უკრავდნენ და საკმაოდ კარგადაც. ლუიმ ზრდილობიანად დაუკრა ტაში, მაგრამ მუსიკოსს, რომელიც ამ ორკესტრში არმსტრონგის როლს ასრულებდა, ურჩია ცოტა ნელა დაეკრა. შენ საიდან იცი როგორ დაუკრაო? ჰკითხა მუსიკოსმა. მე ლუი არმსტრონგი ვარ და ეს მუსიკა ჩემი შექმნილიაო, უპასუხა არმსტრონგმა. როდესაც მეორე დღეს იმავე ქუჩაზე გაიარა, დაინახა, რომ ამ ანსამბლს გვერდით დაფა მიეყუდებინა წარწერით „ლუი არმსტრონგის მონაფეები“.

დიდი ჯაზ ორკესტრების, ე.წ. ბიგ ბენდების ჩამოყალიბებაც 20-იან წლებში დაიწყო. მათ შორის დიუკ ელინგტონის ადრეული ანსამბლი, ჯიმი ლანსფორდის, ერლ ჰაინსის, ფლეტჩერ ჰენდერსონის ანსამბლები. ბენი გუდმანიც ამ დროს გამოჩნდა მუსიკალურ

სამყაროში, თუმცა ჭეშმარიტი პოპულარობა ოცდაათიან წლებში მოიპოვა.

1927 წელს ამერიკაში 100 მილიონზე მეტი ფირფიტა გაიყიდა. მართალია, ეს არ იყო მარტო ჯაზი, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი წილიც საგრძნობი იყო. 1932 წელს კი კრიზისის გამო ფირფიტების გაყიდვა 6 მილიონამდე შემცირდა.²²

ამერიკული ჯაზი და კლასიკური მუსიკა, ალბათ, ყველაზე კარგად ჯორჯ გერშვინმა გააერთიანა. გერშვინმა განაახლა ამერიკული მუსიკის ინტონაციური სფერო, განავითარა მასში აფროამერიკული ფოლკლორის (სპირიტუელსი, ბლიუზი, რეგ-ტაიმი) ნიშნები, შეაჯერა სიმფონიზმი და ჯაზის სტილი. გერშვინი რუსეთიდან ჩამოსული ებრაელების ოჯახში დაიბადა და ბავშვობა გაატარა ნიუ-იორკში, სადაც მრავალი ხალხის მუსიკას ეზიარა. ხშირად დადიოდა ზანგების უბნებში, მეგობრობდა მათთან და თითქმის ბუნებრივად შეისისხლხორცა მათი მუსიკა. მან მიიღო ზერელე, ძირითადად ევროპული მუსიკალური განათლება და 15-17 წლიდან თავის სიმღერებს წერდა. მუსიკალური განათლების დაბალი დონე კი ხელს უშლიდა მისი ნიჭის განვითარებას, თუმცა პროფესიონალი მეგობრები დაეხმარნენ და ორკესტრირების პრობლემები გადაუწყვიტეს, შედეგად 1924 წელს დაიბადა არაჩვეულებრივი Rhapsody in Blue. შემდეგ კი, უკვე სიკვდილის წინ, დაწერა უკვდავი ოპერა „პორგი და ბესი“, რომელზეც მუშაობა ჯერ კიდევ 1929 წელს დაიწყო, პრემიერა კი ბოსტონში გაიმართა 1935 წელს.²³

მაგრამ ამერიკაში, მარტო ჯაზი ხომ არ იყო?

ამერიკის კლასიკური მუსიკა ევროპულ სტანდარტებზე იქმნებოდა და თუ XIX საუკუნეში ამერიკელი მუსიკოსები გერმანიაში იღებდნენ მუსიკალურ განათლებას, 1920-30-იან წლებში მათ უფრო პარიზი იზიდავთ. 1921 წელს პარიზთან ახლოს, ფონტენბლოში გაიხსნა ამერიკული კონსერვატორია. იქ ბევრი ამერიკელი კომპოზიტორი სწავლობდა, მათ შორის არონ კოპლანდი, როი ჰარისი, უოლტერ პისტონი, დუგლას მური, ვირჯილ ტომპსონი, კოულ პორტერი და სხვები. სამშობლოში დაბრუნებული მუსიკოსები ცდილობდნენ ამერიკის ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული მუსიკის დაწერას და საერთოდ ეროვნული მუსიკის გაერთიანებას. ამას ხელს უწყობდა სხვადასხვა სახის მუსიკალური ორგანიზაციების

შექმნაც, კერძოდ კი, 1922 წელს შეიქმნა კომპოზიტორთა საერთა-
შორისო გილდია ედგარ ვარეზის ხელმძღვანელობით, ეროვნული
მუსიკის პროპაგანდას ეწეოდა ასევე ჟურნალი „მოდერნ მიუზიკი“,
რომელიც 1924-46 წლებში გამოდიოდა. 1928-31 წლებში კი რ. სე-
შენსმა და ა. კოპლენდმა მრავალი კონცერტი ჩაატარეს, ძირითა-
დად, ამერიკული მუსიკის რეპერტუარით.

მაშინდელი ამერიკის კლასიკური მუსიკის სამყაროში მნიშ-
ვნელოვანი ფიგურა იყო ევროპელთა წარმატებული იმიტატორი
ედუარდ მაკდოუელი, რომელიც ევროპაში აღიზარდა ფერენც
ლისტის ტრადიციებზე. მისი ორი კონცერტი ფორტეპიანოსათ-
ვის წმინდა ევროპული ნაწარმოები იყო და არაფერი ამერიკული
არ იყო მასში. როგორც ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, ინ-
დიელთა მელოდების მოტივებზე დაწერილი მისი საფორტეპიანო
ნაწარმოებიც კი აბსოლუტურად ევროპული რიტმიკითა და სტილ-
ით გამოირჩეოდა.

ჩარლზ ივესს, მაკდოუელისაგან განსხვავებით, არ მიუღია გა-
ნათლება ევროპაში, იგი გაცილებით უფრო ამერიკელი იყო თავისი
ხელოვნებით და აქტიურად თანამშრომლობდა მამამისთან, ჯორ-
ჯთან, რომელიც კონექტიკუტის ერთ-ერთ მუსიკალურ ორკესტრში
უკრავდა. საბოლოოდ, ივესი ამერიკული მუსიკის ტრადიციაზე
დაფუძნებულ მუსიკოსად ჩამოყალიბდა და ბევრი მას ამერიკის
ყველაზე წარმატებულ და ორიგინალურ კომპოზიტორად თვლის.

ივესთან ერთად, ნეოკლასიკური სტილის წარმომადგენელი
იყო ვირჯილ თომასი. განსაკუთრებით კარგად არის ცნობილი მისი
საეკლესიო სონატა. ახალი თაობის პიონერი მუსიკოსები, უფრო
თავისუფალნი ახალი ფორმის ძიებასა და ეროვნული მოტივების
გამოხატულებაში, იყვნენ ჰენრი კოუელი და როი ჰარისი. დიდი
ამერიკელი კომპოზიტორის კოპლანდის შემოქმედებაც ოციან
წლებში დაიწყო, თუმცა ნამდვილ აღიარებას მეორე მსოფლიო
ომის შემდეგ მიაღწია და ბრწყინვალედ გააერთიანა ჯაზი და კლა-
სიკა. მრავალი ადამიანი მას დღესაც საუკეთესო ამერიკელ კომ-
პოზიტორად მიიჩნევს. ასევე ცნობილი კომპოზიტორები იყვნენ
დიმს ტილორი, ჰოვარდ ჰანსონი, ერნსტ ბლოჩი, რომელნიც
ტრადიციულ კლასიკურ მიდგომებთან ერთად სულ უფრო ხშირად
ეძიებდნენ თემებს ამერიკის ისტორიისა და ცხოვრებიდან.

აღსანიშნავია, რომ კლასიკური მუსიკა სულ უფრო პოპულარული ხდება მოსახლეობაში. თუ | მსოფლიო ომამდე ამერიკაში სულ 17 სიმფონიური ორკესტრი იყო, 1939 წლისთვის მათმა რიცხვმა 270-ს მიაღწია. 1930 წლის სტატისტიკის მიხედვით, მამაკაცთა რიცხვი მუსიკასა და მუსიკის სწავლებაში პირველად უსწრებს ქალთა რაოდენობას.²⁴

ოციან წლებში ძალზე მოდაში იყო ოპერეტა. ამ მხრივ გამოირჩეოდა პრალაში დაბადებული რუდოლფ ფრიმი, რომელმაც 33 ოპერეტა დანერგა. ყველაზე პოპულარული იყო „როზმარი“, რომლის პრემიერა 1924 წელს შედგა ნიუ-იორკში.

თუ XX საუკუნის დასაწყისში ფირფიტების ჩამწერი კომპანიების წყალობით, ძირითადად, ურბანისტული მუსიკის პოპულარიზაცია ხდებოდა და აგრარული რეგიონების მუსიკა მათი „სიმარტივის“ გამო შედარებით უგულვებელყოფილი იყო, 1920-30-იან წლებში გაიზარდა ინტერესი ე.წ. ქანთრი მუსიკის მიმართ. ამ პროცესში სამხრეთის შტატების რადიოსადგურებმაც დიდი როლი ითამაშეს, რომლებიც ღია ეთერში, თავისებური დისკ ჟოკეის მეშვეობით, მთელი დღის მანძილზე გადასცემდნენ ამ მუსიკას. მისი ადრეული ვარიანტი იყო აპალაჩების მთებში მცხოვრები თეთრი ამერიკელების მუსიკა, ე.წ. ჰილბილი (hillbilly). ამ ტერმინმა ეროვნული მასშტაბით სახელი მას შემდეგ დაიმკვიდრა, რაც ამ ხალხური მუსიკის პოპულარულმა შემსრულებლებმა ტონი ალდერმანმა, ჯონ ჰოპკინსმა, ჩარლი ბოუმანმა და ალ ჰოპკინსმა თავიანთ ჯგუფს „ჰილბილის“ დაარქვეს. ეს იყო თეთრი, პროვინციული ამერიკის მუსიკა, რომელიც ინგლისური და კელტური სიმღერებისა და ბალადების საფუძველზე შეიქმნა. 1925 წლიდან ქალაქ ნემვილიში, ტენესიში ყოველწლიურად იმართებოდა ქანთრი მუსიკის ფესტივალები და ნემვილი ახლაც ითვლება ამ მუსიკის ეროვნულ დედაქალაქად. ამ მუსიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად და „თანამედროვე ქანთრი მუსიკის მამად“ ჯიმი როჯერსი ითვლება. 1920-იან წლებში მისი ჩანაწერები ლიდერთა შორის იყო ფირფიტების ბაზარზე.²⁵

ამერიკული კინოც იპყრობს მსოფლიოს

ლიტერატურასა და ჯაზთან ერთად 1920-იანი წლების კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია ამერიკულ კინემატოგრაფს, რომელმაც ლიტერატურისა და ჯაზისაგან განსხვავებით თითქმის ყველა ამერიკელის ცხოვრება მოიცვა. აქ ამერიკა ოსტატობით თუ არა თავისი მასშტაბებით აშკარად წამყვანი სახელმწიფო ხდება. კინონარმოება წამდვილ ინდუსტრიად იქცა. მაგალითად, 1909 წელს ამერიკაში წლიურად 40 მილიონი დოლარი იხარჯებოდა და დაახლოებით 100 ათასი ადამიანი იყო დაკავებული ამ სფეროში, ამავე დროს, აშშ-ში 10 ათასი კინოთეატრი იყო. 1929 წლისათვის ამერიკული ფილმებს ევროპის კინობაზრის 90% და ლათინური ამერიკის თითქმის 100% ეკავა.²⁶ კინოთეატრებში ამერიკელებმა 1921 წელს 301 მილიონი დოლარი დახარჯეს, 1925 წელს — 367 მილიონი, ყველაზე მეტი კი ათწლეულის დასასრულს, 1930 წელს — 732 მილიონი დოლარის სახით. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის კინოინდუსტრია ის იშვიათი დარგი იყო ამერიკის ეკონომიკაში, რომელმაც სხვებთან შედარებით ნაკლებად იზარალა დიდი დეპრესიის შედეგად და 1932 წელს კინოზე 527 მილიონი დოლარი დაიხარჯა.²⁷

ალბათ, ბევრ ჭეშმარიტ კინომოყვარულს დღესაც ახსოვს იმ დღეს უკვე შორეული, პერიოდის კინოვარსკვლავები: დუგლას ფერბენქსი, მერი პიკფორდი, ჩარლი ჩაპლინი, ბასტერ კიტონი, რუდოლფ ვალენტინო, ლორია სვენსონი, უილიამ ჰარტი, ბებ დანიელსი, მერილინ მილერი, კლარა ბოუ, ჯოან კროუფორდი, მანე მაკაევი, რომელთაც ევროპიდან ჩამოსული გრეტა გარბო უწევდა კონკურენციას.

ოციანებში კვლავ გააგრძელეს თავიანთი ბრწყინვალე შემოქმედება დიდმა კომიკოსებმა ბესტერ კიტონმა და ჩარლი ჩაპლინმა. იყო აგრეთვე ჰაროლდ ლოიდი, რომლის თამამი გმირი მუდამ აღწევდა მიზანს და კარგად ენერებოდა არსებულ რეალობებში. კომედიებს მისი მონაწილეობით ხშირად „პროსპერიტის კომედიებს“ უწოდებდნენ.

ხშირად ეს იყო ე.წ „სლექსთიქები“ ანუ სილის განწისა და ჯოხის კომედიები, სადაც აბსურდული სიტუაციები, ცემა-ტყეპა,

სახეში ტორტის სროლა და მსგავსი გასართობი სიუჟეტები გვხვდება. თუმცა ჩაპლინის მსგავსი მსახიობები ხელოვნების მწვერვალს აღწევდნენ, მაგალითად, „პილიგრიმი“ 1923 წელს, „ოქროს ციებ-ციხელება“ 1925 წელს და მრავალი სხვა. ბევრისათვის არანაკლები მიმზიდველობით გამოირჩეოდა ბასტერ კიტონის ფიგურა. ეს იყო კომიკოსი, რომელიც არასოდეს იღიმებოდა, მაგრამ მაინც ყველას აცინებდა.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, მიუხედავად ასეთი თანავარსკვლავედისა, ეპოქის კონოგმირი და სექსსიმბოლო საშუალო ნიჭის მსახიობი, იტალიელი ემიგრანტი რუდოლფ ვალინტინო იყო. იგი ამერიკაში 18 წლის ჩავიდა და ხან მებაღედ, ხან დაქირავებულ საცეკვაო პარტნიორად — ჟიგოლოდ მუშაობდა, თანაც ინგლისური ცუდად იცოდა. მალე მისი გარეგნობის წყალობით ერთ-ერთ ფილმში მთავარი როლიც მიიღო. 1921 წელს ფილმ „შეიხში“, რომელიც არაბეთის ცხოვრებას აღწერდა უდიდეს წარმატებას მიაღწია და სწორედ შეიხის როლის შესრულების შემდეგ გახდა სექსსიმბოლო. თუმცა დიდი მსახიობი იგი არასოდეს ყოფილა, მილიონობით ამერიკელი ქალი ჭკუას კარგავდა მასზე. 1922 წელს დაქორწინდა საშუალო დონის მსახიობზე ჯინ აკერზე, მაგრამ მალევე დაცილდა. თითქმის მაშინვე იქორწინა ვინმე ვინფრედ შენესიზე, კოსმეტიკური მაგნატის გერზე. იგი მბრძანებლობდა სანყალ რუდოლფზე, ერეოდა მის კარიერაში, ამონმებდა ფილმების სცენარებსა და ტანსაცმელსაც კი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ვალენტინოს კონტრაქტებში ამ ქალს ხაზგასმით აეკრძალა ჩარევა გადაღების პროცესში. კაცებს რუდოლფო არ მოსწონდათ და იგი გაპრანჭულ და განაზებულ არსებად მიაჩნდათ. „ჩიკაგო ტრიბიუნში“ დანერეს, რომ სასტუმროს მამაკაცთა ტუალეტში ნაპოვნი პუდრა ვალენტინოს ეკუთვნოდაო. აღშფოთებულმა ვალენტინომ ჟურნალისტი დუელშიც კი გამოიწვია, მაგრამ უარი მილო და აქეთ მოსდეს შარი პაბლისიტის მაძიებელი არისო. 1926 წელს აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ პერიტონიტი დაეწყო და გარდაიცვალა. მისი დასაფლავება დიდი ბრბოს მიერ მოწყობილი უწესრიგობით აღინიშნა. ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობის გმირის, ფრენსის მაკობერის არ იყოს, რუდოლფ ვალინტინოს ბედნიერებაც მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა.

ალბათ, არც ერთ ქვეყანაში კინემატოგრაფს არ უთამაშია ისეთი როლი, როგორც ამერიკაში. კინო იქ არა მარტო ხელოვნების დარგი, არამედ ცხოვრების სტილის დანერგვის და საყოფაცხოვრებო პროდუქციის რეკლამირების ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო. ხოლო კინოვარსკვლავი – უბრალოდ მსახიობი კი არა, არამედ ობიექტის ოცნების განსახიერება. კინოინდუსტრიამ ვარსკვლავის ჭეშმარიტი კულტი შექმნა. ამერიკელები მათ ბაძავდნენ ჩაცმულობასა თუ ქცევის მანერაში. საზოგადოება ჰოლივუდისგან მარტო ფილმებს კი არ ყიდულობდა, ის ყიდულობდა ვარსკვლავებს, რომლებიც ფილმებს ყიდდნენ.²⁸ ამიტომაც მათი ცხოვრება საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

რაც შეეხება ამერიკულ ფილმებს, ისინი ძირითადად კომერციული ხასიათისაა, ბევრი მათგანის მთავარი მიზანი სამსახურიდან დაბრუნებული დაღლილი ადამიანების აღგზნება თუ გართობაა. ამიტომაც მსგავს ფილმებს არ მოეთხოვება ჭეშმარიტი ცხოვრების რეალური ასახვა, პირიქით, ისინი ამ რეალობის დავინყების ამოცანას ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას ამერიკული ცხოვრების სხვა კინოსტერეოტიპების შესახებ, რომლებიც უდარდელ ცხოვრებას, წრეგადასულ დროსტარებას, ძალადობასა თუ ეროტიკას ასახავს. მართალია, ეს ყველაფერი ამერიკაში რეალურად არსებობს, მაგრამ გაცილებით მცირე მასშტაბით, ვიდრე ამერიკული ფილმების ნახვისას შეიძლება მოგვეჩვენოს. ამერიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეტად შრომისმოყვარე და ოჯახის ერთგულია და, თუ ამ ქვეყანაში რამის კულტი არსებობს, ეს სწორედაც რომ ოჯახისა და შრომის კულტია. შრომისადმი სიყვარული და ერთგულება ამერიკელებს იმდენად აქვთ ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ისინი იშვიათად იცლიან უდარდელი ლხინისა და დროსტარებისათვის, რაც, ალბათ, უკვე მეორე უკიდურესობაა.

1920-იანი წლების ფილმების უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა გასართობი ხასიათის, წარმატებული ამერიკელების ცხოვრების ამსახველ ან ისტორიულ თემაზე შექმნილ ფილმებს. ზოგიერთი ამას „ესკეიპიზმს“ ანუ რეალობიდან გაქცევას უწოდებდა.

ამავე პერიოდში განვითარდა წმინდა ამერიკული ჟანრი – ვესტერნი, რომელიც ველური დასავლეთის შფოთიან და ხშირად ძალადობასთან დაკავშირებულ ათვისებას ასახავდა. კოლტით შეიარაღებული კოვბოების ცხოვრების ჩვენებამ დიდი პოპულარობა

მოიპოვა ამერიკაში და, როგორც ვიცით, არც დანარჩენ ქვეყნებში მოკლებია მაყურებლის სიმპათიები. ალბათ, პირველი ვესტერნი „დაჯავშნული ვაგონი“ ცნობილმა ამერიკელმა კინორეჟისორმა ჯეიმს კრუზმა გადაიღო.

ამ პერიოდის გამოჩენილი კინორეჟისორები იყვნენ ერის ფონ სტრონჰეიმი და სესილ დემილე. 1922 წელს გამოსული სტრონჰეიმის ფილმი „სულელი ცოლები“ პირველი იყო, რომელსაც მილიონი დოლარის ბიუჯეტი ჰქონდა და მან რეჟისორს მსოფლიო აღიარება მოუტანა. 1924 წელს გადაიღო ფილმი „სიხარბე“, რომელიც ამ სენის დამლუპველობას ეხებოდა საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ფილმი იყო, რომელიც რეალურ ნატურაზე გადაიღეს, რეალურ მალარობებსა და რეალურ სახლებში. ცნობილი ფილმი გადაიღო აგრეთვე რეჟისორმა კინგ ვიდორმა. ეს იყო „ბრბო“, რომელიც უბრალო ამერიკელი წვრილი მოხელისა და მისი ცოლის ბედ-იღბალს აღწერდა, რაც საკმაოდ უჩვეულო იყო პოლიუდის გასართობი ინდუსტრიისათვის.

ოსკარ მიშო პირველი შავკანიანი კინორეჟისორი და, ამავე დროს, მწერალიც იყო. პირველი ფილმი „ჰომსტედის მფლობელი“ მან 1918 წელს გადაიღო, ხოლო 1924 წელს გადაღებული „დაბადების უფლება“ გარკვეული პასუხი იყო გრიფიტის რასისტული სულისკვეთებით გაჟღენთილ „ერის დაბადებაზე“. თეთრი კინორეჟისორებისაგან განსხვავებით ოსკარი ზანგებს ჩვეულებრივ და მომხიბლავ ადამიანებად ხატავდა.

ოციანი წლების ცნობილ რეჟისორთა რიცხვს მიეკუთვნებოდა რუპერტ ჯულიანი, რომელმაც „ოპეროს ფანტომი“ დადგა 1925 წელს. რექს ინგრემმა 1921 წელს გადაიღო „აპოკალიპსისის ოთხი მხედარი“. ჟოზეფ სტიერნბერგმა გადაიღო 1920-იანი წლების ერთ-ერთი ცნობილი დიდი განგსტერული ფილმი „იატაკქვეშეთი.“ დიდი რეჟისორი იყო ჯონ ფორდი, რომელმაც 1924 წელს გადაიღო „რკინის ცხენი“. კინგ ვიდორის ცნობილ ფილმში „დიდი ალღუმი“ ჩინებული იუმორი და ანტისაომარი განწყობილებები იყო გადმოცემული.

ამავე წლებში პოლიუდის სულ უფრო მეტ უცხოელ რეჟისორს ეპატიუებოდა. ესენი იყვნენ მაურიც სტილერი, ვიქტორ სიოსტრომი, ფრიც ლანგი, ე. დიუპონი, მოროს ტორნიე და სხვები. განსაკუთრებით კარგად ჩაენერა პოლიუდში გერმანელი რეჟისორი

ერნსტ ლიუბიცი, რომელმაც გადაიღო კომედიები „ლედი ვანდერ-მიერის სიხარული“, „ეს არის პარიზი“, „საქორწილო წრე“. თავისი შემოქმედების შეფასებისას ლიუბიცმა განაცხადა, რომ „ამერიკული პუბლიკა, რომელსაც თორმეტი წლის ბავშვის გონება აქვს, ეკრანზე უნდა ხედავდეს იმ ცხოვრებას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს“.²⁹

1920-იანი წლებისათვის დაახლოებით 30 რეჟისორი ქალი იყო და ბევრი მათგანი „იუნივერსალ პიქჩერსში“ მუშაობდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლიზა ვებერი, რომელმაც 1912-27 წლებში საკუთარი სცენარით 40-დე ფილმი გადაიღო და მრავალი მათგანის პროდიუსერიც თავად იყო. 1917 წელს მან საკუთარი სტუდია შექმნა ლოს-ანჯელესში, რომელიც 1923 წელს დაკარგა. მისი ბოლო მუნჯური ფილმი იყო 1927 წელს გადაღებული „ბროდვეის ანგელოზი“.

1920-იან წლებში მოღვაწეობდა, როგორც მას უწოდებდნენ, დოკუმენტური ფილმის მამა რობერტ ფლაჰერტი, რომელმაც 1922 წელს გადაიღო „ჩრდილოეთის ნანუკი“. ამ რეჟისორის კვალს მიჰყვნენ მერიან კუპერი და ერნსტ შოელსაკი.³⁰

ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარის აზრით, მუნჯურმა კინომ, რომელიც საერთო სტატიისტიკურ მაყურებელს 12 წლის ბავშვის ინტელექტის დონეზე აღიქვამდა, საკმაოდ უარყოფითი როლი ითამაშა ამერიკელთა ცნობიერებაზე, ვინაიდან კინოს ყურების მაგივრად ამერიკელი რაიმე უფრო სასარგებლო საქმიანობით დაკავდებოდა, თუნდაც იმავე წიგნების კითხვით. ისინი თვლიან რომ მხოლოდ ხმოვანმა კინომ გამოასწორა ვითარება.³¹

თუმცა პირველი ხმოვანი ფილმი 1926 წელს გადაიღეს, მაგრამ კრიტიკოსები ხმოვანი ფილმის ეპოქას რატომღაც „ჯაზის მომღერლით“ იწყებენ, რომლის პრემიერა ბროდვეიზე 1927 წლის 6 ოქტომბერს შედგა. ამ ფილმში სიმღერებთან ერთად, რომელთაც ცნობილი მომღერალი ელ ჯოლსონი ასრულებდა, პროდიუსერ სემ უორნერის მიერ დამატებული 250 სიტყვის მომცველი დიალოგებიც გაისმა. მაყურებელთა აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ამის შემდეგ ხმოვანი ფილმი ახალ სტანდარტად იქცა.³² ამ ფილმს მოჰყვა 1928 წელს გადაღებული „მომღერალი სულელი“, რომელმაც ასევე უდიდესი წარმატება მოიპოვა.

1928 წელს დიდი თანხები გამოიყო კინოდარბაზებში ხმოვანი ფილმებისათვის საჭირო აღჭურვილობის დასამონტაჟებლად, ხოლო 1929 წლიდან უკვე არც ერთი მუნჯური ფილმი არ გადაუღიათ და „დიდი მუნჯი“ გარდაიცვალა.

1920-იან წლებში დაიწყო თავისი საქმიანობა მსოფლიოს, ალბათ, ყველაზე ცნობილმა მულტიპლიკატორმა უოლტ დისნეიმ, ხოლო 1928 წელს პირველად გამოჩნდა ეკრანებზე დისნეის მიკი მაუსიც.

1929 წელს მოხდა ამერიკის კინოაკადემიის პირველი ჯილდოს, მომავალი ოსკარის, გაცემა. 1927-28 წლების საუკეთესო ფილმად აღიარეს „ფრთები“, საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ჯილდო ემილ ჯენინგსმა, ქალის კი ჯანეტ გეინორმა მიიღო.

პირველი ჰოლივუდელი პროდიუსერების უმრავლესობა გერმანიიდან, რუსეთიდან და პოლონეთიდან ჩამოსული ებრაელი ემიგრანტები ან ებრაელი ემიგრანტების შვილები იყვნენ. ბევრი მათგანი შემთხვევით მოხვდა კინობიზნესში. მანამდე ისინი უბრალო მენეჯერულ მანერად ვაჭრები იყვნენ. მათი შედარებით ადვილი დამკვიდრება კინობიზნესში იმან განაპირობა, რომ ეს იყო ახალი ბიზნესი და მასზე ჯერ კიდევ არ არსებობდა რაიმე კორპორაციული კონტროლი. გარდა ამისა, ეს სარისკო, უცნობი ბიზნესი იყო და უფრო ნარმატივული ამერიკელი ბიზნესმენები არ ჩქარობდნენ ამ საქმეში ფულის დაბანდებას. თანდათანობით ამ ხალხმა პატარა კინოდარბაზები შექმნეს, შემდეგ კი ამ დარბაზებისათვის ფილმების წარმოებაც თავადვე დაიწყეს.

მუნჯური კინოს ყველაზე გავლენიანი კინოკომპანია იყო „პარამაუნტ პიკჩერსი“, რომელიც ვინმე ადოლფ ზუკორმა შექმნა. ზუკორი თავის კომპანიაში სამი კატეგორიის ფილმებს ქმნიდა. პირველი კატეგორია იყო A კლასი, თეატრის მსახიობებით და მაღალი ხელოვნების პრეტენზიით, კლასი B — უკვე ჩამოყალიბებული კინომსახიობებით და კლასი C — იაფი, სწრაფად გადაღებული ფილმები. მალე ზუკორმა შეამჩნია, რომ მაყურებელს განსაკუთრებით მოსწონდა B კლასის ფილმები, რომლებშიც მერი პიკფორდი, დუგლას ფერბენქსი და მათი მსგავსი პროფესიონალი კინომსახიობები თამაშობდნენ და მარტო მათ გამოშვებაზე გადავიდა.

მეორე დიდი კომპანია „მეტრო გოლდვინ და მეიერი“ სწორედ 1920-იანი წლების შუახანებში გაფართოვდა და ეს გაერთიანება კონოთეატრის მფლობელმა მარკუს ლოემ შექმნა. 1924 წელს მან იყიდა საკმაოდ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი „მეტრო პიკჩერ კომპანი“ და ასეთივე დღეში მყოფი „გოლდვინ პიკჩერ კომპანი,“ შემდეგ მათ სათავეში ჩააყენა კონოთეატრების მფლობელი ლოის მეიერი და საბოლოოდ ამ მონსტრს ეს სამივე სახელი შერჩა „მეტრო გოლდვინ ენდ მეიერს“

ოციან წლებში გაიფურჩქნა თავად კინომსახიობთა მიერ 1919 წელს შექმნილი „იუნაიტედ არტისტს ქორპორეიშენი“. ესენი იყვნენ მსახიობები ჩარლი ჩაპლინი, მერი პიკფორდი, დუგლას ფერბენკსი და გამოჩენილი რეჟისორი დევიდ გრიფიტსი. ამ კომპანიას არც მუდმივი სტუდია გააჩნდა და არც საკუთარი კინოთეატრები, მაგრამ ძალზე ნაყოფიერად მუშაობდა.

რაც შეეხება პოლიეუდს, რომელიც ამერიკის კინოცენტრად აღიარეს, იქ კინოინდუსტრია ფორდის ავტოქარხნებით კონვეიერული სისტემით მუშაობდა. არსებობდა სცენარისტთა ჯგუფები, მარკეტინგის სპეციალისტები, ფინანსისტები და ა.შ. კინორეჟისორები კალიფორნიის კარგმა ჰავამ და შედარებითმა სიიაფემ მიიზიდა.

თავად კინოთეატრები სულ უფრო და უფრო მდიდრულ და მომხიბლავ შენობებში იხსნებოდა. ეს სასახლის მსგავსი დარბაზები იყო, სადაც მაყურებელი, ჯერ კიდევ კინოს დაწყებამდე, ექცეოდა არაჩვეულებრივი ფუფუნების სამყაროში. ევროპისაგან განსხვავებით, ამერიკაში კინოს ფასი შედარებით იაფი იყო, რასაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდაც დაერთო და კინო მართლაც რომ გართობის ყველაზე დემოკრატიულ სახეობად იქცა.³³

კინოინდუსტრიის წარმატებულ განვითარებასთან ერთად ამ სფეროში სულ უფრო აქტიურად ერეოდა დიდი ბიზნესი, თუმცა სულ მალე კინობიზნესი თავად იქცა უდიდეს ბიზნესად.

ამავე დროს, გამოიკვეთა კინოინდუსტრიაში არსებული ვითარების მონესრიგების აუცილებლობა, მათ შორის, ცენზურის სფეროშიც, ვინაიდან მრავალი რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია აღშფოთებას გამოთქვამდა კინოს სამყაროში არსებული არც თუ ზნეობრივი ცხოვრების წესით, რაც, მათი აზრით, ფილმებშიაც აისახებოდა. ბევრისთვის მოულოდნელად, საზოგა-

დღეობაში დიდი აღშფოთება გამოიწვია ერთი შეხედვით უბრალო ფაქტმა, როდესაც 1922 წელს მერი პიკფორდი გაცილდა თავის ქმარს ნევადაში, სადაც ეს პროცედურა შედარებით გამარტივებულია, სამი კვირის შემდეგ კი გათხოვდა თავის კინოპარტნიორზე, დუგლას ფერბენქსზე. თითქოს ყველაფერი კანონიერად მოხდა, მაგრამ მორალისტებს არ მოეწონათ ქორწილი განქორწინებიდან ასე მალე რომ მოხდა. ეს ქმედება არ შეეფერებოდა ამ წყვილის სცენიურ სინმინდეს, მით უმეტეს, რომ პიკფორდი „ამერიკის სიყვარულად“ ითვლებოდა და ძირითადად უმნიკელო ქალიშვილების როლებს თამაშობდა.

ისეთ ქვეყანაში, როგორც ამერიკაა, ეკლესიის თვალსაზრისს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეკლესიის მსახურთ მიაჩნდათ, რომ ამერიკული კინო ყრვნიდა ახალგაზრდობას, გულახდილი სცენები შოკში აგდებდა ახალგაზრდა ქალებს. წლების მანძილზე ამ სფეროში არაფერი იცვლებოდა და საჭიროდ მიიჩნიეს ცენზურის გამკაცრება.³⁴ ამერიკელ კლერიკალთა ერთ-ერთ წერილში პრეზიდენტ ჰარდინგისადმი მოითხოვდნენ ცენზურის არა მარტო შტატის დონეზე დანესებას, რაც საკმარისად არ მიაჩნდათ, არამედ ფედერალურ დონეზეც, რაც გაცილებით უფრო ეფექტური იქნებოდა როგორც თვით კინოინდუსტრიისათვის, ასევე ზოგადად მორალური გარემოსათვის.³⁵

ამ პრობლემის მოსაგვარებლად 1922 წელს შეიქმნა კინომენარმეთა და კინოს გამავრცელებელთა ასოციაცია. ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს კინოსთან არც თუ დაახლოებული ყოფილი პოლიტიკური მოღვაწე უილ ჰეისი. იგი თავის დროზე პრეზიდენტ ჰარდინგის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მენეჯერი იყო, მერე ფოსტის სამსახურის უფროსი, პროსექტორიანული ეკლესიის წევრი და მტკიცე რესპუბლიკელი, ე.წ. თეთრი ანგლო-საქსი და პროტესტანტი (WASP – White, Anglo-Saxon Protestant), ანუ 100 პროცენტიანი ამერიკელი. ამ პიროვნების პირადი გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ამ ასოციაციას ჰეისის ოფისსაც კი უწოდებდნენ. ამ ოფისში, ასეთი კაცის მეშვეობით, კონომნარმოებლებმა თითქოსდა ჩამოიცილეს მთავრობის უშუალო ჩარევა მათ საქმეებში, თუმცა სერიოზული ცენზორის სულისკვეთება არც თავად ჰეისს აკლდა და თითქმის არც ერთი სცენარი არ იქცეოდა ფილმად ამ ასოციაციის ნებართვის გარეშე.

ამერიკული სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა

რაც შეეხება სახვით ხელოვნებას, აქ ამერიკელები ჯერჯერობით უფრო მეტად ევროპელთა მიბაძვით შემოიფარგლნენ. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული არსებობდა ამერიკელ იმპრესიონისტთა საკმაოდ კარგი ჯგუფი — ჩაილდ ჰასსამი, ალდენ ვეირი, ჯონ თუოჩმენი.³⁶ თუმცა სულ უფრო მეტი თვითმყოფადი ამერიკელი მხატვარი ჩნდებოდა ასპარეზზე. XIX საუკუნეში ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ: მერი კასატი, თომას ეაკინსი, უინსლოუ ჰომერი, ჯეიმს უისტლერი, ალბერტ რიდერი, ჯონ სინგერ სარჯენტი. XX საუკუნის დასაწყისში გამორჩეული მხატვრები იყვნენ მაურის პრენდერგარსტი, ჯორჯ ბელოუზი, რობერტ ჰენრი.

1920-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ ჯონ სლოუნი, ჯორჯ ბელოუსი, ედვარდ ჰოპერი, სტიუარდ დევისი და ასევე კუბისტები ჩარლზ შიილერი, ჯოზეფ სტელა. 1929 წელს ჯორჯია ო'კიფმა ექსპრესიონიზმით გამოავლინა თავი და გამოფინა თავისი ცნობილი ტილო „შავი ყვავილები“.

ოციანი წლების დასასრულს გამოჩნდნენ ისეთი მხატვრები, როგორც ჯონ სტიუარტ კარი, თომას ბენტონი, გრანტ ვუდი (საყოველთაოდ ცნობილია 1930 წელს დახატული მისი „ამერიკული გოთიკა“), თუმცა ისინი უფრო ოცდაათიან წლებში იძენენ პოპულარობას.

პროსპერითის სულისკვეთება არქიტექტურაშიც გამოიკვეთა, გამდიდრებული ამერიკელები და უზომოდ გამდიდრებული კორპორაციები სულ უფრო დიდ ყურდღებას აქცევდნენ პრესტიჟულობის ელემენტს. ამისათვის კი საჭირო აღმოჩნდა ზეცათამბჯენების აშენება, რომელთა დაბოლოებები ამოტყორცნილი იქნებოდა ცათამბჯენების საშუალო დონიდან, ე.წ. „სქაილანიდან“. ამ ამოცანის შესრულება ზეგამძლე ფოლადის კონსტრუქციების სრულყოფამ და მსუბუქი შეკიდული პანელების გამოყენებამ გააადვილა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ეკონომიკური გათვლებით, 60 სართულზე მაღალი შენობა არარენტაბელური იყო, გაჩნდნენ ზეგიგანტები — გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის“ შენობა (1922-25 წწ.), არქიტექტორი რ. ჰუდი და ჯ. ჰოუელსი, ნიუ-იორკის სატელეფონო კომპანიის ნაგებობა (1926 წ.), არქიტექტორი უოლკერი და

ჯგუფი „პალმოლაივ ბილდინგი“, არქიტექტორი ჰოლკობორდი, „კრაისლერის შენობა“ ნიუ-იორკში, 1929 წ. არქიტექტორი უილიამ ვან ალენი. 1931 წელს დასრულდა „ემპაირ სტეიტ ბილდინგის“ მშენებლობა, რომელიც რამდენიმე ათწლეული ინარჩუნებდა მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობის სტატუსს და დღესაც ნიუ-იორკის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. მისი ავტორია არქიტექტორების — შრივის, ლამბის და ჰარმონის კომპანია.

ამავე პერიოდში დაიწყო ე. წ. პლაზების, მრავალი შენობისაგან შემდგარი თავისებური კომერციული და სავაჭრი ცენტრების მშენებლობა. ერთ-ერთი პირველი და სამაგალითო იყო ნიუ-ორკის ცენტრში 5 ჰექტარზე გადაჭიმული 14 ნაგებობის მომცავი „როკფელერ ცენტრი“, რომელიც დღესაც ნიუ-იორკელთა საამაყო და საყვარელი ადგილია.

თავისებური სიახლე იყო აგრეთვე უზარმაზარი კინოთეატრები. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ათას მაყურებელსაც კი იტევდა. განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოსახდენად ხშირად ამ კინოთეატრებს ეკლექტიკურ სტილში აშენებდნენ, ერთმანეთში იყო არეული ფსევდო-რენესანსის, მავრიტანული, ინდური თუ ეგვიპტური სტილები. ამ მხრივ საინტერესოა ჯ. ებერსონის კინოდარბაზების არქიტექტურა.

მასობრივი ავტომობილიზაციის შედეგად სწორედ ოცნან წლებში დაიწყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისაგან შემდგარი, ქალაქების გარეუბნებში განლაგებული ე. წ. სამეზობლოების მშენებლობაც (ნეიბორჰუდი), რაც ცნობილი „ამერიკული ოცნების“ მოდიფიცირებული ვარიანტი იყო. 1920-იანი წლების ერთ-ერთი პირველი ასეთი უბანი იყო ნიუ-იორკის გვერდით აშენებული ნეიბორჰუდი „რედბერნი“, თუმცა ასეთი უბნების ნამდვილად მასობრივი მშენებლობა, ე. წ. ლევითაუნების სახით, 1950-იან წლებში გაგრძელდა.

გამოჩენილი არქიტექტორი იყო ფრენკ ლოიდ რაიტი, რომელმაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ამერიკულ არქიტექტურას, აქტიურად მოღვაწეობდა 1920-იან წლებშიც. ასევე ცნობილი არქიტექტორები იყვნენ რ. ნეტრა, რ. შინდლერი, პ. ბეკონი, ა. კანი და სხვები. ამავე პერიოდში აგრძელებდა თავის საქმიანობას პირველი ცათამბჯენების შემქმნელი ლუის სალივენი, რომლის

წყალობითაც ჩიკაგო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ
ქალაქად იქცა.³⁷

VI

რადიოს როლი ამერიკულ საზოგადოებაში

ჯერ კიდევ საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილმა რადიომ, როგორც ორმხრივი კონტაქტის საშუალებამ, უდიდესი სამსახური გაუწია კაცობრიობას, მათ შორის | მსოფლიო ომის საზღვაო ოპერაციებში. მაგრამ ამ დარგის წარმომადგენლები რადიოს გამოყენების სხვა გზებსაც ეძებდნენ. უზარმაზარმა კომპანიებმა „ჯენერალ ელექტრიკის“, „რადიო კორპორეიშნ ოფ ამერიკის“ და „ამერიქენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფის“ სახით კარტელური კავშირიც კი შექმნეს. მათ მიაჩნდათ, რომ მთავარი შემოსავალი რადიოალჭურვილობის გაყიდვიდან წამოვიდოდა. მაგრამ 1920 წელს ვესტინგჰაუსის კომპანიის ერთ-ერთმა მოსამსახურემ შეამჩნია, რომ კომპანიის ინჟინერი თავის სახლში უკრავდა ფირფიტებს და რადიოგადამცემის საშუალებით გადასცემდა ამ მუსიკას ადგილობრივ რადიოალჭურვილობის მაღაზიაში, სადაც მიღებულ მუსიკას რადიომიმღებების რეკლამისათვის იყენებდნენ. როგორც ამბობენ, სწორედ აქ გამოიკვეთა უბრალო და გენიალური აზრი, რომ რადიო მარტო ორმხრივი კავშირის კი არა, ცალმხრივი კავშირის საშუალებაც იყო, როდესაც ერთი ცენტრიდან შეიძლებოდა მრავალი მიმღებისათვის ხმოვანი ინფორმაციის გადაცემა. აქედან დაიწყო რადიოს ახალი ტრიუმფალური მსვლელობა.³⁸

პირველი კომერციული რადიოსადგურები იყო WWJ დეტროიტში და KDKA პიტსბურგში. მათ სწორედ 1920 წელს დაიწყეს თავიანთი რადიომაუწყებლობა. რადიობუმიც შესაბამისად 1920-იან წლებში იღებს სათავეს. უკვე 1925 წელს ამერიკაში 170 მილიონზე მეტი რადიომიმღები გამოუშვეს, 1930 წლისათვის უკვე სამიდან ერთ სახლში ჰქონდათ რადიო, ზოგი მონაცემით კი, ამერიკული ოჯახების 40 პროცენტს გააჩნდა რადიო.³⁹

აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი გაახარა და ააცეკვა რადიოს მეშვეობით მოსმენილმა საუკეთესო მუსიკამ. მაგრამ ეს რადიოს შესაძლებლობების მხოლოდ ნაწილი იყო. როგორც თანამედროვენი აღიარებდნენ, რადიომ ძალზე

შეუწყო ხელი ამერიკის ყველა კუთხის დაკავშირებას, ამერიკულ მორალურ-ეთიკური ფასეულობების და კულტურის გავრცელებას. შეერთებული შტატების განსხვავებული დიალექტების მქონე სხვადასხვა რეგიონი რადიოს მეშვეობით ითვისებდა საერთო ლიტერატურულ ენას. ახალი ამბების, თემატიკური გადაცემების, რადიოდადგმებისა და მუსიკის მეშვეობით რადიო დიდად უწყობდა ხელს მოსახლეობის საერთო კულტურული დონის ამაღლებას.

1921 წელს თავის გამოსვლაში კონგრესის წინაშე ჰარდინგმა სპეციალურად გაუსვა ხაზი რადიოს მნიშვნელობას ამერიკის ცხოვრებაში და განაცხადა, რომ „სტრატეგიული, კომერციული და პოლიტიკური საჭიროებიდან გამომდინარე, ამერიკელთა საკუთრებაში მყოფ რადიოსამსახურებს მაქსიმალური ხელშეწყობა სჭირდება“.⁴⁰

1927 წელს კულიჯმა მოაწერა ხელი კანონს რადიოს კონტროლის შესახებ, რომლის მიხედვითაც 5 კაციანი ფედერალური რადიოკომისია არეგულირებდა ურთიერთობებს რადიოსადგურებს შორის. ეს მნიშვნელოვანწილად რადიოტალღებთან დაკავშირებულ წმინდა ტექნიკურ უზრუნველყოფას ემსახურებოდა. ამავე წელს მოხდა ტელევიზიის პირველი საცდელი გამოყენება. „ამერიკენ ტელეფონ ენდ ტელეგრაფის პრეზიდენტი“ ვალტერ ჯიფორდი ნიუ-იორკიდან ვაშინგტონში ტელევიზიის მეშვეობით ელაპარაკა ჰერბერტ ჰუვერს. 1928 წელს ჩატარდა პირველი დაგეგმილი ტელეგადაცემა ნიუ-იორკში. მაგრამ, როგორც ვიცით, ტელევიზიის მასობრივი გამოყენება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

პოლიტიკოსებმაც უმაღლესი გაიაზრეს რადიოს საოცარი პროპაგანდისტული შესაძლებლობანი. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა საარჩევნო კამპანიების წარმართვისას. მმართველი წრეები აქტიურად იყენებდნენ რადიოს საკუთარი იდეოლოგიური დოქტრინების პროპაგანდისათვის. ამის მშვენიერი მაგალითია სტენფორდის უნივერსიტეტში არსებული ომის, რევოლუციის და მშვიდობის, ჰერბერტ ჰუვერის ინსტიტუტის არქივში მოძიებული ჰუვერის უახლოესი თანამშრომლის, იულიუს კლეინის რადიოგამოსვლები. იგი ჯერ საგარეო და საშინაო ვაჭრობის ბიუროს დირექტორი, 1929 წლიდან კი ვაჭრობის მინისტრის მოადგილე იყო. კლეინის რადიოგამოსვლების თემატიკა მეტად მრავალფეროვა-

ნია: 1928 წლის 26 მაისი – ჩვენი საშინაო ბიზნესის ზოგიერთი პრობლემა, 16 და 23 ივნისი – „ამერიკული ინვესტიციები საზღვარგარეთ“, 30 ივნისი და 7 ივლისი – „სავაჭრო ზღუდეები და მათი გადალახვის საშუალებანი“, ამას გარდა, გადაცემები იყო თემებზე: ამერიკული საავტომობილო მრეწველობის ტრიუმფი, ახალი გერმანია: მისი კომერციული და ინდუსტრიული აღორძინება. პრაქტიკული დახმარება თანამედროვე ვაჭრობისადმი, ახალი პან-ამერიკანიზმი, აშშ-ის პროგრესი უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და მრავალი სხვა.⁴¹

ნებისმიერ თემაზე საუბრისას კლეინი ხაზს უსვამდა მთავრობის კეთილმყოფელ გავლენას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ რადიო მაშინ ყველაზე დემოკრატიული ინფორმაციის წყარო იყო. ნაკლებად განათლებული ადამიანები ამერიკაში ჯერ კიდევ საკმაოდ იყვნენ, ამ გადაცემებს კი უსმენდნენ მონტანას უდაბურ მთებშიც და სამხრეთის მივარდნილ ფერმებშიც და ხშირად მთავრობას ამ ადამიანების კეთილგანწყობის მოპოვება უფრო ესაჭიროებოდა, ვიდრე ბიზნესმენებისა, რომელნიც მის ისედაც ერთგულ დასაყრდენს წარმოადგენდნენ.

უშუალო და დემოკრატიული იყო თვით კლეინის საუბრების სტილიც. იგი საკმაოდ რთულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებს გასაგები, არასპეციალისტისთვისაც მისაწვდომი ენით აშუქებდა. მის გამოსვლებში იუმორიც საკმაოდ იყო, მაგრამ ეს უკვე ამერიკის ჩვეულებრივი ტრადიციაა და არცერთი გამოსვლა არ ითვლება სრულფასოვნად, თუ მასში ერთი ან ორი ხუმრობა მაინც არ არის ჩართული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კლეინის გამოსვლები ეკონომიკური განათლების ამოცანასაც ემსახურებოდა, რასაკვირველია, იმ მიმართულებით, როგორც ეს კლეინსა და მის თანამოაზრეებს სურდათ. არადა ისეთ სახელმწიფოში, რომლის ძირითადი პრინციპები ინდივიდუალიზმსა და პირად ინიციატივაზეა დაფუძნებული, ეკონომიკის გარკვეული ცოდნა მეტად სასურველია. კლეინის ყოველკვირეული მიმოხილვები, ამავე დროს, იყო მთავრობის წარმომადგენლის თავისებური ანგარიშგება ფართო საზოგადოებისადმი. აღსანიშნავია ასეთი ანგარიშგების არა ეპიზოდური, არამედ რეგულარული, სტაბილური ხასიათი, რაც,

ბუნებრივია, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე, მის დამოკიდებულებაზე მთავრობის მიმართ.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ მინისტრის მოადგილის გამოსვლები უამრავ კონკრეტულ რჩევას მოიცავდა, რომლებიც სასარგებლო იყო რეალურ საქმიანობაში. ამავე დროს, ეს ძალზე მნიშვნელოვანი პროპაგანდაც იყო, რომლის მეშვეობითაც რესპუბლიკური პარტია და ამერიკული კონსერვატიზმის სხვა მესვეურნი ზრდიდნენ თავიანთ მომხრეთა რიგებს, არნაშენებდნენ ამომრჩევლებს მმართველი პარტიის სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციების ჭეშმარიტებაში. უნდა ვალიარით, რომ, პროპაგანდის სხვა ფორმებთან ერთად, კლეინის რადიოსაუბრების მსგავსმა აქციებმა გამოიღო თავისი შედეგი. 1929-33 წლების კრიზისის დროს რესპუბლიკური ადმინისტრაციის ინერტულობა მარტო რესპუბლიკური პარტიის ელიტისა და მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელთა პიზიციით ვერ განისაზღვრებოდა. როგორც ჩანს, ამერიკული საზოგადოების საშუალო და დაბალი ფენების მნიშვნელოვანი ნაწილიც საკმაოდ ძნელად ელეოდა ინდივიდუალიზმის, მათი აზრით, ჭეშმარიტად ამერიკულ ფასეულობებს.

VII

განათლების სისტემა

1920 წლისათვის წერა-კითხვის უცოდინართა დონემ ამერიკაში 6 პროცენტამდე დაიწია, შესაბამისად, 1910 წელთან შედარებით 1,7 პროცენტით შემცირდა და 1870 წელთან შედარებით კი – 14 პროცენტით. კიდევ ათი წლის შემდეგ, ანუ 1930 წელს, წერა-კითხვის უცოდინართა დონემ 4,3 პროცენტამდე დაიწია. სხვათა შორის, ჰარდინგი იმასაც აღნიშნავდა, რომ წერა-კითხვის უცოდინართა დიდ ნაწილს საზღვარგარეთიდან ჩამოსული უნიგნური ემიგრანტები წარმოადგენდნენ და ემიგრანტების განათლება მათი ამერიკანიზირების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.⁴² ჭვეყნის ინდუსტრიულ აღმავლობასთან ერთად, სულ უფრო იზრდებოდა მოთხოვნა სკოლის უმაღლესი კლასების კურსდამთავრებულებზეც. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი ფილოსოფოსის ჯონ დიუისის ინოვაცია, მან წამოწია პრინციპი — სწავლა საქმის კეთების მეშვეობით, მეტი თავისუფლება სწავლის პროცესში, მისი მაქსიმალური დაახლოება

რეალურ ცხოვრებასთან. ვინ იცის, შეიძლება ეს მიდგომა იყო თანამედროვე უნარ-ჩვევების ტესტების წინამორბედი.

თუ 1910 წელს 156 000 ახალგაზრდამ დაამთავრა სკოლის უმაღლესი კლასები. 1920 წელს, უკვე 311 000-მა.⁴³ კოლეჯი 1910 წელს დაასრულა 40 ათასმა სტუდენტმა, 1920 წელს კი — 54 ათასმა. ზოგიერთი მონაცემით, მარტო 1920-იან წლებში, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი გაორმაგდა. აღსანიშნავია, რომ ეს ზრდა წინ უსწრებდა ამავე პერიოდში მოსახლეობის ზრდის პროცენტს. თუ 1920 წლისათვის ამერიკაში უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა 1000 აღწევდა, 1930 წელს მათმა რაოდენობამ 1500 გადააჭარბა.⁴⁴ შესაბამისად, იზრდებოდა ხარჯები უმაღლეს განათლებაზე, თუ 1920 წელს ეს 216 მილიონი დოლარი იყო, 1940 წელს, დეპრესიის მიუხედავად, უკვე 758 მილიონი.

1920-იანი წლებისათვის მრავალი კოლეჯის ხელმძღვანელობა კვლავ იმ აზრისაა, რომ მათ ჯენტლმენები უნდა აღეზარათ, ანუ წინა პლანზე წამოწეული იყო არა სწავლება, არამედ აღზრდა: რაც ძალზე კარგია, ვინაიდან, ადამიანს ღირსებაცა და ცოდნაც აუცილებლად სჭირდება. უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად საკუთარი ავტონომიების იმედზე იყვნენ, მაგრამ სულ უფრო ნათელი ხდებოდა მათი საქმიანობის კოორდინირების აუცილებლობა მათი სტატუსის და ეფექტიანობის გასაძლიერებლად. კოლეჯები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის ჩარევას მათ საქმეებში და ამისათვის შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ამერიკის განათლების საბჭო.“ იმ დროისათვის ამერიკაში, დღევანდელიდან განსხვავებით, არც ისე ბევრი საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი იყო და მათი რიცხვი 40-50-ს აღწევდა. ესენი იყო: ჰარვარდი, იელი, პრინსტონი, დიუკი, სტენფორდი, კოლუმბიის, ჩიკაგოს, კალიფორნიის უნივერსიტეტები, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. იყო აგრეთვე შედარებით დაბალი რანგის, მაგრამ ასევე საკმაოდ კარგი ორასამდე უნივერსიტეტი. დანარჩენი კოლეჯების დიდი ნაწილი შედარებით უფრო დაბალი დონისა იყო.⁴⁵

1920-იანი წლებისათვის უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყო შერჩევითი კურსები. მაგრამ, თუ ჰარვარდის მაღალინტელექტუალურ გარემოში ეს ამართლებდა, დაბალი რანგის კოლეჯებში

ეს ინოვაცია ზოგჯერ საკმაოდ გროტესკულ ფორმებს იღებდა და იქ მართლაც მარტივი და ნაკლებად მეცნიერული კურსები ისწავლებოდა. მათ ე.წ. ჰამბურგერის კურსებსაც უწოდებდნენ, მაგალითად, ამ კოლეჯებში ისწავლებოდა ჭრა-კერვის კურსი, მანქანის ტარების კურსი ან ბეისბოლის ისტორიის კურსი. ისიც აღსანიშნავია, რომ კოლეჯების უდიდეს ნაწილში სტუდენტები ორწლიანი სწავლებით იფარგლებოდნენ.

კარნეგის ფონდის მონაცემებით, მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში განათლების დონე ექიმებში, ინჟინრებსა და იურისტებში არც თუ სახარბიელო იყო, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამერიკელებს უყვართ საკუთარი პრობლემების გაზვიადება, რაც, ნამდვილად ჯობია ნაცარქექიების ტრაბახს საკუთარ წარმატებებზე. 1910-20-იან წლებში ჩატარდა სამედიცინო განათლების სისტემის რეფორმა და როკფელერის ფონდმა ამისათვის 90 მილიონი დოლარი გამოყო.⁴⁶ ვითარების გამოსასწორებლად და სტანდარტების ასამაღლებლად რიგ უნივერსიტეტებში შემოიღეს ე.წ. ძირითადი და მეორადი აუცილებელი საგნები, რომლებიც მართლაც სამეცნიერო საგნებიდან უნდა აერჩიათ. ჰარვარდის და ინდიანას უნივერსიტეტებში შემოიღეს შეფასების ახალი სისტემა და სამეცნიერო წოდების მისაღწევად გარკვეული რაოდენობის ქულები, კრედიტები უნდა დაეგროვებინათ. არსებული უნივერსიტეტებიდან ნახევარი კერძო იყო, ნახევარი კი სახელმწიფოს ეკუთვნოდა და შტატის ან ქალაქის ბიუჯეტზე იყო დამოკიდებული. სწავლების ფასი იქ ძალზე დაბალი იყო, ხოლო ბევრგან — თითქმის უფასო. ამიტომაც 1934 წელს გადასახადების გადამხდელთა კატასტროფული გაღარიბების გამო 1932 წლის 175 მილიონი დოლარიდან 118 მილიონამდე დაიყვანეს შტატების ხარჯები უმაღლეს სასწავლებლებზე.

კერძო კოლეჯები, მიუხედავად ფასიანი სწავლებისა, მნიშვნელოვანწილად ბიზნესმენტა და გამდიდრებულ კურსდამთავრებულთა შემოწირულობებზე იყო დამოკიდებული. თანაც ხშირად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ფულის მომცემთა მიერ წამოყენებული პირობები.

ამერიკელებში, ალბათ, ისევე როგორც ქართველებში, განათლება მჭიდროდ იყო დაკავშირებული წარმატებასა და სოციალურ საფეხურზე აღმასვლასთან, ამიტომაც დიდი დეპრესიის დროსაც

კი მშობლები ცდილობდნენ ბავშვებისათვის უმაღლესი განათლება მიეცათ. ამდენად, სტუდენტთა რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოდ შემცირდა.

ამერიკელთა განათლებაში დიდი როლი ითამაშა ბიბლიოთეკებმა. ბიბლიოთეკების საქმიანობას მეტ-ნაკლებად ყოველთვის უწყობდნენ ხელს, მაგრამ ამ საქმეში ძირეული გარდატეხა 1893 წელს ნიუ-ჰემპშირში მიღებული კანონიდან დაიწყო, რომელიც პირდაპირ ავალდებულებდა შტატისა და ადგილობრივ ხელისუფალთ გაეხსნათ ბიბლიოთეკები. უკვე 1900 წლისთვის 1700 ბიბლიოთეკა არსებობდა, რომელთა ფონდი 5 ათას წიგნზე მეტს მოიცავდა.⁴⁷ წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ ენდრიუ კარნეგის ლტოლვა ბიბლიოთეკებისადმი. მისი ფონდის წყალობით 1896-1930 წლებში 1677 ბიბლიოთეკა გაიხსნა. შტატებისა და მუნიციპალიტეტების მიერ გახსნილ ბიბლიოთეკებთან ერთად 1935 წლისათვის ამერიკაში 6235 საჯარო ბიბლიოთეკა მუშაობდა და მოსახლეობის 63 პროცენტს ემსახურებოდა. მათ ფონდებში 100 მილიონ წიგნზე მეტი ინახებოდა და წლიურად ისინი 450 მილიონ წიგნს გასცემდნენ.⁴⁸ საინტერესოა, რომ მკითხველთა ახალ ნაკადში უფროსებზე მეტად ახალგაზრდები ჭარბობდნენ, მამაკაცებზე მეტად ქალები, ბიზნესმენებზე მეტად კი მუშები და მოსამსახურეები.

VI

სპორტის ოქროს ხანა

ოციანი წლების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამერიკელთა მზარდი გატაცება სპორტით. ზოგჯერ მას „სპორტის ოქროს ხანასაც“ კი უწოდებენ. სპორტი ყოველთვის პოპულარული იყო ამერიკაში როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიულ დონეზე. თუმცა ამ პერიოდში პროფესიული სპორტი ჯერ კიდევ ფეხს იკიდებდა, მაგალითად, ამერიკულ ფეხბურთში, მაშინ, როდესაც საუნივერსიტეტო გუნდები ძალზე პოპულარული იყვნენ. განსაკუთრებით ცნობილი იყო ნოტრდამის უნივერსიტეტის გუნდი. საუკეთესო ფეხბურთელი კი „წითელი გრეინჯი“ ილინოისის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა, ჰაროლდ გრეინჯი იმ დროის საუკეთესო ჰავებეი იყო. მას ზოგი „მსტუნავ აჩრდილს“, ზოგიც კი „მფრინავ საშინელებას“ ეძახდა. მისი ნომერი 77 ბევრს მართებუ-

ლად ორმაგად იღბლიანად მიაჩნდა. ითვლება, რომ ნამდვილი პროფესიული ფეხბურთი მაშინ განვითარდა, როდესაც გადაბერებული და უიღბლო სპორტსმენებისაგან შემდგარ პროფესიულ ფეხბურთში უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გრეინჯი გადავიდა.

მკვეთრად გაიზარდა დიდი სტადიონების რაოდენობა და სპორტულმა სანახაობებმა მართლაც რომ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამას მოჰყვა პრესაში სასპორტო განყოფილებების ზრდა, ხოლო რადიოს მეშვეობით გაცილებით მეტ ადამიანს შეეძლო ესმინა რეპორტაჟები განსაკუთრებით პოპულარული გუნდების თამაშის შესახებ. თუმცა, სპორტული კომენტატორები ხშირად ალამაზებდნენ, აზვიადებდნენ მოედანზე მომხდარ ამბებს.

რასაკვირველია, ბეისბოლიც ძალზე პოპულარული იყო, აქ გამოირჩეოდა მაშინ და ალბათ დღესაც „ნიუ-იორკის იანკების“ გუნდი (სხვათა შორის, ნიუ-იორკისაკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ იმიტომ გადაეურჩი დიდ ჯარიმას, რომ მანქანაში ქუდი მქონდა ამ გუნდის ემბლემით. პოლიციელს ამ გუნდის გულშემმატკივარი ვეგონე და დიდსულოვნება გამოიჩინა ჩემს მიმართ) და ამ გუნდისა და ალბათ მთელი ამერიკის ლეგენდარული მოთამაშე ბეიბ რატი. შეიძლება ითქვას, რომ რატი ამერიკის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი იყო. რაც კიდევ უფრო საოცარია, იგი საკმაოდ მძიმე წონის და ალკოჰოლის მოყვარული პიროვნებაც გახლდათ, მაგრამ ეს უკვე მეტად იშვიათი გამონაკლისია.

ამერიკული სპორტის ვარსკვლავი იყო მძიმე წონის მოკრივე ჯექ დემპსი. როგორც ამბობენ, ის, ვინც საკუთარი ფეხით წავიდოდა დემპსისთან ორთაბრძოლის შემდეგ, იღბლიანად ითვლებოდა. მას იმდენად ძლიერი დარტყმა ჰქონდა, რომ ხშირად ჩემპიონობისათვის ფინალურ ბრძოლებსაც კი 15-20 წამში ასრულებდა ნოკაუტით. სამოცმა მონინალმდეგემ კი მეორე რაუნდამდეც ვერ მიაღწია. თუმცა გამონაკლისებიც ყოფილა, 1923 წლის 14 სექტემბერს, ლოს ანჯელესში პირფოსთან ბრძოლის დროს ორივე მხარეს 11 ნოკდაუნი იყო. ერთი ასეთი ნიკდაუნის დროს პირფომ დემპსი ბანრებს იქით გადააგდო და ჟურნალისტებს სასწრაფოდ რომ არ გადმოეგდოთ უკან რინგზე, თვლაში ბრძოლას აგებდა, თუმცა საბოლოოდ მოიგო.

ტენისი, რომელიც ომამდე მდიდართა კლასის პრივილეგია იყო, ოციან წლებში სულ უფრო მასობრივ სახეს იღებს. პარადოქსია,

მაგრამ ამ სპორტის მასობრივ სპორტად გადაქცევას სწორედ ამ პრივილეგირებული წრის წარმომადგენელმა უილიამ ტეიტ ტილდენ II შეუწყო ხელი. ამ განუმეორებელმა ტენისისტმა აშშ-ის შვიდი ჩემპიონატი მოიგო, მათგან ექვსი ზედიზედ, სამჯერ გაიმარჯვა უიმბლდონის კორტებზე და შვიდჯერ ზედიზედ დაისაკუთრა დევისის თასი. ალბათ, არ არის გასაკვირი, რომ მას „დაუმარცხებელ ტილდენს“ უწოდებდნენ.

1920-იან წლებში არცერთი სპორტის სახეობა არ განვითარებულა ისე, როგორც გოლფი და, ალბათ, უფრო მისი სოციალური სტატუსის, ვიდრე ჯანმრთელობისათვის სარგებლიანობის ან გართობის გამო. გოლფის მოედნები ძვირი იყო, იქვე იყო კლუბები (Country Clubs) ძალზე მაღალი საწევრო გადასახადით. ერთი სიტყვით, გოლფის თამაში უფრო პრესტიჟის საქმე გახლდათ და ყველა ახლად გამოჩეკილი წარმატებული ბიზნესმენი ცდილობდა გოლფი ეთამაშა. 1920-იანი წლების მიწურულს ამერიკაში 5 ათასამდე გოლფის მოედანი იყო და ამერიკელები გოლფზე წლიურად 200 მილიონს ხარჯავდნენ, რაც ზემოთ აღნიშნული არგუმენტიდან გამომდინარე, ძალიან კარგი ფაქტი იყო. ამ ეპოქის გოლფის ვარსკვლავი ბობი ჯონსია.

ამავე პერიოდში პირველმა ქალმა, ნიუ-იორკელმა ჰერტრუდ ედერლემ გადაცურა პა დე კალე 14 საათსა 31 წუთში.

VII

მაიმუნის პროცესი

ოცინი წლების ამერიკის ყურადღება მიიპყრო ე. წ. დაიტონის სასამართლო პროცესმა, რომელზეც ერთმანეთს დარვინის ევოლუციური მოძღვრების მომხრეები და მოწინააღმდეგეები დაუპირისპირდნენ. 1920-იანი წლებისათვის შუა აღმოსავლეთის და სამხრეთის შტატებში მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა ევოლუციური თეორიის სწავლებას სკოლებში, იმ საბაბით, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა ბიბლიას და ქრისტიანულ მოძღვრებას. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, 1925 წელს ტენესის შტატში ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირმა უარყო ქვეყნის პირველი ანტიევოლუციონისტური კანონი. ეს დაპირისპირება კონკრეტულად იმაში გამოიხატა, რომ სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელს ჯონ სკოუპს სასამართლოში უჩივლეს სკოლაში ბიოლოგიის

გაკვეთილებზე დარვინიზმის სწავლებისათვის. სწორედ ამ საქმის განხილვა დაიწყო ქალაქ დაიტონის სასამართლოში და მისი მეტად პრინციპული ხასიათის გამო იგი მთელი ერის ყურადღების ცენტრში მოექცა. პროცესზე დავა იმაზე მიმდინარეობდა, რომ ადამიანთა მოდგმა ღვთის მიერ შექმნილი ადამისა და ევას შთამომავლობას წარმოადგენდა, თუ დარვინის ევოლუციის მიხედვით, თანდათანობით გაადამიანებული მაიმუნისაგან წარმოიშვა. ამიტომაც როგორც ამერიკის, ასევე მსოფლიოს ისტორიაში ეს პროცესი „მაიმუნის პროცესის“ სახელით შევიდა. სკოუპი დამნაშავედ ცნეს, მით უმეტეს, რომ პროცესზე მის წინააღმდეგ გამოცდილი პოლიტიკოსი, პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან უილიამ ბრაინი გამოდიოდა. ხოლო სკოუპი მხოლოდ საქმის ტექნიკური მხარის გამო გაანთავისუფლეს. 1926 წლიდან ჯორჯიაში, ატლანტის სახელმწიფო სკოლებში აიკრძალა ევოლუციის თეორიის სწავლება.

VII

1920-იანი წლების ყველაზე პოპულარული ამერიკელი

პროსპერიტის წლების ჭეშმარიტი გმირი, შეიძლება ითქვას, სუპერგმირი იყო მფრინავი, 25 წლის ჩარლზ ლინდბერგი, რომელიც 1927 წელს, მარტო, თავისი თვითმფრინავით „სენტ ლუისის სული“ ნიუ-იორკიდან პარიზში ჩაფრინდა 33 საათსა და 39 წუთში. მაგრამ ლინდბერგმა ამერიკელები არა მარტო უდიდესი გმირობით და შემართებით მოხიბლა, არამედ თავისი თავმდაბლობით და იმ დროისათვის უკვე საკმაოდ უცხო არაპრავგმატულობითაც. ალტაცებული საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებულს, ნიუ-იორკში მართლაც რომ ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყვეს და ამერიკის ჭეშმარიტ გმირად აღიარეს. ამავე დროს, მისმა გადაფრენამ კიდევ უფრო გაზარდა ავიაციის პოპულარობა ისედაც ტექნიკაზე ორიენტირებულ ამერიკელებში. მაგრამ შემდგომში, მის იმიჯს დიდი ზიანი მიაყენა მისმა კეთილგანწყობამ ნაცისტებისადმი და ჰიტლერის პიროვნებით აღფრთოვანებამ.

პირველმა ქალმა კი ატლანტის ოკეანე 1928 წელს გადაიფრინა. ამელია ეარჰარტი ბოსტონიდან გაფრინდა თვითმფრინავით „მე-

გობრები", მაგრამ, ლინდბერგისაგან განსხვავებით, ქალბატონს ორი თანამგზავრი ჰყავდა.

ბუნებრივია, 1920-იანი წლების კულტურასა და ყოფაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარს გავუსვამთ ხაზს, კერძოთ კი, როგორც დავინახეთ, ეს ათწლეული, არა მარტო ეკონომიკურ სფეროში, არამედ კულტურაშიც უდიდესი გარღვევა იყო ამერიკის ისტორიაში. ამ ათწლეულის შედეგად ამერიკამ წამყვანი პოზიციები დაიმკვიდრა კულტურულ სფეროშიც და მსოფლიო ახალი და ღირსეული შედეგებით გაამდიდრა. ამერიკული კულტურა არა მარტო სულ უფრო ნაცნობი, არამედ მისაბაძიც კი ხდებოდა მსოფლიოსათვის.

რაც შეეხება ცვლილებებს ამერიკელთა ყოფაში, ისინიც მეტად მნიშვნელოვანი იყო. ცხოვრების დონის სწრაფმა და უპრეცედენტო ზრდამ ხელმისაწვდომი გახადა რიგითი ამერიკელებისათვის უახლესი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მათი ცხოვრება გაცილებით უფრო კომფორტული და ხალისიანი გახდა. სულ უფრო იზრდებოდა მოსახლეობის განათლებულობისა და კულტურის დონე. ამავე დროს, ქვეყანა თანდათანობით სცილდებოდა ვიქტორიანულ ტრადიციას, საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო ტოლერანტული და თანასწორუფლებიანი ხდებოდა.

მშრალი კანონი — ყველაზე დიდი და კეთილშობილი სოციალური ექსპერიმენტი

I

რატომ და როგორ მიიღეს მშრალი კანონი

1920 წლის იანვარი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა წლის ნებისმიერი თვე, აღსავსე იყო მრავალგვარი მოვლენებით. მაგალითად, 16 იანვარს პარიზში მოიწვიეს ახალშექმნილი ერთა ლიგის პირველი სხდომა, ხოლო 6 დღით ადრე ძალაში შევიდა ვერსალის საზავო ხელშეკრულება, რითაც თითქოსდა საბოლოოდ დაესვა წერტილი პირველ მსოფლიო ომს. იანვარშივე დაიღო ზავი თავისუფალ ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორს.

ბევრ სიკეთესთან ერთად 1920 წლის იანვარმა სევდა-ტკივილიც მოუტანა კაცობრიობას: 6 იანვრს მომხდარი მინისძვრის შედეგად მექსიკაში ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. 14 იანვარს ბერლინში, რაიხსტაგის წინ მიმხდარ შეტაკებაში დაიღუპა 43 და დაიჭრა 105 კაცი.

ასევე იანვარში შეერთებული შტატებში დაიწყო ე. წ. „პალმერის რეიდები“. 24 იანვარს გარდაიცვალა, სინამდვილეში კი უკვდავებას ეუიარა, ფრანგი მხატვარი ამედეო მოდილიანი. სამაგიეროდ, იანვარშივე დაიბადნენ — განუმეორებელი იტალიელი კინორეჟისორი ფედერიკო ფელინი და ცნობილი ამერიკელი მწერალი ფანტასტი აიზეკ აზიმოვი.

მაგრამ ამჯერად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ 16 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში მომხდარ უჩვეულო ამბებზე. ვინც ამ ქვეყანას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ აღნიშნული თარიღი არ გამოირჩეოდა რაიმე ისტორიული ან სადღესასწაულო მნიშვნელობით.

ეს არც 4 ივლისი იყო, როცა ამერიკელები თავისი სახელმწიფოს დაარსებას ზეიმობენ. არც ნოემბრის მეოთხე ხუთშაბათი, როცა ტრადიციული, შემწვარი ინდაურით დამშვენებულ სუფრასთან ამერიკელები მადლობას სწირავენ უფალს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. არც 14 თებერვალი გახლდათ — ამ დღეს ამერიკელები წმინდა ვალენტინის დღეს აღნიშნავენ და ურთიერთ-

სიმპათიითა და სიყვარულით აღსავსე ბარათებით და საჩუქრებით, სიყვარულის ზეიმს ულოცავენ ერთმანეთს.

და საერთოდ, როგორც 1920-იანი წლების, ასევე თანამედროვე ამერიკაში მრავალ ღირსახსოვარ თარიღს აღნიშნავენ. მაგალითად: 22 თებერვალს პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის დაბადების დღეს ზეიმობენ, 17 მარტს — წმინდა პატრიკის დღეს, 14 ივნისს — ეროვნული დროშის დღეს, სექტემბრის პირველ ორშაბათს — შრომის დღეს, 11 ნოემბერი კი ომის ვეტერანთა დღედ არის გამოცხადებული. ამერიკელებს მეტად თბილი ოჯახური დღესასწაულებიც აქვთ: მაისის მეორე კვირა დედების დღეა, ხოლო განაწყენებულ მამაკაცთა გულის მოსაგებად ივნისის მესამე კვირა მამების დღედ გამოცხადდა. სექტემბრის მეორე კვირა დღეს პატარები ბებიებსა და ბაბუებს ულოცავენ ზეიმს.

31 ოქტომბრის ღამეს მთელი ამერიკა შალოუინის საკარნავალო სამოსითა და მხიარული ხუმრობით ხვდება. 25 დეკემბრიდან კი გრანდიოზული საშობაო დღესასწაულები იწყება. ბუნებრივია, რომ ამერიკელები არც ახალ წელს ხვდებიან დაღვრემილნი. არც ერთი ამ ღამეზე დღესასწაულთაგანი არ ემთხვეოდა 16 იანვარს, მაგრამ სწორედ 1920 წლის 16 იანვარს ნიუ-იორკისა თუ ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოსა თუ ფილადელფიის რესტორნებსა და ბარებში განსაკუთრებული ხალხმრავლობა და გამოცოცხლება შეიმჩნეოდა.

გაუთვითცნობიერებელ ადამიანს ისიც გააკვირვებდა, რომ უზომოდ მსმელთა მნიშვნელოვან ნაწილს სახეზე სინანულისა და ირონიის გამომეტყველება ეხატა, ხოლო ნიუ-იორკის ზოგიერთ რესტორანში, თავისებური გლოვის ნიშნად, შავი ფერის სუფრებით გაეწყობა მაგიდები. ამ სევდანარევი ბაკქანალიის მომსწრეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა თითქოს ამერიკელები უკანასკნელად ენაფებოდნენ ბახუსის მათრობელა სიამეს.

ზუსტად იმავე დღეს შუა დასავლეთისა და სამხრეთის მრავალი შტატის პატარა ქალაქსა თუ დაბაში ათასობით ადამიანი, სასულე ორკესტრების თანხლებით, საზეიმო მანიფესტაციას აწყობდა თავისი ქალაქის უდიდეს და ხშირად ერთადერთ ქუჩაზე. ეკლესიებში ღვთის მსახურნი მაღლობას სწირავდნენ მაცხოვარს, მუნიციპალიტეტებში კი ადგილობრივი ხელისუფალნი ახალი ეპოქის დასაწყისს ულოცავდნენ თანამემამულეებს. ერთი სიტყვით,

აქაც საზეიმო განწყობილება სუფევდა, იმ განსხვავებით, რომ ამ თავყრილობებზე შესმული ყველაზე მათრობელა სასმელი კოკა-კოლა იყო.

მაშ რა ხდებოდა შეერთებულ შტატებში ამ დღეს? რას გლოვობდნენ ერთნი და რას ზეიმობდნენ მეორენი, რას ემშვიდობებოდნენ ნიუ-იორკელები და რას ხვდებოდნენ, რომელიმე დაბა ვესტ ბრენჩში.

ამ დღეს, შუალამისას, ძალაში შევიდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის რიგით მეთვრამეტე შესწორება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე იკრძალებოდა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და გაყიდვა. იკრძალებოდა აგრეთვე მათი იმპორტი ნებისმიერი ქვეყნიდან. ბუნებრივია, ეს მკაცრი შეზღუდვანი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა შეერთებული შტატების ტერიტორიაზე რაიმე ალკოჰოლური სასმელის დაღვევასაც და სწორედ ამიტომ ეს შესწორება „მშრალი კანონის“ სახელით არის ცნობილი.

ოციანი წლები მშრალი კანონის გარეშე წარმოუდგენელია, ისევე როგორც ეგვიპტე პირამიდების გარეშე. სხვასთან ერთად, სწორედ მშრალი კანონის წყალობითაც იქცა 1920-იანი წლები სრულიად განსაკუთრებულ პერიოდად ამერიკის ისტორიაში და, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოს ისტორიაშიც. ამიტომაც მართებულად მიგვაჩნია ამ მოვლენას ცალკე თავი დაუთმოთ.

მაგრამ სჯობს, თავდაპირველად თვით კანონის ტექსტს გავეცნოთ:

„1. ამ მუხლის რატიფიცირებიდან ერთი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციას დაქვემდებარებულ ყველა ტერიტორიაზე იკრძალება მათრობელა სპირტიანი სასმელების წარმოება, გაყიდვა, ტრანსპორტირება; იკრძალება აგრეთვე მათი შემოტანა შეერთებულ შტატებში ან გატანა შეერთებული შტატებიდან.

2. კონგრესსა და ცალკეულ შტატებს ენიჭებათ საზიარო უფლებანი შესაბამისი კანონმდებლობით ცხოვრებაში გაატარონ აღნიშნული მუხლი.

3. ეს კანონი არ შევა ძალაში მანამდე, სანამ არ იქნება რატიფიცირებული აუცილებელი რაოდენობის შტატების საკანონმდებლო ორგანოების მიერ, როგორც ამას კონსტიტუცია

მოითხოვს. რატიფიცირების ვადა შეადგენს შვიდ წელიწადს, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ მუხლს კონგრესი წარუდგენს შტატებს“.

1919 წლის ოქტომბერში მე-18 შესწორება შეივსო კინგრეს-მენ ენდრიუ ვულსტედის (მინესოტას შტატი) მიერ წარდგენილი კანონით, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი სახის სასმელი, რომელშიც ალკოჰოლის შედგენილობა ნახევარ პროცენტს აღემატებოდა, ალკოჰოლურად ითვლებოდა. კანონს, ტრადიციისამებრ, ავტორის სახელი მიენიჭა. ვულსტედის აქტმა არა მარტო ბახუსის ახლო მეგობრებს, არამედ შორეულ ნაცნობებსაც კი უკანასკნელი იმედი გადაუწურა.

ნებისმიერი ახალი კანონის მიღება მეტად პრომატევედ და ხანგრძლივ პროცედურას წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც კონგრესის წევრი წარადგენს კანონპროექტს, იგი განსახილველად გადაეცემა პალატების კომისიებს, რომელნიც, რიგ შემთხვევებში, მას ქვეკომისიას გადაულოცავენ. იქ განხილული და გადამუშავებული კანონპროექტი უბრუნდება კონგრესს, სადაც მას ცალ-ცალკე განიხლავენ როგორც წარმომადგენელთა პალატაში, ასევე სენატში. საკანონმდებლო პროცესში ორივე პალატას თანასწორი უფლებანი გააჩნია და თუ ერთი მათგანი მაინც ეწინააღმდეგება კანონპროექტს, იგი უარყოფილად ითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ ორივე პალატა აღიარებს კანონპროექტს, იგი პრეზიდენტს გადაეცემა ხელმოსაწერად და თუ პრეზიდენტიც თანხმობას განაცხადებს, მაშინ კანონპროექტი უკვე კანონის ძალას იღებს.

მაგრამ, არც თუ იშვიათად, პრეზიდენტი წინააღმდეგია და ვეტოს უფლებას იყენებს. იმ შემთხვევაში, თუ კონგრესი მაინც არ იშლის თავისას, კენჭისყრა მეორდება ორივე პალატაში, მაგრამ ამჯერად კანონპროექტი ხმების კვალიფიციური (ორი მესამედი) უმრავლესობით უნდა დამტკიცდეს. აი, ამ პროცედურის შემდეგ კი პრეზიდენტმა ვეტოს კი არა ხარაკირისაც რომ მიმართოს, კანონპროექტის დაკანონებას უკვე ველარაფრი დაუდგება წინ.

ეს, რაც შეეხება რიგით კანონებს, ხოლო კონსტიტუციის შესწორების მიღებას გაცილებით მეტი წინააღმდეგობა ხვდება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურებისა, აუცილებელია ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოთა თანხმობა, უფრო ზუსტად კი, შტატების საერთო რაოდენობის სამი მეოთხედის თანხმობა.

შეერთებული შტატების კონსტიტუცია არა მარტო უძველესია ყველა დღეისათვის არსებულ კონსტიტუციათა შორის, არამედ, ალბათ, ყველაზე სტაბილურიც. არსებობის თითქმის 215 წლის მანძილზე მიღებულია კონსტიტუციის მხოლოდ 27 შესწორება. ეს ურთულესი კონსტიტუციური ზღუდეები მშრალმა კანონმა თითქმის ერთ წელიწადში გადალახა — 1917 წლის დეკემბრიდან 1919 წლის იანვრამდე. სენატში მე-18 შესწორების მიღებას სულ რაღაც 13 საათის დებატები დასჭირდა, წარმომადგენელთა პალატაში კი მისი განხილვა ერთ დღეს მიმდინარეობდა. მშრალი კანონის ტრიუმფალური სვლა მხოლოდ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ვეტომ დააყოვნა.

მას მიაჩნდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა მშრალი კანონის სრული ფორმით რეალიზაცია. მისი აზრით, უკიდურეს შემთხვევაში ლუდი და მსუბუქი ღვინო მაინც უნდა გაყიდულიყო.¹ მიუხედავად პრეზიდენტის წინააღმდეგობისა, კანონპროექტმა წარმატებით გაიარა განმეორებითი კენჭისყრა. შტატების თანხმობას სულ რამდენიმე თვე დასჭირდა. ნებრასკა იყო ის 36-ე შტატი, რომელმაც განაპირობა შტატების კვალიფიციური უმრავლესობა. და აი, 1919 წლის 16 იანვარს აშშ-ის კონსტიტუციის მე-18 შესწორება საბოლოოდ მიიღეს. არსებული წესის თანახმად, შესწორება ძალაში შევიდა ზუსტად ერთი წლის შემდეგ.

აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ შეერთებულ შტატებში „მშრალი კანონი“ ძირითადად აღინიშნება ტერმინით Prohibition — პროჰიბიცია, რაც ქართულად აკრძალვას ნიშნავს. ბუნებრივია, ცალკე სიტყვა პროჰიბიცია კონტექსტის გარეშე არაფრის მთქმელია, მაგრამ, თუ შევთანხმდებით, როგორც ეს ამერიკაში მოხდა, რომ იგი სწორედ ალკოჰოლური სასმელების აკრძალვას ნიშნავს, ეს საკმაოდ გაგვიადვილებს თხრობას.

თუ მშრალი კანონის ანუ პროჰიბიციის შეფასებას დავაპირებთ, პირველ რიგში, ალბათ, მისი პარადოქსულობა გვეცემა თვალში. სახელმწიფო, რომელიც აცხადებს, რომ ადამიანის ხელშეუვალ უფლებებს წარმოადგენს „სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“ და, ამავე დროს, საფუძვლიანად ამაყობს თავისი დემოკრატიული ტრადიციებით, უცებ იღებს კანონს, რომელიც არა მარტო საგრძნობლად ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას, არამედ უშუალოდ ერევა მის ოჯახურ ცხოვრებაში. ცნო-

ბილი ინგლისური გამოთქმა, — „ჩემი სახლი, ჩემი ციხესიმაგრე“, — აშკარად ეწინააღმდეგება ამ კანონის სულისკვეთებას.

კანონმა ფაქტობრივად ზუსტად განსაზღვრა, თუ რა უნდა ჭამოს ან სვას თავისუფალი ქვეყნის თავისუფალმა მოქალაქემ, ვინაიდან ეს კანონი მართო ლოთობას კი არ ებრძოდა, არამედ, გარდა სამედიცინო მიზნებისა, შეუძლებელს ხდიდა ალკოჰოლური სასმელების ნებისმიერი ფორმითა და რაოდენობით გამოყენებას.

არადა ასე, ხელის ერთი მოსმით, ადამიანს ვერ აუკრძალავ ათასწლეულობით დამკვიდრებული წესით ცხოვრებას. ღვინის სმა მისი ყოფის ისეთ ძირძველ და ფუნდამენტურ ტრადიციებთან არის დაკავშირებული, როგორცაა სტუმართმოყვარეობა, ლხინისა თუ მწუხრის სუფრა და ვინ მოთელის კიდევ რა, ვგონებ, ქართველებს არ გაგვიჭირდება ამ სიის გაგრძელება.

ამ პარადოქსის ასახსნელად მშრალი კანონის მიღების წინაპირობების გახსენება დაგვჭირდება. მე-17 საუკუნის დასაწყისში „ალტემულ მიწაზე“ კოლონისტებმა კეთილ სურვილებთან ერთად ძველი სამყაროს მანკიერებანიც, მათ შორის ალკოჰოლიც, ჩამოიყოლეს. განსაკუთრებით მძიმე შედეგებს იწვევდა ისეთი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოყენება, როგორც შოტლანდიური ან ირლანდიური ვისკი და იამაიკის რომი იყო.

სწორედ ამიტომ კოლონია ჯორჯიაში აიკრძალა მაგარი სპირტიანი სასმელების იმპორტი. სანაცვლოდ კოლონიის მესვეურნი ცდილობდნენ ნაკლებად მაგნე, მცირე გრადუსის მქონე ლუდის კულტურის დანერგვას. 1760 წელს მელვინეობის განვითარების ცდები კოლონია ვირჯინიაში იგივე მიზანს ემსახურებოდა.

მართალია, ამ ბრძნულ გადანყვეტილებას მაშინ არ მოჰყოლია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი, მაგრამ ამერიკელები აბა რისი ამერიკელები იყვნენ, თუ ბოლომდე არ ეცდებოდნენ დასახული მიზნის მიღწევას. და მართლაც, თანამედროვე ამერიკაში, სწორედ სუსტი ლუდისა და ღვინის ინტენსიური და ხანგრძლივი რეკლამის შედეგად, მოხერხდა ტრადიციული ვისკისა და ახლად შემოტანილი რუსული არყის შევიწროება ამერიკელთა ყოფაში. ეს განსაკუთრებით საზოგადოების მაღალ და საშუალო ფენებს ეხება. მაგრამ ამ გრანდიოზული „ალკოჰოლური კომპრომისის“ მიღწევას 200 წელზე მეტი დასჭირდა.

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ მალე, 1777 წლის 27 თებერვალს, როცა ახალგაზრდა რესპუბლიკა გააფთრებულ ომს ეწეოდა ინგლისური არმიების წინააღმდეგ, კონტინენტურმა კონგრესმა დაადგინა, რომ „შეერთებული შტატების სხვადასხვა საკანონმდებლო ორგანოს უნდა მიეთითოს, დაუყოვნებლივ მიიღონ შესაბამისი კანონები, რათა მოისპოს ხორბლისაგან მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდის დამლუპველი პრაქტიკა, ვინაიდან ეს ხელს უწყობს განსაკუთრებით მანკიერი მოვლენების დამკვიდრებას.² მაგრამ მაშინ სერიოზულად ვერავინ მოიცალა აღნიშნული დადგენილებისათვის. სამაგიეროდ 1789 წელს, როდესაც ამერიკის კონსტიტუცია მიიღეს, დაწესდა საკმაოდ დიდი გადასახადი სპირტიან სასმელებზე. კანონმდებელნი იმედოვნებდნენ, რომ ეს შეზღუდავდა ვისკის უზომო სმას. როგორც ცნობილია, საკმაოდ ხშირად სასმელის სიძვირე მისი მოხმარების რაოდენობის უკუპროპორციულია.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 1791 წელს აშშ-ის პირველი ფინანსთა მინისტრის, მეტად გავლენიანი პიროვნების ალექსანდრე ჰამილტონის ინიციატივით არა მარტო გაიზარდა გადასახადი იმპორტულ და ადგილობრივ პროდუქციაზე, არამედ საკმაოდ მალალი გადასახადი დაწესდა თვით ვისკის წარმოებაზე. ვისკის მწარმოებელთა საკმაოდ გავლენიანი და ორგანიზებული ფენა ასე ადვილად ვერ შეურიგდა შემოსავლების ხელყოფას. უკმაყოფილება განსაკუთრებით პენსილვანიაში იფეთქა, სადაც შოტლანდიური და ირლანდიური წარმოშობის ხალხი ცხოვრობდა და მათთვის ვისკი არა მარტო საყვარელი სასმელი, არამედ შემოსავლის მთავარი წყაროც იყო.

დასავლეთ პენსილვანიელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ახალ კანონს, რაც, სრულიად მოულოდნელად, პოლიტიკურ მანიფესტაციაში გადაიზარდა. ამბოხებულნი თვლიდნენ, რომ გადასახადი არა მარტო ძირს უთხრიდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ ხელყოფდა მათ მოქალაქეობრივ უფლებებსაც. პენსილვანიელებს მიაჩნდათ, რომ ირლვეოდა პარლამენტარიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი— „არავითარი გადასახადი წარმომადგენლობითობის გარეშე.“ სხვათა შორის, ამერიკული კოლონიების დედასამშობლოსაგან გამოყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ კოლონიები არ იყვნენ წარმოდგენილნი ბრიტანულ

პარლამენტში, ხოლო პარლამენტი მაინც ანებსება გადასახადებს ამერიკულ კოლონიებში. წინა პლანზე წამოწია, აგრეთვე, მუდმივმა წინააღმდეგობამ ცენტრალურ ხელისუფლებასა და შტატების სუვერენულ უფლებებს შორის. მით უმეტეს, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკაში ჯერ კიდევ საკმაოდ იყი ცენტრიდანული განწყობილებანი და მრავალი მოქალაქე თავის თავს, პირველ რიგში, პენსილვანიელად ან ვირჯინიელად თვლიდა და მხოლოდ მერე ახსენდებოდა თავისი ამერიკელობა.

გადასახდის წინააღმდეგ გამოსულთა შორის ზოგიერთი საერთოდ კარგავდა რეალობის გრძნობას, შეიარაღებული ამბოხებისაკენ მოუწოდებდა ხალხს და დედაქალაქის დალაშქვრით იმუქრებოდა.

მართალია, ასეთ გამოსვლებს არავინ აქცევდა სერიოზულ ყურადღებას, მაგრამ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ისტორიაში, ერთეულთა უპასუხისმგებლო გამოთქმები ხელისუფალთ მოხერხებულად დაუხვევიათ ხელზე და საპასუხოდ ათასობით უდანაშაულო კაცი დაუსჯიათ. ამჯერადაც ასე მოხდა, მიტინგზე დაუფიქრებლად წამოსროლილმა სიტყვებმა დედაქალაქში ავისმომასწავლებელ, ათასჯერ გაბერილ ჭორად ჩააღწია. ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის, რობერტ კელის თანახმად, ჯორჯ ვაშინგტონსა და ალექსანდრე ჰამილტონს სერიოზულად მოეჩვენათ, რომ ქვეყანას სახელმწიფო გადატრიალება დაემუქრა და რომ პენსილვანიელები იაკობინური დიქტატურისაკენ მიისწრაფოდნენ, როგორც ეს საფრანგეთში მოხდა.³

დასავლეთ პენსილვანიაში 13 ათასიანი არმია გაიგზავნა, რომელსაც თვით ჰამილტონი ჩაუდგა სათავეში. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ლაშქარი ვისკის მოძულე ჯარსკაცებისაგან ყოფილიყო დაკომპლექტებული, მაგრამ, როგორც ვთქვით, კონფლიქტმა უკვე პოლიტიკური ხასიათი მიიღო, თუმცა ამერიკის ისტორიაში იგი „ვისკის ამბოხის“ სახელით დამკვიდრდა. საბოლოოდ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, პენსილვანიელებმა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არც კი უფიქრია შეიარაღებულ გამოსვლაზე, არმიას ვერავითარი, ან თუ გნებავთ, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწია, დაიღუპა სულ სამი კაცი, ასამდე კი დააპატიმრეს. ორ პატიმარს სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ ვაშინგტონმა, რომელიც უკვე სრულად გაერკვა ვითარებაში, შეი-

წყალა მსჯავრდადებულნი. ასე დასრულდა ეს საკვირველი „ვისკის ამბობი“.

კონგრესი შემდგომშიაც არაერთხელ ცვლიდა სააქციზო და საბაჟო გადასახადს სპირტიან სასმელებზე, მით უმეტეს, რომ ამის გამო აღარავის აუღია იარაღი ხელში, მაგრამ ეს, ალბათ, ჯერ კიდევ არ იყო ბრძოლა ჭეშმარიტი პროჰიბიციისათვის, ვინაიდან პროჰიბიციის პრინციპულად უარყოფს ყოველგვარ სპირტიან სასმელს. ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა პროჰიბიციისათვის დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის 20-30-იან წლებში, როდესაც რიგი ისტორიკოსების მოსაზრებით, ლოთობამ ამერიკაში შემაშფოთებელ მასშტაბებს მიაღწია და ქვეყანაში მართლაც არსებობდა მიზეზები ასეთი განწყობილებისათვის.⁴ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამერიკელებს ოდითგანვე უყვარდათ თავიანთი პრობლემების გაზვიადება და ზოგადეროვნული განგაშის ატეხა. ლოთობის ის მასშტაბები, რომელიც ამერიკელთა შემფოთებას ინვეცდა, ზოგიერთ სხვა ქვეყანაში შეიძლება საერთოდ არ შეენიშნათ.

ანტიალკოჰოლურ პროპაგანდაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ეკლესიამ, რომელიც ლოთობას ზნეობრივი, ქრისტიანული მორალის პოზიციიდან აკრიტიკებდა. ასეთი სახის ქადაგებით ამერიკელთა მეხსიერებაში დარჩა ცნობილი ევანგელისტი მოღვაწე ლიმან ბიჩერი („ბიძია თომას ქოხის“ ავტორის, მარიამ ბიჩერ სტოუნის მამა). მქადაგებელნი ხშირად იშველიებდნენ ბიბლიურ ციტატებს, მით უმეტეს, რომ ამ საღვთო წიგნში არაერთხელ არის ხაზგასმული წრეგადასული ლოთობის მავნებლობა. მაგრამ იყო კურიოზებიც — აბსოლუტური პროჰიბიციის მიმხრენი ჩიხში ჩააყენა იმ ფაქტმა, რომ თვით მაცხოვარიც სვამდა ღვინოს და მის სიკეთესაც აღნიშნავდა. მაშინ ზოგიერთმა იმის მტკიცებაც კი დაიწყო, რომ ბიბლიაში ღვინოზე კი არა, დაუდუღებელ ყურძნის წვენზე იყო ლაპარაკი. მაგრამ ეს სოფიზმი სერიოზულად ცოტა ვინმემ თუ აღიქვა.

ცნობილია, რომ ანგლოსაქსური წარმოშობის პროტესტანტ ამერიკელთა მნიშვნელოვან ნაწილში საკმაოდ ძლიერად იყო გამჯდარი პურიტანული სულისკვეთება, რომელიც მორალურ-ეთიკური ნორმების საკმაოდ მყარ კომპლექსს წარმოადგენდა. პურიტანელები გამოირჩეოდნენ უდიდესი შრომისმოყვარეობით, ქადაგებდნენ მომჭირნეობასა და მომხვეჭელობას, რომელიც

ზოგჯერ ძალზე წააგავდა ისეთ საკმაოდ მინიერ გრძნობას, როგორიც სიხარბეა. ამავე დროს, ზიზლით ეკიდებოდნენ ყოველგვარ სილატაკეს და ღრმად სწამდათ, რომ იგი სიზარმაცისა და დაუდევრობის ერთადერთი და უშუალო შედეგი იყო. ისინი საკმაოდ კრიტიკულად უყურებდნენ სხვადასხვა სახის გართობასა და მოღბენას და უკიდურეს თავდაჭერილობას ქადაგებდნენ. მიუხედავად ამისა, პურიტანელებიც ვერ ჩაითვლებოდნენ ალკოჰოლის მოძულე ადამიანებად. მაგრამ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, როცა აშკარად გამოიკვეთა ლოთობის უარყოფითი შედეგები და გალოთებულ მამა-მარჩენალთა წყალობით მრავალი ოჯახი გავერანდა, პურიტანიზმმა შეცვალა თავისი პოზიცია და პროტესტანტული სამღვდლოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა პროპიბიციონიზმის ქადაგება დაიწყო. სხვათა შორის, არსებული დაპირისპირება პროტესტანტულ ეკლესიებსა და კათოლიციზმს შორის აღნიშნულ ასპექტშიც გამოიხატა, ვინაიდან კათოლიციზმი მეტ შემწყნარებლობას იჩენდა ღვინის სმის ტრადიციის მიმართ.

პროპიბიციის პრობლემა რელიგიურის გარდა ეროვნულ ურთიერთობათა სფეროშიც გამოვლინდა. პროტესტანტ ანგლოსაქსებს ძალზე აღიზიანებდათ, მათი აზრით, ირლანდიელ ემიგრანტთა გადაჭარბებული ლტოლვა ალკოჰოლისადმი. მსგავსი ხასიათის დამოკიდებულება გამოიკვეთა 1830-40-იან წლებში ამერიკაში შემოსული გერმანული ემიგრაციის ნაკადისადმიც, ვინაიდან გერმანელმა გლეხებმა ლუდის დიდი რაოდენობით სმის ტრადიციაც ჩამოიტანეს. თუმცა პურიტანელი ინგლისელიც ხშირად უნახავთ არც თუ ფხიზელ მდგომრეობაში.

XIX საუკუნის 20-იან წლებში ამერიკაში თანდათან გამოიკვეთა ე. წ. ზომიერთა მოძრაობა, რომელიც რელიგიისა და ეთიკის პოზიციიდან კიცხავდა და ებრძოდა არსებულ მანკიერებას. ხოლო ამერიკელები აბა რისი ამერიკელები იყვნენ, თუ შესაბამის ორგანიზაციასაც არ შექმნიდნენ და, მართლაც, 1826 წელს ჩამოყალიბდა ამერიკის ზომიერთა კავშირი. 1833 წელს ზომიერთა ეროვნულ კინვენტზე 440 დელეგატმა ერთხმად აღიარა, რომ სუფთა წყალი ერთადერთი მისაღები სასმელი იყო ადამიანთა საზოგადოებისათვის.⁵ როგორც ჩანს, ზოგჯერ ზომიერებასაც ღალატობდა ზომიერების გრძნობა.

პროჰიბიციონისტთა საქმიანობამ შედეგი გამოიღო და 1846 წელს მენის შტატში, პირველად ამერიკის ისტორიაში, მიიღეს მშრალი კანონი, ხოლო 1856 წლისთვის უკვე 13 შტატში იყო აღკვეთილი სასმელების შემზღუდველი სხვადასხვა სახის კანონი. ზოგან დაწესდა ლიმიტი 1 თვის მანძილზე გამოსაყენებელ ვისკიზე, ზოგან აიკრძალა ვისკის შეტანა, ზოგან კი ნამდვილი მშრალი კანონი დამკვიდრდა. მაგრამ აღნიშნულ კანონებს ხანმოკლე ბედი ეწერა. 1869 წელს შექმნეს პროჰიბიციური პარტია, რომელმაც უკვე 1872 წელს საპრეზიდენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა. მან 2004 წელსაც კი მიიღო მონაწილეობა არჩევნებში.

1870-იან წლებში პროჰიბიციურ მოძრაობაში აღმავლობის ახალი ტალღა წარმოიშვა, მით უმეტეს, რომ ამ მოძრაობაში ძალზე აქტიურად ჩაება ისეთი მრისხანე ძალა, რომელიც მანამდე ძირითადად თავისი სინაზითა და მშვენიერებით იყო ცნობილი. თუ პროტესტანტი ანგლო-საქსი და კათოლიკე ირლანდიელი მამაკაცები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ, ქალებმა როგორც მტკიცე პროჰიბიციონისტებმა, საოცარი სოლიდარობა გამოამყლავნეს. ვინაიდან, მიუხედავად რელიგიური თუ ეროვნული განსხვავებისა, მრავალი მათგანი ერთნაირად ეწირებოდა ქმრების ბახუსისადმი უზომო ტრფიალს. არაერთი მამაკაცი თავისი ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს სალუნში ტოვებდა, ხოლო, თუ მისი მეორე, საუკეთესო ნახევარი, უკმაყოფილებას გამოხატავდა, მას არც თუ ჯენტლმენური მეთოდებით მიუთითებდნენ, თუ ვინ იყო ოჯახში უფროსი და ბიუჯეტის ნამდვილი განმგებელი. აღარაფერს ვამბობთ სიმთვრალის გამოხატულების იმ მრავალფეროვან და ზოგჯერ არც თუ სასიამოვნო ფორმებზე, რომლითაც ჩვენ, მამაკაცები ვცოდავთ ხოლმე.

ამავე პერიოდში ამერიკაში სულ უფრო იზრდებოდა ქალთა ბრძოლა მათი უფლებებისათვის და ფემინიზმის განვითარებასთან ერთად, მისი და პროჰიბიციონიზმის განვითარების გზები სულ უფრო ხშირად კვეთდა ერთმანეთს. 1874 წელს ფრენსის ე. უილარდის ინიციატივით შეიქმნა „ქალთა ზომიერების ქრისტიანული კავშირი“. ამ კავშირის მსგავსი გაერთიანებების წყალობით 1880-იანი წლებისათვის ამერიკას მშრალი კანონების მეორე ტალღა მოედო, მაგრამ ასევე მალე დაცხრა და 1905 წლისთვის მშრალი

კანონი მხოლოდ კანზასში, მენსა და ჩრდილოეთ დაკოტაში მოქმედებდა.

დაახლოებით ამავე დროს დაიწყო პროპიბიციის მესამე გადამწყვეტი შეტევა. მშრალი კანონის მომხრეთა წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდევ ერთი ძალიან ძლიერი ორგანიზაციის შექმნამ. ეს იყო „ანტისალუნური ლიგა“. 1890 წლისთვის ლიგის განყოფილებები 40 შტატში მოქმედებდა. ამ ლიგის საქმიანობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფემინისტი ქალები, ვინაიდან სწორედ სალუნები იყო ლოთი ქმრების ჭეშმარიტი სამჭედლო. იხსენებდა რა თავის საქმიანობას ნიუ-იორკის პოლიციის კომისრის თანამდებობაზე, აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი აღნიშნავდა, რომ სწორედ „სალუნები იყო ბოროტების ძირითადი წყარო“ და მართლაც, სწორედ ანტისალუნური განწყობილებანი იქცა იმ სიმბოლოდ, რომელმაც ამერიკული საზოგადოების თითქმის ყველა ფენა გააერთიანა. ანტისალუნურმა მოძრაობამ და არა პურიტანიზმის მკაცრი დოქტრინების ქადაგებამ განაპირობა პროპიბიციისათვის ბრძოლის მასობრივი ხასიათი. თუმცა რელიგიის გავლენის უგულვებელყოფაც სერიოზული შეცდომა იქნებოდა. გულუხვი და მასობრივი შენირულობების ხარჯზე, ლიგა ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა. მაგალითად, 1904-1923 წლებში დაიბეჭდა და გავრცელდა 1 925 463 ნიგნი, 157 314 642 ყოველკვირეული და ყოველთვიური ჟურნალი, 2 322 050 პლაკატი, 114 მილიონი სააგიტაციო ფურცელი.⁶

ლიგის წევრი ქალები თავიანთ შეკრებებსა და მიტინგებზე სააგიტაციო ხასიათის სიმღერებსაც მღეროდნენ. მაგალითად, „სალუნები უნდა გაქრეს“ ან „ ხმა მიეცით ცივ წყალს ბიჭებო“. ერთ-ერთ სიმღერაში საკმაოდ პიკანტური სიტყვებიც კი იყო — „ტუჩები, რომლებიც ვისკის ეკარება, ვერასოდეს მიეკარება ჩემს ტუჩებს“. ალბათ, ამ სიმღერებს მართლაც ლამაზი ქალები მღეროდნენ, რადგან ამდენი მამაკაცი გამოსწორდა, თუმცა, გულის სიღრმეში, ალბათ, უმეტესობას ერჩივნა ქალის ტუჩებიცა და ვისკიც ერთად ეგება.

მშრალი კანონების მესამე ტალღის გაფართოებას ამერიკაში არსებულმა პოლიტიკურმა ტრადიციამ, ე.წ. ადგილობრივმა არჩევნებმაც (Local Option) შეუწყო ხელი. ამ წესის მიხედვით, ზოგიერთ პატარა ქალაქსა თუ საგრაფოში, თავისებურ მინი-რეფერენ-

დუმის მეშვეობით, იღებდნენ ამა თუ იმ ხასიათის დადგენილებას, რომელსაც აღნიშნულ ტერიტორიაზე კანონის ძალა ენიჭებოდა (თუ იგი არ ეწინააღმდეგებოდა შტატის კონსტიტუციის სულისკვეთებას). სწორედ ასეთი კანონების მეშვეობით მრავალ ადგილას დაიხურა სალუნები და აიკრძალა ვისკის გაყიდვა. „ლოქალ ოფშენი“ ძალზე ეფექტურად მოქმედებდა, ვინაიდან იმ რეგიონში, სადაც კანონი მკვიდრდებოდა, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა, მართლაც იყო დაინტერესებული მის აღსრულებაში. მაგრამ, ე.წ. „მშრალ“ რეგიონებში თუ შტატებში ინტენსიურად შეჰქონდათ სასმელი ე.წ. „სველი“ ტერიტორიებიდან.

ამ მიზეზებმა განაპირობა პროჰიბიციონისტების ბრძოლა ზიგადეროვნული მშრალი კანონისთვის, ვინაიდან მხოლოდ მას შეეძლო დაეცვა „მშრალი“ რაიონები არასასურველი იმპორტისაგან. მართლაც, ამ წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო ფებ-კენიონის კანონი, რომელიც კრძალავდა სპირტიანი სასმელების შეტანას „მშრალ“ შტატებში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ შტატებს შორის არ არსებობდა გადაღობილი საზღვარი, ნათელია, რომ რამდენიმე შერიფი ვერ დააკავებდა მოზღვავებულ კონტრაბანდას. თუმცა ამ კანონს დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ამჯერად უკვე არა „ლოქალ ოფშენმა“ ან შტატის ლეგისლატურამ, არამედ მთელი ქვეყნის კონგრესმა გადადგა ნაბიჯი მშრალი კანონის პრინციპების დასაცავად.

ამ გაცხარებული სპირტიანი ბატალიების დროს, 1914 წელს, ნამდვილი ომიც დაიწყო და, რაოდენ საკვირველიც უნდა ჩანდეს, მანაც დააჩქარა მშრალი კანონის მიღება. როგორც ცნობილია, აშშ-ის სიმპათიები ანტანტის მხარეს იყო და 1917 წლის აპრილში იგი ჩაება კიდევაც I მსოფლიო ომში, მაგრამ ისმის, ალბათ, კანონზომიერი შეკითხვა — სად მსოფლიო ომი და ანტიგერმანიზმი და სად მშრალი კანონი? აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის მეტად საინტერესო და თავისებურ გამოვლინებასთან, კერძოდ კი ლუდის წარმოებისა და სმის ტრადიცია გერმანული კულტურისა და ყოფის ფენომენტთან იყო დაკავშირებული, დაახლოებით ისევე, როგორც ლვინოა დაკავშირებული ქართულ ან ფრანგულ ყოფით კულტურასთან. მართლაც, შეერთებულ შტატებში მეღვინეთა უმრავლესობა გერმანული წარმოშობისა იყო. ხოლო ომის დროს ანტიპათია ყოვე-

ლივე გერმანულისადმი, გერმანული სუფრის ტრადიციასაც შეეხო და ანტიალკოჰოლიზმის მორალურ-ეთიკურ ასპექტს, თუ შეიძლება ითქვას, პატრიოტული ელემენტიც შესძინა. ასოციაციური აზროვნებისა და ეროვნული სტერეოტიპების წყალობით მოხდა პროგერმანიზმისა და ლუდის კულტურის გაიგივება. რაოდენ გულუბრყვილოდ და უსამართლოდ არ უნდა მოგვეჩვენოს მსგავსი მეტამორფოზები, მაშინდელ ამერიკაში ყოველივე ეს სრულიად რეალური იყო და აღნიშნულ ფაქტს არაერთმა ამერიკელმა მკვლევარმა გაუსვა ხაზი⁷ და ჩვენც იგივე დასკვნამდე მივედით.

იყო სხვა ასპექტებიც, კერძოდ — სიფხიზლის ფაქტორი. ვინაიდან არც მთვრალი ჯარისკაცი გამოადგებოდა სამშობლოს და არც მთვრალი მუშა. ომი ყველას მტკიცე დისციპლინისაკენ მოუწოდებდა. გარდა ამისა, ომის დროს, როცა ევროპაში მილიონობით ადამიანი შიმშილობდა და შეველას ამერიკიდან მოვლიდა, არ იყო გამართლებული ხორბლის დიდი რაოდენობით ხარჯვა ვისკისა და ლუდის გამოსახდელად.

ანტისალუნურმა ლიგამ და სხვა პროჰიბიციონისტურმა ორგანიზაციებმა მარჯვედ გამოიყენეს არსებული ანტიგერმანული განწყობილება და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. შექმნილმა ვითარებამ და არაპატრიოტულობაში ბრალდების შიშმა ხელ-ფეხი შეუკრა პროჰიბიციის თითქმის ყველა მონინალმდევეს. კონგრესში კი უამრავი პეტიცია იგზავნებოდა მშრალი კანონის მოთხოვნით. კონგრესისადმი ერთ-ერთ ასეთ მიმართებაში სამხრეთ კაროლინის ქალაქ იოლანტას მეთოდისტური ეკლესიის მრევლის 309 წევრი მოითხოვდა ალკოჰოლური სასამელების მიყიდვის აკრძალვას სამხედრო პირთათვის.⁸ შიშსა და შეშფოთებას გამოთქვამდა ასევე ჩრდილოეთ კაროლინის დედეების სახელით მისის ფ. ა. უილსონი, რომელიც მოითხოვდა ახალგაზრდების დაცვას ალკოჰოლის დამლუპველი გავლენისაგან.⁹ არკანზასის ერთ-ერთ მეთოდისტურ ეკლესიასთან არსებული ბიზნესმენთა საკვირაო სკოლის 70 წევრი თავის სენატორს სწერდა, რომ ომის ვითარებაში აუცილებელი იყო პროჰიბიციის შემოღება და მართლაც, 1917-18 წლებში კონგრესმა მიიღო რიგი კანონებისა, რომლებიც კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების მიყიდვას სამხედროებისადმი და საკვები პროდუქტების გაყიდვას ალკოჰოლური სასმელების წარმოების მიზნით.

1919 წლისთვის უკვე 26 შტატს გააჩნდა საკუთარი მშრალი კანონი. გარდა ამისა, ე.წ. „სველ“ შტატებშიც „ლოქალ ოფშენის“ წყალობით საკმაოდ იყო მშრალი ოლქები და საგრაფოები. ასე რომ, ამ პერიოდისათვის აშშ-ის მოსახლეობის 60% და ტერიტორიის 80% ფაქტობრივად „მშრალი“ იყო.

ასეთი მასირებული შეტევის უგულვებელყოფა კონგრესს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, მით უმეტეს, რომ ამერიკის კონსტიტუცია არ მარტო მოუწოდებს კონგრესის წევრებს დაიცვან ამომრჩეველთა ინტერესები, არამედ ძალზე ეფექტიანად უბიძგებს მათ ასეთი ქცევისაკენ. ამჯერად არაფერს ვიტყვით სენატორებზე, რომელთაც 6 წლით ირჩევენ, ისინი ძირითადად უშუალოდ შტატის ინტერესებს იცავენ.

რაც შეეხება წარმომადგენელთა პალატის წევრებს, მათი უფლებამოსილების ვადა 2 წლით შემოიფარგლება. ეს ხანმოკლე ვადაა და სხვა მიზეზებთან ერთად, აიძულებს კონგრესმენს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ამომრჩეველთა პრეტენზიები, თუ არა და მეორედ არჩევას, ბუნებრივია, ვერ ელირდება. ორწლიან ვადას ის უპირატესობა აქვს ხანგრძლივადიან უფლებამოსილებასთან შედარებით, რომ თუ დეპუტატი უვარგისია მისი გამოწვევა პრაქტიკულად არ საჭიროებს გამოწვევის მეტად რთული პროცდურის განხორციელებას, 2 წლის შემდეგ მას უბრალოდ აღარ აირჩევენ. გარდა ამისა, მოკლევადიანი კონგრესმენი თუ დეპუტატი ვალდებულია არჩევის პირველი დღიდანვე მთელი დატვირთვით იმუშაოს. მას არ გააჩნია თითქმის განალღებული 4 ან 5 წელიწადი. ასეთი ვადა კი იტანს არა მარტო საშუალო მონაცემებისა და აქტიურობის დეპუტატს, არამედ საერთოდ უვარგისსაც. იმ შემთხვევაში, თუ იგი ერთგულია საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობისადმი და რაიმე განსაკუთრებულ დანაშაულს არ ჩაიდენს, შეუძლია მთელი ამ ვადით მოაცდინოს ასეთი პასუხსაგები ადგილი და, ყოვლად უსინდისოდ, მიიღოს მაღალი ხელფასი გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე. თუმცა ბევრს, იმავე ამერიკაში, მიაჩნია, რომ ორი წელი ძალზე მცირე ვადაა.

ამიტომაც ამერიკელ კანონმდებლებს მეტი დაყოვნება აღარ შეეძლოთ. ქვეყანაში გამეფებული განწყობილების შედეგად პროპიბიციის ნებისმიერი მოწინააღმდეგე ლამის ამორალურ პიროვნებად ცხადდებოდა. პოლიტიკოსები, ცხადია, ვერ დაუშ-

ვებდნენ თავიანთი რეპუტაციის ასეთ შელახვას. პროპიბიციის მორალურ-ეთიკურ მხარეს ეკონომიკური ფაქტორიც ერთვოდა. ალკოპოლით გატაცების შედეგად ქარხნებში მრავალი სამუშაო საათი იკარგებოდა, რაც ბიზნესს აზარალებდა.

პროპიბიციის გამარჯვება, გარკვეულწილად, მრავალი ამერიკელის პოლიტიკურმა გულუბრყვილობამაც განაპირობა. მათ სრულიად სერიოზულად აღიქვეს რესპუბლიკელი კონგრესმენის რიჩარდ ვილსონის სტყევები, რომ „საყოველთაო პროპიბიციამ ამერიკის შეერთებულ შტატებს გადააქცევს საუკეთესო ქვეყნად დედამიწის ზურგზე“.¹⁰ კანონის მიღებიდან სულ მალე პროპიბიციის პირველმა კომისარმა ჯონ ფრამერმა განაცხადა — „ამ კანონს დაემორჩილებიან ყველგან, ქალაქად თუ სოფლად. ხოლო, სადაც ურჩობას გამოიჩინენ, ჩვენსას მაინც გავიტანთ. კანონის ძალით, ალკოპოლს არავინ უნდა აწარმოებდეს და ჩვენ მართლაც დავინახავთ, რომ მას აღარავინ დაამზადებს და არ გაყიდის არც დედამიწის ზედაპირზე, არც მიწის ქვეშ და არც ჰაერში.“¹¹

მაგრამ მშრალი კანონის მთავარ ძალაში, კერძოდ კი მის მორალურ-ეთიკურ ხასიათში, იყო მის წინააღმდეგ მიმართული მთავარი საშიშროებაც, ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრების სწორედ მორალურ-ეთიკური სფერო ექვემდებარება ყველაზე ძნელად ან სულაც არ ექვემდებარება სწორხაზოვან საკანონმდებლო ჩარევას, მით უმეტეს, როცა ეს ჩარევა შეუწყნარებლობის, შეიძლება ითქვას, ქირურგიული მეთოდებით ხდება.

II

**ალ კაპონე, იზი აინსტაინი და მათი მრევლი, ანუ
რა ხდება, როდესაც განგსტერებისა და პატიოსანი
ადამიანების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა**

1920 წლის 16 იანვარს, ალტაცებულ გამონათქვამებთან ერთად სკეპტიკური მოსაზრებანიც საკმაოდ ისმოდა. ნიუ-იორკის მერმა ფიორელო ლა გუარდიაშე განაცხადა, რომ მარტო ნიუ-იორკში მშრალი კანონის დასაცავად 250 ათასი პოლიციელი იქნებოდა საჭირო, რომელთაც, თავის მხრივ, ალბათ, ამდენივე მეთვალყურე დასჭირდებოდა.¹² ძნელი სათქმელია, რა უფრო მეტია ამ სიტყვებში, იუმორი თუ რეალობის გრძნობა, მაგრამ ერთი რამ კი „მშრალი

ეპოქის“ პირველივე დღიდან გამოიკვეთა — კანონის მიღებიდან ცხოვრებაში მის რეალურ გატარებამდე უზარმაზარი მანძილი იყო. მშრალი კანონის მიღებიდან სულ მალე ვისკის გამოსახდელი აპარატი იპოვეს ტექსასში თვით მე-18 შესწორების ავტორის, სენატორ მორის შეპარდის ფერმაში. მართალია, თვით სენატორს ამასთან კავშირი არ ჰქონდა და იგი ფერმის მუშას ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც ყურადსაღები კუროზია.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ძალიან მალე მშრალი კანონის გვერდის ავლამ საოცარი მასშტაბები მიიღო. მშრალი კანონის მონინალმდეგეთა უმრავლესობა თვლიდა, რომ იგი არღვევდა როგორც შტატების სუვერენიტეტს, ასევე ცალკეულ პირთა უფლებებს. გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდი“ 1919 წლის იანვრის ნომერში წერდა, რომ მე-18 შესწორება ამკარად ენინალმდეგებოდა კინსტიტუციის საფუძვლებს და უარყოფდა ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპებს. როცა ადამიანებს — წერდა გაზეთი — კანონებს თავს მოახვევენ არა მათი უშუალო რჩეულნი, არამედ უცხონი (იგულისხმება ფედერალური ხელისუფლება — ვ.კ.), რომელნიც შორიდან ატარებენ თავიანთ პოლიტიკას, ეს უკვე 1776 წლის სულისკვეთების უარყოფაა. ცენტრალური ხელისუფლების მიერ შტატების უფლებების ხელყოფის ამ პირველ შემთხვევას სხვა მრავალი შეიძლება მოჰყვეს. ეს კი ხელს უწყობს ვაშინგტონის ავტოკრატიის გაძლიერებას, რაც ამოატრიალებს რესპუბლიკას და იმ პრინციპებს, რომლებითაც ჩვენ ვსულდგმულობთ.¹³ იმავე „ნიუ-იორკ უორლდ“-ის 1919 წლის 23 იანვრის ნომერი მშრალ კანონს თავისუფლების ლინჩის წესით გასამართლებას უწოდებდა.¹⁴

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე მას საკმაოდ სერიოზული და არგუმენტირებული კრიტიკა დაუპირისპირდა, მაგრამ იგი ყურად არ იღეს. კანონის ძალაში შესვლის პირველ ხანებშიც პროპიბიციონისტებს ნაკლებად აღელვებდათ ეს, მათი აზრით, მაღალფარდოვანი ფრაზები პიროვნებისა და შტატების უფლებების შესახებ. მართლაც, პროპიბიციამ პირველი დარტყმა პროფესიონალი პილიტიკოსებისაგან კი არ მიიღო, არამედ მილიონობით რიგითი ამერიკელისაგან, რომელთა დიდი ნაწილი, ალბათ, კარგად ვერც ერკვეოდა კონსტიტუციის ნიუანსებში. მოხდა უჩვეულო რამ, კანონმორჩილ ამერიკელთა დიდმა ნაწილმა ჩვეულებისამებრ პოლიტიკური ბრძოლა კი არ გამოუცხადა მისთვის მიუღებელ

კანონს, არამედ უბრალოდ უგულვებელყო იგი და ყოველნაირად გვერდს უვლიდა მას. მე-18 შესწორების გამოცხადების შემდეგ ალკოჰოლის გამოყენებამ კი არ იკლო, არამედ, პირიქით, იმატა კიდევ. მაგალითად, თუ 1919 წელს ფილადელფიის პოლიციამ სიმთვრალისათვის დაპატიმრა მხოლოდ 16 813 ადამიანი, 1921 წელს — 21 850, 1922 წელს უკვე — 36 399, 1923 წელს — 45 226, 1924 წელს — 47 805, ხოლო 1925 წელს — 51 361 ადამიანი.¹⁵ მართალია, ამ ხნის მანძილზე ქალაქის მოსახლეობაც გაიზარდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ რაღაც 5 წელიწადში თითქმის გაოთხკეცვბულიყო. მშრალი კანონის მიღებამდე კოლუმბიის ოლქში ათამდე სალუნი ყოფილა, ხოლო 1930 წლისათვის იატაკქვეშა რესტორნებისა და ბარების რიცხვმა 700-ს გადააჭარბა (მაშინდელი უარგონით ასეთ დანებებულებებს Speak Easy-ს უწოდებდნენ, რაც ქართულად ჩუმად საუბარს ნიშნავს).¹⁶ 10 წლის მანძილზე სიმთვრალის მიზეზით დაპატიმრებების რაოდენობა გასამკვეცდა და, რაც მთავარია, იგი მოსახლეობის ზრდის ტემპებზე გაცილებით მაღალი იყო.¹⁷ მასაჩუსეტსის შტატში პროჰიბიციამდე 1000 სალუნი იყო, ათი წლის შემდეგ კი, ოთხჯერ მეტი.¹⁸ ქალაქ დეტროიტში 1928 წლისთვის 2000 არალეგალური რესტორანი იყო.¹⁹ პროჰიბიციონისტთა თვალსაზრისით, ისეთ სამაგალითო კანზასის შტატშიც კი, სადაც მშრალი კანონი უკვე 50 წელი მოქმედებდა სასმელის შოვნა 10-15 წუთის საქმე იყო.²⁰

თვით პროჰიბიციონისტური მოძრაობის აქტივისტებმაც კი აღიარეს თავიანთი ილუზიების კრაზი, „ქალთა ეროვნული პროჰიბიციის ორგანიზაციის“ წარმომადგენელმა მისის ჩ. საბინმა გულგატეხილმა განაცხადა, — „როცა მე-18 შესწორება მივიღეთ, გვეგონა, რომ იგი, მოსპობდა რა სალუნებს, დემოკრატიის საქმეს მოემსახურებოდა, მაგრამ, ბატონებო, ჩვენ დღემდე გაგვაჩნია სალუნები და თანაც გაცილებით უარეს ფორმებში“.²¹ მიუთითებდა რა ალკოჰოლიზმის მიზეზით სიკვდილიანობის ზრდაზე, საბინი სიცოცხლის დაზღვევის ერთ-ერთი უდიდესი ფირმის „მეტროპოლიტენ ლაიფ ინშურენსის“ მონაცემებს ასახელებდა, რომელთა მიხედვით, 19 მილიონ დაზღვეულთა შორის სიკვდილიანობამ აღნიშნული მიზეზით 600 პროცენტით იმატა.²²

ჩიკაგოს ერთ-ერთი ფსიქიატრიული კლინიკის ექიმმა ჯ. ჩერთმა აღნიშნა: თუ 1916-19 წლებში კლინიკაში 153 ალკოჰოლიკი იყო

და 1 წლის მანძილზე ალკოჰოლიზმის ნიადაგზე 18 კაცი გარდაიცვალა, 1920-იან წლებში ალკოჰოლიკთა საშუალო რაოდენობამ 900 კაცს გადააჭარბა და წელიწადში საშუალოდ 32 კაცი იღუპებოდა.²³ ალკოჰოლიზმისაგან სიკვდილიანობის ზრდა იმანაც გამოიწვია, რომ ყოველგვარ შემონმებას მოკლებული, არალეგალურად დამზადებული სასმელი ხშირად ძალზე დაბალი ხარისხის იყო და მომნამლავ ნივთიერებებს შეიცავდა.

აღსანიშნავია, რომ იმატა ლოთობამ ახალგაზრდებშიც, რომელთა ალკოჰოლისადმი მიძალბება პროტესტის გარკვეული ფორმა იყო უფროსების კონფორმიზმის წინააღმდეგ, თუმცა, ალბათ, ასეთი პროტესტი უფრო გროტესკს ნააგავდა. მიზეზი აკრძალული ხილის ფაქტორშიც უნდა ვეძიოთ და ისიც გავიხსენოთ, რომ ომის შემდგომი წლების ე.წ. დაკარგულმა თაობამ, ხოლო მისი გავლენით კი ადრე მომნიფებულმა უმცროსებმაც, შედარებით ადრე შეაბიჯეს „უფროსთა სამყაროში“.

ერთი სიტყვით, სმის მოყვარულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, ხოლო აკრძალული ხილის ფენომენმა სმა იმასაც კი დაანყებინა, ვინც მანამდე სრულიად გულგრილი იყო დიონისეს კულტისადმი. ნებისმიერი წვეულება, სადაც ღვინო ან ვისკი იყო, პიკანტური და სასიამოვნო ხდებოდა. თანამეინახენი, გარკვეულწილად, თანამოაზრეებადაც იქცეოდნენ ხოლმე. ასე რომ, თუ მასპინძელს ნამდვილად სანაქებო წვეულების მოწყობა სურდა, ქვა უნდა გაეხეთქა და სუფრაზე მათრობელა სასმელებიც გამოეტანა.

რას უპირისპირებდა შეერთებული შტატების ფედერალური ხელისუფლება ყოველივე ამას, როგორ იცავდა ასე გულუბრყვილოდ მიღებულ კანონს? ჰქონდა თუ არა მთავრობას მისი დაცვის რეალური საშუალება?

არსებული ფედერალური კანონმდებლობის თანახმად, მშრალი კანონის დარღვევისათვის საკმაოდ რეალური და მკაცრი სასჯელი დანესდა. ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა ან გაყიდვისათვის პირველად მხილებული მოქალაქე ისჯებოდა ჯარიმით არა უმეტეს 1000 დოლარისა ან პატიმრობით არა უმეტეს 6 თვის ვადისა. დანაშაულში მეორედ მხილების შემთხვევაში ჯარიმა 2000 დილარამდე იზრდებოდა, ხოლო პატიმრობის ვადის მაქსიმუმი 5 წლამდე აღიოდა.²⁴ 1929 წლის 2 მარტის კანონით კი სასჯელი უფრო გამკაცრდა. მაგრამ ნებისმიერი კანონის ცხოვრებაში გატარები-

სათვის საჭიროა მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა ან ძლიერი რეპრესიული აპარატის არსებობა, რომელიც დააშინებს ადამიანებს და აიძულებს მათ დაემორჩილონ კანონს.

როგორც დავინახეთ, ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ აპირებდა ამ კანონის ნებაყოფილობით დაცვას. მაშასადამე, რჩებოდა მეორე საშუალება, კერძოდ კი, კანონის დაცვა მკაცრი პოლიციური ზომებით. ჰქონდა კი პოლიციას ამის ძალა და უნარი?

ნიუ-იორკში პროჰიბიციას მხოლოდ 178 აგენტი ემსახურებოდა, რომელთაც უნდა გამოეაშკარავებინათ იატაკქვეშა ვისკის მწარმოებლები და ეს მაშინ, როცა ამ ქალაქში 1 278 431 სახლი თუ ბინა იყო.²⁵ თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ გაჩხრეკვისათვის სპეციალური ნებართვა იყო საჭირო. 1930 წელს პროჰიბიციას, ოფიციალურად, მთელი ამერიკის მასშტაბით 1786 კაცი ემსახურებოდა, მათ შორის 1484 აგენტი.²⁶ თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ შეერთებული შტატების მოსახლეობა 122 მილიონს აღემატებოდა, დავინახავთ, რომ არსებული აგენტების რაოდენობა სრულიად არასაკმარისი იყო. რასაკვირველია, არსებობდა კიდევ შტატების პოლიციის მრავალათასიანი არმია, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ დაადასტურა, იგი არაეფექტიანად მოქმედებდა პროჰიბიციისათვის ბრძოლაში. ცალკეული შტატების პოლიციისა და მშრალი კანონის ურთიერთობა საუბრის ცალკე და მეტად მნიშვნელოვანი თემაა, დაწვრილებით ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. ახლა კი დავუბრუნდეთ პროჰიბიციის უშუალო აღმსრულებლებს.

1920 წელს პროჰიბიციის აგენტების გასამრჯელო წელიწადში საშუალოდ 1200 — 2000 დოლარს შეადგენდა. 1930 წელს მათ გასამრჯელო 2300 — 2800 დოლარამდე გაუზარდეს.²⁷ მაგრამ ეს არც თუ ისე მაღალი ხელფასი იყო და იატაკქვეშა ბიზნესის მესვეურთათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა აგენტების მოსყიდვა. მართლაც, უკვე 1920 წლის 19 თებერვალს, კანონის ძალაში შესვლის დღიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, კორუფციისათვის დააპატიმრეს პროჰიბიციის ორი აგენტი, 18 მაისს კი ნიუ-იორკის პროჰიბიციური სამსახურის მაღალი რანგის მოხელე და ა. შ.²⁸ ასეთი მაგალითები საკმაოდ იყო.

აქ გვინდა შევჩერდეთ მშრალ კანონთან დაკავშირებულ მეტად მნიშვნელოვან თემაზე. სხვათა შორის, ბევრმა დღესაც სწორედ ამ მოვლენის მეშვეობით იცის მშრალი კანონის შესახებ. პროჰიბი-

ციის უარყოფითი გავლენის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი იყო ორგანიზებულ დანაშაულობათა ზრდა, რომელიც სპირტიანი სასმელების არალეგალური დამზადებისა და ვაჭრობის ნიადაგზე აღმოცენდა. უკანონო ვისკის მწარმოებლები და გამსაღებლები ე. წ. ბუტლეგერები, რომლებიც ამერიკაში ადრეც არსებობდნენ და მოსახლეობაში მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევდნენ, ოციან წლებში ამერიკის რისხვად იქცნენ. მათ ბიზნესს ასობით ადამიანის სიცოცხლე შეენირა. წარმომადგენელთა პალატის პროპიბიციის შემსწავლელი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ჯორჯ ს. გრეხემმა (პენსილვანია) თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კანონმა თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე 1360 ადამიანის სიცოცხლე შეინირა. აქედან 151 მოქალაქე მოკლეს პროპიბიციის აგენტებმა, ხოლო 64 აგენტი კი — მოქალაქეებმა. ერთი წლის მანძილზე კანონის საფუძველზე დააპატიმრეს 77 351 ადამიანი. გრეხემმა პატიმართა რაოდენობის 4 პროცენტით გაზრდაც პროპიბიციას მიანერა.²⁸

ბუტლეგერებმა, თავიანთი საქმიანობიდან გამომდინარე, ფანტასტიკური ზემოგებების ხარჯზე შექმნეს ის პირველადი კაპიტალი, რომელმაც შემდგომში, უკვე მშრალი კანონის გაუქმების შემდეგ, განაპირობა „კოზა ნოსტრასა“ და სხვა ანალოგიური დანაშაულებრივი სინდიკატების შექმნა. ვინაიდან ოციანი წლების დანაშაულებრიობა ამერიკის ისტორიის ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს, ღირს მასზე უფრო დანვრილებით საუბარი. მით უმეტეს, რომ ისინი, ვისაც ხშირად ზოგადად ბუტლეგერებს უწოდებდნენ, მარტო სპირტიანი სასმელებით არ იყვნენ დაკავებულნი და მათი არსებობა რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და, ალბათ, ეთნიკურ საკითხებთანაც იყო დაკავშირებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მართებულად ითვლებოდა მსოფლიოს დევნილთა და ლატაკთა თავშესაფრად, იგი ყველასათვის მაინც ვერ იქცა ალტქმულ მიწად და ნანატრი „ამერიკული ოცნება“ ზოგიერთისთვის ოცნებადვე დარჩა (თუმცა ემიგრანტთა უმრავლესობამ მართლაც უკეთ იგრძნო თავი ამერიკაში, ვიდრე თავის ყოფილ სამშობლოში, ყოველ შემთხვევაში, მატერიალურად).

ამ ვითარებაში განსაკუთრებით უჭირდათ ეკონომიკურად ჩამორჩენილი, აგრარული რეგიონებიდან ჩამოსულებს, რომელთ-

აც განვითარებული კაპიტალიზმისათვის აუცილებელი შრომის კულტურა და ტრადიცია არ გააჩნდათ. ხშირად ეს სამხრეთ იტალიისა და სიცილიის მკვიდრნი იყვნენ. XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე სწორედ აქედან მოედინებოდა ემიგრანტთა ერთ-ერთი უმთავრესი ნაკადი. 1895 წელს ამერიკაში 35 427 იტალიელი ჩავიდა იმ დროს, როცა ემიგრანტთა საერთო რაოდენობა 258 536 აღწევდა და იტალიელებს მარტო ირლანდიელები სჭარბობდნენ. 1900 წელს 448 572 ემიგრანტიდან იტალიელები უკვე მეოთხედზე მეტს შეადგენდნენ და ემიგრანტთა სიაში ლიდერობდნენ. იგივე მოხდა 1905 წელს, როცა 1 026 499 ემიგრანტიდან 221 ათასი იტალიელი აღმოჩნდა. იტალიელები 1910 წლის ემიგრაციაშიც ყველა სხვა ეროვნების ხალხს სჭარბობდნენ – 215 ათასი – 1 041 570 ემიგრანტიდან.²⁹

იტალიელ ემიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ გაუნათლებელი, ზოგჯერ წერა-კითხვის უცოდინარი გლეხები იყვნენ, რომელთაც თავიანთი სოფლის გარდა მანამდე არც არაფერი ენახთ.

ახლად გამომცხვარ ამერიკელთა პრობლემებს ინგლისური ენის უცოდინრობა და კულტურული განსხვავებაც წარმოადგენდა და მათ უჭირდათ დინამიკურ, ძირითადად ეკონომიკურ საწყისებზე დაფუძნებულ მსოფლიოს უახლეს საზოგადოებაში ინტეგრაცია. თუმცა ეს არა მარტო იტალიელებს ეხებოდა. ახალი ემიგრანტები ხშირად ერთ უბანში სახლდებოდნენ, ამერიკის ბევრ ქალაქში შეიქმნა ე.წ. მცირე იტალიის უბნები. იტალიური უბნის გარემო უადვილებდა ემიგრანტებს ნიუ-იორკსა თუ ჩიკაგოში ცხოვრებას, მაგრამ სილატაკის პრობლემა მაინც ძალზე მწვავედ იდგა. ხოლო იქ, სადაც სილატაკეა, ყოველთვის ნოყიერი ნიადაგია დანაშაულებრიობისთვის და სწორედ ღარიბ იტალიურ უბნებში ხდებოდა მომავალი განგსტერების საბრძოლო ნათლობა.

ოციანი წლების განგსტერული სტერეოტიპები უმთავრესად იტალიელთა სახელებს გვახსენებს — ალ კაპონე, ტორიო, აპელო მარანცანო და სხვები, მაგრამ ბუტლერგერულ-განგსტერულ ბიზნესში ჯერ ირლანდიელები, შემდეგ კი ებრაელები ლიდერობდნენ. ვინც ამერიკის კრიმინალური ისტორიით დაინტერესებულა, მას კარგად ეცოდინება ირლანდიელი ო'ბანიონის, მორანის ან დონელის და ებრაელი ლანსკის, სიგელის ან ცვილმანის სახელები. თუმცა დანაშაულებრივ ბიზნესს შემდგომშიც არ მოკლებია არც

ირლანდიული, არც ებრაული და არც რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენლები, საბოლოოდ მაინც იტალიური სახელების საექვო დიდებამ გადაწონა. სხვათა შორის, ის უდავო ფაქტი, რომ დანაშაულებრიობა სოციალური და არა ეროვნული ფენომენია, კიდევ ერთხელ დასტურდება თანამედროვე ამერიკის ცხოვრებით, სადაც იტალიური წარმოშობის ამერიკელები მრავლად არიან აშშ-ის სამართალდამცავთა და იურისტთა კორპუსში და საერთოდ, ამერიკის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის პირველ რიგებს ამშვენებენ. იგივეს თქმა შეიძლება ირლანდიელთა და ებრაელთა შესახებაც.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრიობა იტალიურ უბნებში მშრალი კანონის მიღებამდეც საკმაოდ ხშირი იყო. კრიმინალური ელემენტები გამოძალვას ძირითადად თანამემამულეებში ეწოდნენ. შემდეგ, როცა უკეთ გაერკვნენ ვითარებაში, აქტიურად ჩაებნენ ე.წ. „თეთრი მონებით“ ანუ მეძავი ქალებით ვაჭრობის ბიზნესში.

მაგალითად, დიდმა ჯიმმა, კოლისიმომ ჩიკაგოსა და სხვა ქალაქებში შექმნა საროსკიპოების ვრცელი ქსელი. ბუნებრივია, ესეც გამოძალვის საშუალება იყო, თუმცა ამჯერად მამაკაცები საკუთარი ნებითა და სიამოვნებით უხდიდნენ ფულს თანაც არა ქალებს, არამედ სწორედ რომ მათ „მფლობელებს“, ვინაიდან მეძავს სუტენიორი მოგების მხოლოდ მცირე ნაწილს უტოვებდა. მაგრამ დანაშაულებრივი ჯგუფების ინტენსიური ზრდა და მათ მიერ პირველადი კაპიტალის დაგროვება სწორედ რომ მშრალ კანონთან არის დაკავშირებული.

სანტა-ბარბარას უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ კელი თვლიდა, რომ 1920-იან წლებში არ იყო განსაკუთრებით მძიმე კრიმინალური ვითარება და დანაშაულობათა ზრდა ევოლუციურ ხასიათს ატარებდა. კელის აზრით, სენსაციებს გამოდევნილი ჟურნალისტები ძალზე აზვიადებდნენ პროპიბიციისგან გამომდინარე ყველა პრობლემას, ხოლო ის, რასაც ალ კაპონე სჩადიოდა, აზარტული თამაშების ორგანიზაციის, რეკეტისა და პროსტიტუციის კონტროლის სახით, ამერიკისათვის ოციან წლებამდეც კარგად იყო ცნობილი. თანაც დანაშაულობანი ამ დროს ევროპაშიც გაიზარდა, თუმცა იქ არ ყოფილა მშრალი კანონი. აქ თავს უფლებას მივცემთ, ნაწილობრივ არ დავეთანხმოთ ბატონ კელის, რომელიც

გულწრფელად მიგვაჩნია ამერიკის ერთ-ერთ თვითმყოფად ისტორიკოსად. დიახ, სენსაციის მაძიებელი პრესა ხშირად სცოდავდა, მაგრამ ვერც იმ ფაქტს გამოფრიცხავთ, რომ თუ პროსტიტუციასთან, რეკეტთან, აზარტულ თამაშებთან საზოგადოების შედარებით მცირე, გარკვეული კატეგორიის ნაწილი იყო დაკავშირებული, ღვინისა და ვისკის მსურველთა რიცხვი მილიონობით აღირიცხებოდა. ანუ ბუტლეგერთა კლიენტურას ამერიკელთა ნებისმიერი კატეგორიის და სოციალური ფენის დიდი ნაწილი წარმოადგენდა. რაც, შესაბამისად, ზრდიდა ბუტლეგერული სინდიკატების საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ დანაშაულებებს.

რაც შეეხება ომის შემდგომ ევროპას, იქ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ძალზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო, გავიხსენოთ თუნდაც ინფლაციისა და უმუშევრობის გაუგონარი მასშტაბები გერმანიაში. არც ომში გამარჯვებული ინგლისი და საფრანგეთი წარმოადგენდნენ აყვავების მაგალითს, ასე რომ, ევროპაში დანაშაულების ზრდის სოციალური პირობები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამერიკაში, რომელმაც სწორედ ოციან წლებში მიაღწია ეკონომიკურ აღმავლობას. სწორედ ამ დროს ხდება ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გამდიდრება და მათ საკმაო თანხები ჰქონდათ, რათა კონტრაბანდულ თუ თვითნაკეთ ვისკიში მის ნამდვილ ღირებულებაზე 5-ჯერ და 10-ჯერ მეტი გადაეხადათ. 20-იან წლებში ამერიკელები წელიწადში 150 მლნ კვარტა (კვარტა—1,14 ლიტრი) სპირტიან სასმელს სვამდნენ, ბუტლეგერთა წლიური შემოსავალი დაახლოებით 2 მილიარდ დოლარს უდრიდა, რაც ეროვნული შემოსავლის 2 პროცენტს შეადგენდა. მარტო 1924 წელს ბუტლეგერებმა შტატებში 40 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაბანდული სასმელი შეიტანეს.³⁰

ბუტლეგერთა საქმიანობის საილუსტრაციოდ ყველაზე უფრო, ალბათ, ქალაქი ჩიკაგო გამოდგება. აქ დღესაც უამრავი სხვადასხვა სახის სუვენირი, წიგნი თუ ბუკლეტი იყიდება, რომელიც ჩიკაგოს კრიმინალური სამყაროს გმირის ალ კაპონეს სახელთან არის დაკავშირებული. საოცარია, მაგრამ ამერიკის ეს ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი ქალაქი, რომელმაც ქვეყნის ისტორიაში ჭეშმარიტად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, ბევრისთვის სწორედ ამ დაუნდობელი მკვლელისა და გაქნილი განგსტერის მეშვეობით არის ცნობილი. ალფონსო კაპონეს გამოჩენამდე ჩიკაგოელ

განგსტერებში დიდი გავლენით სარგებლობდა ვინმე ჯონ ტორიო, რომელმაც მშრალი კანონის მიღებისთანავე იყნოსა, რიმ ვისკის მათრობელა სურნელებას ძალზე დიდი ფულის სუნიც სდიოდა. მან გადაწყვიტა ხელთ ეგდო ალკოჰოლური ბიზნესი მთელს ჩიკაგოში. ტორიოს ბანდის წევრები არაოაზროვნად მიუთითებდნენ სხვადასხვა არალეგალური რესტორნების მფლობელთ, რომ მათ დიდი უსიამოვნებანი ელოდათ, თუ ვისკის ტორიოსაგან კი არა, მისი კონკურენტებისაგან შეისყიდდნენ. და აი, ამ პიროვნებამ, რომელმაც კრიმინალური სამყაროს უდიდესი სკოლა გაიარა და ყოველი ჯურის დამნაშავეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ჩიკაგოში მოიპატიჟა 23 წლის ალფონსო კაპონე იმ პირობით, რომ თანამშრომლობის შემთხვევაში ის ბუტლეგერული ბიზნესის შემოსავლის ნახევარს მიიღებდა. ეს, ალბათ, მეტად საპატიო პირობა იყო ახალგაზრდა კაცისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ტორიო კარგად ერკვეოდა თავისი ბიზნესის საკადრო პილიტიკაში. სულ მალე ახალგაზრდა ნეაპოლიტანელმა ბუტლეგერული ბიზნესი და რეკეტი ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა. თვით სიტყვა რეკეტი, მაშინდელი ჟარგონით, ძალადობის მუქარით ფულის გამოძალვას ნიშნავდა. იგი ამ მნიშვნელობით სწორედ ჩიკაგოში დამკვიდრდა 1922-23 წლებში.

თავისი საქმიანობის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ კაპონე უკვე 700 კაციან ორგანიზაციას მეთაურობდა, ხოლო მისი „თანამშრომლები“ შესანიშნავად ფლობდნენ როგორც ტრადიციულ კოლტს, ასევე მოდაში შემოსულ ავტომატურ იარაღ „ტომპსონს“. მიუხედავად არც თუ ინტელექტუალური არგუმენტაციისა, ეს სროლის მოყვარული ახალგაზრდები სრულიად გასაგებად უმტკიცებდნენ რესტორნების მფლობელებს, თუ ვინ იყო ქალაქში ნამდვილი ბოსი. მაგრამ თავიანთ კონკურენტებთან, რომლებიც ძირითადად ასეთივე ზნის ხალხი იყო, კაპონეს თანამშრომლები ასე ადვილად ვერ აღწევდნენ ურთიერთშეთანხმებას.

ამიტომაც ჩიკაგოში სულ უფრო ხშირად გაისმოდა სროლისა და აფეთქების ხმა. ოციან წლებში სწორედ ჩიკაგოში ილუპებოდა ყველაზე მეტი ადამიანი. განგსტერთა „სანარმოო დისპუტების“ გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებული ხერხი იყო კონკურენტის დაცხრილვა ავტომობილიდან ან შეტყუება მისთვის სანდო მანქანაში და ზურგიდან მოკვლა, შემდეგ ავტომობილს უკაც-

რიელ ქურაში მიაგდებდნენ. როგორც ვხედავთ, განგსტერები ვერ გამოირჩეოდნენ ვაჟაკური სულისკვეთებით. თუმცა ალ კაპონე ჭეშმარიტად ამერიკულ შრომისუნარიანობასა და შეუპოვრობას ავლენდა, თანაც ბევრი ჯაზმენისათვის შესაშურ იმპროვიზაციის უნარსაც ამჟღავნებდა. მაგალითისათვის გავიხსენოთ მისი უმთავრესი კონკურენტის ო'ბანიონის მკვლელობის ამბავი.

ო'ბანიონს, რომელსაც ასევე ვერ დააბრალებდი მოჭარბებულ კაცთმოყვარეობას, ერთი სენტიმენტალური გატაცება ჰქონდა — მას ძალზე უყვარდა ყვავილები და თუ ღამ-ღამობით თავისი სისხლიანი საქმიანობით იყო დაკავებული, დღისით, უცოდველი კრავივით, საკუთარ ყვავილების მალაზიაში ფუსფუსებდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ო'ბანიონის მალაზიას რამდენიმე ელეგანტურად ჩაცმული ჯენტლემენი ესტუმრა. ო'ბანიონს, რომელიც მუდამ სამ პისტოლეტს ატარებდა, ამჯერად უმტყუნა თავდაცვის ინსტიქტმა და გულთბილად ჩამოართვა ორთავე ხელი ერთ-ერთ მყიდველს. მაგრამ სწორედ ამ კეთილი ნების აქტის დროს დანარჩენებმა იარაღი იშიშვლეს და საყვავილეს ნაზ სურნელებას დენტის ავისმომასწავებელი სუნიც დაემატა. ექვსი ტყვიით განგმირული ო'ბანიონის ცოდვილი სული გამოეთხოვა თავის სხეულს და, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამოთხისაკენ გაემართა. მკვლელები კი, როგორც ყოველთვის, უგზო-უკვლოდ გაქრნენ და არც შემდგომში გაუგია ვინმეს, რომ რომელიმე მათგანს სინდისის ქენჯნით ამოხდომოდა სული. მიცვალებული მეყვავილე განგსტერის დაკრძალვაზე ჩვეულებრივზე მეტი სამგლოვიარო გვირგვინი იყო, ხოლო ერთ-ერთ უძვირფასესი ყვავილებით შემკულ გვირგვინს ძალზე ლაკონური წარწერა ამშვენებდა — „აღისაგან“. როგორც ჩანს, ო'ბანიონის მეგობრებმა ვერ დააფასეს აღის „კეთილშობილური“ საქციელი და 1926 წლის ერთ დღეს იმ სასტუმროს, სადაც ალ კაპონე სახლობდა, რვა ავტომობილი მიადგა. ამჯერად ყვავილების სურნელებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. რვავე მანქანა ქუხდა და გრგვინავდა. ერთი განგსტერი სასტუმროს ჰოლშიც შევარდა და სამასამდე ვაზნით დაცხრილა იქაურობა. მაგრამ, ამჯერად ასეთმა ხმაურმა უფრო ეფექტური ფეიერვერკის როლი შეასრულა და არც კაპონე, რომელიც მკვირცხლად განერთხა რესტორნის იატაკზე და არც სხვა ვინმე არ დაშავებულა.

კაპონეს ბანდის წევრები შემდგომშიც დიდი ორიგინალობით და თავისი პროფესიის ზედმინევნით. ცოდნით გამოირჩეოდნენ. 1929 წლის 14 თებერვალს, როცა მთელი ამერიკა წმინდა ვალენტინის დღეს ზეიმობდა და ყველა ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდა, კაპონეს ბიჭებმა ისეთი საშინელი რამ ჩაიდინეს, რომ ამის შემდეგ წმინდა ვალენტინის დღე ბევრის ცნობიერებაში უფრო სიკვდილის, ვიდრე სიყვარულის ზეიმად ჩაიბეჭდა.

ჩიკაგოს ერთ-ერთ გარაჟში კაპონეს კონკურენტები გულარხეინად ელოდნენ ვისკის მორიგ პარტიას და დროს ბანქოს თამაშში კლავდნენ, ამასობაში გარაჟს სამი პოლიციელი და ორი სამოქალაქო პირი მიადგა. პოლიციელებმა განგსტერებს ხელების აწევა და კედელთან დადგომა უბრძანეს. განგსტერები მიჩვეული იყვნენ პოლიციის ასეთ რეიდებს, მათ ისიც კარგად იცოდნენ, რომ გაჩხრეკის ფორმალური პროცედურის შემდეგ ისინი, როგორც ყოველთვის, პოლიციელთა უფროსს გარკვეულ თანხას ჩაუჯიბავდნენ და ამ შეხვედრის ყველა მონაწილე კმაყოფილი და შესრულებული მოვალეობის გრძნობით აღსაყვს, თავის გზას დაადგებოდა. მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამ მოხდა და სანამ არხეინად მდგომი განგსტერები გარაჟის კედელს ათვალიერებდნენ, პოლიციელთა ორი თანამგზავრი შემოვიდა, მათ დინჯად ამოიღეს ტომპსონები და ზურგით მდგომი შეიდივე განგსტერი დახვრეტის რიტუალის თითქმის სრული დაცვით გამოასალმეს სიცოცხლეს. კინომოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ მშვენიერი ამერიკული კინოკომედია „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებენ განუმეორებელი მერლინ მონრო (სხვათა შორის, დღესაც თავისი ძალზე საეჭვო სიკვდილიდან თითქმის 50 წლის შემდეგ, მონროს სახელი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს შეერთებულ შტატებში. იგი დღესაც ამერიკის ყველა დროის ყველაზე მიმზიდველ ქალად ითვლება და ამერიკის იმიჯის მის გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელია) და ჰოლივუდის ისეთი ვარსკვლავები, როგორც ტონი კერტისი და ჯეკ ლემანია. ამ ფილმში სწორედ აღნიშნული ფაქტია გამოყენებული. მაშინ მას საუკუნის მკვლელობა უწოდეს.

ასევე სენსაციური იყო ვინმე ჯეკ ლენგლის მკვლელობა, რომელიც ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა, ერთი და იმავე დროს განგსტერებთანაც თანამშრომლობდა და გაზეთ „ჩიკაგო ტრიბიუნის“

საიდუმლო კორესპონდენტიც იყო. ბუნებრივია, განგსტერებს სულ არ სჭირდებოდათ ზედმეტი პაბლისიტი, მით უმეტეს, ასეთი გავლენიანი გაზეთის ფურცლებზე და ლენგლი დღისით-მზისით ხალხით გაჭედდნენ რკინიგზის სადგურზე მოკლეს.

20-იან წლებში ჩიკაგოში განგსტერთა „საქმიანობას“ 500-ზე მეტი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ხოლო პიროვნება, რომელიც უშუალო კავშირში იყო ყოველივე ამასთან, მხოლოდ ერთხელ დააპატიმრეს ფილადელფიაში იარაღის უკანონო ტარებისათვის (ვინაიდან ფილადელფიაში არ გაჭრა ჩიკაგოში გაცემულმა იარაღის ტარების უფლებამ). ალ კაპონემ ციხეში მხოლოდ ერთი წელი დაჰყო.

სამაგიეროდ ჩიკაგოში მისტერ კაპონე ნამდვილი უგვირგვინო მეფე იყო. თავის „სახასო“, ან თუ გნებავთ, სატახტო ქალაქში მისი უდიდებულესობა დაჯავშნული შავი ლიმუზინით დაქროდა, გზას მზვერავი მანქანა უკაფავდა, ხოლო უკან მცველებით გატენილი ავტომობილები მოსდევდა. როცა იტალიური ოპერის მოყვარული კაპონე თეატრში შედიოდა, მას 18 მცველი დაჰყვებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ამ ყაჩაღების ძვირფასი სმოკინგები ვერ ფარავდა იარაღის სილუეტს, არავინ იყო განმკითხავი.

მაიამის ყველაზე რესპექტაბელურ საკურორტო ზონაში ალ კაპონე დიდებულ მამულსა და ვილას ფლობდა. აქ იგი გულუხვად უმასპინძლდებოდა მრავალრიცხოვან სტუმრებს, რომელთა შორის ჩიკაგოელ განგსტერებთან ერთად ხშირად ქალაქის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელნიც ირეოდნენ. სწორედ მათთან ახლო მეგობრობის წყალობით გახდა კაპონე ჩიკაგოს შემოგარენში პატარა ქალაქ სისეიროს ფაქტობრივი მფლობელი, სადაც ქალაქის მერიც მისი კაცი იყო. კაპონეს ჯგუფი ამ ზონაში მყოფ აზარტული თამაშების ყველა ნერტილსა და ბარს აკონტროლებდა. ფედერალური აგენტების გაანგარიშებით, 1927 წლისთვის კაპონემ მარტო ბუტლერგერულ სარბიელზე 60 მლნ დოლარი შემოსავალი მიიღო, გარდა ამისა, 25 მილიონი მას აზარტულმა თამაშებმა მოუტანა, 10 მილიონი — რეკეტმა და 10 მლნ პროსტიტუციის ბიზნესმა.³¹ როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

კაპონემ სხვასთან ერთად ძალზე დახვეწა რეკეტი და იგი სამართლიანად ითვლებოდა ამ სახის ბიზნესის ერთ-ერთ ნოვატორად. თუმცა, ჯობია მის თანამედროვეს, უურნალისტ ჯონ გი-

უნტერს მოვუსმინოთ, რომელმაც ამერიკის გავლენიან ჟურნალ „ჰარფერს მონსლი მეგეზინში“ (1929 წლის ოქტომბრის ნომერი) მეტად საინტერესო სტატია მიუძღვნა რეკეტს. რეკეტის არსის საილუსტრაციოდ ჟურნალისტიმა სამრეცხაოთა საქმიანობა გამოიყენა. თავდაპირველად განგსტერები (აქ მარტო კაპონეზე არ არის საუბარი) სამრეცხაოს მფლობელს დაცვასა და კონკურენტების ჩამოცილებას „სთავაზობდნენ“, ბუნებრივია, გარკვეული გასამრჯელოს ფასად. მაგრამ, როგორ უნდა გადაეხადა სამრეცხაოს მფლობელს თავსმოხვეული მეგობრობისთვის საკმაოდ ძვირი გასამრჯელო? ის იძულებული იყო ფასი აენია მომსახურებისათვის, მაგალითად, 1 დოლარიდან 1,5 დოლარამდე. ასე რომ, განგსტერები გადასახადს იღებდნენ არა მარტო სამრეცხაოს მფლობელისაგან არამედ, ფაქტობრივად, ყველა იმ მოქალაქისგან, რომელიც ამ სამრეცხაოს მომსახურებით სარგებლობდა. სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვან ასპექტში უპირისპირდება დანაშაულებრივი სამყარო არა ერთეულ ბიზნესმენებს, რომელნიც თავისთავად დასაწყის მსხვერპლს წარმოადგენდნენ, არამედ მთელ საზოგადოებას. სწორედ ეს არის რეკეტის ერთ-ერთი მთავარი სოციალური საშიშროება და რაც უფრო ადრე გაიაზრებს ამას საზოგადოების ყოველი წევრი, მით უკეთესია მისთვის და მთელი საზოგადოებისათვის. ბუნებრივია, რეკეტი თავის „მომსახურებას“ მცირე ბიზნესის სხვა წარმომადგენლებსაც სთავაზობდა. საბოლოოდ, ჩიკაგოელი განგსტერები, ჩიკაგოს მენარმეთა ასოციაციის მონაცემით, წლიურად, 136 მილიონ დოლარს შოულობდნენ. ე. ი. ჩიკაგოს ყოველი მცხოვრები, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი მათ წლიურად დაახლოებით 45 დოლარს უხდიდა.³² ხოლო თუ ბიზნესმენი გაურჩებოდა და უარს იტყოდა რეკეტიორთა „დიდსულოვან“ დახმარებაზე, მის სახლსა თუ დანესებულებას მაშინვე ყუმბარებს დაუშენდნენ. სტატისის ავტორი შთამბეჭდავ სტატისტიკასაც იშველიებს: 1920 წელს ჩიკაგოში 50 დაბომბვა აღირიცხა, 1921 წელს — 60, 1922 წელს — 69, 1923 წელს — 55, 1924 წელს — 92, 1925 წელს — 113, 1926 წელს — 89, 1927 წელს — 108, 1928 წელს კი სარეკორდო 116 დაბომბვა.³³ ბუნებრივია, ამ დაბომბვებს მარტო მატერიალური ზარალი არ მოჰყვებოდა. ილუპებოდნენ ზოგჯერ სრულიად შემთხვევითი გამვლელებიც. განგსტერები აშკარა მკვლევლობებსაც არ

ერიდებოდნენ: მარტო 1926 წელს ჩიკაგოში 336 ადამიანი მოკლეს, 1927 წელს — 370, 1928 წელს კი 399 ადამიანი დაიღუპა.³⁴

ბოროტმოქმედი არა მარტო საკუთარ მტრებს კლავდნენ, ისინი დაქირავებული მკვლელების როლშიაც კარგად გრძნობდნენ თავს და თავისებური პრეისკურანტიც კი გააჩნდათ. მაგალითად, რიგითი ადამიანის მკვლელობა 50-დან 100 დოლარამდე ღირდა. ჟურნალისტს 1000 დოლარად მოგიკლავდნენ, ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მკვლელობისათვის 10 ათას დოლარს მოითხოვდნენ, ხოლო დიდი კორპორაციის პრეზიდენტის მკვლელობა დაშვეთს 50 000-დან 100000 დოლარამდე დაუჯდებოდა.³⁵ ესეც თავისებური კლასობრივი უთანასწორობა და მდიდრებს აქაც პრივილეგიები გააჩნდათ, ვინაიდან ასე ადვილად ყველა ვერ გაიმეტებდა 100 ათას დოლარს. თუმცა ლარიბი იმით თუ დაინყნარებდა თავს, რომ მდიდარს, ჩვეულებრივ, ასეთივე მდიდარი ემტერებოდა.

რაც შეეხება პირადად ალ კაპონეს, მასაც არაერთი კაცი გამოუსალმებია სიცოცხლეს. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა თავისი ბანდის ორ წევრს, რომელთაც ლალატში დასდო ბრალი.

კაპონემ ისინი სადილად დაპატიჟა თავისთან და ორივეს ბეისბოლის კეტიტ გაუჩეჩქვა თავი.

ალ კაპონეს კეთილი საქმეებიც გაუკეთებია, რას იზამ, ისტორია პარადოქსებით არის სავსე. ვინაიდან ეს მართლაც უნიკალური შემთხვევაა, ღირს მასზე ცოტა უფრო დაწვრილებით საუბარი. მიუხედავად კაპონეს ლიდერობისა, ჩიკაგოში სხვა ყაჩაღური ჯგუფებიც მოქმედებდნენ, თუმცა უკვე ასე აშკარად ველარებრძოდნენ მას. ერთი ასეთი ბანდა, თავისდა ჭირად, გადაეყარა ტანსაცმლის წმენდის ფირმის პატრონს ვინმე ჯონ ბეკერს. თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, ბეკერი ჯიუტი და უშიშარი კაცი აღმოჩნდა. მან უარი თქვა ხარკის გადახდაზე და გამომძაღველებს სასამართლოში უჩივლა. მაგრამ სასამართლო პროცესზე, განგსტერების შიშით, მისი საკუთარი შვილის გარდა არც ერთი მონმე არ გამოცხადებულა. როცა ბეკერმა მოსამართლეს ჰკითხა, სხვა მონმეები სადღა არიანო. მოსამართლემ მას უხეშად მიუგო — „თუ გინდა ნადი და შენ თვითონ მოიყვანე, მე კი მოსამართლე ვარ და არა სასამართლოს მომსახურე პერსონალი“. ასეთი შესავლის შემ-

დეგ ზედმეტი იყო რაიმე ობიექტურ განაჩენზე საუბარი და დარცხვნილმა და დამარცხებულმა ბეკერმა დატოვა სასამართლო დარბაზი. სასონარკვეთილება ადამიანს ზოგჯერ სრულიად მოულოდნელ ნაბიჯს გადაადგმევინებს, ამჯერადაც ასე მოხდა. სამართალში იმედგაცრუებულმა კაცმა დახმარების ძებნა სრულიად სანინალმდეგო მიმართულებით დაიწყო, ის ალ კაპონეს დაუკავშირდა და თავის ფირმასთან თანამშრომლობა შესთავაზა. ალ კაპონეს მოეწონა ეს აზრი და თანხმობა განაცხადა, ხოლო კონკურენტების ჩამოცილების მიზნით სასწრაფოდ დასწია მომსახურების ფასი. თანაც ბეკერის ფირმამ, ფაქტობრივად, შეუვალობის სიგელი მიიღო. ყველამ კარგად იცოდა, რომ თუ ალ კაპონეს კაცს ერთ ყუმბარას ესროდნენ, საპასუხოდ ორს მიიღებდნენ. სიტუაციის ანეკდოტურობა ის იყო, რომ კაპონემ, დასწია რა მომსახურების ფასები, ბეკერს კი არა, ყველა მის მომხმარებელს დაეხმარა. სხვათა შორის, ისეთი ფაქტებიც არის ცნობილი, როცა თავისი ავტორიტეტის ასამაღლებლად ალ კაპონე ზოგჯერ საქველმოქმედო სადილებსაც კი აფინანსებდა. თუმცა, რასაკვირველია, მას ვერავითარ შამთხვევაში ვერ დავაბრალებთ რობინ ჰუდობასა თუ არსენა ოძელაშვილობას. კაპონეს ფული ძალზე ბევრი უდანაშაულო კაცის სისხლით იყო მოსვრილი.

მაგრამ, როგორც ამბობენ, ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. ჩიკაგოში ალ კაპონეს პარპაში უკვე ზოგადეროვნული მასშტაბის სკანდალის სახეს იღებდა, ძირს უთხრიდა ამერიკელების რწმენას დემოკრატიული მმართველობის ძღვევამოსილებაზე. განა ის რა ქვეყანაა, სადაც რამდენიმე ასეულ თითქმის წერა-კითხვის უცოდინარ დეკლასირებულ ელემენტს უზარმაზარი ქალაქის ტერორიზება შეუძლია. არადა ვითარება უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, მრავალი მკვლელობის უშუალო ჩამდენსა და ორგანიზატორს, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, დაპატიმრების ვერავითარი საბაბიც კი ვერ გამოუნახეს (გარდა ფილადელფიის ინციდენტისა). საბოლოოდ, ეს რთული ამოცანა იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელს ელიოტ ნესსა და საგადასახადო სამმართველოს აგენტ ფრენკ უილსონს დაეკისრა. სანამ კაპონე ფილადელფიის ციხეში იმყოფებოდა, უილსონმა კაპონეს ერთ-ერთი სამორინეს საბულალტრო ნიგნი ჩაიგდო ხელთ და აღმოაჩინა, რომ თავისი ლე-

გალური შემოსავლიდან ის საგადასახადო სააგენტოს დიდ თანხას უმაღლავდა.

შეერთებულ შტატებში საგადასახადო სააგენტოსგან საკუთარი შემოსავლის რაოდენობის დაფარვა ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლება. ამერიკელთა გარკვეული ნაწილი და, არა მარტო ამერიკელთა, როგორც მაშინ, ასევე დღეს ყოველნაირად ცდილობს თავისი შემოსავლის დამალვას, რათა რაც შეიძლება ნაკლები გადასახადი გადაიხადოს, მით უმეტეს, რომ იგი იხდის როგორც ფედერალურ, ასევე შტატისა და ადგილობრივ გადასახადებსაც და ხშირად ამ გადასახადების ჯამი მისი შემოსავლის ერთ მესამედზე მეტს შეადგენს. ბუნებრივია, აშშ-ის საგადასახადო სამმართველო მკაცრად აკონტროლოებს თავის თანამოქალაქეებს და ხშირად საკმაოდ მკაცრადაც სჯის დამნაშავეს. გავიხსენოთ თუნდაც 1973 წელი, როდესაც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი სპირო აგნიუ იძულებული გახდა გადამდგარიყო, ვინაიდან საგადასახადო სამმართველომ აღმოაჩინა, რომ 1967 წელს, მერილენდის შტატის გუბერნატორად ყოფნის დროს, მან 29 500 დოლარი გადაუმალა სამმართველოს. სპირო აგნიუ ციხეს მხოლოდ მისი თანამდებობის პრესტიჟმა გადაარჩინა, მაგრამ სასამართლომ მას მაინც 10 ათასი დოლარი ჯარიმა და 3 წელი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა, ეს კი უკვე ნამდვილი პოლიტიკური სიკვდილი იყო.

ასე თუ ისე, ამჯერად კაპონე ველარ გადაურჩა კანონის ძალას, თუმცა, მისდამი წაყენებული ბრალდება ბავშვის თამაში იყო მის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებთან შედარებით. სასამართლო პროცესზე კაპონეს მეგობრებმა თორმეტივე ნაფიცო მსაჯულის მოსყიდვა ან დაშინება მოახერხეს და კაპონე ამჯერადაც არხეინად გრძნობდა თავს. მაგრამ, მოულოდნელად, მოსამართლემ თორმეტივე მსაჯული შეცვალა და ახალმა მსაჯულებმა იგი დამნაშავედ ცნეს. შედეგად, სასამართლომ მას 11 წლით პატიმრობა, 50 ათასი დოლარი ჯარიმა და სასამართლოს ხარჯების (30 ათასი დოლარი) ანაზღაურება მიუსაჯა. ეს ამბავი ბრწყინვალედ არის ასახული 1987 წელს გადაღებულ მეტად გახმაურებულ ფილმში „მიუკარებელი“, რომელიც აშშ-ის კინოხელოვნების აკადემიის პრიზ ოსკარზეც კი იყო ნარდგენილი.

სულ მალე, ჩიკაგოს უგვირგვინო მეფე სან-ფრანცისკოს ყურეში, კუნძულზე მდებარე უმკაცრესი რეჟიმის ციხე აღ-კა-

ტრასში აღმოჩნდა. ციხიდან გაქცევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მაგრამ თუ პატიმარი მაინც მოახერხებდა ციხიდან გამოსვლას, მას იმდენად ძლიერი დინების ნაკადი უნდა გადაეცურა, რომ ღია ოკეანეში გატაცება და უეჭველი სიკვდილი ელოდა. დღეს ეს ციხე მუზეუმად არის გადაქცეული და სან-ფრანციკოს ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. მუზეუმში კი იყიდება სასუვენრო ბარათები ალ კაპონეს საკნის ფოტოსურათით. ასეთი სუვენირების მეშვეობით მაინც, უბრუნებს ალ კაპონე თავის ვალს სახელმწიფოს. 1939 წელს ათაშანგის მძიმე ფორმით დაავადებული ალ კაპონე ციხიდან ვადაზე ადრე გამოუშვეს. შემდგომში იგი აღარ დაბრუნებია ჩვეულ საქმიანობას და მშვიდობიანად ცხოვრობდა მაიამის ვილაში. მით უმეტეს, რომ, როგორც ვარაუდობდნენ, მას 5 მილიონი დოლარი ჰქონდა გადანახული. 1947 წელს 48 წლის ალ კაპონემ ცოდვილი სული უფალს მიაბარა. მართალია, კაპონე გამორჩეული განგსტერი იყო, მაგრამ არა ერთადერთი და ის, რაც ჩიკაგოში ხდებოდა, ამა თუ იმ ფორმით, მრავალ სხვა დიდ ამერიკულ ქალაქშიც მეორდებოდა.

პროჰიბიციის უფრო სასიამოვნო ცნობადი სახე იყო მომხიბლავი მომღერალი ქალი და ლამის კლუბის ცნობილი მფლობელი ტექსასა გიუნანი. მართალია, იგი დიდი ვერაფერი მომღერალი და მსახიობი იყო, მაგრამ სწორედ ლამის კლუბებში გაიფურჩქნა მისი ნიჭი და იგი ძალზე მოდური პიროვნება გახდა. ტექსასა მან-ჰეტენის ისეთ ცნობილ კლუბებში მუშაობდა, როგორც „ელ ფეი“, „რანდეუ“, „300“, „არგონავტები“, „საუკუნე“, „სამეფო სალონი“ და ა.შ. შემდეგ საკუთარი კლუბიც შეიძინა. იგი, ფაქტობრივად, კლუბის წამყვანი, დისკ ჟოკეი, მასპინძელი, მისი სული და გული იყო და მიუხედავად უზომო სიძვირისა — 25 დოლარი საშუალო დონის ვისკისა და შამპანურისათვის — მას ბევრი კლიენტი ჰყავდა და ძალზე გამდიდრდა. მშრალი კანონის აგენტების არაერთი რეიდის დროს, როცა ყველას იჭერდნენ, იჭერდნენ მასაც, მაგრამ მას ერთი საათიც არ გაუტარებია ციხეში.

თუ ბუტლერებებს ჰყავდათ თავიანთი გმირები, უნდა აღინიშნოს, რომ გამორჩეული ადამიანები მათ მონინალმდეგეთა ბანაკშიც არსებობდნენ. პროჰიბიციის აგენტთა შორის ასეთთა რიცხვს იზი ეინსტეინი და მოო სმიტი მიეკუთვნებოდნენ. მშრალი კანონის პირველ წლებში გაზეთები აჭრელებული იყო მათი ფოტო-

სურათებით და ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლებით. ამ ორი აგენტის წარმატებები მაღამოსავით ედებოდათ გულზე ნირნამხ-დარ პროჰიბიციონისტებს, თუმცა განსაკუთრებით გამჭრიახნი გრძნობდნენ, რომ ყოველივე ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო.

თავდაპირველად იზი ეინსტეინი ნიუ-იორკის სარკინიგზო სადგურის საფოსტო განყოფილების ერთ-ერთი რიგითი მოხელე იყო და საშუალო ხელფასი ჰქონდა. მაგრამ, ალბათ, ყველა ქვეყანაში და მათ შორის ამერიკაშიც, რიგითი ხელფასი არ იყო საკმარისი ცოლის, ოთხი შვილისა და მოხუცი მამის შესანახად. ამიტომაც, როგორც კი იზიმ შეიტყო, რომ პროჰიბიციის აგენტებს წელიწადში 2500 დოლარს სთავაზობდნენ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ნიუ-იორკის პროჰიბიციის სააგენტოსაკენ გაეშურა. სააგენტოს ხელმძღვანელს მოეჩვენა, რომ 40 წლის საკმაოდ ჩასუქებული და მიამიტი გარეგნობის პიროვნება სრულიად არ შეეფერებოდა დეტექტივის მეტად რისკიან პროფესიას და გააფრთხილა ეინსტეინი, რომ ბუტლეგერთა დაკავება მეტად სახიფათო საქმეა იყო, სხვა თუ არაფერი, მათ ბოთლი შეუძლიათ ჩაგარტყან თავშიო. მაგრამ, როგორც ჩანს, იზის ოჯახის გაჭირვების ყურებას თავის გატეხვა ერჩია და თავის მიზანს მიაღწია კიდეც. ისიც უნდა დაეძინოთ, რომ მრავალეროვანი ამერიკისათვის იზის ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდა, იგი პოლიგლოტი იყო და გარდა ინგლისურისა და იდიშისა, საკმაოდ კარგად ფლობდა გერმანულს, პოლონურს, უნგრულს და ცოტაოდენი ფრანგული, იტალიური და რუსულიც გაეგებოდა. მიამიტი კაცის გარეგნობამ კი მას შემდგომში დიდი სამსახური გაუწია. სააგენტოს ხელმძღვანელის არ იყოს, ბუტლეგერებსაც არ ეგონათ, რომ მსგავსი გამომეტყველების ადამიანი შეიძლება დეტექტივი ყოფილიყო და სწორედ ასეთი შეუსაბამობის წყალობით იზის არაერთი ბუტლეგერი მოუტყუებია და დაუპატიმრებია კიდეც.

მაგალითად, თავისი საქმიანობის პირველივე დღეებში იზიმ გაბედულად დააბრაზუნა ერთი დახურული კლუბის კარზე. საერთოდ, კლუბის მომსახურე პერსონალი კარს მხოლოდ სანდო ხალხს უღებდა და ხშირად კლუბის წევრობის ბარათსაც მოითხოვდა. როცა იზის ვინაობა ჰკითხეს, მან წარბეჭურვლად განაცხადა, რომ ახლად დანიშნული პროჰიბიციის აგენტი იყო და მისმა უფროსმა გამოაგზავნა. ბარმენმა ეს ხუმრობად ჩათვალა და ზედმეტი კითხ-

ვების გარეშე მიართვა მას ვისკი, მაგრამ იზი ხომ მართლაც აგენტი იყო.

სულ მალე იზიმ იმდენი იატაკქვეშა რესტორანი დაარბია, რომ ბევრ ასეთ რესტორანსა თუ ბარში მისი გადიდებული ფოტოსურათი დაკიდეს, რათა ბარმენებს მაშინვე ეცნოთ ბუტლერგერთა რისხვა. მაგრამ იზი არ დაბნეულა, — ერთხელ მან ისეთ ბარში შეაღწია, სადაც მისი სამი დიდი ფოტოსურათი ეკიდა. მიუხედავად ამისა, თამამად მოითხოვა ვისკი.

— მაგრამ მე რომ არ გიცნობთ — შეიცხადა ბარმენმა.

— როგორ თუ არ მიცნობ, მე ხომ ცნობილი აგენტი იზი ექსტიენი ვარ, — განგებ დაიმახინჯა გვარი იზიმ

— ცდებით, მეგობარო. იზის გვარი ექსტიენი კი არა, ეინსტიენია, — იყო პასუხი.

— როგორ, — გაცხარდა იზი, — შენ გინდა დამარწმუნო, რომ მე საკუთარი გვარი არ ვიცი?!

— შენი შეიძლება იცი კიდევაც, მაგრამ იმ კაცს, ვის სახელსაც იბრალებ, ნამდვილად ეინსტიენი ჰქვია, — არ დათმო ბარმენმა.

— მე არასოდეს შემშლია, ჩემი გვარი ექსტიენია!

— არა, ეინსტიენი.

— ექსტიენი, — აღრიალდა იზი.

მაშინ ბარმენმა ნიძლავი შესთავაზა.

— კარგი, — დათანხმდა იზი, — დამარცხებული ვისკის კისრულობს.

ბარმენმა იქ მყოფთ მოუხმო და დიდი სჯა-ბასის შემდეგ ყველამ ალიარა იზის მარცხი. დამარცხებულმა იზიმ ყველასთვის ვისკი შეუკვეთა, გამარჯვებულმა ბარმენმა კი დიდი სიამოვნებით შეასრულა ეს თხოვნა. ამის შემდეგ იგი ყოველგვარი კამათისა და ნიძლავის გარეშე დააპატიმრეს.³⁶

ერთ-ერთ ბარში, სადაც სხვა აგენტებმა მარცხი განიცადეს, იზიმ შემდეგ ხრიკს მიმართა — ერთ სუსხიან საღამოს, სპეციალურად თხელ ტანსაცმელში გამოწყობილი, ის ბარის წინ იყინებოდა. ბოლოს და ბოლოს, როცა მართლაც გაითოშა და სიცივისაგან სახე აუჭარხლდა, მისმა კოლეგამ, აგენტმა მოო სმიტმა იგი ბარში შეათრია — არიქა, კაცი გაგვეყინა და სანამ სული არ განუტევა რაიმე დავალევინოთო. გულმონყალე ბარმენმა მათ მაშინვე ვისკი მიართვა, მაგრამ უმადურმა აგენტებმა ის იქვე დააპატიმრეს.

იზის გარდასახვის ჭეშმარიტად არტისტული ნიჭი ჰქონდა, ყოველთვის ისე იქცეოდა, იცვამდა, როგორც ეს ამა თუ უბანს ან საზოგადოებას შეეფერებოდა. მაგალითად, ბარში, სადაც მუსიკოსები იკრიბებოდნენ, ის ტრომბონით ან ვიოლინოთი ხელში შედიოდა, მით უმეტეს, რომ მართლაც კარგად უკრავდა და მისი საყვარელი სიმღერა იყო „ როგორი მშრალი ვარ მე“. ბრუკლინში, ბარში, სადაც მოსამართლეები და ადვოკატები იკრიბებოდნენ, სოლიდურად ჩაცმული იზი საკანონმდებლო კოდექსის უზარმაზარი ტომით ხელში შევიდა, სიარულისას მას არ შეუწყვეტია კითხვა და ბარმენსაც კითხვა-კითხვაში დაუკვეთა სასმელი, ბარმენიც ადვილად ნამოეგრო ანკესზე. საინტერესო ისიც არის, რომ აღნიშნული ბარი სწორედ კანონის დამცველთა თავმჯდომარის საყვარელი ადგილი იყო, რაც კიდევ ერთხელ მოწმობდა ამ კანონისადმი ამერიკელთა დამოკიდებულებას. ბრუკლინის შედარებით ღარიბ უბნებში იზიმ რამდენიმე ბარი დააწიოკა — შედიოდა შიგნით კიტრის მწნილით საცხე ჩანთით და აბა, ვის მოუვიდოდა აზრად, რომ დეტექტივი ოპერაციაზე კიტრის მწნილით წავიდოდა. ნიუ-იორკის ზანგთა უბან შარლემში იზი შავად იღებავდა სახეს და ადგილობრივ მცხოვრებელს ასახიერებდა. თუ იზი ნიუ-იორკის მახლობელ ზღვის კურორტებზე მუშაობდა, მუდამ თან ჰქონდა ანკესი თუ საცურაო კოსტიუმი. ერთ სპორტულ კლუბთან მდებარე ბარში იზი და მისი კოლეგები ფეხბურთელთა ფორმაში გამონყობილნი შევიდნენ, სახეც წინასწარვე დაეთხოვნათ, რომ ნამდვილ სპორტსმენებს დამსგავსებოდნენ. აგენტებმა განასახიერეს გუნდი, რომელიც საფეხბურთო სეზონის ბოლო მატჩში გამარჯვებას ზეიმობდა და ამიტომაც არ ერიდებოდა ალკოჰოლს. მათ დაუჯერეს.

ნაცნობის დასაფლავებისას იზიმ შეამჩნია, რომ სასაფლაოს გვერდით მდებარე შენობაში რამდენიმე საექვო მანქანა განტვირთეს. იგი მაშინვე შენობისაკენ გაემართა, მაგრამ ხელმოსაკიდი ვერაფერი აღმოაჩინა, არადა გუმანით გრძნობდა, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო წმინდა ადგილი. მან არ დაიზარა, დაბინდებისას მინის მუშის ტანსაცმელში გამონყობილ აგენტებთან ერთად მიადგა სასაფლაოს და დაიწყო საფლავების თხრა. იზი და მისი კოლეგები თითქმის მთელი საღამო თხრიდნენ და სასაფლაოს დარაჯიც კი გაოცდა ამდენი ხალხი ერთბაშად რამ დახოცაო. ყოველივე ამას საექვო სახლის მკვიდრნიც კარგად ხედავდნენ და, ცხადია, ვერ

წარმოიდგენდნენ, რომ ამდენი დეტექტივი ერთბაშად მესაფლავეობას მიჰყოფდა ხელს. ამიტომ, როცა დაღლილი „მესაფლავეები“ ამ სახლს მიადგნენ და ვისკი მოითხოვეს, დაუყოვნებლივ მიიღეს კიდეც.

ერთხელ იზიმ ორ ლამაზმანთან ერთად ძალზე ფეშენებელურ კლუბში მოინდომა შესვლა. როცა კარისკაცმა ვინაობა ჰკითხა, მან დაუფიქრებლად მიანოდა პირველივე სავიზიტო ბარათი, რომელიც ჯიბეში იპოვა. ამჯერად ეს რაბინის სახელზე გაკეთებული სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა. მაგრამ, კარისკაცმა, ეტყობა მეტი ყურადღება იზის რესპექტაბელურ გარეგნობას მიაქცია, ვიდრე მის უცნაურ ბარათს. დაპატიმრების შემდეგ იზი დასცინოდა მას, სად გინახავს უწვერო რაბინი და ისიც ქალებთან ერთადო?

მსგავსი ოინებისა და საზრიანობის წყალობით იზიმ და მოომ ხუთი წლის მანძილზე დაახლოებით 5 მილიონი ბოთლის კონფისკაცია მოახდინეს, რომელთა საერთო ღირებულებაც 15 მლნ დოლარს აღწევდა. მათ დააკავეს 4 392 მოქალაქე, რომელთა 95 % გაასამართლეს, რაც, თურმე, ძალზე იშვიათად ხდებოდა ხოლმე.³⁷ როგორც ჟურნალ „ამერქენ მერკურიში“ 1926 წელს გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ჰერბერტ აშბური აღნიშნავდა (იზის და მოოს დახასიათებისას ჩვენ სწორედ ამ სტატიით ვხელმძღვანელობდით), პროჰიბიციის გამირები ძირითადად, მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ამარცხებდნენ.³⁸

თუმცა იზიცა და მოოც არაერთხელ ყოფილან ჩიკაგოსა და დეტროიტში, ისინი არასოდეს შეხვედრიან ნამდვილ განგსტერებს, ისეთებს, როგორც კაპონეს, ტორიოს ან იელის ბანდების წევრები იყვნენ. სხვათა შორის, იზი საერთოდ არ ატარებდა იარაღს. მას კი მხოლოდ ორჯერ დაემუქრნენ იარაღით. ერთხელ, როცა ბარმენმა იზის კოლტი მიადო მუცელზე, იზიმ დინჯად ურჩია მას, – „შვილო, დადე იარაღი, ჩემი სიკვდილი ვერ დაეხმარება შენს ცოლ-შვილს.“ ბუნებრივია, იზის კაპონეს ბიჭებთან ასეთი საუბარი არ გაუვიდოდა.

როგორც აღვნიშნეთ, იზი და მოო ნამდვილ საგაზეთო გამირებად იქცნენ, ხოლო მათი თავგადასავლების წყალობით პროჰიბიციურ საქმიანობას, გარკვეულწილად, ვოდვეილური და საოპერეტო იმიჯი შეექმნა. ბევრს ეს ძალზე არ მოსწონდა. იზისა და მოოს უშუალო ხელმძღვანელებს კი უბრალოდ შურდათ მათი. საბ-

ოლოოდ, ორივე ვაშინგტონში გამოიძახეს და უსაყვედურეს, რომ ალკოჰოლთან დრამატული ბრძოლა მათ გართობად აქციეს და მეტისმეტად ხშირ ინტერვიუებს იძლეოდნენ. მალე ოფიციალურა აუკრძალა თავის აგენტებს პრესისათვის რაიმე ინფორმაციის მიწოდება. 1925 წელს ხელმძღვანელობის უმადურობითა და დიდების შარავანდედით დაღლილი იზიცა და მოოც გადადგნენ და სადაზღვევო ბიზნესში დაინყეს საქმიანობა. ასე რომ, უკანონო რესტორნების მფლობელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

ცხოვრება კი გრძელდებოდა და დაპირისპირება ე.წ. მშრალეებსა და ე.წ. სველებს შორის სულ უფრო მძაფრდებოდა. აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი უნიჭიერესი ამერიკელი მკვლევარი ფრედერიკ ალენი საკმაოდ იუმორისტულ ტონებში ხატავს იმდროინდელ ამერიკაში არსებულ განწყობილებებს: „ყოველი მშრალი გეტყოდათ, რომ სწორედ პროჰიბიცია იყო ამერიკული პროსპერიტის საფუძველი. პროსპერიტი გამოიხატა ბანკების დეპოზიტების ზრდაში, რაც, მენარმეთა აზრით, იმან განაპირობა, რომ ორშაბათობით მუშები სამუშაოზე დანმენდილი თვალებით მიდიოდნენ და ხელები არ უკანკალებდათ. მშრალეები იმასაც გეტყოდნენ, რომ პროჰიბიციამ შეამცირა ალკოჰოლიზმით გამოწვეული სიკვდილიანობა, დააცარიელა ციხეები და შემოუნახა მშრომელებს ფული მანქანის, სახლის ან რადიომიმღების საყიდლად. ამაზე თითქმის ყოველი სველი გიპასუხებდათ, რომ პროჰიბიციას არაფერი შეუმატებია პროსპერიტისათვის, სამაგიეროდ იზარდა დანაშაულებრიობის ტალღამ, ამორალურობამ, განქორწინებათა რიცხვმა, კანონისადმი უპატივცემულობამ, რაც ძირს უთხრიდა საზოგადოების საფუძველს. სველი გეტყოდათ, რომ მშრალეები ხელს უწყობდნენ ბოლშევიზმს აუტანელი კანონებისადმი ფანატიკური ერთგულებით, მშრალეები, თავის მხრივ, სველებს აბრალებდნენ ბოლშევიზმის პროპაგანდას არსებული კანონებისადმი უპატივცემულობის დანერგვით და საერთოდ, თქვენი შეხედულებისამებრ, შეგეძლოთ იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც თქვენთვის უფრო სასურველი იყო. ერთს, მაგალითად, საერთოდ აღარ უნახავს მთვრალი ქუჩაში, მეორე კი, თურმე, პირიქით, ველარ აუდიოდა მათ თვლას, ზოგიერთს მიაჩნდა, რომ ლოთობა კოლეჯებში უმტიკვენულეს პრობლემად იქცა, სხვა კი თვლიდა, რომ ლოთობა იქ საერთოდ მოისპო და ა. შ.“³⁹

მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც აღენი, ასევე სხვა მკვლევარებიც, უფრო უარყოფითად აფასებენ მშრალ კანონს და მის შედეგებს.

განსაკუთრებულ მღელვარებას იწვევდა ის, რომ მშრალი კანონის დარღვევის ფაქტები საოცარი სისწრაფით მრავლდებოდა. სულ რამდენიმე წელიწადში მშრალი კანონის უგულვებელყოფა უკვე საყოველთაო მივლენად იქცა და მას ნებისმიერი საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები არღვევდნენ, მათ შორის ის კონგრესმენები და სენატორებიც, რომელთაც თავის დროზე ზარზიმით მიიღეს მე-18 შესწორება. როგორც აღვნიშნეთ, ამერიკაში „აკრძალული იყო არა მარტო სპირტიანი სასმელის გაყიდვა, არამედ მისი ყიდვაცა და გამოყენებაც“, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, დაღვევაც. ასე რომ, კანონს არღვევდა არა მარტო ჩიკაგოელი განგსტერი თავისი ავტომატით, არამედ ჩვეულებრივი ამერიკელი დიასახლისიც, რომელიც სურნელებისთვის რამდენიმე წვეთ რომს დააპკურებდა ნამცხვარს ან რიგითი ობივატელი, რომელიც თავის მეგობრებთან ერთად ჩუმ-ჩუმად ნრუჰავდა ბუტლეგერი-საგან ნაყიდ ჯინზე დამზადებულ კოკტილს. ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსს სინკლერ ლიუისს თავის ცნობილ ნაწარმოებში „ბებიტი“ შესანიშნავად აქვს ასახული ე.წ. 100-პროცენტიანი ამერიკელების ცხოვრება და, სხვათა შორის, მათი დამოკიდებულებაც მშრალი კანონისადმი. როგორც ყველა ადამიანი, ალბათ, არც ბებიტი და მისი მეგობრები იყვნენ უცოდველნი, მაგრამ მშრალი კანონის მიმართ მათი თვალთმაქცობა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ისინი სვამდნენ ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემოდათ, მთავარია პოლიციას არ გაეგო. ხოლო ნაწარმოების ერთ-ერთმა პერსონაჟმა, რომელმაც ერთ წვეულებაზე ყველაზე მეტი დალია, სულ რამდენიმე საათით ადრე გააგზავნა გაზეთის რედაქციაში ლექსი ალკოჰოლის გამოყენების მავნეობასა და უზუნობაზე.

III

ადამიანის უფლებები, შტატების სუვერენიტეტი და მშრალი კანონი

მართალია, ერთი წვეთი რომი, ერთი წვეთი თაფლისაგან განსხვავებით ქვეყანას არ დააქცევდა, მაგრამ ამაჟამად, საქმე პრინციპს ეხებოდა — კერძოდ კი კანონისადმი დამოკიდებულებას. მაგალითისათვის, განვიხილოთ იგივე ბებიტი და მისი წრე. ეს ხალხი ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ისინი იყვნენ ამერიკული საშუალო ფენის ტიპური წარმომადგენლები, ის ხალხი, რომელიც სახელმწიფოს დასაყრდენს წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი იყვნენ დაინტერესებული საკუთარი ქვეყნის კანონების დაცვით. ეს კანონები ხომ სწორედ მათ ეროვნულ და კლასობრივ ინტერესებს იცავდა. მშრალ კანონს კი ყველა ფენისა და კლასის წარმომადგენელი არღვევდა, ხოლო, როცა თუნდაც ერთი შეხედვით ნაკლებად მნიშვნელოვანი კანონის დარღვევა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ქცევის ნორმად იქცევა, ეს უკვე მართლაც საგანგაშოა. მით უმეტეს, რომ ამჯერად საქმე ეხებოდა წმიდათანმიდას — აშშ-ის კონსტიტუციას. თუ მოქალაქეებს, ამჯერად კი საზოგადოების ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს, ეჭვი ეპარებოდათ საკუთარი კონსტიტუციის თუნდაც ერთი მუხლის სამართლიანობაში, სად იყო გარანტია, რომ ეს სკეპსისი მის სხვა მუხლებსაც არ შეეხებოდა, არ დაიკარგებოდა ნდობა საერთოდ კონსტიტუციისადმი. ხოლო სახელმწიფო კანონებისადმი საყოველთაო დაუმორჩილებლობა, ეს ხომ პირდაპირი გზაა ქაოსისა და ანარქიისაკენ. ამიტომაც მშრალი კანონის მასობრივი იგნორირება, თუმცა გასაგები, მაგრამ მეტად სახიფათი პრეცედენტი იყო. შეერთებულ შტატებში ყოფნის შემდეგ ერთი გერმანელი მოგზაური ფელიქს ფონ ლაკნერი წერდა: „მართალია, სიმთვრალესთან დაკავშირებულმა დანაშაულმა და დარღვევებმა იკლო, მაგრამ მოხდა ის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეჩვია უთანხმოებას კანონთან და კანონის დარღვევას ყოველგვარი დაფიქრების გარეშე“.⁴⁰

1920-30-იანი წლების პოპულარული ჟურნალისტი ვალტერ ლიგეტიც ამავე აზრის იყო. კონგრესის იურიდიული კომიტეტის წინაშე მან განაცხადა, რომ ხშირად კანონს არა მარტო რიგითი მო-

ქალაქეები არღვევდნენ, არამედ ისინიც, ვისაც სწორედ კანონის დაცვა ევალებოდა. ლიგეტმა მოახსენა კომიტეტს, რომ დეტროიტის ერთ-ერთ რესტორანში მოეწყო დიდებული წვეულება, რომელიც სასმელებით დეტროიტში ცნობილმა ბუტლეგერმა დენი მერფიმ მოამარაგა. მაგრამ ყველაზე სამარცხვინო ის იყო, რომ წვეულებას ესწრებოდნენ მიჩიგანის შტატის გუბერნატორი და პოლიციის უფროსი, ქალაქ დეტროიტის პოლიციის უფროსი, ოთხი მოსამართლე და პოლიტიკური მოღვაწენი. საინტერესოა, რომ ისტებლიშმენტის ამ წარმომადგენლებს გვერდს ადგილობრივი აფერისტები, ბუტლეგერები და სხვა ჯურის დამნაშავენი უმშვენებდნენ. მალე ამ ჭრელ საზოგადოებას შიშველი მოცეკვავე ქალებიც შეუერთდნენ და საბოლოოდ ყველაფერი მთვრალი დებოპით დამთვრდა. მეორე დღეს კი იგივე ადამიანები საჯაროდ ქადაგებდნენ მშრალი კანონის მკაცრი დაცვის უცილებლობას.⁴¹

გაზეთი „ჩიკაგო ტრიბიუნი“ 1926 წლის 4 ივლისს იმ დროისათვის საკმაოდ ტიპურ ამბავს იუწყებოდა იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ლამის კლუბში რეიდის დროს პოლიციამ ორი სენატორი აღმოაჩინა, მათ შორის ერთ-ერთი აქტიური მშრალი სენატორი, თუმცა მათი გვარები არ დაუსახელებია. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის მფლობელი კატეგორიულად უარყოფდა თავის კლუბში ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის პრაქტიკას, პოლიციამ იქ ორი ბოთლი ჯინი, ერთი ბოთლი რომი და ერთი ბოთლი ვისკი იპოვა.⁴²

საერთოდ ითვლებოდა, რომ ამერიკელთა უმრავლესობა მუდამ პატივისცემით ეკიდებოდა თავისი ქვეყნისა და შტატის კანონებს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მშრალმა კანონმა ერთობ შეარყია ეს წარმოდგენა. ჩვენ ასეთი დამოკიდებულების არაერთი მიზეზი მიმოვიხილეთ და, რაც მთავარია, ისინი საკმაოდ სცილდება მარტო ალკოჰოლისადმი დადებით ან უარყოფითი დამოკიდებულების ფარგლებს. მოხდა ის, რომ მშრალი კანონის საყოველთაო და მეტისმეტად სწორხაზოვანმა ხასიათმა გამოიწვია აშკარა დაპირისპირება კანონსა და მოქალაქეს შორის, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ აშშ-ის კონსტიტუციის მე-18 შესწორება, გარკვეულწილად, დაუპირისპირდა ცალკეული შტატების სუვერენულ უფლებებსაც და ფედერალურსა და შტატების ხელისუფლებათა შორის უშუალო კონფლიქტში გადაიზარდა. ქვეყნის გაჯანსაღების ეს

მიამიტი ცდა საბოლოოდ ნამდვილ კონსტიტუციურ კონფლიქტად იქცა.

1922 წელს გამოვიდა ფაბიან ფრანკლინის საკმაოდ გახმაურებული წიგნი „რა მოუტანა პროჰიბიციამ ამერიკას“. ავტორი მე-18 შესწორებას მიიჩნევდა კონსტიტუციის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, რომელიც სპობდა კანონიერების საფუძვლებს და სპობდა დესპოტიზმს, სულერთია, იქნებოდა ეს უმცირესობის თუ უმრავლესობის დესპოტიზმი. ავტორის აზრით, კანონმა დაარღვია ტრადიციული ურთიერთობა ფედერალურ და შტატების ხელისუფალთა შორის. გარდა ამისა, კანონმა დაარღვია ფედერალური მართვის მარეგულირებელი სტრუქტურა, რომელსაც უნდა დაეცვა ამერიკელ მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებანი. ფრანკლინს მიაჩნდა, რომ კანონმა ლახვარი ჩასცა ფედერალური სისტემის სულსა და გულს — ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპს.⁴³ „სწორია თუ მცდარი პროჰიბიცია, ბრძნულია თუ უგუნური, ყველა მხარე ერთხმად აღიარებს, რომ მშრალი კანონი პირადი თავისუფლების შელახვას წარმოადგენს“, — წერდა ფრანკლინი.⁴⁴

აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს წევრის ჯ. კლარკის აზრით, „მე-18 შესწორებამ აიძულა მილიონობით ამერიკელი უარი ეთქვა საკუთარ ჩვევებსა თუ ტრადიციებზე, რომლენიც მათ სრულებითაც არ მიაჩნდათ ამორალურად და მცდარად, პირიქით, მოქალაქენი მათ მიიჩნევდნენ თავიანთი საყოფაცხოვრებო კომფორტისა და ბედნიერების აუცილებელ პირობად. ამასთან დაკავშირებით, უპატივცემულობამ არა მარტო ამ კანონის მიმართ, არამედ საერთოდ კანონების მიმართ გამოიწვია უპრეცედენტო დაძაბულობა ჩვენს ქვეყანაში, რომლის შედეგები ძნელი წარმოსადგენია.“⁴⁵

ნიშანდობლივია, რომ თვით შეერთებული შტატების პრეზიდენტებიც, ხშირად საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი მშრალი კანონის მიმართ. გავიხსენოთ თუნდაც პრეზიდენტ ვილსონის ვეტო. ვილსონის მემკვიდრე უილიამ ჰარდინგი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ვალდებული იყო თავადაც დაეცვა უკვე მიღებული კანონი და იგივე მოეთხოვა თავისი თანამემამულეებისაგან. 1922 წელს თავის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი ის აფრთხილებდა ამერიკელებს— „მას, ვინც ზიზლით ეკიდება პროჰიბიციას, აღიქვამს რა მას, როგორც პირადი უფლებების შეზღუდვას, უნდა ახსოვდეს, რომ ამით იგი კანონისადმი უპატივცემ-



ოციანი წლების
ჯაზ-ბენდი



ლუი არმსტრონგი. ლუი არმსტრონგი იხსენებდა, რომ „ოციანების დასაწყისში ჩიკაგოში მუსიკოსებს პატივს სცემდნენ, როგორც ღმერთებს“.



დიუკ ელინგტონი. ამ წლებში ახალგაზრდა დიუკ ელინგტონი და მისი მეგობრები ნელ-ნელა იპყრობდნენ ჰარლემს. სწორედ ელინგტონის ანსამბლს დასდეს პატივი გაეხსნა ახალი სეზონი „კოტონ კლუბში.“



ამერიკული ჯაზი და კლასიკური მუსიკა, ალბათ, ყველაზე კარგად ჯორჯ გერშვინმა გააერთიანა.



კარგი ღამის კლუბი მხიარულ მოცეკვავეთა გარეშე
წარმოუდგენელი იყო.



ამერიკული არქიტექტურის
სიამაყე ფრენკ ლოიდ რაიტი.



მერი პიკფორდი „ამერი-
კის სიყვარულად“ ითვ-
ლებოდა და ძირითადად
უმნიკელო ქალიშვილების
როლებს თამაშობდა.



მერი პიკფორდი და დუგლას ფერბენქსი



ამერიკელ კინოვარსკვლავებს ევროპიდან ჩამოსული გრეტა გარბო უწევდა კონკურენციას.



რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ეპოქის კინოგმირი და სექსსიმბოლო საშუალო ნიჭის მსახიობი, იტალიელი ემიგრანტი რუდოლფ ვალინტინო იყო.



ჩარლზ ჩაპლინის მსგავსი მსახიობები ხელოვნების მწვერვალს აღწევდნენ ისეთ ფილმებში, როგორიცაა „პილიგრიმი“, „ოქროს ციებ-ცხელება“ და მრავალი სხვა.

ბასტერ კიტონი იყო კომიკოსი, რომელიც არასოდეს იღიმებოდა, მაგრამ მაინც ყველას აცინებდა.



1920-იან წლებში დაიწყო თავისი საქმიანობა მსოფლიოს, ალბათ, ყველაზე ცნობილმა მულტიპლიკატორმა უოლტ დისნეიმ, ხოლო 1928 წელს პირველად გამოჩნდა ეკრანებზე დისნეის მიკი მაუსიცი.



„ნიუ-იორკის იანკების“ გუნდის და ალბათ მთელი ამერიკის ლეგენდარული მოთამაშე ბები რატი.

როგორც ამბობენ, ის, ვინც საკუთარი ფეხით წავიდოდა ჯეკ დემპსისთან ორთაბრძოლის შემდეგ, იღბლიანად ითვლებოდა.






ითვლება, რომ ნამდვილი პროფესიული ფეხბურთი მაშინ განვითარდა, როდესაც გადაბერებული და უიღბლო სპორტსმენებისაგან შემდგარ პროფესიულ ფეხბურთში უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ჰაროლდ გრეინჯი გადავიდა.



პროსპერიტის წლების ჭეშმარიტი გმირი, შეიძლება ითქვას, სუპერგმირი იყო მფრინავი, 25 წლის ჩარლზ ლინდბერგი, რომელიც 1927 წელს მარტო თავისი თვითმფრინავით „სენტ ლუისის სული“ ნიუ-იორკიდან პარიზში ჩაფრინდა 33 საათსა და 39 წუთში.




Remember prohibition?
It still doesn't work.

მშრალი კანონი იყო, ალბათ, ყველაზე დიდი და კეთილშობილი სოციალური ექსპერიმენტი, რომელიც კრაზით დასრულდა.



მშრალი კანონის მთავარი ანტიგმირი ალ კაპონე.



1929 წლის 14 თებერვალს კაპონეს განგსტერებმა ისეთი საშინელი მასობრივი მკვლელობა განახორციელეს, რომ ამის შემდეგ წმინდა ვალენტინის დღე ბევრის ცნობიერებაში უფრო სიკვდილის, ვიდრე სიყვარულის ზეიმად ჩაიბეჭდა.



1920-იანი წლების განგსტერებს განსაკუთრებით მოსწონდათ ავტომატური იარაღი „ტომპსონი“.



მშრალი კანონის გმირები იყვნენ პროპიბიციის აგენტები იზი ვინსტეინი და მოო სმიტი.




მსგავსი აგენტების საქმიანობის შედეგად მილიონობით ლიტრი ალკოჰოლური სასმელი გაანადგურეს, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთი იყო ამ წლებში დაღუპული სასმელის რაოდენობასთან შედარებით.



1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატთა კანდიდატი ნიუ-იორკის გუბერნატორი, კათოლიკე და „სველი“ აღფრედ სმიტი იყო.



1920-იანი წლების ყველაზე გამოჩენილი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი ამ პანანინა ქოხში დაიბადა აიოვას შტატის პატარა ქალაქ ვესტ ბრენჩში.



ყველაფერი უღრუბლო და, შეიძლება ითქვას, ტრიუმფალურ პრეზიდენტობას უნინასწარმეტყველებდა ჰერბერტ ჰუვერს, რომელიც ამჯერად უკვე ყოველ ამერიკელს ჰპირდებოდა აყვავებას. მაგრამ, როგორც ამბობენ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.



გაკოტრებული ფერმერის ოჯახის ეს სურათი დეპრესიის სიმბოლოდ იქცა.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ ბონუსის მარშის დარბევა ჰუვერის ადმინისტრაციის ყველაზე ცუდი და საბედისწერო ქმედება იყო.



დემოკრატიული პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე გახდა ნიუ-იორკის შტატის მეტად ნიჭიერი და აქტიური გუბერნატორი ფრანკლინ დელანო რუზველტი.



მიუხედავად უმძიმესი პოლიტიკური კრიზისისა ხელისუფლების გადაცემა ტრადიციულად მოხდა. ჰუვერი და რუზველტი რუზველტის ინაუგურაციის დღეს.

მულობის პრეცედენტს ქმნის. ამან კი შეიძლება ძირგამომთხრელი როლი შეასრულოს რესპუბლიკის არსებობისათვის“.⁴⁶

მაგრამ თითქმის საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ამ სიტყვების ავტორი და მისი მეგობრები თეთრ სახლში საკმაოდ ხშირად იქცევდნენ თავს ბანქოს თამაშითა და ვისკის სმით. სწორედ ამაზე იტყვიან, ფიცვი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. თუ ბანქოს თამაშში პრეზიდენტის პირადი საქმე იყო, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიტყვით პრეზიდენტის ვისკისადმი თუნდაც ძალზე სიმბოლური ლტოლვის შესახებ. როცა პრეზიდენტი არღვევს სახელმწიფოს კონსტიტუციას, — ეს უკვე ეროვნული მასშტაბის პრობლემაა.

ასეთმა ფაქტებმა მრავალი ამერიკელი დააეჭვა პრეზიდენტის გულახდილობაში და მას ეჭვით სავსე წერილებსაც კი უგზავნიდნენ. როჩესტერის ზომიერთა ორგანიზაციის თავმჯდომარე კლინტონ ჰოვარდი ეკითხებოდა პრეზიდენტის მდივანს, მართალი იყო თუ არა, რომ, როდესაც პრეზიდენტი ვილსონი ტოვებდა თეთრ სახლს სპეციალური ნებართვა გაიცა მისი პირადი სასმელების კოლექციის თან ნალების შესახებ და ასევე გაიცა ნებართვა, რომ ახალ პრეზიდენტ ჰარდინგსაც უფლება მისცემოდა თავისი საკუთარი სასმელები შეეტანა თეთრ სახლში. მდივანმა უპასუხა წერილის ავტორს, რომ ჰკითხა პრეზიდენტს ამის თაობაზე, მაგრამ მას მსგავსი არაფერი გახსენებია, მით უმეტეს, რომ თეთრ სახლში ისეთი წვეულება არ გაუმართავთ, რისთვისაც ეს სასმელი დასჭირდებოდათ. მდივანი იმასაც დასძენდა, რომ არც ერთი პრეზიდენტი ამას არ გააკეთებდა, ვინაიდან ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება იქნებოდა.⁴⁷ ასეთივე კურიოზული შეკითხვა დაუსვა პრეზიდენტს სხვა მოქალაქემაც, გავიგეთ, რომ თქვენს მაგიდაზე ვისკის ბოთლი უნახავთ და ნუთუ მართალიაო. პრეზიდენტის მდივანი ამაზეც კატეგორიულად პასუხობდა, რომ ეს არასწორი ინფორმაცია იყო.⁴⁸ ასეთი საფუძვლიანი ეჭვი რომ გაექარწყლებინა პრეზიდენტი კიდევ უფრო თვალთმაქცურად ილაშქრებდა ალკოჰოლის წინააღმდეგ და ერთ-ერთ გამოსვლაში ისეთი საოცრებაც კი უთქვამს, რომ „დარწმუნებული ვარ, მომავალ თაობაში ალკოჰოლი გაქრება არა მარტო ჩვენი პოლიტიკიდან, არამედ საერთოდ ჩვენი მეხსიერებიდან, იგი ჩვენი ლექსიკონიდანაც ამოვარდება და გაიზრდება ახალგაზრდა მამაკაცთა და ქალთა თაობა, რომელთაც საერთოდ არ ეცოდინებათ ამ სიტყვის მნიშვნელობა“.⁴⁹

გაცილებით უფრო გულახდილი იყო ჰარდინგის სიტყვები, რომ „პროპიბიციას თან სდევდა გრანდიოზული სკანდალები, რომელნიც საზოგადოებრივი ცხოვრების დემორალიზაციას იწვევდა“.⁵⁰ რაც მთავარია, ყოველივე ეს უშუალოდ პრეზიდენტის ცხვირწინ ხდებოდა. პროპიბიციის სააგენტო, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი კორუფციით, იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა, მინისტრი კი ჰარდინგის უახლოესი მეგობარი დოჰერტი იყო. ხოლო იუსტიციის მინისტრის მეგობრები აშკარად მფარველობდნენ ბუტლერებსა და მათ საქმიანობას. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ სპირტიანი სასმელების ყიდვა სახელმწიფო დანესებულებებშიც კი შეიძლებოდა.⁵¹

განათლების სამინისტროსა და ამერიკის ქრისტიანული ეკლესიების ფედერალური სამმართველოს ბიულეტენი, რომელიც პროპიბიციის საკითხს ეხებოდა, აღნიშნავდა, რომ კანონის ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლიდა ამერიკული ცხოვრების წესის ძლიერი ინდივიდუალისტური ტრადიციები და ამერიკის მოსახლეობის პეტროგენულობა, ვინაიდან სხვადასხვა ეროვნული ტრადიციების და ჩვევების ადამიანებს მიუღებლად მიაჩნდათ პროპიბიცია.⁵²

ამერიკელი მწერალი უოენ ჯონსონი ადრე თავს „სველ რესპუბლიკელად“ თვლიდა, მაგრამ 1928 წლის საარჩევნო კამპანიაში ხელოვნების 250 სხვა მუშაკთან ერთად დემოკრატიული პარტიის კანდიდატის აღფრედ სმიტის მხარეს გამოვიდა იმ მიზეზით, რომ პირადად სმიტი მშრალი კანონის წინააღმდეგი იყო. წარმომადგენელთა პალატის კომიტეტის წინაშე ჯონსონმა განაცხადა, რომ ამერიკელ მწერალთა 80% პროპიბიციას ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან მათ პროპიბიცია თავისუფლების შეზღუდვად მიაჩნდათ. ჯონსონი იუმორით აღნიშნავდა, რომ, ალბათ, მთელი მსოფლიო დაგვიცინის, რადგან ჩვენ ვქადაგებთ თავისუფლებასა და დემოკრატიას, სინამდვილეში კი ჩვენი მოქალაქეების ასეთი ელემენტარული უფლებები შევზღუდეთ.⁵³

ადამიანის უფლებების შეზღუდვის პრობლემასთან ერთად სულ უფრო ხშირად ისმოდა შტატების უფლებების დამცველთა ხმაც. ამერიკის კონსტიტუციის მეათე შესწორებაში წერია, რომ „უფლებამოსილებანი, რომლებიც კონსტიტუციის მიხედვით არ გადაეცემა შეერთებულ შტატებს (ანუ ფედერალურ მთავრობას— ვ.კ.), არც შტატებს ეკრძალებათ, ენიჭებათ შტატებს ცალ-ცალკე

ან მათ მოსახლეობას“ ანუ, გარდა კონსტიტუციაში ჩამოთვლილი რამდენიმე ზუსტად ჩამოყალიბებული შეზღუდვისა, ყოველ შტატს აქვს მართვის სუვერენული უფლებანი და შტატები მუდამ თავგამოდებით იცავენ ამ უფლებებს ფედერალური ხელყოფისაგან.

ამ მიზეზით და საბაბით არაერთი ზოგადეროვნული მასშტაბის კანონი გაუქმებულა, როდესაც აშშ-ის უმაღლეს სასამართლოს აღუნიშნავს ამ კანონებით შტატების სუვერენიტეტის ხელყოფა და ისინი არაკონსტიტუციურად გამოუცხადებია. ამიტომაც შტატების სუვერენიტეტთან დაკავშირებული კონსტიტუციური კონფლიქტი ერთ-ერთ უდიდეს ძალად იქცა პროჰიბიციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებდა 1927 წელს შექმნილი „ნიუ-იორკის მოსამართლეთა ნებაყოფლობითი კომიტეტი“, რომელიც აცხადებდა, რომ „მე-18 შესწორება არ ეთანხმება შეერთებული შტატების კონსტიტუციის სულისკვეთებასა და მოთხოვნებს და ძირს უთხრის მოქალაქეთა და შტატების უფლებებს, რომელნიც მათ გარანტირებული აქვთ კონსტიტუციის პირველი ათი შესწორებით.“⁵⁴ იგივე არგუმენტებით გამოვიდა ლოს-ანჯელესის მოსამართლეთა ასოციაცია, რომელსაც მალე შეუერთდა ბოსტონის და სან-ფრანცისკოს მოსამართლეთა ასოციაციები და მრავალი სხვა. 1930 წელს ამერიკის მოსამართლეთა ასოციაციამ წამოაყენა მე-18 შესწორების გაუქმების წინადადება. კენჭისყრის შემდეგ გამოვლინდა, რომ ამ წინადადებას 13 779 მომხრე და მხოლოდ 6340 მოწინააღმდეგე ჰყავდა.⁵⁵ ამ დროისათვის შეერთებულ შტატებში უკვე მრავალი ანტიპროჰიბიციური ორგანიზაცია შეიქმნა: 1923 წელს — „ზომიერების ლიგა“, რომელიც პროჰიბიციის მომხრე ზომიერთა მოძრაობისაგან განსხვავებით მოითხოვდა ზომიერებას თვით მშრალი კანონის გატარებაში. 1926 წელს — „პროჰიბიციის მოწინააღმდეგეთა ასოციაცია“, რომელმაც ახალ ზომიერებთან შეკრა კავშირი. 1926 წლისთვის მასაჩუსეტისის ანტიპროჰიბიციურად განწყობილი „კონსტიტუციური თავისუფლების ლიგა“ უკვე 720 000 წევრს მოითვლიდა.⁵⁶ საყურადღებო ფაქტია, რომ პროჰიბიციის წინააღმდეგ გამოვიდა ამერიკის შრომის ფედერაციაც. ბოლოს და ბოლოს, პროჰიბიციის მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, ქალებმაც კი დაყარეს ფარ-ხმალი და 1927 წელს „ვულსტედის კან-

ონის მოდიფიცირების ქალთა ასოციაცია“ გარდაიქმნა „მე-18 შეს-
ნორების გაუქმების ქალთა კომიტეტად“. ყოველი ზემოხსენებული
ორგანიზაცია მეტ-ნაკლები აქტიურობით აღნიშნავდა სწორედ
პიროვნებისა და შტატების უფლებათა შეზღუდვის მომენტს.

რაც შეეხება თვით შტატებს, მათი მესვეურნი არა მარტო
დეკლარაციებით, არამედ თავიანთი უშუალო მოქმედებითაც
ხშირად პირწმინდად უარყოფდნენ პროჰიბიციას. ჯერ კიდევ 1922
წელს უილიამ ჰარდინგი თავის მიმართვაში კონგრესისადმი აღნიშ-
ნავდა არადამაკმაყოფილებელ თანამშრომლობას ფედერალური
და შტატების მთავრობებს შორის და მშრალი კანონის ცხოვრება-
ში უკეთ გატარებისათვის მოითხოვდა შტატების გუბერნატორთა
და ფედერალურ მოხელეთა ერთიანი კონფერენციის ჩატარებას
ამ საკითხზე. „მაგრამ ნირნამხდარი პრეზიდენტის ცდებს მნიშ-
ვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ბუნებრივია, პურიტანიზმის აპოლოგეტი კულიჯი მთელი სუ-
ლითა და გულით პროჰიბიციის მომხრე იყო და ძალას არ იშურებდა
მისი გამარჯვებისათვის. 1923 წელს, თავის პირველ მიმართვში
კონგრესისადმი, მან საკმაოდ რიხიანად დაიწყო — „პროჰიბიცი-
ური შესწორება კონგრესისა და პრეზიდენტისაგან მოითხოვს შეს-
აფერისი ზომების მიღებას კანონის დარღვევების აღსაკვეთად,
ჩემი ვალთა ასეთი ზომების მიღება“. ამასთან დაკავშირებით ის
მოითხოვდა შტატების და ადგილობრივი ხელისუფლების უფრო
აქტიურ თანამშრომლობას ფედერალურ მთავრობასთან.⁵⁷ მაგრამ
კულიჯის ეს მოთხოვნა რჩებოდა ხმად მალაღებლისა უდაბნოსა
შინა, რადგანაც ყოველი მომდევნო წლის მიმართვაში ის იძულე-
ბული იყო, კვლავ და კვლავ აღენიშნა ძალზე არადამაკმაყოფილე-
ბელი მდგომარეობა პროჰიბიციის საკითხში და მოენოდებინა
შტატებისადმი უფრო აქტიურად ეთანამშრომლათ ფედერალურ
მთავრობასთან. მაგალითად, 1925 წელს მოითხოვდა რა ფედერ-
ალური ორგანოების, კერძოდ, კი ფინანსთა და იუსტიციის სამინ-
ისტროების უფრო აქტიურ მოქმედებას და მიუთითებდა რა ფედ-
ერალური ხელისუფლების დიდ ჯაფაზე ამ საკითხში, დასძენდა,
რომ „კონსტიტუცია ამავე დროს ასეთსავე მოვალეობას აკისრებს
შტატებს. ჩვენ გვჭირდება მათი აქტიური და ენერგიული კოოპ-
ერაცია, მათი პოლიციის ფხიზელი მოქმედება და იურისდიქციის
დახმარება კანონის განმტკიცებისათვის“.⁵⁸

1926 წელს შტატების სევერენიტეტის ცნობილი დამცველი, პრეზიდენტი კულიჯი, იძულებული იყო აღენიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი, რომელნიც ოდითგანვე ყველაზე მეტად იყვნენ პასუხისმგებელნი ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებული კანონების გატარებისათვის, ამჯერად ყოველნაირად ცდილობენ ამ მოვალეობის თავიდან აცილებას და კანონის მთელი სიმძიმის ფედერალურ სააგენტოებზე გადაბარებას. პრეზიდენტი კვლავაც ნიშნისმოგებით აცხადებდა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, შტატები ვალდებული იყვნენ ფედერალურ მთავრობასთან ერთად გაენაწილებინათ კანონის ცხოვრებაში გატარების მოვალეობა.⁵⁹

1927 წლის მიმართვაში თითქმის იგივე გამეორდა. მიუთითებდა რა ფედერალური ორგანოების ყოველნაირ მეცადინეობაზე პროჰიბიციის საკითხში, პრეზიდენტი სინანულით აღნიშნავდა, რომ ასეთივე სიფხიზლე და მონდომება რომ ყოფილიყო ადგილობრივი ხელისუფლების მხრივაც, მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.⁶⁰ თავის უკანასკნელ მიმართვაში კონგრესისადმი წარმატებაზე ხელჩაქნეული კულიჯი კვლავ ნაცნობ სიუჟეტს შეეხო, ისევ გაიხსენა კონსტიტუცია და შტატების მოვალეობა კანონისადმი ხელშეწყობის საქმეში.⁶¹ ვგონებ, დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება კულიჯის ასეთი სისტემატური და ერთფეროვანი მოთხოვნების, ხოლო ზოგჯერ კი ლამის მუდარის ახსნას. შტატები ოდნავ მაინც რომ გვერდში ამოდგომოდნენ ფედერალურ მთავრობას, პრეზიდენტს არ დასჭირდებოდა ყოველ წელს ასეთი დამამცირებელი ხვენწა-მუდარის გამეორება.

მშრალი კანონისადმი შტატების დამოკიდებულების ძალზე ავტორიტეტულ ანალიზს იძლევა ე.წ. ვიკერშამის კომისია, რომელიც ფედერალურმა მთავრობამ სწორედ მშრალ კანონთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად ჩამოაყალიბა. კომისიის დასკვნაში წერია — „მე-18 შესწორების მიღების დროისათვის უკვე 33 შტატში მშრალი კანონი იყო. შესწორების მიღების შემდეგ კიდევ 12 შტატმა მიიღო შესაბამისი კანონი, ხოლო 18 შტატმა გააძლიერა ან შეასწორა და მიუსადაგა თავისი კანონები ფედერალურ კანონს. მრავალ შტატში კანონი ზოგადფეროვნულ პროჰიბიციამდე საკმაოდ ეფექტიანად ტარდებოდა. ამ შტატებში პირველ ხანებში შეიმჩნეოდა აქტიური თანამშრომლობა ფედერალურ მთავრობას-

თან. მაგრამ ბოლო წლებში გამოიკვეთა მზარდი ტენდენცია, რომ ის შტატებიც კი, სადაც საკუთარი მშრალი კანონი აქვთ, ცდილობენ ფედერალურ მთავრობას გადააბარონ კანონის ცხოვრებაში გატარების მთელი სიმძიმე.⁶²

შტატების სუვერენიტეტის პრობლემა სულ უფრო მწვავედ იკვეთებოდა, მით უმეტეს, რომ როგორც შტატების ხელისუფალთ, ასევე რიგით მოქალაქეებს აღიზიანებდათ ფედერალური აგენტების, ანუ მათთვის სრულიად უცხო ხალხის თავნება საქციელი. როგორც გვახსოვს, ამერიკელების უმეტესობას ისედაც არ ეხატებოდა გულზე ფედერალური მთავრობის ჩარევა გაცილებით უფრო ნაკლებად მტკივნეულ საკითხებშიც კი. ზოგიერთ შტატში ფედერალური თანხების ხარჯზე მოინდომეს ეკონომიის განხორციელება, რად დაეხარჯათ შტატების ფული პროპიბიციისათვის ბრძოლაზე, როცა ეს ამოცანა ფედერალურ ორგანიზაციებსაც ეხებოდა. ზოგიერთ შტატში კი საერთოდ გაუქმდა შტატის მშრალი კანონი: 1923 წელს — ნიუ-იორკში, 1926 წელს — ნევადასა და მონტანაში, 1929 წელს — ვისკონსინში, 1930 წელს — მასაჩუსეტსში, 1931 წელს — ილინოისსა და როდ აილენდში.

კომისიამ მხოლოდ რამდენიმე შტატში დააფიქსირა პროპიბიციის სპეციალური განყოფილება, ყველა დანარჩენში ამ საქმეს ჩვეულებრივი პოლიციის ძალები აკონტროლებდნენ, რაც სულაც არ უწყობდა ხელს პროპიბიციის ეფექტიან განხორციელებას.⁶³ ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო ინდუსტრიულ შტატებში, ვინაიდან დიდი ქალაქები აბსოლუტურად ვერ გუობდნენ მშრალ კანონს. მაგალითად, ჩიკაგოელ პოლიციელთა მნიშვნელოვან ნაწილს ირლანდიური და პოლონური წარმოშობის ამერიკელები შეადგენდნენ და მათ საერთოდ არ ესმოდათ, თუ რატომ იყო ვისკის ან ნებისმიერი სხვა ალკოჰოლური სასმელის სმა დანაშაული. ძალზე ხშირად ისინი უფრო თანაუგრძობდნენ, ვიდრე კიცხავდნენ ნასვამ კაცს და, ალბათ, არასამუშაო საათებში თვითონაც სიამოვნებით არღვევდნენ მშრალ კანონს. სავარაუდოა, რომ არც სხვა ეროვნული წარმოშობის პოლიციელები იქცეოდნენ განსხვავებულად.

პროპიბიციის იგნორირების გარდა ხდებოდა მისი პირდაპირი საბოტაჟიც ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ. ზოგჯერ ისინი მფარველობდნენ კიდევაც კანონის დამრღვევთ. კომისიამ აღნიშნა

მერილენდის (სადაც არ იყო შტატის საკუთარი მშრალი კანონი) ტრაგიკომიკური მაგალითი. ამ შტატში არც გუბერნატორი და არც სხვა უმაღლესი მოხელენი არ მალაედნენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას კანონისადმი და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მერილენდში ბუტლეგერების ან კანონის სხვა დამრღვევთა გამოვლენისას, მათ კი არ აპატიმრებდნენ, არამედ ფედერალურ აგენტებს ელოდებოდნენ, ვინაიდან არ ჰქონდათ იმის იმედი, რომ შტატის ხელისუფალნი დამნაშავეთ სათანადოდ დასჯიდნენ. კანონის დარღვევის ფაქტებს ადგილობრივი პოლიცია პირდაპირ აშშ-ის იუსტიციის მინისტრს მოახსენებდა. მისურის შტატში კანონის დამრღვევთა უმეტესობა მათი გამოაშკარავების შემთხვევაშიც ფაქტობრივად დაუსჯელი რჩებიდა. ხოლო ის ერთეულები, ვინც დააკავეს, 60 დღეზე დიდხანს არ ყოფილან პატიმრობაში.

აღნიშნულმა კონსტიტუციურმა კონფლიქტმა იმდენად ფართო მასშტაბები მიიღო, რომ მას ვერც უდიდესი პოლიტიკური პარტიები განერიდნენ. მართალია, რესპუბლიკური პარტია მტკიცედ იდგა პროჰიბიციონისტურ პოზიციებზე, მაგრამ სულ უფრო გრძნობდა ოპოზიციის გაძლიერებას ამ საკითხში. რაც შეეხება დემოკრატიულ პარტიას, აქ საკმაოდ უჩვეულო ვითარება შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ 1928 წლის საარჩევნი პლატფორმაში დემოკრატები მტკიცე პროჰიბიციონისტებად აცხადებდნენ თავს, პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე, ნიუ-იორკის ყოფილი გუბერნატორი ალფრედ სმიტი აშკარად „სველ“ იდეებს ქადაგებდა.

სხვა დროს პარტია ასე ადვილად არ შეეგუებოდა თავისი კანდიდატის უდისციპლინო საქციელს, მაგრამ ოციან წლებში დემოკრატიულ პარტიაში მოგვიანებით, უკვე 1930-იან წლებში გამოვლენილი მეტამორფოზები ისახებოდა და მასში საკმაოდ სპეციფიკური ვითარება იყო. თუ მანამდე დემოკრატიული პარტიის მთავარი დასაყრდენი „დიკსის ლენდი,“ ანუ სამხრეთის შტატები და სხვა აგრარული რაიონები იყო, 1920-იან წლებში პარტიამ ყურადღების გამახვილება დიდი ქალაქების ამომრჩეველთა მხარდაჭერაზე დაიწყო და ამ ასპექტში პროჰიბიციასაც თავისი ადგილი ეკავა. გარდა იმისა, რომ ეს ქალაქები ტრადიციულად უარყოფითად ეკიდებოდნენ მშრალ კანონს, ისინი ახალი ემიგრანტების კონცენტრაციის ცენტრებად იქცა, სადაც კათოლიკეებთან ერთად სხვა ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფებიც იყვნენ, მათ შორის აღმოსავ-

ლეთ ევროპიდან, და ისინიც აშკარად „სველ“ განწყობილებებს ავლენდნენ. ამ კატეგორიის ამომრჩეველთა მიზიდვის მიზნით დემოკრატიული პარტია თითქოსდა არ ამახვილებდა ყურადღებას ალ სმიტის „პარტიზანულ“ მოქმედებაზე. ალ სმიტი კი, რომელიც ირლანდიური წარმოშობის კათოლიკე იყო, პირდაპირ აცხადებდა, „კანონის ფუნქციას არ წარმოადგენს საზოგადოების მორალური დონის ამალღება — ეს ოჯახისა და ეკლესიის ფუნქციაა“.⁶⁴ სმიტი მოითხოვდა, რომ ვულსტედის კანონისაგან გასხვავებით, ყოველ შტატს თვითონ დაენესებინა სასმელში დასაშვები ალკოჰოლის რაოდენობა. გარდა ამისა, შტატების რეფერენდუმების შესაბამისად, ის დასაშვებად მიიჩნევდა გარკვეული რაოდენობის ალკოჰოლის იმპორტს, წარმოებასა და გაყიდვას ადგილობრივ ხელისუფალთა კონტროლით. თუმცა, ითვალისწინებდა რა ანტისალუნურ განწყობილებებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპირტიანი სასმელების გაყიდვის წინააღმდეგი იყო.

მაგრამ ალფრედ სმიტს, რომელიც უდავოდ ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო, ვერ უშველა ანტიპროჰიბიციონისტურმა რევერანსებმა და 1928 წლის არჩევნებში დემოკრატები საშინლად დამარცხდნენ.

ბუნებრივია, ვერც ახალი პრეზიდენტი გაექცეოდა პროჰიბიციის პრობლემას, ხოლო, ვინაიდან ჰუვერს ყოველ საქმეში საფუძვლიანი და, შეიძლება ითქვას, ობიექტური, მეცნიერული მიდგომა უყვარდა, 1929 წლის მაისში მისი ინიციატივით ზემოთ აღნიშნული სპეციალური კომისია შეიქმნა.⁶⁵ კომისიას უნდა შეესწავლა პროჰიბიციის მდგომარეობა შეერთებულ შტატებში, შეესწავლა კანონის ცხოვრებაში გატარების სირთულის მიზეზები და შეემუშაებინა რეკომენდაციები ამ კანონის სასურველობის ან, პირიქით, არასასურველობის თაობაზე. კომისიაში თერთმეტი წევრი შედიოდა და მისი შემადგენლობა ჰუვერის მთავრობის მეტად სერიოზული განზრახვის მაჩვენებელი იყო. თავმჯდომარე იყო შეერთებული შტატების ყოფილი იუსტიციის მინისტრი ჯორჯ უ. ვიკერშემი. კომისიის სხვა წევრებიც მეტად ავტორიტეტული პირები იყვნენ:

1. ნიუტონ დ. ბეიკერი — სამხედრო მინისტრი ვილსონის ადმინისტრაციაში, ხოლო აღნიშნული დროისთვის ეროვნული კრიმინალური კომისიის თავმჯდომარე.

2. როსკო პაუნდი — ჰარვარდის იურიდიული სკოლის დეკანი.

3. ფრენკ ჯ. დოეში — ჩიკაგოს კრიმინალური კომისიის ვიცე-პრეზიდენტი.

4. უილიამ ი. გრაბო — ალაბამას შტატის ჩრდილოეთის ოლქის ფედერალური მოსამართლე.

5. მონტი მ. ლემანი — ტულანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელი, ლუიზიანის შტატის მოსამართლეთა ასოციაციის პრეზიდენტი.

6. უილიამ ს. კენონი — შეერთებული შტატების გამსვლელი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, სენატორი აიოვას შტატიდან.

7. კენეგ მაკინტოში — ვაშინგტონის შტატის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი უფროსი ექსპერტი და შტატის უმაღლესი მოსამართლე.

8. პაულ ჯ. მაკკორმიკი — კალიფორნიის სამხრეთი ოლქის ფედერალური საოლქო მოსამართლე და სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის იურიდიული ინსტრუქტორი.

9. ჰენრი უ. ანდერსონი — რიჩმონდიდან, შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრის ყოფილი სპეციალური მოადგილე.

10. ადა ლ. კობსტოკი — კემბრიჯიდან, რედკლიფის კოლეჯის პრეზიდენტი და მინესოტას უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი.

ეს მეტად წარმომადგენლობითი კომისია, რომელშიაც აკადემიური წრეებიდან ამდენი წარმომადგენელი იყო, 18 თვეს მუშაობდა. კომისიის წევრები ესაუბრნენ ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენელს როგორც „მშრალებს“, ასევე „სველებს“, შეისწავლეს ყოველნაირი მოხსენებები და დადგენილებანი პროჰიბიციის შესახებ, გააანალიზეს ყველა წინამორბედი კომისიის და კომიტეტის საქმიანობა, დასკვნები და ოფიციალური დოკუმენტები. კომისიამ შეისწავლა სხვადასხვა ოფიციალურ პირთა, გუბერნატორთა, მოსამართლეთა, პოლიციის შეფებისა და სხვათა მოსაზრებანი და მემორანდუმები, კონგრესის პროჰიბიციის შემსწავლელი კომიტეტის ოქმები, პროჰიბიციის თემასთან დაკავშირებული სხვა სახის ლიტერატურა და ანტიალკოჰოლური ბრძოლის გამოცდილება სხვადასხვა ქვეყანაში. ერთი სიტყვით, კომისიამ მართლაც ტიტანური სამუშაო გასწია და მხოლოდ 1931 წლის 15 იანვარს კომი-

სიის თავმჯდომარემ პრეზიდენტს გაუგზავნა სპეციალური პაკეტი კომისიის ნევრთა დასკვნებით.

ვიკერშამის კომისიის ანგარიში პროპიბიციის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირველწყაროდ მიგვაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის კვლევის მასალები აშკარად მიუთითებდა კანონის უარყოფით გავლენაზე, კომისია კანონის შენარჩუნების რეკომენდაციას იძლეოდა. მას მიაჩნდა, რომ მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა საორგანიზაციო მომენტების გადახალისებისა და დახვეწის მეშვეობით, პროპიბიციაზე დახარჯული თანხების, სასამართლოების ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდის საშუალებით და ა.შ. კომისია დიდ იმედებს ამყარებდა შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების უფრო აქტიურ და ეფექტურ მოქმედებაზე. მაგრამ, როგორც ვიცით, სწორედ ეს იყო პროპიბიციის აქილევსის ქუსლი და, თუ ფედერალურ დონეზე, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა კანონს რეალური ძალა გააჩნდა, მრავალ შტატში, როგორც დავინახეთ, კანონი ფაქტობრივად არ მუშაობდა.

კომისიის ნევრები თავიანთ პირად შენიშვნებსა და რეკომენდაციებში ნაწილობრივ ეთანხმებოდნენ ამ შეფასებას. მაგალითად, პენრი ანდერსონი პირდაპირ წერდა: „ამერიკელები გრძნობდნენ, რომ აღნიშნულმა კანონმა ძალზე შორს შეტოვა მათ პირად ცხოვრებაში ჩარევით . . . აღნიშნული შესწორება ძალზე მკაცრი მანდატია, რომელიც აკონტროლებს ორივეს, კონგრესსა და შტატებსაც. ეს პირველი შემთხვევაა ჩვენს ისტორიაში, როდესაც კონსტიტუციური გადაწყვეტილების ძალით ფედერალური მთავრობის პოლიციის კონტროლი შეეხო ყველა პიროვნებას და ყველა სახლს.

შესწორებამ გაზარდა შტატებისა და ხალხის ტრადიციული ეჭვიანობა ფედერალური მთავრობის მიმართ, მათი თვითმმართველობის, პირადი ჩვევებისა და მოქმედების ხელყოფის ასპექტში. ამის შედეგად ქვეყნის 8 შტატში, რომელშიც მოსახლეობის მეოთხედი ცხოვრობს, კანონი შტატების დონეზე აღარ ფუნქციონირებს. სხვა შტატებშიც, ალბათ, იგივეს აპირებენ. მრავალი შტატი აბსოლუტურად გულგრილად ეკიდება კანონის შესრულებას, ხოლო პროპიბიციის ყველა ფედერალური დირექტორი ან პროპიბიციის კომისარი დარწმუნებულია და ეთანხმება ამ (ვიკერშემის — ვ. კ.)

კომისიის დასკვნებს, რომ ეროვნული პროპიბიცი ვერ გატარდება შტატებთან აქტიური თანამშრომლობის გარეშე. ეს კი ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ კანონი საერთოდ ვერ გატარდება.“⁶⁶

ეროვნული კრიმინალური კომისიის თავმჯდომარემ ნიუტონ ბეიკერმა, მართალია, ხელი მოაწერა კომისიის ერთობლივ გადაწყვეტილებას, მაგრამ თავის პირად შენიშვნებში ეროვნული პროპიბიციის წინააღმდეგ გამოვიდა. მას მიაჩნდა, რომ მშრალი კანონის დაცვის ფუნქცია შტატების ხელში უნდა გადასულიყო.⁶⁷

ეროვნული პროპიბიციისადმი დადებითად განწყობილი რედკლიფის კოლეჯის პრეზიდენტი ქალბატონი ადა კიმსტოკიც კი თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო მშრალი კანონის ცხოვრებაში გატარება მოსახლეობის გაცილებით უფრო აქტიური მხარდაჭერის გარეშე.⁶⁸

ალაბამელი მოსამართლე უილიამ გრაბიც (ნუ დაგვაყინებდა, რომ სწორედ სამხრეთს შტატების პატარა ქალაქებში მოსწონდათ ყველაზე უფრო მშრალი კანონი) ასევე ეთანხმებოდა კომისიის რეკომენდაციებს, თუმცა მიაჩნდა, რომ ჯერ კიდევ ნაადრევი იყო კანონის რევიზია და მას, როგორც ფართო მასშტაბის ექსპერიმენტს, ჯერ კიდევ უნდა გაეელო გამოსაცდელი ვადა. ემხრობოდა რა კანონის ზოგადეროვნულ ხასიათს, იგი აღნიშნავდა, რომ, თუ კანონის კონტროლის უფლება შტატებს დაუბრუნდებოდა, იქ კვლავ აღდგებოდა სალუნები და მათგან გამომდინარე ყოველგვარი უბედურებანი. მაგრამ გრაბის შენიშვნებშიც ჩანდა, რომ მასაც სწორედ კანონისადმი შტატების დამოკიდებულება მიაჩნდა მთავარ პრობლემად.⁶⁹

სენატორი ს. კინიონი, შეიძლება ითქვას, ტრაგიკულ განცხადებას აკეთებდა. „მე არ მინდა დავუშვა ის აზრი, რომ ფედერალურ მთავრობას არ ძალუძს თავისი კანონების ცხოვრებაში გატარება შტატების დახმარების გარეშე, მაგრამ უკვე აღარ მეპარება ეჭვი, რომ მას არ შეუძლია მშრალი კანონის სრულფასოვნად გატარება ასეთი დახმარების გარეშე. . . “⁷⁰ „ეს როგორი კავშირია? — კითხულობდა კინიონი, — როდესაც იგი არ ავალდებულებს შტატების ხელისუფალთ დაეხმარონ ფედერალურ მთავრობას და ყოველივე ეს მაშინ, როცა სწორედ ფედერალურმა მთავრობამ განაპირობა შტატების არსებობა, მათი მმართველობის რესპუბლიკური ფორმის გარანტია და სწორედ ფედერალური მთავრობა იცავს მათ გა-

რეშე აგრესიისაგან. ეს ძალზე სახიფათო დოქტრინაა, როდესაც შტატები არ არიან დაინტერესებული ფედერალური მთავრობის ინტერესების დაცვით.⁷¹

კომისიის თითქმის ყველა სხვა წევრიც, ამა თუ იმ ფორმით, ყურადღებას სწორედ შტატების პოზიციაზე ამახვილებდა. და ბოლოს, თვით კომისიის თავმჯდომარე ჯორჯ ვიკერშამიც თავის წერილში პრეზიდენტისადმი აშკარად აცხადებდა — „მე სრულიად ვეთანხმები კომისიის ანგარიშში გამოთქმულ აზრს, რომ პროჰიბიცია ვერ დამკვიდრდება, თუ არ იქნება შტატების თანამშრომლობა და საზოგადოებრივი აზრის აქტიური მხარდაჭერა“.⁷²

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ პროჰიბიციის შედეგად გამოწვეულმა კონფლიქტმა განსაკუთრებით გაამწვავა შტატებისა და ფედერალური ხელისუფლების ურთიერთობა. ჩვენ სწორედ ეს კონფლიქტი მიგვაჩნია პროჰიბიციის გაუქმების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად.

ამასობაში ამერიკაში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. სავარაუდო იყო, რომ კრიზისის პერიოდში, როდესაც ბევრს არამც თუ ვისკი, არამედ ლუკმა პური ენატრებოდა, პროჰიბიცია აღარავის გაახსენდებოდა, მაგრამ 1932 წლის საარჩევნო კამპანიაში ერთი შეხედვით მოულოდნელი ტენდენცია გამოიკვეთა. როგორც რესპუბლიკური, ასევე დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო კონვენტებზე ერთ-ერთი უმთავრესი და, შეიძლება ითქვას, ცენტრალური სწორედ პროჰიბიციის საკითხი აღმოჩნდა. ორივე პარტია ცდილობდა საზოგადოების ყურადღება ნაკლებად მნიშვნელოვან და შედარებით ადვილად გადასაწყვეტ პრობლემაზე გაემახვილებინა, მით უმეტეს, რომ მშრალი კანონის გაუქმებას არ სჭირდებოდა რაიმე სერიოზული ცვლილებანი ქვეყნის მართვის სტრუქტურაში მაშინ, როდესაც კრიზისის მიერ წამოჭრილი პრობლემები სახელმწიფოში დამკვიდრებული ინდივიდუალისტური კონცეფციების სერიოზულ გადახედვას მოითხოვდა.

მეორე მხრივ, პროჰიბიცია შეეხო ამერიკის ცხოვრების ისეთ ფუძემდებლურ ნაწილებს, როგორცაა ადამიანის უფლებები და შტატების სუვერენიტეტი, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებოდა მეორეხარისხოვან პრობლემად. საქმე ეხებოდა ამერიკელთა დამოკიდებულებას საკუთარი კონსტიტუციისადმი და თუ საქმეს ამ კუთხითაც შევხედავთ, მეტისმეტი ყურადღება

მშრალი კანონისადმი შეიძლება აღარ მოგვეჩვენოს გადაჭარბებულად.

თავის საარჩევნო პლატფორმაში დემოკრატებმა ამჯერად უკვე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარყვეს ზოგადეროვნული მშრალი კანონი. მათი აზრით, ეს პრობლემა ყოველ შტატს თავად უნდა გადაეწყვიტა.⁷³

თუმცა მშრალი კანონის რესპუბლიკელთა კრიტიკა ერთი ტონალობით დაბლა ჟღერდა, მაგრამ ვერც ისინი გაექცნენ რეალობას და იძულებული იყვნენ ელიარებინათ ზოგადეროვნული პროპიბიციის კრახი. ისინი კატეგორიულად ილაშქრებდნენ სალუნების წინააღმდეგ და აგრეთვე დახმარებას ჰპირდებოდნენ იმ შტატებს, რომელნიც მშრალ კანონს შეინარჩუნებდნენ.⁷⁴

1932 წლის 11 აგვისტოს თავის საპროგრამო გამოსვლაში ჰუვერმა დიდი ადგილი დაუთმო პროპიბიციას (საინტერესოა, რომ უმუშევრობის შესახებ მან მხოლოდ პროპიბიციის თემის შემდეგ დაიწყო საუბარი). მას არ დაუმალავს თავისი კეთილგანწყობა მშრალი კანონისადმი და აღნიშნა, რომ, როგორც პრეზიდენტი, იგი ყოველ ძალას ხმარობს კანონის ნორმალური მოქმედებისათვის. მას მე-18 შესწორების უდიდეს მიღწევად მიაჩნდა ისეთი სოციალური უბედურების ამოძიკვა, როგორც სალუნები იყო. მაგრამ ჰუვერიც კი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ კანონმა უფრო მეტი ბოროტება მოიტანა, ვიდრე სიკეთე და რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აშკარად დაუპირისპირდა მას. ხოლო, „როდესაც კანონს უმრავლესობა ეწინააღმდეგება, ეს გადაგვარებასა და დანაშაულს შობს“.

ჰუვერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროპიბიციის ნეგატიური გავლენა მარტო ამ კანონის უარყოფაში კი არ იყო, არამედ იგი შობდა დაუმორჩილებლობას ყველა სხვა კანონისადმიც და თვით კონსტიტუციასაც ემუქრებოდა — „მე ვერ შევეგუები ასეთი მდგომარეობის არსებობას“ — განცხდა მან. ამავე დროს იგი, ისევე, როგორც თავის დროზე ჰარდინგი, შემდეგ კი კულიჯი, ამჯერად უკვე საბოლოოდ ასკენიდა, რომ კანონის უსუსურობის მთავარი მიზეზი შტატების და ადგილობრივი ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულება იყო. ამიტომაც, ჰუვერის აზრით, ამ კანონისადმი დამოკიდებულების ინიციატივა და პასუხისმგებლობა შტატებსა და ადგილობრივ ხელისუფალთ უნდა დაბრუნებოდათ. ამავე დროს,

პუვერმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფედერალური ხელისუფლება ყოველ ძალას იხმარდა, რათა აღარ აღორძინებულიყო სალუნების დანაშაულებრივი სისტემა და ამ ასპექტში ყოველმხრივ დაიცავდა ცალკეული შტატების ინტერესებს.⁷⁴

როგორც ვხედავთ, ორივე ნამყვანმა პარტიამ მშრალი კანონის ყოფნა-არყოფნის საკითხი შტატებს გადააბარა. ეს კი ზოგადეროვნული პროპიბიციისადმი სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა და თუმცა მომავალ არჩევნებს მშრალი კანონისათვის უკვე თითქმის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაინც საინტერესო იყო, თუ ვინ იქნებოდა კონკრეტულად მისი მესაფლავე. ესენი დემოკრატები აღმოჩნდნენ, რომელთაც უდიდესი უმრავლესობით გაიმარჯვეს 1932 წლის არჩევნებში და პუვერის ადგილი ფრანკლინ რუზველტმა დაიკავა.

სწორედ დემოკრატებმა შეიტანეს 1933 წლის თებერვალში კონგრესში განსახილველად კონსტიტუციის 21-ე შესწორების პროექტი, რომელსაც უნდა გაეუქმებინა მე-18 შესწორება, ანუ მშრალი კანონი. ამჯერად „მშრალებმა“ სიმბოლური წინააღმდეგობის შემდეგ სასწრაფოდ გამოფინეს თეთრი ბაიარალები და კონგრესმა თითქმის ერთხმად მიიღო 21-ე შესწორება. როგორც აღვნიშნეთ, კონსტიტუციის შესწორების მისაღებად კონგრესის თანხმობის გარდა კიდევ 36 შტატის საკანონმდებლო ორგანოს თანხმობა იყო საჭირო, რასაც, მიუხედავად ამერიკელთა მოძალებული ნყურვილისა, მაინც სჭირდებოდა გარკვეული დრო. მაგრამ რუზველტი გრძნობდა, რომ მისი გალიზიანებული თანამემამულეების მოთმინების ფიალა უკვე კარგა ხანია ავსებულობდა და საქმეს მხოლოდ ნამდვილი ფიალების ნამდვილი სასმელებით ავსება თუ უშველიდა. ამიტომაც, ზედმეტი დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, 1933 წლის 13 მარტს რუზველტი კონგრესში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდა, რომლის მიხედვითაც ვულსტედის აქტში, ამერიკაში დასაშვებ სასმელებში ალკოჰოლის ნორმა ნახევარი პროცენტი, 3,2 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო.

აღბათ, გასაგებია, რომ კონგრესში ამ წინადადებას ოვაციებით შეხედნენ და, როდესაც ნირნამხდარი პროპიბიციონისტებიდან ერთერთმა მაინც გაბედა ხმის ამოღება, ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენელმა ჯონ ბოილანმა აღშფოთება ველარ დამალა და მუქარით უპასუხა: „უკვე 12 წელია, რაც ერთი და იგივე ზღაპარს გვიყვებით. მე

თავიდანვე სიტყვა- სიტყვით ვიცი, რასაც გვეტყვით. დაინყება ქადაგება დაბეჩავებულ დედებზე, თავაშვებულ ბიჭებზე, გზასაცდენილ გოგონებზე, გზისპირა ფუნდუკებზე და ა. შ.". დანარჩენი, ჩვეულებრივ, საკმაოდ დინჯი კონგრესმენები კი ერთხმად გაიძახოდნენ — „ხმა მიეცით. ხმა მიეცით, ჩვენ ლუდი გვინდა, ჩვენ ლუდი გვინდა“. 22 მარტს ეს შესწორება ვულსტედის აქტში ძალაში შევიდა.

რაც შეეხება თვით 21-ე შესწორებას, ანუ მე-18 შესწორების გაუქმებას, 1933 წლის 5 დეკემბერს საბოლოოდ იქნა მიღებული აუცილებელი 36 შტატის თანხმობა. ისტორიული 36-ე შტატი იუტა აღმოჩნდა. ამრიგად, მშრალი კანონი, რომელიც, ბევრის აზრით, ყველაზე დიდი სოციალური ექსპერიმენტი იყო მსოფლიოში და რომელმაც ამდენი აურზაური გამოიწვია ამერიკულ საზოგადოებაში საბოლოოდ გაუქმდა. კანონის მოყვარულმა ამერიკელებმა თამამად შეაღეს რესტორნების კარები და გულარხინად დაუკვეთეს ესოდენ ნანატრი კანონიერი ბურბონ ვისკი. სავარაუდოა, რომ ყველაზე მეტს პოლიციელები სვამდნენ, რომლებიც მანამდე იძულებულნი იყვნენ მშრალი კანონის ერთგული მსახურები განესახიერებინათ. თუმცა, ვინ იცის, ზოგიერთი ალბათ ბუტლეგერებისაგან მიღებულ ქრთამებსაც მისტიროდა.

დიდი პროსპერიტის დასასრული და დიდი ღეპრესიის დასაწყისი

I

პროსპერიტის არქიტექტორის ბრძოლა ამერიკის ეკონომიკის გადარჩენისათვის

1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის აყვავების პიკზე ჩატარდა, როდესაც ერთმანეთს ნიუ-იორკის გუბერნატორი ალფრედ სმიტი და ვაჭრობის მინისტრი ჰერბერტ ჰუვერი დაუპირისპირდნენ.

ნინა თავებში ჩვენ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ ჰუვერის საქმიანობაზე ვაჭრობის მინისტრის პოსტზე და ამჯერად გვინდა მხოლოდ მის მიერ დაკავებული თანამდებობების ნუსხა წარმოვადგინოთ:

- 1917 წელს საკვების კომიტეტის თავმჯდომარე ეროვნული თავდაცვის საბჭოში.
- 1917-20 წწ. — აშშ-ის საკვების ადმინისტრატორი.
- 1917-19 წწ. — აშშ-ის ხორბლის კორპორაციის თავმჯდომარე.
- 1917-20 წწ. — აშშ-ის ომის პერიოდის ვაჭრობის საბჭოს წევრი.
- 1918-19 წწ. — აშშ-ის შაქრის წარმოების საბჭოს თავმჯდომარე.
- 1918-19 წწ. — აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩეველთა კომიტეტის წევრი პარიზის საზავო მოლაპარაკებებზე.
- 1918-20 წწ. — ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის გენერალური დირექტორი.
- 1919-20 წწ. — პრეზიდენტ ვილსონის მეორე ინდუსტრიული კონფერენციის ვიცე-თავმჯდომარე.
- 1921 წ. — შეიარაღების შეზღუდვის კონფერენციაზე ვაშინგტონში მრჩეველთა კომიტეტის წევრი.
- 1921-22 წწ. — აღმასრულებელი დეპარტამენტის ორგანიზების კაბინეტის კომიტეტის წევრი.
- 1921 წ. — პროფესიული განათლების ფედერალური საბჭოს წევრი.
- 1921 წ. — ნარკოტიკების კონტროლის ფედერალური საბჭოს წევრი.

- 1921-29 წწ. — აშშ-ის ვაჭრობის მინისტრი.
- 1921-28 წწ. — მდინარე კოლორადოს კომისიის თავმჯდომარე.
- 1922 წწ. — რუსეთში შიმშილის მსხვერპლთა დახმარების ადმინისტრაციის დირექტორი (რუსეთსა და უკრაინაში 10 მილიონზე მეტი ადამიანი გადაარჩინეს შიმშილს).
- 1922-25 წწ. — ეროვნული რადიოკონფერენციების თავმჯდომარე.
- 1922-26 წწ. — ავიაციის ყოველწლიური კონფერენციების თავმჯდომარე.
- 1923-29 წწ. — ამერიკის ეროვნული წითელი ჯვრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, პრეზიდენტობისას კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე.
- 1923-28 წწ. — მდინარე რიო გრანდეს კომისიის თავმჯდომარე.
- 1924-28 წწ. — ნავთობის კონსერვაციის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე.
- 1924-28 წწ. — წყლის გამოყენების კოორდინაციის კომიტეტის თავმჯდომარე.
- 1924-28 წწ. — ქუჩებსა და ავტოსტრადებზე უსაფრთხოების ყოველწლიური კონფერენციების თავმჯდომარე.
- 1924-28 წწ. — წმინდა ლოურენსის საწყალოსნო გზის კომისიის თავმჯდომარე.
- 1926 წ. — კაბინეტის მთავრობის რეორგანიზაციის კომიტეტის წევრი.
- 1927 წ. — რადიოსა და ტელეგრაფის საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე.
- 1927 წ. — მისისიპის წყალდიდობის მსხვერპლთა დახმარების დირექტორი.
- 1929 წ. — პან-ამერიკული კავშირის საპატიო პრეზიდენტი.
- 1929 წ. — ჯორჯ ვაშინგტონის 200 წლისთავის იუბილეს თავმჯდომარე.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულ თანამდებობებზე იგი, როგორც ხშირად ხდება, სიმბოლურ ფიგურას კი არ წარმოადგენდა, არამედ მუდამ უაღრესად აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობდა. ჰუვერი 20-ზე მეტი ამერიკული და ამდენივე უცხოური უნივერსიტეტის საპატიო წევრი და დოქტორი იყო. მან უამრავი ჯილდო

და საპატიო წოდება მიიღო ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. როდესაც ჰუვერმა უარი თქვა ბელგიის მეფე ალბერტის ყველა ჯილდოზე, ამ უკანასკნელმა სპეციალურად დაანესა მედალი „ბელგიელი ხალხის მეგობარი“, რომლის ერთადერთი მფლობელიც ჰუვერი გახდა.

ასეთი ბიოგრაფიის პოლიტიკური მოღვაწე რესპუბლიკურ პარტიაში არავენ იყო და, ალბათ, ცოტა ვინმე თუ შეეფერებოდა საპრეზიდენტო თანამდებობას ისე, როგორც ჰუვერი. ჰუვერის კანდიდატურის წამოყენებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კულიჯმა, ყველასათვის მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. რესპუბლიკური პარტიის ბოსებს ჰუვერი მაინცდამაინც არ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ მათ დრო არ დარჩათ მათთვის სასურველი კანდიდატის მოსანახად, მით უმეტეს, რომ ჰუვერის, როგორც მსოფლიო მასშტაბის ფილანტროპის და პროსპერიტის არქიტექტორის უდიდესმა ზოგადეროვნულმა პოპულარობამ მათ არჩევანი არ დაუტოვა. კითხვა მარტივი იყო — ვინ თუ არა ჰუვერი?

დემოკრატიკა კანდიდატი ალფერდ სმიტი ოთხჯერ აირჩიეს ნიუ-იორკის გუბერნატორად, რაც თავისთავად უკვე ბევრის მთქმელი იყო, თანაც მას ორატორული ნიჭიცა და პირადი შარმიც უხვად ჰქონდა, მაგრამ მაშინდელი ამერიკელების თვალში ორი მნიშვნელოვანი ხარვეზი გააჩნდა. ნიუ-იორკის მკვიდრი ალ სმიტი კათოლიკე იყო, არადა მაშინ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას პროტესტანტები წარმოადგენდნენ. მანამდე ამერიკას არ ჰყოლია კათოლიკე პრეზიდენტი და ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ არ იყო მზად ამ სიახლისათვის. თუ გავიხსენებთ იმავე კუ კლუქს კლანის საკმაოდ მრავალრიცხოვან მომხრეთა თვლსაზრისს, ბევრი ამერიკელი უბრალოდ საკმაოდ მტრულად იყო განწყობილი კათოლიკეთა მიმართ. მეორე მიზეზი ის იყო, რომ, თუმცა თვით დემოკრატიული პარტია ჯერ კიდევ მშრალი კანონის ერთგული რჩებოდა, პირადად სმიტი ამკარად „სველი“ იყო. არაკეთილმოსურნენი ალ სმიტს ალკოჰოლ სმიტსაც უწოდებდნენ. თანაც, ამერიკული პროვინციის მრავალ მცხოვრებს, მაინცდამაინც არ მოსწონდა მეგაპოლისი ნიუ-იორკი, რომელიც მათ თვალში კორუფციის, უზნეობის და სკანდალური ცხოვრების წესის სიმბოლო იყო და, შესაბამისად, მის მკვიდრს (ქალაქელ კინტოს), აიოველი

ჰუვერი ერჩია. მაგალითად, ასეთთა რიცხვს ე.წ სამხრეთელი ჰუვერკრატებიც მიეკუთვნებოდნენ, რომელთაც იმდენად მიუღებლად მიაჩნდათ „სველი“ ნიუ-ორკელი სმიტის პერსონა, რომ საკუთარ პარტიასაც უღალატეს და ჰუვერმა უჩვეულოდ ბევრი ხმა დააგროვა ტრადიციულად დემოკრატიულ სამხრეთში.

თუმცა მთავარი მაინც ის იყო, რომ ამერიკელთა დიდი ნაწილი პროსპერიტის წარმატებებს რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიულ კურსს მიაწერდა და სიკეთის მიღმა სიკეთის ძიება არ მიაჩნდა მიზანშეწონილად, მით უმეტეს, რომ დემოკრატიულმა პარტიამ ვერ წარმოადგინა რეალური და დამაჯერებელი ალტერნატივა. ამგვარად, ჰუვერმა უდიდესი უპირატესობით აჯობა დემოკრატ კონკურენტს და 21 391 993 ხმა მიიღო, სმიტმა მხოლოდ კი 15 016 169 ხმა დააგროვა, ანუ თითქმის 6 მილიონი ხმით ნაკლები. სხვათა შორის, მე-20 საუკუნის ამერიკაში ჰუვერი ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელმაც მინისტრის პოსტიდან მიაღწია პრეზიდენტის სავარძელს. პრეზიდენტებად ძირითადად სენატორები ან გუბერნატორები ხდებოდნენ.

ყველაფერი უღრუბლო და, შეიძლება ითქვას, ტრიუმფალურ პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებდა ჰუვერს, რომელიც ამჯერად უკვე ყოველ ამერიკელს პირდებოდა აყვავებას. მაგრამ, როგორც ამბობენ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ამჯერადაც ასე მოხდა.

1928 წლის მაისის ერთ მზიან დღეს გამოჩენილი ამერიკელი მწერალი სინკლერ ლიუისი თავის ცოლთან ერთად მისეირნობდა ნიუ-იორკში, მედისონ ავენიუზე. უცებ მწერალი შეცბა, გაჩერდა და ცოლს უთხრა „ერთ წელიწადში მთელ ქვეყანას ფინანსური პანიკა მოიცავს. მე ვიცი ეს, ნუთუ შენ ვერ ხედავ, ნუთუ არ გცემს მისი სუნნი. მე ვხედავ ფანჯრებიდან გადმომხტარ ადამიანებს სწორედ აქ, ამ ქუჩაზე“. დიდი მწერალი მხოლოდ რამდენიმე თვით შეცდა. გრანდიოზული კრიზისი, რომლის შედეგადაც მედისონის ქუჩის ცათამბჯენებიდან თვითმკვლევლობის მიზნით მართლაც ხტებოდნენ გაკოტრებული ადამიანები, არა 1929 წლის მაისში, არამედ ოქტომბერში დაიწყო, როდესაც ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე მომხდარმა მოვლენებმა საფუძველი დაუდო უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს არა მარტო ამერიკის, არამედ საერთოდ მსოფლიოს ისტორიაში.

25 ოქტომბერს დაიწყო აქციების ფასების მეტად მნიშვნელოვანი კლება და, შესაბამისად, მათი მასობრივი გაყიდვა. კერძოდ კი გაიყიდა 12 894 650 აქცია. 29 ოქტომბერს ბანკირთა უშედეგო მცდელობის შემდეგ შეეჩერებინათ ფასების ვარდნა, გაიყიდა უკვე 16 400 030 აქცია. ამის შედეგად, თუ სექტემბერში აქციების საერთო ღირებულება ბირჟაზე 90 მილიარდს უდრიდა, ნოემბრისათვის მათი ფასი უკვე 26 მილიარდამდე დაეცა.¹

ასეთი მასშტაბის კრახი არ შეიძლება მარტო მსხვილი საბირჟო სპეკულაციის ან თვით ბირჟის მართვის ცუდი კანონმდებლობის შედეგი ყოფილიყო, თუმცა ბირჟის მენეჯმენტს და მუშაობის წესებს მართლაც ბევრი ხარვეზი გააჩნდა. ამ პერიოდში უზარმაზარი თანხები მრეწველობაში კი არ მიედინებოდა, არამედ სწორედ რომ საბირჟო სპეკულაციებში. ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც ვალდებული იყო დაერეგულირებინა მსგავსი პროცესები, ფაქტობრივად, ძალზე პასიური აღმოჩნდა. მისი დეფლაციური ქმედებანი არავის აფერხებდა, ვინაიდან მოგება ბირჟაზე გაცილებით უფრო დიდი იყო, მიუხედავად გაზრდილი საპროცენტო განაკვეთებისა. 1928 წელს ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელის, მეტად გავლენიანი და ჭკვიანი ფინანსისტის, ბენჯამენ სტრონგის სიკვდილის შემდეგ მისმა შედარებით სუსტმა მემკვიდრემ ჯორჯ ჰარისონმა ვერ გაბედა უფრო მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რომელიც შეძლებდა სპეკულაციური ბუმის შეჩერებას.

1929 წელს, როდესაც პუვერი და ფედერალური სარეზერვო საბჭოს უმრავლესობა საბანკო განაკვეთების აწევას მოითხოვდნენ, ამის წინააღმდეგ მელონიც გამოვიდა. იგი აცხადებდა, რომ საბირჟო სპეკულაციები არ იყო დაკავშირებული სარეზერვო სისტემის პოლიტიკასთან, რომ ეს ამ სისტემის კონტროლს არ ექვემდებარებოდა და სპეკულაცია გაიზრდებოდა მიუხედავად განაკვეთების ამაღლებისა. საბოლოოდ, მელონის პოზიციის მიუხედავად, საბჭომ მაინც გაზარდა განაკვეთები. მაგრამ ეს ზრდა არასაკმარისი და ძალზე დაგვიანებულიც აღმოჩნდა, რომ გამოესწორებინა ვითარება.

აღნიშნული მოვლენის ძირითადი მიზეზი წარმოებული პროდუქციის მოხმარებისა და, შესაბამისად, წარმოების დონის მნიშვნელოვანი შემცირება იყო. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ წლის

დასაწყისში გამოიკვეთა, თუმცა საბირჟო სპეკულაციის ეიფორიის ფონზე ცოტა ვინმემ თუ მიაქცია ამას ყურადღება. ასეთ დროს მეტად ცუდი როლი ითამაშა 1929 წლის დასაწყისში როგორც კულიჯის, ასევე მელონის მეტისმეტად ოპტიმისტურმა განცხადებებმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესახებ, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი აქციების ფასების ზრდას და, შესაბამისად, სპეკულაციური ბუმის შემდგომ გაღრმავებას საფონდო ბირჟაზე.²

მელონების ოჯახის ბიოგრაფის, დევიდ კუსკოვის აზრით, 1929 წლის კრიზისის უმთავრესი მიზეზი იყო ქვეყანაში დიდი რაოდენობის ხარჯვადი ფულის არსებობა. იგი თვლიდა, რომ ქვეყნის სიმდიდრის არაადეკვატურად დიდი ნაწილი მდიდართა ხელში იყო, რომლებმაც შესაბამისად ვერ გამოიყენეს ფული და ყოველთვის წარმატებულად ვერ აბანდებდნენ ამ თანხებს. უკეთეს შემთხვევაში, მათ შეეძლოთ ახალი ქარხნის აშენება, რომელიც ახალ პროდუქციას გამოუშვებდა, მაგრამ, ვინაიდან, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მსყიდველობითი უნარი არც ისე დიდი იყო, მათ არ შეეძლოთ ახალი პროდუქციის დიდი რაოდენობით შესყიდვა. ამიტომაც ეს მდიდრები უდიდესი რაოდენობის ფულს საბირჟო სპეკულაციებში ხარჯავდნენ და ქმნიდნენ კრახის წინაპირობას.

როგორც ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ჯონ გელბრაიტი წერდა, სახეზე იყო საქონლის უზარმაზარი ქარბნარმოება და მოსახლეობის შედარებით მცირე მსყიდველობითი უნარი, საბირჟო კრახი კი იყო ამის შედეგი და არა მიზეზი.³

როგორც მრავალი ადამიანი იმ პერიოდში და კრიზისის პიკის დროსაც კი, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰენრი სტიმსონი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ დეპრესია საზღვარგარეთ მომხდარი პანიკის შედეგი იყო.⁴

ნიუ-იორკის ბირჟის კრახით დაიწყო უდიდესი დეპრესია ამერიკის ისტორიაში, რომლის ყველაზე მძიმე წლებად 1929-33 წლები ითვლება. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის ეროვნული პროდუქტის ღირებულება 103 მილიარდიდან 58 მილიარდამდე შემცირდა, ბანკების რაოდენობა კი — 25 ათასიდან 14 ათასამდე.⁵ შემცირდა ფერმერთა ისედაც მოკრძალებული შემოსავალი 6, 152 მილიარდი დოლარიდან 2,032 მილიარდ დოლარამდე 1932 წლისათვის.⁶ ამერიკული აყვავების სიმბოლოს, ავტომობილების გამოშვება 65 პროცენტით შემცირდა, მატარებლის ლოკომოტივების კი, 86 პროცენტით.⁷ რო-

გორც წინა თავში აღვნიშნეთ, მუსიკალური ფირფიტების გაყიდვა 1927 წლის 100 მილიონიდან, 1932 წელს 6 მილიონამდე დავიდა — ამერიკელებს აღარც ფული ჰქონდათ და აღარც ემღერებოდათ.

ნარმოების შემცირებას, ბუნებრივია, უმუშევრობის ზრდა მოჰყვა და მასშტაბები მართლაც, რომ უპრეცედენტო იყო. თუ ჯერ კიდევ 1928 წელს, ანუ აყვავების წელს, უმუშევართა რაოდენობა, თვით ჰერბერტ ჰუვერის მონაცემებით, 1 800 000 იყო, 1930 წელს — უკვე 4 340 000 მიაღწია, რაც სამუშაო ძალის 8,7 პროცენტს წარმოადგენდა. 1931 წელს — 8 010 000 შეადგინა, ეს კი სამუშაო ძალის 15,9 პროცენტი იყო, 1932 წელს უკვე — 12 060 000, ანუ 23,6 პროცენტი, ხოლო 1933 წელს, კრიზისის კულმინაციის პერიოდში 12 830 000 უმუშევარი იყო, ანუ მთელი სამუშაო ძალის 24,9 პროცენტი.⁸ ოფიციალური სტატისტიკისაგან განსხვავებით „შრომის პრობლემების შემსწავლელი ასოციაცია“ 1932 წელს 17 მილიონ უმუშევარს ითვლიდა.⁹

ბუნებრივია, უმუშევრობა ძირითადად სამრეწველო ცენტრებს მოედო, მაგალითად, ამერიკის საავტომობილო ნარმოების დედაქალაქში, დეტროიტში 1931 წლისათვის 211 ათასი უმუშევარი იყო, ხოლო სრული უსახსრობის გამო 150 ათასმა დატოვა ეს ქალაქი.¹⁰ ჩიკაგოში 1931 წლისათვის მოსახლეობის 40 % დარჩა უმუშევარი,¹¹ ფილადელფიაში უმუშევრობამ 5 ჯერ იმატა და 1931 წელს 300 ათასს მიაღწია.¹²

ერთი სიტყვით, ქვეყანას თავს დაატყდა ჯერ არნახული მასშტაბის კრიზისი, რომელმაც უდიდესი ძალით შეარყია მისი ეკონომიკური, სოციალური, სულიერი და მორალური საფუძვლები. ამერიკელი საზოგადო მოღვაწენი და ისტორიკოსები მას ადარებენ ისეთ მოვლენებს, როგორც ამერიკის ომი დამოუკიდებლობისთვის და სამოქალაქო ომი. ნიშანდობლივია, რომ ისინი სწორედ ომის სადარ უბედურებასთან აიგივებენ მშვიდობიან წლებში მომხდარ ამბებს. ამერიკაში საკმაოდ ხშირი სამეცნიერო და დიპლომატიური მივლინების დროს არაერთი ამერიკელისაგან გამიგია, რომ ეს იყო უმძიმესი პერიოდი მათი ქვეყნის ისტორიაში, ბევრი იხსენებდა საკუთარი მშობლების საშინელ მოგონებებს, ხოლო ხანდაზმული ადამიანები, ვინც კრიზისს მოესწრო, ამ მოვლენაზე საოცრად აღელვებულნი საუბრობდნენ და ახსენებოდათ ის შიში, იმედგაცრუება, უიმედობა და უდიდესი გაჭირვება, რომელიც მათ დაატყ-

დათ თავს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მათ ახლაც ემინოდათ ამ კრიზისის და მისი განმეორებისაც კი.

ამერიკაში მილიონობით ადამიანი უკიდურეს გაჭირებაში ჩავარდა. გუშინდელი მილიონერი ერთ დღეში ლატაკი ხდებოდა. მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდა. ძველებური იმედები, რომ კრიზისი მალე ამონურავდა თავის თავს და როგორც ჰუვერი ამშვიდებდა თანამემამულეებს „აყვავავება აქვე კუთხის მიღმა“, სამწუხაროდ, არ გამართლდა. აღნიშნული კრიზისის განსკუთრებული სიმძაფრე იმანაც განაპირობა, რომ იგი მსოფლიო მასშტაბის იყო და თითქმის ყველა წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანას მოედო. შესაბამისად, წარმოების ნაწილობრივი დატვირთვა მაინც, ექსპორტის ხარჯზე, ძალზე გაჭირდა.

ბუნებრივია, კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა კულიჯ-მელონის იდეოლოგიას. ბირჟის კრახი მოულოდნელი აღმოჩნდა მელონისათვის, მაგრამ იგი წყნარად შეხვდა ამ ამბავს და მიაჩნდა, რომ ბირჟის პრობლემები არც ფინანსთა სამინისტროს და არც მას პირადად არ ეხებოდა. მისი აზრით, ვინც საბირჟო სპეკულაციებისაგან დაზარალდა, აზარტული მოთამაშეები, თაღლითები და სულელები იყვნენ და სავსებით იმსახურებდნენ ამას.

ჰუვერის არქივში არის 1929 წლის 14 ნოემბერს, ანუ საბირჟო კრახის შემდგომ პერიოდში, ვინმე ჯონ მეის მიერ პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილი დეპეშა, რომელშიაც იგი გაკვირვებას და აღშფოთებას გამოხატავდა, მისი აზრით, მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური ფაქტორის, ფედერალური სარეზერვო საბჭოს პასიურობის გამო არსებულ კრიტიკულ ვითარებაში. „საბჭომ ან რეალური და კონკრეტული განცხადებები და ქმედებანი უნდა განახორციელოს, ან ისტორიას უნდა ჩაბარდეს, როგორც ადამიანის უიმედო და არაეფექტური ქმნილება.“¹³ 1930 წლის 12 ნოემბრის უურნალ „ბიზნეს უიკის“ ფურცლებზე აღნიშნავდნენ, რომ კრიზისი 1928-29 წლებში გატარებული მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკის შედეგი იყო. რითაც სრულიად არაორაზროვნად მიუთითებდნენ ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე.

საკაპსუხოდ კი პრეზიდენტის ოფისიდან გავრცელებულ მემორანდუმში უარყოფდნენ იმ მოსაზრებას, რომ კრიზისი საბირჟო ბუმმა გამოიწვია და მიაჩნდათ, რომ მისი მიზეზები გაცილებით

უფრო ღრმა იყო და დეპრესია საბირჟო კრახამდე სამი თვით ადრე დაიწყო. მიზეზებს შორის, ალბათ, სავსებით მართებულად ასახელებდნენ კრიზისის მსოფლიო მასშტაბს და შეუსაბამობას წარმოებასა და მოხმარებას შორის, უცხოური ბაზრების დაკარგვას მრავალ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო და ომის შემდგომ ვითარებას ევროპაში.¹⁴

რასაკვირველია, ავადმყოფობის სამკურნალოდ, უპირველეს ყოვლისა, დიაგნოზის და გამომწვევი მიზეზების ცოდნაა საჭირო. ამ მხრივ საქმე მეტად სავალალოდ წარიმართა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა დიაგნოზს. საქმე, რომ მეტად მძიმე მოვლენასთან ჰქონდათ, ამერიკელებმა ჯერ კიდევ ბირჟის კრახის დროს ნახეს, მაგრამ მელონის მსგავსად, რომელსაც 1873 წლის ბირჟის კრახი ახსოვდა, ბევრს ეგონა, რომ ახლაც ყველაფერი ასევე ბუნებრივად მოგვარდებოდა და დრო დაარეგულირებდა არსებულ ვითარებას. თითქმის ერთი წელი და უმუშევრობის მნიშვნელოვანი და, რაც მთავარია, შეუქცევადი ზრდა გახდა საჭირო, რათა ამერიკის ხელისუფალთ ზემოთ მოყვანილი მემორანდუმის მსგავსი დოკუმენტი შეექმნათ, რომელშიც უკვე კრიზისის მასშტაბებიც და მიზეზთა მნიშვნელოვანი ნაწილიც იყო მითითებული. მაგრამ ტრაგედია ის იყო, რომ 1930 წელს კრიზისი მხოლოდ ძალას იკრებდა და მთავარი პრობლემები კიდევ წინ იყო.

კრიზისის ასეთი სიმძიმის მიზეზი ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად, ისიც იყო, რომ პროსპერიტის მითი ბიზნესის უსაზღვრო შესაძლებლობების, ორგანიზებულობის, მისი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ შეეჯახა მკაცრ რეალობას. 1929-30 წლებში რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ამერიკულმა ბიზნესმა ხელი დაიბანა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისგან და ძირითადად საკუთარი თავის გადარჩენით იყო დაკავებული.

კრიზისის სიმძაფრე იმანაც განაპირობა, რომ ამერიკაში არავითარი სოციალური უზრუნველყოფის ფედერალური კანონმდებლობა არ არსებობდა. უფრო მეტიც, არ არსებობდა იგი შტატის დონეზეც. ამერიკელები ირონიით უყურებდნენ ამ მიმართულებით უფრო განვითარებულ ევროპას, მიაჩნდათ, რომ ფედერალური სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ახალ ფედერალურ გადასახადებს მოითხოვდა, მათ კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდიდა ვაშინგტონის ბიუროკრატიაზე, და შესაბამისად, შეზღუდავდა

ამერიკელთა თავისუფლებას. ამავე დროს ინდივიდუალიზმის იდეოლოგიის მიხედვით, რომელიც პიროვნების პირად ინიციატივაზე იყო დაფუძნებული, მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი კანონები ამ ინიციატივის ამერიკულ ფენომენს საფრთხეს შეუქმნიდა და ამერიკელებს მთავრობისაგან „მათხოვრობას“ მიაჩვევდა. ბევრს ასევე არ სურდა გადასახადების გადახდა სუსტი და წარუმატებელი თანამემამულეების დასახმარებლად. მაგალითად, მე, ნიუ-იორკელმა, რატომ უნდა ვიხადო გადასახადი სადღაც ილინოისში უმუშევრის დასახმარებლად.

ფერმერთა ჩივილი აყვავების დროს არავინ იღო ყურად და ის, რაც ფერმერებს მოუვიდათ, კრიზისის დროს მთელს ამერიკულ ეკონომიკას მოედო. არადა შესაბამისი დამცავი მექანიზმები რომ შეემუშავებინათ, ვინ იცის, ეს გამოცდილება ამერიკული ეკონომიკის სხვა სფეროზეც გავრცელდებოდა. ერთი სიტყვით, სხვა უბედურებასთან ერთად, კრიზისის სიმძიმე იმანაც განაპირობა, რომ ამერიკის მმართველი წრეები, კაპიტალი და პროფკავშირებიც სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ ამ მოვლენას.

როგორც ვხედავთ, მიზეზი საკმარისზე მეტი აღმოჩნდა, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ამდენი წლის შემდეგ უამრავი სხვადასხვა მსოფლმხედველობის და დონის ანალატიკოსის კვლევის შედეგად, რომელთაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის არსებობა აღიარეს, მაინც არ არსებობს საბოლოო და ამომწურავი პასუხი კრიზისის ასეთი გარნდიოზული და შეუქცევადი ხასიათის თაობაზე. ასე რომ, ალბათ ვერც ჩვენი გამოკვლევა დაიბრალებს ამ პრეტენზიას, თუმცა, როგორც ვხედავთ, რაც დავასახელებთ ისიც საკმარის მასალას იძლევა განსჯისათვის.

ასეთ განსაკუთრებულ ვითარებაში, როდესაც კატასტროფა სტიქიური უბედურებისა თუ ომის მასშტაბებს იღებდა, მდგომარეობის გამოსასწორებლად მხოლოდ განსაკუთრებული ზომების მიღება იყო საჭირო. ასე რომ, „ლამის დარაჯის“ როლი ამერიკის მთავრობისათვის უკვე სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. მაშ, რას აკეთებდა ამერიკის მთავრობა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიზისის პირველივე პერიოდში ძალზე ძნელი იყო, შეუძლებელი თუ არა, იმის განსაზღვრა, რომ ქვეყანას ახალი ტიპისა და ახალი მასშტაბის კატასტროფა დაატყდა თავს და ეს აუცილებლად უნდა გავით-

ვალისწინით ამერიკის მთავრობის და ბიზნესის მოქმედების ანალიზისას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც ხარისხობრივად სრულიად ახალი ტიპის პრობლემაა, მისი გადაწყვეტის შესაფერისი ახალი გზების შემუშავება არც ისე ადვილი საქმეა და გარკვეულ დროს მოითხოვს.

მართლაც, ამერიკის მმართველმა წრეებმა ერთბაშად ვერ აუღეს ალლო შექმნილ ვითარებას და მელონის მსგავსი ულტრა-კონსერვატორები, ძველი ტრადიციისამებრ, იმედს ამყარებდნენ დროზე, რომელიც ბუნებრივად ამონურავდა კრიზისს. მელონი თვლიდა, რომ ყოველგვარი ეკონომიკური მოქმედება უნდა შეჩერებულიყო ან დამუხრუჭებულიყო უკეთესი დროის მოლოდინში. ბუნებრივია, ასეთი პოზიცია მიუღებელი იყო, მით უმეტეს, რომ კრიზისი სულ უფრო ღრმავდებოდა. მელონის მეგობარი, სახელმწიფო მდივანი ჰენრი სტიმსონიც კი მის ქმედებას ბავშვის საქციელს ადარებდა.¹⁵

ასეთი დამოკიდებულების სრული უპერსპექტივობა სულ უფრო ბევრისათვის ხდებოდა ნათელი, მათ შორის, თვით ამერიკის პრეზიდენტისთვისაც, რომელიც გაცილებით უფრო მოქნილი და აქტიური პოლიტიკის მომხრე აღმოჩნდა. როგორც კოსკოვი აღნიშნავდა, ჰუვერი პირველი პრეზიდენტი იყო ამერიკის ისტორიაში, რომელმაც აღიარა, რომ ფედერალური მთავრობა პირდაპირ უნდა ჩაერთოს კრიზისის მოგვარების საქმეში.¹⁶ თუმცა, როგორც ამერიკული ინდივიდუალიზმის ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს, მასაც თავისებურად ესახებოდა ეს აქტიურობა.

ეს ქმედებანი შეიძლება პირობითად ორ ეტაპად დავყოთ:

პირველი ეტაპი, როდესაც ამერიკის მთავრობა ძველი, გაბატონებული იდეოლოგიის — ინდივიდუალიზმის ფარგლებში ცდილობდა მონოპოლიების დაყოლიებას კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ კრიზისის მოსაგვარებლად. მეორე ეტაპი 1931 წლის შემოდგომიდან იწყება, როდესაც ძველი მეთოდების უსარგებლობაში დარწმუნებული ჰუვერი ახალი გზების ძიებას იწყებს, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ამოქმედების ჩათვლით.

პირველი კატეგორიის, ე.წ. ინდივიდუალისტური მეთოდების, მთავარი მახასიათებელი მათი ნებაყოფილობითი ხასიათი იყო, მათ კანონის ძალა არ გააჩნდათ. შესაბამისად, ყველაფერი ბიზნესის წარმომადგენელთა კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული. მთავრობა

კი ანტიკრიზისული ზომების პროპაგანდისტად და თავისებურ ძალადუტანებელ კოორდინატორად გვევლინებოდა. იგი აგრძელებდა ბიზნესისადმი მაქსიმალური ინფორმაციის მინოდებას, ცდილობდა აღმოეფხვრა პანიკა და აეძულებინა ბიზნესი სასურველი მიმართულებით ემოქმედა.

პირველი ზომები, როგორც ვიცით, საბირჟო კრიზისის დროს გატარდა, როდესაც მსხვილი ბიზნესმენების ჯგუფმა დიდი რაოდენობის აქციების შესყიდვით სცადა პანიკის განეიტრალება, მაგრამ უშედეგოდ და ყველამ საკუთარ თავს მიხედა. შემდეგ, საბირჟო სპეკულაციების შესაჩერებლად მთავრობამ ფედერალური სარეზერვო სისტემის მეშვეობით სცადა გარკვეული ცვლილებების შეტანა არსებულ წესებში. ჰუვერმა განაცხადა, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მიიღო ზომები სპეკულაციის წინააღმდეგ, რაც ბანკების მტკიცე პოზიციასთან ერთად გადაარჩინდა საკრედიტო სისტემას. კაპიტალი, რომელიც მანამდე საფონდო ბირჟაზე სპეკულაციებისათვის გამოიყენებოდა, ახლა უბრუნდებოდა ბიზნესის ნორმალურ არხებს.¹⁷ შესაბამისად, იმედოვნებდა, რომ საბირჟო კრაზი არ გადაიზრდებოდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისში.

1929 წლის 21 ნოემბერს ჰუვერმა ბიზნესმენტთა კონფერენცია მოიწვია რომელზეც მათ შესთვავა ანტიკრიზისული ზომების გატარება. ბიზნესის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა დროებითი სათათბირო კომიტეტი და მასთან არსებული რამდენიმე სამუშაო ჯგუფი. ამ კომიტეტებს უნდა შეესწავლათ არსებული ვითარება ეკონომიკაში, გაეანალიზებინათ იგი და შეემუშავებინათ სტაბილიზაციის პროგრამები. კონფერენციის შემადგენლობა მეტად წარმომადგენლობითი იყო. მთავრობას პრეზიდენტი, ვაჭრობისა და ფინანსთა მინისტრები წარმოადგენდნენ. ბიზნესის სფეროდან მიწვეულები იყვნენ მისი ელიტის წარმომადგენლები — ჰენრი ფორდი, იულიუს როზენვალდი ჩიკაგოდან, კლარენს ვულეი „ამერიქენ რადიატორ კომპანიიდან“, ვალტერ ტიგლი „სტანდარტ ოილ ოფ ნიუ ჯერსიდან“, ოუენ იანგი „ჯენერალ ელექტრიკ კომპანიიდან“, მეთიუ სლოუნი „ნიუ-იორკ ედისონ კომპანიიდან“. ალფრედ სლოუნი „ჯენერალ მოტორსიდან“, უილიამ ბათერუორდი აშშ-ის სავაჭრო პალატიდან, ფეირფაქს ჰარისონი „სოუზერნ რეილვეი

კომპანიდან“ და ლ. ლორი „დელავერ ენდ ჰადსონ რეილვეი კომპანიდან“.

მაშინ ბევრი მსგავსი საპრეზიდენტო კონფერენცია ტარდებოდა. იმავე ნოემბრის თვეში პრეზიდენტთან შეხვედრაზე რკინიგზის კომპანიების მფლობელები დაპირდნენ პრეზიდენტს, რომ, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, არ შეკვეცავდნენ სამუშაოს. უფრო მეტიც, კიდევ უფრო გაზრდიდნენ მას იმ იმედით, რომ მათ სხვა დარგების წარმომადგენლებიც მიბაძავდნენ. იმავე ნოემბრის 21 რიცხვში ბიზნესის წარმომადგენლებმა და პროფკავშირებმა ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმება დადეს იმის თაობაზე, რომ, მიუხედავად კრიზისისა, მენარმეები არ შეამცირებდნენ მუშათა ხელფასებს, ხოლო პროფკავშირები არ მოაწყობდნენ გაფიცვებს.¹⁸ კრიზისის პერიოდში თავისებური კლასობრივი ზავი იდებოდა. მაგრამ კრიზისის გაღრმავებასთან ერთად დიდმა ბიზნესმა დაარღვია ეს შეთანხმება. 1931 წელს „იუნაითედ სთეიტს სთილ კორპორეიშნმა“ 10 პროცენტით შეამცირა ხელფასები. 1931 წელს თვით ფინანსთა მინისტრის, მელონის მიერ კონტროლირებადმა კომპანიებმაც დაიწყეს ხელფასების სისტემატური შემცირება. ერთ-ერთი პირველი კომპანია „ალკო“ იყო, რომელმაც 10 პროცენტით შეამცირა ხელფასები, 1932 წელს მან კიდევ 10 პროცენტით შეამცირა ხელფასები ისევე, როგორც ამერიკის სხვა კომპანიებმა.

ეკონომიკური აქტიურობის ზრდისათვის გამიზნულმა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ პროცენტული განაკვეთის შემცირებამაც, ანუ ბანკების სესხების გაიაფებამაც, ვერ გამოიღო შედეგი. ჯერ ერთი, ამ განაკვეთის უსასრულოდ შემცირებაც არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ეს სესხები ძირითადად დიდ ბიზნესს გაჰქონდა და არა საშუალო ფენას, ამდენად, ვერ გაიზარდა მისი მსყიდველობითი უნარი. თუმცა იგულისხმებოდა, რომ დიდ ბიზნესს ეს თანხები წარმოებაში უნდა დაეხმადებინა. გარდა ამისა, ჭარბწარმოებით გამოწვეული კრიზისი იმდენად ღრმა იყო, რომ მარტო ეს მოქმედება არასაკმარისი აღმოჩნდა. მართლაც, თუ 1929 წელს კორპორაციების მოგება 10, 5 მილიარდს უდრიდა 1930 წელს — 7 მილიარდამდე შემცირდა, ხოლო 1931 წელს უკვე სულ რაღაც 2 მილიარდამდე დავიდა.¹⁹

კრიზისის დაწყების ერთი წლისთავზე, 1931 წლის 30 ოქტომბერს ამერიკის საეაჭრო პალატამ გამოაქვეყნა სპეციალური ან-

გარიში ქვეყანაში ბიზნესისა და დასაქმებულობის შესახებ, რომელიც განიხილავდა კრიზისის მიზეზებს, არსებულ ვითარებას და დასაქმებულობის სფეროში გამოსავლის ძიების ვარიანტებს. კომიტეტის თავმჯდომარე იყო ცნობილი ბიზნესმენი ბოსტონიდან ჰენრი ჰარიმანი. ანგარიშში აღნიშნული იყო არსებული მოვლენის ციკლური ხასიათი და ის, რომ უკანასკნელი 75 წლის მანძილზე 22 კრიზისული მომენტი იყო, აქედან 11 შედარებით უმნიშვნელო, 9 უფრო მძიმე და ორი (1873 და 1893 წელს) უმძიმესი. აღნიშნავდნენ, რომ წარმოების მალალ ტემპებს ხშირად მოჰყოლია სპეკულაციური ბუმი და ჭარბწარმოება, თუმცა დროთა განმავლობაში ყველაფერი თავის კალაპოტში დგებოდა. მაგრამ იმასაც უსვამდნენ ხაზს, რომ მსგავსი მასშტაბის კრიზისი ამერიკას ჯერ არ ჰქონია. არსებული კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად ტექნოლოგიურ ცვლილებებს მიიჩნევდნენ, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა, ე.წ. ტექნოლოგიური უმუშევრობის პერიოდი. ახალ ტექნოლოგიებთან ერთად სამუშაო საათებიც შემცირდა. სხვასთან ერთად, ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო იყო ხალხის პროფესიული გადამზადებაც.

მეორე მიზეზად კომისია სპეკულაციას ასახელებდა და საჭიროდ თვლიდა, კანონების მიღებას სპეკულაციის ასაღამავად და კრედიტებისადმი უფრო ფრთხილ მიდგომას, რათა ხელი არ შეეწყოს სპეკულაციისათვის.

მესამე მიზეზად ასახელებდნენ ომს, ვინაიდან ყოველი მნიშვნელოვანი ომი იწვევდა ეკონომიკის დეპრესიას. წინა კრიზისებთან შედარებით ერთ დადებით განსხვავებად სახელდებოდა უკეთესი ურთიერთგაგება დამქირავეებელსა და დაქირავებულს შორის. მენარმეები ჩართული იყვნენ სხვადასხვა ანტიკრიზისულ პროგრამებში. მუშათა უბრალოდ დათხოვნის მაგივრად, ისინი მაქსიმალურად ყოფდნენ სამუშაოს, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს შეენარჩუნებინა სამსახური.

გრძელვადიან ანტიკრიზისულ ზომად ჩაითვალა სერიოზული კოორდინაცია წარმოებასა და მოხმარებას შორის. წინა წლების აშკარად გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი თანამედროვე ეტაპზე მავნედაც კი ჩათვალეს. ბიზნესს მალალი ხელფასები უნდა გადაეხადა მათთვის, ვინც მისაღები რაოდენობის საათებს შრომობდა. ამავე დროს, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდებში უნდა შექმნილიყო მნიშვნელოვანი რეზერვები უმუშევართათვის, სანარმოო

ტრამვების, ავადმყოფობის და სიბერის შემთხვევაში. ბიზნესი მყარ საფუძველზე უნდა დამდგარიყო და წარმოება უნდა დაბალანსებულიყო მოთხოვნილების საფუძველზე.

პალატას სასურველად მიაჩნდა ანტიტრესტული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, რათა ბიზნესს საშუალება ჰქონოდა მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ რეჟიმში ემუშავა. საჭიროდ ითვლებოდა ეროვნული ეკონომიკური საბჭოს შექმნა, რომელიც აგრეთვე ევროპული ქვეყნების გამოცდილებასაც გაიზიარებდა (ევროპის მიბაძვა ამერიკელებს საერთოდ არ უყვარდათ და, როგორ უნდა გაჭირვებოდათ, რომ ეს ელიარებინათ). ეს უნდა ყოფილიყო მრჩეველი ორგანო და არა რაიმე აღმასრულებელი სტრუქტურა. ამ საბჭოს უნდა შეემუშავებინა რეკომენდაციები ეკონომიკის მართვაში, რათა წარმოების ფართო შესაძლებლობებს სწორედ რომ სიკეთე მოეტანა და არა კრიზისები. სასურველად მიჩნდათ რეკომენდაციების შემუშავება ანაზღაურებასთან დაკავშირებული კრიტერიუმების თაობაზეც. საგარეო ვაჭრობის სფეროში უნდა განსაზღვრულიყო, თუ რა ტენდენციებისათვის შეენყოთ ხელი არსებულ კონკრეტულ ვითარებაში, ექსპორტისა თუ იმპორტისათვის. საჭიროდ მიაჩნდათ, ეკონომიკური სტატისტიკისა და ინფორმაციის გავრცელების მეთოდების შემუშავება. ასევე უნდა შემუშავებულიყო რეკომენდაციები სოფლის მეურნეების სფეროში, სპეკულაციის ასპექტებში და მრავალი სხვა.

ნიშანდობლივია, რომ სავაჭრო პალატის ექსპერტები საჭიროდ მიიჩნევდნენ ბიზნესის დაგეგმვის გაუმჯობესებას და მიაჩნდათ, რომ ზოგ სფეროში ეს საჭიროც და შესაძლებელიც იყო. ამ მხრივ, სწორედ სავაჭრო ასოციაციებს უნდა ეაქტიურათ, ვინაიდან უკეთ იცნობდნენ საკუთარ დარგში არსებულ ვითარებას. საჭიროდ მიიჩნიეს აგრეთვე ფინანსური რეზერვების შექმნა უმუშევრობისა და მსგავსი სოციალური პრობლემებისათვის. ეს ფონდები ან კომპანიების შენატანის, ან კომპანიისა და დაქირავებულთა ერთობლივი შენატანის ხარჯზე უნდა დაფინანსებულიყო. ამასთან დაკავშირებით დაასახელეს მეტად პერსპექტიული ე.წ როჩესტერის გეგმა.

ამავე დროს, კატეგორიულად უარყოფდნენ უმუშევართათვის ფედერალურ დაზღვევას. მათი აზრით, ევროპის მაგალითზე ჩანდა, რომ ასეთი უზრუნველყოფა, პირიქით, ხელს უწყობდა უმუშევრო-

ბის ზრდას. ეს დახმარება შტატისა და ადგილობრივ დონეზე უნდა განხორციელებულიყო. კიდევ აღნიშნავდნენ, რომ სასურველი იყო სამუშაო საათების შემცირება და მათი გადანაწილება მუშათა შორის.

რაც შეეხება უშუალო და სასწრაფო ზომებს, აქ კვლავ ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობას ამჯობინებდნენ. თუმცა საზოგადოებრივი სამუშაოების სფეროში, ამჯერად ადგილობრივთან ერთად, ფედერალური ქმედების გაფართოების მომხრენიც იყვნენ. როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი იყო საკმაოდ ბევრი სიახლე და ბევრი საინტერესო აზრიც, მაგრამ მთავარში, ეტატიზმის გაფართოების საკითხში, მიდგომები კვლავ საკმაოდ კონსერვატიული დარჩა.²⁰

ამასობაში სულ უფრო პარტახდებოდა ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი, საბანკო სისტემა. მრავალი ბანკი ისე გაკოტრდა, რომ ფული ვერ დაუბრუნა მენაბრეებს, რომელთაც ამის გამო მთელი თავიანთი დანაზოგი დაკარგეს, ხოლო, ვინაიდან მრავალმა მათგანმა სამუშაოც დაკარგა, ისინი საერთოდ უსახსროდ დარჩნენ. ხშირი იყო გაკოტრებულ ბიზნესმენტთა თვითმკვლელობის შემთხვევებიც. თვითმკვლელობები სპეციფიკურად, „ამერიკულად“ ხდებოდა — ადამიანები ცათამბჯენებიდან ხტებოდნენ. ამან „შავი იუმორის“ მაგალითებიც კი წარმოშვა. ცათამბჯენებში არსებულ სასტუმროებში ცხოვრების მსურველებს ეკითხებოდნენ — ნომერი საცხოვრებლად გინდათ, თუ გადმოსახტომადო.

ჰუვერი კარგად ხედავდა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად სწორედ ამ სფეროში უნდა გადადგმულიყო გადამწყვეტი ნაბიჯები, მაგრამ ამ ნაბიჯებს ჯერ კვლავ რეგულირებადი ინდივიდუალიზმის ფარგლებში ხედავდა. 1931 წლის შემოდგომაზე ფედერალური სარეზერვო საბჭოს ხელმძღვანელის იუჯინ მაიერისადმი მიწერილ წერილში იგი სხვადასხვა ბანკში გაყინული, თითქმის ერთი მილიარდი დოლარის, დეპოზიტების ამოქმედებაზე საუბრობდა. ამ გაყინული თანხების ამოქმედებას მოსახლეობის ნდობის ზრდა სჭირდებოდა. ჰუვერი ფედერალური სარეზერვო სისტემის ლიდერებს ამ მიმართულებით ახალი იდეების და ინიციატივის გამოჩენას სთხოვდა — „ჩვენმა ბანკირებმა ინგლისის და გერმანიის საბანკო ვითარება გამოსასწორეს და ჩვენს

საბანკო სისტემას რატომ ვერ დაეხმარებოიან? — კითხულობდა პრეზიდენტი.²¹

სწორედ მსგავსი კონსულტაციების საფუძველზე, ბანკირების მოქმედების კოორდინაციისათვის 1931 წლის ოქტომბერში, ჰუვერის ინიციატივით, შეიქმნა ეროვნული საკრედიტო ასოციაცია. ამ ასოციაციას სხვადასხვა ძლიერი ბანკებისგან უნდა შეეგროვებინა 500 მილიონი დოლარი და ეს თანხები სუსტი ბანკების დასახმარებლად გამოეყენებინა, რაც გაააქტიურებდა საკრედიტო საქმიანობას და ეკონომიკაში ჩართავდა 4 მილიარდამდე გაყინულ აქტივებს.

ჰუვერი დაჰპირდა ბანკირებს ფედერალური სარეზერვო სისტემის მაქსიმალურ მხარდაჭერას და იმედი გამოხატა, რომ „ამერიკელი მენარმეები აჩვენებენ ყველას, რომ შეუძლიათ დაეხმარონ საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც“²²

ჰუვერი ბევრ მილოცვას იღებდა ამ ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით. მაგალითად, „ბენჯამინ ჰილი და კომპანიის“ პრეზიდენტის ს. ფონტიენის აზრით, ფედერალური სარეზერვო სისტემის საქმიანობის გავრცობა და 500 მილიონიანი აღორძინების ფონდის შექმნა მეტად დროული იყო და ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ნდობის ზრდას. ეს ასახავდა ადმინისტრაციის ვაჟკაცობასა და თავდადებას ხალხის ინტერესებისადმი. ამავე დროს, ურჩევდა პრეზიდენტს ეროვნული საკრედიტო ასოციაციის სათავეში ბერნარდ ბარუხის დანიშვნას, რომელსაც ომის ფინანსური კორპორაციის მმართველობის გამოცდილება ჰქონდა.²³

ულოცავდნენ ასევე „ნიუ-იორკ თაიმსის“ რედაქციიდან — „თქვენი გამოსვლა ეროვნული საკრედიტო ასოციაციის შექმნის შესახებ დიდებული იყო, ეს ძალზე მოუხდება არსებულ ვითარებას და ერის სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი იქნება“.²⁴ „ჩიკაგო დეილი ნიუსმა“ პრეზიდენტის ქმედება „უმალესი ხარისხის ობიექტურ მმართველობად“ მონათლა.²⁵ ლიბერალური ჟურნალი „ნიუშენი“ უქებდა რა პრეზიდენტს ამ ინიციატივას, აღნიშნავდა, რომ მას 500 მილიონის კი არა, 1 მილიარდი დოლარის მოკრებაც კი შეეძლო.²⁶ ოპტიმისტური სულისკვეთებით იყო აღსავსე ამერიკის საინვესტიციო ბანკების ასოციაციის კონვენტის რეზოლუცია, რომლის აზრით, ასოციაციის საქმიანობას შორს მიმავალი დადებითი ეფექტი ექნებოდა.²⁷

მაგრამ კრიტიკაც იყო, კერძოდ, ჟურნალ „ფილადელფია ინკუარერში“ ამას ყველაზე სოციალისტურ ექსპერიმენტს უწოდებდნენ, რომელიც კი ოდესმე ჩაუტარებიათ ამ ქვეყანაში. ამ გეგმის მიხედვით, ჯანმრთელი ბანკებიდან აღებული ფული მოხმარდებოდა, ანუ გადაიყრებოდა, იაფფასიანი უსაფრთხოების უძირო ორმოში. ამ გეგმამ შეიძლება იმუშაოს და შეიძლება ჩაიშალოს, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ეს არის ეკონომიკურად არაჯანსაღი გეგმაო. „ფერსტ მილტონ ნეიშენელ ბენქი“-ის პრეზიდენტი ვალტერ ვილსონი ჰუვერისადმი გაგზავნილ წერილში სინანულს გამოთქვამდა ამ სტატიის თაობაზე და აღნიშნავდა, რომ ასეთი მოსაზრებები ვნებდა საზოგადოებაში ოპტიმისტური განწყობილების ჩამოყალიბებას.²⁸ მაგრამ პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა შირილ ჯეიმსმა, ვის ციტირებასაც ჟურნალი ახდენდა, დაანყნარა მთავრობა, რომ ჟურნალისტებმა მისი გამოთქმის არასწორი ინტერპრეტაცია გააკეთეს და სიტყვები კონტექსტიდან ამოგდეს. მისი აზრით, თანხა უძირო ორმოში მაშინ გადაიყრებოდა, თუ ასოციაცია ფულს განურჩევლად ყველა ბანკს გადასცემდა.²⁹

კიდევ უფრო კონსერვატიული პოზიცია პქონდა ბალტიმორის „ივნიგ სანს“, რომელსაც არ მოსწონდა, რომ ეროვნული საკრედიტო ასოციაცია აშკარად ინფლაციონისტურ მიზნებს ემსახურებოდა.³⁰ არადა სწორედ ეს იყო გარკვეულწილად მისი დანიშნულებაც. ხოლო „მილუოკი ჯორნელი“ კი ამაში ხედავდა კერძო საკუთრებაზე მთავრობის არაპირდაპირი კონტროლის დაწესებას.³¹ კონსერვატორებს, პირველ რიგში, სწორედ ამის ეშინოდათ.

ზოგიერთი შეფასებით, ამ გეგმით 150 მილიონზე მეტი ვერ შეგროვდა და ასოციაციამ ვერ გაამართლა.³² ზოგი კი, პირიქით, თვლიდა, რომ მან 400 მილიონი შეაგროვა და 700 ბანკს გაუნია დახმარება.³³ მაგრამ დაგეგმილი 500 მილიონი მაინც არ გამოვიდა. ჟურნალი „ამერიქენ ბანქერსი“ აღნიშნავდა, რომ ეროვნული საკრედიტო ასოციაციის საქმიანობის დაწყების შემდეგ შემცირდა ბანკთა დახურვა და თუ ოქტომბრის პირველ კვირას 166 ბანკი დაიხურა, ნოემბრის ბოლო კვირას უკვე მხოლოდ — 18 და ამავე კვირას 10-მა ბანკმა განაახლა მუშაობა.³⁴ მიუხედავად კეთილი განზრახვისა, ასოციაციის მოქმედების მასშტაბები სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა ქვეყანაში ინფლაციური კურსის გაძლიერებისათვის. თანაც, ვინაიდან მისი საქმიანობა დაფუძნებული იყო

ნებაყოფლობით პრინციპზე და უარყოფდა ფედერალურ ჩარევას, შედეგი დასახულთან შედარებით უმნიშვნელო აღმოჩნდა. სულ მალე, ნოემბრის დასასრულს, ასოციაციამ შეწყვიტა კიდეც არსებობა. ეს რეგულირებადი ინდივიდუალიზმის კიდეც ერთი და მეტად მნიშვნელოვანი მარცხი იყო. შემდგომში თავად ჰუვერი აღიარებდა, რომ „ასოციაცია იქცა ულტრაკონსერვატიულ ორგანიზაციად და თავის შესაძლებლობებს ბოლომდე არ იყენებდა. მისი წევრები და დანარჩენი საქმიანი სამყარო სახელმწიფო ქმედებებს ითხოვდნენ“³⁵

სწორედ ამ მოთხოვნის საპასუხოდ, 1932 წლის 22 იანვარს შეიქმნა „რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაცია“. ეს ჰუვერის ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იყო. მრავალი ისტორიკოსი თვლის, რომ ამ კორპორაციის შექმნით სწორედ ჰუვერმა და არა ფრანკლინ რუზველტმა დაიწყო „ახალი კურსი“. თვით ჰუვერის სიტყვებით, მისი „მიზანი იყო ეკონომიკის სუსტი რგოლების გაძლიერება ეროვნული რესურსების სრული მობილიზების გზით. იგი უნდა დაეხმაროს ამერიკულ ექსპორტს, სოფლის მეურნეობის საკრედიტო ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობის წარმოებას, მიაწოდოს დროებითი სესხები კერძო სანარმოებს. ამავე დროს, იგი უნდა დაეხმაროს სამრეწველო, სარკინიგზო და ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელნიც ასეთი მხარდაჭერის გარეშე ვერ ინარჩუნებენ კრედიტს. ასეთი სესხები დაიცავს მათ საკრედიტო სტრუქტურას და ხელს შეუწყობს დასაქმებულობის ზრდას“.³⁶ რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაცია „ჩაფიქრებული იყო, როგორც დროებითი (10 წელი), საგანგებო ხასიათის ორგანიზაცია „ომის ფინანსური კორპორაციის“ მსგავსად და მას სახელმწიფომ 500 მილიონი დოლარის ძირითადი კაპიტალი გამოუყო. ამავე დროს, ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, მას უფლება მიეცა გამოეშვა სხვადასხვა სახის ობლიგაციები სამჯერ უფრო დიდ, ანუ 2 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხაზე.“³⁷ ამ ფასიანი ქაღალდების გარანტიად კი, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკის მთავრობა გამოდიოდა და მათ თანამფლობელად აცხადებდა თავს. ასე რომ, ამჯერად უდღეური ეროვნული ფინანსური ასოციაციისაგან განსხვავებით, შეიქმნა თვითანაზღაურების საფუძველზე შექმნილი სახელმწიფო კორპორაცია. ამ კორპორაციის ობლიგაციების გარანტია იმდენად ძლიერი და ნაღდი იყო, რომ ეს 2 მილიარდი

დოლარი ფაქტობრივად პირდაპირ სახელნიფო ასიგნებად შეიძლება ჩაითვალოს. კორპორაციის არსებობის მანძილზე მთავრობა იძლეოდა მისი ობლიგაციების გადახდისუნარიანობის გარანტიას. საკუთარი ვალდებულებების შესრულების უუნარობის შემთხვევაში კორპორაციის ვალები ფინანსთა მინისტრს უნდა გადაეხადა ხაზინიდან, რითაც აქციების ყოფილ მფლობელთა უფლებებს იმკვიდრებდა. მინისტრის მიერ ამ აქციების გაყიდვა განიხილებოდა, როგორც გარიგება აშშ-ის სახელმნიფო ვალის სფეროში.³⁸ კორპორაციას გააჩნდა მსხვილი ფინანსური გაერთიანების ყველა პრეროგატივა: კონტრაქტების დადების, უძრავი ქონების არენდა, სასამართლო გამოძიებისა და დაცვის უფლება და ა.შ., ასევე კონგრესმა კორპორაციას მიანიჭა ყველა ის შეღავათი, რომელიც ფედერალურ უწყებებს გააჩნდათ ფოსტაში და მომსახურების ყველა იმ სფეროში, რომელთაც ფედერალური სტრუქტურები იყენებდნენ.³⁹ კორპორაციის ობლიგაციები თავისუფლდებოდა გადასახადების უდიდესი ნაწილისაგან, ხოლო თვით კორპორაცია კი აშშ-ის ტერიტორიაზე არსებული ყველა გადასახადისაგან, გარდა გადასახდისა შტატების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე.⁴⁰

ბევრი ბიზნესმენი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ამ ინიციატივას. მაგალითად, „უესონ ოილ ენდ სნოუდრიფთ კომპანის“ პრეზიდენტი ა. დ. ჯეოუგეგანი დეპუტით ულოცავდა პრეზიდენტს კორპორაციის შექმნას, რომელიც, მისი აზრით, ორივე პარტიის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგი იყო და ხელს უწყობდა ბიზნესისა და ფინანსური წრეების ნდობის აღდგენას მთელი ქვეყნის მასშტაბით. იგი ამ ორგანიზაციას ბიზნესმებისა და ბანკირების მხარდაჭერას პირდებოდა. მისი აზრით, ფინანსური ინსტიტუტებისადმი ნდობა რკინიგზისა და სადაზღვევო კომპანიებსაც აალორძინებდა და საერთოდ ამერიკა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა.⁴¹ მსგავსი ენთუზიაზმით იყო აღსავსე „სახლმშენებლობის ეროვნული ასოციაციის“ პრეზიდენტი ნერილიც, რომლის აზრითაც, ამ კორპორაციის შექმნა ადასტურებდა პრეზიდენტის დაინტერესებას ყოველი ამერიკელის კეთილდღეობაში. ასევე, მის უნარს ოსტატურად გაუმკლავდეს ამერიკის ისტორიის უმძიმესი კრიზისის პრობლემებს.⁴²

„ჯორნალ ოფ ქომერსში“ კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ „თუ კორპორაციის მიზანია ბრძოლა ბანკების კრახისა და რკინიგ-

ზების გაკოტრების წინააღმდეგ, მაშინ ეს კრიზისული დაავადებისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება ყოფილა“.⁴³

თუმცა უკიდურესი კონსერვატორები უკმაყოფილონი იყვნენ. მაგალითად, ჯორჯიის შტატის წარმომადგენელი პარკერი აცხადებდა, რომ „რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაციის“ შექმნა იყო კომუნიზმისაკენ გადადგმული ყველაზე მკვეთრი ნაბიჯი, რომელიც კი რომელიმე ცივილიზებულ სახელმწიფოს გადაუდგამს, ალბათ, რუსეთის გამოკლებით.⁴⁴ კრიტიკოსები უფრო ლიბერალური პოზიციიდან, პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ კორპორაციის შექმნით მთავრობა სულაც არ ამბობდა უარს იმ დოგმაზე, რომ ყველაფერი დადებითი მხოლოდ კერძო ბიზნესისაგან შეიძლება წამოსულიყო და მოითხოვდნენ კიდევ უფრო აქტიური სახელმწიფო ზომების გატარებას.⁴⁵

თუმცა, უმჯობესია კონკრეტული ციფრები მოვიყვანოთ და 1932 წლის 20 ოქტომბერს პრეზიდენტისადმი გაგზავნილი თვით კორპორაციის მესვეურთა ანგარიში განვიხილოთ. ანგარიშის მიხედვით, 1932 წლის ორი თებერვლიდან, როდესაც კორპორაციამ საქმიანობა დაიწყო, 1932 წლის 30 სექტემბრამდე კორპორაციამ 1 410 026 518 დოლარის, 8 192 სესხი გასცა 5 970 ორგანიზაციაზე. აქედან 853 მილიონი დოლარი გაიცა 4 973 ბანკზე და სატრასტო კომპანიაზე, 87 638 738 დოლარი გაიცა 736 სამშენებლო კომპანია-სა და საკრედიტო ასოციაციაზე, 75 193 200 დოლარი — სადაზღვევო კომპანიებზე, 83 846 000 დოლარი — 71 საიპოთეკო მსესხებელ კომპანიაზე, 405 000 დოლარი — სამ საკრედიტო კავშირზე, 29 მილიონი დოლარი — 9 ფედერალურ მიწის ბანკზე, 2 951 000 დოლარი — 9 გაერთიანებულ სააქციო მიწის ბანკზე, 2 063 374 დოლარი — 11 სოფლის მეურნეობის საკრედიტო კორპორაციაზე, 264 366 933 დოლარი გადაეცა 53 რკინიგზის კომპანიას.⁴⁷

თუმცა იყო დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც, ერთ-ერთი იურისტი ედუარდ ჰარიმანი პრეზიდენტის მდივან ვალტერ ნიუტონისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ პრეზიდენტი ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო და თავის მხარდაჭერას გამოხატავდა რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაციისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის, მისი აზრით, ბრწყინვალე ქმედებების მიმართ. ამავე დროს, სინანულსა და აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ ბანკები, რომელნიც უწინ თითქმის ყველა წამონ-

ყებას აფინანსებდნენ და კრედიტებს გამოყოფდნენ, ახლა ყველაზე პერსპექტიულ პროექტებსაც კი უარს ეუბნებოდნენ კრედიტზე, რითაც ნულამდე დაჰყავთ პრეზიდენტის ეს შესანიშნავი ინიციატივები. იგი თვლიდა, რომ პრეზიდენტს ზენოლა უნდა მოეხდინა ბანკებზე, რათა მათ დიდ საფრთხეში არ ჩაეგდოთ მთელი ქვეყნის კეთილდღეობა, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქადის მთელს კაპიტალისტურ სისტემას.⁴⁸

1932 წლის ივლისში მიიღეს უდიდესი მნიშვნელობის კანონი საგანგებო დახმარებისა და მშენებლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, რეკონსტრუქციის ფინანსურ კორპორაციას, რომელიც მთავარი ეტატიისტური ნაბიჯი იყო ჰუვერის პოლიტიკაში, ნება მიეცა თანხები გაეცა უშუალოდ უმუშევრთა დასახმარებლად. 300 მილიონი გამოეყო შტატებს საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზებისა და უმუშევრთა დახმარებისათვის და დაახლოებით ამდენივე, 332 მილიონი დოლარი, ფედერალური მასშტაბის საზოგადოებრივი სამუშაოებისათვის.

თავისი არსებობის პირველი წლის მანძილზე, 1933 წლის მარტისათვის კორპორაციამ 2,2 მილიარდი დოლარი გაიღო. აქედან 669 მილიონი ბანკებს ასესხეს, 361 — შტატებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას, 302 მილიონი სოფლის მეურნეობის სფეროში გაიცა, 246 — რკინიგზის კომპანიებს, 115 მილიონი — სახლმშენებლობაზე, ხოლო საზოგადოებრივ სამუშაოებზე 19 მილიონი დოლარი დაიხარჯა.⁴⁹

მაგრამ, მიუხედავად ამ, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ხასიათის გადაწყვეტილებებისა კრიზისთან ბრძოლის გეზი მაინც შედარებით ნელა იცვლებოდა. თანაც, ჰუვერს კორპორაცია ძალზე ხანმოკლე დროით შექმნილ, საგანგებო ხასიათის სტრუქტურად მიაჩნდა. ამავე დროს, მისი მასშტაბები ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან შედარებით ძალზე მცირე იყო.

ფინანსური სარეკონსტრუქციო კორპორაციის დასაფინანსებლად კი ფული იყო საჭირო. არადა, წინა წლებისაგან განსხვავებით, როდესაც რესპუბლიკელები მართებულად ამაყოფდნენ დაბალანსებული ბიუჯეტით, 1931 წელს ბიუჯეტის დეფიციტი 461,877,000 დოლარს აღწევდა. ამიტომაც კორპორაციის დასაფინანსებლად რესპუბლიკელები ერთი მხრივ, მათთვის ჩვეულ ფედერალური ხარჯების ეკონომიის პოლიტიკის შემდგომ გაღრმავე-

ბას და, მეორე მხრივ, კი მათი იდეოლოგიისა და პრაქტიკისათვის თითქმის სრულიად მიუღებელ, გადასახდების ზრდას აპირებდნენ. საბოლოოდ, დიდი დებატების შემდეგ, 1932 წლის ივნისში კონგრესში მიიღეს გადაწყვეტილება ეკონომიის მიზნით სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების შემცირებაზე. კერძოდ კი, მათი სამუშაო კვირა ხუთდღიანი გახდა, ხელფასები კი 8,4 პროცენტით შეუმცირდათ. ამის შედეგად ხაზინამ 134 მილიონი დოლარი დაზოგა. გაცილებით უფრო სერიოზული ბრძოლა წარიმართა გადასახადების გაზრდის თაობაზე, რასაც ხაზინისათვის 1, 2 მილიარდი დოლარი უნდა მოეტანა. დემოკრატების უმრავლესობა ფიორელი ლაგარდიას ხელმძღვანელობით მოითხოვდა გადასახადების გაზრდას დიდი და საშუალო ბიზნესისთვის და აგრეთვე ფუფუნების საგნებზე. რესპუბლიკელები ცდილობდნენ დიდი ბიზნესის დაცვას იმ ცნობილი თეზისის საფუძველზე, რომ მხოლოდ ბიზნესის განვითარება იყო კეთილდღეობის საფუძველი და ამ კრიზისულ ვითარებაში არ შეიძლებოდა მისი მეტისმეტად დაბეგვრა. საბოლოოდ დემოკრატებმა გაიმარჯვეს, რასაკვირველია, გარკვეული კომპრომისებით, თუმცა ამის შედეგად ხაზინამ 500 მილიონით ნაკლები მოიგო.⁵⁰ მართალია, დეფიციტი მაინც დარჩა, მაგრამ ამ ზომების შედეგად იგი მხოლოდ 2 735 280 მილიონი იყო.⁵¹

მნიშვნელოვანი ანტიკრიზისული ნაბიჯი იყო 1932 წლის 27 თებერვალს ე. წ. გლას-სტიგალის კანონის მიღება, რომლის მიხედვითაც, სერიოზულად შერბილდა ფედერალური სარეზერვო სისტემის წესები და ხელი შეეწყო გაყინული კაპიტალის გამოყენებასა და ინფლაციური პოლიტიკის გატარებას. თუმცა კანონის ავტორები ორივე დემოკრატი იყო, მათ ჰუვერისა და ფინანსთა მინისტრის უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდათ და ბევრი ამ კანონს უფრო რესპუბლიკელთა გადაწყვეტილებად მიიჩნევდა. ამ კანონის თანახმად, ფართოვდებოდა იმ ფასიანი ქაღალდების წრე, რომელიც მისაღები იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის ფინანსური ოპერაციებისთვის. იგულისხმებოდა, რომ 800 მილიონი დოლარი ოქროთი საკმარისი იქნებოდა 2 მილიარდიანი კრედიტის უზრუნველსაყოფად.⁵²

ჰუვერმა ამ კანონს „ეროვნული ინტერესების დაცვის ზომა“ უწოდა.⁵³ მას მიაჩნდა, რომ ახალი კანონი ფედერალურ სარეზერვო სისტემას საშუალებას მისცემდა წარმატებით გაერთვა თავი ნები-

სმიერი მოთხოვნისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთაც.⁵⁴

ასეთი იყო ჰუვერის ადმინისტრაციის ანტიკრიზისული მოქმედების არეალი და მასშტაბები. ვერ ვიტყვით, რომ ჰუვერის მთავრობა ცოტას აკეთებდა, პირიქით, წინა კრიზისების პერიოდის მთავრობებთან შედარებით, იგი მეტად აქტიური, შეიძლება ითქვას, ნოვატორულიც კი იყო. საპრეზიდენტო კონფერენციები, უდიდესი პროპაგანდისტური მუშაობა მოსახლეობის სულისკვეთების ასამაღლებლად, აქტიური თანამშრომლობა კორპორაციებთან, მომრიგებლის როლის გააქტიურება სხვადასხვა კორპორაციებს შორის, აქტიური ჩარევა ურთიერთობებში ბიზნესსა და მუშებს შორის, და რაც მთავარია, ზემოთ ჩამოთვლილი კანონების მიღება. ამ ქმედებებიდან ბევრი ახალი იყო, ბევრიც უფრო მასშტაბური წინა პერიოდებთან შედარებით. მაგრამ საქმეც ისაა, რომ არსებული კრიზისიც, მასშტაბებითა და არსითაც სრულიად განსხვავებულია წინა კრიზისებისაგან და თუ ჰუვერისეული ზომები წინა კრიზისებისათვის კარგ შედეგს მოიტანდა, ამჯერად ისინი სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, რესპუბლიკურ ადმინისტრაციას არ სურდა ეტატიტური ხასიათის ქმედების კიდევ უფრო გაძლიერება, რაც, მისი აზრით, დროებით კი გამოასწორებდა არსებულ ვითარებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ძირს გამოუთხრიდა ამერიკელთა მორალს, კერძო ინიციატივის სულისკვეთებას, ამერიკელთა დამოუკიდებლობას ფედერალური ადმინისტრაციისაგან და საერთოდ მოსპობდა ქმმარიტად ამერიკულ ხასიათსა და ფასეულობებს.

ისიც გამოჩნდა, რომ ამერიკული ბიზნესი, რომელმაც საკუთარი თავიცა და სხვებიც დააჯერა თავის უსაზღვრო შესაძლებლობებში, მათ შორის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ თავი აარიდა საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და ძირითადად, საკუთარი თავის გადარჩენით იყო დაკავებული. შესაბამისად, ძალზე შეიცვალა დამოკიდებულება ბიზნესმენთა მიმართ, რომელნიც საზოგადოების თვალში ქვეყნის დამაქცევლებად იქცნენ და ვისაც 20-იან წლებში აღმერთებდნენ, სწორედ ისინი გახდნენ პირველ სამიზნედ. თუ უწინ პიტსბურგში, საიდანაც მელონის ოჯახი იყო, მათი სახელები ლამის გმირებისა და წმინდანების

მარავანდებით იყო მოსილი, კრიზისის დღეებში პიტსბურგელების საყვარელ საქმიანობად სწორედ ამ ოჯახისა და პირველ რიგში ენდრიუ მელონის გაქილიკება იქცა. დემოკრატები მას კვლავ ყველაზე დიდ ფინანსთა მინისტრს უწოდებდნენ, მაგრამ არა ჰამილტონის, არამედ ვილსონის მინისტრის, კარტერ გლასის შემდეგ, რომელიც მელონის უშუალო წინამორბედი იყო. საბოლოოდ, 1932 წლის 3 თებერვალს მელონის ულტრაკონსერვატიზმით დაღლილმა ჰუვერმა იგი ამერიკის ელჩად დანიშნა ინგლისში, რაც უდავოდ საპატიო გადადგომას ნიშნავდა. მელონსაც დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ეტყობა, მართლაც გადაიღალა, ინგლისი კი უყვარდა და საერთოდ ინგლისური ყაიდის ცხოვრება მოსწონდა.

II

მსოფლიოს უდიდესი ფილანტრობი უძღურია დაეხმაროს საკუთარ ხალხს

ამერიკული ინდივიდუალიზმისა და ამერიკული ხასიათის გადასარჩენად, სხვასთან ერთად, ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო საჭირო, კერძოდ კი, თვით ამერიკელთა ფიზიკური და მეტ-ნაკლებად მადლარი არსებობა. ამას კი კრიზისმა რეალური და სერიოზული საფრთხე შეუქმნა, იმავე მასობრივი უმუშევრობისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის არარსებობის გამო.

როგორც გვახსოვს, 1920-21 წლების კრიზისის დროს სწორედ ჰუვერი გამოდიოდა უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად, თითქმის ყველა თანხმდებოდა, რომ მაშინ ჰუვერმა ამ სფეროში გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე შრომის მინისტრმა. მაგრამ 1929-33 წლებში სულ სხვა ვითარება იყო და თუმცა ჰუვერს გაცილებით მეტი უფლებამოსილება გააჩნდა, მაგრამ პრობლემაც გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, 1932 წელს უკვე 13 მილიონი უმუშევარი იყო და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ, პირველად ამერიკის ისტორიაში, კოლეჯის დიპლომიც კი არ იძლეოდა უმუშევრობისაგან დაცვის გარანტიას. 1934 წლისათვის ათასობით ასეთი ადამიანი აღმოჩნდა უმუშევარი. შეიქმნა უმაღლესი სკოლის უმუშევარ კურსდამთავრებულთა ასოციაცია, რომლის რიგებში საუკეთესო უნივერსიტეტების აღზრდილებიც კი იყვნენ.⁵⁵

1930 წელს პრეზიდენტმა 6 მინისტრისგან შექმნა სათათბირო კომიტეტი, რომელსაც უმუშევრობის საკითხებზე უნდა ემუშავა. მოგვიანებით მან შექმნა საგანგებო საპრეზიდენტო კომიტეტი დასაქმებულობის პრობლემებზე, რომლის ხელმძღვანელადაც ნიუ-იორკის პოლიციის ყოფილი კომისარი, პოლკოვნიკი ვუდსი დანიშნა. ვუდსის განცხადებამ, რომ „მთავრობას შეუძლია აილოს თავის თავზე საერთო მოქმედების მხოლოდ მორალური მხარდაჭერა“ და „რომ რეალური ზომები უნდა გატარდეს ადგილობრივი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის საფუძველზე“ ყველაზე კარგად გამოხატავს ამ კომიტეტის არსს. კომიტეტი ამერიკის შტატებსა და ქალაქებში აგზავნიდა სხვადასხვა ცირკულარებს უმუშევართა დახმარების თაობაზე, ავრცელებდა ინფორმაციას ამ სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედების შესახებ, მენარმეებს ურჩევდა დასაქმებულობის შენარჩუნებას სამუშაო საათების შემცირების გზით, მოუნოდებდა დასაქმებულებს გადაერიცხათ ფული უმუშევართა დასახმარებლად, ანუ წმინდა რეკომენდაციული ხასიათის საქმიანობას ენეოდა, რაც ცუდი არ იყო, მაგრამ სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა. მისი შესაძლებლობები იმაშიც გამოიხატა, რომ არსებობის მანძილზე მისი ბიუჯეტი მხოლოდ 157 ათასი დოლარი იყო.⁵⁶ საბოლოოდ, კომიტეტი გააუქმეს კიდევ.

1931 წელს შეიქმნა უმუშევართა დახმარების საპრეზიდენტო ორგანიზაცია, რომელსაც წარმომადგენლობები ჰქონდა ყველა შტატში და უფრო ფართომასშტაბიან საქმიანობას ენეოდა, მაგრამ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი უოლტერ ჯიფორდი, ისევე, როგორც ვუდსი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ფედერალური მთავრობის საქმიანობის გააქტიურებას ამ სფეროში და კვლავ ადგილობრივი ხელისუფლების და შტატების ხელისუფლების იმედზე იყო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მან სენატორ კოსტიგანის კითხვაზე ვერ გასცა პასუხი და უმუშევართა და მშვიერთა მეტ-ნაკლებად ზუსტი რაოდენობაც კი ვერ დაასახელა.⁵⁷ საბოლოოდ, სენატმა 1932 წელს უარი უთხრა ამ კომიტეტს შემდგომ დაფინანსებაზე.

საინტერესოა თავისებური ევოლუცია, რომელიც უმუშევრებისადმი დახმარებამ განიცადა კრიზისის პერიოდში. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ კრიზისის დასაწყისისათვის ამერიკაში ფაქტობრივად არ არსებობდა რაიმე დახმარება უმუშევრებისადმი არც

ფედერალურ და არც შტატის დონეზე. ამერიკაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ფუნდამენტური გამოკვლევის (Recent Social Trends) ავტორები სიამაყით წერდნენ, რომ მთავრობა 752 მილიონს ხარჯავდა სოციალურ პრობლემებზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქედან 96% იყო ომის ვეტერანთა პენსია. მხოლოდ 4% იხარაჯებოდა სხვა სოციალური საჭიროებისათვის. კერძოდ კი, დახმარება ემიგრანტებისათვის, მეზღვაურებისადმი დახმარება და მათი მკურნალობის ხარჯები, ლატაკი ბავშვების უზრუნველყოფა, დახმარება ინდიელებისადმი და ა.შ.⁵⁸ 30 მილიონი დოლარიდან, რომელიც საზოგადოებრივ კეთილდღეობას ხმარდებოდა, 11,5 მილიონი — ინდიელთა სამედიცინო მომსახურებაზე იხარჯებოდა, 6,4 მილიონი — ციხეებისათვის, 4,9 მილიონი — სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა სამკურნალოდ, 2,9 მილიონი — ემიგრაციის საკითხების დასარეგულირებლად.⁵⁹

დახმარება ღარიბების, მარტოხელა დედების და ბავშვების, ბრმებისა და ინვალიდებისადმი მხოლოდ შტატის დონეზე წარმოებოდა.⁶⁰ 1929 წელს ხარჯები სოციალურ სფეროში სახელმწიფო ხარჯების მხოლოდ 18 პროცენტს შეადგენდა.⁶¹

როგორც დავინახეთ, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციები ძირითადად რეკომენდაციებითა და კოორდინაციით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ არსებობდა კონკრეტული გაჭირვება და კონკრეტული გაღატაკების მრავალრიცხოვანი ფაქტი, ანუ ადამიანები, რომელნიც ვერ დაელოდებოდნენ საერთო ვითარების გამოსწორებას და რომელთაც კონკრეტულ დროს კონკრეტული დახმარება სჭირდებოდათ, მათ შორის კონკრეტული საკვებით.

რა ხდებოდა ასეთ შემთხვევაში? გარდა ჩვეულებრივი ქველმოქმედებისა, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, კრიზისის დროს პირველ ნაბიჯად ინდივიდუალური ურთიერთდახმარება გამოიკვეთა. მართლაც, მეზობლები, ნაცნობები და მეგობრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ საკვებით, სესხით, უსახლკაროდ დარჩენილებს იკედლებდნენ და ა.შ. ეს მართლაც ღირსეული სოლიდარობა იყო და ამერიკელთა კეთილშობილებას მონშობდა. მაგრამ, როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ი. ბერნსატინი აღნიშნავდა, ასეთი დახმარება მეტად შეზღუდული ხასიათის იყო, თანაც მოთხოვნილებაზე კი არა, დამხმარე ადამიანთა შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. არადა მუშათა უმრავლესობა ერთ უბანში ცხოვრობდა და,

შესაბამისად, დამხმარეცა და დასახმარებელნიც ძირითადად ერთი შესაძლებლობების იყვნენ, უბრალოდ ერთს უფრო ადრე ითხოვდნენ სამსახურიდან, მეორეს კი ცოტა მოგვიანებით. ასე რომ, დამხმარე მალე თავად ხდებოდა დასახმარებელი.⁶² ბუნებრივია, ასეთი დახმარება მხოლოდ ძალზე მცირე ხნის მანძილზე იქნებოდა ეფექტიანი და მართლაც, სულ მალე მან თავისი შესაძლებლობები თითქმის სრულად ამოწურა.

კონკრეტული დახმარების ასპექტში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ საქველმოქმედო ორგანიზაციები, მართო ნიუ-იორკში 900 ასეთი საქველმოქმედო ორგანიზაცია იყო.⁶³ ნორმალურ ვითარებაში ეს, ალბათ, საკმარისი იქნებოდა, მაგრამ არა ასეთი კრიზისის დროს. სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ამერიკის დიდ ქალაქებში საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარება საერთო დახმარების 20-28 პროცენტი იყო.⁶⁴ ეს კი არ კმაროდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ორგანიზაციები და ფონდებიც ხომ შემოწირულობების საფუძველზე ივსებოდა. კრიზისმა ეს შემოწირულობები შეამცირა, დასახმარებელთა რაოდენობამ კი მნიშვნელოვნად იმატა.

უდიდეს საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა ეკლესია და თავის მრევლს მუდამ გვერდში ედგა, მაგრამ მისი სახსრებიც ძირითადად შემოწირულობებისგან შედგებოდა. მრევლი კი მეტად სწრაფად ღარიბდებოდა.

დანარჩენი დახმარება ადგილობრივ ხელისუფლებასა და შტატებზე მოდიოდა, მაგრამ მათაც მსგავსი ვითარება შეექმნათ, ვინაიდან მათი ბიუჯეტებიც გადასახადებიდან ივსებოდა, ხოლო მოსახლეობის გაღატაკების გამო ისინი მაინცადამანაც ვერ გაიზრდებოდა. თანაც ეს დახმარებაც ძალზე მწირი იყო. სენატის ერთ-ერთი ქვეკომიტეტის მონაცემებით, გამოკვლეულ 461 ქალაქში დახმარების საშუალო დონე თითო ოჯახზე მხოლოდ 6,07 დოლარი იყო კვირაში. სამხრეთის შტატებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იყო, მაგალითად, ჯორჯიაში — 2.43 დოლარი, ტენესიში — 3.6, არკანზასში — 4.2 და ა.შ.⁶⁵

ასე რომ, უმუშევრობის წყალობით, შიმშილის პირას მდგომი ხალხის დახმარების თითქმის ყველა წყარო იწურებოდა და ბოლო იმედი ფედერალური მთავრობა იყო.

საინტიერესოა, რას ფიქრობდნენ ყოველივე ამაზე ამერიკული ბიზნესის წარმომადგენლები. სავაჭრო პალატის ხელმძღვანელი იულიუს ბარნსი პუვერისადმი გაგზავნილ წერილებში, 1931 წლის შემოდგომაზე, ყურადღებას ამახვილებდა, მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან პრობლემებზე ამერიკაში. სხვა საკითხებთან ერთად, იგი უმუშევრობის პრობლემებს განიხილავდა და აღნიშნავდა, რომ ცხოვრების დონემ დაინია და უახლოეს მომავალში მისი გამოსწორების პერსპექტივაც არ ჩანდა. დასაქმებულობის შესანარჩუნებლად სთავაზობდა: ხელფასების შემცირებას 1929 წლის დონის 20 პროცენტამდე, იმ პირობით, რომ ყოველ წელს 5 პროცენტი მოემატებოდათ, დასაქმებულობის გადანაწილებას სხვადასხვა დარგებში, სამუშაო კვირის შემცირებას. განსაკუთრებით სტაბილურ დარგებში გარანტირებული სამუშაოს უზრუნველყოფას 40-45 კვირის მანძილზე მაინც, რათა მშრომელებს გაეზარდათ დანაზოგი. მიაჩნდა, რომ ასევე კარგი იქნებოდა, თუ დაქირავებულნი შედარებით სტაბილური შემოსავლის მქონე თანამშრომლებს სთხოვდნენ, დროებით სამუშაოს დატოვებას და სხვებისათვის დათმობას, თუნდაც მძიმე ზამთრის საგანგებო ვითარებაში, ანუ თავისებური, დროებითი როტაციის ჩატარებას, აეღოთ შევებულება, ემოგზაურათ ან სწავლისათვის დაეთმოთ ეს დრო. მიაჩნდა, რომ ამ პრობლემებს ანტიტრესტული კანონების შერბილებაც ნაადგებოდა.⁶⁶

ბუნებრივია, უმუშევრობის პრობლემის გადწყვეტაში ამერიკის შრომის ფედერაციაც გამოდიოდა თავისი ინიციატივებით, მაგალითად, პრეზიდენტისადმი გაგზავნილ მემორანდუმში აღწერილი იყო 1930 წლის ყოველწლიურ კონფერენციაზე ჩამოყალიბებული მოსაზრებები უმუშევრობის დაძლევის შესახებ:

1. სამუშაო საათების შემცირება;
2. მრეწველობის სტაბილიზაცია;
3. ეფექტური მენეჯმენტი წარმოებასა და გაყიდვაში;
4. ეროვნული მასშტაბის უმუშევრობის ბირჟა;
5. ადეკვატური ინფორმაცია დასაქმებულობისა და უმუშევრობის შესახებ;
6. საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება ციკლური კრიზისების დროს;
7. სპეციალიზაცია ტექნოლოგიური უმუშევრობის სფეროში;

8. დახმარების პროექტების შესწავლა;
9. განათლება ყველასათვის ცხოვრებისა და სამუშაოს სფეროში;
10. მოთხოვნა პრეზიდენტისადმი, რათა შეიქმნას საზოგადოებრივი სამუშაოების დაგეგმვის გრძელვადიანი კომიტეტი;
11. რკინიგზების კონსოლიდაცია გადამყიდველთა, მომუშავეთა და თემების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით;
12. უმუშევრობის დაზღვევის უარყოფა;
13. სამართლიანობის კანონპრექტის მხარდაჭერა სენატში;
14. მოთხოვნის კონგრესს მასკლ შოულსის საკითხის საზოგადოების ინტერესების დაცვით გადანყვეტა;
15. დაუფასდეთ მრეწველებს ერთგულება თეთრ სახლში მიღებული შეთანხმებისადმი, არ შეემცირებინათ ხელფასები;
16. ამ დროისათვის შეამცირონ ემიგრაცია.⁶⁷

ემიგრაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტიდან სახელმწიფო მდივანი ჰენრი სტიმსონი სიამაყით უპატაკებდა პრეზიდენტს, რომ არსებული მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე, სამინისტროს საკონსულო სამსახურები მაქსიმალურად ამცირებდნენ ემიგრაციის მსურველთათვის ვიზების გაცემას. მით უმეტეს, რომ 1924 წლის კანონი საკმაოდ მკაცრად ზღუდავდა ამერიკის მოქალაქეობის მსურველთა რაოდენობას. მაგალითად, ფისკალური წლის ბოლოს რომელიც 1932 წელს დასრულდა, გაიცა სულ 12 697 ვიზა კვოტირებული ემიგრაციის ხაზით მაშინ, როდესაც თვით ეს კვოტა 153 831 ვიზას გულისხმობდა. არაკვოტირებულ ვიზათა რაოდენობაც მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ წელს მხოლოდ 24 ათასამდე არაკვოტირებული საემიგრაციო ვიზა გაიცა, როდესაც წინა წელს 45 ათასი, იმის წინა წელს კი 107 ათასი იყო, ანუ წინა წლებთან შედარებით ვიზების რაოდენობა შემცირდა შესაბამისად 47,7 პროცენტით და 77, 6 პროცენტით. სახელმწიფო მდივანი ასევე წერდა, რომ ამერიკაში ეკონომიკური კრიზისის დროს ემიგრაციის შეზღუდვის შედეგად ვერ შემოვიდა დაახლოებით 500 ათასამდე ადამიანი, რომლებიც ნორმალურ ვითარებაში მიიღებდნენ ვიზებს.⁶⁸

ამერიკის შრომის ფედერაციის მოთხოვნების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ემთხვეოდა თვით ჰუვერის პოზიციებსაც, მაგრამ უკვე 1932 წელს იგივე ფედერაცია იძულებულია აღნიშნოს, რომ ქვეყანაში 11 მილიონი უმუშევარია და თუ ასე გაგრძელდა

1933 წელს მათი რიცხვი 13 მილიონს მიაღწევს და ასეც მოხდა. უილიამ გრინის მიერ გავრცელებულ ამ დოკუმენტში, რომელიც უმუშევრობის საკითხს ეხებოდა, ხაზგასმული იყო „არც ერთმა ზომამ, რომელიც აქამდე გატარდა, ოდნავადაც არ გააუმჯობესა ვითარება. სამუშაო საათების შემცირება, ეს პირველი ნაბიჯი უნდა იყოს.“⁶⁹ მიუხედავად ყველაფრისა, ფედერაცია მაინც აქტიურად თანამშრომლობდა თეთრ სახლთან და 1932 წლის 4 აგვისტოს წერილში გრინმა თავისი ახალი მოსაზრებები და რეკომენდაციები გაუგზავნა ჰუვერს, თანაც აღნიშნა, რომ ეს პირადი და საიდუმლო ხასიათის ინფორმაცია იყო. იგი პრეზიდენტს გარკვეულ რჩევებს აძლევდა, თუ როგორ შეეცვალათ მშრალი კანონი და, ამავე დროს, ნაკლებად დაზარალებულიყო ჰუვერის რეპუტაცია. ურჩევდა მთელი ეს პროცედურები კონგრესისათვის მიენდო. სახლთმშენებლობის სესხის ბანკთან დაკავშირებით სთავაზობდა ერთ-ერთი პროფკავშირის ლიდერის, არტურ უარტონის კანდიდატურას ამ ბანკის ხელმძღვანელად დაუქვებდა მას ნიჭსა და განსწავლულობას. დაუინებით ითხოვდა მრეწველთა და პროფკავშირთა ლიდერების კონფერენციის მოწვევას, რომელზეც განიხილებოდა სამუშაო კვირის შემოკლების (5 დღემდე), სამუშაოს დანაწილების და მძიმე შრომის საათების რაოდენობის შემცირების საკითხები არსებულ ეკონომიკურ ვითარებაში და ტექნოლოგიურ და სამრეწველო ცვლილებების პერიოდში. კიდევ ერთ პროფკავშირულ ლიდერს, ვინმე ჰაჩისონს გაუნია რეკომენდაცია შრომის საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო თანამდებობაზე, გაუგზავნა ფედერაციის რეკომენდაციები ორივე პარტიისადმი არჩევნების დროს. ისიც დასძინა, რომ, რიგ შემთხვევაში, ფედერაციის პოზიციები ეთანხმებოდა პრეზიდენტის გამოსვლების ტექსტებს. შეატყობინა აგრეთვე, რომ, როგორც წინა არჩევნებში, შრომის ფედერაცია 1932 წლის არჩევნებშიც ნეიტრალური იქნებოდა. ამავე დროს, თხოვა პრეზიდენტს ნითელი ჯვრისთვის ბამბის საბნების და ტანსაცმლის შესაკერად გათვალისწინებული დაკვეთა იმ ქარხნებს გადაცემოდა, სადაც ფედერაციის წევრები მუშაობდნენ.⁷⁰

უდავოდ საინტერესო რეკომენდაციები გაუგზავნა ამერიკის შრომის ფედერაციამ დემოკრატიულ პარტიას 1932 წლის არჩევნებთან დაკავშირებით.

დოკუმენტში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმული იყო ქვეყანაში არსებული კრიტიკული მდგომარეობა შრომისა და კაპიტალის ურთიერთობის სფეროში. შემდეგ კი ჩამოთვლილი იყო კონკრეტული მოთხოვნები:

1. ვინაიდან ანტიტრესტული კანონი ხშირად პროფკავშირების წინააღმდეგ გამოიყენებოდა, მოითხოვდნენ შესაბამის შესწორებებს ამ კანონში;
2. ნახშირის მოპოვებაში არსებული სერიოზული პრობლემების გამო მოითხოვდნენ დევის-კელის სამთო მრეწველობის სტაბილიზაციის კანონის მიღებას;
3. პროფკავშირთა ორგანიზების უფლებას, კოლექტიურ შეთანხმებებს და პროფკავშირების ფექტიანად მოქმედების უფლებებს;
4. ჯარში განვევისა და კონსკრიპტა სისტემის, მათ შორის სამრეწველო მიზნებით, გაუქმებას;
5. სიტყვისა და პრესის უფლებების უფრო მკაცრად დაცვას;
6. ხუთდღიან სამუშაო კვირას და მოკლე სამუშაო დღეს;
7. მაღალ ხელფასებს და ამერიკელთა დღიური თუ წლიური შემოსავლების შემცირების პროცესის შეჩერებას;
8. უმუშევრობის საკითხის გადასაწყვეტად კონგრესის მიერ უფრო დიდი თანხების გამოყოფას საზოგადოებრივი შენობების, წყალდიდობის სანინაალმდეგო სისტემების და ავტოსტრადების მშენებლობისათვის, ისევე როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. თუმცა ნორმალურ ვითარებაში, როდესაც დასაქმებულობა იარსებებს კერძო სექტორში, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს საზოგადოებრივი მშენებლობის პროგრამებისაგან. ფედერაცია თვლიდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეიმუშავა მეცნიერული და სისტემური გეგმა უმუშევრობასთან დაკავშირებით და მოითხოვდა ამ პრობლემის მეცნიერულ შესწავლას. ეს ტექნოლოგიური უმუშევრობის საკითხსაც ეხებოდა და მოითხოვდა იმ ხალხისათვის სამუშაოს მოძიებას, ვინც ახალი ტექნოლოგიების წყალობით დაკარგა სამუშაო;
9. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების საკითხის გადანყვეტას. ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენა;

10. დახმარებას უმუშევართათვის. ფედერალური თანხების გამოიყოფას დახმარების სააგენტოებისათვის. ფედერალური კრედიტების გამოიყოფას ქალაქებისა და შტატებისათვის ადგილობრივი პროექტებისა და მშენებლობის განხორციელებისათვის;

11. ემიგრაციის შეზღუდვის არსებული პოლიტიკის გაგრძელებას;

12. ბავშვთა შრომის შესახებ კონგრესის მიერ მიღებული შესწორების დამტკიცებას შტატების მიერ;

13. მოხუცთათვის პენსიების კანონის მიღებას ყველა შტატში და ფედერალურ დახმარებას იმ შტატებისათვის, რომლებიც ასეთ კანონებს მიიღებენ;

14. გაყიდვაზე გადასახადის შეცვლას სხვა გადასახადებით. კერძოდ კი გადასახადებით საკუთრებაზე, მემკვიდრეობაზე და ა.შ., ვინაიდან ეს გადასახადები უფრო მდიდრებს დაანებდა და არა ყველას, როგორც გადასახადი გაყიდულ საქონელზე.⁷¹

ასევე საინტერესო დოკუმენტია დურგალთა გაერთიანებული საძმოს გენერალური პრეზიდენტის უილიამ ჰაჩისონის რადიოგამოსვლა 1932 წლის 7 ნოემბერს. სხვათა შორის, ეს ის ჰაჩისონია, რომლის ფედერალურ თანამდებობაზე დანიშნვას ითხოვდა უგრინი. ამ გამოსვლაში ჰუვერის მიმართ ისეთი მხარდაჭერა იყო გამოსატული, რომ ის მართლაც კარგი კანდიდატი იქნებოდა პრეზიდენტისათვის. კერძოდ კი ჰაჩისონი:

1. იცავდა რესპუბლიკელთა სატარიფო პოლიტიკას — „სწორედ ეს გვიცავს მშვიდი უცხოელი მუშების კონკურენციისაგან“;

2. მიაჩნდა, რომ რაიმე ცვლილებები მმართველობაში, ამ კრიტიკულ სიტუაციაში, სერიოზულ გაუგებრობებს გამოიწვევდა. დემოკრატებს, თუ ისინი გაიმარჯვებდნენ, 7-8 თვე დასჭირდებოდათ ვითარებაში გარკვევისათვის. ამასობაში ეკონომიკური აქტივობაც კიდევ უფრო შემცირდებოდა;

3. იხსენებს ამერიკის შრომის ფედერაციის ლოზუნგს — „გვერდში დაუდგეთ ჩვენს მეგობრებს და ავირჩიოთ ისინი“. ამ პრინციპიდან გამომდინარე, სწორედ ჰუვერის მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს ყველა მუშას ამერიკაში. „მან დაგვიცვა ემიგრაციისაგან, როდესაც ამერიკაში ჩამოსვლა აქ მყოფთა ნათესავებს შეეძლოთ. მან დაიცვა მუშები, როდესაც რკინიგზის კომპანიებს ხელფასის შემცირება უნდოდათ 20 პროცენტით.

ასეთივე ვალი მართებთ მშენებლობის ბიზნესში დაკავებულებს, ვინაიდან ფედერალური შენობების შენებისას მან მათ მაღალი ხელფასები დაუნესა და დაიცვა მათი პრივილეგიები. რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაციის მეშვეობით უდიდესი თანხები გამოყო სამშენებლო სამუშაოებისათვის. მან დაიცვა ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ჩვენი ოჯახების კეთილდღეობას იცავენ. სახლთმშენებლობის სესხის ბანკებიც მან შექმნა და ხელი შეუწყო ახალ მშენებლობებს.“⁷²

მაგრამ, მიუხედავად ასეთი ხოტბისა, მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში უკვე აღინიშნა შიმშილობის ფაქტები. „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, რომ ვინმე ვილფორდების ოჯახი, რომელსაც საკვების შოვნის ყველა იმედი ამოენურა და მათხოვრობა არ სურდა, უკაცრიელ სახლში გამოიკეტა და ნელ-ნელა კვდებოდა შიმშილით.⁷³ დედა-შვილი მოლები კი 5 დღე დაეხეტებოდნენ ტყეში და ველური ხილით იკვებებოდნენ.⁷⁴ მსგავსი ფაქტები არც თუ იშვიათი იყო. ამერიკული ქალაქების ტიპურ სურათს წარმოადგენდა საქველმოქმედო ულუფის მოლოდინში მდგარ უმუშევართა უსასრულო რიგები.

მეტად ნიშანდობლივია ჟურნალ „ატლანტიკ მონსლიში“ გამოქვეყნებული ე.წ. ახალი პილიგრიმის ემოციები. „ათი დამქანცველი თვის განმავლობაში, რომლებიც უფრო ათ წელიწადს ჰგავდა, მე ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, გავაკეთე, რათა სამუშაო მეპოვნა. ზოგჯერ მეგონა, რომ ეს ჩემი ხასიათისა და პირადი შესაძლებლობების სისუსტით იყო გამოწვეული. მაგრამ მე არ ვიყავი ამაში დამნაშავე, აუხსნელმა საიდუმლო ძალებმა დამბლა დასცეს მთელ ერს. მე მხოლოდ ერთი ვიყავი მილიონი მსხვერპლიდან.“⁷⁵

კრიზისის თავისებურ სიმბოლოდ იქცა ე.წ. „ჰუვერვილები“. ეს იყო კარტონისა და ხის ყუთებისაგან აშენებული ნაგებობები, სადაც უმუშევრები ცხოვრობდნენ. ირონიულად მათ ჰუვერის სახელს უკავშირებდნენ. ჰუვერით ბევრი იყო უკმაყოფილო და ბევრი სწორედ მას აბრალებდა არსებულ პრობლემებს და მათ მოუგვარებლობას.

ასეთი უკმაყოფილების ტალღაზე ჰუვერს უკვე რალას არ აბრალებდნენ. სენატორმა მაკ კელერმა ჰუვერს ბრალი დასდო, რომ ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის სათავეში ყოფნისას,

1919 წელს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასახმარებლად გამოყოფილი 100 მილიონი დოლარიდან მან მხოლოდ 88 მილიონის გახარჯვის საბუთი წარადგინა, ანუ ბრალს სდებდა ჰუვერს დანარჩენი თანხის ან მითვისებაში, ან უყაირათო ხარჯვაში. ამის სანიანალმდევოდ აშშ-ის ხორბლეულის კორპორაციამ ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა, სადაც განერილი იყო, თუ რა ქვეყანაზე რამდენი დაიხარჯა ამ 100 მილიონიდან. ყველაზე მეტი პოლონეთს მოხმარდა — 51 მილიონი, შემდეგ ფინეთს — 8 მილიონ 281 ათასი, სომხეთს — 8 მილიონი, ჩეხოსლოვაკიას — 6 მილიონზე მეტი, რუსეთის არაბოლშევიკურ ნაწილს — 4 ნახევარი მილიონი და ა.შ. სულ 95 მილიონამდე. ანუ, პირიქით, ქვეყანას კიდევ ხუთი მილიონი დაუზოგაო და ეს თანხა ფინანსთა სამინისტროს ნამატის ფონდში გადავიდა.⁷⁶

სენატორის ამ განცხადებასთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ ივნიგ პოსტში“ 1930 წლის 20 დეკემბერს მძაფრი სტატია დაიბეჭდა, რომელიც ფაქტებითა და სტატისტიკით აბათილებდა სენატორის „ლაჩრულ მინიშნებებს“. საბოლოოდ, ავტორი ასკენიდა, „შეიძლება ხალხი იმედგაცრუებულია ჰუვერით, როგორც პრეზიდენტით, შეიძლება მას ლიდერის ნიჭი და პოლიტიკური გამოცდილება აკლია, მაგრამ მსოფლიოს ყველა სენატორი ერთად ვერ დააკნინებს იმ ღვანლს და მის ღირსებას ბელგიაში, ცენტრალურ ევროპასა და რუსეთში ჩატარებული გრანდიოზული სამუშაოსათვის. ნებისმიერი მცდელობა შებილწონ ჰუვერის ბრწყინვალე ქმედებები, მას უფრო დაეხმარება, ვიდრე ავნებს“.

1932 წელს ბინძური პასკვილი დანერა ჰუვერზე ვინმე არტურ ტრაინმა სათაურით „ჰუვერის უცნაური კარიერა ორი დროშის ქვეშ“, სადაც მას ბრალს სდებდა, რომ ის და მისი თანამშრომლები გამდიდრდნენ ბელგიაში და რომ მისი მემფეობით ბელგიაში შეტანილი საკვები გერმანელებმა გამოიყენეს. რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის ყოველკვირეული გამოცემა „რესპუბლიკელი“ კატეგორიულად უარყოფდა ამ ცილისწამებას და სხვასთან ერთად, როგორც ფრანგული და ინგლისური დაზვერვის, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს იშველიებდა.⁷⁷

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ არც ინდივიდუალური ურთიერთდახმარება, არც კერძო ქველ-

მოქმედება და არც ადგილობრივი და შტატების ხელისუფლების რესურსები საკმარისი არ იყო გრანდიოზული უმუშევრობის შედეგების გამოსასწორებლად და უმუშევართა დასახმარებლად. ყოველივე ამას მოჰყვა მასობრივი გამოსვლებისა და დემონსტრაციების ზრდა, რადიკალიზმის გავრცელება როგორც მემარცხენე, კომუნისტების და სოციალისტების სახით, ასევე მემარჯვენე, პროფაშისტური ორგანიზაციების მხრივ. ენყობოდა ე.წ. მშვიერთა მარშები შტატების დედაქალაქებსა და თვით ვაშინგტონშიც.

დრამატული მოვლენა იყო ე.წ. ბონუსის მარში, სადაც ვეტერანები ომში მონაწილეობისათვის დაპირებული კომპენსაციის ვადაზე ადრე გაცემას მოითხოვდნენ. 1924 წელს, კულიჯის ვეტოს მიუხედავად, კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, ომის ვეტერანებს გარკვეულ თანხას (1 დოლარი სამსახურის თითო დღეში, ოკეანისგალმა სამსახურისთვის კი მეტი), გადაუხდიდნენ I მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის, მაგრამ ეს 1945 წელს უნდა მომხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის ორ წელზე იყო საუბარი, თანხა 700-1000 დოლარის ფარგლებში მერყეობდა. რაც იმ დროისათვის არც თუ მცირე თანხა იყო. კრიზისის და უმუშევრობის გამო ვეტერანებმა მოითხოვეს ამ თანხის წინასწარ გადახდა უკვე 1931-32 წლებში. ამასთან დაკავშირებით ამერიკული ლეგიონის (ეს ორგანიზაცია 1919 წელს შეიქმნა I მსოფლიო ომის ვეტერანების მიერ და მილიონამდე კაცს ითვლიდა) ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი რობერტ კინგი ჰუვერს ვეტერანთა სახელით სთხოვდა ხელი მოწერა ვეტერანთა დასახმარებლად გამიზნული ყველა კანონისათვის. ომის დროს დაახლოებით 5 მილიონი მსახურობდა ჯარში და ბონუსი გადაარჩენდა მათ ამ კრიზისის დროს, ამასთან ეს 2 მილიარდამდე დოლარი ქვეყნის ეკონომიკაში დატრიალდება და მის გამოცოცხლებასაც დაეხმარებაო.⁷⁸

1932 წელს ტეხასელმა კონგრესმენმა რაიტ პეტმენმა შეიტანა კონგრესში პროექტი, რომელიც ფულის (2 400 მილიონი) გადახდას მაშინვე გულისხმობდა. ერთ-ერთმა ყოფილმა სერჟანტმა, ვალტერ ვატერსმა გადაწყვიტა რამდენიმე ასეულ მომხრესთან ერთად ვაშინგტონში ჩასულიყო, რათა მხარი დაეჭირა ამ ბილისთვის. მაგრამ ვაშინგტონში რამდენიმე ასეული კი არა, 20 ათასამდე ვეტერანი ჩაჰყვა. მათ ხუმრობით „ბონუსის საექსპედიციო ძალები“ დაარქვეს. თუმცა მთავრობამ ამას ყურადღება არ მიაქცია და ძველე-

ბურად მოქმედებდა. მაგალითად, ვეტერანთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ატყობინებდა ჰუვერს, რომ მისმა ბიურომ ბონუსის მარშის მონაწილეთა შტატებში არსებულ ბიუროს განყოფილებებს დაუგზავნა წერილები, რათა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მათთვის სამუშაო მოეძიათ. მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ბევრი ქალაქიდან მიღებულ პასუხებში ამის შეუძლებლობას აღნიშნავდნენ, ვინაიდან უმუშევრობის პრობლემა იმდენად ყოველსმომცველი იყო, რომ შეუძლებელად მიაჩნდათ ცალკეული ჯგუფების დახმარება საერთო ვითარების გამოსწორების გარეშე.⁷⁹

ბონუსის მარშის მონაწილეები, მათ შორის 700 ქალი და 400 ბავშვი, საკმაო ხანს დარჩნენ ვაშინგტონში, დაიკავეს დაცარიელებული სახლები, ყუთებისა და მანქანების ნარჩენებისაგან გააკეთეს საცხოვრებლები. სამწუხაროდ, 17 ივნისს სენატმა, უდიდესი უმრავლესობით უარყო პეტმანის ბილი. ბევრს ეგონა, რომ ამის შემდეგ ვეტერანები დაიშლებოდნენ, მაგრამ ძალზე ცოტა ნავიდა შინ. ჰუვერი კი კატეგორიულად უარობდა მათთან შეხვედრას და აცხადებდა, რომ ეს „დებოშიორების, ნაციზრებისა და კომუნისტების თავყრილობა იყო.“ სინამდვილეში კომუნისტები იქ ძალზე ცოტა იყვნენ და ვეტერანები მათ მიმართ ძალზე ცუდად იყვნენ განწყობილნი. თანაც ამ პერიოდში დანაშაულის დონე არამც თუ არ გაზრდილა ვაშინგტონში, არამედ შემცირდა კიდევ. პოლიციამ სცადა ბონუსის მარშის წევრთა გაყრა ქალაქიდან და ამ მცდელობაში ორი კაციც კი შემოაკვდა. მაშინ ჰუვერმა ბრძანა არმია გამოეყვანათ მათ წინააღმდეგ და მაქსიმალურად უმტკივნეულოდ დაეშალათ ეს თავყრილობა. მაგრამ ჯარისაკაცებს თავიანთი ლოგიკა და აზროვნება აქეთ, რომელიც განსაკუთრებულად უარყოფითად ვლინდება, როდესაც მათ მათთვის უჩვეულო, პოლიციურ ფუნქციებს აკისრებენ. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ მომავალში ცნობილი გენერალი დუგლას მაკარტური და მისი მოადგილე, მომავალში კიდევ უფრო ცნობილი გენერალი და პრეზიდენტიც, დაუაეტ ეიზენჰაუერი. ერთსაათიანი ულტიმატუმის შემდეგ კავალერიამ გაშიშვლებული ხმლებით, ქვეითებმა კი ხიშტებჩამოცმული შაშხანებით და ცრემლსადენი გაზით შეუტიეს ბონუსის არმიის საცხოვრებლებს. ამის შედეგად ერთი პატარა ბიჭი ხიშტით ფეხში დაიჭრა, მეორე ვეტერანი ბარდაყში, მესამეს ყური ჩამოათალეს

ხმლით, თერთმეტი თვის ბავშვი გაზით მოინამლა და მოგვიანებით გარდაიცვალა.

მაკარტური ამაყობდა ჩატარებული ოპერაციით და მართლაც, პატარა ბავშვის სიკვდილს თუ გამოვრიცხავთ, ოციათასიანი დასახლების დაშლა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა. მაგრამ ამერიკელებმა ეს ასე არ აღიქვეს. მით უმეტეს, რომ არმია ომის ვეტერანებსა და გმირებს გაუსწორდა, ანუ იმ ადამიანებს, რომლებითაც ამერიკას უნდა ეამაყა და ამაყობდა კიდევ. ბევრი მკვლევარი თელის, რომ ეს იყო ჰუვერის ადმინისტრაციის ყველაზე ცუდი ქმედება.

მთავრობა კი და, სხვათა შორის, კონგრესის დემოკრატების უმრავლესობაც, არ იყო მზად ახალი მასშტაბური ეტატიტური პოლიტიკის გატარებისათვის. მით უმეტეს, რომ სულ უფრო მნიფდებოდა უმუშევრთა სოციალური დაზღვევის პროგრამის შემუშავების აუცილებლობა.

ფერმერები, რომელნიც აყვავების წლებშიც კი დაიჩაგრნენ, კრიზისის დროს სულ გაჩანაგდნენ, მათი შემოსავალი 1929 წელს იყო 6 მილიარდი, 1930 წელს — 4 მილიარდი, 1931 წელს — 3 მილიარდი, ხოლო 1932 წელს 2 მილიარდამდე დაეცა⁴⁰. ამას დაემატა 1930 წლის საშინელი გვალვაც. ეს მოვლენები მეტად დრამატულად აღწერა ჯონ სტაინბეკმა თავის ცნობილ რომანში „მრისხანების მტევნები“.

ფერმერთა მძიმე მდგომარეობამ თვით აყვავების პერიოდშიც განაპირობა ჰუვერის წინასაარჩევნო დაპირება ფერმერთა ფედერალური საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც ფედერალური ფინანსების მეშვეობით შექმნიდა ფერმერთა კუთვნილ და მათ მათ მიერ კონტროლირებად მასტაბილირებელ კორპორაციებს. მისი აზრით, ეს დაიცავდა ფერმერებს დეპრესიისა და სეზონური ნამატისაგან.⁴¹ 1929 წლის 15 ივნისს ხელი მოეწერა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მარკეტინგის კანონს. ფერმერთა ფედერალური საბჭოს, რომელიც ამ კანონით შეიქმნა, გამოეყო 500 მილიონი დოლარი, რათა მას ეს თანხები ესესხებინა კოოპერატიული ასოციაციებისათვის, რომელნიც სოფლის მეურნეობის ნამატს შეისყიდინდნენ და ამით ამ პროდუქტებზე ფასების დაცემას შეაჩერებდნენ.

ფერმერთა ფედერალური საბჭოს პირველ შეხვედრაზე ჰუ-ვერმა განაცხადა, რომ „საბჭოს დიდი უფლებამოსილება და მშვენიერი რესურსები გააჩნია უდიდესი ამოცანების შესასრულებლად, რომელიც სოფლის მეურნეობის მრავალმხრივი პრობლემების გადაწყვეტაში გამოიხატება, მათ შორის, წარმოების უფრო რეალური მისადაგება მოთხოვნილებასთან, შექმნის მარკეტინგისათვის საჭირო მუდმივ საქმიან ინსტიტუტებს. საბჭომ უნდა უზრუნველყოს ფერმერთათვის სხვა დარგებთან თანასწორი შესაძლებლობები ამერიკის ეკონომიკურ სისტემაში — თუმცა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ უნდა ველოდეთ ვითარების ერთბაშად ჯადოსნურ გამოსწორებას. საუბარია გრძელვადიან პროცესზე.“ მიმართავდა რა საბჭოს წევრებს, ჰუვერმა ხაზი გაუსვა, რომ „თქვენ ისეთ უფლებებს, რესურსებს განიჭებთ, რომლის მსგავსი ფედერალურ მთავრობას ჯერ არც ერთი დარგისათვის არ მიუცია.“⁸² ჰუვერს კარგად ესმოდა, რომ დიდი კრიზისი სოფლის მეურნეობაში უკვე კარგახნის დაწყებული იყო და ამიტომაც ნავიდა ასეთ მართლაც უპრეცედენტო ნაბიჯზე. მაგრამ ოქტომბრის მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ვითარება. 1929 წლის 16 ნოემბერს სოფლის მეურნეობის მინისტრი წერდა ჰუვერს, რომ „ისედაც მძიმე მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო დამძიმდა საფონდო ბირჟაზე მომხდარი კოლაფსის შედეგად“. დაიწყო ფასების ვარდნა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ პროდუქტებზე და იგი დაახლოებით 7 პროცენტით შემცირდა. ეს კი წლიურ შემოსავალს 250 მილიონით შეამცირებდა. პრეზიდენტს ფერმერთა საბჭოს საქმიანობის გააქტიურებას სთხოვდა.⁸³ მაგრამ, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, იმის იმედი, რომ ფერმერთა ფედერალური საბჭო ამერიკის სოფლის მეურნეობას გადაარჩინდა, იმავეს ნიშნავდა, რომ დიდ კაცზე გათვლილი სამუშაო პატარა ბავშვისთვის დაევალებინათ. ფერმერთა ფედერალურმა საბჭომ შექმნა სტაბილიზაციური კორპორაციები სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხორბლეულსა და ბამბეულს, მაგრამ, როგორც ამერიკელი მეცნიერი ი. ბენედიქტი აღნიშნავდა, დახმარება მთელ სოფლის მეურნეობას სჭირდებოდა, ამიტომაც ბევრნი ამ დახმარებას ან ძალზე გვიან იღებდნენ, ან საერთოდ არ იღებდნენ, რაც, რასაკვირველია, ცუდად აისახა ამ საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობაზე.⁸⁴ გარდა ამისა, საბჭოს შესყიდვებმა სპეკულაციასაც შეუწყო

ხელი. სპეკულანტები საზღვარგარეთ იაფად, მსოფლიო ფასებში, ყიდულობდნენ პროდუქციას და შემდეგ სტაბილიზაციურ კორპორაციებზე ასაღებდნენ მაღალ ფასებში.⁶⁵ მართლაც, სულ მალე გაიკრევა დამატებითი თანხების გამოყოფის აუცილებლობა. უკვე 1930 წლის მარტში ჰუვერი კონგრესს დამატებითი 100 მილიონის გამოყოფას სთხოვდა საბჭოსათვის. სწორედ ამას აღნიშნავდა იგი საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლევისადმი გაგზავნილ წერილში.⁶⁶ ზოგიერთი ბიზნესმენი იმასაც ურჩევდა პრეზიდენტს, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ იგი არა 100 მილიონს, არამედ 250 მილიონს მოითხოვდა.⁶⁷

თუ 1930 წელს ჯერ კიდევ მოხერხდა გარკვეული ნონასწორობის შენარჩუნება ბაზარზე, უკვე 1931 წელს, როდესაც კრიზისის ჭეშმარიტი მასშტაბები გამოიკვეთა და ამ შესყიდული ნამატის მეტ-ნაკლებად მისაღებ ფასში გაყიდვის აღარავითარი შანსი არ იყო, საბჭომ ამ პროდუქციის დაბალ ფასებში გაყიდვა დაიწყო და კიდევ უფრო დანია არსებული ფასები, რითაც დახმარების ნაცვლად უფრო დაამძიმა მდგომარეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზარზე. თუმცა 1932 წელსაც საკმაოდ იყვნენ ისეთები, რომელთაც მთავრობის აქტიურობა ამ სფეროში მიუღებლად მიაჩნდათ. მაგალითად, კვების ბიზნესის წარმომადგენელი ჩიკაგოდან, ვინმე ჯორჯ კლარკი ურჩევდა პრეზიდენტს პირადად გამოსულიყო კონგრესში და 1929 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაღების კანონის სასწრაფო გაუქმება მოეთხოვა, ასევე სხვა ზომებიც შეეთავაზებინა, რომლებიც გამოიყვანდა ფედერალურ მთავრობას კერძო ბიზნესიდან. მისი აზრით, ეს უფრო გაზრდიდა ნდობას მოსახლეობაში, ვიდრე სხვა ზომები.⁶⁸

დიდი დარტყმა მიაყენა ამერიკელ ფერმერებს 1930 წლის გვალვამაც. ჰუვერმა დაზარალებული შტატების გუბერნატორთა კონფერენცია შეკრიბა და ამ შტატების ფერმერებს სერიოზული დახმარება აღმოუჩინეს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრმა არტურ ჰაიდმა 1930 წლის 27 აგვისტოს გვალვის საკითხებზე შეკრებილ სხდომაზე განაცხადა, რომ მის სამინისტროს აღნიშნული მიზნებისათვის, ანუ დაზარალებული რაიონების სესხებისათვის, 800 ათასი დოლარი ჰქონდა ბალანსზე. არსებული გადანყვეტილებით, ამ დახმარების მიღება შეეძლოთ მხოლოდ ვირჯინიას, მისურის, ოკლაჰომას და ალაბამას, თუმცა სახსრების

უკმარისობის გამო არ შეეძლოთ სესხების გაცემა დასავლეთ ვირჯინიაზე, მერილენდზე, კენტუკიზე, არკანზასზე, მისისიპისა და ლუიზიანაზე, რომლებიც ასევე მოითხოვდნენ დახმარებას. ფედერალური სარეზერვო საბჭოს ხელმძღვანელი რ. იანგი ამბობდა, რომ სისტემა გარკვეულ მხარდაჭერას აღმოუჩინდა იმ ბანკებს, რომლებიც გვალვით დაზარალებულებზე გასცემენ სესხებს.⁸⁹ თავის გამოსვლაში 5 აგვისტოს, ჰუვერი ხაზს უსვამდა, რომ ფედერალური მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა გვალვით დაზარალებული რაიონების ადგილობრივ ხელისუფლებას დაეხმაროს. ამავე დროს, იგი თხოვდა რკინიგზის მესვეურებს გამოეკვლიათ ამ მიმართულებით არსებული სატრანსპორტო პრობლემები.⁹⁰

კრიზისისაგან დაზარალებულ ფერმერებს ასეთი დახმარება არ მიუღიათ, ვინაიდან ისინი მიეკუთვნებოდნენ არა ბუნების სტიქიით, არამედ ეკონომიკური ბაზრის სტიქიით დაზარალებულთა კატეგორიას.

თითქოს 1924 წელს მიღებული ფორდნი-მაკომბერის სატარიფო კანონი, პირველ რიგში, ფერმერთა ინტერესების დასაცვად იყო მიღებული, მაგრამ კრიზისის პერიოდისათვის ამერიკის სოფლის მეურნეობის პროდუქცია არ აღმოჩნდა დაცული რაიმე სერიოზული სატარიფო ბარიერით და იგი უცხოურ, შედარებით იაფ პროდუქციას არა მარტო საერთაშორისო, არამედ ზოგჯერ საშინაო ბაზარზეც ვერ უწევდა კონკურენციას. მნიშვნელოვანი განსხვავება სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიიაფესა და სამრეწველო ნაწარმის შედარებით სიძვირეს შორის კიდევ უფრო დაბლა სწევდა ფერმერთა მსყიდველობით უნარს, იზრდებოდა მათი საიფოთეკო დავალიანებაც, შესაბამისად, მცირდებოდა მათი შემოსავლებიც. ასე რომ, ფერმერთა ფედერალურმა საბჭომ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქმედება კრიზისის პერიოდში ძირითადად ინდივიდუალისტური ხასიათის ზომებით შემოიფარგლებოდა. ეს იყო კონფერენციების მოწვევა და საინფორმაციო ბროშურების გამოცემა, მონოდებები ფერმერებისადმი, ეკონომიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მათი ნათესების შემცირების შესახებ და ა.შ. მაგრამ მონოდებები მონოდებებად რჩებოდა და შედეგი მინიმალური იყო. არც ადმინისტრაცია და არც დიდი ბიზნესი არ აპირებდნენ მართლაც რომ მასშტაბური ეტატი-

ტური ზომების გატარებას. ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ ვერ გაეაზრებინათ, რომ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობდა.

III

1932 წლის არჩევნები – მართვის ორი ფილოსოფიის შეჯახება

თითქმის ისევე როგორც პროსპერიტის პერიოდში, სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები 1932 წლის გაზაფხულზეც დაჟინებით მოუწოდებდნენ ჰუვერს შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები და დაებალანსებინა ბიუჯეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკის ეკონომიკა განადგურდებოდა, მათ შორის უმუშევრობის პრობლემაც გართულდებოდა და ა. შ. მსგავსი მოთხოვნები მოუვიდა პრეზიდენტს ტეხასის ბამბის ასოციაციიდან (11 აპრილი), ბერკლის სავაჭრო პალატიდან (2 მაისი), კერძო პირი ვინმე ჰარი მილერისაგან (4 მაისი), კანზასში ქალაქ ტოპეკას სავაჭრო პალატი-საგან (6 მაისი), ამერიკის ბამბის მწარმოებელთა ასოციაციისაგან (21 მაისი), ნიუ-იორკის სავაჭრო საბჭოს შეხვედრის რეზოლუცია (17 მაისი), მორისტონის სავაჭრო პალატისაგან (16 მაისი), ბლუმინგტონის (ინდიანა) სავაჭრო პალატისაგან და მრავალი სხვა. ზოგიერთები იმასაც თხოვდნენ, რომ სამხედრო მანევრებში არ დაეხარჯა ფული, ზოგი მშრალი კანონის დაცვისათვის გამოყოფილ თანხებს ასაჩივრებდა, ანუ კონსერვატორები კვლავაც საკმაოდ ბევრნი იყვნენ და დიდი გავლენაც გააჩნდათ. ეს წერილები სათუთად არის შენახული ჰუვერისეულ არქივში, ვინაიდან ეთანხმებოდა თავად ჰუვერის მოსაზრებებს.⁹¹

რესპუბლიკელთა ყოველკვირეული ორგანო „რესპუბლიკელი“ ინტენსიურად აქვეყნებდა ჰუვერის მომხრეთა მოსაზრებებს. მაგალითად, კენტუკის შტატის რესპუბლიკურ კომიტეტს ცამდე აჰყავდა ჰუვერი, აღნიშნავდა მის „უდიდეს ინტელექტს და დიდ გამოცდილებას, ორგანიზაციულ ნიჭს“. ტენესის ორგანიზაცია ჰუვერის მმართველობას „ბრძნულს, არაეგოისტურს და პატრიოტულს უწოდებდა.“⁹² იგივე გამოცემა აღნიშნავდა, რომ ჰუვერმა რეკონსტრუქციის, რეაბილიტაციისა და აღორძინების ყველაზე ეფექტური პროგრამა შეიმუშავა და განახორციელა, ვიდრე ეს

რომელიმე სხვა პრეზიდენტს გაუკეთებია. პირველი იყო უმუშევართა დახმარების ორგანიზაცია, შემდეგ ეროვნული საკრედიტო ასოციაცია, შემდეგ გაზარდა ფერმერთა სესხების ბანკების კაპიტალი, შემდეგ სახლთმშენებლობის სესხების დისკონტური ბანკების შექმნის ინიციატივით გამოვიდა და ყოველივე ეს რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაციის შექმნით დააგვირგვინა. პუვერის თაყვანისმცემელთა აზრით, ეს ქმედებები კი უკვე შედეგებსაც იძლეოდა, მაგალითად, ფორდმა ახალი, მოდელი 8-ის გამოშვება დაიწყო და რამდენიმე ათასი კაცი, ალბათ, დაუბრუნდება სამუშაოს, „ჰადსონ მოტორ ქარ კომპანიი“ დაუბრუნდა სრულ რეასათიან სამუშაო დღეს და ექვსდღიან სამუშაო კვირას. პაკარდის კომპანია ბოლო სამი წლის მანძილზე უდიდესი რაოდენობის ხალხს ქირაობს. კომპანია „გრეჰემ ფეიჯმა“ 1930 წლის შემდეგ პირველად მრავალი ახალი მუშის დაქირავება დაიწყო. ასევე გაზარდეს წარმოება კრაისლერმა და შევეროლეტმა და ა.შ.⁹³ შეიძლება ზოგიერთმა კომპანიებმა მართლაც გააუმჯობესა თავიანთი ეკონომიკური მაჩვენებლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უფრო გამონაკლისი იყო ვიდრე წესი.

ერთი სიტყვით, 1932 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს ამერიკელები უმძიმეს მდგომარეობაში შეხვდნენ. საჭირო იყო მართლაც სერიოზული, შეიძლება ითქვას, რადიკალური ცვლილებები, თორემ კარზე შეიძლება რევოლუციას მოეკაკუნებინა. (კრიზისი გერმანიაში ნაცისტების გამარჯვებით დამთავრდა, საფრანგეთში მეტად ძლიერი მემერცხენე მოძრაობა იყო და ქვეყანა ძლივს გადაურჩა სახელმწიფო გადატრიალებას. თავისი დემოკრატიული ტრადიციებით ცნობილი ინგლისიც ახლოს იყო სოციალურ ქაოსთან). კრიზისის დროს არაეფექტური მოქმედებისთვის რესპუბლიკელებმა ჯერ კიდევ 1930 წლის არჩევნებში დაკარგეს უმრავლესობა კონგრესში. ადვილი წარმოსადგენია დამოკიდებულება მათ მიმართ 1932 წელს.

დემოკრატიულ პარტიას კი ოპოზიციური პარტიის იმიჯი ძალზე შევლოდა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში. მით უმეტეს, რომ დემოკრატიული პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე გახდა ნიუ-იორკის შტატის მეტად ნიჭიერი და აქტიური გუბერნატორი ფრანკლინ დელანო რუზველტი. რუზველტმა საკმაოდ ეფექტური ანტიკრიზისული ზომები გაატარა თავის შტატში

და, ჰუვერისაგან განსხვავებით, მოქნილი პოლიტიკოსი და კარგი ორატორი იყო. თავის საარჩევნო კამპანიისას მას რაიმე განსაკუთრებული კონკრეტული გეგმა არ გააჩნდა, მაგრამ აცხადებდა, რომ კრიზისის გადასაწყვეტად სერიოზული პოლიტიკური ექსპერიმენტებია საჭირო, თუნდაც წარუმატებლობის რისკის მიუხედავად.⁵⁴ თავის გამოსვლებში იგი ხაზს უსვამდა, რომ რესპუბლიკურ პარტიას დააფინანსდა — აყვავება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ყველა რგოლის კეთილდღეობის შემთხვევაში.⁵⁵ ამით მიანიშნებდა, რომ რესპუბლიკელები, პირველ რიგში, მსხვილი კაპიტალის ინტერესებს იცავდნენ. სწორედ რუზველტს ეკუთვნოდა იდეა ე. წ. „დავინყებელი ადამიანის“ შესახებ, რომელიც გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებდა. აკრიტიკებდა რა რესპუბლიკელთა მოუქნელობას და მათ კონსერვატულ მოსაზრებას, რომ ეკონომიკის კანონები თვითონ დაარეგულირებს ვითარებას, რუზველტი აღნიშნავდა — სანამ ისინი ეკონომიკურ კანონებზე ყბედობენ, კაცები და ქალები შიმშილობენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკის კანონები ბუნებამ კი არა, ადამიანმა შექმნა.⁵⁶

მიუხედავად ყველაფრისა, დემოკრატთა კონვენტზე რუზველტი მხოლოდ მეოთხე კენჭისყრის შემდეგ გავიდა კანდიდატად. მას განსაკუთრებით ქალაქ ნიუ-იორკის პარტიული აპარატი, ე.წ. ტამანი ჰოლი დაუპირისპირდა. მაგრამ, ეროვნული მასშტაბით, ამან პირიქით, კარგი სამსახური გაუწია, ვინაიდან ტამანი ჰოლი ცნობილი იყო თავისი კორუფციით და სხვა შტატების პარტიულ აპარატებზე ზეგავლენის მცდელობით. ამიტომაც, ტამანის ჯინაზე, მისურის, ტენესის, ვირჯინიის, ტეხასის და მისისიპის დელეგატებმა რუზველტს დაუჭირეს მხარი.

როგორც პლატფორმა, ასევე თვით რუზველტის გამოსვლები ერთ მნიშვნელოვან ასპექტში განსხვავდებოდა რესპუბლიკელებისაგან. იგი უფრო დადებითად აფასებდა ფედერალური ხელისუფლების გააქტიურებას კრიზისის მოგვარების საქმეში. რუზველტი ეკონომიკურ სტრუქტურებზე კონტროლის ზრდასაც მოითხოვდა, ბუნებრივია, არსებული სისტემის ფარგლებში. საინტერესოა განსხვავება სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში. დემოკრატები ამ ეტაპზე ვერ ბედავდნენ სოციალური უზრუნველყოფის ფედერალურ დონეზე შემოღებას, მაგრამ აქტიურად უჭერდნენ მხარს

უმუშევართა სოციალურ დაზღვევას შტატების დონეზე მაშინ, როცა რესპუბლიკელები ამის წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ.

ალსანიშნავია, რომ რუზველტი, ჯერ კიდევ გუბერნატორობის პერიოდში, აქტიურად თანამშრომლობდა წამყვან მეცნიერებთან ეკონომიკის დარგში. სწორედ მაშინ შეიქმნა ე.წ. „გონებრივი ტრესტი“, რომელმაც შემდეგ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა „ახალი კურსის“ კონკრეტული ნაბიჯების შემუშავებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელმა მეცნიერებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის გადარჩენის საქმეში. ესენი იყვნენ ძირითადად, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორები — რაიმონდ მოლი, რექსფორდ ტაგველი, ადოლფ ბერლი და სხვები.

1932 წლის 21 ოქტომბერს, წინასაარჩევნო გამოსვლაში, რესპუბლიკელი სენატორი დელავერიდან, დანიელ ჰასტინგსი ხაზს უსვამდა, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი არჩევნები. ძალიან ბევრი რამ არის დადებული სასწორზე. არჩევნების შედეგი პარტიულ დაპირისპირებაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ხაზს უსვამდა, რომ ჰუვერი ათასჯერ უფრო გამოცდილი ადამიანი იყო, ვიდრე რუზველტი. სენატორი აღშფოთებული იყო, რომ დემოკრატები რესპუბლიკელებს სწორედ იმაში ედავებოდნენ, რითაც ისინი ამყობდნენ, კერძოდ კი დემოკრატთა პლატფორმა ჰპირდება ამომრჩეველს, რომ მთავრობაზე და მთავრობის მიერ განეულ ხარჯებს ერთი მილიარდით შეამცირებდა, გააუქმებდა, მათი აზრით, სხვადასხვა უაზრო კომისიებს. სენატორი კონკრეტულ პასუხს მოითხოვდა, თუ დემოკრატებს მართლაც აქვთ ასეთი კონკრეტული გეგმა, თქვან ეს არჩევნების წინ და ვნახოთ, რა ხმებსაც მიიღებენო.⁹⁷ მართლაც, როცა დემოკრატები მოვიდნენ ხელისუფლებაში უზარმაზრი ხარჯები გაიღეს და ალბათ აუცილებელიც, მაგრამ ასეთი დემაგოგია პოლიტიკაში არც თუ იშვიათია.

ჰუვერის ადმინისტრაციის ახალმა ფინანსთა მინისტრმა ოგდენ მილსმა, თავის წინასაარჩევნო გამოსვლაში 1932 წლის 2 ნოემბერს აღნიშნა, რომ ნიუ-იორკის დემოკრატიული ადმინისტრაციები განუხრელად ზრდიდნენ შტატის ხარჯებს. 1919 წლიდან 1931 წლამდე ხარჯები 305 პროცენტით გაიზარდა. ხარჯების ზრდა ნიუ-იორკში მხოლოდ 1921-22 წლებში შემცირდა ცოტა ხნით, როდესაც ნიუ-იორკს რესპუბლიკელები მართავდნენ. მილსის მონაცემებით, უშუალოდ რუზველტის გუბერნატორობის წლებში შტატის ხარ-

ჯები გაორმაგდა 14 მილიონიდან 29 მილიონამდე. შედეგად ნიუ-იორკის შტატის ვალმა 327 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც ადასტურებდა, რომ დემოკრატები საშინელი მფლანგველები იყვნენ. მაგრამ მილს ავიწყებოდა, რომ იმ დროს, როდესაც ბიზნესი უძლური აღმოჩნდა, ხალხს სწორედ სახელმწიფო, საბიუჯეტო თანხების იმედილა დარჩა და მსგავსი, ინდივიდუალისტური იდეების პროპაგანდა უკვე საპირისპირო შედეგის მომტანიც კი იყო. მილსი რუზველტის პოლიტიკური ბიოგრაფიას უსახურად მიიჩნევდა — ერთი ვადა შტატის სენატში, შემდეგ დაქვემდებარებული თანამდებობა საზღვაო სამინისტროში, დაბოლოს, ორი ვადით ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორობა, მილსის აზრით, არ იყო საკმარისი გამოცდილება არსებულ კრიტიკულ ვითარებაში. საინტერესოა, მილსის წინასწარმეტყველება, რომ რუზველტი იმდენად უსახური გუბერნატორი იყო, რომ მისი სახელი ერთ ორ წელიწადში არავის ემახსოვრება, ისევე, როგორც მრავალი სხვა გუბერნატორის სახელებიო. იშველიებდა აგრეთვე ვალტერ ლიპმანის სიტყვებს, რომ რუზველტის მმართველობა გუბერნატორის პოსტზე იყო უინიციატივო, ურისკო და მან ლიდერობის არავითარი უნარი არ გამოავლინა.⁹⁸

ჰუვერს ზოგიერთი ცნობილი დემოკრატიც უჭერდა მხარს. მაგალითად, დადლი მელოუნი, ნიუ-იორკელი იურისტი და პარტიის აქტივისტი, ხაზს უსვამდა, რომ ისიც და მისი წინაპრებიც დემოკრატები იყვნენ ბოლო ხანებამდე და ახლაც დემოკრატიული პარტიის იდეალების ერთგული რჩებოდა, მაგრამ არსებულ ვითარებაში ქვეყანას სწორედ ჰუვერის სადარი ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა. ხოლო ახალ დემოკრატ პრეზიდენტს 4 წელიც არ ეყოფა მსგავსი გამოცდილების დასაგროვებლადო. მისი აზრით, თანამედროვე სამყაროს ვერც ერთი მოღვაწის ნიჭი და გენია, მათ შორის ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ მაკდონალდის, გერმანიის კანცლერ შტრეზემანის და იტალიის ლიდერის მუსოლინის, ვერ შეედრებოდა ჰუვერისას.⁹⁹

1920 წლის არჩევნებისაგან განსხვავებით, როდესაც ორივე კანდიდატი საკმაოდ უსახური პოლიტიკოსი იყო, 1932 წელს ერთმანეთს ღირსეული მონინააღმდეგენი დაუპირისპირდნენ და ბევრი რამ მათ პირად პაექრობაზე იყო დამოკიდებული. მით უმეტეს, რომ, როგორც ჰუვერი ამბობდა — „ეს კამპანია არ არის უბრალო

კამათი ორ ადამიანს შორის. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ბრძოლა ორ პარტიას შორის, ეს არის მართვის ორი ფილოსოფიის შეჯახება".¹⁰⁰ მართლაც, სწორედ ამ თემაზე ჰქონდა ორივე კანდიდატს მეტად საინტერესო გამოსვლები.

1932 წლის 23 სექტემბერს სან-ფრანცისკოში გამოსვლისას რუზველტი აღნიშნავდა, რომ ახალ ვითარებაში მთავრობას ახალი როლი უნდა დაკისრებოდა და იგი გაცილებით უნდა გააქტიურებულიყო. იგი ამერიკული საზოგადოების სტრუქტურის სერიოზული ცვლილებისაკენ მოუწოდებდა. გარკვეული ისტორიული ექსკურსი-სას, აღნიშნავდა, რომ XIX საუკუნისაგან განსხვავებით, რომელიც დიდი რაოდენობის აუთვისებელი მიწების, მცირე მოსახლეობისა და შედარებით მცირე მრეწველობის წყალობით თანახსოვრ შესაძლებლობებს უზრუნველყოფდა ყველასათვის, XX საუკუნის ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში რეალური ხელისუფლება მსხვილი კაპიტალის ხელთ აღმოჩნდა კონცენტრირებული, რომელიც XX საუკუნის დესპოტად იქცა. კორპორატიული კაპიტალიზმის ურთულეს მექანიზმში ცალკეულმა ადამიანმა დაკარგა თანაბარი შესაძლებლობების გარანტიები და მთლიანად იყო დამოკიდებული ამ კორპორატიულ გაერთიანებებზე. რუზველტის მონაცემებით, 600-დე კორპორაცია აკონტროლებდა ამერიკის მრეწველობის 2/3-ს მაშინ, როდესაც მცირე ბიზნესი, რომელიც 10 მილიონ კაცს ითვლიდა მრეწველობის მხოლოდ 1/3-ს აკონტროლებდა.¹⁰¹ რუზველტის აზრით, სწორედ კორპორაციების წარუმატებლობა და სოციალური უპასუხისმგებლობა იყო მოსახლეობის ძირითადი ნაწილის გალატაკების მიზეზი ... „თუ ადრე ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების მეტისმეტ თავნებობას ვეჯახებოდით (იგულისხმება ბრიტანული მმართველობა - ვ.კ.), ახლა ჩვენი ამოცანაა ჩვენი ეკონომიკური გაერთიანებების დახვეწა და კონტროლი. " ამ მხრივ ვუდრო ვილსონის პროგრესისტულ მემკვიდრეობასაც იხსენებდა. სახელმწიფოს ამოცანას ბიზნესის მიმართ იგი ხედავდა „ეკონომიკურ უფლებათა დეკლარაციის გამოცხადებაში" და „ეკონომიკური კონსტიტუციური წესრიგის დამყარებაში". იგი თვლიდა, რომ დადგა „განათლებული მმართველობის დრო".¹⁰² როდესაც ამ მიზნით ჩვენ შევზღუდავთ სპეკულანტების ოპერაციებს, მაქინათორებსა და შეიძლება ფინანსისტებსაც, მე მჯერა, რომ ეს ქმედებანი აღიქმება არა როგორც დაბრკოლება ინდივიდებისათვის, არამედ როგორც მათი დაცვა. საუბრობდა რა

უზარმაზარი ეკონომიკური მექანიზმის რეგულირების შესახებ, იგი მიუთითებდა, რომ თვით ბიზნესმენებიც თანდათან ხვდებოდნენ ამის აუცილებლობას და თავისი დამოუკიდებლობის გარკვეული შეზღუდვაც კი მისაღებად მიაჩნდათ.¹⁰³

მიუხედავად ასეთი თამამი ფრაზებისა, სერიოზული ფედერალური რეგულირება მას უკიდურეს ზომად ესახებოდა, თუმცა არც თუ არარეალურად.¹⁰⁴ როგორც რუზველტის ბიოგრაფი აღნიშნავს, ამ გამოსვლაში არ იყო „ახალი კურსის“ დეტალური გეგმა, მაგრამ ეს უკვე მისი გარკვეული ფილოსოფიური საფუძველი იყო. სახელმწიფოს, არსებული სისტემის ფარგლებში, საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად რეგულატორის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

ამ მხრივ რუზველტი ჯეფერსონისა და ვილსონის მსოფლმხედველობას ეყრდნობოდა და ცდილობდა მის მისადაგებას არსებულ რეალობასთან.¹⁰⁵ მართალია, სკეპტიციზმი ინდივიდუალიზმის დ მათ შორის რეგულირებადი ინდივიდუალიზმის მიმართ უკვე არაერთხელ გამოითქვა და არა მარტო ლიბერალური ინტელიგენციაში, არამედ მსხვილ კაპიტალისტთა გარკვეულ ნაწილშიც, მაგრამ ამჯერად აქტიური სოციალური მანევრირების ინიციატორად ქვეყნის მეორე წამყვანი პოლიტიკური პარტიის ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი გამოდიოდა.

აღნიშნული გამოსვლის ოპონირება ჰუვერმა 23 ოქტომბერს ნიუ-იორკში გამოსვლისას სცადა, განაცხადა რა, რომ რუზველტი ცდილობდა ქვეყანაში ჩამოყალიბებული მმართველობის მეთოდების დანგრევას და ამას უსაგნო საუბრად მიიჩნევდა. თავის მომხრეებს ჰუვერი მოუწოდებდა, რომ არ აპყლოდნენ დროებით სიძნელეებს და დემაგოგიურ აგიტაციას, რათა არ დაემსხვრიათ ამერიკული დემოკრატიის სისტემა, რომლის შექმნასაც 150 წლიანი უმძიმესი შრომა დასჭირდა, „ნუ დაგვავეინყდება, რომ ამერიკული სისტემის მთავარი კონცეფცია არა რეგლამენტაცია და ადამიანების შეზღუდვა, არამედ თავისუფალი ინდივიდუუმების თანამშრომლობაა.“¹⁰⁶ ჰუვერის აზრით, ფედერალური ხელისუფლების „რეაქციულმა“ ჩარევამ ქვეყნის საქმიან ცხოვრებაში შეიძლება მოიტანოს დროებითი შემსუბუქება, მაგრამ ეს მეტისმეტად მაღალი ფასი იქნება ამისათვის. ამას მოჰყვება კორუფციის და ბიუროკრატიზმის ზრდა, პირადი ინიციატივის დაკარგვა, თანაბარ შესაძლებლობათა დავინყება.¹⁰⁷

საინტერესოდ წარიმართა დისკუსია ისეთ პრინციპულ საკითხებზე, როგორცაა ბალანსირებული ბიუჯეტი და ეკონომიის პოლიტიკა. ფორმალურად ორივე მხარე ეკონომიის და ბალანსირებული ბიუჯეტის მომხრე იყო. რუზველტი ახერხებდა და ბრალს სდებდა რესპუბლიკელებს სახელმწიფო ხარჯების ზრდაში და ახსენებდა, რომ მარტო ვაჭრობის სამინისტროს ხარჯები ომამადელი 13 მილიონიდან, 1932 წელს 43 მილიონამდე გაიზარდა.¹⁰⁸ ბუნებრივია, რესპუბლიკელებს დეფიციტის ზრდაც გაუხსენა, თანაც ხაზი გაუსვა, რომ ამის ხარჯზე დახმარება ძირითადად დიდ ბიზნესს გაუწიეს. მისი აზრით, ეკონომიკის გამოიცოცხლება „არა ზემოდან, არამედ ქვემოდან“ უნდა დაწყებულიყო. შესაბამისად, მოითხოვდა საგადასახადო პოლიტიკის გადახედვასაც. დაბალანსებული ბიუჯეტის მისაღწევად იგი სახელმწიფო ხარჯების 25 პროცენტით შემცირებას და ლუდზე გადასახდის დაწესებას პირდებოდა. თუმცა ისიც მიაყოლა, რომ, თუ ამერიკელთა გაჭირვება და შიმშილი გაგრძელდება, იგი არ მოერიდება ფედერალური ხარჯების ზრდას მათ დასახმარებლად.¹⁰⁹

ამაზე, აღშფოთებულმა ჰუვერმა უპასუხა „ამ ხარჯებზე ფიქრით ვცხოვრობ: დილით, დღისით და ღამით, დღე არ გადის მათზე ზრუნვის გარეშე.“¹¹⁰ რესპუბლიკელებს ისიც უკვირდათ, თუ როგორ აპირებდნენ დემოკრატები ბიუჯეტის დაბალანსებას, ხარჯების განუწყვეტელი ზრდის მოთხოვნით.

ვინაიდან დიდი ბიზნესისადმი, სხვებისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული დახმარების დაბრალება საკმაოდ სერიოზული ბრალდება იყო, ჰუვერი შეეცადა მაქსიმალურად მკვეთრად დაესაბუთებინა თავისი პოზიცია, — „რუზველტმა მშვენივრად იცის, რომ სადაზღვევო კომპანიებისადმი დახმარების ერთადერთი მიზეზი, ეს პოლისების მფლობელთა ინტერესებზე ზრუნვაა; მან მშვენივრად იცის, რომ ბანკებისადმი დახმარების მიზეზი, ეს ამ ბანკებში ჩადებულ ფულსა და იმ ხალხზე ზრუნვაა, ვისაც კრედიტები სჭირდება; მან მშვენივრად იცის, რომ ფერმერულ-დამგირავებელი კომპანიებისადმი დახმარების მიზეზი, ფერმერებზე ზრუნვაა, რათა მათ შეინარჩუნონ საკუთარი სახლები და ფერმები; მან მშვენივრად იცის, რომ დახმარება სამშენებლო და მსესხებელი ასოციაციებისადმი — ეს სახლებისა და შენატანების შენარჩუნებაზე ზრუნვაა; მან მშვენივრად იცის, რომ ბიზნესმენისადმი დახმარება, ეს მუშის

სამუშაო ადგილით უზრუნველყოფას ნიშნავს; მას მშენებრივად ესმის, რომ სესხები შტატებისადმი, ეს ოჯახების სილატაკისაგან დაცვას ნიშნავს“.¹¹

უდიდესი მნიშვნელობის — უმუშევრობის საკითხში — დემოკრატები უფრო ნოვატორულად გამოიყურებოდნენ და თვლიდნენ, რომ იქ, სადაც ადგილობრივი და შტატის ხელისუფლების რესურსები აღარ იყო საკმარისი, ფედერალური ხელისუფლება ვალდებული იყო, ხელში აეღო ამ დახმარების ინიციატივა. დემოკრატებმა, მართალია, ვერ გაბედეს უმუშევართათვის სოციალური უზრუნველყოფის ფედერალურ კანონმდებლობაზე საუბარი, მაგრამ შტატებში ასეთი კანონმდებლობის მომხრენი იყვნენ. ლიბერალური ჟურნალი „ნიუშენი“ აღტაცებით წერდა, რომ რუზველტი 13 ოქტომბრის გამოსვლაში უფრო წინ წავიდა და უმუშევრობის საკითხში არა მარტო შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების, არამედ ფედერალური მთავრობის პასუხისმგებლობაც აღიარა.¹² თუმცა რუზველტი საკმაოდ ფრთხილად მოქმედებდა და არავითარ კონკრეტულ ფედერალურ ზომებზე არ საუბრობდა, რათა არ დაეშინებინა შედარებით კონსერვატული ამომრჩევლები. ამერიკული ინდივიდუალიზმის მომხრე რესპუბლიკელები კი არამც თუ ფედერალურ, არამედ შტატის დონეზეც მიუღებლად მიიჩნევდნენ ამ კანონის მიღებას.

ერთ-ერთ გაზეთში, რომელიც პუვერის არქივში მოვიძიე, იყო ამერიკის შრომის ფედერაციის მიერ გაკეთებული, რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების პლატფორმების შედარება ფედერაციისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე:

1. ანტიტრესტული კანონმდებლობის მოდიფიცირება. რესპუბლიკელები ჩუმად იყვნენ ამ საკითხზე, დემოკრატები მომხრენი იყვნენ.
2. ნახშირის მრეწველობის სტაბილიზაციის გეგმაზე ორივე პარტია ჩუმად იყო.
3. მუშათა გაერთიანებების უფლებებთან დაკავშირებით, რესპუბლიკელები მომხრენი იყვნენ, დემოკრატები — ჩუმად.
4. სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ რესპუბლიკელები — მომხრე, დემოკრატები — ჩუმად.
5. ხუთდღიანი სამუშაო კვირის თაობაზე, ორივე პარტია მომხრე იყო.

6. მაღალი ანაზღაურების შესახებ, რესპუბლიკელები მომხრე იყვნენ, დემოკრატიების პლატფორმაში არაფერი იყო ნათქვამი.
7. სახელმწიფო სამშენებლო პროგრამების თაობაზე რესპუბლიკელები ჩუმად იყვნენ, დემოკრატიების პოზიცია გაურკვეველი იყო.
8. უმუშევრობის საკითხის სამეცნიერო დონეზე შესწავლის შესახებ ორივე პარტია ჩუმად იყო.
9. ტექნოლოგიური უმუშევრობის შესწავლაზე ორივე პარტია ჩუმად იყო.
10. საემიგრაციო პოლიტიკის გაგრძელებაზე რესპუბლიკელები — მომხრე, დემოკრატიები — ჩუმად.
11. ადეკვატური დახმარება უმუშევრებისადმი. ორივე პარტიას გაურკვეველი პოზიცია გააჩნდა.
12. რეკომენდაცია შტატებისადმი, მხარი დაეჭირათ კონსტიტუციის შესწორებისათვის ბავშვთა შრომის აკრძალვის შესახებ. ორივე პარტიის პოზიცია გაურკვეველია.
13. შრომის სამინისტროს გაძლიერება. რესპუბლიკელები — მომხრე, დემოკრატიები — გაურკვეველად.
14. სახელმწიფო მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხზე ორივე პარტია ჩუმად იყო.
15. ფედერალური საპენსიო კანონის ლებერალიზაციის თაობაზე ორივე პარტია ჩუმად.
16. მშრალი კანონის გაუქმება, ლუდის დაშვება მაინც. რესპუბლიკელები ჩუმად იყვნენ, დემოკრატიები კი მომხრე.
17. სახლთმშენებლობის კანონმდებლობის სტიმულირება. რესპუბლიკელები — მომხრე, დემოკრატიები — ჩუმად.
18. შრომის კანონმდებლობის შესახებ, რესპუბლიკელები — მომხრე, დემოკრატიები — ჩუმად.¹¹³

საბოლოოდ, რუზველტმა დიდი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ, როგორც ბევრი ისტორიკოსი აღნიშნავდა, ეს იმდენად რუზველტის გამარჯვება არ იყო, რამდენადაც ჰუვერის დამარცხება. ვინაიდან მისმა, მიუხედავად რიგი საინტერესო ნაბიჯებისა, საკმაოდ ხისტი პოლიტიკამ ვერ დააკმაყოფილა არსებული მოთხოვნები. გარდა ამისა, რუზველტი უფრო ქარაზმატული ორატორი იყო და თავშეკავებული და პედანტური ჰუვერისაგან განსხვავებით, მეტი იმედი გაუღვივა კრიზისით გადაღლილ და დაშინებულ ამერიკელებს.

მაგრამ ამით არ დასრულებულა რესპუბლიკელთა მმართველობის თორმეტწლიანი, დამარცხებული ჰუვერი 1933 წლის მარტამდე ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. როგორც ჰუვერის მომხრეები აღნიშნავენ, მან მაშინვე განაცხადა მზადყოფნა მომავალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე.

მაგალითად, კონგრესისადმი მიმართვაში ჰუვერმა მოითხოვა სახელმწიფო ხარჯების 859 მილიონით შეკვეცა და გაყიდვაზე გადასახადის გაზრდა ბიუჯეტის დაბალანსებისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ გუბერნატორმა რუზეველტმა დემოკრატებს კონგრესში მოუწოდა უარი ეთქვათ ამ საკითხზე მიღებულ შეთანხმებაზე ჰუვერის ადმინისტრაციასთან. მართლაც, იანვარში კონგრესის დემოკრატმა ლიდერებმა უარი თქვეს ამ თემაზე თანამშრომლობის შესახებ. ხოლო 20 იანვარს დემოკრატებმა უარი თქვეს ჰუვერის ეკონომიკის კონსოლიდაციის გეგმაზე. სერიოზული დაპირისპირება წარმოიქმნა რეკონსტრუქციის ფინანსური კორპორაციის მიერ გაცემული სესხების გამოქვეყნებაზეც. რესპუბლიკელები წინააღმდეგი იყვნენ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ბანკებს ეს ხელს შეუშლიდა. კონგრესმა ასევე უარი თქვა ჰუვერის შემოთავაზებულ ხელფასების შემცირებაზე ფედერალური მუშაკებისათვის. უარი თქვა რუზეველტმა აგრეთვე თანამშრომლობაზე საბანკო პანიკის შესაჩერებლად, რის შედეგადაც სულ უფრო მეტი კაპიტალი გაედინებოდა საზღვარგარეთ. სენატორი გლასიცი ითხოვდა რუზეველტის მხარდაჭერას საბანკო კანონის მიღებაზე, მაგრამ უარი მიიღო.¹¹⁴

ჰუვერის მომხრეთა ამ ჩივილის მიზეზი, სხვასთან ერთად, იმაშიც მდგომარეობდა, რომ 1933 წლის დასაწყისისათვის მომნიჭებული საბანკო კრიზისი რუზეველტის საბოტაჟისათვის დაებრალებინათ, რამაც ამ კრიზისის პროვოცირება მოახდინა. თუმცა იგი კარგა ხანია მზადდებოდა და აქ მხოლოდ კულმინაციაზე თუ შეიძლება საუბარი. არც ის იყო გამორიცხული, რომ დემოკრატებს რესპუბლიკელთა სრული და საბოლოო დისკრედიტაცია სურდათ, რათა გამძაფრებულ კრიზისულ ვითარებაში სრული კარტ ბლანში მიეღოთ თავიანთი საკმაოდ რადიკალური მოქმედებისათვის, რაც საბოლოოდ მოხდა კიდევც.

თუმცა რესპუბლიკელთა იდეალებისა და მათთან გაიგივებული ჰუვერის მოტრფიალეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი საშინელი მარცხის მიუხედავადაც კი მათ არ შეუქცევიათ ზურგი

თავიანთი ლიდერისათვის და არაერთი გამამხნეველი და მადლიერების წერილი გაუგზავნეს მას. ჰუვერის არქივში უხვადაა მსგავსი წერილები ამერიკელი მოქალაქეებისაგან. მაგალითად, ალაბამის სამხრეთის ოლქის რწმუნებული ალექს ბირდი, გამოხატავდა რა უდიდეს პატივისცემას ჰუვერისადმი, აღნიშნავდა — „როდესაც დეპრესიის ღრუბლები გადაივლის, პატიოსანი ამერიკელი ადამიანები, ნორმალურ დროს, ღირსეულად შეაფასებენ თქვენი ადმინისტრაციის საქმიანობას. თქვენ შეფასდებით როგორც დიდი ადმინისტრატორი, ბრძენი და კარგი პრეზიდენტი.“¹¹⁵

ლ. უესტი 22 მარტს, ანუ უკვე მას შემდეგ, რაც ჰუვერმა დატოვა პრეზიდენტის პოსტი, ხოტბას ასხამდა მის მოქმედებას გადაულახავი გარემოების წინაშე, რომელიც მსოფლიო მასშტაბის უპრეცედენტო კატასტროფამ გამოიწვია და ტრადიციულად მტრული პოლიტიკოსების მიერ გატარებულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო დაამძიმა. აღნიშნავდა, რომ ჰუვერი მისთვის ჩვეული ოსტატობით თითქმის მარტო ნაუძღვა ამერიკელ ხალხს და რომ ზოგიერთი მისი კოლოსალური ინიციატივა უკვე შედეგს იძლეოდა, თუმცა პოლიტიკური ოპოზიციის წყალობით, ეს დაგვიანებით დაიწყო. ასევე აღნიშნავდა მის უანგარო თანამშრომლობას ახალ დემოკრატიულ ადმინისტრაციასთან, რაც არა მარტო პატრიოტული მოქმედების პრეცედენტიცაა, არამედ ახალ თავს ჩანერს ისტორიაში, რომელიც სავსებით დამსახურებულად მოიხსენებს მას, როგორც ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს პრეზიდენტს.¹¹⁶

ვინმე ჯონსონი სიკეთეს უსურვებდა ჰუვერს მშობლიურ კალიფორნიაში — „მე აღტაცებული ვარ თქვენი მოთმინებით და თავშეკავებულობით და ვნინასწარმეტყველებ, რომ სულ ცოტა ხანში ჩვენი ქვეყანა კვლავ მოითხოვს თქვენს ბრძნულ და ჰუმანისტურ რჩევებს. ჯერ კიდევ არც ერთ პრეზიდენტს არ შეხვედრია ასეთი მძიმე სამუშაო და დიდი პასუხისმგებლობა ასეთი მცირე კეთილგანწყობის პირობებში და პრაქტიკული დახმარების გარეშე. ჩვენ ერს მრავალი მიზეზი აქვს მადლობა გადაუხადოს ღმერთს ჰერბერტ ჰუვერისათვის.“¹¹⁷ იყო ასევე წერილი სკოლის მონაფისაგან. „თქვენ იმდენი გაკრიტიკებდათ, რომ მინდა გაცნობით, თუ რა მაღალ შეფასებას ვაძლევ თქვენს საქმიანობას პრეზიდენტის პოსტზე. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც თქვენს ძალაუფლებას შეეძლო. ვინც არ უნდა ყოფილიყო თქვენს ადგილას,

დარწმუნებული ვარ, უკეთესს ვერაფერს გააკეთებდა.¹¹⁸ მრავალი მოქალაქე გაზეთების ფურცლებზე აქებდა ჰუვერს და მადლიერებას გამოხატავდა მის მიმართ. ვინმე ელისაბეტ ემმეტი 1933 წლის მარტში გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ გაგზავნილ წერილში აქებდა რა ჰუვერის პრინციპულობას, აღნიშნავდა, რომ მან არჩევნების წინაც კი არ დათმო თავისი პოზიცია ვეტერანთა ბონუსის და ბალანსირებული ბიუჯეტის თაობაზე და მიაჩნდა, რომ ჰუვერის გზის და პროგრამის გამოცდილება რუზველტსაც გამოადგებოდა ჰუვერის დანყებული გზის გაგრძელებაში. წერდა აგრეთვე ჰუვერის მხარადმჭერი კლუბების შესახებ.¹¹⁹ ამავე გაზეთისათვის 1933 წლის 8 მარტს გაგზავნილ წერილში შერეთ ეერთი, რომელიც თავის თავს ჭეშმარიტ რესპუბლიკელს უწოდებდა, აღნიშნავდა, რომ მისი პარტია კვლავ რჩებოდა ძველ დიდ პარტიად, რომელიც საყვარელი ამერიკისათვის ილწვის. „ღმერთი იყოს ყველაზე დიდი ამერიკელის, რომელიც კი ოდესმე არსებულა, ჰერბერტ ჰუვერის მფარველი.“¹²⁰

ალბათ, ჰუვერის თაყვანისმცემლის ეს შეფასება უდავოდ გადაჭარბებულია, მით უმეტეს, რომ ამერიკელთა უმრავლესობისათვის ჰუვერის მმართველობის წლები უდიდეს განსაცდელსა და წარუმატებლობასთან არის დაკავშირებული. თანამედროვე ამერიკაში, უკეთეს შემთხვევაში, ბევრს იგი საერთოდ არ ახსოვს და ძალზე უკვირდათ, რომ პატარა, შორეული საქართველოს მკვიდრმა, სწორედ ჰუვერი აირჩია თავისი კვლევის საგნად. მაგრამ მისი ასეთი მარტივი შეფასება ნამდვილად არ იქნებოდა სწორი და ამას სულ უფრო მეტი ამერიკელი ისტორიკოსი ეთანხმება.

ჩვენი აზრით, ჰუვერი უფრო ტრაგიკული, ვიდრე ცუდი, სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა თავის სამშობლოს. ამაზე ის ფაქტიც მონიშნავს, რომ თავის საპრეზიდენტო ვადის ამონურვის შემდეგ, იგი არაერთი ამერიკული თუ საერთაშორისო კომისიისა და კომიტეტის ხელმძღვანელი ან აქტიური წევრი იყო. მის შეფასებისას, ალბათ, უფრო შექსპირისეული ტონალობა გამოდგება, თუ როგორ უერთგულა ადამიანმა თავის იდეალებს და თავის სამშობლოს, მაგრამ თავად ეს იდეალები და ცხოვრების ახალი რეალობა მოვიდნენ უმძიმეს ურთიერთწინააღმდეგობაში და შეინირეს კიდევ იგი.

ამით დასრულდა მეტად საინტერესო და რთული ეპოქა ამერიკის ისტორიაში. ეპოქა, როდესაც ამერიკულმა საზოგადოებამ უდიდეს ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, როდესაც ამერიკული მრეწველობა მანამდე წარმოუდგენელი ტემპითა და მასშტაბით ვითარდებოდა, როდესაც ქვეყანაში მზარდი და გავლენიანი საშაულო ფენა ჩამოყალიბდა, როდესაც ცხოვრების ამერიკული სტანდარტი სხვა ქვეყნებისათვის მისაბაძი და საოცნებო გახდა, როდესაც იზოლაციონიზმის ფონზე ამერიკული ბიზნესი სულ ახალ ბაზრებს იპყრობდა მსოფლიოში. შედეგად კი მოხდა უდიდესი გარღვევა ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობის მასობრივი გაუმჯობესების მიმართულებით.

არანაკლები მასშტაბის გარღვევა მოხდა კულტურულ სფეროში და ამ ათწლეულის შედეგად ამერიკამ წამყვანი პოზიციები დაიმკვიდრა მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაშიც.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, პროსპერიტის ბრწყინვალე ფასადის მიღმა ხარვეზიც საკმაოდ შეინიშნებოდა და არც ამერიკის სულიერი ცხოვრება იყო თავისუფალი რადიკალური კონსერვატიზმის საკმაოდ მახინჯი გამოვლინებებისაგან.

ოციანი წლების ეკონომიკური აღმავლობის ტალღაზე ამერიკის მთავრობისა და ბიზნესის თანამშრომლობა თითქოს უნაკლო ჩანდა. ქვეყნის მესვეურებს სჯეროდათ, რომ კონსერვატიული იდეოლოგიის საფუძველზე მათ მაქსიმალურად კარგი პირობები შექმნეს ბიზნესისა და პოლიტიკის ოპერატიული და ჰარმონიული თანამშრომლობისათვის და ეს ყოველივე გრძელვადიან ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მიზნებს არ შეუშლიდა ხელს.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, რესპუბლიკელი პრეზიდენტების მიერ გაფეტიშებული კონსერვატიული პოლიტიკის წყალობით, ამერიკა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა 1929 წელს დაწყებული უმძიმესი კრიზისისათვის. ქვეყნის ხელმძღვანელებმა შეგნებულად თუ შეუგნებულად დაიჯერეს, რომ პროსპერიტი მუდმივად გაგრძელდებოდა. არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ პროსპერიტი ომის შემდგომი უნიკალური ვითარებისა და ხელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის ილბლიანი და, სავარაუდოდ, დროებითი ერთობლიობის შედეგი იყო. აღმოჩნდა, რომ პროგრესული ერის

სულისკვეთება და გამოცდილება ნაადრევად ჩამოწერეს. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ნებისმიერი იდეოლოგიური კლიშეების იდეალიზაცია და აბსოლუტში აყვანა მეტად სახიფათოა. ამან თვით მეტად პრაგმატული და სალი გონების მქონე ამერიკელებიც კი უდიდეს შეცდომამდე, შეიძლება ითქვას, კატასტროფამდე მიიყვანა. ეს იყო კლასიკური კონსერვატიზმის აყვავებისა და შემდგომში კი მისი კრახის პერიოდი.

1933 წლიდან ამერიკის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. რომელიც „ახალი კურსის“ სახელით არის ცნობილი და კრიზისის დასაძლევად აქტიური და ფართომასშტაბიანი ფედერალური პროგრამების განხორციელებას გულისხმობდა. რუზველტისეული „ახალი კურსის“ შედეგად ამერიკა აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორც მანამდე. ქვეყანაში ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებები მოხდა, რომელთაც სერიოზულად შეცვალეს მისი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ეტატიტური ტენდენციები ამერიკის ცხოვრებაში. მთავრობას ჩამოერთვა, მშვიდობიან დროს, ე.წ. „ლამის დარაჯის“ ფუნქცია. ფედერალური ხელისუფლება სულ უფრო აქტიურად ერევა ქვეყნის ცხოვრებაში, სულ უფრო დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს ამერიკელთა წინაშე. ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით ამერიკა კვლავაც საკმაოდ განსხვავებული გეზით მიდის ამ სფეროში, მაგრამ ის დრო, როდესაც ამერიკელები ირონიით უყურებდნენ ევროპულ მთავრობათა აქტიურ სოციალურ პოლიტიკას და სრულიად განსხვავებული ტიპის სახელმწიფოებრიობას ჩემულობდნენ, წარსულს ჩაბარდა. ფართომასშტაბიანი ეტატიზმი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, საგანგებო ანტიკრიზისული ზომიდან ამერიკული საზოგადოების განუყოფელ შემადგენელ ნაწილად იქცა.

თუმცა კონსერვატიზმის ამერიკული ვერსია ამით არ ამოწურულა, მან შესაბამისი ცვლილებები განიცადა და 1952 წელს რესპუბლიკელი დაუაქტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის სახით მოეწვინა ამერიკას. მაგრამ ეს უკვე სხვა, „ახალ კურს“ და ომგამოვლილი ამერიკა იყო და ამერიკელებიც სხვანაირები იყვნენ. მართალია, ზოგიერთ მეტისმეტად კონსერვატულ ამერიკელს ჰქონდა იმის ილუზია, რომ ამერიკა 1920-იანი წლების წესსა და რიგს დაუბრუნდებოდა და კვლავ აისეზუ- ფაირე-ს საფუძველ-

ზე იცხოვრებდა. მაგრამ ეს მართლაც რომ ილუზიები იყო. ასეთი ამერიკის დაბრუნებას, არამც თუ ეიზენჰაუერი, არამედ ამერიკელთათვის ლამის წმინდანად შერაცხული (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ამერიკის პოლიტიკური ტრადიციის ფარგლებში) ჯორჯ ვაშინგტონიც კი ვერ გაბედავდა და ვერც მოახერხებდა.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ახალი კონსერვატორები ერთი მხრივ, იძულებული იყვნენ „ახალი კურსის“ მონაპოვარი შეენარჩუნებინათ, მეორე მხრივ, კი ცდილობდნენ იგი უფრო მეტად აღარ გაეღრმავებინათ. მათ ძველი ფასეულობებისათვის ახალი ტონალობის მინიჭება სურდათ.

ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, თავისი მმართველობის წლებში ეიზენჰაუერმა არამც თუ შეამცირა, არამედ კიდევ უფრო განავრცო „ახალი კურსის“ უდიდესი მიღწევა — სოციალური დაზღვევის სისტემა და უფრო მეტი ადამიანი მოაქცია მისი მოქმედების არეალში. 1953 წელს შექმნილი ჯანმრთელობის, განათლების და კეთილდღეობის სამინისტრო ფედერალური სოციალური პროგრამების რეგულირებას ახდენდა. ეიზენჰაუერი იძულებული იყო გაეგრძელებინა „ახალი კურსის“ მიერ შობილი მდინარე ტენესის დაბლობში მიმდინარე მშენებლობები, მაგრამ, როგორც კონსერვატორი, ამჯერად კერძო კომპანიებს სთავაზობდა ამ სამუშაოს მთელ მენეჯმენტს. 1954 წელს 6 პროცენტთან უმუშევრობის დაძლევისათვის ეიზენჰაუერმა აქტიური ფედერალური ნაბიჯების გადადგმა არჩია რესპუბლიკელთათვის ტრადიციულ ეკონომიკური აღმავლობის მოლოდინს და ბიუჯეტის დეფიციტის შეკეცას. მან განაცხადა, რომ „არაფრის კეთებისაგან გამომდინარე საფრთხე გაცილებით მეტია, ვიდრე მეტისმეტის კეთებისაგან.“ 1956 წელს ეიზენჰაუერის მხარდაჭერით მიღებული სოფლის მეურნეობის კანონი ასევე მნიშვნელოვან ფედერალურ ფინანსურ შეღავათებს უწესებდა ფერმერებს მათი მოსავლის რაოდენობის შემცირებისათვის. ეიზენჰაუერის დროს უხვად დაფინანსებული ფედერალური ავტომაგისტრალების მშენებლობის პროგრამით 26 მილიარდი დოლარი უნდა დახარჯულიყო 10 წლის განმავლობაში ეროვნული ავტომაგისტრალების სისტემის შესაქმნელად. და საერთოდ, მისი მმართველობის წლებში გრანდიოზულმა საზოგადოებრივმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა „ახალი კურსის“ მასშტაბებს.

რასაკვირველია, როგორც რესპუბლიკელ პრეზიდენტს, მას არ შეეძლო საერთოდ უარი ეთქვა საკუთარი პარტიის პოლიტიკურ კრედოზე. სწორედ მან გადასცა კონტროლი სანაპირო ნავთობის სარეზერვუარ ანუ ფედერალურ მთავრობას, არამედ უშუალოდ შტატების ხელისუფალთ. იგი მაქსიმალურად ცდილობდა დაებლანსებინა ბიუჯეტი და შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები, მათ შორის თავდაცვაზეც. ასევე უნდოდა ფედერალური მთავრობის როლის შემცირება, ვინაიდან, როგორც მართლმორწმუნე კონსერვატორ რესპუბლიკელს, მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მეტისმეტი ჩარევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საფრთხეს შეუქმნიდა პიროვნების თავისუფლებას.

მიუხედავად ამისა, როგორც ზოგიერთი ამერიკელი ისტორიკოსი თვლის და ჩვენც ვეთანხმებით ამ აზრს, ეიზენჰაუერის მმართველობის დასასრულს ფედერალური მთავრობა გაცილებით უფრო აქტიურად იყო ჩართული ამერიკელთა ცხოვრებაში, ვიდრე მის მოსვლამდე. აღსანიშნავია, რომ კონსერვატიზმის ესოდენ წარმატებული და შედარებით უმტკივნეულო მეტამორფოზები, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ეიზენჰაუერის პირადმა ავტორიტეტმა, მის ზომიერებამ, პრაგმატიზმმა და ძლიერმა ნებისყოფამ განაპირობა.

გაცილებით უფრო რადიკალური იყო 1980 წელს დაწყებული რონალდ რეიგანის კონსერვატული რევოლუცია, რომლის განხორციელების პირველივე დღეებში სიმბოლიკის მოყვარულმა რეიგანმა თავის კაბინეტში სწორედ, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი კონსერვატორი პრეზიდენტის, კალვინ კულიჯის სურათი დაკიდა. ოციანი წლების რესპუბლიკელები სიამოვნებით დაეთანხმებოდნენ რეიგანის ფრაზას, რომ „მთავრობა კი არ არის ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა, არამედ თვით მთავრობაა ჩვენი პრობლემა“. 1981 წლის 18 თებერვალს მან კონგრესს წარუდგინა ეკონომიკური გაჯანსაღების საკუთარი პროგრამა – „ამერიკის ახალი დასაწყისი: ეკონომიკის აღორძინების პროგრამა“. იგი შეუპოვრად და ჯიუტად ატარებდა ე.წ. რეიგანომიკის პოლიტიკას და, როგორც ვიცით, საბოლოოდ წარმატებასაც მიაღწია და გადასახდები 25 პროცენტამდე შემცირდა. ენდრიუ მელონის სული, ალბათ, დიდად ხარობდა ამ მოვლენების შემხედვარე.

მართალია, ვერც რეიგანმა გააბათილა „ახალი კურსის“ მთავრი მონაპოვარი, რომელიც ამერიკული პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტურ და შეუქცევად შემადგენელ ნაწილად იქცა, მაგრამ, ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, მან სერიოზულად შეამცირა მთელი რიგი სოციალური პროგრამები, შეიკვეცა 136 მილიარდის ფედერალური ხარჯები 1982–84 წლებში. ამის შედეგად შემცირდა ან საერთოდ გაუქმდა 200 ფედერალური სოციალური ხასიათის პროგრამა. მათ შორის ფედერალური ხარჯები ისეთ სფეროებში როგორც განათლება, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სახლთმშენებლობა, დახმარება ქალაქებისადმი, უფასო ტალონები საკვებზე, კვლევები სინთეტიკურ საწვავზე და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები. ასევე უფრო რადიკალური იყო იგი მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საკითხში.

მართალია, რეიგანის მემკვიდრე ჯორჯ ბუში უფროსი უფრო ზომიერი იყო თავის ქმედებებში, მაგრამ ისიც კონსერვატიულ პლატფორმაზე იდგა. ჯორჯ ბუში უმცროსის გამარჯვებამ 2000 და 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ იდეოლოგიის ცხოველმყოფელობა, მისი უდიდესი გავლენა ამერიკულ საზოგადოებაზე.

ქართველ ისტორიკოსებსა და პოლიტოლოგებს დიდი სამუშაო გვაქვს წინ. ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მეც ვგეგმავ 1920-იანი წლების შემდგომი რესპუბლიკური ადმინისტრაციების საქმიანობის კვლევას. თუმცა არც დემოკრატიული პარტიის ლიბერალური რეფორმიზმი იმსახურებს ნაკლებ ყურადღებას. ნებისმიერი ცალმხრივობა ხომ დამლუპველია მეცნიერებისათვის.

შენიშვნები

წყაროები და ისტორიოგრაფია

1. Warren G. Harding Papers, A Microfilm Edition, Manuscript Department, Ohio Historical Society, 1969.
Calvin Coolidge Papers, Microfilm Edition, Washington, Manuscript Division, Library of Congress, 1965.
Hoover Institution on War, Revolution and Peace, Stanford, California.
Public Papers of the Presidents of the United States. Herbert Hoover 1932-33, Washington, 1977.
The Public Papers and Addresses of Franklin Roosevelt, N.Y., 1969.
2. Foundations of the Republic. Speeches and Addresses by Calvin Coolidge, Charles Scriber's, N.Y., London, 1926.
The New Day, Campaign Speeches of Herbert Hoover 1928, Stanford, 1929.
Campaign Speeches of 1932, President Hoover and Ex – president Coolidge, Garden City, 1933.
National Party Platforms 1840-1966, Compiled by Kirk H. Porter and Donald B. Johnson, University of Illinois Press, Urbana, Chicago, London, 1972.
3. State of Union Messages of the Presidents 1790-1966, Ed. I. Israel. N.Y., 1967.
